

114
1967/4

16015020
2025-07-09 14

მეცნიერებათა



4

1 9 6 1

გიორგი გაჩეჩილაძე — შემოქმედებითა სიახლის პოეზია 126
 გიორგი შერცივაძე — ბუდი ქართველი დედისა 125
 ლატი გოციელი — შეცხრამეტე საუკუნის ქართული პრესა და საფრანგეთის პროგრესული პუბლიცისტიკა შარტავის 1440
 შიშლინიძისა შიშლინიძისა

ვახტანგ რაზიკაშვილი

ვახტანგ რაზიკაშვილი — მამანუში — ვაჟა-ფშაველა 152

წიგნები და აღაზიანები

შალვა აფხაიძე — ტიციან ტაბიძე 163
 გურამ ასათიანი — ტიციან ტაბიძის პოეზია 174

წიგნების მიმოხილვა

ე. მესხი — ფრანსუა ჰეზინგუის ორი რომანი 183
 ირაკლი კენჭოშვილი — მონოგრაფია შექსპირზე 185
 გ. ხელაშვილი — საქართველოს სამკურნალო მცენარეები 188

საზღვარგარეთი

„სულტურული ცხოვრების კრონიკა“ 190
 ახალი წიგნები 192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

ს ა რ ე დ ა ქ ე რ ი კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ე. მაღრაძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ყვანელი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/IV-61 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა 7¼×12¼.
 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 02430.
 ტირაჟი 6500. შეკვეთა № 543.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, შარტავის ქ. № 5.

ოჯია იოსელიანი

პარსკვლავთცვენა*

თამი ოქტაბერი

ჩემი ბრალი არაა

— გოგონა!..

ის შეერთა ჩემს ხმაზე. წამოენთო, ერთი შემომხედა და გზის კიდეზე გადაუხვია.

— გოგონა!..

ისევ არ გამცა ხმა.

— გოგონა მე... მე ხომ...

იგი გამისწორდა, შუა გზაზე გაშეშებულს ჩამიარა და უკანმოუხედავად წავიდა.

წუხელ მთელი ღამე არ დამეძინა. შუალამემდე ორღობეებში ვიხეტიალე, რამდენიმეჯერ აეუარ-ჩავუარე გოჩას ეზოს და გოგონას ვერსად ვერ შევხვდი, ვერც გუშინ ვნახე, დღეს აქ მთელი ღამე ველოდი სკოლიდან დაბრუნებულს და ახლაც ასე უხმოდ მიმატოვა.

წინ გაუფსწარი და გზა გადავუღობე.

— გოგონა, რატომ ხმას არ მცემ, გოგონა!

ისევ გვერდის ავლა დააპირა. ვიცოდი, გააბრაზებდა ამდენი ჩაიება, მაგრამ არაფრით არ შემეძლო მისი გაშვება და ისევ წინ ავეტუხე.

— რა იყო, გოგონა! — ვთქვი, მაგრამ ვუშინწინდელი ავდრიანი ღამე გამახსენდა და ხმა გამებზარა.

გოგონა შედგა. ჯერ თავდახრილი მიწას ჩააჩერდა, მერე მალლა ამაყოლა თვალი და ჩემს მხარს იქით გზას გახედა.

— გამიშვი!..

მისი გამოხედვა კუშტი და ცივი

იყო, ხმა კი რბილი და მავედრებელი. გოგონა გაბრაზებული იყო ჩემზე, მაგრამ მაინც არ ვიცოდი, რატომ იყო მისი ხმა გატეხილი.

— გამიშვი, გოგონა! — გაიმეორა და ამ ხმაში მუდარაც იყო და საყვედურიც.

— გოგონა, რატომ... რატომ...

— გამიშვი, თავი დამანებე, — გოგონა არ წასულა, მას არ შეეძლო ჩემი დატოვება, არ შეეძლო და ამიტომ, გაანჩხლების მაგიერ, მეხვეწებოდა: — გამიშვი, გოგონა, გამიშვი!

— გოგონა, ხომ დაგიძახე!..

მან ხელი გაიჭნია, ნუ მელაპარაკებო, მაგრამ ვგრძნობდი, გოგონას უნდოდა თავი შემართლებინა, იგი ადგილიდან აღარ იძროდა, იმ დღეს პირველად ვნახე თავდახრილი გოგონა.

— დაგიძახე და...

— ვიცი, რომ დამიძახე, — მოთმინება აღარ ყოფნიდა გაეგო, რატომ მივატოვე იგი იმ ღამეს. მასთან ერთად ნათესი, ნათოხნი და ნაკონი ჩალა რატომ შევხვინე უმისოდ. იქნებ ისიც, — რატომ შეეფეარე იმ ზვინში ფატისთან ერთად, რატომ ვერსად გვიპოვა ეზოკამ და რატომ დავბრუნდით სახლში გვიან. ან უტერფო ფეხზე აკოჩიალებულ ბრიგადირს რომ მინდორში წამოვეწიეთ, რატომ უხმოდ, მალულად აეუარეთ გვერდი და ფატი ჭიშკარში დაფეთებულ რატომ შევარდა, ძელის სახლს სირბილით შემოუარა და უკან შემოქედილ თავის პატარა ოთახში ჩაიკეტა.

გოგონას უნდოდა გაეგო, რატომ... მაგრამ როგორ შემეძლო, მეთქვა, როგორ უნდა ამეხსნა, რატომ მომერიდა ჯერ გოჩასი, ფატისთვის როგორ

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 1, 2, 3.



მეტქვა, გოგონას ვუცდი-მეთქი, როცა წვიმა დაიწყო. ან როგორ არ დამეცვა ფატი ტყის პირას, როცა მას ჩემი იმედი ჰქონდა, ან როგორ არ შემეყვანა იგი აკანკალებული ზვინში, როცა ასე მშისწარაა. მაშინ ეზიკა, ალბათ, ისევ სოფელში დაკონავედა და ფატის ჩემს მერთ არავინ ჰყავდა მფარველი.

— მერე...

— მერე არ ვიცი...

ღმერთი, რჯული, არ ვიცი...

— დამიძახე! — გაიმეორა მან.

— დაგიძახე და... დაგიძახე...

— თავი დამანებე! — უკვე მის ხმაში ბრაზი გამოკრთა და წინ ნაბიჯი გადადგა.

— გოგონა! მოიცა ყველაფერს გეტყვი!..

— არ მინდა... რად მინდა...

— მოიცა, გოგონა!

— არა!..

— რომ დაგიძახე, რატომ არ წამოდით?..

— არ წამოვედით! — უკან მოუხედავად მესროლა მან ისე, რომ არ შეჩერებულა.

— რატომ, გოგონა, რატომ?..

— რატომ და...

— რატომ ჰო, რატომ...

— არ გვეცალა, რეზინებს ვპრიდით, ნათი არ გვქონდა...

— ჰოდა, არც გზაში დაგვეწიეთ!

— არ დაგვეწიეთ!

— ჰო, არ დაგვეწიეთ...

გოგონას ჭიშკარს მიუხახლოვდით. ეზოში გადავიხედე, გონა ხომ არსადაა-მეთქი, მერე წინ გადავხტი და ალაგეს ზურგით ავეკარ.

— გოგონა, არ გაგიშვებ!

— გამიშვი!

— დაგიცდიდი, რავა არ დაგიცდიდი, მაგრამ გონა?

გოგონამ ერთი წუთით, შეიკრა წარბი და ჩაფიქრდა.

— ჰო, გონასთან... ადრე რაღაც სხვა იყო... მაშინ... მაშინ ვიფიქრე, ჰვევით დავეუცდი-მეთქი.

გოგონა გამოერკვა.

— მერე?..

— მერე...

გოგონამ სახეში შემომხედო, ვერაფრით თვალი ვერ გავესწორე და იგი შეკრთა, რაღაც უჩვეულო დაინახა ჩემს თვალეზში და უკან დაიხია, ერთხანს ასე მიყურა, რაღაცას ხედავდა და არ ჯეროდა, რაღაც მოულოდნელ სასწაულს გრძნობდა და, როცა თავი მოწყვეტით დავხარე, იწივლა:

— გოგიტა!

ვერც თავი ავწიე, ვერც ხმა ამოვიღე-უმწეომ, შეშინებულმა ჯერ გაქცევა-დააპირა, მერე მოაგონდა, რომ სახლთან იყო, წინ მიაწყდა, ჩემს ზურგს უკან გაძვრა, ფაცა-ფუცით შეხტა ალაგეს ჯვარედინა საფეხურზე, გადადგა მარჯვენა და, როცა მარცხენა მალა ასწია გადასატანად, მე მოვტრიალდი, მოვტრიალდი თავზარდაცემული, ვაი თუ გოგონა არ გამეცმდა ხმას, არ წამოვიდოდა ჩემთან ყანაში, არ დამიწნავდა მწვანე თხმელის ფოთლებიდან სამზეურ ქულს, ორღობეში გულგატეხილს აღარ შემხვდებოდა, არ მანუგეშებდა და სახლში არ გამაცილებდა. ვაი თუ, ვკარგავდი გოგონას, გოგონას ვკარგავდი, როცა მეტი არაფერი გამაჩნდა.

— გოგონა! — ვიყვირე მე და რადგან აღარ შემეძლო გზა მომეპრა ისევე, ვერც ალაგეს გადაღმა ხელეზში მიეწვდებოდი, ფეხში ვეცი, წვივს ორივე ხელი შემოვხვებე და გულზე მივიკარი.

— გოგონა! ჩემი ბრალი არაა... ღმერთი, რჯული, არაა ჩემი ბრალი!..

— მომეშვი! — ხელეზში მეცა იგი, — მომშორდი, თორემ გონას დავუძახებ.

— არა, გოგონა... მე, მე... — თავი მუხლზე დავადე და ავტირდი, — ჩემი ბრალი არაა, გოგონა...

თავი მოვამხმცხრა

გაბმნილი ლამეხაი

იმ დასაქცევ ღამეს, ისეთ თავსხმასა და მეხისცემაში ვუძებნივართ გოგონას. ვუძებნივართ ჯერ გონასთან ერთად,

მერე გოჩა რომ შინ წასულა, გოგონა ბნელში გზიდან გაპარვია და ყველა ზვინები შემოველო. უკან, სოფელში ამოერბინა, ეზიკასას დაეძახა და ისევ გაბრუნებულიყო. საყანეებში გადაყროდა ეზიკას, ფატი ეკითხა მხოლოდ და გაუჩინარებულიყო.

გოჩა ერთი პირი გამოძინებული ყოფილა, გოგონა სახლში რომ შემძვრალა, მფორე დღეს გარეთ არ გამოსულა, არც არაფერი უსვამს, არც უჭამია. სახლში შემინებულიან, ავად ჰკონებიათ.

მთელი ღამე არ მძინებია არც მე, მთელი ღამე დავეხეტებოდი ორღობეში, მთელი ღამე ვეჭებდი გოგონას, ის კი, თურმე, თავდაღმა ეგდო ბალიშზე და დილით უთენია წასულიყო სკოლაში. მთელ ხუთ გაკვეთილზე სამი სიტყვა არ ეთქვა. ტუხუია მიყვებოდა: შესვვენებაზე მეშვიდე კლასში შევედი, გოგონას თავი ხელეში ჰქონდა ჩარგული და ვერაფრით მაღლა ვერ ავაღებინეო, არც ხმა გამცა, ერთი ფურცელი რვეულის ქაღალდი მინდოდა, იქნებ გაქვს-მეთქი, და პასუხი არ მაღირსაო..

ის იყო, გაკვეთილების მერე მე შევხვდი... ალაგესთან ატირებულს წამართვა ფეხი და თვალტრემლიანი გაიქცა, აივანზე გოჩა გამოჩნდა, მე პირი ვიბრუნე და წამოვედი, წამოვედი მარტო, სრულიად მარტო.

იმ დღიდან მთელი საღამოები ორღობეებსა და შუკებში დავბორიალობდი, მაგრამ გოგონას აღარ შევხვედრივარ. სკოლიდან დაბრუნებულს თუ შევხვდებოდი, უხმოდ ამირიდებდა თვალს. მეც რა მეთქმოდა, მხოლოდ ჩავლილს, როცა თვალმოუცილებლად ვუცქერდი და მოსახვევში გაუჩინარდებოდა, ვიტყუოდი:

— გოგონა, რატომ არ წამოდით მამინვე, როცა დაგიძახეთ... გოგონა, ჩემი ბრალი არაა...

ღრო მიდიოდა. მისთვის სულერთი იყო ომი და სისხლისღვრა, ჩემი უძილო უსასაო ღამეები და გოგონას ცრემლები. ეზიკას უტერფობა და ფატის შიში, დედების შავი თავსაფრები, ტუხუია და

თომა, კლემენტი ცეტერაძე და თითქმის მთლად შეშლილი ელპიტე... როცა მტერს ნახევარი ვატოვებინეთ და ბელორუსიის ტყეებსა და ჭაობებიდან ვერეკებოდით, სოფელში ხმა დაირხა, ჩვენს ტყეებში მტრის ჯაშუშები თუ დესანტი აფარებს თავსო.

ზოგი ამბობდა: მტერს აქამდე რაღა უნდა, ყაჩაღები და ავაზაკები იქნებიანო, სხვა კიდევ სხვა აზრისა იყო: გერმანელი ტყვეები გაქცევით ბანაკიდანო. კლემენტის უთქვამს: თურქეთიდან ზღვით თვითმფრინავი შემოპარულა და პარაშუტები სოკოებივით ყრიაო ტყეებში. ვინ რას ამბობდა და ვინ რას. ღამე გარეთ გამოსვლის ყველას ეშინოდა. სოფლის განაპირა მოსახლეს, ისიდორე ქერქაძეს, ბოკონზე გამობმული მაკე თხა აუხსნეს და ზიდან მოყივარი მამალი ჩამოუყვანეს. ყაფლანის ერთადერთ ქალიშვილზე ჩამოსიძებულ ქილარდავას აივანზე ეძინა, წლინახევრის დეკული ეზოში რომ დაუკლეს, ეზიკას ორჯერ ესტუმრნენ, მაგრამ ორჯერვე გაუგო უტერფომ და ტყემდე დედის გინებით ჩააცილა. ასეთი ქურდბაცაცობა, რაც ომი დაიწყო, იშვიათი აღარ იყო, მაგრამ კვალი არავის უნახავს და თუ ნაქურდალზე არ წაასწარი, ქურდი ქურდი არაა.

იმ დილით ახალ წამოთოვლილზე ხე-მოუბნელ კარზე კაპანაძეს ორიოდ გასროლა ღამე წამალი კერიასთან ეშრო, მერე ძველი ეანგიაინი ფილთა გაეტენა, საფანტის მაგიერ თუჯის ნამსხვრევებით აევსო და ფერდობს შეყოლოდა, იქნებ საღამე ბრუციან ქურდლელს გადაეყარო და მაღლია, ბავშვებს იჯრას გამოგუცვლიო.

შუაღლისას კანტორაში თავჭულდმოგლეჯილს ჩამოერბინა, ბიძინას კაბინეტში შევარდნოდა, ნახევრად მუნჯს და ენადაბმულს მთელ საათს ვერ მოეხერხებინა სათქმელი.

— ო-ო-ოთხიო! — ცერმოკეცილ ხელს, თურმე, თვალზეში თხრიდა ბიძინას, — ო-ოთხიო, ჩე-ჩე-მი თვალით ვნახეო.—თურმე ხარივით ამბილებდა

შეშინებულ თვალებს. თოფზე აზომებდა, მოკლელუღიანი, დისკოიანი კარაბინები ჰქონდათო, ერთს ზურგზე ჩემოდანი ეკიდა, თუმცა ოთხივე ცეცხლს უჯდაო...

ბიძინას ვერ გაეგებდა კარბეს სველი წამლით და თუჯით გატენილ ფილთის-ამარა კბილებამდე შეიარაღებულ ტყიურებთან შებმა და რაიონში გაქცეულიყო.

საღამომდე საიდუმლოდ მოემზადებინათ სოფელში ყველა მამაკაცი, შებინდებულზე მილიცია და ბატალიონი ამოსულიყო ტყე-ტყვე და სოფლის ახლოს დაბანაკებულიყვნენ.

დაბალი ვახშობა იქნებოდა, რომ ძაღლი მიაწყდა ვილაცას ეზოში.

— ე, ბიჭო, ვილაცა! — თქვა დედამ.

— თუ ვინმეა, დაიძახოს!

თავი კარებში გაეყავი და გაეძახე:

— ეი!

თოვლზე მაღალი კაცის ლანდი გავარჩიე.

— რომელი ხარ! — გავუძეორო და ძაღლს გავუწყარი.

— მოდი, გოგითა! — მომესმა ხმა დაბლა და ხელი დამიჭნია.

ეზიკას ხმა იყო. ეზოში გავედი და მხარზე თოფგადადებულს გაოცებულმა ავხედე.

— ბიძია!..

— აგერ გვყოლია ის ოჯახამოსადგდები! აგერ ჩვენს ტყეში. — და იქვე დაუმატა, — არაფერი წამოგცდეს სახლში, ეს უპატრონო!

— რატომ, საიდუმლოა?

— საიდუმლოა... რატომ უნდა გადაიროო ქალები... იმ შობელძაღლს ვერ დავუმალე ამოდენა თოფი და, ახლა რომ წამოვედი, სული კინალამ კოჭებში გაეპარა.

— ფატის! — ვთქვი და მთელი ტანით შემაქრყოლა.

— ჰო. გადაირევა ის უპატრონო, თოფის ხმა თუ გაიგონა. მაინც რა, ეზოსთან მაქვს ეს ტყე და მინდორი!

— უნდა ისროლოთ?

— აბა, ცოცხალი თავით დაგვხვებდებო?

— მერე?..

— მერე გადადი ჩემსას, ერთი ორჯერ უპატივეცმლოდ მყავს გაშვებული და კიდევ არ მომადგნენ, რა მის ამოწყვეტას წაიღებს, მაგრამ გააგიყვებენ იმ მკვდარძაღლს... თუ გინდა გოჩას ფილთა გამოართვი, აგერ ერთ სროლა წამალს მოგცემ.

— თქვენსას? — უკან დავიწიე მე.

— ჩემსას, დილაამდე დამაგვიანდებია ალბათ, სად ვიპოვიალებ ამ ტყეში, ეს უპატრონო. გადადი და ნურაფერს ეტყვი.

ხმა ვერ ამოვიღე.

ეზიკამ დაბამებული ჯუბა გადაიწია, ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიყო. თოვლის სინათლეზე წელზე შემორტყმული სავახზე გავარჩიე. ალბათ, რაიონიდან თუ ამოუტანეს ეზიკას იარაღი. მან ხელის გულზე ერთმანეთში არეული თოფის წამალი და საფანტი დამიყარა. შებრუნდა, თოვლზე შებარბაცდა, ერთი რჯულზე შეიგინა და წაკოჩიალდა.

გაშეშვებულ ხელის გულზე ერთი სროლა ტყვია-წამალი მეყარა და ვიდექი. ვიდექი ასე, სანამ სახლიდან ზაზას ხმა არ მომესმა.

— გოგითა!

შევტრიალდი. წამალი ხალათის კალთის ყურში ჩავიყარე, თავი დავეუწრიახე და შარვლის სათავეში ჩავიტანე.

— გარეთ დიდხანს ნუ გაჩერდები. შეილო, არ გაციოდე! — დამარიგა ბებიამ.

— სად მიხვალ, ბიჭო, ამ შუალამეზე! — მკითხა დედამ, როცა მამაჩემის საწვიმარში მოვიხურე და წასვლა დავაპირე.

— საქმე მაქვს!

— რა საქმეა, არ ითქმება, შე უწმინდურო?

— არა, არ ითქმება!

— დაწევი, ბებია, ახლა და ხვალ წადი! — მირჩია ბებიამ.

ცა მოწმენდილი იყო. წაყენა და ფეხქვეშ თოვლი ხრამუნებდა. ატალა-



მამლის ნაადრავი სიზოილი

ხებული გზაც წაებობდა, მაგრამ ჯერ ფეხს შინც ვერ იმაგრებდა.

კარგახანს ვიდრე გოჩას კიშვართან, ბოლოს უხმოდ ჩავედი ეზოში, აყუფებულ ძაღლს ხმა არ გავეცი, რომ მაშინვე არ ეტყნე და გოგონას არ გაეგო.

კარებმა გაიჭრიალა.

— ვინა ხარ!

— მოდი, გოჩა! — ხელი დავუქნიე. ძაღლმა ხმა ჩაიკმიადა.

— აქეთ მოდი ვილაცხა ხარ! — გამომეპასუხა და ღია კარებში გოგონას თავიც გავარჩიე.

— ვინაა?

— გოგიტა უნდა იყოს!

კარები მიიხურა.

— გოჩა, მოიწი აქეთ!

მან უხალისოდ გადმოდგა ნაბიჯი წაყინულ თოვლზე და მომიახლოვდა.

— სახლში ვერ შემოხვალ? რას ატუხულებხარ ამ შუა ეზოში? — გოჩას ცივი ხმა ჰქონდა.

— საქმე მაქვს შენთან! — ვთქვი და მიმოვიხედე, ვგრძნობდი, გოგონა სადღაც აქ იდგა და, ალბათ, უკვირდა, რა საიდუმლო მქონდა გოჩასთან.

— რა საქმე?

— რა და... — ისევ მალულად გავაპარე თვალი გვერდზე.

— ამოიღე ხმა!

— რა და, თოფი უნდა მათხოვო.

— რა თოფი, სულელი ხომ არა ხარ?

— ბაბუაშენის ფილთა!

— ქანგიანი ფილთა?

— რაცაა, სულერთია, მათხოვე! მჭირდება, გოჩა, ეზოკამ შემოგითვისა.

— ეზოკას უნდა?

— არა... ჰო, ეზოკა შეგეხვეწა.

— რა ნახავს ახლა ფილთას! დილას წაიღე!

— დილას აქეთ მოგიტან!

— რა ეშმაკად მინდა, თუ არ მომიტან!

გოჩა გატრიალდა.

— გოგონას არაფერი უთხრა! — შევაჩერე მე.

თავი მოვამაბათ

კატამ ანთებული თვალებით გადაიბინა თოვლზე და ნალიისაყენ გაუჩინარდა.

— ფატი!

ფანჯრიდან შუაცეცხლის მოწითალო სინათლე გამოკრთოდა. მხარზე თოფმოგდებული აივანზე შევედი, მერე მოგვიანებით დავირეკე ტალახიან თოვლში მოსვრილი ფეხები. ჩამი-ჩუმი არ იყო.

— ფატი!

სახლში ჯორჯო წაიქცა.

კარის გასაღებად წამოვიდა, — გავიფიქრე მე, მაგრამ კარები არ გაღებულა, არც წაქცეული ჯორჯო აუყენებია ვინმეს. სვეტის ძირზე ფეხის წმენდას მოვეყე. ნალიაში კატამ დაიჩხავლა, ქათამი შეფრთხილდა ხეზე. მე ისევ უნდა დამეძახა, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე, ალბათ, იმიტომ, რომ ვგრძნობდი — ფატიმ იცოდა ჩემი იქ ყოფნა, მას არ ეძინა, წელან ადგა და ჯორჯო წაიქცა.

სადღაც კატამ ისევ დაიჩხავლა. დაიჩხავლა და ლაფაროში გაიბინა, მას მეორე მიჰყვა, თეთრხალუბიანი ხვადი. პირველმა სახლს შემოურბინა და სვეტს ეცა, თვალის დახამხამებაში მალა მოექცა.

— ციც! — შევუწყვიტე მეორეს. ისიც სვეტზე აბირებდა აყოლას. ჩემს გაწყრომაზე შეჩერდა, მაგრამ უკან შინც არ დაიხია, კუდის თეთრ ბოლოს დაუწყო ქიციანი და თვალებით ცეცხლი დაანთო.

— ციც, შე ბალანდამწვარი! — წავდგი ნაბიჯი წინ, უფრო იმისათვის, რომ საქმე ვიშოვე. არ მინდოდა სახლში შესვლა. მერჩია აქ, გარეთ აივანზე ვმდგარიყავი თოფით, აქ მედარაჯა ეზოკას მოსვლამდე, ან ახლავე უკან გავბრუნებულობიყავ, მაგრამ ეს არ შემეძლო. მე მიყვარდა, თუ პატივს ვცემდი ამ ღჯუტ კაცს და მის სიტყვას ვერ გადავიდოდი.

კატა განაპირა სვეტს მიაწყდა, ერთი

ფეხის დაკვრით აიბრინა და თავი სხვენს შეაფარა. მე კარებისაკენ მივბრუნდი.

— ფატი!

— რა ვინდა, ვოგიტა! — იმ წამსვე მომესმა იქვე.

— არაფერი, კარები გამიღე!

ღუმელი ჩამოვარდა.

იქნებ არ იცის, რომ ეზიკამ გამომვზავნა. არ იცის, ალბათ, ეზიკა ისეთი კაცია, არ ეტყობა.

— ფატი, მე ეზიკამ გამომიშვა...

— მამამ?...

— ჰო, ეზიკამ მითხრა...

საკოჭავმა გაიჭრიალა და კარები ღრიჭოდ მოიღო.

თოფი მხრიდან ჩამოვიღე და კარებში შევებოდე.

ძელურ, სრულ სახლში, უალო, დანავერჩხლებული შუა ცეცხლის მოწითალო სინათლეზე, კარებთან მიკრული ფატი გავარჩიე: იგი დაბატარაებულს მეჩვენა.

— შეგეშინდა? — ვთქვი და თოფი კონდახით სოხანეზე დავეშვი.

— ჰო, შემეშინდა...

— რამ შეგაშინა?

— რა ვიცი...

საწვიმარი მოვიხადე და ტახტზე მივაგდე, მერე ცეცხლისაკენ გამოვბრუნდი.

— შეშა გაქვს დაჭრილი?

— კი...

— ჰო, ეზიკა დაგიტოვებდა, — ვთქვი, მარტო ეს კი არა, კიდეც უნდა მეთქვა რაიმე, ვგრძნობდი, რომ უნდა ვყოფილიყავ თამამად და მელაპარაკა, სულერთი იყო რა, ოღონდ უნდა მელაპარაკა.

წაქციულ ჯორჯოს გადავალაგე და ცეცხლის პირას ჩავცუცქდი. მუგუზლით ლადარი გავქექე, ხელები დავითბე, მერე თითები მოვიფშენიტე.

— აგერ მარტი ჩამოდგა და ამ თოვლინვას არ დაადგა საშველი. ფატი კარებს მოცილდა.

იქვე კერის თავში ნაპობ შეშას გადაწვდი და გაქეჩილ შუა ცეცხლს გადაეწვე. ისევ მოვიტბე ხელი.

— აჰ, რაც მართალი მართალია, სიცივეა!

ფატიმ არც არაფერი მიმასუბნა, ცერაც კერასთან ჩამოჯდომა მოახერხა.

— დაჯექი, ფატი. — წაქციული ჯორჯო წამოვადე და მივაწოდე.

— ახლავე, — ჯორჯო ჩამომართვა. ხელი უთრთოდა.

— შეგციებიან.

— ჰო...

ცეცხლი აკვამლდა. ალი ვერ აუშვა მუგუზლებმა. წაეხარე, გულდაგულ შევუბერე, ჩავისუნთქე კერასთან ამტვერებული ცხელი ჰაერი და ისევ შევუბერე. შემებში ალი ამოქვრა. ფატიმ ყაბა კოჭებამდე ჩამოიტანა, თვალი ამარიდა და ცეცხლს ჩააჩერდა. არც მე მინდოდა გამეხედა იქით და მაღლა შუა ცეცხლზე ჩამოშვებულ ნაქას ავაყოლე მხერა.

სხვენის მთელ სიგრძეზე გაიშლივინეს კატებმა, სვეტი ჩაირბინეს და მიჩუმდნენ. ცეცხლი ავიზვიზდა და ვაანათა სახლი.

მივიხედ-მოვიხედე.

— კარები დაგრჩენია ღიად! — და აღვილიდან წამოვიქერი.

— იყოს, — მითხრა ფატიმ შიშნარევი ხმით, — იყოს!

— სიცივეა, რატომ უნდა იყოს! — კარს ბეჭით მივაწეე და გადავკოჭე. უკან მობრუნებულს თოფი მომიგონდა.

— ჰო, თოფი მაქვს გასატენი! — ვთქვი და გამიხარდა, რომ ასეთი საჭირო საქმე მქონდა გასაკეთებელი.

— თოფი?..

— ჰო, თოფი, საშიში არაა, მაგრამ ვავტენი, რა მენალვლება, ტყვია-წამალი ეზიკამ დამიტოვა.

— მამამ მოგცა?

— ჰო.

— თვითონ სად წავიდა?

— წავიდა, დილამდე დაბრუნდება.

— დილამდე დაავიანდება?

— დაავიანდება. როდის შემოვივლის ფეხტოვანი კაცი ამოდენა ტყეებს.



— მართალი ყოფილა, კარბეს რომ უთქვამს?

— რა ვიცი, მაგრამ ნახვა უნდა მაინც.

— არაფერი მოეწიოს!..

— რა უნდა მოეწიოს!.. სულ ოთხი კაცი უნახავს კარბეს, ოთხი კაცი რაა?

— ომი ძალე გათავდებოა, ნეტავ თუ მართალია?

— რა ვიცი საზღვრამდე ბევრი აღარაა დარჩენილი, მარა... პარტიზანები უერთდებიან უკვე ჩვენს ჯარებს. უშანგი ჩხაიძის წერილი მოსულა, პარტიზანად ვიყავიო. მეორე ფრონტი რომ გაიხსნებოდეს, ცოტა შეღავათი იქნება მაინც.

— უშანგის მეტი არავინ გამოჩენილა?

— არა, მეტი არ გამოგონია, კაცმა რომ თქვას, ოშია, რომ არავინ მოკვდეს, მაშინ ომიც არ იქნება.

ტყვია-წამალი ამოვიღე. ტყვია ხელის გულზე გამოვარჩიე და წამალი ლულაში ჩავყარე.

— რაიმე ქალაღი გექნება, წამალზე მინდა დავატერო.

ფატი წამოდგა და რაღაც გაზეთის ნაგლეჯი მომიტანა. მოვხიე, ხელში დავამრგვალე და ზუმბით ლულაში ჩავტენე, მერე ხელის გულზე საფანტი დავიყარე, ცეცხლთან მივიტანე და კარგად დავაჩერდი, ხომ საყოფადაამეთქი, და ისიც ლულაში ჩავუშვი.

გატენილ თოფს საპირისწამლეზე ფისტონი ჩამოვადე და ზურგს უკან გადავდე. ცეცხლს შეშა დავამატე. როცა უსაქმოდ დავრჩი, ფატის თვალებს წავაწყდი. სიჩუმე ჩამოვარდა.

სახლის ახლოს ხეზე მამალმა დაიყვილა.

ფატი შეკრთა.

ყვილს ყვილით უპასუხა სერაფიონის მამალმა, მერე გოჩასას გააბა ხრინწიანი ხმით, უფრო შორიდან ჩემი გაეპასუხა.

— მამლები ყვიან. — ვთქვი მე.

— ჰო...

— ალბათ, ნაშუაღამევია უკვე.

— ჰო, გვიანაა! დაწვები?..

— არა, ამიტომ კი არ მითქვამს.

— დაწევი, თუ გინდას.

— არა, ერთ ღამეს მოვინდებოდა არ დავიძინებ.

— ტახტზე დავიგებ...

— არა, შენ დაწევი, მე აგერ ცეცხლის პირას, ჯორკობზე მივწევი. მერე, გვიან...

— რატომ...

— არ შემცივდება, ნახევარჯერ ურემზე მძინავს, მიჩვეული ვარ!

— შენ არც გეშინია, — თქვა ფატიმ და, ალბათ, ის ღამე გაახსენდა.

— რისი უნდა შეშინოდეს? რაა საშინო? მე, მგონია, არავისაც არ უნდა ეშინოდეს, ამირანს ეშინოდა? — ვკითხე და ჩემი შეკითხვა თვითონვე გამიკვირდა.

— ვის? — შეკრთა ფატი.

— ამირანს.

— არ ვიცი, — თავი გაიქნია მან.

— ჰო, ისე გკითხე, — და უხერხულობის გასათანტავად სიტყვა გადავიტანე, — მე, მაგალითად, ტყეში მთელი ღამე მიძებნია ხარები და არ შემშინებია, წისქვილიდანაც რამდენჯერ სულ მარტოს მივლია უმთვარო ღამეში.

— კაცებს არ ეშინიათ!

— რატომ, გოგონა გოგოა, მაგრამ არ ეშინია.

— გოგონა?..

— თუ გინდა მთელ სოფელს დაივლის ღამით.

— გოგონა კარგი გოგოა. — თქვა ფატიმ და თვალბზნი შემომხედა.

ყურის ბიბილოები აძეწვა.

ისევე ააფართქალა მამალმა ფრთები, გრძლად დაიყვილა. ყვილი ჯერ არ დაემთავრებინა, რომ სერაფიონის მამალმა გადააბა, გოჩას მამალს ჩემმა დაასწრო, შორიდან სხვები გაეპასუხნენ.

— მეორედ იყვილეს, — ვთქვი და ფატის მივუბრუნდი, — დაწევი, დაისვენე.. არ გეძინება?

— არა, შენ დავიგებ...

— კარგი, დამიგე, მაგრამ არაფერი არ მინდა, ჩემს საწვიმარს წავიხურავ.

— რატომ. მამას საბანი დაიხურე.

— სულერთია, დილამდე დიდი დრო აღარაა, ერთ წაძინებასაც ვერ მოვასწრებ.

ფატი წამოდგა. ტახტზე აგორავებული ლეიბი და საბანი გაშალა, მერე ძელურის უკან შემოჰედო ფიცრულ ოთახში გავიდა და ხეწარი და მუთაქა გამოიტანა.

— იყოს, ფატი, სულერთია.

ცეცხლს ნამწვავი მუგუზლები შეეუყეთე. როცა ისევ ავარდა ალი, წამოვდექი, საწოლისაკენ გავსწიე.

— შენც დაწევი, ფატი!

— დავწევები, მერე დავწევები!

— რატომ, ახლავე დაწევი და მე კარებს დავხტრავ.

— არა, იქ ოთახში მეშინია, — იუარა მან.

— აბა... — მივიხედ-მოვიხედე, აქ გრძელი ტახტის გარდა არავითარი საწოლი არ იყო, — აბა აქ, ტახტის იმ თავში, შენ დაიგი!

ისევ ხედიხედ იყვილეს მამლებმა.

თავზე საბანი წაიხურე, გავილურსე. ფატი ფეხაკრფით გავიდა, ტახტის თავში საგები გაიშალა, ფრთხილად შეძვრა საწოლში, რომ ქრიალი არ გავლო ძველ ფიცრის ტახტს.

— დავიძინებ, — ვთქვი ჩემს გუნებაში და თვალები მაგრად დავხუჭე, — დავიძინებ, დილას ათასი საქმე მაქვს... ფატის არ ძინავს...

არ ძინავს და ნუ ძინავს... დილას გიგა მკედელთან უნდა ჩავიდე, იქნებ დრო იშოვოს, ათასი საქმე აქვს ამ გიგასაც, რა ქნას...

ფატის სუნთქვა გახშირებია, ვერ დაიძინებს?..

ჰო, იქნებ გოჩა... გოჩა კი არა, გიგამ სალტე შემომიჭიროს ურმის თვალს, გიგა რაღაცას მოახერხებს, დილით აღრე უნდა ჩავიდე!..

ფატის... იმ დამეს...

მალე გათენდება? მალე გათენდეს მაინც...

მესამედ იყვილეს მამლებმა, ახლა უფრო ხანგრძლივად, უფრო ომაზიანად.

ფატის მამლის ყვილისაც ეშინია? იყვილოს მამლამა, უკეთესი არაა, სიჩუმე მაინც არ იქნება.

ხვალ გიგას... გიგას კი არა, გოგონას...

ფატიმ იმ დამეს...

დაიძინოს, რას უცდის... ნას რომ ეძინოს, მეც დამეძინება.

ხვალ სკოლიდან დაბრუნებულ გოგონას დავხვდები. დაველოდები, დაველოდები თუნდაც საღამომდე...

ხვალ გოგონას ვნახავ...

იქნებ კატების ეშინია ფატის?.. რაა მაინც რომ არ ეშვება ის ჭრელი?.. ვისი უნდა იყოს? კლემენტის ხომ არ ჰყავს ისეთი კატა. ის რუხი ეზიკასია, ეზიკასი კი არა, ფატის, ეზიკას ჭირივით ძულს ძალლი და კატა... იქნებ ახლა მაინც მოეშვეს ჭრელი ხვადი.

გოგონას უყვარს კატები?.. აი ეს კი არ ვიცი, უყვარს თუ არა, გყვარება, გოგონა ისეთია, ეყვარება...

ფატის ეშინია კატის ჩხავილის, უსიამოვნო ხმა აქვს ხვად კატას.

ისევ გაირბინეს სხვენში, ისევ გაიფხარკალეს და აჩხავლდა რუხიც. გაჯიბრითეს, მაგრამ ამჯერად, ეტყობა, უკან მოუჭრა ხვადმა სვეტისაკენ და უკან შემობრუნებული სახლის კედელს შიგნიდან ჩამოჰყვა, თავი კერასთან ჯორკოს შეაფარა. გამოიჭრა ხვადიც სხვენიდან, პირდაპირ გადმოეშვა და სოხანეზე მოილო ბრაგვანი.

— მეშინია! — მოისმა ფატის ხმა.

აკანკალბულმა წამოგყავი თავი. ჭრელი კატა უახლოვდებოდა კერას. ნაკვერჩხლების მოწითალო სინათლეზე გავარჩიე ჯორკოს ქვეშ შეფარებული რუხი. ხვადი მოზომილად ადგამს ნაბიჯებს. თეთრ კუდს მთარახივით აქნევს. მიუახლოვდა. შეჩერდა, მიწას გაეკრა, დაიძაბა, გადამწყვეტი ნახტომისათვის მოემზადა.

— მეშინია... — წაიჩურჩულა ფატიმ, მასაც წამოეყო თავი ლოგინიდან.

ამ ჩურჩულზე წამოიწია ხვადი. ჯორკოს ქვეშ ძნელი იყო თავზე დაბტომოდა რუხს. ისევ ანგარიშობდა

ხვადი ნახტომს. რუხმა თავი იქეთა მხარეს გაჰყო, ხვადი ჯორჯოს გადა-
ველო და ზედ დაახტა. იჩხავლა
ხვადმა, აჰყვა მეორეც. ისევ წაიქცა
ჯორჯო, კერაში მიმოიფანტა ნაკვერ-
ჩხლები.

— გოგიტა! — იყვირა ფატიმ, —
გოგიტა, მეშინია!

ლოგინზე წამოვჯექი.

ისევ დაუძვრა კლანჭებიდან რუხი
ხვადს და სხვესს მიაშურა.

— მეშინია, გადმოწექი, გოგიტა!

— რა იყო, ფატი, — ვკითხე მე და
ადგილიდან ვერ გაეინძერა.

სხვესზე ერთხელ კიდევ აჩხავლდა
ხვადი.

— მეშინია! — ფატი ადგილიდან
წამოვარდა და მე მომაშურა, — მიიწი,
გოგიტა! მეშინია, — ჩურჩულებდა,
ტიროდა, სლუჯუნებდა ფატი.

— მეშინია, გოგიტა, სამი წელიწადია,
მეშინია, იმ ფიცრულ ოთახში ვწევარ
მარტო და მეშინია, მთელი ღამეები არ
ძძინავს, მეშინია, ვერავის ვერ ვუხხელ,
ვერავის ვერ ვეუბნები, ეზიკა დედაჩემს
ეზოში არ უშვებს, არავინ არ იცის,
მარტო შენ ერთმა, შენ იცი, რომ
მშიშარა ვარ...

გარეთ მამლებმა გააბეს ისევ.

ფატი ახლა მამლების ხმამ
დააფრთხო, ზედ მეკვრის, ცხელი
ტუჩები ყურთან მოაქვს და გაუთა-
ვებლად ჩურჩულებს:

— მეშინია... მეშინია... მეშინია...

თავი მოკაპოვებოდა

მე და ბუხუია

აღიონი კიდევ შორს იყო, როცა
იღლიაში საწვიმარამოდებული, მუხ-
ლების კანკალით გავრბოდი ორღობეში.
თვალეში მიბნელებოდა, თავი მი-
ბეჯუოდა და გავრბოდი, გავრბოდი
უკანმოუხედავად.

— გოგონა! — დავიძახე უცებ და
შევეჩერდი. ჩემს ხმაზე შევკრთი,
ცახცახმა ამიტანა და უკან დავიხიე.

მართლა არ დავენახე გოგონას, მართლა
არ მომჩვენებოდა სადმე გოგონა... ახლა
როგორ შემეხედა მისთვის... სინამდვილე
კიშკართან, ამ ალაგესთან მე და
გოგონა...

უკან გადავდგი ნაბიჯი. ერთი, ორი...

უეცრად მომჩვენა, რომ გოგონამ
ყველაფერი იცის, იცის, დამინახა,
დამინახა, როგორ წაველე თოფი,
დამინახა როგორ ვიჯექი ფატისთან
ცეცხლის პირას, როგორ ყიოდნენ
მამლები, ჩხაოდნენ კატები და შეშინე-
ბული ფატი შემოვარდა ჩემთან
ლოგინში, როგორ მეკვროდა განთი-
ადამდის და, მეგონა, ძვლებს მამტვრე-
და, როგორ მწვავდა ცხელი ტუჩებით.

— იცის, გოგონამ იცის! — აღმო-
მხდა და უკან მივტრიალდი, — იცის,
გაიგო, მიშველეთ! — უკან გავიქციე,
გავიბრინე გზა, დავეშვი უგზოუკვლოდ,
შევევარდი ტყეში, თავზე საწვიმარი
წავიხურე, დავემხე ეკალმაყვლის
ბურღებს და ავტირდი.

— გოგონა... ჩემო გოგონა...

იმ დღიდან სრულიად მარტო დავრჩი,
იმ დღიდან გავურბოდი გოგონას, იმ
დღიდან არასოდეს დამიძახია გოგონას
კიშკართან, არასოდეს გამივილია იმ
გზაზე, სადაც გოგონას უნდა გაველო.
მე არ შემეძლო გოგონას დანახვა.
გავურბოდი გოგონას, ეზიკას შეხვედ-
რას ხომ, მიწა გამხეთქოდა მერჩია,
ფატის სახელის ხსენებისაც მეშინოდა.

იმ დღიდან გული მტკიოდა, მტკიოდა
და ვერავის ვეუბნებოდი, მეშინოდა და
ვერავის ვეუბნებოდი.

ძნელია, როცა გშია და არავინ
გაჰმევეს, გცივა — არავინ გათბობს, უი-
მედო ხარ და ნუგეშისმცემელი
არავინაა.

უფრო ძნელია, როცა იცი, რომ იქვე,
იქვე, შენთან ძალიან ახლოს არის
ადამიანი, რომელსაც ასე ესმოდა შენი,
ასე ერთგული იყო და ალაგესთან ცი-
ქვაზე ჩამომჯდარი დილაღე უგდებდა
ყურს შენი ბედის ჩივილს. რომელსაც
ასე მაგრად ეჭირა ხელში შენი ხელი...

ეჰ, ძნელია... ძალიან ძნელია...

ამის შემდეგ თითქმის აღარაფერი აღარ მახსოვს. არც ის, იმ ღამეს მართლა ამოხოცეს ჯაშუშები თუ ავა-ზაკები. არ მახსოვს, არც ის ვიცი, რას ეაკეთებდი ამის შემდეგ. მაგონდება მხოლოდ, ჩუმად მივერეკებოდი ხარებს, რომ არავის დავენახე. ვმუშაობდი იქ, სადაც ახლოს არავინ იყო. ვბრუნდებოდი გვიან, ეუვლიდი შორიდან. სხვა ვხვით, სხვა კართით. ხარების დარდიც აღარ მქონდა. არასოდეს მოვფერებდივარ თათისა და არ დამირიგებია ზაზა. დედას სულ აღარ ვცემდი ხმას, ბებიას მამანემის უმისამართო წერილს ზაზა უკითხავდა.

დავდიოდი სადღაც, უგზო-უკვლოდ, დამფრთხალი, შეშინებული, რომ არავის გადავყროდი, რომ თვალეშში არავის ჩაეხედა.

სულ ბოლოს, მთელი კვირა აღამიანს რომ არ დაველაპარაკებოდი, ღამით ფეხაკრეფით გავივლიდი შუკებს და ორღობეებს, ტუხუიას ეზოში ჩავიპარებოდი, ქურდულად გამოვყვებოდი მესრებს, ბოსტნის ღობეს მოფარებული ჯარგვალის ქილუქთან ჩავიმალუბოდი და ხმადაბლა დავიძახებდი:

— ტუხუ!

ტუხუია ჩაძინებული იქნებოდა. ერთხანს გაეჩუმდებოდი, მერე ისევ ხმადაბლა დავუძახებდი. დედამისის გაღვიძებას ვერიდებოდი, მაგრამ მინც ის გაიგებდა უწინ, მერე ტუხუია წამოდგებოდა, გადაიცვამდა შეფოთლილ ნაძველას და, გარეთ ფეხაკრეფით გამოძვრებოდა, რომ მძინარე მშვიერი დაძმები არ გაეღვიძებინა.

— გოგითა ხარ? — მკითხავდა და ბნელში მიიხედ-მოიხედავდა ნამძინარევი თვალეებით.

— გოგითა ვარ, ტუხუ, გოგითა!

ხმაზე ჩემსკენ მოაშურებდა. ჩაც-ცუცქდებოდა იქვე ქილუქთან, მე უბიდან ჩემს წილ ვახშმის მკვადს ამოვაძვრენდი და მიცემდი.

— ბავშვებს აჭამე, ტუხუ!

— შენ? — მკითხავდა იგი.

— მე ვჭამე, მარა ჩვენ რა, ჩვენ რა

ხანია ბავშვები აღარა ვართ. პატარები ცოდვია.

— აბა, ახლავე მოვალ, — წავიდოდა კარებამდე, იქ შეჩერდებოდა, დაფიქრდებოდა და მობრუნდებოდა — ახლა მაინც ძინავთ და დილისათვის შეეუენახავ, — იტყოდა, მკვადს უბეში ჩაიდებდა, ჩაცუცქდებოდა ისიც და დიდხანს, დიდხანს უხმოდ ვიყავით გატრუნული, მერე რული რომ მოვრეოდა. თავს წამოწევდა და, რომ რაიმე ეთქვა, ჩაიჩურჩულებდა:

— მამაშენის არაფერი ისმის, აპ!

— არაფერი! — ვიტყოდი და მეც ვკითხავდი.

— არც მამაშენის?

— აბა, არაფერი!

მერე ისევ გაეჩუმდებოდა, ტუხუიას ისევ მოერეოდა რული, უშველბელ თავს მიწამდე დაიქნევდა, უცებ მოვავონდებოდი და ძილის დასაფრთხობად იტყოდა:

— აწი მალე გათავდება ომი!

— გათავდება? — ვკითხავდი მე.

— გათავდება. რა ხანია საზღვარს გადავდივით.

— საზღვარს კი...

— ისედაც დიდხანს გაგრძელდა, თავშესაფარზე დაწყობილი ფიცარი მინც აღარ გამოდგება.

— დალბა?

— დალბა. დალბა, მარა ეს ომი გათავდეს ბარემ.

— გათავდეს!

ისევ ჩავჩუმდებოდა.

ბოლოს, ძალიან გვიან შევატყობდი, რომ წასვლის დრო იყო, იმის შიშით, რომ ველარავის ველარ გავეშხელდი ჩემს ვასაქირს და ზოგ რამეს მინც ვიტყოდი ტუხუიას.

— ერთი რამ უნდა გითხრა, ტუხუ!

— თქვი...

— რა და...

— თქვი, გოგითა, თქვი. — მეტყოდა იგი. წამოიწეოდა და გულისყურით მომისმენდა.

— რა ტუხუ და, ხომ იცი, რა კარგი გოგოა გოგონა.

— ვიცი, კარგი გოგოა.

მერე აღარ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა, და ვჩუმდებოდი.

— ჰო, გოგონა კარგი გოგოა! — იმეორებდა იგი, — კარგი გოგოა, მაგრამ რატომ გემდურის, თუ შენ ემდური?

— მე ვემდური... არა, ის მემდურის...

— რატომ, რა გავუფუჭე?

— გაგუფუჭე, ტუხუ გაგუფუჭე!

— რა უნდა გაგუფუჭებინა ახლა შენ ისეთი!

— ჩემი ბრალია, ტუხუ...

— არ ვიცი, ალბათ ასეა, მარა შენ კი არა, მგონია მეც მემდურის და არც არავის არ ემადლიერება, არც ძმას, მგონი. სულ ატირებულია.

— ჰო, ალბათ, შენც გემდურის, იქნებ თავის ძმასაც...

— მერე მე რა დავუშავე?

— არაფერი, არაფერი, მე, ტუხუ, მე დავუშავე!

— ძალიან დავიშავებია! — ამბობს ისიც და არ შეკითხება რა, ალბათ — იცის, ვერ ვეტყვი. მერე ამოდენა თავს სინანულით აქნევს და გულისტკივილით ამბობს, — კარგი გოგოა და არ უნდა დავიშავებია...

— არ უნდა დამეშავებია, — ვამბობ და ცრემლები ყელში მებჯინება, — ჩემი ბრალი არაა, ტუხუ!

— შენი ბრალი არაა?

— არა, არაა ჩემი ბრალი!

— აბა?

— ხომ გეტუბნები, — მე ცრემლები მერევა, — დამიჯერე, შენ მაინც დამიჯერე, არაა ჩემი ბრალი...

— თუ შენი ბრალი არაა...

— ხომ გეტუბნები, არაა ჩემი ბრალი...

— აბა, ვისია?..

— ჰო, აბა, ვისი ბრალია?

— არ ვიცი...

— თუ არ იცი...

— არ ვიცი, მე არ ვიცი, ვისი ბრალია, იქნებ — გოგონას, იქნებ — გონას, იქნებ — ეზიკას ან ფატის, ვისი ბრალია არ ვიცი... შენ... შენ რომ

თოლიას თავი გაუჩხე, შენი ბრალი იყო?

— რა ვიცი, — ამბობს ტუხუა და იმასაც გული უჩვილდება.

— ჰო, არ იცი, შენი ბრალი არ იყო, იქნებ — თოლიას ბრალი იყო, იქნებ — ჩემი ბრალი იყო, რომ ურემი ასე ახლოს მივაყენე ძელქვის ძირას, იქნებ — სხვისი ბრალი იყო, შენი ბრალი კი არ იყო.

— არ იყო! — ამბობს ტუხუა.

— ჰოდა, არც ჩემი ბრალია, ხომ არ იცი, ვისი ბრალია?

— არ ვიცი...

— ჰოდა, არც მე ვიცი...

— არ გეცოდინება...

ლამე მიდის. საღდაც მამლებმა იყიფლეს. შეეკრთი, შემეშინდა.

— რა მოგვიფიდა! — მკითხავს ტუხუა — რა მოგეჩვენა?

— ჰო, არაფერი, რაღაც შემეშინდა...

— შენ ლამე რომ არ გეშინოდა!

— არ მეშინოდა, მარა ახლა მეშინია, ახლა ყველაფრის მეშინია...

— აბა, სახლში მართო როგორ წახვალ?

— წავალ, ტუხუ, მაინც წავალ, მერე რა, რომ მეშინია, მაინც წავალ...

წამოვდგები. დიდხნით ჩაცუტულს ფეხი დამბუყებია და ხესავით ავითრევი.

— წახვალ აწი?

— წავალ...

— წადი, აბა, და ხვალაც მოდი, თუ გინდა... მე დიდხანს არ დავიძინებ.

— შეიძლება მოვიდე.

— აბა, ზეგ მაინც მოდი!

— შეიძლება მოვიდე.

— ნახვამდის!

— ჰო, მართლა, ნახვამდის!..

— მოიცა, ცოტაზე გაგაცილებ!

— არა, რად მინდა, იყავი, ტუხუ, დაიძინე!

— აქვთ სად მისვალ?!

— ასე გადავალ! — ვეტუბნები და ბოსტნის ღობისაკენ მივდივარ.

ტუხუა ერთხანს მიცქერის, ალბათ, გაოცებული, მერე ფრთხილად აღეზს.

ჯარგელის კარებს, რომ მშვიერი, მძინარე და-ძმები არ გააღვიძოს, შედის სახლში და აღარაფერი აღარ ისმის. ალბათ, დაწვა. დიდხანს არ დააძინებს სასთუმალში ამოდებული მჭადის ნატები, მაგრამ ბოლოს მაინც დაიძინებს.

მე წელში მოხრილი მიეყვები ჯერ ლობეს, მერე მესრებს, სადმე კატა დაიკნალებს, ან მამალი დაიყვილებს და შეეკრთები. შეეჩერდები, დიდხანს ვდგავარ გონდაფანტული, ვიხედები უკან და ვამბობ:

— ნეტავი შენ, ტუხუია, ნეტავი შენ!

თავი ოცდაათორმეტი

უჩიკა

დრო მძიმედ მიდის, მაინც მიდის. გავიდა მეოთხე ზაფხული, მეოთხედ ჩამოცივდა ფოთლები ხეებს, მეოთხედ ჩამოდგა შემოდგომა, მერე შემოდგომაც მიიწურა, გაიბერა ცა ბოლმისავეთ და დაიწყო ცივი, გრძელი წვიმები.

ჩვენი არმია წინ მიიწევდა. მიიწევდა და სადღაც გულის სიღრმეში მიხაროდა. მიხაროდა, რომ ჩვენს დამლუბველსაც დღე-დღეზე აუხდებოდა თვედორეს შერისხვა და ჩამოქცეოდა თავზე ოჯახი. მიხაროდა, რომ გოგონას იქნებ დაბრუნებოდა მამა. მე კი ვერ მივიდოდი, ვერ მივეულოცავდი, მაგრამ ჩემთვის, ჩემთვის მაინც ვადღეგრძელებდი. ვერ შევასრულე მისი და მამაჩემის დანაბარები: აბა, თქვენ იცითო, რომ გვითხრა მე და გოჩას. იქვე იყო მამინ გოგონაც. ვერ გავამართლე. რა ვქნა ვერ გავამართლე. იცოდეს ღმერთმა და კაცმა, გულით ვეცადე. ვეცადე, მაგრამ ვერ გავამართლე. გოგონამ და გოჩამ ზომ ვამართლეს! კარგია, რომ ჩამოვიდოდეს მამამისი.

გულით გამიხარდება, ტუხუიას მამაც რომ ჩამოვიდოდეს! საწყალი კაპიტო, სახლის ფიცარი ზოგი თავშესაფრის

ორმოზე დაულბა, ზოგი კლემენტიამ გაზიდა მისხალ-მისხალ მირწულესი-მინდში.

გონიერებისა

ჰო, ამას წინათ ტუხუია მეუბნებოდა: კლემენტი შეხვედრია, შეხვედრია თუ ბუდუს პირით დაუბარებია, არც მახსოვს, უნახავს კი. თავი გადაუქნევია ცეტერაძეს, გულზე მჯილი დაურტყამს:

— დედასაო, — უთქვამს, — მალე ომი გათავდება და ვინმემ იქნება თქვას კლემენტი ცეტერაძე ცული კაციო.

ტუხუს თავი გადაუქნევია, თქმით კი არაფერი უთქვამს.

— იტყვისო, — გაუმეორებია კლემენტის და ისევ დაურტყამს გულზე მჯილი.

ტუხუიას ისევ უხმოდ გადაუქნევია თავი.

იტყვიან, შენც იტყვი, მარა არც მას ვარგა, ბიძიო, — მერე წამომდგარა, აუთრევია თეძოში ამოვარდნილი ფეხი, ტუხუიასთვის მხარზე ხელი მოუხვევია, ბუდუსთვის დაუძახია, ორივეს შორის ჩამდგარს სახლის უკან შემოუვლია, უკანა კბით აფარცუხებულა მალლა და ტუხუია აივანზე დაწყობილ ფიცრებზე დაუყენებია.

— ნუ იტყვი, ბიძია, შენ მაინც ნუ იტყვი, მე რა, ჩემთვის კი არ წამომიღია ეს შენი სახლის ფიცარი, ომი გექონდა, ბიძი, მტერს ვებრძოდით, ვინ იცოდა, რომელი ოხერი წაიღებდა და დაგეკარგებოდა, აგერაა, თუ გინდა, დღესვე წაიღე!

— მერე სიმიინდი. სიმიინდი საიდან გადავიხადოთ? — უყვირია ტუხუიას სიხარულით თუ სასოწარკვეთით.

— სიმიინდი, სიმიინდი... მამაშენი თუ ჩამოვა, თუ არა და კი გავსწორდებით.

ვიშვართან მარტო რომ დარჩენილან, კლემენტის ნაშვილებს ვუკითხვივარ, არსად ჩანს, სად გადაიკარგაო? მერე ისიც უკითხავს — თუ იცი, რას მერჩოდა, რომ მირტყამდაო?

ტუხუიას, არ ვიციო, უთქვამს.

— ჰოდა, აბა, რას მერჩოდაო, — ჩაკიბია, მაგრამ ისიც დაუმატებია, —

მე არ ვემდური, ოღონდ მითხრას, რატომ გამლახაო.

ჩემთვის სულერთია, მაგრამ ძალიან გულითაც რომ მიწოდდეს, მაინც ვერ ვეტყვი, მე ხომ აქამდე არ ვიცი, რატომ გავლახე. მაინც კარგი უქნია, რომ უთქვამს, ცუდი გულის არ იყო, ან კი რას ვემართლებოდი.

გამიხარდება, გივას მამაც რომ ჩამოვიდოდეს, მაღალი მკედელი. კარგი ბიჭია გივა. ბევრჯერ დამიქვდა ხარები, ბევრჯერ შემიკეთა ურემი და კულტივატორი. ნეტავ ყველა ჩამოვიდოდეს. ნეტავ მამაჩემიც, ზახას და თათიას მიხედავს.

მაგრამ ამირანი...

გარეთ წვიმს, უბერავს და ქუპრუტანებში წვიის:

— ამირანი... ამირანი...

მალე ზამთარი ჩამოდგება, ჩამოთოვს დღე-დღეზე. ქარი შიშველ ხეებში ზუზუნებს, ცივა, უღმერთოდ ცივა, უსაშველოდ, კი, მალე ჩამოთოვს. მე ვცახცახებ, მაგრამ ეს მარტო სიცივის ბრალი არაა, რაღაც სხვა სიცივე მაქვს კიდევ ტანში შემდგარი, რაღაც კიდევ ცუდი წინათგარძნობა მტანჯავს.

გარეთ ისევ წვიმს და უბერავს... მთელ ტანში მამტვრევს, და მიკვირს, რა უნდა მომივიდეს ამაზე უარესი! მამის დაღუპვის ამბავი? ვეკითხები ჩემს თავს. ჰო, ეს კიდევ ძნელი იქნება, მაგრამ რაა აქ მოულოდნელი? ამ უთავბოლო მწარე ფიქრებში რომ ვარ, იგრიბლა. გასროლას ბლავილი და ქალის შეკივლება მოჰყვა.

იგრიბლა და მე ადგილიდან წამოვკვარდი, თითქოს გულში მომხვდა ეს გასროლა. გარეთ გონდაკარგული გამოვრბივარ.

— რა მოხდა, რა ამბავია?

სახლში ყველა წამოცვივდა და კარებს მიაშველა.

— საიდან იყო?!

— ვინ ისროლა?

ისმოდა ყოველი მხრიდან, გზიდან, მეზობლებიდან.

— ეეეუუ! — ისმოდა ეზიკას მხრი-

დან, მაგრამ ეს არც ეზიკას ბლავილს ჰგავდა. არც მგლის გამოფატრულს: ხარის ზმუილს, ეს რაღაც უცხო, სასოცარო ნადირი ბლავდა: — ეეეუუუ!

— ეზიკაა!

— ამირანი თუ მოუტყუეს!

— ვაი, შე უბედურო!

— ვაი, ეზიკა, თვალბლავსებულო!

ახლა კვილი მოიტანა ქარმა, მაგრამ ეს იმ პირველ შეკივლებას არ ჰგავდა. მოკივარს კიდევ მიემატა.

ორლობეები ხალხით აივსო, მოკიოდნენ თმაგაწეწილი დედები და მამები, ქალები და ბავშვები, მოკიოდნენ ზემოუბნიდან, სოფლის თავიდან და ბოლოდან, ყველა ეზოდან და ყველა სახლიდან. მუჰუჰ ჩამოეღო თეთრი თმა ეკას და ფეხშიშველი გამორბოდა ამ წყალტალახში. შალიკოს დედა მუხლებზე დაეცემულიყო და ლაფში მოსვრილ შავ კაბას მოაფრიალებდა. სოსიკას დედას ორივე ლოყის კანი გაეგლოჯა, ღვარად ჩამოდიოდა სისხლი, მამაკაცების ზმუილი და თავში ცემა, ქალების და ქალიშვილების წივილი, ბავშვების ზღუქუნეი და ტირილი...

მე, ისედაც თავზარდაცემულს, მთლიანად წამერთო გონი, წინ ნაბიჯი ვერ წავდგი, ორლობეში მესერს მივაწევი და ხალხს შეშლილივით დაეუწყე ცეპრა.

გამოჩნდა თომა. ცუხცუხით გამირბინა, წელშიმოხრილმა, თავში ხელს იცემა და და გაიძახოდა:

— არაფერი არ ვიცი, ღმერთმანი, არაფერი არ ვიცი! ღობეზე მიყუდებულს ზედ წამომადგა, დამაცქერდა შეშინებულნი: — ჩემი ბიძგი, არაფერი არ ვიცი, რა ამბავია, მე არაფერი არ ვიცი!..

უაზროდ გავიქნეი თავი.

ისევ ბლავდა უცხო ნადირი ამაზრზენი ხმით ეზიკას ეზოში...

— ვაი, აბა ვის ვკითხო, — კიდევ უფრო მოიკუნტა თომა და გაიქცა. შემობრუნდა, — მე არაფერი არ ვიციო, — მომაძახა და წაცუხცუხდა.

— არ ვიციო? — ვთქვი ჩემთვის, —

თომამ არ ვიცით? — მე თვალები და-
მიბნეულა და ჩავეკეცე.

თვალი რომ გავახილე, თავზე დიდი
და პატარა ექვსი ტუხუია მადგა ბაბა-
იას ძახილით, მექაჩებოდნენ, ზეზე მე-
წვოდნენ.

— რა ამბავია? — ვიკითხე მე.

— ეეუუუ! — ბლაოდა ვილაც ეზიკას
ეზოდან.

— ფატი!

— ფატი, შე ხანდამწვარო!

— ფატი, ფატი!

— ფატიოო! — იკითხა ექვსმა ტუხუ-
იამ.

— ფატი!

— ეეუუუ!

— ფატიო! — ვიბდავლე მეც და გა-
ვიქეცი, ჩაფურბინე გოგონას ეზოს, ჩა-
ვუქროლე სერაფიონის კიშკარს, მივა-
წყდი ხალხით გატენილ ეზიკას სახლს.
მივიხედ-მოვიხედე, წინა აივანში ირეო-
და ხალხი და ბლაოდა ეზიკა. წივილი-
ვილში ვერაფერი გავარჩიე, მივაწყდი
ისევ უკან, გავარდეთ ზღვა ხალხი და
შევეარდი. ათიოდ კაცი ეხვია გაცოფე-
ბულ ეზიკას და ვერ ამავრებდა. ახლა
სახლის უკანა მხარეს ვეცი, საიდანაც
უფრო საშინელი აურზაური და წივილ-
კვიელი ისმოდა. მივალწიე უკან აივანში
შემოქედილი ფიცრული ოთახის კარებ-
თან და...

ოთახის შიგნით, კუთხეში მიდგმული
საწოლის ფეხებთან სისხლში ცურავდა
ფატი. ქვეშაგებიდან უსუსური ბავშვის
ჩხავილი ისმოდა. იქვე, შესასვლელთან
ეგდო გოჩას ფილთა, რომელიც იმ და-
მეს საგულდაგულოდ გავტენე და მას
აქეთ არც მე მომიბეზნია, არც გოჩას
და აქამდე, ალბათ, არც ეზიკას მოგო-
ნებია...

მ ა მ ბ ი

დამთავრდა ყველაფერი. ყველაფერი
დამთავრდა.

გათავდა ომი, რომელიც ოთხი წლის
წინ თამაშით დავიწყე. დავიწყე თამა-
შით და წარბშეკრულმა დავამთავრე.

ვნახე ყველაფერი: ვნახე ზღვა ცრემლი
და მწუხარება, მოვასწარი დიდი მთევა-
რული და ლალატი, გავხდნენ მამაკაცები

სიკეთეს დრო უნდა! მე დრო არ მეყო
და უნებურად ბოროტებაც ჩავიდინე.

მე ხომ წმიდა სიყვარულს ვუღალატე!
მე ხომ მამა ვარ მთელ სოფელში ოთხი
წლის მანძილზე დაბადებული ერთად-
ერთი ბავშვისა, რომელიც ახლა ბავშვთა-
სახლში იზრდება!

ჯერ ჩვიდმეტი წელი არ შემსრულე-
ბია! მომავალი წინ არის, დიდი იმედით
და ნათელით გაბრწყინებული მომავალი.

და მაინც ვიტყვი, მაინც ვამბობ —
არა, ჩემი ბრალი არ არის!

არ არის ჩემი ბრალი!

ცხრა მაისს სახლში რომ ვეღარ და-
ვეტრე, ორღობებებს ჩავყვი.

— ცხრა მაისია! — ვთქვი გოგონას
კიშკართან.

— ეჰ, ჩემო, გოგონა...

ფატის ეზოსთან ყურებმა მიწივლა,
თავბრუ დამეხვა, ბავშვების ღრინაცელ-
მა გამომათხიზლა: მინდორში ოთხიოდე
ბიჭს მოეყარა თავი. ერთი მათგანი ტუ-
ხუიას ქმა კიკია იყო, ერთიც ჩემი ზაზა.

— ზაზუე დადექი!

— უკან დაიწი!

— დოყლაპია!

— ესროლე, ჰა, რას დაგიბჩენია პირი!
დედოსაფვის ამოღრუნტულ მიწაში
მუქი ჩაეტეოდა. ფეხით გაეთელათ მწვა-
ნე ბალახი და ყვითელი ბაიები. ყიყინით-
მისდევდნენ ჰაერში გაფრენილ რიკს.

— ე, ბიჭო!

— მიუსწარი!

— დაეწი!

საიდანღაც შავებიანი ქალი გამოჩნდა.
აზრიალებულ ბავშვებში ჩადგა. ყველას
თვალეებში ჩახედდა და იკითხა.

— ჩემი ამბაკო არ გინახავთ?

— ამბაკო? — გაიკვირვეს ბავშვებმა.

— ჰო, ჩემი ამბაკო! მალე მოვალო-
და...

— მოვა, ბებია, მოვა! — აწრიალდ-
ნენ ბიჭები და ისევ რიკს გამოუღდნენ.

ბიოგრაფიული სახეობა

უკვდავი ლენინი

ოქროს სხივები გვეღვრება ციდან,
ფშვინავს ნაზამთრი ტურფა ტყე-ველი.
აპრილის კვირტის ფეთქვით მოვიდა
ბედნიერ დღეთა ფუქემღებელი.

მის სიმაღლემდე მზეც კი ვერ აღის,
შორს ტაიგაში სითბოს მიმტანი, —
ისე ბრწყინვალეებს ხალხთა ბელადი,
რევოლუციის ცეცხლი-ტიტანი.

მასში შეერთდა აზრი და ძალა
წინსვლის, შენების, ბრძოლის, მიზნისა...
ქარიშხლის ჭრთებზე დროშა გაშალა
მშვიდობისა და კომუნისმისა.

ჩვენს შორის მარად
ცოცხლობს და შრომობს,
ბრძოლის რაინდი-გულს ჩასახული,
მან მოუტანა ჩვენს დიდ სამშობლოს
შეება, სიმხნევე და გაზაფხული.

ოქტომბრის დროშა მალა ეკავა,
მტრები, ვით არწივს, გაუფანტია,
მონობის ხუნდის დასალეწავად
წინ მოუძღოდა ხალხს და პარტიას.

როგორც ჯაგშანი, ხალხს უდგას მხარში
ანდერძი — მისგან დანატოვები,
ომში, შრომაში, ურღვევ მშობაში
დროშად მიგვიძღვის აზრთა ტომები.

ჩვენი გულები მშით დაფერილი
არის უწყვეტი სიმღერა ერთა,
თავისუფლება, ბრძენი ლენინი —
ეს სამი სიტყვა ეღვარებს ერთად.

ლენინის დროშა საამოდ გეფარავს,
ბრძლეილებს სიერცე სხივმოფენილი.
როგორც მზე არის უკვდავი მარად,
ისე უკვდავად ბრწყინავს ლენინი.



რეზა მარხიანი

რაც განმეფანტნენ ომში სიზმრები

ჩუმს, საოცნებოს შეეცქერი თოვას,
ფიქრში, შორს, სადღაც გავიხიზნები,
ალბათ, ოდესმე ჩემამდე მოვა,
რაც განმეფანტნენ ომში სიზმრები.

ის თოვა გახსოვს? რაღაც განგებით
როგორ აგვცილდა ტყვია ტიალი,
გახსოვს ღრქიალი დაღლილ ტანკების,
ნაღმსატყორცნების ორომტრიალი.

ის თოვა გახსოვს? გულში შეჭრილი
ოხვრა და დარდი დაუფარავი,
თითქოს ეტიროდით მაშინ ქერჩივით
და ღრუბლად გვედო გულზე ვარამი.

გახსოვს, ყველასგან დავიწყებული
დაბნელებული ღამე — ყურუმი.
მიტოვებული, გაფითრებული,
პივიწყებული კამიშ-ბურუნი.

გახსოვს?... ო, მახსოვს... გზებზე თოვლია
და ოცნებაში გავიხიზნები,
ვეძებ და ვერსად ვერ მიპოვნია,
მიმოფანტული ჩემი სიზმრები.

ო, ომი, ომი, სულში შეჭრილი,
შავი ზღვის შავი სანაპიროთი,
მე გულმოკლული ვიყავ ქერჩივით
და საქართველოს ბედზე ეტიროდი.

გადავიწყება არ შეგვიძლია

როცა მინელდა ომის ხანძარი,
როცა ვიყარეთ ჯავრი მტრისანი,
ჩემი ერთგული და თანამგზავრი,
წარმოიდგინე, ველარ გიცანი!

და შენს სახეზე დაუგესლავი
გაქრა დარდი და გულისტკივილი,
მოკლე რომ იყო ზამთრის დღესავეით, —
უცბად გადაიღდა შენი ღიმილი.

გრიგალს, ქარს, სეტყვას გადარჩენილი
შენი თვალები ისევ ციმციმებს

და შენს წამწამებს უწინდელივით
აღარ აწუხებს ცრემლის სიმძიმე.

ისევ მაისის იგრძენ შემოსვლა,
ისევ შენთან ვარ მზეში დამწვარი,
მაგრამ იმ დღეთა სუსხი შემოგრჩა —
ორმოცდაორის შკაცრი ზამთარის.

სუსხი შემოგგრჩა ორივეს ერთად,
რა დაგვაფიწყებს იმ წელს ნისლიანს,
ტყვიით შერუჯულ გარდასულ დღეთა
გადავიწყება არ შეგვიძლია!

რ ი წ ა

რიწა. რიწა. რიწა.
დალის ლურჯი თვალი,
მწვანე დედამიწა,
მთების გალაგანი.

ოცნებათა ღმერთი —
უხსოვარი ხნისა,

ღალით სავეს მკერდი,
ვარსკვლავების ქისა.

რიწა, ლურჯი რიწა,
გამკვირვალე ფსკერი,
კალმახების ძიძა,
ჩქარზე-ჩქარი ჩქერი.



მსურს, ვარსკვლავად ვიქცე,
შენთან მალიცლიცა,
ამაჰროლე ცისკენ,
რიწა, ჩემო რიწა.

მძინავს, ვფხიზლობ, მღვიძავს
შენსკენ მოვიჩქარი,
რიწა, ჩემო რიწა.
ჩქარი, როგორც ქარი.

მოგიბარავ, შემშლი,
რიწა, დედას ვფიცავ,
ჩემი ხელის პეშვში
ჩაეტევი, რიწა.


სიბერეში, გვიან
რომ მომიტხოვს მიწა,

მიწას დააყრიან
ჩემი კუბოს ფიცარს.

ვარსკვლავები ზეცას
მოწყდებიან მაშინ,
აღმოგხდება კენესა,
ტალღის დაღალს გაშლი.

აღელდები, ვიცი,
შენც დაიწყებ გლოვას,
ვერ დაგაყრი სიცილს,
შენთან ველარ მოვალ.

ჩემო გულისძგერავ,
შენს სიწმინდეს ვფიცავ,
ჩემს საფლავზე მჯგერა,
წვიმად მოხვალ, რიწა!



აკაკი ბაღიაშვილი

შვიდკაცა*

• •

ჩემს სიცოცხლეში ზღვა პირველად უნდა მენახა და გული სიხარულით მიცემდა. საავადმყოფოში თვენახევარი წოლის შემდეგ, როდესაც ტკივილებმა თითქოს გამიარა და დაეყვილ-დაღურჯებული ადგილებიც მომიჩნა, ჩვენმა პროფკომმა, როგორც იქნა, დიდი ჯაჯღანის და პარმენის მიერ დაცაცხანების შემდეგ, მომცა ერთი თვის საგზური შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ სანატორიუმში და დიდის ზეიმით გამოსტუმრეს.

ახლა ისიც უნდა გავამხილო, რომ წარმოდგენა არ მქონდა, რა იყო ეს სანატორიუმი და რას წარმოადგენდა იგი. ისე კი მესმოდა ხოლმე, სანატორიუმში ვიშკურნალე, სანატორიუმში დავისვენეო, მაგრამ ნათლად წარმოდგენილი არ მქონდა, რას ნიშნავდა ეს დასვენება. ალბათ ერთი თვე წამოწოლილი ვიქნები მხარეთებზე მეტჯი, და ვინაიდან მე, ქართული ანდაზისა არ იყოს, ყოველთვის, ცუდად ჯდომას ცუდად შრომა მირჩენია, დავხვიე ხელი ჩემს სამეცადინო რეველუებს და ჩავუძახე ჩემოდანში. ჩემს სანატორიუმს ერქვა „მადაროელი“. მისი სურათი საგზურის ყდაზე იყო გამოსახული. ზედვე ეწერა საგზურის ფასი; საკმაოდ დიდი თანხა. ეს რომ დაეინახე, თავხარი დამეცა და გულშემოყრილმა დავიძახე: სად შაქვს ამდენი ფული, ამაში ვიხადო

მეთქი. ამაზე იმდენი იცინეს, კინაღამ შუაზე გაიხენ, მერე ამიხსნეს, ამაში ფული გადახდილია, ამიტომ იხეოდა ბუჯუნია სამხარაძე და შენზე ამბობდა, ორი დღე არ უმუშავნია მაღაროში და უფასო საგზური რავა მიცევო. ერთი სიტყვით, მომცეს ეს საგზური, თანაც დამარიგეს, სადგურზე რომ ჩამოხვიდე, არ დაიბნე, ბიჭო, გადი უკან ბაქანზე, იქ იდგომებიან საგანგებო ავტობუსები. ყოველ მათგანს აწერია თაქისი სანატორიუმის სახელი, ჩაჯდები შენსაში და მიგიყვანს პირდაპირ იქ, სადაც მიდიხარო. მიხვალ იქ, აჩვენებ ამ შენ საგზურს და მორჩა შენი საქმე, მოგცემენ ლოგინს საერთო პალატაში, მერე ჩავთხრიან პირში ათასნაირ რეზინებს, ამოგიღებენ კუჭის წვეს, ნაღველს, დაგაღვენიებენ ჭიის წამალს და, იცოცხლე, იქ სეირს ნახავო. მერე დაგინიშნავენ მასალებს, მოგდგებიან ეს მოქიდავესა ვით დედაკაცები და პასუხს ცომივით დაგზულენ დილიდან საღამომდო. მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, დღეში ოთხჯერ გაქმევენ სულ შემწვარს და მობრაკულებს, მარა ლეინოს არ დაგანახებენო. მერე, ბატონო, გოგოებს გაიცნობ იმდენს, რომ თელასაც ვერ შეიძლებო.

— სმა-ჰამაში ფული უნდა ვიხადო? — ვიკითხე მე.

არაფერში ფულს არ იხდი, ყველაფერი უფასოა გარდა კინოსი და ზოგიერთი წერილმანისა, მაგალითად, თუ ექსკურსიებზე წაგიყვანეს, შეიძლება მაშინ

* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 11 — 12 : 1960 წ. № 1 — 2 1961 წ.

დაჭირდეს ბილეთის ფული, დანარჩენში არაფერში ფულს არ იხდით.

მასწავლეს, ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც არ ვიცოდით, ან კი საიდან უნდა მცოდნოდა, მამაჩემს არ დაჭირებია ოდესმე სანატორიუმი და დედაჩემს, არავის ჩვენს სახლში ფრჩხილი არ წამოტყენია. და, რაც შეეხება აგარაკს, ჩვენი სოფელი თითონაა საუკეთესო აგარაკი და ქობულეთში ან ბორჯომში რაზე უნდა გვევლო. ახლაც სოფელში მერჩია წასვლა. განა დედაჩემზე უკეთ სანატორიუმში მომივლიდნენ?! მაგრამ ჯერ ერთი, ექიმებმა ასე მიჩიჩის და საგზურიც უფასოდ მომცეს, მერე, მე ვთქვი, ერთი ჩემი თვალით მაინც ვნახავ ამ ზღვას, რა არი მეთქი, ამ სანატორიუმსაც გაზეთებში რომ ნაირნაირად ხატებენ და წერენ, ასე ისვენებენ ჩვენში მშრომელებიო, — ამასაც ჩემს თავზე გამოვცდი მეთქი.

— ბიჭო, ზღვაზე რომ მიხვალ, ერთი დღი კენჭი უნდა გადაყლაპო, თურმე, თვარა დაგცდის, — მატყუებდა თავის ჭკუით სინუსა წამოსვლის წინ.

მერე დაავლო ჩემს ჩემოდანს ხელი და მთელი გზა, სადგურამდე, თითონ ათრია, ვაგონშიაც იმან შეიტანა და შედგა თახჩაზე.

— ამის რჯული ამოვარდა, მე რომ არც ვიმტვრევი და არც ვიმჩხვლევი! ერთი, ნეტა, მეც მღირსებოდა სანატორიუმი, — მითხრა მან.

სადგურამდე მთელმა ჩემმა ბრიგადამ გამაცილა. ლიაც იქ იყო, დოდოც და ანიკოც — თავისი ნაწევარათი. გოგონებმა საკუთარი ხელით გამომცხვარი ზაქაპურები მისაგზლეს, ერთის ჟივილ-ხივილითა და ცხვირსახოცების ფრიალით გამომთხოვენ.

— ლია, მათხოვე ეგ ცხვირსახოცი, შენ არ ტირი, მე მაინც მოვიწმენდ ცრემლებს, — უთხრა სინუსამ და ლიამ ჯილდოდ თავში ჩააფარა.

— ვაი, რამდენ ტიტველ ქალს ნახავ, თურმე, შე უღმერთო! — მომაძახა მან, როდესაც მატარებელი დაიძრა.

უცქეროდი მათ და ხელის ქნევით

ვეთხოვებოდი. ისე მეჩვენებოდა, თითქოს მე ვიდექი ადგილზე და ისინი მოცურავდნენ უკან სადგურის ბაქანთან ერთად. მიდიოდნენ, აი თვალს მიეფარნენ და ფიქრებმა მოულოდნელად უფრო შორს გამიტაცეს. ცისანასთან გავჩნდი და გულზე კვლავ ეკალივით მეცა ტკივილი. არც ერთხელ არ მინახულა, რაც საავადმყოფოში ვიყავი. მერე გავიგე, მშობლებს სოფელში წაყვანათ. საავადმყოფოდან რომ გამოვდი, ორიოდ დღით მეც წავედი სოფელში. არც იქ აღმოჩნდა, შინაურებმა მითხრეს, ამბროლაურში რომელიღაც ნათესავთან წასულაო. ზაფხულს იქ დარჩება და მერე რას აპირებენ, არ ვიცითო.

არც წერილი მომწერა, არც არაფერი შემომითვალა. ნუთუ ამბავიც არ იქითხა ჩემი? ვერც ლიას ვკითხე მის შესახებ რამე, უნდა გამოეტყუე, ლიაც ძალიან მომწონდა, მისი ჩემდამი მოპყრობა მხიბლავდა და მაჯადოებდა, და ამიტომ ცისანაზე მასთან კრინტს ვერ ვძრავდი. ვერც ამხანაგებს ვუმხელოდ რამეს, არ მინდოდა, გამემღვავებია ჩემი გულის საიდუმლოება. ისინიც არაფერს მეუბნებოდნენ. თითქოს წყალი დაეგუბებინათ პირში. ცისანაზე ერთი სიტყვა არ დაცდენია არცერთს. ვერძნობდი, რომ ჩემი საქმე ცუდად იყო, რაღაც მოხდა ისეთი, რისი გამხვლავ მათ არ უნდოდათ და ამიტომ იყვნენ დამუწკვებულები. მეც თავმოყვარეობა არ მაძლევდა ნებას, რაკი ისინი არაფერს მეუბნებოდნენ, მეკითხა რამე, ალბათ, ასეთ წამებას ვერ გავუძლებდი, რომ იღბლად ეს საგზური არ გამჩენოდა.

ახლის ნახვის სურვილმა კაემანი გამინელა. ჯერ, ჩემი სოფლის და ქიათურის გარდა არაფერი არ მენახა. მართალია, ბევრი რამ, წიგნებით, გაზეთებით და კინოთი მქონდა დანახული, მაგრამ რა შეედრება საკუთარი თვალით ნახულსა და განცდილს.

და აი, ახლა, როგორც კი ცისანა მომაგონდა, მართალია, გულმა კვლავ დამიწყო ტკივილი, მაგრამ ამ ტკივილს მიყუჩებდა ეს უჩვეულო სიხარულის

გრძნობა, ჩემთვის სრულიად უცნობი, ახალი სამყაროს ნახვისა.

მატარებელიც ხომ სულ გლოჯინ-გლოჯინით მიჰქროდა და ეს მისი სიჩქარე, რიტმული რაბრახი ისე მახალისებდა და მალეღებდა, როგორც მოცეკვავს მონადიმეთა ტაში-ტუში. როდესაც ყვირილის ხეობის ვიწროებიდან რიონის თვალუწვდენ დაბლობებზე გავიქვრით, თითქოს სულ სხვა ქვეყანაში მოვხვედრილიყავ. თვალწინ ჩამიელვებს ჩემთვის აქამდე უცნობმა სადგურებმა, რიონმა, სამტრედიამ, ჯუმათმა, ნიგოთმა, ნატანებმა. ყოველ მათგანს ისეთი ხარბი ცნობისმოყვარეობით ვათვალისწინებდი, თითქოს მთლად უცხოეთში ვყოფილიყავ. ქობულეთმა ხომ სულ ვადამრია. თავისი გუნდისხეებით, პალმებით, ყვავილებით და გულმკერდმოშვლებილი მოაგარაკე გოგონებით. ამდენი ლამაზი გოგო თუ იყო ქვეყანაზე, ვერ წარმომედგინა, სულ ერთმანეთზე უკეთესი! ისმოდა მათი მზიარული სიცილ-კისკისი, გამაზილ-გამომაზილი. უმეტესობას ხელში ეჭირა ლამაზად ჭებატული ჩინური ბრტყელი ქოლგა, ზოგს ცისფერი, ზოგს ყვითელი, ზოგს ალისფერი. კაბებიც ასევე ნაირნაირი ეცვათ და მთელი ბაქანი ფერად ყვავილნარს წააგავდა.

სასწრაფოდ მიეწვდი ჩემს ჩემოდანს და თაროდან რომ ვიღებდი, კინალამ მკლავები დამაწყდა. მაშინვე ეჭვი ავიღე, ეს, ალბათ, სინუსამ რაღაც ოინი მიყო და ჩემოდანში თუ ჩამიდო რამე, თორემ საცვლებისა და ერთი ხელი კოსტუმის მეტი შიგ არაფერი ჩამიდვია და რას უნდა დაემძიმებია ასე შეთქი. მივიხედ-მოვიხედე. მინდოდა გამეგო სხვისი ხომ არ მიმქონდა, მაგრამ ეჭვი არ იყო, არ შევემდარეარ. თანაც დრო აღარ ითმენდა, მატარებელი სადაცაა გზას გაუდგებოდა, და აქვე რომ ჩხრეკა დამეწყყო, საამისო დრო აღარ იყო. დიდი გაჭირვებით ჩაეიტანე დაბლა და გავედი სადგურის უკანა ბაქანზე. მოეძებნე ჩვენი სანატორიუმის ავტობუსი ძლივსძლივობით შევათრიე ჩემი ჩემოდანი და გავუდღეკი გზას. მთელ ავტო-

ბუსში სულ ხუთიოდე მგზავრე. თუ ექვსებოდით, მაგრამ გზადაგზა იცვლებოდა მოგვემატა. ხარბად ვათვალისწინებდი ქობულეთის ქუჩებს და გუნებაში ვამბობდი, ეს ნამდვილი ქალაქი ყოფილა და არა აგარაკი მეთქი. თუმცა მისმა ფიქვებმა და საერთოდ სიმწვანემ ხომ მომხიბლა და მომხიბლა. მაისის ქათქათა დღე იყო, მზე ისე ანათებდა, გეგონებოდათ იცინისო. ლამაზი ორსართულიანი შუშაბანდიანი სახლები ყვავილებში და ციტრუსებში ჩაფლულყვინენ. ყოველი სახლი დამშვენებული იყო ფართო, თლილი ქვის კიბეებით. ლამაზი ქიშკრით, პალმებითა და რაღაც უცნაური ფართოფოთლიანი ხეებით, თუ ბალახით, რომლებიც, როგორც შენდებე შევიტყვე, ბანანის ხეები ყოფილა.

ბოლოს, როგორც იქნა, მივალწიეთ ჩვენს სანატორიუმამდე, შევედით ეზოში და ერთ ორსართულიან სახლზე, რომელიც სამგლოვიარო გვირგვინივით ყვავილების რგოლით იყო გარშემორტყმული, მიმითითეს, აი იქ მიხვალ და გაგაფორმებენო.

მივათრიე, როგორც იქნა, ჩემი ჩემოდანი. თეთრხალათიანმა ქალმა მითხრა, მოითმინეთ, ახლავე მოვა დიასახლისი და გაგაფორმებთო. ლოდინი დიდხანს არ დამჭირვებია, მალე მოვიდა, ღმერთმა ხელი მოუშართოს, კარგად ნაპატივები ზარბაზანივით ნასტქი ქალი, რომელსაც დიდის გაჭირვებით ჩაეტია კაბაში თავისი სხეულის ყოველი ნაწილი, მკლავებიც, გულმკერდიც, კისრის ქინჩიც, მხრებიც და სხვაზე ნულარაფერს მკითხავთ. იატაკს ზნექდა, რომ დადიოდა. მოვიდა, ამხედ-დამხედ და ცოტა არ იყოს უხამსად-გამიღიმა.

— ბაშა, წაიყვანე ეს ახალგაზრდა მეცხრე პალატაში. დაბინავე, მერე პოლიკლინიკაში გაატარე. — უთხრა მან თეთრხალათიან მორიგეს და მერე მე მომიბრუნდა: — ამას წაპყევით, ამხანაგო ტყემალაძე, დაბინავდით, ექიმებს გაესინჯეთ და მერე ისევ მოდით ჩემთან. მართლა, ელიაზარ ივლიანოვიჩი რაა თქვენი? ნათესავია?

მე გაოცებით შევანათე თვალები და მხრები ავიწურე.

— ელიაზარ ივლიანოვიჩ ტყემალაძე, სხალტის ლეინის ქარხნის დირექტორი...

— არ ვიცნობ, ბატონო, — უარის ნიშნად გავიქნიე თავი. — ისე, მოგვარეა, ალბათ, ჩემი!

მომიყვანენ მეცხრე პალატაში. ოთახში ორი ლოგინი იდგა. ერთი, ეტყობოდა, ვილაცას დაკავებული ჰქონდა. მეორეზე იდო მარტო ლეიბი და თეთრეულ-გაცლილი ბალიში.

— აი, ეს იქნება თქვენი საწოლი, — მითხრა მორიგე ქალმა, — ამ „ტუმბოჩკაში“ შეინახავ წვრილმან ნივთებს. ჩემოდანს გინდა აქ დადებ, გინდა ჩვენ შეგინახავთ. ლოგინს ახლავე გაგიწყობ. ტანს ახლავე დაიბან, თუ საუზმის შემდეგ?

— როგორ ჯობია? — ვკითხე მე და ოთახი შევათვალიერე. ნელნელა მინდოდა შეეჩვეოდი ჩემთვის ყველაფერს შედარებით უჩვეულოს, ოთახსაც, ხალხსაც, სანატორიუმის წესებსაც და კითხვა-პასუხში სიფრთხილეს ვიჩენდი.

ფანჯარაში გავიხედე და გულდაწყვეტილმა გუნებაში გავიფიქრე: „კი მარა, ეს ზღვა როდის უნდა ვნახო. რაც ჩამოვედი, თვალი არ მომიკრავს, ნეტავ შორსაა თუ ახლო?“

არ ვიცო, ქალი მიმიხვდა ამ ფიქრებს თუ არა, მაშინვე კი მითხრა:

— გული არ დაგწყდეს აქ რომ დაგაყენეთ. ეს ოთახი ჯობია! მეორე მხრის ოთახების ფანჯრები მართალია ზღვას გაჰყურებს, მაგრამ ლეღვის დროს მისი ხმაური არ დაგაძინებს.

— ზღვა ახლოსაა?
ქალმა გაიღიმა.

— აქვეა. გეჩქარება ბანაობა? პირველ დღეს ნუ იბანავებ. მეორე დღესაც არ გირჩევ, თითონ გეტყვიან ექიმები.

ქალმა სცადა ჩემი ჩემოდანი კუთხეში მიედგა, მაგრამ ვერ დაძრა.

— დედაია, რა გაქვს, შვილო, ამაში ამსიმიძიმე?

ახლა კი ვეცი ჩემოდანს და თავი ავხადე. ავხადე და რას ვხედავ. ბევრი რამ

კარგი ჩაეწყობ ბიჭებს ჩემთვის, ჭყინტი ყველი, მრგვალად მოჭრილული დედალი, ორი ბოთლი წაჭმული ჭურჭლელები. მაგრამ, ამასთან ერთად, ერთი, კარგა მოზრდილი შავი ქვის ლოდოც ჩაედვით და ზედ ბარათიც დაეყოლებიას: „გიმნასტიკა გვირდება, თურმე, და აბა, შენ იცი, ამ შავქვას არ მოეშვა, შავი დღისთვის იქნება გამოიყენო“.



გამოვედი შენობიდან. მინდა ზღვა ვნახო. რა გაკვირდა მისი დანახვა, აქამდე თვალი ვერ მოვლანდე.

ვხედავ, კისერზე პირსახოცმოდებული ჭრელ პიჯამოში მამაკაცები და... რა არი ეს? თხელ ხალათწამოსხმული შიშველი ქალები მიდიან ზღვისკენ. მხემოკიდებული ტანი ზეთწამულივით უზინავთ.

გულმა ჩქროლვა დამიწყო. შემეშინდა, უზრდელობად არ ჩამითვალონთქო და, რაც შემეძლო, ამ შიშველ ქალებს თვალი მოვარიდე. ჩქარი ნაბიჯებით გავემართე იქით, სადაც მოჩანდა თლილი ქვის გრძელი მოაკირი. იგი ეტყობოდა, მთელ ნაპირს მიუყვებოდა. მივედი და ჩემს თვალწინ ისე მოულოდნელად გადაიშალა ვერცხლისფრად მოკამკამე თვალწვედენი ზღვა, რომ უნებურად შეეჩერდი. იგი სრულიად წყნარი იყო, მხოლოდ ოდნავი სიო ისეთ კვალს აჩენდა მის ზედაპირზე, თითქოს უხილავი არსება ასეთივე უხილავი ფუნჯით წყლისავე საღებავს უსვამდა ზედ და ხან მარჯვნიდან წაქრავდა ამ ფუნჯს, ხან მარცხნიდან. ცაში ფარფარებდნენ უცნაური თეთრი ფრინველები, რომელთა სახელი მაშინ არ ვიცოდი და შერე გავიგე: თოლიები.

თეთრად ქათქათებდა მთლად კაჭკაჭით და ხრეშით მოფენილი ნაპირი. აქაიქ მოჩანდნენ მზისგულზე გაწოლილი შიშველი მობანავენი, ქალები და კაცები. ზოგიერთებს სახეზე წაეფარე-

ბიათ პირსახოცები. ახლა, თქვენ თითონ წარმოდგინეთ, ჩემისთანა სოფლელი ბიჭისთვის, რომელსაც ჭიათურის მეტი ქალაქი არ მენახა და ქალი ასე საჯაროდ კი არა, ქმართან თუ იხდიდა ტანსაცმელს, ისიც კი არ წარმომედგინა, ამის დამნახავი რა გუნებაზე დავდგებოდი. ხარივით ვქაჩავდი, ალბათ, თვალებს.

— დედა, — გამიელვა გუნებაში, — აქ ქალი რავე უნდა გამოუშვას კაცმა! ასე გაშვლებილი ჩემიანი ვინმე, გინდა ცოლი იყოს, გინდა დაი, მით უმეტეს — სატრფო, რომ დავინახო და ისიც ქვეყანა უყურებდეს, არ წავაწყვეტ წიწილივით თავს“.

გავონილი კი მქონდა, ზღვისპირად ასე შიშვლდებიანო, კინოშიაც მქონდა ნახული, მაგრამ სურათს რომ ვუყურებ, სულ სხვა ყოფილა და შენი თვალით ნამდვილად რომ ნახულობ, ის სულ სხვაა. ვიდრე მოაჯირთან მოჯადოებულებით და თან გულუბრყვილოდ ვფიქრობდი. ასე რომ გავიდე პლიაქზე ჩვეულებრივი ტანსაცმელით და არა პიჯამათი, იქნება არც კი შეიძლება მეთქი. იღბლად თვალი მოვკარი ჩემთან ერთად დღეს ჩამოსულ დამსვენებლებს, ისინი უკვე მისულიყვნენ ნაპირთან და მეც თამამად გავაბიჯე გასასვლელში.

ზღვა ზანტად ისროდა თეთრი ქაფით მოქარგულ ტალღების ზეწრებს და გადაფენდა თუ არა, მაშინვე უკან დაითრევედა, ჩაიხვევედა, დაგრაგნიდა და ისევ მოიჭნევედა ნაპირზე დასაფენად. აქა-იქ მოჩანდნენ მცურავეები.

ჰყოიოდნენ თოლიები.

ჩემს სიცოცხლეში არ მენახა ასეთი ქათქათა დღე, ამდენი სივრცე, ამოდენა ცა და ასეთი უნაპირო ზღვა.

სიმღერა მომინდა. მარტო შემრცხვა მემღერა, სულელი არავის ვეგონო მეთქი, მაგრამ მაინც წამოვიწყე ლილინი.

მარჯვნივ მივიხედე, სულ ახლო გოგო გაშვებართულა მზეზე, შიშველი. მთლად ყავისფრადაა დამწვარი. მარცხნივ გავიხედე. წყლიდან ამოვიდნენ

ორნი, იმისთანები, კაი ბიჭობა იყო ჩემი, რომ შეეძელი იმათთვის თვალი მომეწყვიტა. სანატორიუმისკენ მივუხვეი. ტყუილია მე ამათ გულგრილად ცქერას ვერ შევეჩვევი და ჩემი საშველი არაა მეთქი, ვფიქრობდი გუნებაში. გული კი საამოდ მიძგერდა. რა მიხაროდა, არ ვიცოდი. თუმცა, როგორ არ ვიცოდი, სიცოცხლე მიხაროდა!

სანატორიუმის ექიმებმა სულ თავიდან ფეხებამდე გამშვლიბეს, გამზომ-გამომზომეს და ყოველი კუნთი საკუთარი ხელით მომისინჯეს. ექიმები სულ ქალები იყვნენ და არც თუ ისე ხნიერები, რომ არ აეწურულიყავი. ისინი ამბობდნენ, რომ მე იდეალური აღნაგობა მქონია თურმე. თქვეს, რომ გულმკერდი, ბეჭები, მკლავები ნამდვილი ატლეტური აქვსო.

— ვინ დაგეთვა, ბიჭო, ასე უწყალოდ? — მკითხა მთავარმა ექიმმა, როდესაც ჯერ კიდევ მოუშუშებელი გვერდის ნეკნები მომისინჯა.

როდესაც ჩავიცვი და გარეთ გამოვდიოდი, ზურგს უკან მომესმა, ნამდვილი აპოლონიო. ნეტა ვინ ეშმაკია ის აპოლონი, ასე რომ მოწონთ ამ ქალებს? მაშინ წარმოდგენა არ მქონდა, ვის შესახებ ლაპარაკობდნენ და გავიფიქრე ეს ოჯახქორები ჩვენი სოფლის მაღაზიის ნოქარს აპალონა ფხალაქეს ხომ არ მადარებენ მეთქი.

ჩემს პალატაში რომ შევედი, იქ ერთი ხნიერი, მთლად თავპირგაპარსული კაცი დამიხვდა. მან ცნობისმოყვარეობით ამხედ-დამხედა და მკითხა, საიდან ვიყავი. როდესაც გაიგო ჭიათურიდან ჩამოვედი, სახეზე საამო ღიმილმა გადაურბინა.

— შაშ, ჭიათურელი ხარ? სტუდენტობის დროს მიმუშავნია იქ. მერე ტყიბულში წავედი და საბოლოოდ იქ დავემკვიდრე.

— თქვენ თითონ სადაური ბრძანდებით?

— მენა? კახელი ვარ. ხაშმელი, თუ გავიგონია?

— სოფელი არ ვიცი, ბატონო, სა-

დაა და, ჩვენში რომ იტყვიან: დავიხამ-
მო, — სიცხე რომ დახუთავს ადამიანს,
იმაზე მოგახსენებენ, ეს კი ვიცი.

— ვერა გკოდნია კარგად. შენ სულ-
ხან საბა ორბელიანის ლექსიკონი წაგი-
კითხავს?

— წაკითხვით ლექსიკონს რა წამა-
კითხებს და ისე კი მინახავს.

— უნდა წაკითხო, შვილო, იქ ბევრ
რამეს ისწავლი. იქა სწერია, ხაშში სე-
ნია ხორცად დამარღვეველიო. იქვე
სწერია, ხაშმელი დახაშმულს ნიშნავსო.
მამასადამე, თუ თქვენში ამბობენ, სი-
ცხემ დამხაშმაო, მამასადამე, ისე შემა-
წუხა და დამხუთა, ხაშმით დასნეულე-
ბულს დამამსგავსაო. გაიგე?

— უკაცრავად კი ვარ, მაგრამ თქვენს
სოფელში მართლა ასეთი საშინელი
სენია, თუ რა მიზეზით დაერქვა ეს სა-
ხელი?

— ეჰ, რა ვიცი, შვილო. ალბათ წი-
ნათ უხსოვარ დროში იყო, ახლა ხალხმა
მაგ სიტყვის მნიშვნელობაც აღარ იცის.
აგერ ტყიბული, განა იცი რას ნიშნავს?
გინდა ქითურა...

ჩვენ მალე დავმეგობრდით. მიუხედა-
ვად იმისა, რომ ჩემზე ორმოცი წლით
მეინც იქნებოდა უფროსი, როგორც
თავის ტოლს, ისე მეტყობოდა.

— შენ პირველად ხარ სანატორი-
უმში? — მკითხა მან, — მამ წამოდი,
ყველაფერი გასწავლო, ყველა გაგაცნო.
წავიდეთ, სადილი ეჭამოთ, უკვე დროა.
წავედით. სასადილოს დარბაზში,
რომლის სისუფთავემ და მოწყობილ-
ობამ მომხიბლა, კანტიკუნტად ისტდენ
დამსვენებლები! მეგონა, ისე როგორც
რესტორანში, სადაც გინდოდა, იქ დაჯ-
დებოდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მხო-
ლოდ იქ გქონდა ნება, სადაც მიგითი-
თებდნენ და მერე ის იყო შენი მუდმი-
ვი ადგილი.

— შენი სახელი? — მკითხა ჩემმა
თანამგზავრმა და მეზობელმა.

— ნოდარი.

— მოდი, ნოდარ, ჩემს მავიდაზე ერ-
თი ადგილი თავისუფალია, დიასახლისს
უფთხრათ და იქ დაგსვამს.

— თუ შეიძლება, თქვენი სახელიც
მიბრძანეთ, ჩემო ბატონო!

— კი არ გიბრძანებ, გეტყვი, გა-
ლიმა ჩემმა თანამგზავრმა. — მე იაკობი
მქვია. მამა მღვდელი მყავდა და ამის-
თვის დამარქვა ეს ბიბლიური სახელი.
ეგონა, მღვდელი ვიქნებოდი და მე კი
ინეინრობა ვარჩიე.

დავსხვდიოთ. იაკობი ხან ერთს ესალ-
მებოდა, ხან მეორეს. მერე მე მომიბ-
რუნდა.

— აქ შენ მთელ ჩვენს ქვეყანას გა-
იცნობ. ვინ არ გინდა, აქ არ იყოს. აი
ის ორნი, ცოლ-ქმარნი, ხაბაროვსკიდან
არიან. ინჟინრები, გეოლოგები. აგერ ის
თავმოტვლებილი ნორილსკიდანაა... იცი,
სად არის ნორილსკი?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— გეოგრაფიაში სუსტი ყოფილხარ.
არც ხაბაროვსკი იცი? მამ რა იცი, ბიჭო.
შენოდენა რომ ვიყავი, გოცნებობდი.
ნეტავი სტენლის ან ლივინგსტონის ბე-
დი მერგებოდეს ცხოვრებაში და მეტი
არაფერი მინდა მეტი. არც ესენი იცი.
ალბათ, ვინ იყვნენ.

— ეგენი კი ვიცი, — ვიცრუე. — ამ
იმედით, რომ ეს ჩემი პასუხი საუბრის-
ინერციას გაჰყვებოდა და თავს ადვი-
ლად დავიძვრენდი, მაგრამ იაკობმა შე-
მატყო, ალბათ, რომ მართალს არ ვამ-
ბობდი და კულში ხელი მტაცა.

— აბა, თქვი, თუ იცი, — ჯიუტად
მკითხა მან. — ჰა, რას გაწითლდი, ბიჭო.
არცოდნა — არცოდნააო, ნათქვამია.
ყველაფერს ისწავლი, მხოლოდ მეტი
უნდა იკითხო, ბიჭო. შენოდენა რომ
ვიყავი, მთელი რუსული და დასავ-
ლეთ ევროპის ლიტერატურა გადაკო-
თხული მქონდა. მართალია, ბუნებით
მათემატიკოსი ვიყავი, მაგრამ ჩვეულებ-
რივი მხატვრული ლიტერატურის კითხ-
ვა ძალიან მიყვარდა. ახლანდელი ახალ-
გაზრდები, ცოტა არ იყოს, ცუდლუბე-
ბი ხართ, მამა.

— საიდან ვიკითხო? სამუშაოდან
რომ დავბრუნდები, საგნების მომზადე-
ბასაც ვერ ვასწრებ. აგერ, აქ წამოვიღე
მხაზველობითი გეომეტრიის განაკვეთ-

ბი, იქნება აქ მაინც გავუგო რამე. ტეილორის მწკრივებს მოვერიე და ეს რა არის, ამისთანა ძნელი საგანი არ შემხვედრია.

იაკობმა ჩაიცინა.

— მაშ შენ სტუდენტი ხარ? — მკითხა მან.

— დიახ. დაუსწრებელზე ვსწავლობ.

— პირველ კურსზე ხარ? მაშ შენის აზრით მხაზველობითი გეომეტრია უძნელესი საგანია?

— იმდენად ძნელი, რომ ვერც წარმომიდგენია, თუ ოდესმე შეეძლებ მის დაძლევას.

— მერე და, ბიჭო, იმის მაგივრად სადმე მიყრუებულ ადგილას წასულიყავ, რომ განდგომილი ბერივით ჩაჯდომოდი საგანს, აქ წამოხვედი? შენ გგონია, ეს ლამაზი გოგოები რომ ცეცხლს შეგინთებენ, სხვა რამეზე ფიქრს შეიძლებ?

— მაგას არ ვტირი მეც, ბიძია იაკობ!

— ცოლი გყავს?

— რა დროს ჩემი ცოლია.

— სატრფო?

ცოტა შევეყოყმანდი და, ბოლოს, გადაკრით ვუთხარი, არა მეთქი.

— ვაი, შე საწყალო შენა. თუმცა საწყალი რად უნდა იყო. კარგი მარჯვე ბიჭი თუ ხარ, კიდევაც უნდა კარგად სწავლობდე და კარგადაც არსიყობდე. მა, რა! ზოგიერთ ბრიყვ მშობელს ჰგონია, ვაჟს თუ ქალთან გავლა დაუშალა ან, პირიქით, ქალს — ვაჟთან გავლა, ზნეობის სადარაჯოზე დგას ვითომ. ყველაზე დიდი უზნეობა მონასტრებში ბუღობდა. ასაკში ჩამდგარ ქალ-ვაჟისათვის ისევე აუცილებელია და ბუნებრივი სიყვარული, როგორც სრულად ჩვეულებრივი სმა-ჭამა. კი არ დამცინო, ბიჭო, და ცოტა ფილოსოფიაში გადაევარდი, მაგრამ, იცი რა გითხრა, ახალგაზრდობაშივე თუ გექნება ცხოვრებაზე დაკვირვების უნარი, ბედნიერი კაცი იქნები და იშვიათად შეგეშლება რამე. შენ ახლა პირველად გახვედი ზღვის პირზე სოფელი ბიჭი და შიშველმა ქალებმა გაავაგიეხს. ზეალ უკვე არჩევით

დაუწყებ თვალოვალს, ზეგ კი გულგრილად შეხედავ ყოველ მათგანს და ყველაზე ლამაზი ტანის მქონე ქალს მოეტყურო აღმაფრენით, წმინდა ესთეტიური თვალით შეაფასებ. ბილწი გრძნობების წარმომქმნელი სამოსია და არა სიშიშველე. აბა, შეხედე ცხოველებს, გინდა ამ ქათმებს, გინდა აგერ იმ კატებს, გინდა ცხერის ფარას, განა ისინი თავისებურად შიშვლები არ დადიან, მაგრამ განა ოდესმე შეიძლება მათ დააბრალო ისეთი სიბილწე, რასაც ხანდახან ადამიანი ჩაიდენს? მას შემდეგ, რაც ადამიანმა ქვენა გრძნობების აღსაკვეთად სიშიშვლის დაფარვა დაიწყო, მას შემდეგ უფრო გახელდა მისი გონება და ფეხი მოიდგა ცდუნების ეშმაკმა. ზოგიერთ ბრიყვ მშობელს ჰგონია, თუ შეილს თვალზეზე ხელს ჩამოაფარებს, ამით ეს შეილი ვერაფერს დაინახავს. ან თუ რამეს აუკრძალავს, იგი იმ აკრძალულს არ წაეტანება. განა სწორად არ უთქვამს ჩვენს ხალხს: აკრძალული ხილი გემრიელიაო.

ჰგონია, რალაც მართალს ამბობდა ეს ქალბარა კაცი.

* * *

მოხუცი ბევრს ლაპარაკობდა, მაგრამ ყურს აღარ ვუღებდი. სასადილოში მოსულ დამსვენებელთა თვალიერებამ გამიტაცა. აქ იყვნენ მზისგან გარუჯული ჯმუხი მამაკაცები, ნამდვილი მალაროელები, სულ სხვადასხვა ასაკისა, ასევე ძვალმსხვილი, და, ჩვენებურად რომ იტყვიან, ჩაითქინებული დეიდები და მამიდები, გულმკერდმოღლეტილი, უსახელო მოკლე კაბებით. ქალების უმეტესობას არათუ ტუჩები და ხელის ფრჩხილები, არამედ ფეხის ფრჩხილებიც წითლად შეეღება. ზოგიერთ ქალს ზურგი მთლად შიშველი ჰქონდა წელამდე.

ცოტა არ იყოს, ავიწურე, როდესაც ჩვენს მაგიდას სწორედ ასეთი ქალი მოუჯდა ვიღაც მამაკაცთან ერთად.

ალბათ, ცოლქმარია მეტი, გავიფიქრე და შევეცადე, ამ ნახევრად შიშველი ქალისთვის, რაც შემძლეო თვალი მომერიდებია. მასაც წარმოდგენილად მოკლე კაბა ეცვა და ზედაწელი მარტო მკერდზე აფეხარებია, დანარჩენი ზურგი, მკლავები, ილიები, სულ შიშველი ჰქონდა. წარბები — გამოქნილი; წამწამები — შავად შეთითხნილი და აპრეხილი, თვალები — ამოღურჯებული, ტუჩები — წითლად შეღებილი, ფრჩხილებიც წითელი და იმისთანა წვეტიანი, არწივის კლანჭებს მიუგავდა.

— ქალბატონო ლეტიცია, რატომ აგვიანებთ სადილზე? — შინაურულად მიმართა ქალს იაკობმა და შემდეგ ორთავეს ჩემი თავი წარუდგინა, — იცნობდეთ, ჰიათურელი სტუდენტი და ჩვენი ახალი თანამესუფრე.

მამაკაცმა არც კი შემომხედა და მან შეინვე აორთქლებულ ბორშის დაუწყო ხერება, ქალმა კი ჯერ ქედმალღურად შემათვალისწინა და შემდეგ მოულოდნელად გამიღიმა.

— რომელ კურსზე ხართ? — მკითხა მინახებული ხმით.

— პი... პირველზე... — დამება ენა.

— ჰო, სულ ახალგაზრდა ყოფილხართ! — მითხრა მან და შემდეგ მომსახურე ქალს მიუბრუნდა. — ჩემო კარგო, თქვენ განა არ იცით, მე წენიანს არ ვქამ, მით უმეტეს ბორშის. წაიღეთ და მეორე მომიტანეთ.

— რას ინებებთ? გვაქვს კიევური კატლები და რამშტეკი.

— კიევური იყო!

მოუტანეს, მაგრამ ისიც არ ქამა, ოდნავ რაღაც მოკიკნა, მერე ნაყინს ეცა და ეს იყო სულ მისი სადილი. ხელის ჩანთიდან პატარა სარკე ამოიღო და თავისი სახის თვალისწივებს შეუდგა.

— ბატონო იაკობ, ბანაობას არ აპირებთ? — მკითხა მან ჩემს მოხუცს.

— ახლა ზომ დასვენების საათია.

— მე ყოველთვის მზის აბაზანას ვღებულობ ზღვაზე. იცით, ნასადილევს ძილი, თურმე, ძალზე მავნებელია. წავიდეთ, თორემ ამინდის ბიურო ხვალ

წვიმასა და ქარიშხალს გვიწინასწარმეტყველებს. თქვენ უკვე იმეორებთ... ახლა მე მომიბრუნდა ეს შეტყობილ მანდილოსანი, მაგრამ პასუხს არ დაუცადა და მან შეინვე დასძინა, — თუმცა თქვენი ბანაობა დღეს და ხვალ არ შეიძლება.

თავისი სილამაზის ხელსაწყოები ხელჩანთაში ჩააწყო, ადგა და ტანის მოხდენილი რჩევით სასადილოდან გავიდა. უნებლიეთ თვალი გავაყოლე. აჰ, რა ტანი ჰქონდა, რა ფეხები. ისეთი მოკლე კაბა ეცვა, მუხლისთავებიც კი მოუჩანდა. ფეხის ფრჩხილები შეღებილ-გალაქული ჰქონდა.

ქმარს არც უკითხავს, სად მიდიოდა მისც ცოლი, არხეინად დაამთავრა სადილი და მიმოიხედა. მერე ადგა სასადილოს ერთ მაგიდას მიუახლოვდა და ვილაც მოსადილე ქალთან მუსიაფი გააბა.

— ეს კაცი, ამ ქალის ქმარია? — გკითხე იაკობს, როდესაც ორთავე ფეხზე წამოვდექით და კარისკენ გავემართეთ.

იაკობმა გაიღიმა და, როდესაც ეზოში გავედით, მითხრა:

— წამო, თუ გინდა მხაზველობით გეომეტრიის პირველ ლექციას წავიკითხავ, აგიხსნი და ამ საგნის მთელი საიდუმლოება უცბად გადმოგვება შენს თვალწინ. მერე მთელ საგანს ერთ თვეში მოამზადებ.

წავედით ოთახში. ამოვიღე ჩემი სახელმძღვანელოები, რვეულები, ჩანახაზები. იაკობმა აიღო ხელში რვეული და ისე გაშალა, რომ ფურცლებით ორი ერთმანეთის გადამკვეთი სიბრტყე წარმომიდგინა თვალწინ.

— ი, ხედავ — მითხრა მან, — სულ ესაა მთელი მხაზველობითი გეომეტრიის საიდუმლოება. ერთია ჰორიზონტალური სიბრტყე, მეორეა ვერტიკალურად გადაკვეთი სიბრტყე. ამ სიბრტყეთა გადაკვეთა მთელ სივრცეს ოთხ მეოთხედათა ჰყოფს. ეს გასაგებია?

— რა ბრძანეთ?

— ჰაით, შე მამაძალო, შენ. კიდევ იმ ქალზე ფიქრობ?

— არა, ბატონო, რაღა გეკადრებთ! — გავწითლდი მე.

— ჯერ ეს საიდუმლოება გაიგე, რასაც ახლა გასწაველი და იმ ქალის საიდუმლოებას მერე აგისხნი. მაშ, ყური მიგდე. აი შეხედე ამ პირველ მეოთხედს. ვთქვათ ამ პირველ მეოთხედის სივრცეში გვაქვს წერტილი. პორიზონტალურ სიბრტყეზე ამ წერტილის პროექცია გამოვსახოთ ა მცირეთი, ხოლო ვერტიკალურზე მ²-ით.

ძლივსძლივობით მოვთოვე გონება და გულისყური. თითქოს ოდნავ გაღებულ ღრიკოდან სიბნელეში სხივმა შემოიჭყიტა. ნელნელა ვგებულობ, რასაც იაკობი მიხსნის. აი, მან ოთხ სიბრტყედ გამოილი რვეული ორ სიბრტყედ მოკცა და დამანახვა, როგორ გამოისახება წერტილის პროექციები ამ სიბრტყეზე, თუ იგი პირველ მეოთხედშია. მერე დამანახვა მისი მეორე მეოთხედში გამოსახულება და...

...ჩემს გონებაში ელვის სისწრაფით გაიღო ის კარი, რომელიც აქამდე მიბნელებდა ამ საგნის შეთვისების უნარს და ცოდნის თვალისმოპქრელმა სხივებმა მზესავით შემოანათა. თურმე ამ საგნის მთელი საიდუმლოება, მისი პირველი ელემენტარული წესების შესწავლაში ყოფილა. თუ ის არ იცი, რომ დააკვდე ზედ, ვერაფერს ვერ გაიგებ. თუ ის იცი, მთელ საგანს ისე ჩაიგლიჯინებ, თითქოს თავბრუდამხვევ თაყდაღმართზე თხილამურებით მოსრიალებდე.

ერთ წუთში სუყველაფერი დამავიწყდა. სწრაფად გამოვიყვანე ყველა ის ამოცანა, რაც კი იაკობმა ამოსახსნელად დამიხაზა, მერე კითხვები გაართულა, ისინიც ამოვხსენი. მერე მითხრა, ახლა შენით სცადე თანდათანობით გაერკვე და თუ დახმარება დაგჭირდეს მე მოგეხმარებო. დამტოვა ოთახში, და თვითონ-სასეირნოდ წავიდა.

მარტო დავრჩი და ისე გამიტაცა მეცადინეობამ, სულ დამავიწყდა, რომ სანატორიუმში ვიყავი დასასვენებლად

და სამკურნალოდ ჩამოსული. ჩემთვის ახლა ყოველი ეპიურის ამბისნა — ნამდვილ ვართობად გადაიქცა.

არ მახსოვს, რამდენი დრო გავიდა. უკვე საღამოვდებოდა, როდესაც კარებზე კაკუნი გაისმა.

— მობრძანდით, — გავძახე და ფეხზე წამოვიჭერი.

ვხედავ ჩემმა ახლადგაცნობილმა მანდილოსანმა შემოაღო კარი და იკითხა:

— ბატონო იაკობ, შინა ხართ?

ტანზე მას ახლა სხვა კაბა ეცვა. საოცრად გაფხორილი. ზედაწელი კი ტანზე შემოსხებილი და გულისპირი ისე ღრმად ამოჭრილი, რომ ჭუძუები ნახევრად შიშველი ჰქონდა.

— ბატონი იაკობი არ არის? — იკითხა მან, — წიგნს შემპირდა.

— არ ვახლავთ.

— ალბათ უკვე სასადილოშია. თქვენ არ მოდიხართ? ვახშობის დროა, — მითხრა მან უბრალო საქმიანი კილოთი.

— დ... დიახ...

სანამ რამეს მოვიფიქრებდი, ის უკვე ოთახიდან გავიდა.

არ ვიცი, ეშმაკმა დამაბა ადგილზე, თუ რა მომივიდა. ვერც რაიმე ქათონაურის თქმა მოვახერხე, ვერც მაშინვე დადევნება გავბედე. გულმა კი ისე დამიწყო ბაგიბუგი, კინალამ ბუდიდან ამოვივარდა.

გამოვედი დერეფანში. ის უკვე იქ აღარ იყო. ჩავედი ეზოში. არც იქ იყო. მივედი სასადილოში. არც იქ დამიხვდა. მარტო ის მამაკაცი, რომელიც ამ ქალის ქმარი მეგონა, უჯდა მაგიდას და მადიანად ილუქებოდა.

დავჯექი, მაგრამ ლუქმა ყელში მეხირება. ვხედავ იაკობი და ის ქალი მოდიან.

— როგორაა ნოდარ, საქმე? — მკითხა იაკობმა, — კარგად იმეცადინე?

— ოო, ეგ გულმოდგინე სტუდენტი ყოფილა, — ღიმილით დამასწრო ლეტციამ. — მე რომ მოვედი თქვენთან, ისე იყო გატაცებული საგნის მომზადე-



ბით, არავითარი ყურადღება! არცეი შემომხედა.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო? ყურადღება კი არა, სულ დამაფიწყდა, ბატონო, რაც ამდენი წვლებით შევითვისე.

ქალმა გაცინებული თვალებით შემომხედა. პო, პო, რა უყვართ ამ დაწყველილებს ეს ქათინაურები.

— ერთი ამას დამიხედეთ, — თქვა ლეტიციამ. — ეს რა ეშმაკი ბიჭი ყოფილა.

— ეშმაკობა რა შუაშია, ბატონო. თქვენისთანა ლამაზმა ქალმა, ჩემისთანა ურწმუნო კი არა, ბერი გადარია, არ გახსოვთ ილიას განდევილში, რომაა...

— რაღაც ვერ შეგატყვევ გადარევა.

— გადარეული, ბატონო, სხვადასხვანაირია, ზოგი ქვას ისერის, მარა ზოგი ლეჭებს წერს და ზოგი ლეჭიებს კითხულობს, ისე კი არაფერი ეტყობათ. ჩემი ხუმრობა მოეწონათ.

ნელნელა შევეჩვიე სანატორიუმის ცხოვრებას. ნელნელა გავიცანი ყველაფერი. შევეჩვიე პროცედურებსაც. კვარცის ლამპებს, მასაჟებს, საექიმო ტანვარჯიშს. შევეჩვიე მზეზე წოლას და ქალთა სიშიშვლეს. უკვე აღარ ვფეთდებოდი, როდესაც ისინი ჩემს გვერდით სხდებოდნენ და არხეინად შიშვლდებოდნენ. შევეჩვიე ლეტიციას შიშველი სხეულის დანახვასაც. რამდენჯერმე ერთად ვიბანავით. მართლა რომ მოხდენილი ტანის ქალი იყო, მაგრამ იგი ჩაცმული უფრო მადლვებდა, ვიდრე შიშველი. ჯერ ერთი, დღეში, სულ უკანასკნელი, ხუთჯერ მაინც იცვლიდა კაბებს. მერე, მის ტანზე ერთიდაიგივე ტანსაცმელი, მეორედ ჩაცმული, არ დამინახავს. მაგრამ, რაც მთავარია, რანაირადაც არ უნდა ჩაეცვა, ყოველთვის გასაოცრად მომხიბლავი იყო. მე, რატომღაც, განსაკუთრებით კარგად მეპყრობოდა. ეს, ცხადია, მიხაროდა და ოდნავ თავბრუს მახვევდა.

ჩემი ჩასვლის მეორე თუ მესამე დღეს კვლავ გაისმა კაჟინი ჩემი ოთახის კარებზე, როდესაც საღამოთი ისევ

ჩემს მხაზველობით გეომეტრიას ვაკლავდი თავს.

— უკვე ვახშობის დროა, მაგნატიკური მან, მერე კინო იქნება. კარგი სურათია. წამოხვალთ?!

— სიამოვნებით.

— წამოდი. მე გაბატყებთ. აი, ორი ბილეთი მაქვს.

— თქვენი ქმარი აღარ მოდის?

— ჩემი ქმარი? — გაიცანა ლეტიციამ, — ჩემ ქმარს აქ რა უნდა?

— მაშ... — უნებურად დავიბენი. მინდოდა მეკითხა, „მაშ, ის კაცი ჩვენთან რომ სადილობდა, ნუთუ თქვენი ქმარი არ არის-მეთქი“, მაგრამ ვერ გავბედე. ქალმა კი, ეტყობა, სხვაგვარად გამიგო და ფუსფუსით მითხრა:

— მეგობარი ქალისთვის ვიყიდე ეს ბილეთი, მაგრამ აღარ მოდის. ასე რომ... თუ ჩემისთანა დედაბერთან გვერდით ჯდომა არ გეთაყილება...

— როგორ გეკადრებათ, მე ჩემზე უმცროსი მეგონიხართ...

— როგორ ფიქრობთ, რამდენი წლის ვიქნები? მოდიხართ?

— დიახ, — ფუსფუსით მივალავ რვეულები და ორთავენი სასადილოსაკენ გავემართეთ — დიდი, დიდი, ოცდაორის თუ იქნებით.

ქალმა არ მიბასუხა, მხოლოდ კმაყოფილად გაიღიმა. მე კი ვკითხე:

— ხომ სწორად მითქვამს.

— ჩემო კარგო, ქალი იმდენი ხნისაა, რამდენისაც გამოიყურება.

— ასე რომ არ შევემცდარვარ.

— რასაკვირველია.

— მადლობა ღმერთს. ახლა უფრო თავისუფლად შემიძლება თქვენთან თავის დაჭერა, თორემ თოფის არ მეშინია ისე, როგორც ჩემზე უფროსი ქალების — იფ, მე თვითონ მომეწონა ახლა ჩემი თავი. აღბათ იმიტომ ვლამპარაკობდი ასე ლაღად, რომ კვლავ ჩემი საგნის შესწავლა-გაგების გემრიელ განწყობილების ტყვეობაში ვიყავი და ახლა ზღვაშიაც რომ შევსულიყავ, მუხლებს ზევით აღბათ არც ის მომწედებოდა.

— ბალზაკი წაგიკითხავთ? — მკითხა ჩემმა გაფხორილმა თანამგზავრმა.

საიდან კითხულობენ ეს ოჯახდასაქცევლები ამდენ წიგნებს. თქვენ მიტრირეთ, თუ წარმოდგენა მქონდეს, ვინაა ეს ბალზაკი, მაგრამ რავა გავამხელ, და თამამად ვეუბნები.

— წამიკითხავს.

— ჰოდა, განა ის არ ამტკიცებს, რომ ოცი წლის ახალგაზრდებს მხოლოდ ორმოცი წლის ქალები მოსწონთო?

ლექტიციამ მოულოდნელად მკლავში ხელი გამომდო და მითხრა:

— წამოდი, ამ გზით წავიდეთ.

ცოტა არ იყოს გამიყვირდა. ეს ქალი რას მიპირებს-მეთქი, გავივლე გუნებაში. სანატორიუმის ხეივანებში უკვე ჩავგუბებულყო ბინდ-ბუნდი. ფანჯრებში აქა-იქ გამოკრთოდა ელექტრონის სინათლე. ჩვენ გავყევით ხრეშით მოფენილ ხეივანს. ჩავუარეთ ამბულატორიას და მერე იმ შენობას, სადაც სანატორიუმის თანამშრომლები ცხოვრობდნენ. ლექტიციამ მალლა სართულს ახედა. იქ ყველა ფანჯარა განათებული იყო. უეცრად ერთ ფანჯარაში სინათლე ჩაქრა. ლექტიციამ მწარედ მომიჭირა ხელი მკლავზე და ნერვიულად გადაიკისკისა.

— რა მოხდა? — ვკითხე მე.

— არაფერი. წამო, აი იქ ზღვისპირას მერხზე დავსხდეთ.

— აკი ვახშმად მივდიოდით?

— სულელო, ვახშამს მე არ გირჩევიან? წამო.

დარტიანებულივით დავბარბაცდი, ამდენი მეცადინეობით გაბრტყებულს არაფერი არ მესმოდა და არც ცხოვრებაში მქონდა იმდენი გამოცდილება. გუმანით მაინც მივმხვდარიყავი, თუ რატომ ურევდა ეს ქალი ასე.

დავსხდით მერხზე. ლექტიციამ ხელჩანთიდან პაპიროსი ამოიღო.

— გინდა? — მომაწოდა კოლოფი.

გავაბოლეთ.

— რა კარგია ზღვა, — თქვა ლექტიციამ, თუმცა სულ სხვა მხარეს იცქირე-

ბოდა. იმ სახლს უცქეროდა, რომელმაც ასე შეაფთოთა.

— კარგია, — დავუდასტურე მე.

— ძალიან მიყვარს ზღვა. ყოველ წელიწადს, აუცილებლად ზღვაზე ვისვენებ. თქვენ?

— მე პირველად ახლა ვნახე.

— ნუთუ, — გაიყვირვა ლექტიციამ და ამხედ-დამხედა. — მე ძალიან მომწონს შენი სახელი.

— ნოდარი?

— კარგი სახელია. როგორი დახვეწილი თმები გაქვს. საპარიკმახეროში დაიხვიე?

— როგორ გეკადრებათ. ქალი ხომ არა ვარ.

— მაშ, ეს ბუნებრივია? — თითები თმებში შემიცურა და თვალებში ვნებიანად ჩამხედა. — რა გულუბრყვილო ბიჭი ხარ. მე შენ მომწონხარ.

— მართლა, ბატონო?

— შეგიძლია იამაყო, რომ შენ ყველას აჯობე ამ აგარაკზე.

— ნეტავი მართლა მაგრე იყოს, — ვთქვი მე და უნებურად განზე გავიწიე. შემეშინდა, არავინ დაგვინახოს მეთქი.

— რა იქით იქით იწევი, კი არ შეგჭამ. თუმცა სწორედ ამიტომ მომწონხარ, რომ ასეთი უმანკოებით აღსავსე ხარ. ქალებთან უფრო თამამი უნდა იყო, ბიჭო.

— ზოგი იმისთანაა, თუ გაუთამამდი, რო გტკიცავს, ღრანქს მოგიტყვეს, — ვუთხარი მე ღიმილით.

— ვინაც ქალის სილის ეშინია, ის მამაკაცი არ არის.

ეს რა კარგ რაღაცას მეუბნება? ეს დალოცვილი. ხარბად ჩავცქერი გულმკერდში მერე შიშველ კანკებზე. მას ფეხი ფეხზე აქვს გადადებული, მოკლე კაბა უკან დაცურებია და მუხლისთაგები მოუჩანს. სულელი თუ არ ვარ, რას ვიწევი იქით. მაგრამ რაც უფრო მიპყრობს ამ ქალის მოხვევის სურვილი, მით უფრო შემეკრა ხელფეხი და მოუნუსხულივით ვერ ვახერხებ ადგილიდან დაძვრას. შუბლზე ცივ ოფლს მასხამს. საუღვაშე, ვგარწობ, ოფლით მაქვს

დაცვარული, ჯიბიდან დაკმუქნულ ცხვირსახოცს ვიღებ, ოფლს ვიწმენდ, მერე პაპიროსს ხარბათ ვაბოლებ. აჰ, ახლა, ერთი, ნახევარი ბოთლი ღვინო მაინც მქონდეს დაღუული. გავცქერი ცისკიდურს, დაისით შეფერადებულ ღრუბლებს, ზღვას და ვგრძნობ, რომ წასულია ჩემი საქმე. არაფრად არ ვვარგებულვარ, მე უბედური და შავ დღეზე გაჩენილი.

იქით-აქეთ ვიხედები, მინდა დავრწმუნდე, რომ არაფერ არ გვიცქერის, რომ მარტონი ვართ ამ მერხზე. მართლაც გარშემო არაფერ არ ჩანს, ყველანი სასადილოში არიან, ალბათ. სიჩუმეა, საოცარი სიჩუმე, ზღვა სულ ჩამუქდა. მარტო ცისკიდურზე კიაფობს სინათლე. საკმაოდ ბნელა, მგონია, იმდენად საკმაოდ, რომ ვერავინ ვერ შეგვაჩვენებს. მაინც ველოდებით უფრო დაბნელებას და სწორედ ამ დროს ისე მოულოდნელად აინთო ბაღის ლამპიონები, შევეკრთი.

- ნოდარ, შეყვარებული არა ხარ?
- თავდავიწყებამდე.
- ვინ არის შენი სატრფო? კარგი გოგონა?
- გასაგიყებელი.
- მე მჯობია?
- ასი ათასჯერ.
- ოჰო, მაბნე ვინ არის ასეთი?
- თქვენ.

ლექტიამ სწრაფად შემომხედა თვალებში, სიცილივით ამოიკვნესა და წყნარი ხმით მითხრა.

- არც ისეთი ალუ ყოფილხარ, როგორც მეგონე. ფრთხილად იყავი, მე ეკალივით ჩხვლეტია ვარ.
- ეკლის რომ მშინებოდა, ბესარიონ ტყეშალაძის ვენახს რაღა უჭირდა მაშინ. ეკლის ღობეა იმისთანა, ჩიტი ვერ გაძვრებოდა, მარა... — მგონი ამოვიდგი ენა.
- ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდენო, არ გაგიგონია? — შეუბნება ლექტიამ.
- ჩვენში ღობის მკოცნელი ბიჭი ჯერ არ გაზრდილა და აწი რა მოგახსენო.

ხელი ნელა გავაპარე, რომ წელზე მოვხვიო. ეს არის ჩემი პირველი სერიოზული ნაბიჯი ცხოვრებაში. ამიტომ მიჭირს, ალბათ, მისი გადადგმა.

ვერ მოვეხევიე, მაგრამ ცოტათი ახლო მივუჩოხდი, დაეხარე, მის ხელჩანთას მივწვდი და თვალთერება დაეუწყე.

- რა კარგი რამეა, — ვამბობ მე.
- ინდურია.
- ალბათ, ძვირფასია. ვინ გაჩუქა?

— მე, ჩემო ნოდარჩიკ, ცხოვრებაში არავისაგან საჩუქრებს არ ვღებულობ. რაც მომწონს, რაც მინდა, იმას ცხოვრებიდან ჩემით ვინაღლებ. ჩემი დევიზია: ცხოვრებაში რაც კარგია, ჩემი უნდა იყოს, რაც მოგწონს და გიტაცებს, იმას უნდა მიწვდე და ჩაბლუჯო, დანარჩენი ისე უნდა მოიცილო და გადაყარო, როგორც ძველი ხელთათმანები.

- მერე და ადვილად ისრულებთ ამ თქვენ უცნაურ გულსწადილს?
- რატომაც არა. მე მყავს ქმარი, რომელიც ფუფუნებით მაცხოვრებს, მაქვს შესანიშნავი ბინა, ბევრი ფული, ძვირფასი ავეჯი, ნივთები, სამკაულები. ჩასაცმელი და დასახურავი. ჩემს დღეში ჩემთვის ცხვირსახოციც კი არ გაშირეცხია.

- შეილღები არა გყავთ?
- ისღა მაკლია ბავშვების ბადებით ფიგურა გაიფუჭო და მათი ჭკვიტინ-ჭკვიტინით ყურები გამოვიჭედო. განა ორჯერ ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე! მერე, ჩემო ნოდარ, ეს ცხოვრება არც ისე ხანგრძლივია, თურმე, როგორც გგონია. რასაც ირგებ ადამიანი ისაა და ის, მოხედვას ვერ მოასწრებ, რომ სიბერე უკვე მოგიკაუნებს კარზე. მე ფილოსოფიის არა გამეგება რა. ჩემმა ქმარმა მითხრა, შენ ჰედონიზმით გატაცებული ხარო და ეპიკურის მიმდევრად მომნათლა. არის ასეთი ბერძენი ფილოსოფოსი, თუ გაგიგონია. მაშინვე ვეცი, თუ რამე სადმე შეიძლებაოდა, ეპიკურის მოძღვრების შესახებ ამომეკითხა და აი, თურმე, რას ამბობს იგი: უნდა იცხოვრო

ბუნების თანახმად, ხოლო ეს წესი გავალღებ ცხოვრების გამარტივებას, ამოღებისაგან თავის დაღწევას. ბუნების ხმა ჩვენგან ბევრს არ მოითხოვს. „არ იშიშნო, არ იმწყურღალო, არ შეიცივნო“.

თითქოსდა ახლა გაახსენდა, მკლავები ხელისგულუბივით მოისრისა, გააძოძვიანა და მოთხრა:

— ახლა მართლა შემცივდა. ზღვიდან ცივმა სიომ დაუბერა.

ჩემსკენ მოიწია და ზურგიით მკერდზე მომეყრდნო. პიჯაკი გავიძრე და მოვახვეე.

— შენ არ გცივა? რაინდულად იქცევი? მოიცა, ორივემ მოვიხუროთ. აი ასე, მხოლოდ წყნარად იჯექი, ჰირივით მეჯავრება უხეში და უზრდელი მამაკაცები. არ გამიფუტო შენზე კარგი შთაბეჭდილება.

— ვცადოთ, ცეცხლს ნავთი თუ დაეჭრობს.

— როგორ გიცემს, ბიჭო გულა.

— მე ვერ ვგრძნობ.

— დაწყნარდი. წამო, წავიდეთ, თორემ მალე სასადილოს დაკეტავენ. — სცადა თავი გაეთავისუფლებინა და მკლავებიდან დამსხლტოდა. — რა რკინასავით ღონიერი ყოფილხარ, ბიჭო, გამიშვი, ვილაცხები მოდიან.

ამან მართლა შემაკრთო და ხელი გავუშვი. ის კი წამოხტა, შველივით დამისხლტა და გამექცა.

პიჯაკი ჩავიცვი. მთვრალივით ვბარბაცებდი. საით წავსულიყავი, არ ვიცოდი. პაპიროსის კოლოფი ამოვიღე, ცარიელი აღმოჩნდა. ბრაზისაგან დავლეწე, დავსრისე და გაზონში ვისრიალე. მამრახებდა ჩემი უხეშობა, მაგრამ იმაზედაც ვბრაზობდი, რომ ეს არსება ასე იოლად გავუშვი ხელიდან.

* * *

სასადილო უკვე დაეკეტათ. ყველანი კინოში წასულიყვენ. წავედი. სურათის ჩვენება დაწყებულიყო. რაღას ვიზამდი. უკანვე გამოვბრუნდი ისევ. ადგნებული ვიყავი და ერთ ადგილზე

ვერ ვისვენებდი. ჯერ უმიზნოდ ვიხეტიალე ხეივნებში და სულ შემველოდი, რომ რომელიმე მიბნელებულ კუნჭულიდან მოულოდნელად გამოჩნდებოდა ლეტიცია. მაგრამ ის არსად არ ჩანდა. მერე ქუჩაში გავიხედე, პატარა სავაჭრო ფარდულში სინათლე კიაფობდა. მივედი პაპიროსი ვიყიდე. საქონელი შევათვალეირე.

— ამელამ ქარი იქნება, — მოთხრა წვერგაუპარსავმა ქალარა გამყიდველმა.

— რა იცი, ბიძია.

— მაგის მეტი რაი ვიცი, შეილო. საღამოს ზღვიდან რა ცივი ქარი წამოვა, გაავდარდება.

ისევ ბალში დავბრუნდი. მალიმალ ვიხედებოდი საათზე და ველოდებოდი სენსის დამთავრებას. მინდოდა კიდევ შევხედროდი ლეტაციას. გამეგო, მიჯავრდებოდა თუ არა, გამეგო, კიდევ ისურვებდა ჩემთან მოახლოვებას, თუ არა. გამეგო, მართლა ვუყვარდი, თუ არა.

ღრო კი წარმოუდგენლად ნელა მიიზღაზნებოდა. საათხახევარი მთელ საუკუნედ გადაიქცა. მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო და სენსიც გათავდა. დამსვენებლები ხმაურით გამოვიდნენ კინოდან. ლეტიცია არსად არ იყო. გულში გამკრა, დარბაზში ხომ არ მემალემა მეთქი, მაგრამ არც იქ იყო.

— ვის ეძებ, ბიჭო? — მკითხა იაკობმა და მკლავში ხელი გამომლო — ვახშამად რატომ არ მოდი. არც ლეტიცია იყო. თქვენ რა... ერთად ხომ არ იყავით საღამე?

— არა, რას ბრძანებთ.

— მაგისტანა ქალზე რუსები იტყვიან ხოლმე, ს ქირუ ბესიატსა, ესე იგი, ამქვეყნიური სიკეთე რომ მოყირუებით, აღარ იციან, რა გააკეთონ. შენ, ვატყობ, თვალში მოუხვედი და ისე არ მოგივიდეს, როგორც ერთხელ ბავშვობაში მომივიდა.

— რა მოგივიდათ, ძია იაკობ.

— რა, და, ერთხელ მინდვრად ვიყავი ჩემს ყმაწვილობის ემას, აღარ მახსოვს, მგონი, პურის მკის ღროს, მზიან



დღე იყო. ვდგავარ ჩემთვის და ვხედავ, მოულოდნელად ჩიტი ჩამიფრინდა ხელში. აბა, რამდენჯერ მიოცნებია, ნეტავი ოდესმე ხელში ჩიტი ჩამიფრინდებოდეს მეთქი და, რას ვიფიქრებდი, რომ შემთხვევა ამ ნატვრას ამისრულებდა, ჩამიფრინდა და სანამ მოვისაზრებდი, როგორ მოგვეცულებოდა, ზედ თავთან მიმინომ გადამიჭროლა, თურმე ამ ჩიტს მოსდევდა და, მართალია, ამ საცოდავისათვის შეიძლება უფრო მეტ საფრთხესაც წარმოვიდგენდი, მაგრამ მეტი გზა რომ არა ჰქონდა ერთ ჭირს მეორე არჩია და მე დამეტაკა გულზე. ჰაუ, ჰაუ-თქო, მივაძახე მიმინოს, მართალია, ის კი დავაფრთხე, მაგრამ ამ პატარა ჩიტმაც მოისაზრა, თავს უშველა და ხელიდან დროზე დამისხლტა.

იაკობის ნაამბობი მენიშნა. მგონი, რალაც ამის მაგვარი შემემთხვა ამ საღამოს. სასადილოსაკენ რომ უნდა წავსულიყავით, ლეტციამ ხომ სხვა მხარეს წამიყვანა. მერე სახლს შეხედა და დაინახა, რომ იქ ერთ-ერთ ოთახში სინათლე ჩაქრა და ქალმა კინალამ მკლავზე ხორცი მომაგლიჯა სიმწრით.

ნეტაც ვინ ცხოვრობს იმ ოთახში? — წამო, ერთი ყური დავუგდოთ რაზე საუბრობენ ასე გაცხარებით? — მითხრა იაკობმა და თვალით ვერანდაზე შეჯგუფულ მამაკაცებისკენ მანიშნა.

როგორ გავიგო, ვინ ცხოვრობს იმ ოთახში? მივუახლოვდით მამაკაცთა ჯგუფს, ისინი, უმეტესობა რუსები იყვნენ, მე კი რუსული ძალიან ცუდად მესმოდა და ვერაფრით ვერ მივხვდი, რაზე ლაპარაკობდნენ. კიდევაც რომ გამეგო, მაგათი ყურის გდების თავი მქონდა?

იაკობი კი მომიბრუნდა და მკითხა: — იცი, რაზე საუბრობენ?

— მაგდენი რუსული რო ვიცოდე...

— ყური მიგდე. ესენი დონბასელი შემახტებები არიან. ქვანახშირს იღებენ. სამთო კომბაინებზე აქვთ ლაპარაკი. გავიგონია სამთო კომბაინი? არის ასეთი მანქანა. მიაყენებ შრეს, თხრის ნახშირს და მიდის წინ თხუნელასავით. ძალიან

კარგი გამოგონებაა. მხოლოდ ეს არის, რომ ჩვენი ტყიბულისათვის (არა გამოიყენება). არაა რენტაბელური, მართლაც, თხუნელნიან ნახშირის საბადოში ვარგა. არც უიათურის მაღაროში გამოდგება, მაგრამ, შენ კი ინჟინრობას აპირებ, მაინც უნდა ისწავლო.

მერე მოდგა და ეს მანქანა დეტალურად ამიწერა, მაგრამ მისი ნათქვამი ერთ ყურში შედიოდა და მეორეში გადიოდა. მე ახლა მარტო იმაზე ვფიქრობდი, როგორ გამეგო ვინ ცხოვრობდა იმ ოთახში და ამ საიდუმლოებისათვის ფარდა ამეხადა.

— სამთო კომბაინები ორგვარია, მადნის გამოძებნი, ანუ როგორც სამთო თერმინოლოგიაშია მიღებული, გამწმენდი და წინამსვლელი, ანუ გვირაბის მთხრელი. გამწმენდი კომბაინებიც ორგვარია... — მიხსნის დაუზარებლად იაკობი.

„ვთუ შე უბედურო, რა ტყვილა იღლი ენას. მაგის თავი მაქვს ახლა მე?“ — ვფიქრობ გუნებაში.

— ერთი კომბაინი ოცდახუთ მაღაროელს ცვლის, — განაგრძობს იაკობი. იღბლად. ვერანდაზე მორიგე ექიმი გამოვიდა და გამოგვიცხადა, ძილის დროა და, თუ შეიძლებოდეს, სანატორიუმის რეჟიმს ნუ არღვევთო.

ყველანი დასაძინებლად წავედით, მაგრამ კარგახანი გავიდა, სანამ დაძინებას შევძლებდი, ლოგინში მოუსვენრად ებორჯავდი.

ღამით წარმოუდგენელმა ღრიალ-გუგუნმა გამომადვიდა.

— გლვიძავს, ბიჭო? — მკითხა იაკობმა, თავის სასთუმალთან ლამპა აანთო და საათს დახედა. — ოჰო, სადაცაა გათენდება.

— რა ამბავია? — წამოვიწიე ლოგინზე და თანჯერებს ვაეხედე.

— ქარიშხალია. თორმეტი ბალი მაინც იქნება. ასეთი დღევა, კარგახანია, არ ყოფილა. შენ გეძინა, საყვირები რომ ააგუგუნეს. მთელ სანაპიროზე ახლა წითელი ფარნები და აღმებია საკონტროლო ხაზის გასწვრივ გამოკრული.

— ეგ რატომ?

— იმის იქით აკრძალულია ზღვასთან მიახლოება, თორემ შეიძლება მოულოდნელად ტალღამ მოგიტაცოს. შენ ხომ მოხიბლული იყავი ზღვით, აბა, ახლა უნდა ნახო, როგორი საშინელებაა.

ფეხზე წამოვიჭერი და ჩაცმა დავიწყე.

— სად მიხვალ, ბიჭო? — მკითხა იაკობმა.

— უნდა ვნახო.

— რა უნდა ნახო, სულელო. დაწევი დაიძინე. ეს დეღვა შეიძლება რამდენიმე დღეს გაგრძელდეს. მაგის ნახვას მოესწრები. ახლა ბნელა, ერთ საათში გათენდება. მერე ერთად გავიდეთ, მეც წამოვალ.

დაეწევი და გავინახე. ზღვა კი ისევ ღმუროდა, ზენეშოდა და მიწას ახანზარებდა. გაუთავებლად, მძიმედ, თითქოს ეს დედამიწა წაეჭვიოს და მის დახრჩობას ლამობდა.

დერეფანში ხმაური გაისმა. ქალებს შეშინებოდათ, წამოშლილიყვნენ და დერეფანში გარბი-გამორბოდნენ. მათ მორიგე ქალი ამშვიდებდა და მე აშკარად მომესმა მისი ხმა.

— ნუ გეშინიათ, ზღვა აქამდე ვერ მოაღწევს.

სწრაფად ჩავიციე ტანსაცმელი და დერეფანში გავვარდი. დაეინახე, რამდენიმე ქალს გრძელი ხალათები ჩაეცვათ და შეშინებული გარბი-გამორბოდნენ. ზოგი მათგანი პაპიროსს ეწეოდა.

— შენ რაღა მოგივიდა? — მითხრა ღმილით მორიგე ქალმა, — შენც შეგეშინდა?

რომელიღაც ხნიერი ქალი მოუბრუნდა მორიგეს და წყენით უთხრა.

— მოდი და ნუ შეგეშინდება. ტალღები ფანჯრებს წვდება. წადით და ერთი ნახეთ, რა ხდება.

დერეფანში სხვა მამაკაცებიც გამოვიდნენ. კითხულობდნენ, რა მოხდაო, ქალებს ამშვიდებდნენ, ამთქნარებდნენ და იხმორებოდნენ. მერე ყველანი სა-

ლონში წავედით. იქედან ზღვა ხელისგულივით მოჩანდა. დარბაზში სინათლე განგებ ჩაეჭროთ, რომ დილის რიყრაყში უკეთ დაენახათ, რაც გარეთ ხდებოდა.

ზღვა აღუღებულებით ხაფხაფებდა და სახლისოდენა ზვირთებს მოაქანებდა, უეცრად მოახეთქებდა ნაპირს, იმოდენა წყალი შხუილით და ღრიალით ავარდებოდა ცაში, თითქოს ნაღმებით აეფეთქებიათ და იქედან ტყლაშუნით გვესროდა წყლის ბელტებს.

ერთ ფანჯარასთან თვალი მოვეკარი ლეტიციას. გრძელი შავი ხალათი ჩაეცვა, რომელზედაც ფერადი ძაფებით გველუშაები იყო ამოქარგული. ფანჯარას აკვროდა და ხარბად უცქეროდა აქაფებულ ზღვას.

გვერდით დავუღეკი.

— რა შესანიშნავია და რა შემზარავი, — თქვა მან, მერე მოიხედა, მიცნო და გამიღიმა.

— ნოღარ, შენ ხარ? — ხელი ხელზე მომითათუნა — კარგი ბიჭი ხარ, რომ მოხვედი. ხედავ, რა ხდება! მეშინია.

— ჩემთანაც?

— შენთან? — მკლავში ხელი გამომდო, მომეკრა და ისევ ზღვას გახედა, — შენთან, ახლა, არა. წუხელი კი შემეშინდა. საშინელი იყავი.

— ბოდიშს ვიხდი, თუ რამე გაწყენინეთ.

— არაფერია, არაფერი.

— რატომ კინოში არ მოხვედით.

— ჩემთან წავედი ოთახში. სულ მარტო ვიყავი. ყველანი კინოში წასულიყვნენ. მეგონა, გუშინდელი მღელვარე ზღვა ოთახში შემომივარდებოდა, მაგრამ ჩემი შიში უსაფუძვლო გამოდგა.

— მართლა, ეკლიანი ყოფილხართ, ქალბატონო.

— ნუ ბრაზობ. გეხუმრები.

ზღვა კი ისევ გახელებული ბრდღვიანავდა, დღუღდა და ტალღათა გაპარკყული თითებით ცდილობდა, რაც შეიძლება მალა ამხტარიყო და ღრუბლებს მიწვდომოდა.

თამაზ ჭილაძე

ასე არასდროს

დილაა ისე მკრთალი და ცივი,
თითქოს ცარიელ საბლში თენდება...
ნელა თენდება, თითქოს დიდისნის
სიმარტოვეში თმები თეთრდება.

აღებენ ფანჯრებს და კბეებზე
ისმის მერძევეს კასრის წყრიალი,
ვადმოხატულან სარკმლის მინებზე
აღვები ჩუმი და ნაწვიმარი.

სამრეალოები რეკენ აქა-იქ,
ვილაცას, ალბათ, კიდევ სწამს ღმერთი...
ჩაიში ნელა დნება შაქარი,
ჩნდება ვაზეთი საუზმის გვერდით.

გათენებულა... იცდის ხარაჩო,
იცდის ქარხანა,
იცდის მარტენი,
ასე არასდროს, ასე არასდროს
არ ამყოლია ფიქრი ამდენი.

რა დამესიზმრა, რა მომელანდა —
მინდა მოგზავიო, ქალაქო, ხელი,

და ქარი ქვებზე, როგორც ხელადა
ტყდება და მერე ნამსხვრევეც მღერის.

როგორც მზინავი აბლაბუდები,
ქადრის ხეები ცაში გისვრია
და წლები, მერცხლის ბუდეებივით,
შენს აივნებზე შემხიზნია.

ასე არასდროს არ მიფიქრია,
იქნებ ჩემს ხმასაც უცდის ვილაცა,
იქნებ ამოდ გადამიგდია,
რაც დრომ წაიღო და გაიტაცა.

ცეცხლწაკიდებულ ზვინივით იწვის
გული, რომელიც შენ დაგამგვანე,
შენა ხარ ჩემი სამარის მიწა
და ჩემი შვილის თბილი აკვანი.

რა დამესიზმრა, რა მომელანდა —
მინდა მოგზავიო, ქალაქო, ხელი,
და ქარი ქვებზე, როგორც ხელადა
ტყდება და მერე ნამსხვრევეც მღერის

გაზაფხული

ნუთუ არ ისმის, ნუთუ არ ისმის
არავის ხმაში ამ გულის ფეთქვა,
ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩემი სისხლი
ადიდებულა და ყინულს ხეთქავს.

ნუთუ ვერ ხედავ ჩემს სახეს წყალში,
თითო ფოთლებში, ქვებში, ღრუბლებში
და გაზაფხულის ფერებად დაშლილს
ვერც შეგობრების მამჩნევ გულებში.

რატომ მეგონა — ჩემი ფიქრები
ხეებს ფოთლებად გამოებმოდნენ,
დამინახავდი და ვიქნებოდი
შენი მეგზური ანდა მეპორნე.

ჩემი გულიდან ამოწვდილები,
ენას იღვამენ გზებზე მუხები...
სად მიფრინავენ წეროს მწკრივები?
ვის ეძახიან გრძელი ბუკები?

კატარა სადგური



გზის იქით მოჩანს
გაფანტული, მკრთალი სოფელი
და უფრო იქით
ვარსკვლავებში თვლემენ ალვები.
და სემაფორი, როგორც მწიფე
ასკილის ტოტი
ანთია გზასთან.

შენ გამოდიხარ და ბაჭანზე
ვილაცას ელი,
გარინდებული,
როგორც ბნელში ქვემეხის ლანდი.

და ტრიალ ველზე
პაწაწინა სადგურის ბაჭანს
ანათებს დიდი,
ყვითელი მთვარე.

ზეცაა მყუდრო და ზვიადი,
ვით პანთეონი
და ვარსკვლავები გენან
ქვევზე დაყრილ მიხაკებს.

დრო, რომლის წრეშიც
მოძრაობენ მატარებლები,
სავსეა შენით,
საყვირებით,
ბაირალებით.

უეცრად ცახცახს დაიწყებენ
ლიანდაგები
და სანთელივით ქრება კრიჟინა.

მატარებელი ამ სადგურზე
ჩერდება წამით...



აკილე სვლაძე

გვერით და ქვევით

— ლია!.. ლიი-ააა! — გაეძახოდი მთებს.
— ლიი- აა!..
— ლიი-ააა!..
— ლი-ააა!.. — იმეორებდნენ მთები.
ძახილი უფრო და უფრო შორიდან ის-
მოდა. ბოლოს უფსკრულში ინთქმებო-
და და იკარგებოდა.
ცა უამრავი მოკიაფე ვარსკვლავით
დამჩერებოდა. ძახილზე ვარსკვლავები
თრთოდნენ და მეჩვენებოდა — თითქოს
წკრიალებდნენ კიდეც, როგორც უზარ-
მაზარ ჭალზე ბროლის გირჩები. ხანდა-
ხან ჩემს ხმას რომელიმე მათგანი დაე-
დევნებოდა, ცაზე ცეცხლის ვიწრო
ზოლს დატოვებდა და ძახილთან ერთად
გაქრებოდა, დაინთქმებოდა სადღაც, ძა-
ლიან შორს.

— ლიი-ააა! — ისევ გაეძახოდი მთებს
და მთები ისევ იმეორებდნენ:

— ლიი-ააა!
— ლიი-ააა!
მერმე ძლივს გასაგონად, უფსკრული-
დან მოისმოდა:
— ლიი-ააა!
— ააა!
— იცნობთ ლიას?! გინახავთ ლია, თუ
არა?!
— არა!..
— არა!..
— არა!..

ღია სადარბაზო კიბეებზე არბოდა...
(ეს ბავშვობის დროინდელი ამბავია.)
გამწარებული მივდედი ლიას, თან

ვემუქრებოდი, ჩემს მუქარას აინუნშიაც
არ ავდებდა. კიბის მოსახვევში შემომ-
ცინებდა, დამეჭყანებოდა და ისევ არ-
ბოდა თავქუდმოგლეჯილი.

— დაგიჭერ და შავ დღეს დაგაყე-
ნებ! — აეძახოდი.

ნამდვილად ვცდილობდი დაქერას,
მაგრამ ლია ათიოდე საფეხურით მაღლა
გარბოდა და ვერ ვეწეოდი. სულ იმის
იმედი მქონდა, მეხუთე სართულზე მო-
ვიმწყვდევდი და ერთს რიგიანად მივ-
ბერტყავდი. ლია კი, ავარდებოდა თუ
არა მეხუთე სართულზე, ზარის ღილაკს
ეცემოდა და დედამისიც, თითქოს მთე-
ლი დღე ქალიშვილის ზარს ელოდებო-
დაო, მაშინვე გაუღებდა კარს.

გაწბილებული ერთხანს უაზროდ ვიწ-
რიალებდი ლიას კარის წინ, მერმე ქვე-
ვით დავეშვებოდი, დავუვებოდი კიბეს
და მეორე დღისთვის ახალ გეგმებს ვა-
წყობდი, როგორ დამეგო მახე, როგორ
მომეხელთა, მაგრამ ლია ჩემზე ეშმაკი
იყო, კვებიანი: დღეს დასამთავრებელ საქ-
მეს ხვალისთვის არასოდეს გადასდებ-
და, დღესვე მოათავებდა.

ჩავივლიდი მეხუთე სართულს და ისევ
მესმოდა ნაცნობი ხმა:

— ეი, ზღარბო, აკი დაგიჭერო?! —
ღია კიბის მოაჯირს ნიკაპით ეყრდნო-
ბოდა, თან ცბიერად უციმციმებდა თვა-
ლები.

მე ვემუქრებოდი:

— სხვა დროს დაგიჭერ!
— გინდა, შევრიგდეთ?
— არა!
— აღარ გავაბრაზებ.

— გამაბრაზებ და მიიღებ კიდევ!

— მართლა, ზღარბო?

ღია სიცილით კვდებოდა.

— ღია, ხმამაღალი სიცილი უზრდელობაა! — ეს უკვე ღიას დედის ხმა იყო. როგორც ჩანდა, ღიას დედა ვერ იტანდა ხმამაღალ სიცილს.

მე კი ვატყობდი, ყალბად რომ იცინოდა, მაგრამ ჩემთვის სულერთი იყო, ყალბად გაიცინებდა თუ წრფელად, მაინც ერთნაირად მოქმედებდა ჩემზე.

სულ იმას ვფიქრობდი, ამდენ ბიჭებში რატომ მაინცდამაინც მე ამომიჩრია მეთქი. სხვაზე ნაკლებად არ ვთამაშობდი არც ბურთს, არც ლახტს, არც ოთურმას. პირიქით, ჩემი თავი ყოველთვის სხვებზე ყოჩაღად მიმაჩნდა. იქნებ მართლა ვგაგვდი ზღარბს? დაქუცებული სარკეს მივადგებოდი და საკუთარ თავს დიდხანს ვათვალიერებდი სარკეში. მაინც რა საძაგელი თმა მქონდა, აბუჭგული, აჯაგრული, მოუხეშავია. მე რომ სხვა ბიჭებივით ხუტუტთმიანი ვყოფილიყავი, მაშინ... ოჰ, როგორ მოსწონთ გოგოებს ხუტუტთმიანი ბიჭები! რა იქნებოდა მეც მქონოდა ხვეული თმა, აბრეშუმივით რბილი, კულულებად დაყრილი შუბლზე. მაშინ, ალბათ, ღია აღარ გამაბრაზებდა, აღარ მომიწევდა კიბეებზე გიჟივით რბენა. განა ვერ ვხედავდი, განა ვერ ვამჩნევდი, მეზობლის ხუტუტთმიან ბიჭებს — ნამდვილ დოყლაპიებს მხოლოდ იმიტომ არ აბრაზებდა ღია, რომ ისინი ლამაზები იყვნენ.

ღია ვერც კი წარმოიდგენდა, როგორ განვიცდიდი, რამდენს ვფიქრობდი და რა დროს ვანდომებდი საკუთარი თმის მორჯულებას. თუმცა ამის წარმოდგენა არც სჭირდებოდა, ისედაც მიმწარებდა სიცოცხლეს.

კიბის მოაჯირზე ნიკაბდაყრდნობილი დამცქეროდა და იცინოდა. ახლაც მიკვირს, ეს გატრუსული, კნაქა, ეს ჩხინკი, ჭორფლიანი გოგო, რომელსაც მუდამ რომელიღაც კბილი აკლდა, როგორ ახერხებდა ასე ყალბად სიცილს. დიდ მომწვანო თვალებში ქვემოდან შევცქვიროდი, მინდოდა თვალი ჩემთვის გაე-

სწორებინა, მაგრამ ამოდ ვცდილობდი, ღიას მხერას ყოველთვის მშობლსავე მამოდ — ჯაგარზე ვგრძნობდი. სწორედ ეს მაგიებდა და მაცოფებდა.

კიდევ კარგი, ღია სხვა სკოლაში სწავლობდა და ერთი ჩემი საიდუმლო არ იცოდა. შესვენებაზე, გაკვეთილის დაწყების წინ თმას წყლით ვისველებდი და ვიტკეპნიდი. უნდა გენახათ, თავს გაკვეთილზე რა ლალად ვგრძნობდი. მაგრამ გაკვეთილი დასასრულს უახლოვდებოდა და ჩემი ტანჯვა იწყებოდა. თმა ნელ-ნელა შრებოდა და ოჯაგრებოდა, იშლებოდა. ყოველი დერის უმნიშვნელო რხევას, მოძრაობას ვგრძნობდი. ასე მეგონა, მთელი ქვეყანა ჩემს თავთან მოგროვილიყო და თვალს ადევნებდა, როგორ დგებოდა ყალუზე ჯაგარი. ნამდვილად ასე მეჩვენებოდა. ისე კი, მართლაც არ ვიცოდი, გრძნობდნენ თუ არა კლასის ამხანაგები ჩემს გასაჭირს. რა თქმა უნდა, გრძნობდნენ. გვიან მივხვდი. რასაკვირველია, ღიამ მიმახვედრა, ღია იყო ერთადერთი, რომელიც დაუფარავად მეუბნებოდა იმას, რასაც ფიქრობდა.

ერთხელ ბიჭები ეზოში ბურთს ვთამაშობდით. ის იყო, ბურთი ჩამომაწოდეს და თავი უნდა დამერტყა, ღიას ხმა გავიგონე:

— ეი, ზღარბო, თავი არ დაარტყა, ბურთი გასკდება!

ბიჭები სიცილით დაწყდნენ. როდესაც გონს მოვედი, აქლოშინებული ღიას მივხედვდი. ერთმანეთს ათიოდე კიბე გვაშორებდა. მეხუთე სართულს რომ მივუახლოვდი, მანძილი სამი-ოთხი საფეხურით კიდევ შევამცირე. ჩემ ცხვირწინ გასაოცარი სისწრაფით მოძრაობდა ჩხირივით წვრილი ორი ფეხი. კიბის დასასრულს კინალამ დავეწიე, კინალამ წავატანე კანკში ზელი.

ღია კარს მიაწყდა. სწრაფად აიწია ფეხის წვერებზე და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. აქ უკვე სასწაული მოხდა. ზარმა არ დარეკა. შეშფოთებულმა შემომხედა და ისევ დააჭირა ღილაკს თითი. არც ახლა დარეკა ზარმა. სასოწარკვე-



თიღმა ღიამ მუშტები დაუშინა კარს და ყვირილი მორთო, მაგრამ მე უკვე მის წინ ვიდექი... სული მოვითქვი და გამარჯვებულმა ნიშნისგებით ვუთხარი:

— ახლა სად წაშიხვალ!

ღია ზურგით მიაწეა კარს.

— ხომ დაგიკირე?!
 თხელი, სიფრიფანა აიტუნა და ხმას აღარ იღებდა. მომეჩვენა, თითქოს სიფთირემ გადაჰკრა. შეშინებული შემომცქეროდა. ისეთი უმწეო და საცოდავი ჩანდა, გამოიკვირდა, ეს როგორ მპარაზებდა-მეთქი, მაგრამ ვიდრე ამას გავიფიქრებდი, ღია კალმახივით დამისხლტა ხელიდან და ქვევით დაეშვა, თან მომამახა:

— ზღარბო!

მოულოდნელობისაგან გავშეშდი. მერმე დავედევნე, მაგრამ ღია აღარსად ჩანდა. თვალსა და ხელს შუა გაქრა. სირბილით ჩავედი ეზოში, ბიჭებს ვკითხე: ღია ხომ არ გამოსულა-მეთქი? არაო — მიპასუხეს. ისევ ამოვბრუნდი. დამეძალა, რომელიღაც მეზობელს შეაფარა თავი.

მეოთხე სართულზე ამოსულს ღიას სიცილი მომესმა. ავიხედე. ღიას კიბის მოაჯირზე ნიკაბი დაეყრდნო და ღიმილით დამცქეროდა... მე კი არ დამცქეროდა, ჩემ თმას უღიმოდა.

თვალი უნებურად კარისკენ გამექცა. კარი, რა თქმა უნდა, ღია იყო. აბა, ისე როგორ გაბედავდა იქ დგომას. რა მექნა, დაედექი და მომწვანო თვალებში შეეჩერდი.

— დაიღალე? — მკითხა უტიფრად.

— კი, დავიღალე, როგორ არა.

— ჩამოჯექი, ზღარბო.

— შენ არ გეკითხები, ჩამოვჯდები თუ არა.

— მაშ ზევით ამოდი. გგონია შემეშინდება.

— შენ ჩამოდი ქვევით.

— მე რატომ უნდა ჩამოვიდე. ამოდი და აქ დაგხედები.

— როგორ არა, დამხედები. თუ არ გეშინია, ჩამოჰყევი კიბეებს ქვევით. ხელს არ გახლებ.

— ქვევით არ ჩამოვალ, ზღარბო.

— ვიცი, განა არ ვიცი?!
 — დღეს იყავი სკოლაში.

— რა შენი საქმეა.

— არა, ისე გეკითხები... დღესაც დაისევლე?
 — რა? — უცებ ვიგრძენი, ცეცხლი როგორ მომეკიდა სახეზე.

— თმა... — მომიგო მშვიდად.

— რად უნდა დამესველებინა?

— რა ვიცი, თურმე ყოველ დასვენებაზე ისევლებ და ისე შედინარ კლასში... მე უკვე აღარ მახსოვს, როგორ გავჩნდი მეხუთე სართულზე, ხან ხელებით, ხან ფეხებით ვაბრაზუნებდი კარს, ღიას ვუყვიროდი, დარბევით ვემუქრებოდი. კარი გაიღო და ღია კარში გამოჩნდა ღიას დედა — მაღალ-მაღალი, ტანსრული ქალი.

— რა ყოფაში ხარ, ბიჭო?! — მკითხა გაოცებულმა.
 სახლში შევარდნა დავაპირე, გაეიწიე კიდევ. ღიას დედამ მხრებში ჩამავლო ღონიერი ხელები და გარეთ გამომავლო.

— ახლავე წადი შინ, თორემ მამაშენს დავეძახებ და ყურებს დაგაცლის.

მუქარამ ვერ დამაცხრო. თან შემოსასვლელ ოთახში ღიას მოკეარი თვალი და სულ ვადავირიე, ჰკუა დაეკარგე. ერთი გავიბრძოლე, ღონიერ ხელებს დავესხლტი. ღიას დედა დამეწია, დამიჭირა, შემაჯანჯლარა და ლანძღვა-გინებით გამომისტუმრა გარეთ.

— გაეთრიე, შე ქუჩის ბიჭო შენა! ღმერთო ჩემო, რა ყოფილა! ეს მალე კაცს მოკლავს!.. ნამდვილი ქუჩის ბიჭია.

ცხვირწინ მომიხურეს კარი. გამოვბრუნდი. კიბეზე გულმა მიმტყუნა, ამომიჯდა და ყელში მომეხვინა. ტირილით დავყევი კიბეებს. თვალები ცრემლით ამოვესო. ვერაფერს ვხედავდი და ცხელი ხელი მოაჯირს ჩავკიდე. მერმე იქვე კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი, ცრემლი მკლავით შევიმშრალე. არ მინდოდა, ნამტირალევი ბიჭებს დავენახე, მასხრად ამიგდებდნენ.

— ასე ვიჯექი ერთხანს. არაფერზე არ ვფიქრობდი, უაზროდ მივშტერებოდი

წარწერებით აკრელებულ, რუხ კედელს. იქნებ ცოტა დაემშვიდებულიყავი და ისე ჩავსულიყავი ეზოში.

ცოტა ხნის შემდეგ კარის ფრთხილი ჭრიალი გავიგონე, უკან არ მიმიხედავს, ვიგრძენი ვიღაც ფეხაკრებით გამოვიდა ოთახიდან. სუნთქვა შემეკრა. მომჩვენა, თითქოს გულისცემა შემჩიერდა. ვგრძნობდი, ვიღაც მადგა თავზე, მაგრამ ვახედვა არ მინდოდა.

წამოვდექი და უკანმოუხედავად დავეშვი ქვევით, კიბის მოსახვევში ჩემდა უნებურად გამექცა თვალი. მოაჯირს ზემოდ ლიას გაფითრებული, ჭორფლიანი სახე დავლანდე. შიშამდგარი, მომწვანო თვალებით მომჩერებოდა. მზერა აუარიდე და სირბილით დაუყვევი კიბეებს.

იმ ღამეს სადარბაზო კიბეები დამესიზმრა: ხან ზევით, ხან ქვევით დავდევი ლიას. ლია ქარივით დაჰქროდა. სულ ახლოს, ერთი ხელის გაწვდენაზე გასაოცარი სისწრაფით მოძრაობდა ჩხირივით წვრილი ფეხები. ისე სწრაფად მოძრაობდა, თითქოს მანქანა ყოფილიყოს ჩართული. სულ ცოტა მაკლდა, სულ ცოტა, და კანკში ვწვდებოდი, დავიკეროდი, მაგრამ ლია მოულოდნელად ქრებოდა და ახლა მე დავბროდი მარტო ზევით და ქვევით. მერმე ისევ გამომეცხადებოდა ლია, სპილენძისფერი, აბურღული თმით, ჭორფლიანი. ისევ მივდევი, დაუსრულებლად, მივდევი ხან ზევით, ხან ქვევით.

* * *

ეს სიზმარი კიდევ ერთხელ ვნახე, ოღონდ დიდი ხნის შემდეგ — სიკაბუკეში. არ ვიცი, უნახავს თუ არა ვისმე განმეორებით ბავშვობისდროინდელი სიზმარი? მე ვნახე, სწორედ ისე ვნახე, როგორც ბავშვობაში დამსიზმრებია...

ჩვენი ოჯახი, როგორც იტყვიან „მომთაბარე“ ცხოვრებას ეწყოდა. მამაჩემი სამხედრო ოფიცერი იყო და, სადაც მისი ნაწილი გადავიდოდა, ჩვენც დედა-

ბუდიანად ავიბარგებოდით და იმ ქალაქში დავსახლდებოდით. ფსევდონიმების დიდხანს აღარ დავტყუებდვარ. ბოლოსდაბოლოს მოვისვენე, აღარ მიხედებოდა კიბეებზე ზევით და ქვევით რბენა — არც ცხადად, არც სიზმრად..

რვა წლის შემდეგ კვლავ დავებრუნდი თბილისს. სწავლის გაგრძელებას ვაპირებდი და ჩამოვედი. ძველ ეზოს მოვაკითხე, დიდდანიშნთან დავბინავდი და გამოცდებისათვის თადარიგი დავიკირე.

თავისუფალ დროს ეზოს ბიჭებთან ვატარებდი. ერთად დავდიოდით ქუჩებში, ანდა ლალიძის წყლებთან ვიდექით და საუბრის წყურვილს ვიკლავდით.

ლიას ვერ ვხედავდი. არც მიკითხავს: სად არის-მეთქი. ვახსენებაც არ მინდოდა. უსიამოვნო ნალექი მედებოდა გულზე. იმიტომ კი არა, ბავშვობაში რომ დამცინოდა და მეც სულელივით ვბრაზდებოდი, არა, ჩემი თავისა მრცხვენოდა, მრცხვენოდა იმ პატივმოყვარეობისა თუ თავმოყვარეობისა, რომელიც მაშინ შელახულად მიმანდა.

რა თქმა უნდა, უკვე აღარ ვფიქრობდი, რომ ბიჭისათვის აუცილებელი იყო მაინცდამაინც ხუჭუჭი თმა, აბრეშუმივით რბილი, კულულებად დაყრილი შუბლზე. ბიჭობაზე სხვა წარმოდგენა მქონდა და ჩემი მოკლედშეკრეპილი აჯაგრული თმით შესანიშნავად ვგრძნობდი თავს.

დღეები გადიოდა.

აღლოთი ვგრძნობდი, დღეს თუ ხვალ ლია უნდა შემხვედროდა. თითქოს დაუჯერებელიცაა, ერთ ეზოში ვცხოვრობდით და ერთმანეთს ვერ ვნახულობდით. თუმცა სახლი დიდი იყო, თანაც ლია სხვა სადარბაზოში ცხოვრობდა. მაგრამ ხომ უნდა დამდგარიყო ერთი ისეთი დღე, როდესაც შემთხვევით ერთიდაიმავე დროს გამოვიდოდით შინიდან, ან ერთიდაიმავე დროს დავებრუნდებოდით. ან, მე რომ გამოვიდოდი, ის მაშინ დაბრუნდებოდა, ანდა — პირიქით.

აქამდე, შინიდან გამოსვლისას, თუ დაბრუნებისას, არასოდეს მიფიქრია ლიასთან შეხვედრაზე, ახლა კი ყოველთვის

ვფიქრობდი: შეიძლება შემხედვს-მეთქი, და ვლელავდი. ვლელავდი კი არა, ცოდვა გამხელილი სჯობია, მეშინოდა. თვითონ არ ვიცოდი, რისი მეშინოდა. თუმცა, შესაძლოა, ეს არც იყო შინი და ცოდვას ტყუილად ვაწერდი ჩემს თავს. ასე იყო, თუ ისე, ლიასთან შეხვედრას ვერიდებოდი. ხანდახან ისიც კი გამიფიქრია, ალბათ, სადმე შეხვდა კიდევ, მაგრამ ვერ ვიცანი-მეთქი. რვა წელი გავიდა მას შემდეგ, გამოიცვლებოდა, გადასხვაფერდებოდა.

არა, არ შეხვედრია, მერმე დაერწმუნდი, რომ არ შეხვედრია.

ერთხელ შინიდან გამოვედი. ივლისის მზე აცხუნებდა. ისე ცხელოდა, სადარბაზოდან გამოსვლისთანავე ვენანე, ნეტავი შინ დაერჩენილიყავი-მეთქი. ასფალტი ნოხივით რბილი იყო, თან ბული ასდიოდა.

ქუჩას გავხედე. ცარიელი, გვირაბივით ვიწრო და გრძელი ქუჩა ზარმაცად თვლემდა. მეც დამეზარა ხეტიალი და სადარბაზოში შევბრუნდი.

— გოგი! — გავიგონე ძახილი.

მე არ დამინახავს, ვინ მეძახოდა, არც ხმა მიცენია, მაგრამ მივხვდი, უფრო სწორედ, ვიგრძენი, ვინ უნდა ყოფილიყო და გავიფიქრე: დადგა ის დღე, რომელსაც ასე გავუბრბოდი-მეთქი. ოფლმა დამასხა, ტანზე უსიამოდ მომეკრა პერანგი.

სადარბაზო შემოსასვლელში ვიწრო კაბიანი, ლამაზი ქალიშვილი შემოვარდა. ერთი კი გავიფიქრე, ეს ლია არ უნდა იყოს-თქო. მაგრამ ქალიშვილმა, ჯერ თმაზე შემომხედა და გაიღიმა, ხოლო მერმე მომესალმა. რა თქმა უნდა, ვიცანი ჩემი ბავშვობის მტერი.

მეც გაუღიმიე და მივესალმე.

— გამარჯობა, ლია.

— რა უსინდისო ხარ, გოგი.

რაც თავი მახსოვდა, ლიას ჩემთვის სახელით არ მოუშართავს. იმ დღეს პირველად დამიძახა და, ცოტა არ იყოს, მეუცხოვა.

ჩვენ კარგა ხანს უსიტყვო ღიმილით ვათვალიერებდით ერთიმეორეს. ლია

ალარ იყო ქორფლიანი, ალარც კბილი აკლდა. ბავშვობისა მხოლოდ თვალები შემორჩენოდა, დიდი, მომწვანო თვალეები. სპილენძისფერი თმა გამუქებოდა და უფრო უზბონიავდა, ვიდრე ბავშვობაში. ისევე სიფრიფანა იყო, ხორბლისფერი, მხრებამდე ძლივს მწვდებოდა. თუმცა დაბალი არ ეთქმოდა, მე საკმაოდ ავიყარე ტანი.

ლიამაც ამხედ-დამხედა. თავით ფეხამდე ისე შემათვლიერა, სახეზე ღიმილი არ მოშორებია, ის ძველი, ნაცნობი ღიმილი.

— დიდი ხანია ჩამოხვედი?

— არც ისე, ორი კვირა იქნება.

— სამი კვირაა, მეტიც... ბიჭებმა მითხრეს...

— ჰო, სამი კვირაა, — დაუეშომწმე.

— ასე უნდა?!
მე არაფერი მიპასუხია.

— უნდა მოსულიყავი, გენახე.
უხერხულად გავიღიმიე და არც ახლა ვუთხარი არაფერი.

— რატომ არ მოხვედი?

— რა ვიცი.

— ახლა წამოდი.

— ახლა?

— ჰო, ახლა! — მითხრა ჯიუტად და მოუთმენლობა დაეტყო, თითქოს ჩემი არ წაყოლით საქმე უფუქდებოდა, ხელი ხელში ჩამეკიდა და დამქანა.

რალაც არ მომეწონა ლიას საუბრის კილოში, რა? ვერ მივხვდი, დაფიქრების საშუალება არ მომცა. გულში კი გავივლდე, არაფრით არ წავეყვები-მეთქი, მაგრამ ერთს ვფიქრობდი და მეორეს ვკეთებდი. მორჩილად მიყვებოდი, როგორც კისერზე თოკგამობმული კრავი.

— როგორ გავარეულებულხარ... უნდა მოგაშინაურო.

ისევე ავეყვი ლიას სადარბაზო კიბეებს. ზევით მივდიოდი, მეხუთე სართულზე, სადაც ლია ცხოვრობდა, ლია რამდენიმე საფეხურით წინ მისწრებდა, მე უხმოდ მივდევდი.

უცებ შეჩერდა და კიბეს ახედა. მერმე მომიბრუნდა.

— გახსოვს?

თაჭი დაეუქნე, თან მრავალმნიშვნელოვნად გავუღიშე — ვითომ, რა დამავიწყებს-მეთქი.

— რა სულელი იყავი, — მითხრა ლიამ, — არც მე ვყოფილვარ ჭკვიანი, მაგრამ შენ ჩემზე სულელი იყავი... როგორ ბრახდებოდი...

— ნამდვილად ებრახდებოდი.

— აქ რომ იჯექი და ტირილი?

— მართლა სულელი ვიყავი.

— გახსოვს, დედაჩემმა რომ გამოგაგლო?

ლიამ ისეთი რამ გამახსენა, უკან დაბრუნება გადავწყვიტე, ვატყობდი, დედამისსაც მოაგონებდა ამ ამბავს და წინდაწინ მეუფლებოდა უხერხულობა. წინდაწინვე ვხედავდი, როგორ ავიღე-წებოდი ლიას დედის წინ. მაგრამ ლია თავისას განაგრძობდა:

— როგორ დამდეგდი... ერთხელაც ვერ დამიპირე... ვერ შეწეოდი.

— ახლა რომ გაიქცე, დაგეწევი, დაგეპერ!

— აბა, დამიპირე! — ლია მოწყდა ადგილს და მეც დავედევნე.

სულ ახლოს გარბოდა. ვიწრო კაბაში დაეკიმა, დაეძაბა ტანი, — ლამაზი, მოქნილი. სწრაფად მოძრაობდნენ სწორი, ჩამოქნილი ფეხები... კინალამ დავეწიე, კინალამ წავატანე ხელი...

ლია მეხუთე სართულზე აიჭრა, ზარის ღილაკს თითი დააკირა და სიცილით მომიბრუნდა. ახლაც ისე მოხდა, როგორც ბავშვობაში. მაშინაც მიკვირდა ზარის დარეკვისთანავე როგორ უღებდნენ კარს, თითქოს სხვა საქმე არა ჰქონდათ და მთელი დღე ელოდნენ, როდის დააჭერდა ლია ზარის ღილაკს თითს.

ვიდრე ლიასთან მივიპერი, კარი გაიღო და ლია კარებში ლიას დედა გამოჩნდა, ისეთივე, როგორც იყო — მაღალ-მაღალი, ტანსრული, ოღონდ თმა გაქალაქავებოდა ოდნავ.

ლიას დედამ გაცოცხებით შემოგვხედა, რადგან დაღლილნი ღრმად ვსუნთქავდით, ვსუნთქავდით რომელია, ვჭმინავდით.

— დედა, ნახე ვინ მოვიყვანე. —

მაშინვე მიახალა ლიამ.

ლიას დედამ, ვიდრე კარგად დამაკვირდებოდა, გამიღიმა, ეგონა, მიცნობდა, მაგრამ დამაკვირდა და ღიმილი შეაშრა სახეზე.

— ვერ იცანი?... ეს ხომ გოგია!

ჩემმა სახელმაც ვერაფერი უთხრა. მე ვიდექი და ველოდებოდი, როდის მიცნობდა ლიას დედა.

— გახსოვს, ერთხელ რომ გააგდე... ქუჩის ბიჭი უწოდე... — სიცილით გაახსენა ჩემი თავი ლიამ.

უხერხულად შევიმშუშნე, ლიას დედა აიღეწა, მაინც შემოიპატიოა შინ:

— მობრძანდი, შვილო,...

ლიამ თავის ოთახში შემიყვანა, ბოდიში მომიხადა და რამდენიმე წუთით დამტოვა.

ოთახი ცარიელი მომეჩვენა. ერთი დაბალი ტახტი იდგა, ასევე დაბალი, პატარა მაგიდა და ორი მეტად მოხერხებული მსუბუქი სავარძელი. მაგიდაზე კურნალები ეყარა. რადიომიმღების გვერდით, ფანჯარასთან წიგნებით გატენილი სამი თუ ოთხი თარო ეკიდა.

ფანჯარასთან მივედი და გარეთ გავიხედე. ფანჯრიდან მზეზე გახუნებული თუნუქის სახურავები მოჩანდა, შეჭვარტლული საკვამურები, დაკიშული ანტენის მათეულები. ფანჯარას მზე არ ადგებოდა და ოთახში შედარებით გრილოდა. ერთი გავიფიქრე, შუა ზაფხულში საკვამურები რა უაზროდ გამოიყურება-მეთქი, ისიც შეჭვარტლული და შებოლილი.

რამდენიმე წუთი გავიდა. ლია იგვიანებდა.

რატომღაც ვფიქრობდი, ის ქინი, რომელიც ლიას ბავშვობაში ჰქონდა: სხვისი ნაკლის შემჩნევა და მერმე დაურიდებლად თქმა, გაღიზიანება, თითქოს ახლაც შემორჩენოდა, ოღონდ სხვა სახით ავლენდა, უფრო შენიღბულად, დაფარულად. ძალზე გამიკვირდა, ისე რომ შემხვდა, რვა წელი კი არა, თითქოს რვა დღე არ გვენახა ერთმანეთი. რვა წელი ცოტა ხომ არ არის, რვა წლის უნახავები მგონი, ასე არ ხედებიან. დროს ყო-



ველთვის შინაგანად ვეკრძალებოდი, მა-
მაჩემის გავლენით რიდიტ ვეპყრობოდი,
თითქმის მეშინოდა კიდევ. მართალია,
შეუგნებლად ვეკრძალებოდი, მაგრამ
მაინც ღრმად მქონდა გამაჯდარი დრო-
ისადმი კრძალვა. მერმე, ვალდებული
ხომ არ ვიყავი, ჩამოსვლისთანავე ვხლე-
ბოდი ლიას? მეგობარი რომ ყოფილიყო,
მაშინ სხვაა. ჩვენ კი ბავშვობაში, რო-
გორც კატასა და ძალს, ისე გვძულდა
ერთმანეთი. ამას გარდა, ლია თითქოს
უპირატესობას გრძნობდა ჩემს მიმართ,
თითქოს ზევდიდან დამცქეროდა.

ფანჯრიდან თუნუქის გახუნებულ სა-
ხურავეებს ვხედავდი და ვგრძნობდი,
თუნუქი როგორ იყო გავარვარებული.
სახურავეებს იქით ცა მოჩანდა, ქალაქის
მტკრისაგან და ბუღისაგან გაფერმკრთა-
ლებული, ფერგაცრეცილი.

ოთახში ლია შემოვიდა. მე ეს ვიგრძე-
ნი და მოვბრუნდი. ტანსაცმელი გამოე-
ცვალა, საშინაოდ გამოწყობილიყო. გვი-
რჩილებით მოჩითული სარაფანი ეცვა.
შიშველი ფეხები ქოშებში წაეყო.

— მოგწონს ჩემი ოთახი? — მკითხა
შემოსვლისთანავე.

მართალი ვთქვა, შეფასების თვალსაზ-
რისით ლიას ოთახი არ დამითვალისწი-
ებია, ისე კი, ნამდვილად მეჩვენებოდა,
რომ ოთახი ცარიელი იყო და კიდევ შეი-
ძლებოდა რამდენიმე ნივთის შემოტანა
და დადგმა.

ლია ისე ახლოს მოვიდა, ვერაფრის
თქმა ვერ მოეახერხე, უკან დასახევი
რომ არ მქონდა, გვერდზე გავიწიე. თა-
ვისი დიდი, მომწვანო თვალებით დაქი-
ნებით მიმზერდა სახეში, თითქოს მამო-
წმებდა.

— მოგწონს? — გამიმეორა.

თანხმობის ნიშნად თავი დაუქნეი.

უცებ უცნაური სურნელება ვიგრძენი.
ასეთი სურნელება იშვიათად მიგრძენია,
ისიც ბავშვობაში, მამაჩემი კვირა დღეს
ქალაქგარეთ რომ გამოიყვანდა ხოლმე.

— ძალიან მიყვარს ჩემი ოთახი.

— კარგი ოთახია.

ლია თვალს არ მამორებდა, დაბნეუ-
ლი აქეთ-იქით ვიხედებოდი, თითქოს გა-

საქცევ ადგილს ვეძებდი.

— სულ სხვანაირი ხარ, სხვანაირი.

— მაშ, როგორი უნდა ვყოფილიყავი?

— რა ვიცი... მე სხვაგვარად მყავდი
წარმოდგენილი.

— მეც არ შეგონა, თუ ასეთი იქნე-
ბოდი.

— მართლა? შენც ფიქრობდი ჩემზე.

— ვფიქრობდი. — დავეთანხმე. მერმე
ჩემს თავზე გული მომივიდა და გავწი-
თლდი, რატომ ვტყუი-მეტი. თბილისში
დაბრუნებამდე არასოდეს მიფიქრია
ლიაზე, არც კი მიცდია, წარმომედგინა,
როგორი იყო. ვიცრუე. ხომ შეიძლებო-
და მეთქვა, არ მიფიქრია-თქო. გამბედა-
ობა არ მეყო, მივხვდი, გამბედაობა არ
მეყო. თანაც, ნამდვილად მინდოდა ლია-
სთვის შესიაპოვნებინა. ჩემი თავი უჩვე-
ულოდ დაძაბული დავიჭირე. ამავე
დროს, მომეჩვენა, ლია ყველაფერს
გრძნობდა და მამჩნევდა. ამიტომ ვერ
გადავალაჯე უხერხულობას. უცებ გა-
ვიფიქრე რომ ისე უბრალოდ შეეგებე-
ბოდი, როგორც ლია შემხვდა, შესაძ-
ლოა, ეს უხერხულობა არ ჩამოვარდნი-
ლიყო. მე ვიყავი შებოჭილი, შეკრული,
იქნეული, ლია კი სულაც არ გრძნობ-
და თავს უხერხულად.

— გიყვარს თეატრი? — მკითხა ლიამ
დუმბილის შემდეგ და ტახტზე ჩამოჯდა.

— თეატრი ყველას უყვარს... მაგრამ
მე იშვიათად დავდივარ...

— ყველას არ უყვარს, — გამაწყვე-
ტინა ლიამ.

მე მართლა არ ვიცოდი, ყველას
უყვარდა თეატრი? ან მე კი მიყვარდა.
ამაზე არ დავფიქრებულვარ, არც მიკი-
თხავს ვისმესთვის: თეატრი თუ გიყვარს-
მეტი.

— ვისაც უყვარს, ის ხშირად დადის
კიდევ... აი მე... სიყვარული ცოტაა... მე
უთეატროდ ცხოვრება არ შემიძლია.

მსახიობობა გადაუწყვეტია, — გავი-
ფიქრე. უცებ მომაგონდა: ეციენბოდა.
თუ არ ეციენბოდა, ლიას ყოველთვის
შეეძლო გულიანად სიცილი, ასევე შეე-
ძლო მოულოდნელად გაფითრებულიყო,
თავი ისე მოეკატუნებინა, რომ შეგო-

დებოდა. მე არ ვიცოდი, ეს თურმე ნიჭი ყოფილა.

ლია დიდხანს ლაპარაკობდა გატაცებით. მე არ მესმოდა, თითქოს ჩემთვის გაუგებარი ენით მესაუბრებოდა, მაგრამ ვხვდებოდი, ლიას ცხოვრების გზა არჩეული ჰქონდა. ლია ამ გზაზე უკვე მიდიოდა და მიზანი ნათლად ესახებოდა. მესაუბრებოდა დიდ ხელოვნებაზე, თეატრის დიდ მომავალზე. ლიამ იცოდა ყველაფერი, რაც თეატრს შეეხებოდა, იცნობდა ყველას, ახალს თუ ძველს, ვისაც ოდენსმე თეატრთან რაიმე კავშირი ჰქონია...

ზოგჯერ ბოლომდე არ წეუბნებოდა სათქმელს, მიმანიშნებდა და უნდა მივხვდარიყავი. მე ვერ ვხვდებოდი, მაგრამ ისე ვაჩვენებდი თავს, თითქოს მივუხვდი, გავუგე. თან გული ბოლომდე მევესებოდა და ვეღარ ვამჩნევდი მის ლამაზ სახეს, შიშველ მკლავებს, მოქნილ სხეულს. სადღაც გაჰქრა ის სურნელებაც, ბავშვობაში რომ მამბრუებდა, როცა მამაჩემს ქალაქარეთ გავყავდი სასეირნოდ. უკან მივხედე ჩემ პატარა გზას — იქ სიკარბიელ იყო. არასოდეს არ მიოცნებია ლიასავით ასე სრულად. ასე სისხლსავსეთ, ასე გატაცებით, არასოდეს ასე არ მიფიქრია და ლიასავით ნათელი მიზანი არა მქონია არასოდეს.

მე მინდოდა, გეოლოგი გამოვსულიყავი, ესეც ვილაცამ მირჩია, მგონი, გეოგრაფიის მასწავლებელმა. კარგად არც მქონდა წარმოდგენილი, რა იყო გეოლოგია. ვიცოდი, გეოლოგები მთებსა და ველზე დადიოდნენ და მადანს ეძებდნენ, მეც ვივლი, მეც მოვძებნი მადანს — მეთქი და გადავწყვიტე გეოლოგი გამეხდარიყავი. ლია კი სხვა იყო, ლია ოცნებობდა, ლიას არ შეეძლო სხვანაირად ცხოვრება — დიდი ხელოვნებისათვის იყო დაბადებული. ის ოცნებობდა თავისი თავი ეთამაშა სცენაზე, ეთამაშა ქალიშვილი, რომელსაც წრფელი ოცნებები აქვს, მაღალი ფიქრები, რომელმაც ისეთი სიყვარული იცის, როგორც არავინ.

— ახლა წავალ. — ეთქვი მე, როცა ლია გაჩუმდა.

მზე კარგა ხნის ჩასული იყო. სახურავებზე ბინდი წვეებოდა.

— მოიცადე, რა გეჩქარება. — მითხრა ლიამ და წამოდგა.

— არა, წავალ.

— ერთად ვივალსმით.

— ვერ დაერჩები... მაღლობელი ვარ...

— მოგწყინდა? თეატრზე აღარ ვილაპარაკებ... მე ვიცი, ყველას არ უყვარს თეატრი... თუმცა შენ რატომ არ უნდა ვიყვარდეს...

— იშვიათად დავდივარ თეატრში.

— როცა მსახიობი გავხდები, მაშინ ივლი?

— ალბათ.

— შენ რაღაც გაგარეულებული მეჩვენები. ეს უკვე გითხარი, მაგრამ იმიტომ გაგიმეორე, რომ ახლაც მომეჩვენა, თითქოს ველური ნაპერწკალი გენთო თვალბში.

— ნახვამდის, ლია.

— ამოხვალ ჩემთან?

— ვეცდები.

— ეცდები კი, არა, ამოდი!

— თუ მოვახერხე, ამოვალ.

— აქ ამოსვლას რა მოხერხება უნდა.

— რა ვიცი.

— მე სულ აქა ვარ, ჩემს ოთახში, მარტო... ამოდი...

შევამჩნიე, ნაწყენმა გამომაცილა. ლია კარებში იდგა და მიმზერდა. დიდ, მომწვანო თვალბში სინანული ნისლივით გაწოლილიყო. ლიას ალბათ, ეგონა, ამოდ დაიხარჯა, ეგონა მისი ოცნებები, ფიქრები, მიზნები ისე ატარად მომეჩვენა, რომ სიტყვა არ შევაწიე, არაფრით გვეუმაგრე იმედები. ლიას იქნებ უნდოდა, მეც გამეხსნა გული, მასთან ერთად მეც შეოცნება. მაშინ... მაშინ, ალბათ, გავუგებდით ერთმანეთს...

დაფიქრებული დაებრუნდი შინ და გვიან ღამემდე არ დამეძინა.

მე მაწუხებდა ჩემი უვიცობა და სიპატარავე, უმიზნობა, უოცნებოდ,

უფიქრებოდ გატარებული დღეები. დილით ადრე ედგებოდი, მივდიოდი სკოლაში, მერმე სკოლიდან ვბრუნდებოდი, გაკვეთილებს ვამზადებდი, მერმე ცოტას ვერთობოდი, ბურთს ვთამაშობდი ან ლახტს, კინოში დავდიოდი. ან არაფერს ვაკეთებდი. მერმე ვიძინებდი. შუალედებში, რა თქმა უნდა, ვსაუბრობდი, ვსადილობდი, ვვახშმობდი. ყველაფერს ჯარისკაცული სიზუსტით ვასრულებდი.

საკუთარ გულს ვასკდებოდი. ახლაც მომიჩვენა, თითქოს ისევე იყო შელახული ჩემი პატივმოყვარეობა თუ თავმოყვარეობა, როგორც მეჩვენებოდა ბავშვობაში, როცა ლიას სადარბაზო კიბეზე დავდევი.

იმ ღამეს გვიან დავიძინე.

სადარბაზო კიბეები დამესიზმრა: ვითომ ჩვენ ისევ ბავშვები ვიყავით. ლია ზევით გარბოდა კიბეებზე და მე მივდევი. მივდევი და ვერ ვეწეოდი. სულ ახლოს, ცხვირწინ წარმოუდგენელი სისწრაფით მოძრაობდა ჩხირივით წვრილი ორი ფეხი... კინალამ დავეწიე...

ეს იყო ბავშვობის დროინდელი სიზმარი, რომელიც მეორედ სიკაბუტეში ვნახე და მერმე არასოდეს აღარ დამსიზმრებია...

მაგრამ ამით არ თავდება ჩვენი ამბავი.



ლიას ვეღარ ვხვდებოდი. დრო აღარ მჩრებოდა... დროის სიმცირეს ისე განვიცდიდი, როგორც შიმშილს ან წყურვილს: განიცდიან ხოლმე. მივივრდა, სხვებს საიდან ჰქონდათ ამდენი თავისუფალი დრო. ყველგან რომ ასწრებდნენ სიარულს. უქმად დაეხეტებოდნენ ქუჩაში, დროს ლაზღანდარობასა და გოგოებთან ღლაბუცეში ფლანგავდნენ.

თუკი თავისუფალ დროს მოვიხეტებოდი... ვკითხულობდი ან ვფიქრობდი დიდ გეოლოგიურ აღმოჩენებზე. ეს იყო ჩემი ოცნება, იგი თითქოს ლიასა-

გან ვისწავლე... მაგრამ მე არ შევადგებოდა სურვილი ვისმესთვის განმეზიარებინა ჩემი ფიქრები, თუნდაც ლიასთვის, რომელმაც ასე უბრალოდ, წრფელად გადამიშალა გული.

ლიას ხანდახან შემთხვევით თუ შევეფეთებოდი. ლია აღარ მთხოვდა მასთან ასვლას. მივესალმებოდი, სხვათაშორის მოვიკითხავდი ერთმანეთს და დავმორადებოდი. მე არ მჭირდებოდა მისი პატივი, ალბათ დრო დადგებოდა და თვითონ ავაკითხავდი, ოღონდ არა ისე, მაშინ რომ მივეყვებოდი მორჩილად, როგორც კისერზე თოკგამობმული კრავი. თვითონ ავაკითხავდი ლიას, თვითონ ავიდოდი ლიასთან...

ზაფხულობით უკვე ველზე გავდიოდი სამეცადინოდ.

ქალაქში ხან მზით დამწვარი, გარუჯული, ქარდაკრული და მტვრიანი ვბრუნდებოდი, ხან წვიმით გალუმპული და დამბალი. ასე ვიმუშავებდი და ვითვისებდი გეოლოგის ჩვეებს, გამძლეობასა და ალღოს. უნივერსიტეტის დამთავრებისას ნამდვილი გეოლოგი ვიყავი. ასე ამბობდნენ ჩემი მასწავლებლები...

წვიმა...

ქარი...

თოვლი...

მზე...

ისევ ქარი, ისევ წვიმა, ისევ მზე... დავეხეტებოდი მთებში თვითმფრინავით, ვერტმფრინით, მანქანით, ცხენით, ფეხით, რითაც მოგვიხდებოდა, რითაც უფრო მოსახერხებელი იყო. დალილები, დაქანცულები მივეყრებოდი კარვებში, ან საძილე ტომრებში და უსიზმროდ გვეძინა. ეს იყო ჯაფით დალილი მამაკაცების ძილი.

მთებიდან ველზე ვეშვებოდი, ველიდან მაღლა, მთებში ვეშურებოდი. გადიოდა დრო...

ზოგჯერ კარავში შეყუჟულს ლია გამახსენდებოდა, მაგონდებოდა მეხუთე სართულზე ნათელი ოთახი, საიდანაც მოჩანდა მზით გაავარვარებული გაზუნებული თუნუქის სახურავები.

ქვარტილიანი საკვამურები, დაქიმული ანტენის მავთულები და ქალაქის მტვერით ფერგამკრთალი ცა. მაგონდებოდა ლიას ფიჭრიანი, მეოცნებე თვალები, ბავშვობიდან შემორჩენილი უცნაური ღიმილი. მაგრამ ეს ყველაფერი ისე უცხოდ და შორეულად მეჩვენებოდა, როგორც სიჭაბუკეში ნანახი ბავშვობის დროინდელი სიზმარი...

ერთხელ, მე მაშინ დიდ გეოლოგიურ ჯგუფს ვხელმძღვანელობდი, ჩვენმა დაკრულმა ბურღმა ქვეყანა შესძრა. ნავთობის შადრევანი ცას შეეყუდა, თითქოს მიწას წიაღში დაგუბებული ყიყინა აღმოხდა.

ამას ჩვენი რთველი ერქვა. შავი შადრევანი იდგა, როგორც ნიშანსვეტი ჩვენი დიდი ჯაფისა, ვარაუდებისა და ძიებისა, გამძლეობის, ნებისყოფისა და იმედისა, იმედგაცრუებისაც, რომელსაც არა ერთხელ მოუკითხავს ჩვენთვის უშედეგოდ გატარებული დღეებისა და დაღლილობის შემდეგ.

ველზე გაჩნდა ნავთობის კოშკურები. ნავთობის შადრევანი გახედნეს, გაღუნეს, დააოკეს და მერმე დინჯად დაიწყო დენა მიღებში. ამჯერად ჩვენი საქმე მოთავებული გვექონდა, გამარჯვებულნი დავბრუნდით თბილისში, სადაც ზეიმითა და ზარით შეგვეგებნენ...

მართო რომ დავრჩი, მოულოდნელად სიცარიელე ვიგრძენი, ფერ დაღლილობა მეგონა, ვიფიქრე: დავისვენებ და გამივლის-მეთქი.

დავისვენე. მე მგონი, კარგად დავისვენე...

მერმე მეგობრები მოვინახულე. მე მათთან ერთად რამდენიმე ფუთი მარილი მიჭამია, ერთმანეთი ქირსიც გამოგვიცდია და ლზინშიც. ვთქვი, ვნახავ-მეთქი, იქნებ ისინი აკლია თვალსა და გულს.

მეგობრებისგან დაბრუნებულმა ვიგრძენი, მაინც რაღაც მაწუხებდა შიგნით, გულის სიდრმეში და ვერაფრით ვერ ამოვავეს ის სიცარიელე.

თითქოს დავიცალე, დავიწრიტე. ღობე-ყორეს ვედებოდა, განგებ ვედებოდა. კარგად ვიცოდი, რაც მაწუხებდა და თავს ვიტყუებდი, უფრო სწორედ, არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ ამ სიცარიელეს ამოაცხებდა ლია, რომელიც ჩემთვის მხოლოდ შორეულ, დიდი ხნის წინათ ნანახ სიზმრებში არსებობდა.

ტყვილივით ვგრძნობდი ულიობას, მაგრამ არა ისე, თითქოს დადგა დრო, როცა ყველა იძენს, როგორც იტყვიან, ცხოვრების თანამგზავრს. ლიასთან შეხვედრა ყოველთვის მაღიზიანებდა, მავსებდა, ახალი საქმისკენ მიბიძგებდა... ამიტომ მინდოდა ლია...

ლიას ეზოში დიდი ხანია აღარ ვცხოვრობდი. ვადევწყვიტე, დიდდა მენახა, გავახარებ-მეთქი. ბებიებს ყოველთვის უხარიათ შვილიშვილის ნახვა... მაგრამ ვიღრე დიდუდასთან შევივლიდი, ლიას სადარბაზო კიბეებს ავეყვი ზევით. დინჯად და დაუჯერებლად ავდიოდი, თან ამქონდა ახდენილი ოცნებები, ფიქრები და პატარა სიცარიელე გულის რომელიც კუნჭულში. სიცარიელე ზევით, ნათელ ოთახში გაქრებოდა, ვიცოდი გაქრებოდა, რადგან იქ ლია მეგულეობდა.

კიბეებზე არ გამხსენებია, როგორ ავრბოდი და ჩამოვრბოდი, როგორ დავდევდი ლიას. არც ის, ლიას დედამ რომ გამომაძევა და მერმე კიბეზე ჩამომგდარი ვტிரოდი. ეს ახლა მაგონდება, თორემ მაშინ ნამდვილად არ გამხსენებია.

ოთხი სართული ქვევით დავტოვე. მესხეთე სართულზე მცირე ხნით დავყოვნდი, სული მოვითქვი და ზარის დილაკს თითი დავაჭირე. კარი მაშინვე არ გაღებულა, როგორც იღებოდა ხოლმე. კიდევ რამდენჯერმე დავრეკე.

მოხუცი ქალი გამომეგება. ლიას დედა ძლივს ვიცანი, როგორ გამოცვლილიყო, სახე დანაოკებოდა, თმა სულ გაქაღარა-ვებოდა.

— გამარჯობათ, ქალბატონო...

— გამარჯობათ... — ლიას დედამ ავერ მიცნო.

— მე გოგი ვარ.

ვერც ახლა მიცნო ლიას დედამ.

— გახსოვთ, ერთხელ, რომ...

— აა, გოგი... — ლიას დედამ არ დამამთავრებინა სათქმელი. — მობრძანდით, როგორა ხართ?... სახელოვანი კაცი გახდით, დაგვიფიწყეთ... თუმცა რა, ასე ხდება მუდამ...

— ლია შინ არის?

— ლია თეატრში წავიდა... მობრძანდით.

— გმადლობთ... სხვა დროს გამოვივლი, — ბოდიში მოვუხადე შეწუხებისათვის, დავემშვიდობებ და გამოვბრუნდები. ვიდრე კარს მიხურავდა, ყოველ შემთხვევისათვის, ვკითხე. — რომელ თეატრში, ქალბატონო?

— თოჯინების... იცით სად არის?

— კი, როგორ არა. გმადლობთ...

გზადაგზა ვფიქრობდი: ტყუილად ვუთხარი, შემოვივლი-მეთქი. რატომ უნდა შევიარო? როგორც ეტყობა, ლიას ბავშვები წაუყვანია თოჯინების თეატრში. თვითონ ნეტავი რომელ თეატრშია. ითამაშა თუ არა სცენაზე მეოცნებე გოგონა, რომელმაც ისეთი სიყვარული იცის, როგორც არავინ...

ნეტავი რომელ თეატრშია? დღესვე გავიგებ და მივაკითხავ. მივაკითხავ კი არა, სადმე ჩუმად დავჯდები, ვნახავ, როგორ თამაშობს საკუთარ თავს...

სიკარიელე შიგნიდან მაწვებოდა თანდათან მკერდზე, ისე ძლიერად მაწვებოდა, ტკივილსაც ვგრძნობდი. ტკივილი გაყუჩებდას მთხოვდა...

მოულოდნელად თოჯინების თეატრის წინ აღმოვჩნდი, ფიქრში გართული თეატრს მივდგომოდი. ბევრი აღარ მიფიქრია, სირბილით დავყვევი ქვის კიბეებს ქვევით. კარი დაკეტილი დამხვდა. კარს სახელურში ჩავავლე ხელი და დავეჯავჯავრე.

განჯარიდან ეღალუღეაშინა და რაჯმა გამოხვდა. ხელი მოიჩრდილა და შეშათალოერა. ვთხოვე, კარი გაეღო.

— წარმოდგენა დიდი ხანია დამთავრდა, — მითხრა კარის გაღებისთანავე, — ყველა წავიდა.

— დიდი ხანია? — ვკითხე უპროდ.

— თქვენ ვინ გინდოდათ? — დაარაჯს ეტყობოდა ისეთი ყბუელი იყო, რომ შუალაქმდე სიამოვნებით გამიბამდა საუბარს. გაბრაზებულმა თითქმის ვუყვირე:

— ლია, ლია მინდა! იცნობთ ლიას?! დღეს იყო აქ თავის ბავშვებიანად! — სწრაფად გამოვბრუნდი, მაგრამ მოხუცის ხმა დამეწია და შემაჩერა.

— ბავშვების რა მოგახსენოთ, ლია კი აქ არის... მარტოა...

— ლია აქ არის?!

— კო... სცენაზეა... თეჯირის უკან... მოხუცმა გამატარა.

დარბაზში ბნელოდა. მხოლოდ თეჯირზე გაშენებულ ტყეს ეცემოდა რამპის იისფერი შუქი, თითქოს თენდებოდა. თეჯირზე მოძრაობდა ქერათმიანი თოჯინა, რომელსაც თეთრი, ყვავილებით დაწინწკლული კაბა ეცვა და თავზე წითელი ქული ეხურა.

— ლია! — დავეძახე ხმამალა, ისე ხმამალა, რომ ქალზე ბროლის ვირჩებმა გაიწკრიალეს.

თოჯინა შეკრთა და მომხედა. მე ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი თეჯირს.

— ლია... გოგი ვარ... გოგი...

თოჯინა თითქოს გაფითრდა, გაშეშებული იდგა და არ იმტროდა.

— ლია, — სულ ახლოს მივედი თეჯირთან.

— მე წითელქუდა ვარ, — მითხრა თოჯინამ ბავშვური ხმით.

— გამარჯობა, წითელქუდა!

— შენ ვინა ხარ?

— ხომ გითხარით ვინცა ვარ.

— მერე, სად იყავი აქამდე.

— შორს... შორს... ხან ქვევით-ბარში, ხან ზევით — მთებში.

— გაგონდებოდა თუ არა?

— იქ — არა... თუმცა, როგორ არა...

მაგონდებოდა ხანდახან, როგორც ბაღლობაში ნანახი სიმშარი.

— მე კი მეგონა...

— აი, მოვედი, ხომ ხედავ, მოვედი...

— მოხვედი... მაგრამ... რატომა გაქვს

ასე დიდი თვალები? — მკითხა წითელქუდამ.

— იმიტომ, რომ კარგად დაგინახო, — ვუპასუხე მე.

— რატომა გაქვს დიდი ყურები? — მკითხა წითელქუდამ.

— იმიტომ, რომ კარგად გავიგონო შენი ხმა. — ვუპასუხე მე.

— რატომა გაქვს ასე დიდი ხელები? — მკითხა წითელქუდამ.

— იმიტომ, რომ კარგად მოგეხვიო. — ვუპასუხე მე.

— რატომა გაქვს ასეთი ბოხი ხმა? — მკითხა წითელქუდამ.

— იმიტომ, რომ კარგად გაგავგონო. — ვუპასუხე მე.

— რატომა გაქვს ასე დიდი პირი? — მკითხა წითელქუდამ.

— იმიტომ... — მე ვეღარ ვუპასუხე რატომ მქონდა ასე დიდი პირი.

— ჰო, რატომა გაქვს? — ისევ მკითხა წითელქუდამ.

— ლია. გამოდი. მე ვიცი თეჯირის უკანა ხარ. ნუ იმალები, ლია, გამოდი! თოჯინა მორზე ჩამოჯდა და მომწვანო თვალებით მომაჩერდა, დამაკვირდა. წითელქუდა თითქოს ჰგავდა ლიას და არცა ჰგავდა. თითქოს თვალები ლიასი მქონდა, ლიას ღიმილი. გამიკვირდა როგორ დაიმსგავსა, როგორ ჩაეტია ამ თითქოს-და ცოცხალ, პატარა არსებამში.

— ლია! ლია-აა!

ბროლის გირჩებმა ისევ გაიწყვილონ. წითელქუდა მორზე იჯდა და ხალეულიანი ღიმილით მიმზერდა.

უხმოდ გამოვიარე ჩაბნელებული დარბაზი. ერთხელ კიდევ მივხედე სცენას. იისფერი შუქით განათებულ ტყეში მიდიოდა პატარა თოჯინა, რომელსაც თეთრი, ყვავილებით დაწინწკლული კაბა ეცვა და წითელი ქუდი ეხურა.

• • •


ჩემი ჯგუფი იერის ხეობაში ღამის გასათევად დაბინავდა.

დაღლილები დასაძინებლად დავეწყით: ხვალ კიდევ დიდი გზა გვქონდა გასავლელი და უნდა დაგვესვენა.

ვერ დავიძინე. ერთხანს ვიწრიალემერმე წამოვდექი და მარტო შევეყვიმთას.

ულრუბლო ცა იყო, ვარსკვლავებით მოჭედილი. ისეთი სიჩუმე სუფევდა, რომ მარტო ჩემი ნაბიჯების ხმა აყრუებდა მიდამოს. ამ დიდ სიჩუმეში, დიდ ღუმელში ლიას დაძახება მომიჩნდა და დავუძახე კიდევ. ძახილი მთებმა გაიმეორეს, და უკან დამიბრუნეს...

ამითაც არ გათავებულა ჩენი ამბავი. არც გათავდება, ვიდრე ვარსებობთ მე და ლია.



ნანელი ქაპური

მე მოვდიოდი, როგორც მდინარე,
სავსე მწვანე და ყვითელ ფოთლებით,
ელვიძებოდათ ხეებს მძინარეს,
და ხელს მიქნევდნენ ჩუმი ლოდები.
ლამაზი ვიყავ, ვით გატაცება,
წვიმის წვეთივით სუფთა და თბილი

და მე მელოდა მიწად დაცემა,
რათა მეგემნა მწარეც და ტკბილიც.
მე მოვდიოდი, ვილაც მეძახდა,
მზეს მოეყვებოდი, როგორც ნათელი,
რათა ცხოვრება, თუ დაგაცადა,
თუ არ ჩავიჭრო ერთი სანთელი.

ღუმელი

ღუმელი დიდი საუბარია,
ღუმელი დიდი მუსიკის ხმაა,
ღუმელი ენით უთქმელის თქმაა, —
დასიცხულ სულის მოთქმის დარია...

იგრძნობ და ბოლო სუნთქვას მიაღწევ;
ხან გეცინება და სდუმხარ მაინც,
ხან გეტირება და სდუმხარ მაინც.
ღუმელი მოგავს იმ ლამაზ მაისს, —
რომ შეხედავ და გაგაჟრიალებს!

ასე საუბრობს, იცინის, ტირის,
მიწა და ზეცა, მზე და ბალახი.
ასე ეძახის ტირიფი ტირიფს
და მდინარისკენ ტოტებს გადახრის.

ასე მეტყველებს დასაბამიდან,
ასე ბუტბუტებს დღითაც, ღამითაც.

გულს აბედივით სახმელს შეუფენს,
უნხოდ გაბორგებს, გწვავს და განაზებს...
და ჩუმად გეტყვის: მე ვარ მეუფე
ამ ქვეყანაზე!

ღუმელი დიდი საუბარია,
ღუმელი დიდი მუსიკის ხმაა,
ღუმელი ენით უთქმელის თქმაა, —
ვერვისგან ვერთქმულ სიტყვის დარია...

თანამედროვე იტალიელი პოეტები

წინამდებარე ციკლი შედგება თანამედროვე იტალიური პოეზიის უფროსი თაობის წარმომადგენელთა ლექსებისაგან. რამდენიმე სიტყვა ამ ლექსების ავტორთა შესახებ: ეუჯენიო მონტალე, ჯუზეპე უნგარეტი და ახლახან გარდაცვლილი უმბერტო საბა — ეკუთვნიან თანამედროვე იტალიური პოეზიის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პატრიარქების“ რიგებს. მათ სახელებთანა დაკავშირებული ე. წ. „გერმეტიული“ პოეზიის ჩამოყალიბება იტალიურ ლიტერატურაში, ეს მიმართულება, მიუხედავად თავისი შეზღუდულობისა, უთუოდ პროგრესულ ხასიათს ატარებდა ფაშისმთან ბრძოლის პერიოდში, რადგან ოპოზიციურად იყო განწყობილი ოფიციალური ლიტერატურის მიმართ.

სალვატორე ქვაზიმოდო და სერჯო სოლმი მომდევნო თაობის ეკუთვნიან. სერჯო სოლმი არა მარტო პოეტი, არამედ ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიტერატურული კრიტიკოსიც. (სხვათა შორის იგი საქართველოს ესტუმრა 1959 წელს) სალვატორე ქვაზიმოდო თანამედროვე იტალიის ყველაზე გამოჩენილი პოეტი. 1959 წელს მას შეეკუთვნა ნობელის პრემია.

სადვამოკა ქვაზიმოდო

გარდაცვლილი გიტარების ხმა

დამშრალ და წყალუხვ მდინარეთა გაშლილ მკლავებზე
 წვეს ჩემი მხარე და ზღვა — მისი სასათუშალია.

ო, არსად სხვაგან მე ისეთი არ მეგულება
 ტყბილი სიმღერა, როგორც იქ, ჩემს სიცილიაში...

მე დავაბიჯებ მოშრიალე ლაქაშებს შორის,
 ლოკოკინებით დამძიმებულ ლაქაშებს შორის
 დავდივარ მე და... შემოდგომის მიწურულია.
 ცახე ღრუბლები ირევიან და ქარს შორიდან
 მოაქვს გარდაცვლილ გიტარების მტირალი ხმები.
 ო, ამ გიტარებს პირდაღებულ ნაპრალთა მსგავსად
 ვეება ხახა დაუღიათ, და მათ სიღრმეში
 მზეში გარუჯულ ჯადოქართა თითები ჰქრიან.

ამოდის მთვარე, მის სარკის წინ ზანტი ზმორებით
 თმებს ივარცხნიან აშოლტილი ქალიშვილები
 და კეკლუცობენ ფორთოხლებით გავსილი უბით...

ვინ მოთქვამს ასე? გამწარებით ვინ იქნევს მათრახს?
 ვინ ურტყამს დრუნჩში ყალყზე შემდგარ ველურ
 ულაყებს?..

გავჩერდეთ აქვე, ამ ბუჩქებთან. ნუ მივალთ ახლო,



ნუ ჩამახედებ, საყვარელო, ზღვის ვრცელ სარკეში.
სხვისი ხედვრია შიგ ჩახედვა: მომღერალ ვაჟთა,
მაღალ ხეთა და მდინარეთა ნათელი ხედვრი...

ვინ მოთქვამს ასე? არ იფიქრო, მე ვიყო თითქოს,
ეს მდინარეთა ნაპირებზე მათრახი წივის
და ყორნისფერი ულაყები დგებთან ყალყზე,
და მალაროებს თავს ევლებუა გოგირდის კვამლი.
ო, არ იფიქრო, არ იფიქრო, მე ვიყო თითქოს..
ეს ხმა შორიდან შემოდგომის ქარმა მოდენა.

იქ, ჩემს მხარეში, ხალხმა იცის ხანჯლის ხმარებაც
და მთვარის შუქით მკურნალობა სნეული გულის.

ქენის ტოტეზე

რა გვამღერებდა, როდესაც ჩვენს გულს
ვიღაც უხეში გადამთიელი
თავის დაღურსმულ ჩექმით ტორავდა.

როცა ქუჩები გაედენთილიყო
მიხრწნილ გვამების მხრჩოლავი სუნით,
როცა ბავშვების ისმოდა კვნესა,
და როცა შეშლილ დედების თვალწინ
ხვრეტდნენ და ხიშტზე აგებდნენ შვილებს...

დადუმებული ჩანგები ჩვენი
ძეწნებს, ტოტებზე ეკიდნენ იმ დროს
და გლოვის ქარი, ძაძით მოსილი,
მათ, როგორც აკენჭბს, აქანავებდა.

ჯუჯაე უნგაჩი

დანგრეული სამოსახლო—სან მარტინო დელ კარსო

აქ, სადაც ერთ დროს
სახლები იყო —
მხოლოდ კედელთა
ნანგრევებია...

ხოლო ისინი,
ვინც მე აქედან
წერილებს მწერდნენ —
გაჰქრნენ უკვალოდ...

და მხოლოდ გულში,
ჩემს გულში დარჩა



მათი ხსოვნა და...
 ეს ჩემი გული —
 სამოსახლოა
 ყველაზე უფრო
 იავარქმნილი.

უკანმო მონგაღ

ძველი ჭის თავზე

ძველი ჭის თავზე ოწინარი ჭრიალებს გაბმით, —
 მზის სინათლეზე ჯუჯრღმულიდან ამოაქვს წყალი.
 პირსავეს კასრის ზედაპირზე თრთის და ცახცახებს,
 ვით შორეული მოგონება — ნაცნობი სახე.
 ვიხრები მისკენ, მსურს შევეხო და რაღაც ვუთხრა,
 მაგრამ ეს სახე უცებ კარგავს ნაცნობ კონტურებს,
 შშორდება, მტოვებს, იკარგება... და აი ისევ
 ძველი ჭის თავზე ოწინარი ჭრიალებს გაბმით,
 გაბრუნებს, ტყბილო მოგონება, ჭის ბოროტ ფსკერზე
 და ისევ ისე: ჩვენ მანძილი გვაშორებს შორი.

უგბარო საბა

ასპარეზობაში გამარჯვებული

ისინი, ვისაც უნახავს შენი თამაში ზღვასთან,
 ს ი რ ი ნ ო ზ ს გიწოდებენ...
 შენ, ასპარეზობაში გამარჯვებული,
 ჩემს უსიხარულო ცხოვრებაში, ისე —
 ვით მკრთალ ეკრანზე
 ხან გამოჩნდები, ხან ისევ გაჰქრები უცებ.
 და მაინც,
 როცა გაღიმებული გვერდით ჩამივლი ხოლმე
 და თვალს ამარიდებ, —
 მე ვგრძნობ:
 ჩვენ ძაფი გვაერთებს, თუმცა წვრილი,
 მაგრამ მაგარი ძაფი...

ბევრი შეგობარი — ქალი თუ ვაჟი — გახვევია გარს,
 როცა შენ სასეირნოდ გამოდიხარ.
 ახალგაზრდები,
 თქვენ იკრიბებით კაფეში
 და მხიარულობთ... და მხოლოდ ერთხელ
 შენს სახეს მწუხარების ღრუბელმა გადაუარა
 და შენი ბაგე დუმილმა გადაარახა:
 დედაშენის აჩრდილი დაგიდგა მაშინ თვალწინ.
 აჩრდილი, რომელმაც დააქორწინა შენი განთიადი
 ჩემი ცხოვრების შეღამების ეამთან.

საქო სოლი

ქალის სიმღერა



სიმღერა ქალის, რომელმაც იცის,
რომ მაგრა დაბმულ დარაბებს იქით
მას ვერვინ ხედავს... ჩემი ხმა ქალის,
ნეტარებისგან ღონემიხდილი,
აღსავე თრთოლვით და მღელვარებით,
ნაქსოვი ყოვლად უშინაარსო
და ჩემთვის უცხო სიტყვებისაგან...
ო, ეს ხმა ტკბილი, გულშიჩამწვდომი,
საკუთარ თავთან საუბარს რომ ჰგავს
ჩაფიჭრებული და მეოცნებე,
ხმა სირინოზის სიმღერის მსგავსი
მეზღვაურებს რომ აჯადოვებდა
ოდესღაც —

გაშლილ ოკეანეში...
ეს ხმაა ფინის, ხმაა სურვილის,
იმ სურვილისა, თვით რომ არ იცის —
უნდა რამ ქვეყნად, თუ მხოლოდ შიშობს
და მხოლოდ ფრთხილად გვაუწყებს
თავის
ცხოვრების, თავის წყვილიადის, თავის
მოკრძალებული ტრფიალის ამბავს...

ენებით აღვსილო სხეულო, შენც ხომ
ასეთივე ხარ: მეტყველებ ზოგჯერ
და გოცებით უსმენ საკუთარ
ხმას და შეიცნობ, რომ კიდევ ცოცხლობ...



შენ ღია ცის ქვეშ მზეში დადგმული ქანდაკება ხარ —
მუნჯი და ცივი.
მაგრამ იმავ დროს თბილი ხარ, როგორც თვით სხივი
მზისა.
ულრანი ტყე ხარ, და შენ ღამე ხარ, ზღვა ხარ, რომელიც
ღელავს და მარწევს,
რომლის მოქცევა და უაქცევა ხან აჭრობს, ხან კი
ისევ აღვივებს
ჩემს გაბელებას, ჩემს გიჟურ ლტოლვას
შენსკენ, ძვირფასო...

თარგმანი მინილ ქალიშვილსა

ჯაგოზ სარინჯაძე

თამაზი ჰვავის ყანაში.*

1

მართლა თუ გაინტერესებთ ჩემი თავ-
გადასავლის მოსმენა, პირველად, ალ-
ბათ, იმას მკითხავთ, სად დაეიბადე, რა
სადაგელი ბავშვობა მქონდა, მშობლები
რას აკეთებდნენ, და ათასგვარ დაევით
კომპერტილდისებურ აზრებდას. მაგ-
რამ, მართალი თუ გინდათ, სულაც არ
მეპიტნავენ ამეების გახსენება. ჯერ
ერთი, გულს ამირევს და მეორეც —
ჩემი მშობლების პირადი საქმეები რომ
ჩამოგივთვლოთ, თითო ამბის ხსენებაზე
საწყლუბს ორ-ორჯერ მაინც ჩაქექვით
ტვინში სისხლი. ძალიან ახლოს მიაქვთ
ხოლმე ამისთანა ამბები გულთან, გან-
საკუთრებით მამაჩემს. რა შეთქმის, კარ-
გი ხალხია... განა იმას ვამბობ... მაგრამ
საშინელი ფხუკიანები არიან. ეგვეც რომ
არ იყოს, ვის რაში სჭირდება, რომ ავღ-
გე და მთელი ჩემი წყუელი ავტობიოგ-
რაფია წვრილად ჩაუყაკლო. მე მხო-
ლოდ ის ფეთიანი ამბავი მინდა ვიამ-
ბოთ, შობის დღესასწაულებში რომ შე-
მემთხვა. სწორედ მაშინ იყო, ფეხები
რომ ვფშოკე და გამოსაჯანმრთელე-
ლად აქ გამომგზავნეს. ერთი სიტყვით,
რაც დ. ბ.-ს ვუამბე, იმაზე მეტს არც

თქვენ გეტყვით რამეს. დ. ბ. კი, ბოლოს
და ბოლოს, ჩემი ძმია. პოლიედში
ცხოვრობს, არც თუ ისე შორს ამ ბინ-
ტური სახლიდან, და თითქმის ერთ შა-
ბათს არ გამოტოვებს, რომ არ მოვიდეს
და არ მნახოს. შინ წასაყვანადაც მან უნ-
და მომაკითხოს, ალბათ, იმ თვეში, სწო-
რედ ამასწინათ იყიდა „იაგუარი“. ერთი
მოციქნილი ინგლისური მანქანაა, სა-
ათში ორას მილს გადის. ბარე თოხიათა-
სი დოლარი დაუჯდა. იცოცხლე. ფული
ჩეჩქივით აქვს ახლა. უწინ ქესატად
გახლდათ. შინ რომ იჯდა, მწერალიც
მაშინ იყო. იმისთანა პატარ-პატარა მო-
თხრობებს წერდა, რომ შიშით სული
გაგძვებოდა. იქნებ გაგიგონიათ კიდევ
მოთხრობების წიგნი „დამალული ოქ-
როს თევზი“. ამ წიგნში ყველაზე
საუკეთესო მოთხრობას სწორედ „დამა-
ლული ოქროს თევზი“ ჰქვია, ერთი პა-
ტარა ბიჭის ამბავია, თურმე არასდიდე-
ბით არ აჩვენებდა სხვას თავის ოქროს
თევზს, ჩემი ფულით მაქვს ნაყიდიო.
კუდიდან შემშალა! ახლა პოლიედშია
დ. ბ., ხელიდან წავიდა. ყველაზე უფ-
რო კინოს ვერ ვიტან — ჰირივითა
მძულს, ნურც მიხსენებთ.

სწორედ იმ დღიდან მინდა დავიწყო
ჩემი ამბავი, როცა პენსიდან წამოვედი.
პენსი ეგერსტაუნის მოსამზადებელი
სკოლა გახლავთ, პენსილვანიის შტატში,
ალბათ, გაგეგონებათ. რეკლამები მაინც
გექნებათ ნახული. ბექდავენ და ბექ-
დავენ ათასობით ეურნალში რეკლა-
მებს — შემჯდარა ცხენზე ვილაც გაჯ-
გიმოლი ბიჭი და მესერზე უნდა გადაახ-
ტუნოს. ასე გეგონება, პოლოს თამაშის

* „თამაზი ჰვავის ყანაში“ ცნობილი ამერიკელი
მწერლის ჯერომ სელინჯერის პირველი რომა-
ნია. მანამდე მას იცნობდნენ, როგორც პატარა
მოთხრობების ავტორს. თავის მოთხრობებსა და
ამ რომანში ავტორი გვიჩვენებს სულიერად
სპეტაკი და ფაქიზი ადამიანის ტრაგედიას, რო-
მელსაც ადგილი ვერ უპოვნია ცხოვრებაში. რო-
მანის მთავარ გმირს, 16 წლის პოლდენ კოლ-
ფილდს ადამიანური სიბოლო ვერ უგრძნვია ვერც
ოჯახში, ვერც სკოლაში, ვერც საზოგადოებაში.
ჯერ ცხოვრებაში გამოსვლაც ვერ მოუწყნია
და უკვე ეჯახება მთელს იმ თვალმაყუობას,
ძალმომრეობასა და შანკერებას, რაც კაპიტ-
ლის საწყაროსთვის არის დამახასიათებელი.

მეტს არაფერს აკეთებდნენ პენსიში. სკოლაში კი არა და, იმ არემარეზე თვალიც არ მომიკრავს ცხენისთვის. ბიჭის სურათის ქვეშ კი წარწერაა — „ჩვენი სკოლა 1888 წლიდან აყალიბებს მამაცსა და საღად მოაზროვნე ჰაბუკებს“. ჭმევაც ამას ჰქვია! ერთი სხვა სკოლებში აყალიბებენ, და მეორე იქ არც მამაცი მინახავს იქ ვინმე და არც საღად მოაზროვნე. დიდი დიდი ერთი-ორი კაცი და ისინიც, ალბათ უკვე მამაცები მივიდნენ სკოლაში.

ერთი სიტყვით, შაბათი იყო და ფეხბურთს ვეთამაშებოდით საქსონ ჰოლის გუნდს. პენსელებს მუდამ დიდ ამბად მიიჩნდათ ზოლმე საქსონ ჰოლთან თამაში. სეზონის უკანასკნელი მატჩი გახლდათ და პენსის ძველი გუნდის წაგებას თავის მოკლას და ამოწყვეტას ვაშუობინებდით ყველანი. მახსოვს, ნაშუადღევს სამი საათი იქნებოდა და რალაც ჯანდაბად თომსენის გორაკზე ვიდგე, ზედ იმ დაფხავებულ ზარბაზანთან, რომელიც განმათავისუფლებელი ომის შემდეგ სულ იქა გდია. იქიდან ხელისგულივით ჩანს მინდორი, იმასაც დიდებულად გაარჩევ, როგორ ასკდება ორი გუნდი ერთმანეთს. ტრიბუნებს ვერა ვხედავდი ხეირიანად, მაგრამ ღრიალი კარგად მესმოდა, სულ ჩვენს მხარეზე ღრიალებდნენ, — რადგან მთელი სკოლა იქ იყო, ჩემს ვარდა. საქსონ ჰოლის ტრიბუნებიდან კი მისუსტებული კნავილიდა აღწევდა; ასეა ზოლმე — ჩამოსულ გუნდს ხალხი ცოტა ახლავს.

გოგოებს იშვიათად ნახავთ ფეხბურთზე. მხოლოდ უფროსკლასელებს აქვთ გოგოების წამოყვანის უფლება. როგორც გენებოთ, ისე ჩამომართვით, მაგრამ საძაგელი სკოლაა. ხანდახან კაცს გინდა ისეთ ადგილზე წახვიდე, რომ გოგოები ნახო, თუნდაც თავისთვის ისხდნენ, ცხვირს იწმენდნენ და სულელურად კუჭკუჭებდნენ. სელმა თარიმერი — ჩვენი დირექტორის გოგო — სულ იქა გდია, მაგრამ რათ გინდა, გული არ მიგივია. თუმცა ცუდი გოგოც არ ეთქმის, ერთხელ ეგერსიაუნიდან მოვიღივარ და

მის გვერდით მოვხვდი ავტობუსში. ლუპარაკი ვაეუბი. მომეწონა, ჩამოგრძელებული ცხვირი ჰქონდა, ფრჩხილებიც სულ დაკვნეტილი — ლამის სისხლი სდიოდა — ის ოხერი ლიფიც ისე გამოეტენა რალაცათი, რომ აქეთ-იქით უყანყალებდა. მაგრამ მაინც შეგეცოდებოდა კაცს. განსაკუთრებით ის მომეწონა, რომ ტენის არ ვიხვრეტდა — ასეთი დიდი ვინმეა მამაჩემიო. ალბათ, თვითონვე გრძნობს, რა ხებრე და ქლესა ვაეუბატონიც ბრძანდება.

თომსენის გორაკზე იმიტომ მოვხვდი და ფეხბურთის თამაშს იმიტომ არ ვესწრებოდი, რომ მოფარიავე გუნდთან ერთად ახალი დაბრუნებული ვიყავი ნიუ-იორკიდან. რალაც ჯანდაბად მოფარიავეთა გუნდის კაპიტანი გახლდით. დიდი ვინმე კი ვყოფილვარ! იმ დილით წავედი ნიუ-იორკში მაკ-პერნის გუნდთან შესახვედრად. მაგრამ აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. ხმალი, კოსტუმი და საერთოდ მთელი მორთულობა იმ ოხერ მეტროში დამჩნა. მთლად ჩემი ბრალიც არ ყოფილა. წამდაუწყებ ფეხზე ვდგებოდი და სქემას ვაშტერდებოდი, ჩვენს სადგურს არ გავცდეთ-მეთქი. ერთი სიტყვით, სადილს ველარ ჩამოვუსწარით, სამის ნახევარი იყო პენსიში რომ დავბრუნდით. ბიჭებმა ბოიკოტი გამომიცხადეს გზაში. სასაცილო კია, მე და ჩემმა ღმერთმა.

მეორე მიზეზი ფეხბურთზე არდასწრებისა ის იყო, რომ მოხუც სპენსერს — ჩემი ისტორიის მასწავლებელს — უნდა გამოემშვიდობებოდი. გრიბით იყო ავად და ვიფიქრე, საშობაო არდადეგების დაწყებამდე ველარ ენახავ-მეთქი. წერილი გამომიგზავნა, მანამ შინ წახვიდოდე, უსათუოდ მომინახულოო. იცოდა, რომ აღარ დავბრუნდებოდი.

დამავიწყდა მეთქვა. გამომამანდლორეს. საშობაო არდადეგებს შემდეგ სკოლაში აღარაფერი მესაქმებოდა — ოთხ საგანში ჩავიჭერი, არაფერს არ ვაკეთებდი და ათასი ჯანდაბა. რამდენჯერ გამაფრთხილეს — ტენი გაანძრე, რამე გააკეთეო. განსაკუთრებით შუა მეოთხედ-

ში, როცა დედაჩემი და მამაჩემი მოხუც თარმერს ეახლნენ კონფერენციაზე... მაგრამ ყურშიაც არ შემინვია მათი ჩინი. ადგნენ და გამომაპანურეს. პანტა-პენტით რიცხავენ ბავშვებს, კარგად არის სწავლის საქმე დაყენებული პენსიში. ნამდვილად.

ერთი სიტყვით, დეკემბერი იდგა, ციოდა — ძალი არ გაიდგებოდა კარში. წარმოიდგინეთ, რა სუსხი იქნებოდა იმ ილიოტურ გორაკზე. მე კი ქურთუკის ამბრა ვიდექი, არც თათმანები, არც ჯანდაბა და დოზანა. სწორედ ერთი კვირის წინ ამაწაპნა ვილაცამ ჩემი ოთახიდან აქლემის ბეწვის ქურჭი, და ბეწვის თბილი ხელთათმანებიც გააყოლა — ქურჭის ჯიბეში მეწყო. ჯიბეგირებით არის გამოტენილი პენსი. მდიდარი ოჯახის შეილებადაც ბევრს შეხვდები, მაგრამ საერთოდ ჯიბეგირებითაა სავსე. რაც უფრო ძვირფასიანია სკოლა, მით უფრო მეტ ჯიბეგირს ნახავ იქ... ღმერთმანი. ერთი სიტყვით, იმ დაფხავებული ზარბაზნის გვერდით ვიდექი, მინდორს გადაყურებდი და სიცივისაგან უკანალი მეწოდა. მაგრამ თამაშის ცქერით მაინცადამაინც არ ვიწუხებდი თავს. უფრო იმიტომ ვიდექი, რომ სკოლასთან გამომშვიდობების გრძნობა განმეცადა. რამდენი სკოლა და საცხოვრებელი ადგილი გამომიცვლია, და ერთხელაც არ მომსვლია თავში გამომშვიდობება. ჭირის დღესავეთ მძულს. ერთხელაც არ დავფიქრებულვარ — ან მწუხარებას ხომ არ განვიციდი ამ განშორებით ან რამე უსიამოვნებას-მეთქი. მაგრამ უნდა განვიცადო კი, რომ ნამდვილად ვშორდები აქაურობას. თუ ამას ვერ განვიციდი, ძალის გუნებაზე დადგები.

ბედმა გამიღიმა, უცებ ისეთი რაღაც მომაგონდა, რომ ხელადვე ვიგრძენი — საბოლოოდ ვტოვებ ამ ოხერ სკოლას-მეთქი. გამახსენდა, ერთხელ ოქტომბერში რა თავგადაღებით ვთამაშობდით ზედ სკოლის წინ ფეხბურთს მე, რობერტ ტინერი და პოლ ქემბელი. ღმერთივით ბიჭები იყვნენ, განსაკუთრებით ტინერი. უკვე ბნელდებოდა, სადილო-

ბის დრო მოახლოვებულიყო, მაგრამ ისე გამწარებით დავდედვდი ბურთს. რომ აღარაფერი გვახსოვდა; სულ უფრო და უფრო ბნელდებოდა, ძლივს ვარჩევდით ბურთს, მაგრამ თავის დანებება გვენანებოდა. მაინც დაგვანებებინეს. ბიოლოგიის მასწავლებელი რომაა. მისტერ ზამბესი, გამოჰყო სკოლის ფანჯრიდან თავი და, საერთო საცხოვრებელში წადითო, გადმოგვძახა, სადილისთვის მოემზადეთო. ამისთანა რამე თუკი მოიგონე, სკოლის მიტოვებაზე გულს რაღა დაგწყვეტს! მე კი ასე მომდის და რა ვიცი. გამახსენდა თუ არა ეს, ხელადვე მივტრიალდი და სირბილით დავეშვი, სპენსერის სახლისკენ გაუუპირდაპირე. სკოლაში არა ცხოვრობდა სპენსერი, ანტონი უეინის ქუჩაზე იდგა.

სულ სირბილით მივაღექი იმ ქუჩას და ცოტახნით შევედექი სულის მოსათქმელად. უნდა გამოგიტყდეთ, სუნთქვა ვერა მაქვს კარგი. ანკი საიდან მექნება — თუთუნს თუთუნზე ვეწევი... ესე იგი, ვეწეოდი. აქ დამანებებინეს თავი. თანაც, მარტო შარშან მთელი ექვსნახევარი გოჯი მოვიმატე სიმაღლეში. ალბათ, ტუბერკულოზიც ამიტომ შემეყარა და ამ ოხერ საავადმყოფოში მიკრეს თავი სამკურნალოდ. ისე კი ჯანმრთელი ვარ.

ერთი სიტყვით, ცოტა რომ მოვიბრუნე სული, ისევ ვაჩქეცი. ქუჩა სულ ყინულით იყო გალიპული, კინაღამ გავიშლართე. ნეტა რა მიმარბენინებდა... ალბათ, ასე მეხალისებოდა. ქუჩა რომ გადავჭერი, მომეჩვენა, რაღაცნაირად გავეჭრი-მეთქი. ფეთიანი დღე იყო, საშინლად ციოდა, არც მზე ჩანდა და არც არაფერი. ქუჩაზე რომ გადახვიდოდი, გეგონებოდა — ვერები და ეს არისო.

პეი, ბიჭო, რა ვრეკე და ვრეკე ზარი. მოხუცი სპენსერის სახლს რომ მივაღექი! გათოშილი ვიყავი. ყურები მჩხვლუტდა. თითებიც ვერ გამენძრია. „ჩქარა, ჩქარა, — ვყვიროდი, — ვააღეთ ეს ოხერი კარი!“ როგორც იქნა, დედაბერმა მისის სპენსერმა გამიღო. არც მოხამსა-

ხურე ჰყავთ და არც არავინ, თვითონვე აღებენ ხოლმე კარს. ფული მაინცაღამინც არ ვადასდით თავს.

— ჰოლდენ! — მითხრა მისის სპენსერმა, — როგორ გამახარე! შემოდი, გენაცვალე! არ გაითოშე?!

მგონი მართლაც გაეხარდა ჩემი ნახვა. ვუყვარდი. მე კი ასე შეჩვენებოდა და რა ვიცი!

იცოცხლე შევევარდი სახლში!

— როგორ გიკითხოთ, მისის სპენსერ? მისტერ სპენსერი როგორ ბრძანდება?

— ქურთუკი აქ მომეცი, გენაცვალე! — მითხრა მან. არც კი გაუგონია, მისტერ სპენსერის ამბავი რომ ვკითხვ. ცოტას მოიყრუებდა.

ქურთუკი დერეფნის კარადაში დაკიდა. მე თმაზე გადავისვი ხელი. მოკლედ ვიკრეპ ხოლმე, სავარცხელი არც კი მჭირდება.

— როგორა ბრძანდებით, მისის სპენსერ? — ახლა უფრო ხმამაღლა ვკითხე, იქნებ გაიგონოს-მეთქი.

— კარგად ვარ, ჰოლდენ, — კარადა მიხურა, — შენ როგორა ხარ?

ისე მკითხა, რომ, შევატყვე, მოხუც სპენსერს უკვე ეამბნა ჩემი გამოპანღურების ამბავი.

კარგად-მეთქი, მეც ვუბასუხე.

— მისტერ სპენსერი როგორ ბრძანდება? გრიპმა არ გაუარა?

— გაუარაო! ეჰ, ჰოლდენ, ისე იქცევა, რომ... აღარ ვიცი პირდაპირ. თავის ოთახშია, გენაცვალე. შედი.

2

თავთავისი ოთახი ჰქონდა ორივეს. დაახლოებით სამოცდაათი წლისა იქნებოდნენ. თითქმის მეტიც. მაგრამ მაინც სიტკბოებას ნახულობდნენ ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, რომ ცალი ფეხი სამარეში ედგათ. ვიცი, სიმდაბლეა ასეთი ლაპარაკი, მაგრამ ვანა იმისთვის ვამბობ. საქმე ის არის, რომ სულ თვალწინ მედგა მოხუცი სპენსერი, ხოლო როცა ბევრს ფიქრობ მასზე, არ შეიძლება არ გაგიკვირდეს — რა ცას გამოეკრა ეს ბერიკაციაო! სულ მოკაყული და დანგრეულია. ცარცი რომ დაუვარდება

დაფასთან, პირველი მერხიდან უნდა წამოხტეს ვინმე და მიაწოდოს მასზე დიდი საშინელება იქნება? ისე ვაცტმა რომ თქვას, ურიგოდ როდი ცხოვრობს. ერთ კვირა დღეს, მაგალითად, — როცა ბიჭები ცხელ შოკოლადზე დაგვატყეა, — გამოიტანა და გაცრეცილი ინდური საბანი გვაჩვენა, მისის სპენსერსა და მას ეყიდა ვიღაც ინდიელისაგან იელოუსტონის პარკში. ხელაღვე შეატყობდი, რომ მოხუცი სპენსერი სიხარულით ფეხზე არ იდგა, ეს რა ვიყიდევო. აი, ეს მინდოდა მეთქვა. ზოგჯერ ვინმეზე ფიქრობ, გადამღრძეალი ბერიკაციაო, და თურმე საბნის ყიდვაც კი უდიდეს სიხარულს ანიჭებს.

ოთახის კარები ღია ჰქონდა, მაგრამ მაინც დავაკაუნე, ხომ იცით — ზრდილობაო, ესაო... კარებიდანვე დავინახე — მე რომ გითხარით, იმ საბანში გახვეულიყო და ტყავის დიდ სავარძელში მოყუყულოყო. რომ დავაკაუნე, თავი წამოსწია.

— ვინ არის? — დაიღრიალა მან. — კოლფილდი ხარ? შემოდი, ყმაწვილო.

სულ ღრიალებდა, როცა კლასში არ იყო. პირდაპირ ნერვებზე მოქმედებდა.

შევდგი თუ არა ფეხი ოთახში, უცებ ვინანე, რატომ მოვედი-მეთქი. „ატლანტიკ მანთლისა“ კითხულობდა, ირგვლივ სულ წამლის შუშები და აბები ეყარა, და სურდოს წვეთების სუნის იდგა. გულს ჩაგწყვეტდა. საერთოდ, ავადმყოფების ნახვაზე მაინცაღამინც არ ვკარგავ ჰკუთას. ყველაზე უფრო იმან ამირია გული, რომ მოხუცი სპენსერი რაღაც უბადრუკ, ერთმანად დამონძილ აბანოს ხალათში გახვეულიყო, დარწმუნებული ვარ, ამავე ხალათში დაიბადა და გაჩენის დღიდან აღარც მოუშორებია. გული მერევა ხოლმე, ბერიკაცებს პიეამოსა და აბანოს ხალათებში გახვეულს რომ დავინახავ. ამოზუგეილი ბებრული მკერდი გარეთა აქვთ გამოჩრდილი. ახლა ფეხები! პლიაჯზე ხომ გინახავთ ბერიკაცების თეთრი და უბალნი ფეხები!

— გამარჯობათ, სერ, — მივმართე მე, — თქვენი ბარათი მივიღე, — მწერ-

და, მანამ არდადევები დაიწყებოდეს, ჩემთან შემოიარე და გამოემეშვიდობეო; იცოდა, რომ უკან აღარ დავბრუნდებოდი. — წერილი არც გინდობდათ, ისედაც გამოგემშვიდობებოდით.

— აგერ დაჯექი, ყმაწვილო, — მითხრა მოხუცმა სპენსერმა, საწოლზე მიმითითა.

დაჯექი.

— თქვენი გრიპი რასა შერება, სერ?

— ეჰ, ყმაწვილო, ცოტა უფრო უკეთ რომ ვგრძნობდე თავს, უსათუოდ გქმის მოვაყვანილებდი, — მითხრა მოხუცმა სპენსერმა. თავისივე სიტყვებმა გააციონა. გიყვივით მოჰყვა ხეივანს. მერე წელში გასწორდა და მითხრა: — თამაშზე რატომ არა ხარ? მე შეგონა, საფინანსო თამაში იყო დღეს.

— არის კიდევ. მეც ვიყავი. ოღონდ, ის იყო მოფაროკავეებთან ერთად დავბრუნდი ნიუ-იორკიდან და პირდაპირ იქ წავიდი. — ჰოი, ბიჭო, რა ქვასავით ლოგინი ჰქონდა.

უცებ ჯოჯოხეთივით დაიბღვირა. ვიცოდი, რომ ასე იზამდა.

— მაშ გეტოვებ, პა?

— დიას, სერ. როგორც ვატყობ, უნდა წავიდე.

სიტყვა არც კი დამემთავრებინა, რომ თავის კანტურს მოჰყვა. ჩემს დღეში არ შეეხვედრივარ კაცს, ამდენი თავის კანტური შესძლებოდეს. ვერც გაუგებ, რას აუტყდა ეს თავის კანტური — რამეზე ჩაფიქრდა, თუ სიბერისაგან გამოფშუტურდა და აღარაფერი ესმის.

— რაო, დოქტორ თარმერმა, რა მინდაო? გავიგე, დიდხანს გიმუსაიფნიათ.

— მართალი ბრძანდებით. ბევრი ვილაპარაკეთ. მთელი ორი საათი ვეჯექი კაბინეთში.

— მერე რა გითხრა?

— რა ვიცი... მოჰყვა, ცხოვრება თამაშიაო. ამ თამაშში ყოველგვარი წესები უნდა დაიცვაო. მშვენივრად ილაპარაკა. ესე იგი, მწარე არაფერი უთქვამს. სულ ამას ჩამჩიხინებდა, ცხოვრება თამაშიაო. თქვენც ხომ იცით.

— ცხოვრება მართლაც თამაშია, ყმა-

წვილო. ისეთი თამაშია, საცა ყველა წესი უნდა დაიცვა.

— ვიცი, სერ, მეც ვიცი, ^{მეც ვიცი} ~~მეც ვიცი~~ ვიცი!

კაი თამაში კია, თქვენმა მზემ! იმ მხარეს თუ მოხვდი, საცა მაგარი ბიჭები არიან, არა გიშავს რა, მართლაც თამაშია, რა შეტქმის. მაგრამ მეორე მხარეს თუ მოხვდი, და არც ერთი მაგარი მოთამაშე არ გირევიათ! მაშინაც თამაშია?! რაღა თამაში გამოვა!

— უკვე მისწერა შენს მშობლებს დოქტორ თარმერმა? — მკითხა მოხუცმა სპენსერმა.

— ორშაბათს მივწერო.

— შენ თვითონ არ შეატყობინე?

— არა, სერ, არ შემიტყობინებია, ოთხშაბათ საღამოს ხომ უნდა ჩავიდე, და ბარემ მაშინ ვეტყვი.

— მერე როგორ გგონია, რას იტყვიან?

— რა ვიცი... მაგრად გაბრაზდებიან, — მიუღუგე მე, — რა თქმა უნდა. გაბრაზდებიან. უკვე მეოთხე სკოლა გამოვიცვალე. — თავი გავაქნიე. წარამარა თავის ქნევა ვიცი. — ჰეი, ბიჭო! — ვთქვი მე. ამ „ჰეი, ბიჭოსაც!“ წარამარა ვისვრი ხოლმე. ჯერ ერთი, იმიტომ რომ როგორღაც სიტყვები არა მყოფნის, მეორეც — ზოგჯერ ჩემი ასაკისათვის სავსებით შეუფერებლად ვიქცევი. მაშინ თექვსმეტი წლისა ვიყავი, ახლა უკვე ჩვიდმეტისა ვარ, და მაინც ისეთ რამეს ვავაკეთებ ზოგჯერ, რომ ცამეტი წლის ბიჭი გეგონებოთ. სასაცილო კია, რადგან აყლავუდა ვარ — მთელი ექვსი ფუტი და ორნახევარი დუიმი; თმაც შეჭალა-რავებული მაქვს! კი არ გეხუმრებით, ერთ მხარეს — მარჯვნივ — მილიონობით თეთრი მირევიან. ბავშვობიდანვე ასე მაქვს. და მაინც ისეთ რამეს ვაკეთებ ხანდახან, თორმეტი წლის ბიჭი გეგონებოთ. სულ ამას მისაყვედურებენ, განსაკუთრებით მამაჩემი. ნაწილობრივ მართალიც არიან, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. ხალხს ჰგონია — რასაც იტყვის, ყველაფერი მართალია. მეც რა მენადვლება, ეგონოთ. ეს არის, რომ

გული მერვეა, როცა მარიგებენ — უკვე დიდი ხარ და დიდებით მოიქეციო. ზოგჯერ იმაზე უფრო დიდებითაც კი ვიქცევი, ვიდრე ვარ... ღმერთმანი... მაგრამ ამას ვინ დაინახავს. საერთოდ, ვერაფერსაც ვერ ხედავს ხალხი.

მოხუც სპენსერს ისევ თავის კანტურის აუტყდა და თან ცხვირის ჩიჩქნასაც მოჰყვა. თითქოს ისრესსო, უნდოდა ეჩვენებინა, მაგრამ დამჰკნარ ცერს პირდაპირ ნესტოში კი იჩრიადა. ჩემს მეტი არაეინ ყოფილა ოთახში და ალბათ იფიქრა, ამისთანა რამეები შეიძლებაო. მეც რა მენადვლებოდა, თუმცა შეგეზიზღება კი, ცხვირის ჩიჩქნას რომ უყურებ.

მერე დაიწყო:

— ამ რამდენიმე კვირის წინათ მე პატივი მქონდა, დედაშენი და მამაშენი გამეცნო, დოქტორ თარმერთან რომ ჩამოვიდნენ სასაუბროდ. დიდებული ხალხია.

— დიახ, მართალი ბრძანდებით. ძალიან კარგი ხალხია.

„დიდებული!“ კირივით მძულს ეგ სიტყვა. მეტისმეტად ვტყვალარქულობა. გულს მირევს ხოლმე.

უცებ ისეთი სახე გაუხდა მოხუც სპენსერს, თითქოს ძალიან კარგი და ჰკვიანური რამე უნდა თქვასო. საგარძელში გასწორდა და მობრუნდა. სულ ფუჭი გამოდგა შიში: კალთიდან „ატლანტიკ მანთლი“ აიღო და ლოგინისკენ ისროლა, საცა მე ვიჯექი. მაგრამ ააცილა. სულ ორ გოჯზე იდგა საწოლი, მაგრამ მაინც ააცილა. ავდექი, ჟურნალი ავიღე და ლოგინზე დავდე. უცებ საშინლად მომიინდა ამ ოთახიდან წავსულიყავი — თუნდაც ჯანდაბაში. ვგრძნობდი, რომ გულისამრევი ქადაგება დაიწყებოდა. ილაპარაკონ, რა მენადვლება. მაგრამ, არაფრად მეპიტნავენოდა ახლა ქადაგების მოსმენა, როცა ირგვლივ წამლის სუნი იდგა და პიეამოსა და ხალათში გახვეული ბერიკაცი იქვე მეჯდა. ვერაფერი სასიამოვნო იყო.

მართლაც დაიწყო.

— რა ღმერთი გიწყრება, ყმაწვი-

ლო?! — კარგა მკვახედ მითხრა. მისგან არ ვიყავი დაჩვეულნი, ამდენი სავანი ჩააბარე ამ მეოთხედში!

— ხუთი, ბატონო.

— ხუთი. რამდენში ჩაიჭერი?

— ოთხში. — საწოლზე შევიმუშუნე. ამისთანა მაგარ ლოგინზე ჯერაც არ ვმჯდარიყავი. — ინგლისური კარგად ჩავაბარე, — განვაგრძე მე, — რადგან „ბიოფულფი“ და „ლორდო რენდალ, საყვარელო შეილო ჩემო“ ჰუტონის სკოლაშივე მქონდა ნასწავლი. ინგლისურზე ბევრი არ მიწვალა, გარდა იმისა, რომ დროგამოშვებით სავარჯიშოებსა ვწერდი.

არც კი მისმენდა. ასეთი ზნე სჭირს — შენ რაღაცას ეუბნები, ის კი არ გისმენს.

— ისტორიაში იმიტომ ჩაიჭერი, რომ ინჩი-ბინჩი არ გაგეგებოდა.

— ვიცო, სერ. ეჰ, განა არ ვიცი. რა თქვენი ბრალია.

— ინჩი-ბინჩი, — გაიმეორა მან. აი რა მშლის ჰკუთხე! ორჯერ რომ გაგიმეორებენ გამოჯიბრებით, მიუხედავად იმისა, რომ მაშინვე დავეთანხმე. მესამედაც კი გაიმეორა, — ინჩი-ბინჩი! არა მგონია, მთელს მეოთხედში ერთხელ მაინც გადაგეშალოს წიგნი. ჰა მართალი მითხარი, ყმაწვილო.

— როგორ არა, ერთი-ორჯერ კი გადავხედე, — მიუუბე მე. არ მინდოდა მეწყენინებინა. ისტორიაზე პირდაპირ ჰკუთხს კარგავდა.

— მაშ გადახედე, ჰა? — დაცინვით მკითხა, — აგერ მიდევს, თაროზე, შენი სავამოცდო ნამუშევარი. აბა, ერთი მომავლოდ.

ამისთანა სისაძაგლე გავონილა! მაგრამ მაინც მიეუტანე, მეტი რაღა ჩარა იყო. მერე ისევ ისე ჩამოვჯექი მის ცემენტის ლოგინზე. პოი, ბიჭო, გულზე ვსკდებოდი — რამ გამასულელა და გამოსამშვიდობებლად რამ მომიყვანა-მეთქი.

ისე ჩამომართვა სავამოცდო ნამუშევარი, თითქოს ნეხვი ყოფილიყოს.

— ეგვიპტეს ჩვენ ოთხი ნომბრიდან მოყოლებული ორ დეკემბრამდე ვსწავ-

ლობდით, — თქვა მან, — შენ თვითონ აირჩიე საგამოცდოდ ეს თემა. არ გინდა მოისმინო, რა დაგიწერია?

— არა, სერ, არც ისე.

მაინც წაიკითხა. მასწავლებელმა რამე მონიღომოს, და შენ გააჩერებ?! ჯიბ-რით გააკეთებს!

„ეგვიპტელები კავკასიური წარმოშობის უძველესი რასა იყო და აფრიკის ჩრდილო ნაწილში ცხოვრობდნენ. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ ნახევარსფეროს უდიდეს კონტინენტს წარმოადგენს“.

მე კიდევ ვიჯექი და ვისმენდი ამ სისულელეს. მართლაც არ გაგონილა ამისთანა სისაძაგლე!

„ეგვიპტელებით ჩვენ დღეს ბევრი რამის გამო ვართ დაინტერესებულნი. თანამედროვე მეცნიერებას ჯერაც ვერ გაუხსნია ის საიდუმლო, თუ როგორ შეახვედნენ ხოლმე ისინი თავიანთ მიცვალებულებს ისე, რომ სახე საუკუნეების განმავლობაში არ გაფუჭებოდათ. ეს საოცარი გამოცანა ჯერ კიდევ მედიდურად იწვევს ამოსახსნელად მეოცე საუკუნის თანამედროვე მეცნიერებას“.

კითხვა შესწყვიტა და რვეული დასდო. თითქოს ერთბაშად შემძულდა ეს კაცი.

— აქა მთავრდება თქვენი უკაცრავად პასუხია ესეი, — მითხრა მან ისეთივე გამჭირდავი კილოთი. რას ვიფიქრებდი, ბერიკაცს ამდენი ქირღვა შეეძლო. — თუმცა ქვემოთ კიდევ მიგიწერია პატარა შენიშვნა ჩემთვის, — დასძინა მან.

— დიახ, მახსოვს, — მიუღუგ მე. ერთბაშად მივახალე, იქნებ ეს მაინც არ წაიკითხოს-მეთქი. მაგრამ რას შეაჩერებდი. მაშხალასავით ფეთქდებოდა.

„ძვირფასო მისტერ სპენსერ! (ღრიპლით წაიკითხა) სულ ეგ არის — ეგვიპტელებისა მეტი აღარაფერი ვიცი. თქვენი ლექციები ძალიან საინტერესოა, მაგრამ თვითონ ეგვიპტელებმა ვერ დამაინტერესეს. თქვენ ჩამჭრით თუ არა, ამას უკვე აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან ინგლისურს

გარდა, ყველაფერში ჩავიქვრი. თქვენი პატივისმცემელი ჰოლდენ კოლფილდი“.

ისევ დასდო ჩემი წყვეტილი რვეული და ისე გადმომხედა, თითქოს სულ დავეგვრე პინგ-პონგის თამაშში. არასოდეს არ ვაპატიებ, რომ სისულელე ასე ხმამაღლა წამიკითხა. მისი დაწერილი რომ ყოფილიყო, არასდიდებით არ წავუკითხავდი ხმამაღლა. ღმერთმანი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ოხერი შენიშვნა ხომ მივაწერე, ორიანის დაწერა არ გაუჭირდეს-მეთქი.

— ხომ არ მიბრაზდები, რომ ჩაგქერი, ყმაწვილო? — მკითხა მან.

— რასა ბრძანებთ, სერ! სულაც არა. — მიუღუგ მე. ეს „ყმაწვილო“ რაღას დაიყინა!

ჩემი საგამოცდო რვეულიც მოიქნია ლოგინსკენ. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეგეც ააცილა. ისევ წამოვდექი, ავიღე და „ატლანტიკ მანთლის“ დავადე ზემოდან. გული ამირია ყოველ ორ წუთში ერთი და იგივე საქმის კეთებაში.

— შენ რას იზამდი ჩემს ადგილას? — მკითხა მან. — მართალი მითხარი, ყმაწვილო.

ეტყობა, მართლა ძალიან აწუხებდა ჩემი ჩაჭრა. ახლა მე დავიქოქე. ჰკუთხელი ვარ-მეთქი, ვუთხარი, და ათას ამისთანა სისულელეს მოვჰყვივი. თქვენს ადგილას რომ ვყოფილიყავ, მეც სწორედ ასე მოვიქცევოდი-მეთქი, ბევრს წარმოდგენაც კი არა აქვს, მასწავლებლობა რა ძნელი ხელობაა-მეთქი. და ამისთანა სისულელები. ერთი სიტყვით, მაგრად დავიქოქე.

სასაცილო ის არის, რომ მანამ ასე ვქაქანებდი, ფიქრით სულ სხვა რამეს ვფიქრობდი. ნიუ-იორკში ეცხოვრობ და თვალწინ ცენტრალური პარკის ტბა მიდგას, სამხრეთით რომ ტბაა. ნეტა გამაგებინა, შინ რომ დავბრუნდები, ის ტბა გაყინული დამხვდება თუ არა, ან თუ გაყინება — იხვები სადღა წაველნ-მეთქი. ვერ წარმომედგინა, სად უნდა წასულიყვენ იხვები, როცა ტბას მთლიანი ყინული დაჰფარავდა! იქნებ საბარგო მანქანით. ჩამოუარონ და

ზოპარკში წაასხან, ან სადმე სხვაგან. ან და იქნება თვითონვე გაფრინდნენ სადმე.

იღბლიანი კაცი ვარ, კარგად გამომივიდა. რაც ენაზე მომადგება, ყველაფერს ვეუბნები მოხუც სპენსერს, თან კი იხეებზე ვფიქრობ. სასაცილოა. მასწავლებელს რომ ელაპარაკები, ფიქრით არ უნდა შეიწუხო თავი. ვაყრი სიპასუსებით სიტყვებს და უცებ შემაწყვეტინა. შეწყვეტინება ჩვეულებადა სჯირს.

— მერე რას ფიქრობ, ყმაწვილო? ძალიან მაინტერესებს ამის გაგება. ძალიან მაინტერესებს.

— რაზე მეკითხებით? პენსიდან რომ გამომაპანდურეს? — ვკითხვ მე. ამ გამობზეკილ მკერდზე მაინც დაიფარებდეს ხალათს. ვერაფერიშვილი სანახავი იყო.

— თუ არ ვცდები, ჰუტონის სკოლასა და ელქტონ-ჰილშიაც ასეთივე უსიამოვნება შეგხვდა. — ეს მარტო გაქირდვით კი არ უთქვამს, ისედაც ბინძურად გამოუვიდა.

— ელქტონ-ჰილში სულაც არ შემხვედრია უსიამოვნება — არც ჩავეჭრილვარ და არც არაფერი. ისე წამოვედი, ჩემი გუნებით.

— მაინც რატომ წამოხვედი, არ შეიძლება გკითხო?

— რატომ? ეპ, ეს ამბავი შორს წავიყვანს, სერ. ძაან დახლართული საქმეებია. — სულაც არ მეხალისებოდა ამეების მოყოლა. სულერთია, მაინც ვერ გაიგებდა. ანკი ვინ ეკითხებოდა. ელქტონ-ჰოლიდან წამოსვლის მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ იქ თავიდან ბოლომდე ყველაფერი სიყალბეზე იყო აგებული. ეგ არის და ეგ. ყველაფერი გამოსაჩენად ჰქონდათ. თუნდაც თვითონ დირექტორი ავიდოთ — მისტერ ჰასი. ამისთანა ფუყესა და თვალთმაქც ნაბიჭვარს ჩემს დღეში არ შევხვედრივარ. თარმერზედაც ათჯერ უარესი იყო. კვირაობით გამოიჯგიმებოდა და ყველა ჩამოსულ მშობელს ჩამოართმევდა ხოლმე ხელს. სულ დატყებოდა და დაითაფლებოდა. მაგრამ ყველას როდი ექცეოდა ასე. უნდა გენახათ, როგორ

შეხვდა ერთი ჩემი ამბანაგის მშობლებს. საქმე ის არის, რომ ზოგჯერ დედა ჩასუქებული გახლდათ და სოფლებს დედა დაკაცსა ჰგავდა, მამა კი სასაცილოდ მხრებაბზეკილ კოსტუმში იყო გავხეული და ფეხზედაც სოფლურად აკრელებული ფეხსაცმელები ეცვა. ამისთანა ხალხს უგულოდ გაუწვიდა ხელს, ერთს თვალთმაქცურად გაუღიმებდა და მერე ვინმე სხვა მშობელს გაუმართავდა ბარე ნახევარსაათიან საუბარს. ამისთანა რამეს ვერ ვიტან. ლამის ჭკუიდან შემშალოს. ისეთ საძაგელ გუნებაზე დამაყენებს, რომ გაგიყებას ცოტადა მიკლია. ჭირის დღესავით მძულდა ის ოსერი ელქტონ-ჰილი.

მოხუცმა სპენსერმა რაღაც მკითხა, მაგრამ არ გამიგონია. მე იმ პასუხე ვფიქრობდი.

— რა მიბრძანეთ, სერ? — ჩავეკითხე ბერიკაცს.

— არ ნანობ მაინც, პენსიდან წასვლას?

— რა ბრძანებაა, ვნანობ კიდევ, რა თქმა უნდა... მაგრამ ძალიან არა. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არა. ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ გონზე. ასე უცბად ვერა ვხვდები ხოლმე, დრო არის საჭირო. ახლა სულ იმაზე ვფიქრობ, ოთხშაბათს შინ როგორ დავბრუნდებო-მეთქი. მაკლია ცოტა.

— მომავლის ბედი სულ არ გაწუხებს, ყმაწვილო?

— როგორ არა. ცოტათი მაწუხებს. აბა რა! როგორ არ მაწუხებს! — ერთი წუთით ჩაფიქრდი, — მაგრამ არც თუ ისე ძალიან. არც თუ ისე ძალიან.

— როცა იქნება შეგაწუხებს, — მითხრა მოხუცმა სპენსერმა, — შეგაწუხებს, ყმაწვილო. შეგაწუხებს, მაგრამ გვიანდა იქნება.

არ მესიამოვნა მისი სიტყვები. რა ამბავია, ხომ არ მოვმკვდარვარ! ძალღის გუნებაზე დამაყენა.

— ალბათ, შემაწუხებს, — ესლა ვუთხარი.

— მინდა თავში რამე ჩაგიდო, ყმაწ-

ვილო. ვცდილობ დაგეხმარო, გიშველო რამე.

მართლაც ცდილობდა. ზედგე ეტყობოდა, რომ ცდილობდა. მაგრამ სულ განსხვავებული შეხედულება გვექონდა ცხოვრებაზე — ის ალთას იყო, მე — ბალთას.

— ვიცი, რომ ცდილობთ, სერ. — მიეუბნე მე, — დიდი მადლობელიც ვარ. ღმერთმანი. დიდი მადლობელი ვარ და დიდადაც ვაფასებ, ნამდვილად, — წამოვდექი. პოი, ბიჭო! ათ წუთსაც ვცდარ გავეძღებდი იმ ლოგინზე, სიკვდილი მერჩივნა, — ახლა უნდა წავიდე, ფიზკულტურის დარბაზში ათასი რამე მიყრია და შინ წასაღებად უნდა შევკრა. ღმერთმანი.

შემომხვდა და ისევ თავის კანტური აუტყდა. სახე ძალიან სერიოზული გაუხდა. უცებ საშინლად შემეცოდა. მაგრამ იქ ხომ არ დაესახლდებოდი! მით უმეტეს, ის ალთას მიიწევდა, მე ბალთას, თან რაც კი ისროლა ლოგინისკენ, ყველაფერი ააცილა!.. ახლა ეს გაცრეცილი ხალათი და გარეთ გამოჩრილი მკერდი! თან გრიბის წამლებით აყროლებული ოთახი!

— იცით რა, სერ, ჩემზე ნუ ინაღვლებთ, — განვაგრძე მე, — მე არაფერი მიჭირს. ეტყობა, გარდამავალ ასაკში ვარ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ხომ ასეა?

— რა ვიცი, ყმაწვილო, აბა რა გითბრა!

ამისთანა პასუხს ვერ ვიტან.

— რა თქმა უნდა, ჩვეულებრივია. აბა რა. თავის შეწუხებადაც არ ღირს. თუ ღმერთი გწამს, ჩემზე ნუ ინაღვლებთ — ხელი მხარზე დაეადე, — ხომ?

— იქნებ ერთი ფინჯანი ცხელი შოკოლადი დაგელია წასვლის წინ, მისის სპენსერს ძალიან...

— დიდი სიამოვნებით დავლევდი, სერ, მაგრამ უნდა წავიდე. ფიზკულტურის დარბაზში უნდა შევიარო. დიდი მადლობა. დიდი, დიდი მადლობა, სერ. მერე ხელი ჩამოვართვი ერთმანეთს,

და ათასი ამნაირი სისულელე. ძაღლის გუნებაზე დავდექი.

— წერილს გამოგიგზავნი... ნაგრობაზე თავს გაუფრთხილდით.

— ნახვამდის, ყმაწვილო.

კარი რომ გამოვიხურე და სასადილო ოთახში გამოვედი, რაღაც მომძახა, მაგრამ კარგად ვერ გავარჩიე. დარწმუნებული ვარ „გზა მშვიდობისა“ მომძახა. თუმცა ვინ იცის. ღმერთმა ნუ ქნას. ჩემს დღეში არ ვეტყვი კაცს, გზა მშვიდობისა-მეთქი. საშინელებაა, რომ დაფიქრდება.

3

ჩემისთანა ტყუილების გუდას, ალბათ, ჯერაც არ შეხვედრიხართ ცხოვრებაში. ამაზე დიდი საშინელება რა უნდა იყოს! აგერ მალაზიაში მივედივარ ეურნალის საყიდლად, მეკითხებიან საით გაგიწევიაო. ნუ გაგიკვირდებათ რომ ვუპასუხო — ოპერაში მივედივარ-მეთქი. საშინელებაა! მოხუც სპენსერს რომ ვუთხარი, ფიზკულტურის დარბაზში უნდა შევიარო-მეთქი, ესეც მტკნარი სიცრუე იყო. ფიზკულტურის დარბაზში რა ჯანდაბა მინდოდა, საერთოდ არაფერსაც არ ვინახავ იქ.

პენსიში რომ ვსწავლობდი, ჩვენი ახალი საერთო საცხოვრებელი ოსენბურგერის სახელობის კორპუსში იყო მოთავსებული. მხოლოდ უფროსები და უმცროსები ვცხოვრობდით იქა. მე უმცროსი ვიყავი, ჩემი ოთახის ამხანაგი — უფროსი. ის ოსენბურგერიც პენსიში სწავლობდა თურმე. როცა დაამთავრა, დამკრძალავი ბიურო მოაწყო და დიდძალი ფულიც მოხვეტა. მთელს შტატში ჩამოაყალიბა ამისთანა ბიუროები. თუ ვინმე ნათესავი მოგიკვდებოდა, მიხვიდოდი, ხუთ დოლარს გადაიხდიდი და დამარხავდი. ეს იყო მთელი მისი საქმიანობა. ნეტა გენახათ ის ოსენბურგერი, ალბათ ტომარაში ჩატენიდა მკვდარს და პირდაპირ მდინარეში გადაუძახებდა. პენსის სკოლას კი კარგა ბევრი ფული შესწორა და იმიტომაც შეარქვეს ჩვენს კორპუსს მიწი სახელი. საფეხბურთო სეზონის პირველ

მატჩზე თავისი დიდებული კადილაკით ჩამობრძანდა. ჩვენ ტრიბუნებზე ჩაჯვამწკრივეს და გვაბლაღეს — ესე იგი, „ვაშა“ გვაძახებინეს... მეორე დღას ეკლესიაში ათსაათიანი სიტყვა წარმოთქვა. ჯერ ანგელოტებით დაიწყო, ბარე ორმოცდაათი უკბილო ანგელოტი გვიამბო — ვითომ, შეშხედეთ, რა უბრალო კაცი ვარო. ეხუმრები! მერე მოდგა და რა არ წამოროშა — გასაჭირში რომ ჩავვარდები ან რამე უბედურება შემეთხვევა, სულაც არ მერცხვინება — დავინოქო და ღმერთს შევავედრო თავიო. ჩვენც ასე გვიჩაია, სულ უნდა ილოცოთ და რა დროც არ უნდა იყოს, ღმერთს ესაუბროთო. ქრისტე ისე უნდა იგულოთ, როგორც თქვენი ძმაკაციო. მეც, პირადად, სულ ქრისტეს ვესაუბრებდი, მაშინაც კი, როცა საჭეს ვუზივარო. ამან მომსპო! წარმოვიდგინე, როგორ გადაჰყავს ამ გამოქვეყნებულ ნაბიჭვარს მანქანა პირველ სიჩქარეში და თან ქრისტესა სთხოვს, ცოტა უფრო მეტი მკედარი გამომიგზავნეო. მაგრამ ლაპარაკია საღერღელი რომ აეშალა და ეშხში შევიდა, ნამდვილი სერიი სწორედ მაშინ მოხდა. გადაიქაჩა — ასეთი ბიჭი ვარო, ამისთანა მოხერხებულო, რა არ გამომივა ხელიდანო, და ამ დროს, უცებ, ედგარ მარსალამ, რომელიც ჩემს წინ იჯდა, აიღო და ერთი მაგრაღ ბრიჯა. რა თქმა უნდა, დიდი სიბრძივე მოუვიდა, ტაძარში როგორ შეიძლებოდა!.. მაგრამ ძალიან სასაცილო კი იყო. ყოჩაღ, მარსალა! სახურავი კინალამ გაანგრია. ხმამაღლა არავის გაუცინია, ოსენბერგერს წარბიც არ შეუხრია — ვითომ არ გაუგონია. მაგრამ ბებერ თარმერს, ჩვენს დირექტორს, რომელიც ოსენბერგერის გვერდით იჯდა კათედრაზე, ხელადვე შეეტყო, რომ მშვენიერად გაიგონა. პოი ბიჭო, რას გაწიწმატდა! მაშინ არადერი უთქვამს, მაგრამ მეორე საღამოს სასკოლო დარბაზში შეგვეყარა ყველა და დაიქოქა. ის მოსწავლე, რომელმაც ეკლესიაში აღმამფოთებელი დანაშაული ჩაიდინა, სკოლაში გაჩერების ღირსი არ არისო. მარსალას შევეხვეწეთ, მანამ

თარმერს სიტყვა დაუშთავრებია, ერთი კიდე ბრიჯეო. მაგრამ გუნებზე მვერ იყო. ერთი სიტყვით, პენსიში... დროს ოსენბერგერის სახელობის კორპუსის ახალ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი.

შეგბით ამოვისუნთქე, როცა მოხუცი სპენსერისაგან წამოსულმა თავი ისევ ჩემს ოთახში ამოვჰყავი. ყველანი ფეხბურთზე გაკრეფილიყვენ და, რალაც შემთხვევით, ოთახში თბილოდა კიდეც. მყუდროობა ვიგრძენი. ქურთუკი გავიხადე, ყელსახვევი მოვიძრე, საკინძე გავიხსენი და იმ დილით ნიუ-იორკში ნაყიდი ქუდიც მოვიხადე. ეს იყო კარტუზ-ჩამოგრძელებული წითელი სანადირო ქუდი. გამოვედი თუ არა მეტროდან, სადაც ის ოხერი ხმლები დამრჩა, სპორტული მაღაზიის ვიტრინაში მოვჰკარი თვალი ამ ქუდს. სულ ერთი დოლარი ღირდა. უკუღმა დავიხურე, კარტუზი კისრისკენ მოვაქციე... ვიცი, დიდი სისულელეა, მაგრამ ასე მომეხუშტურა. უფრო მომიხდა კიდეც. მერე დაწყებულ იწიგნი გადმოვიღე და საეარძელში მოვიკალათე. თითო ოთახში ფრ-ორი საეარძელი იდგა. ერთი საეარძელი ჩემი იყო, მეორე — ჩემი ოთახის ამხანაგის უორდ სტრედლეიტერისა. სახელურები მოყანყალელებული ჰქონდა საეარძლებს, რადგან ყველა ზედ აჯღებოდა, მაგრამ ისე სასიამოვნო და მოხერხებული იყო.

ეს წიგნი ბიბლიოთეკიდან შეცდომით წამოვიღე. შეეშალათ და სხვა მომცეს. მანამ შინ არ მოვედი, არც შემომჩნევია. ისაქ დინსენის წიგნი მოეცათ, „აფრიკის ტევრებში“. ნავავი იქნება-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ მოგტყუვდი. მშვენიერი წიგნი გამოდგა. დიდი განათლებული არ გახლავართ, მაგრამ კითხვით ბევრს ვკითხულობ. ჩემი საყვარელი მწერალია დ. ბ. — ჩემივე ძმა. მეორე საყვარელი მწერალი რინგ ლარდნერია. სწორედ ჩემმა ძმამ მაჩუქა დაბადების დღეს რინგ ლარდნერის წიგნი, მანამ პენსის სკოლაში შევიდოდი. პიესები იყო წიგნში — ძალიან სასაცილო პიესები — და, გარდა ამისა, ერთი მოთხრობაც

მოძრაობის მომწესრიგებელ პოლისმენზე. პოლისმენს შეუყვარდება ერთი მშვენიერი გოგო, რომელსაც მუდამ სადღაც მიეჩქარება და მოძრაობის წესებს არღვევს. მაგრამ პოლისმენი ცოლიანია და ამ გოგოს ვერც შეირთავს და ვერც ვერაფერი. მერე გოგო კვდება, რადგან სულ ფაცხა-ფუცხით დადის. ჰკუთა კინაღამ დაეკარგე ამ მოთხრობაზე. საერთოდ, ყველაზე უფრო ისეთი წიგნები მიყვარს, სადაც სასაცილო რამეებია. კლასიკური წიგნებიც ბლომად მაქვს წაკითხული, მაგალითად „სამშობლოში დაბრუნება“ და ამისთანები, მომწონს კიდევ. ომზედაც ყველაფერი წამიკითხავს, დეტექტივებიც, და რა ვიცი, მაგრამ ამისთანა რამეებზე მაინცადამაინც არ ამომდის მზე. უფრო ისეთ წიგნებზე ვგოყდები, კითხვას რომ გაათავებ და ინატრებ — ნეტა ამის დაწერილი და მე კი მშაკაცები ვიყოთო, და ტელეფონითაც რომ დაურეკავ, როცა მოგინდება. ეს კი იშვიათად ხდება. თუმცა რა, სიამოვნებით დადურეკავდი ისაკ დინსენს. რანგ ლარდენერსაც დაეურეკავდი, მაგრამ დ. ბ.-მ მითხრა, მოკვდაო. აბა „ადამიანური ტვირთი“ ნახეთ, სომერსეტ მოემის დაწერილია. შარშან ზაფხულში წავიკითხე. კარგი წიგნია. რა ბეთქმის, მაგრამ სომერსეტ მოემისთვის დარეკვა სულაც არ მომდომებია. ვისთანაც მე ლაპარაკი მინდა, ისეთი კაცი ვერ არის ალბათ. მორჩა და გათავდა. თომას ჰარდის უფრო სიამოვნებით დაეურეკავდი. მომწონს მისი იუსტიცია ვეი.

ერთი სიტყვით, თავზე ახალი ჟუდი წამოვიკოსე, სავარძელში მოკვალაოდი და „აფრიკის ტვერების“ კითხვას შევუდექი. ერთხელ წაკითხული მქონდა, მაგრამ ახლა ზოგიერთი ადგილის ხელმეორედ გადაკითხვა მომიინდა. სამი გვერდის წაკითხვა ძლივს მოვასწარი, რომ ფარდამაოფარებულ შხაპის კაბინიდან ვიღაც გამოვიდა. არც კი გაიხივდია, ისე მივხვდი, ვინც იქნებოდა. რობერტ ეკლი იყო, მეზობელ ოთახში ცხოვრობდა. ჩვენს კორპუსში ყოველ ორ ოთახს შორის საზიარო შხაპის კაბი-

ნა იყო მოწყობილი, და ეს რობერტ ეკლი დღეში ბარე ოთხმოცდასთუჯერ შემოალაჯებდა ხოლმე ჩემს ოთახში. ამასთან, ჩემს გარდა, იგი ერთადერთი ბიჭი იყო, რომელიც ფეხბურთზე არ წასულა. საერთოდ, იშვიათად თუ სადმე წავიდოდა. ახირებული კაცი გახლდათ. უფროსი იყო, მთელი ოთხი წელი გაეტარებინა პენისში, მაგრამ სახელს მაინც არ ეძახდნენ, გვარით მიმართავდნენ ხოლმე — „ეკლი“. მისი ოთახის ამხანაგსაც კი, ჰერბ გეილს, ერთხელ არ დაუძახნია მისთვის „ბობ“, ან უბრალოდ „ეკ“. ოდესმე ცოლს თუ ეღირსა, ისიც, ალბათ, „ეკლის“ დაუძახებს. ახმახი ბიჭი იყო — ექვსი ფუტი და ოთხი დღეში — კბილებჩამშალი... რაც ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, ერთხელაც არ შემინიშნავს, რომ კბილები გაეხეხოს. სულ ჩაყვითლებულ-ჩაქანგული ჰქონდა და როცა სასადილოში პირს კარტოფილით ან მუხუდოთი გამოიტიენდა, მე გული მერეოდა. სულ დამუწუკებული იყო. მარტო შუბლსა და ნიკაპზე კი არა, ბიჭებს რომ აქვთ ხოლმე, მთელი სახე ზომურდლით ჰქონდა დაფარული. ეს კიდევ არაფერი, საერთოდ ალტანელი კაცი იყო. ბილწი და გაიძვერა. მართალი თუ ვნებათ, გულზე დიდად არ მეზატა.

ვიგრძენი, რომ ზედ კაბინის ფარდასთან იდგა, ჩემი სავარძლის უკან, და ოთახში იჭყიტებოდა — სტრედლეიტერი ხომ არ არისო. სტრედლეიტერს ვერ იტანდა, და თუ იგი შინ იყო, არც შემოვიდოდა. ანკი ვის იტანდა, მთელი სკოლა სძულდა.

ფარდა გადასწია და შემოვიდა.

— ჰეი! — მითხრა. ისე იტყოდა ხოლმე ამას, თითქოს საშინლად დადლილი და გასავათებელი ყოფილიყოს. თავს ისე იჭერდა, ვითომ სტუმრად კი არ შემოსულიყოს შენთან; თითქოს ისე შემთხვევით შემოვიდა. ისემც ღმერთი უშველის!

ჰეი-მეთქი, მეც ვუპასუხე, მაგრამ წიგნისთვის არ მომიშორებია თვალი. აბა სინჯე და, ეკლი რომ თავზე დაგადგება, წიგნი გვერდზე გადადე! მორჩა,

წასულია შენი საქმე. ისედაც წასულია შენი საქმე, მაგრამ თუ წიგნი გიჭირავს ხელში, უფრო დიდხანს გაუმაგრდება.

დინჯად გაიარ-გამოიარა, ვითომც არაფერიო. მაგიდასა და თაროზე რაც ნივთები მეწყო, ყველას შეავლო სათითაოდ ხელი. ასეთი ჩვეულება ჰქონდა, აიღებდა ნივთებს და კარგად დაათვალიერებდა. უჰ, ნერვებს მიშლიდა.

— რა ქენით, იფარაკავეთ? — უნდოდა როგორმე წიგნისთვის დამენებებინა თავი და სიამოვნება ჩამშხამებოდა. ფარაკაობა ფეხებზე ეკიდა. — ვინ შოიგო? ჩვენ თუ იმათ?

— არავისაც არ მოუვია, — ვუბასუხე მე. არც ახლა ამიხედავს ზევით.

— რაო? — ასეთი ზნე სჭირდა — ორჯერ გათქმევიანებდა.

— არავისაც არ მოუვია. — ცერად გავხედე, ჩემს თაროზე რას აწვალუბს-მეთქი. სალი პეისის სურათს მიშტერებოდა. ეს ნიუ-იორკელი გოგოა, ხშირად დავდიოდი ხოლმე მასთან ერთად. ხუთათასჯერ მაინც ექნებოდა ეს სურათი ხელში ალებული. და ერთხელაც თავის ადგილზე არ დაუდგია. განზრახ, რასაკვირველია. შავას რა ბევრი ჩიჩინი უნდა.

— არავის არ მოუვია? — იკითხა მან, — როგორ?

— ის ოხერი ხმლები და მორთულობა მეტროში დამრჩა, — არც ახლა ამიხედა.

— მეტროშიო?! რა ღმერთი ვაგიწყრა! დაგიკარგავს და ეგ არის.

— შეცდომით სხვა მეტროში მოვხვდით. მთელი გზა, სულ იმ ოხერ სქემას მიეჩერებოდი კედელზე.

მოვიდა და წინ ამეყუდა, სინათლეზე ჩამომეფარა.

— ეი, — ვუთხარი მე, — რაც შენ შემოხვედი, აგერ ოცჯერ ვკითხულობ ერთ წინადადებას.

ვინც არ უნდა ყოფილიყო, ეკლის გარდა, ყველა მიხვდებოდა ჩემს გადაჯრულ სიტყვებს. ეს კი ვერ მიხვდა.

— მერე არ გადაგახდევინებენ, თუ იცი? — მკითხა მან.

— რა ვიცი. ფეხებზე არ მკიდა! იქნებ დაჯდე, ან რამე ქნა, ეკლი, ბალო! თორემ სულ დამიბნელებს ოხერი სინათლე. — როდი შოსწონდა „ეკლი, ბალო“. თვითონ სულ ბალოს მეძახდა, რადგან მე თექვსმეტი წლის ვიყავი, ის კი თვრამეტისა იყო. „ეკლი ბალო-მეთქი“, რომ ვეტყოდი, ცოფდებოდა.

არც განძრეულა. ამისთანა ვაებატონი გახლდათ — სინათლეზე მომეცალეო რომ ეტყოდი, ფეხსაც არ მოიცივლიდა. ბოლოს და ბოლოს მოგეცლება, სხვა რა გზა აქვს, მაგრამ თუ სთხოვე, განზრახ გააპიანურებს.

— რა ჯანდაბას კითხულობ?

— წიგნს ვკითხულობ.

შეაბრუნა ჩემი წიგნი და დახედა.

— კარგია?

— განსაკუთრებით ეს წინადადებაა გასაგიჟებელი! — გუნებაზე თუ ვარ, მეც იმისთანა შხამიან სიტყვებს ვისვრა ხოლმე! მაგრამ ესეც შეიტყაპუნა. მერე ისეც ოთახში ყიალს მოჰყვა. ერთხელ კიდევ შეავლო ხელი ჩემს ნივთებს. სტრედლიტერის ნივთებსაც. ბოლოს იატაკზე დავახეთქე წიგნი. სულერთია, ეკლისთანა კაცი თუ გადგას თავზე, მაინც ვერაფერს წაიკითხავ. რას დავანებებს!

სავარძელს გადავაწეკი და შორიდან დაეუწყე ყურება, როგორ გაშინაურდა ეკლი ჩემს ოთახში. ნიუ-იორკში მგზავრობამ და მთელი დღის ამებებმა საშინლად დამქანცა, და მოქნარება დამაწყებინა. ბოლოს ავურიე. ასე ვიცი ხოლმე ზოგჯერ, როცა მომწყინდება: წალმა შევებრუნე ჩემი სანადირო ქუდი და კარტუზი თვალეებზე ჩამოვიფხატე. ვერაფერს ვეღარ ვხედავდი.

— ვაიმე, მგონი ვბრმავდები! — წამოვიძახე ჩახრინწული ხმით, — ვაი, დედა, როგორ დამიბნელდა ყველაფერი.

— შერეკილი ხარ ნამდვილად, შე ოხერო, — მითხრა ეკლიმ.

— ვაიმე, დედილო, ხელი მომაშველე! რატომ ხელს არ მომაშველებ?

— გეყოფა ერთი!

წრიას მოვყევი ბრმასავით, მაგრამ სკამიდან არ წამოვმდგარვარ. თან გავკოდი:

— ვაიმე, დედილო, რატომ ხელს არ მომაშველებ?!

რა თქმა უნდა, ისე ვურევი. ზოგჯერ ამითაც ვერთობი ხოლმე. თანაც ვიცოდი, რომ ეკლი გაცოფდებოდა. ბევრჯერ გამომწარებია ასე. ბოლოს მოვეშვი. ქუდი ისევ შევაბრუნე და სავარძელს გადავაწექი:

— ეს ვინაა? — იციხა ეკლიმ. ჩემი ამხანაგის გეტრებს ატრიალებდა. არაფერს არ დატოვებდა, რომ ხელი არ შეევილო. ყველაფერს უნდა წაჰპოტინებოდა. თასმა რომ თასმა — იმასაც არ გაუშვებდა. სტრედლეიტერისა-მეთქი, ეუთხარი. ცივად უშვა ხელი და სტრედლეიტერის ლოგინზე დააგდო. ჩამოღებთ თაროდან ჩამოიღო, და ახლა ჯიბრით დააგდო ლოგინზე.

მერე მობრუნდა და სტრედლეიტერის სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა. მოკვდებოდა და სავარძელში არ ჩაჯდებოდა. სახელურზე უნდა ჩამოსკუბებულყო.

— ეს ქუდი სად ჯანდაბაში გიყილია?

— ნიუ-იორკში.

— რა მიეცი?

— ერთი დოლარი.

— კარგად გაუფტქენიხართ. — ასანთის ღერით თავისი ოხერი ფრჩხილების წმენდას მოჰყვა. იწმენდა და იწმენდა ამ ფრჩხილებს. სასაცილო კი იყო! კბილები — ჩაქანგულ-ჩაშავებული, ყურები — ჩაბინძურებული, ეს კი მოდგება და ფრჩხილებს ისუფთავენს, ერთი შემხედეთ, რა სუფთა ბიჭი ვარო. ფრჩხილების წმენდა არც შეუწყვეტია, ერთხელ კიდე შეათვალიერა ჩემი ქუდი.

— ჩვენში მაგნაირი ქუდით დადიან ხოლმე. სანადიროდ, ღმერთმანი, — თქვა მან, — სანადირო ქუდია — ნადირს ხოცავენ.

— სანადირო კი არა და ის არის! — მოვიხადე და ხელში შევატრიალე. ცალი თვალი მოვხუჭე, თითქოს მიხანში ვიღებდი, — ნადირს კი არა და, ხალხს

უნდა ესროლო, — ვთქვი მე, — მე ხალხს ვესვრი.

— სახლში იციან შენი გამოჰანღურების ამბავი?

— არა.

— ეს სტრედლეიტერი სადღა ჯანდაბაშია?

— ფეხბურთზეა. პაემანი აქვს. — დავამტენარე. მთქნარებამ წამომიარა. ოთახში ისე ჯოჯოხეთურად ცხელოდა, რომ ძილი მომერია. პენსიში ასეა ხოლმე — ან გაიყინები, ან სიცხით დაიხრჩობი.

— დიდი სტრედლეიტერი! — თქვა ეკლიმ, — ეი, მაკრატელს ვერ მათხოვებ ერთი წუთით? ახლოს გაქვს?

არა. უკვე შევიხანხე. კარადაშია, ზემოთაროზე.

— მომეცი ერთი წუთით. ფრჩხილები წამომზრდია, უნდა დავიჭრა.

ფეხებზე არ ეკიდა — შეინახე თუ არ შეინახე, ზემოთაროზეა თუ ქვემოზე! რაღა ჩარა იყო — გამოველე მაკრატელი. მაგრამ ცოტას გაწყდა, ზედ არ გადავყევი. გავალე თუ არა კარადის კარი, სტრედლეიტერის ჩოგანი — ისიც ხის ჩარჩოში ჩადებულა — ბახ, პირდაპირ თავზე დამეცა. გამამწარა, მაგრამ რა გამამწარა. ჰქვთ ეკლიც კინალამ გაგიყიდა; საზიზღარი წრიბინა ხმა აქვს — რომ აუტყდა ჭირქილი, ლამის მუცელზე გაიფხრიწა. ისე ჩამოვიღე ჩემოდანი და გავხსენი, სული არ მოუთქვამს. ეკლისათვის სულერთია — ქვაც რომ მოხედეს კაცს თავში, სიცილით დაიხრჩობა.

— ეკლი, ბალო, კაი იუმორის გრძნობა გქონია, იცი? — და მაკრატელი გავუწოდე. — თუ გინდა მანეჯერობას გაგიწე და რადიოში მოგაწყობ, — ისევ სავარძელში ჩავეჯექი, ეკლიმ კი რჭის სიმსხო ფრჩხილების დაჭრა დაიწყო. — იქნებ მაგიდაზე დაგეჭრა, ჰა? — ვუთხარი მე, — მაგიდაზე დაყარე. ვერაფერი დიდი სიამოვნება იქნება შენს ბინძურ ფრჩხილებზე ღამით ფეხშველა სიარული.

თქვენც არ მომიკვდეთ, პირდაპირ

იატაქე ყრიდა. საზიზღარი ჩვეულებაა. რას იზამ.

— სტრედლეიტერს ვისთანა აქვს პაემანი? — შეკითხა მან. სულ იმას კითხულობდა, სტრედლეიტერი ვისა ხვდებოა, მიუხედავად იმისა, რომ დასანახავად სძულდა.

— არ ვიცი. შენ რაში გეკითხება?

— ისე. ვერ ვიტან მაგ ძაღლისგაგდებულს. დასანახავად მძულს.

— ის კიდე გიყვდება შენზე! ნამდვილი პრინციპი, მითხრა. — არევა რომ მომინდება, მაშინ ვეუბნები ხოლმე ხალხს, ნამდვილ პრინციპს ჰგავებარ-მეთქი. რა ვქნა, ვერთობი.

— სულ იბღინებდა! — თქვა ეკლიმ, — ვერ ვიტან მაგისთანა ძაღლიშვილებს. კაცს გეგონება...

— მაგიდაზე დაიჭერი-მეთქი ფრჩხილები, არ გეყურება! ორმოცდაათჯერ ხომ არ უნდა გითხრა!..

— სულ გაბღენძილი დადის, — განაგრძო ეკლიმ, — ერთი ნამცეცი ჰქუა არა აქვს მაგ ძაღლისგაგდებულს, და ჰკუსისკოლოფად კი მოაქვს თავი, ვითომ დიდი...

— ეკლი! მაგიდაზე დაიჭერი-მეთქი ეგ შენი ბინძური ფრჩხილები. ორმოცდაათჯერ გითხარი!

როგორც იქნა, დამიჯერა. მაგრად თუ არ დაუღრიალებდი, ისე ვერაფერს ვერ გააკეთებინებდი.

ერთხანს ვუყურებდი. მერე ვუთხარი:

— სტრედლეიტერზე იმიტომა ხარ გაწიწმატებული, ხანდახან მაინც გაიხეხე კბილებიო, გითხრა. განა საწყენად გითხრა. არც განზრახ უთქვამს და არაფერი. შენი წყენინება რაში სჭირდება. თუ გითხრა, იმიტომ გითხრა, რომ უფრო კონტა გამოჩნდე და, საერთოდ, უკეთესად იყო, ათასში ერთხელ თუ გაიხეხავ კბილებს.

— ძალიან კარგადაც ვიხეხავ. შენც იმის ფეხის ხმას აპყობიხარ.

— აბა როდის იხეხავ! სულ გითვალთვალე და არ იხეხავ. — ვუთხარი მე. მაგრამ ღვარძლიანად არ მითქვამს. მართალი თუ გინდათ, ცოტათი შემე-

ცოდა კიდევ. განა არ ვიცი, რომ ვერაფერი სასიამოვნოა, კაცი ჩაგაცოდუნს — კბილებს რად არ იხეხავო. — სტრედლეიტერს რას ერჩი. არც ისე ცუდი ბიჭია, — განვაგრძე მე, — როცა არ იცნობ, არც უნდა ილაპარაკო.

— მე კიდე გეუბნები ძაღლისგაგდებულთა-მეთქი. გაბღენძილი და ძაღლისგაგდებული.

— ცოტათი კი უყვარს გაბღენძეა, მაგრამ ბევრ რამეში ძალიან გულგაშლილია. ნამდვილად, — ვუთხარი მე, — დამიჯერე. ვთქვათ, სტრედლეიტერს ყელსახვევი აქვს, ან თუ გინდა სხვა რამე. და შენც მოგწონს ეს ყელსახვევი. ამას ისე გეუბნები, სიტყვაზე... იმისთანა ყელსახვევი უკეთია, რომელზედაც შენ ჰქუას კარგავ. იცი, რას იზამს? მოიხსნის და შენ გაჩუქებს. ნამდვილად გაჩუქებს. ანდა იცი, რას იზამს? ადგება და შენს ლოგინზე დააგდებს, ან სხვა რამეზე. მოცემით კი უსათუოდ მოგცემს. აბა მითხარი, სხვა ვინ გიზამს...

— ერთი — შემაწყვეტინა ეკლიმ, — მაგდენი ფული რომ მომცა, მეც ვაჩუქებდი.

— არაფერიც. შენ არ აჩუქებდი. — თავი გვაქნე, — არაფრის დიდებით არ აჩუქებდი, ეკლი, ბალოო. შენ რომ იმისი ფული მოგცა, შენისთანა...

— ბალო ალარ დამიძახო! სადაური ბალო ვარ, ლამის მამად გეკუთვნი.

— არაფერიც, — ჰოი, როგორ გამაცეცხლებდა ხოლმე ზოგჯერ. როგორც კი იშოვიდა სახაბს, არ შეიძლება არ ეგრძობობინებინა — შენ თქვეს-მეტი წლისა ხარ და მე თვრამეტისაო, — ჯერ ერთი, რომ სახლში ცხვირს არ შემოგაყოფინებ, — ვუთხარი მე.

— მამ, ნულარც დამიძახებ...

უცებ კარები გაიღო და სტრედლეიტერი შემოჯლიგინდა. სულ ასე ფეთიანით დადიოდა. სულ სადღაც ეჩქარებოდა, რაღაც დიდ საქმეზე. მოვარდა და ერთი აქედან შემომიქრა, მეორე იქედან. კაი ჩვეულებაა, შენაჲ მომიკედები.

— მოიხედე. ამაღამ საღმე ხომ არ მიდიხარ?

— რა ვიცი, იქნებ წავიდე კიდეც. რა ამბავია — თოვლი მოდის?

პალტო სულ დათოვლილი ჰქონდა.

— პო, მოიხედე, თუ არსად მიდიხარ, შენი ნატის ქურთუკი მათხოვე.

— ვინ მოიგო? — ვკითხე მე.

— ჯერ არ დამთავრებულა. ადრე წამოვედით, — მითხრა მან — პა, გვირდება თუ არა ამაღამ? ჩემს ნაცრისფერ ქურთუკზე რაღაც ოხრობა გადავისხნი.

— არა მჭირდება, მაგრამ გამიგანეებ. შენს ოხერ ბეჭებს რა მოადგემა! — სიმაღლით ტოლები ვიყავით, მაგრამ თითქმის ორ ჩემდენს იწონიდა. მხარბეჭიანი იყო.

— არ გაგიგანეებ, — დიდი ფაცხაფუცხით მივარდა კარადასთან, — შენ რაღასა იქ, ბიჭო ეკლი? — მიმართა მან ეკლის. კარგი საამხანაგო ბიჭი იყო სტრედლეიტერი. ეკლისაც კი ესალმებოდა ყოველთვის, მართალია გულით არა, მაგრამ თავაზიანად ესალმებოდა და მეტი რა უნდა ექნა.

ეკლიმ რაღაც ჩაიდულდუნა, როცა ჰკითხეს — რასა იქო. სულაც არ ეხალისებოდა პასუხის მიცემა, მაგრამ ვაეკაცობა არ ეყო და მაინც ჩაიდულდუნა. მერე მე მითხრა:

— წავედი. მერე გნახავ.

— ავრე იყოს, — მივეუბნე მე. მადლობა ღმერთს, ვულს არა მწყვეტდა მისი წასვლა.

სტრედლეიტერმა ქურთუკი გაიხადა და ახლა ყელსახვევს იხსნიდა.

— მოდი უცებ გავიპარსო?! — ხელად ეზრდებოდა წვერი. სქელი წვერი ჰქონდა.

— გოგო სადა გყავს? — ვკითხე მე.

— შემოსასვლელში მელოდება. — საპარსავი მოწყობილობა აიღო, პირსახოცი იღლიაში ამოიჩარა და ოთახიდან გავიდა. არც პერანგი, არც არაფერი. წელამდე ტიტველი დადიოდა ხოლმე. ჩამოსხმული ტანი მაქვსო, ფიქრობდა. მართლაც ტანდი იყო, უნდა გამოვტყდე.

4.

საქმე არაფერი მქონდა და მეც პირსახანში შევეყევი, მანამ ის წვერს გაიპარსავს, მე ცოტათი ენას მოვიფხანმეთქი. ჩვენს გარდა არავინ ყოფილა იქა, ფეხბურთიდან ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ. ჯოჯოხეთის სიციხე იღვა და ფანჯრები სულ შეორთქლილიყო. ათი პირსახანი მაინც იყო — სულ კედელზე მიყუდებული. სტრედლეიტერს შუა პირსახანი ამოერჩია. მე ხელმარჯვენით ჩამოვეუჯექი და ცივი წყლის ონკანს დავუწყე წვალება — ხან მოვეუშვებდი, ხან დაკვეტავდი. ეს ნერვიულობისაგან დამჩემდა. სტრედლეიტერი იპარსავდა და თან „ინდურ სიმღერას“ უსტვენდა. ყურისწამლები სტვენა იცოდა და ვერასოდეს სწორედ ვერ მიჰყვებოდა მოტივს. არა და უსათუოდ ისეთი ჰანგი უნდა ამოერჩია, რომელიც სასტვენად ძალიან გამორჩენილი ოსტატებისთვისაც კი ძნელი იქნებოდა. მაგალითად, „ინდური სიმღერა“ ან „მკვლელობა მეთექვსმეტე“. ისე, რისი სტვენაც არ უნდა დაეწყო, სულერთია, დაამახინჯებდა.

თუ გახსოვთ, ზემოთ ვთქვი, ეკლი საშინელი ბინძური კაცი იყო-მეთქი. არც სტრედლეიტერი ყოფილა მაინცდამაინც წმინდა, ოღონდ განსხვავდებოდა. სტრედლეიტერის სიბინძურე უფრო შეუმჩნეველი იყო. თვალში არ გეცემოდა. მაგრამ უნდა გენახათ, რა დანით იპარსავდა პირს: ერთიანად ჩაქანგებულ, ჭუჭყიან სამართებელს ზედვე მიხმობოდა საპნის ქაფი და ბეწვები. მე შენ გეტყვი, გასწმენდა, ან რამე. შესახებედავ ყოველთვის ლამაზი ჩანდა, როცა მორთებებოდა, ისე კი, ჩემსავით თუ იცნობდა ვინმე, ნამდვილი სიბინძურის განსახიერება იყო. კომპლიობით იმიტომ კომპლიობდა, რომ გაგიყვებით უყვარდა თავი. მთელს დასავლეთ ნახევარსფეროზე იმაზე ლამაზი თუ დადიოდა ვინმე, ვერ დააჯერებდი. მართლაც ლამაზი იყო, რა მეტქმის, მაგრამ ისეთი სილამაზე ჰქონდა, რომ როცა ბავშვების მშობლები ჩამოვიდოდნენ და მის პორტრეტს ნახავდნენ სასკოლო •ლ-

ბომში, ხელადვე იკითხავდნენ — „ეს ბიჭუნა ვინ არისო“. ერთი სიტყვით, სააღბომო სილამაზე ჰქონდა. თვით პენსის სკოლაშიაც კი ათჯერ იმაზე უფრო ლამაზი ბიჭები იყვნენ, მაგრამ სასკოლო აღბომში რომ გენახათ მათი სურათები, არ იტყოდით ლამაზიაო. ხან ცხვირი მოგჩვენებოდათ ჩამოგრძელებული, ხან ყურები — გადმოფლასული. ამაში არ მოეცულებოდათ.

ერთი სიტყვით, პირსაბანზე ვიჯექი სტრედლეიტერის გვერდით და წყლის ონკანს ვაწვალავდი. თავზე ისევ ჩემი წითელი სანადირო ქული მესურა უკულმა. ძაან შემეყვარდა ეს ქული.

— ე. ერთი დიდი სათხოვარი მაქვს.

— რა იყო? — ვკითხე არც თუ ისე ხალისიანად. სულ ასე არ იცოდა! ერთი დიდი სათხოვარი მაქვსო. ეს ლამაზი ბიჭები — ანდა იმისთანები, ვისაც ლამაზებად მოაქვთ თავი — სულ იმის ფიქრში არიან, ვის რა დავსაქმოთო. რაკი თვითონ გაგიუბით შეჰყვარებათ თავი, ასე პეონიათ, სხვებიც ჩვენზე გიჟდებიან, და ოღონდ კი რამე დავაგალოთ, მოკვდებიან და შეასრულებენო. სასაცილოა, აბა რა არი.

— მიღიხარ სადმე ამაღამ?

— იქნებ წავიდე, იქნება — არა. რა ვიცი. რას შეგიბებნი?

— ორშაბათისთვის ისტორია მაქვს სასწავლი, მთელი ასი გვერდი, — მითხრა მან, — ინგლისურის დავალებას ვერ დამიწერ? ორშაბათს რომ არ ჩავებარო, შავად წამივა საქმე, და იმიტომაც გთხოვ. ჰა?

სასაცილოდ ამიღო და ეგ არის! ასეა ნამდვილად.

— შე თვითონ გამომაპანდლერეს ამ ოხერი სკოლიდან, და შენ კიდევ რაღაც დავალების დაწერასა მთხოვ?

— ვიცი, ვიცი. მაგრამ რომ არ ჩავებარო, ჩემი საქმეც შავად წავა. გამიწიე მშობა, რაც იქნეს, იქნეს. ჰა, რას იტყვი? მაშინვე არ მიბასუხნია. ამისთანა ნაბიჭვრები უნდა აწვალო, ახია.

— მაინც, რა უნდა დავწერო? — ვკითხე ბოლოს.

— რაც მოგეგუნებოს. რამე ამიწერე. ოთახი. ან სახლი. ან რამე ადგილი. სადაც გიცხოვრია. ან სხვა რამე, რაც შენ გინდოდეს. ოღონდ მხატვრულად ამიწერე. — ესა თქვა და ლაზათიანად დამთქნარა. მოდი და ნუ გასკდები გულზე! რაღაცას ვთხოვს, გეხვეწება, თვითონ კი არხეინად ამთქნარებს! — ძალიანაც ნუ გამოიღებ თავს, — განაგრძო მან, — ამ ქოფაკ ჰარტსელს ინგლისურის დიდი მცოდნე ჰგონიხარ. ისიც იცის რომ ჩვენ ერთ ოთახში ვცხოვრობთ. ასე რომ, ეს მძიმეები და წერტილები ცოტა აურღაურე, საცა საქირო იყოს, იქ ნუ ჩასვამ.

მოდი და მართლა ნუ გასკდები გულზე. კაცი მშვენივრად წერ და თხზავ, ეს კი მოსულა და მძიმეებზე არატრატებს ენას. თუმცა სტრედლეიტერისაგან რა უნდა გამიკვირდეს. თითქოს იმიტომ გამოსდის სადაველი თხზულება, რომ მძიმეების თავის ადგილზე ჩასმა არ იცის. ამისთანებში ეკლის არ ჩამოუვარდებოდა. ერთხელ ეკლის გვერდით ვხივარ კალათურათზე. გულში ერთი მშვენიერი მოთამაშე გვეყავდა — ჰოვი კოილი — შუა მოედნიდან ისე კობტად ჩასვამდა ბადეში ბურთს, რომ არც ფიცარს შეეხებოდა და არც არაფერს. ეკლიმ დაიქინა და მთელი თამაში აღარ მომასვენა, ეს შენი კოილი მაღალია და იმიტომო. ღმერთო, როგორ ვერ ვიტან ამისთანა რამეებს.

პირსაბანზე ჯდომა რომ მომწყინდა, წამოვდექი და იატაკზე ფეხების ტყაპუნს მოვწყუევი — ისე გასართობად. ცეკვა რა ჩემი საქმეა, მაგრამ ტუალეტში ქვის იატაკი ეგო და კარგი სატყაპუნებელი იყო. კინოში ერთი ყმაწვილი ცეკვავს და იმას მივბამე. რაღაც მუსიკალური ფილმია. ჰირის დღესავით მძულს კინო, მაგრამ მსახიობების წაბამვა მიყვარს. სტრედლეიტერი თან იპარსავდა, თან სარკეში მიყურებდა. მე კიდევ, ოღონდ ვინმემ მიყუროს და ათასნაირ ოინბაზობას მოვიგონებ.

— მე გუბერნატორის შვილი ვარ, — ვთქვი და კიდევ უფრო მაგრად ავატყა-

ახლა, ბრიმორში? ამბობდა კიდევ, იქნებ იქ მოვეწყობო. ან იქა და ან შიპლიშიო. მე შიპლიში მეგულვობდა. მაინც, როგორ გამიხსენა ჰა,?!.

— მაგრად ამაფორიაქა. ღმერთმანი.

— მე საიდან უნდა ვიცოდე, როგორ გაგიხსენა! არ აღგები? ჩემს პირსახოცზე დამკლარხარ. — მართლაც მის ოხერ პირსახოცზე ვიჯექი.

— ჯეინ გალაპერი! — გავიმეორე მე. გონს ვეღარ მოვეგე. — ღმერთო ჩემო. სტრედლეიტერმა ბრიოლინი წაისვა თმაზე. ჩემი ბრიოლინი.

— იცი როგორ ცეკვავს! — ვთქვი მე, — ბალეტი გინდა, რა გინდა!.. დღე არ გავიდოდა, რომ ორი საათი არ გვარჯიშნა, თუნდაც გაგანია სიცხე ყოფილიყო. სწუხდა, ფეხები გამიფუჭდებო... დამიმსხვილდებო, და რა ვიცი, შაშს ვთამაშობდით გაუთავებლად.

— რასაო?

— შაშს.

— შაში რაღა ჯანდაბა!

— დამას რომ გავიდოდა, ადგილიდან კი არ დასძრავდა. გაიყვანდა დამას და მერე ხელს აღარ ახლებდა. სულ უკანა ხაზზე ედგა. ჩამწყკრივებდა ხოლმე ბოლო ხაზზე. და ხელსაც არ ახლებდა. ასე უფრო მოსწონდა, ერთ ხაზზე ჩამწყკრივებული.

სტრედლეიტერს არაფერი უთქვამს, ასეთი ამბები ბევრს არ აინტერესებს.

— დედამისიც ჩვენს კლუბში დადიოდა, — განვაგრძე მე, — მე ზოგჯერ გოლფის ჯოხები დამქონდა ხოლმე, ფულს ვაკეთებდი. ერთი-ორჯერ დედამისსაც წაველე ჯოხი. ბარე ასამოცდაათჯერ ჩააგდო ცხრა ორმოში.

სტრედლეიტერი არც კი მისმენდა. თავის მშვენიერ კულულებს ივარცხნიდა.

— უნდა წავიდე. მივესალმები მაინც — ვთქვი მე.

— რაღას უტედი?

— ამ წუთში წავალ.

თავიდან შეუღდა თმის გაყოფის.

მთელი საათი ივარცხნიდა ხოლმე.

— მაგისი დედა ქმარს გამორჩა და ვილაც ლოთს ვაკეცა, — განვაგრძე მე. — ცარიელი ძვალი და ტყავი იყო ის საწყალი. ბანჯგვლიანი ფეხები ჰქონდა. კარგად მახსოვს. ტრუსების ამარა დადიოდა ხოლმე. ჯეინი ამბობდა, მწერალიაო, პიესებსა სწერდა თურმე, თუ რაღაც ოხრობას, რას ვაუგებ. მაგრამ რამდენჯერაც ვნახე, სულ გაღეშილი იყო და რადიოში იმ სულელურ დეტექტივებს უსმენდა. ტიტველი დატანტალებდა მთელს სახლში. არც ჯეინს ერიდებოდა, არც არავის.

— რას ამბობ? — შესძახა სტრედლეიტერმა. როცა ვთქვი ტიტველი დატანტალებდა ის ლოთი სახლში და ჯეინსაც არ ერიდებოდა-მეთქი, მაშინდა დანტერესდა. დიდი გაფუჭებული კაცი იყო ეს სტრედლეიტერი.

— საშინელი ბავშვობა ჰქონდა საწყალ გოგოს. არ გეხუმრები.

ეს კი აღარ აინტერესებდა სტრედლეიტერს, უწმაწურ რამეს თუ იტყოდი, იცოცხლე სექვიტავდა ყურებს!

— ჯეინ გალაპერი. ღმერთო ჩემო! გონს ვეღარ მოვეგე. ვეღარ ამოვიგდე თავიდან. — გავიქცევი და ვნახავ, მივესალმები მაინც.

— მერე ვერ წახვალ?! გადმოგიგდია ენა და დგახარ!

ფანჯარასთან მივედი, მაგრამ არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა, ტუალეტში ისე ცხელოდა, რომ სულ შეორთქლილი იყო მინები.

— ახლა გუნებაზე არა ვარ. — ვთქვი მე. მართლაც არ ვიყავი გუნებაზე. უგუნებოდ როცა ხარ, ასეთი რამეები არ შეიძლება. — მე კიდე შიპლის სკოლაში მეგონა. დარწმუნებულიც ვიყავი, რომ შიპლიში სწავლობდა. — გავიარ-გამოვიარე. საქმე არაფერი მქონდა. — თამაში მოეწონა? — კვითხე ბოლოს.

— მგონი მოეწონა. რა ვიცი.

— არ ვითხრა შაშს ვთამაშობდითო, ან სხვა რამე არ გვიამბო?

— არ ვიცი. ანკი სიბიდან მეცოდინებდა

ახლანანს გავიყავი. — კულულები დაივარცხნა და ახლა თავის ბინძურ დანასა და საპარს მოწყობილობას ალაგებდა.

— მოიხედე. ჩემგან მოკითხვა გადაეცი.

— გადავცემ. — შემპირდა სტრედ-ლეიტერი. მაგრამ ვიცოდი, რომ არაფერსაც არ გადასცემდა. სტრედლეიტერისთანა ვაქტობნებს მოკითხვისთვის სცხელათ სწორედ!

სტრედლეიტერი ოთახისკენ წავიდა. მე ცოტახანს კიდევ დავრჩი ტულეტში, ჯენინზე ვფიქრობდი. მერე მეც შევედი ოთახში.

სტრედლეიტერი სარკესთან იდგა და ყელსახვევს ისვენებდა. ნახევარი სიცოცხლე სარკესთან ექნება გატარებული. ჩემს საეარქელში ჩავჯექი და სტრედლეიტერს დავუწყე ცქერა.

— ეი, — მივმართე მე. — ჩემი გამო-პანდურების ამბავი არ უთხრა.

— არ ვერცხვი.

ეს ერთი კარგი თვისება ჰქონდა სტრედლეიტერს. არ ჩაგაცოდებოდა, შეკითხვებით გულს არ გაგიწვრილებდა, ეკლის არა ჰგავდა. ალბათ, იმიტომ, რომ ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. ნამდვილად ასეა. ეკლი სულ სხვა ვინმე იყო. ყველგან თავის ბინძურ ცხვირსას სჩრიადა.

ჩემი ნატის ქურთუკი ჩაიცვა სტრედლეიტერმა.

— ფრთხილად, არ გამიგანიერო, ორჯერ მერტად არა მცმია, — ვუთხარი მე.

— ფიქრი ნუ გაქვს. ჩემი სიგარეტები სად ჯანდაბაში წავიდა?!

— მაგიდაზე დევს, — ყველაფერს ასე მიაბეცებდა ხოლმე და მერე აღარ ახსოვდა, — შენი კაშნეს ქვეშ, — აიღო სიგარეტები და თავის ქურთუკის ჯიბეში ჩაიყარა — ჩემი ქურთუკის ჯიბეში.

სანადირო ქუდი უცებ ისევ უკულმა შევაბარუნე. ნერვებმა მილატა. სულ დაწიწკნილი მაქვს ნერვები.

— მოიხედე. სად უნდა წაიყვა-

ნო? — ვკითხე მე. — უკვე გადაწყვეტილი გაქვს?

— თვითონაც არ ვეცდები ვთქვამო დარჩა, ნიუ-იორკში წავალთ. — მიჰქარა და მხოლოდ ათის ნახევარამდე დაეთხოვა.

არ მომეწონა მისი სიტყვები და პირდაპირ მივახალე:

— ალბათ, არ იცოდა, რა კობტა და მომზიბლავი არამზადა ხარ, და იმიტომ. რომ სკოდნოდა, დილის ათის ნახევარამდე დაეთხოვებოდა.

— ესეც სწორია, — თქვა სტრედლეიტერმა, — აგრე ადვილად ვერ ააღულებდი. ძალიან მოჰქონდა თავი. — ახლა გეყოფა. ის დაეალებოდა უსათუოდ დამიწერე. — ქურთუკი ჩაიცვა და წასავლელად გაემზადა. — ძალიანც ნუ გამოიღებ თავს. ისე ეცადე, მხატვრული იყოს. კარგი?

არაფერი მიპასუხნია. გუნებაზე არ ვიყავი. ესლა ვუთხარი:

— აბა ერთი ჰკითხე, დამებს ისეც უქანასკნელ ხაზზე ამწკრივებს?

— ვკითხავ, — მითხრა სტრედლეიტერმა, მაგრამ ვიცოდი, რომ არ ჰკითხავდა.

— აბა, კარგად იყავი. — თქვა და კარები გაიჯახუნა.

ნახევარი საათი იქვე ვიჯექი. ესე იგი, ჩემს საეარქელში ვიჯექი, არც გაენძრეულვარ. ჯენინი არ მშორდებოდა თავიდან, ვფიქრობდი, როგორ წავიდნენ ისა და სტრედლეიტერი ერთად. ისე დამეწიწკნა ნერვები, რომ ლამის გავგიყდი. აკი გითხარით, სტრედლეიტერი გარყვნილი ნაბუშარაა-მეთქი.

უცებ ისევ ეკლიმ არ შემოალაჯა! გადასწია შხაპის კაბინის ფარდა და შემოვიდა. პირველად მოხდა, რომ მისი დანახვა გულით გამეხარდა. ახლა უკვე შემეძლო სხვა რამეზე მეფიქრა.

სადილობამდე მეჯდა ოთახში, ბიკებსა ჰორავდა, რომლებიც მას სძულდა, თან ხელით უზარმაზარ მუწუკს იჩიჩქნიდა ნიკაბზე. ცხვირსახოციც კი არ ამოუღია. მართალი თუ ვინდათ, მგონი სულაც არ ჰქონდა ცხვირსახოცი.

ყოველ შემთხვევაში, ერთხელაც არ და-
მინახავს მის ხელში.

5

შაბათობით ყოველთვის ერთნაირი
სადილი გვქონდა ხოლმე და დიდებულ
სადილაც ითვლებოდა, რადგან ბიჭუ-
ტექის გვაძლევდნენ. ათას დოლარს
ჩამოვალ, რომ ამას განგებ შერებო-
დნენ. კვირაობით ბიჭების უმრავლესო-
ბას შრომლები ჩამოსდიოდნენ და ბე-
ბერმა თარმერმა კარგად იცოდა, რომ
ყველა დედა ჰკითხავდა თავის საყვარელ
შვილს, გუშინ რა გაჭამესო. ისიც უპა-
სუხებდა — ბიჭუტექისო. ასეთი თვალთ-
მაქცობა გავგონილა! ერთი ისიც უნდა
გენახათ, რა ბიჭუტექისი იყო, რალაც
მოციციქნილი, გამომხმარი, დანითაც
ვერ გაჭირდი. ბიჭუტექის კარტოფილის
დაზმურკლულ პიურესაც მოაყოლებ-
დნენ ხოლმე, დესერტად კი — „ყავის-
ფერ ბეტის“, მაგრამ პირს არავინ აკა-
რებდა. ზოგი პირველკლასელი თუ შე-
ქამდა, რადგან უყეთესი არაფერი ენახა,
და კიდევ ეკლისთანა ვეებატონები,
რომლებიც ყველაფერს თქველფავდნენ.

მშვენიერი ამინდი იდგა, სასადილო
ოთახიდან რომ გამოვედით, მიწაზე სამი
გოჯის სისქე თოვლი იდო და ზევიდა-
ნაც გადარეულივით მოდიოდა და მო-
დიოდა ფანტელები. ლამაზი საყურებე-
ლი იყო. გუნდაობა გავაჩაღეთ და სულ
ავიკელით იქაურობა. ბალღობაა, რალა
თქმა უნდა, მაგრამ ყველანი გავერთეთ
და გავხალისდით.

საქმე არაფერი მქონდა, არც შეპი-
რებული მყავდა ვინმე. ასე რომ, მე და
ჩემმა მეგობარმა, მოჭიდავეთა გუნდის
წევრმა მალ ბროსარდმა, გადაწყვიტეთ
ავტობუსში ჩაემსხდარიყავით და ეგერ-
სტაუნში თითო შნიციელი გვეჭამა, მერე
კი იქნებ რამე ბითურული ფილმიც
გვენახა. მთელი ღამე ბაიუუშვიით
ოთახში ჯდომა არც ერთს გვეხალისე-
ბოდა და არც მეორეს. ეკლიც ხომ არ
წაგვეყვანა-მეთქი, მალსა ვკითხე. ეს
იმიტომ, რომ ეკლი შაბათობითაც კი არ
გამოდიოდა გარეთ, იჯდა თავის ოთახში
და მუწულებს იჩიჩქნიდა. წამოვიდეს, რა

მენაღვლებო, მალმა მიპასუხა, მაგრამ
ეტყობოდა სიხარულით არ დაუკარგავს
ჭკუა. არ უყვარდა მაინც დამინც კვ
შენი ეკლი. ერთი სიტყვით სახლში შე-
ვედით, რომ წასასვლელად გავზადე-
ბულიყავით. მანამ კალოშებს ვიცვამდი,
და ვეზზადებოდი, ჩემი ოთახიდანვე
გაეძახე ეკლის, კინოში ხომ არ წამო-
ხვალ-მეთქი. ხმა მშვენიერად გადიოდა
შხაპის კაბინის ფარდებში, მაგრამ მა-
შინვე არ მიპასუხა. მაგისთანა ხალხი
უცებ რას გიპასუხებს! მერე შხაპის
ფარდებში გამოძვრა, ზღურბლზე შედგა
და, კიდევ ვინ მოდისო, მკითხა. უსათუ-
ოდ უნდა გაიგოს, ვინა და ვინ მოდის.
ახლავე დაეფიციებ, გემის მარცხშიაც
რომ მოპყვეს და გადასარჩენად ნავი
მიაყენო, ჯერ უთუოდ იმას გკითხავს,
ნიჩბებს ვინ მოუსვამსო. მალ ბროსარდი
მოდის-მეთქი, ვუთხარი.

— ეს ნაბიჭვარი?! კარგი. ცოტა ხანს
დამიციადე, — მითხრა მან, ასე გეგონე-
ბოდა დიდი წყალობა მოილოო.

ხუთი საათი მაინც მოუნდა მორთვას.
მე ამასობაში ფანჯარასთან მივედი, გა-
მოვალე და შიშველი ხელებით გუნდა
გავაკეთე. თოვლი ძალიან კარგად
გუნდადებოდა. მაგრამ აღარ მისვრია,
თუმცა თავიდან სწორედ იმიტომ დაე-
გუნდავე, რომ უნდა მესროლა. ქუჩაში
მანქანა! იდგა და იმას მოვარტყამ-
მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ გადავიფიქრე-
ისეთი გაკრიხლებულ-გაქათათებული
ჩანდა მანქანა! მერე წყალსაქანავს მო-
ვულირე, მაგრამ ისიც თეთრი და სუფთა
იყო. საბოლოოდ აღარ მისვრია, ფანჯა-
რა მოგვეტე და ოთახში გავიარ-გამო-
ვიარე, გუნდა კი ისევ ხელში მეჭირა და
სულ უფრო და უფრო ვამკვრივებდი.
ხელშივე შემჩა, როცა მე, ბროსარდი
და ეკლი ავტობუსში შევედით. შო-
ფერმა კარი გააღო და გადამაგდებინა.
არავის არ ვესვრია-მეთქი, ვუთხარი, მაგ-
რამ არ დამიჯერა. ვინ დაგიჯერებს —
ურწმუნოა ხალხი.

სურათი ბროსარდსაც ენახა და ეკლი-
საც. ასე რომ შნიციელი ვჭამეთ, ცოტა
პინბოლი წაერთამაშეთ და ავტობუსით

უკანვე დაებრუნდით, სკოლაში. მართალი გითხრათ, სულ არ დამწყვეტია გული — კინო რატომ ვერ ვნახე-მეთქი. რაღაც კომედია გადიოდა, კერი გრანტის მონაწილეობით — სისულელე იქნებოდა, რაღა თქმა უნდა. ამას გარდა, ადრეც ვყოფილვარ ბროსარდსა და ეკლისთან ერთად კინოში. აფთარივით ხარხარებდნენ იმისთანა რამეზე, რაც სულაც არ იყო სასაცილო. აბა, რა სასიამოვნო იქნებოდა იმათთან ერთად კინოში ჯდომა!

ცხრას თხუთმეტი აკლდა, საერთო საცხოვრებელში რომ დაებრუნდით. ბროსარდი ბრიჯის გიგი იყო და მოვედით თუ არა, პარტნიორებს დაუწყო ძებნა. ეკლიმ კი ჩემთან გადასწყვიტა დროის მოკლეა. ოღონდ სტრედლეიტერის სავარძელზე კი აღარ ჩამოჯდა ამჯერად, პირდაპირ ჩემს ლოგინზე დაეგდო და ცხვირ-პირი ბალიშში ჩარგო. თან რაღაცას დუღდუნებდა, თავისი გულისგამაწვრილებელი ხმით, თან კი მუწუკებს იჩიჩქნიდა. რა ნართაული სიტყვები არ გადაეკჳარი, მაგრამ ვერა და ვერ მოვიშორე თავიდან. იწვა და მონოტონურად დუღდუნებდა, ვილაც გოგოს ამბავსა ჰყვებოდა, რომელიც თითქოს წარსულ ზაფხულს შეაეცდინა. ასჯერ მაინც მქონდა ეს ამბავი მოსმენილი, და სულ სხვადასხვანაირად და სხვადასხვა ვარიანტებით. ჯერ მითხრა, თითქოს თავისი ბიძაშვილის მანქანაში შეეყვანოს, მერე პლიაჟის კაბინაში... და რა ვიცი, რა თქმა უნდა, თავიდან ბოლომდე მოჰორილი იყო ყველაფერი. თუ რამე დამეჯერება, ერთხელაც არ ყოფილა ქალთან. ის კი არა და, ვეჭვობ, ამისთანა რამე თუნდაც ვგრძნობინებინოს ქალისთვის. ბოლოს, რაკი ისე ვედარაფერს გავხდი, ავდექი და პირდაპირ ეუთხარი, — სტრედლეიტერს დავალეზა უნდა დავუწერო და ახლავე აითესე, რომ ხეირიანად მოვიფიქრო-მეთქი. როგორც იქნა წავიდა, მაგრამ, ჩვეულები-სამებრ, ახლაც დიდხანს მაწვალა. პიჯამო და აბანოს ხალათი ჩავიცვი, თავზე სანადირო ქუდი დაეხურე და

დავალეზის წერას შევეუდექი.

დავეჯექი, მაგრამ ვერასდრედებოდა ვერ გავისხენე ისეთი ოთახი ~~ამ მანძილზე~~ სტრედლის მხატვრული აღწერაც ყოფილიყოს შესაძლებელი, როგორც ეს სტრედლეიტერს დავალეს. საერთოდ, ოთახებისა და სახლების აღწერაზე მაინცდამაინც არა ვკარგავ ჰქუას. ბოლოს ისევ ჩემი მძის — ელის საბეისბოლო ხელთათმანის აღწერას შევეუდექი. კარგი ასაწერიც იყო. ლმერთმანი, ჩემს მძის მარცხენა ხელის თათმანი ჰქონდა. ცაცია იყო, კარგი ასაწერია-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ სულ ლექსად იყო აპრელებული — თითებზე, ჯიბეზე, ყველაფერზე ლექსი ეწერა. თანაც მწვანე მელნით. ლექსები იმიტომ სჭირდებოდა, რომ კითხვით ირთობდა თავს, როცა თამაშის დროს ბურთს არავინ მიაწვდიდა, მოკვდა ჩემი ძმა. 1946 წლის 18 ივლისს მოკვდა, სისხლის გათეთრებით. მაშინ მეინში ვცხოვრობდით. არ შეიძლებოდა არ მოგწონებოდათ. ჩემზე ორი წლით პატარა იყო, მაგრამ ათჯერ უფრო ჰკვიანი. მასწავლებელი მუდამ მადლობის წერილებს სწერდნენ დედაჩემს — დიდად სასიამოვნოა, ელისთანა ბიჭი რომ გვყავს კლასშიო. განა ელაქუცებოდნენ, გულითა სწერდნენ. მარტო უჰკვიანესი როდი იყო მთელს ოჯახში, ყველაფერში სასიამოვნო და სანატრელი ბავშვი იყო. არც გაანჩხლება იცოდა და არც არაფერი. ზომ იტყვიან ხოლმე, წითური ხალხი ადვილად ანჩხლდებაო. ელის ძალიან წითელი თმა ჰქონდა, მაგრამ ერთხელაც არ გაანჩხლებულა. ახლავე გეტყვით, რა წითურიც იყო. ასე ათი წლისა ვიქნებოდი, გოლფის თამაშში რომ დავიწყე. ერთ ზაფხულს, მახსოვს, მაშინ, ალბათ, თორმეტი წლისა ვიყავი, გამწარებით დავდეე ბურთს და თან ვფიქრობ, მოვიხედავ თუ არა უკან, ელის დავინახავ-მეთქი. მართლაც მოვიხედე და ვხედავ, ასორმოცდაათი იარდის დაშორებით ელი თავის ველოსიპედზე ზის, ღობის გადაღმა — ღობე სათამაშო მოედანს ერტყა ირგვლივ. მე მიყურებდი, აი, რა წითელი თმა ჰქონდა! მაგრამ

პოი რა კეთილი და სანატრელი ბავშვი იყო. უცებ რაღაც მოაგონდებოდა სადილობის დროს და ისე გულიანად გადაიკისკისებდა, სკამზე ძლივს მაგრდებოდა. ცამეტისა ვიყავი მაშინ, მეტისა არა, და კინალამ ფსიქიატრთან წამიყვანეს, რადგან სულ ჩავამტვრიე გარაეის ფანჯრები. განა მშობლებს ვამტყუნებ. არა, ღმერთმანი. ელი, რომ მოკვდა, იმ ღამეს გარაეში მეძინა და სულ მუშტებით ჩავღვწე ის ოხერი მინები, არ ვიცი რა მომელანდა. ის კი არა და, იმ ზაფხულს ავტობუსი გვექნა, და იმისი მინების ჩალეწვაც მოვინდომე, მაგრამ დასერილი ხელებით ვეღარ მოვახერხე. დიდი სისულელეა, არ შეგედავებით, მაგრამ თვითონვე არ ვიცოდი რას ვაკეთებდი, თანაც ვერ წარმოიდგენთ, რა ბიჭი იყო ელი. ზოგჯერ ახლაც წამომტკიცია ხოლმე ხელი, როცა წვიმს, მუშტიც ვერ შემეიკრავს ხეირიანად, მაგრამ რაში მენაღვლება, ქირურგობას მე არ ვაპირებ და ვიოლინოზე დაკვრას...

ერთი სიტყვით, ამაზე დავეწერე სტრედლეიტერის დავალება. ელის ბეისბოლის თათმანზე. შემთხვევით ჩემოდანში აღმომაჩნდა ეს თათმანი, ამოვიღე და რაც ზედ ლექსები ეწერა, სულ გადავეწერე. გვარიღა შევცვალე ელისა, რომ არავინ მიმხვდარიყო, ეს სტრედლეიტერის ძმა არ ყოფილაო. დიდად არ მეჭანვიებოდა გვარის შეცვლა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. თანაც უსათუოდ მინდოდა ამის დაწერა. მთელი საათი მოეუნდი, რადგან სტრედლეიტერის დანჯღრეულ მანქანაზე ვბეჭდავდი და წარამარა მისხლტებოდა. ჩემი მანქანა ვილაც ბიჭს ვათხოვე.

თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, საქმეს რომ მოვრჩი. დაღლას სულაც არ ვგრძნობდი, და ფანჯარაში დავიწყე ცქერა. აღარ თოვდა. შორიდან მანქანის ხმა ისმოდა — ქოჭავდნენ და ვერაფრით ვერ დაეჭოქათ. მეზობელი ოთახიდან ეკლის ხერინვა გამოდიოდა. სულ ვერ იჭერდა ხმას ის ოხერი ფარდები. ჰაიმორიტი აწუხებდა და ძილში ვაკირვებით სუნთქავდა. ნეტა რა არ აწუ-

ხებდა, რომელი ერთი ჩამოგითვალთ — ჰაიმორიტიო, მუწუწუკებიო, დამპალი კბილები, პირის სიმწყბარე და ცხენტილი ფრჩხილები და რა ვიცი... შეგეცოდებოდა კიდევ ეს ძალიშვილი.

6

ზოგ რამეს ვერასდღებით ვერ გაიხსენებ. ახლაც რამდენს ვფიქრობ, რა დროს დაბრუნდა ჯეინისაგან იმ ღამეს სტრედლეიტერი. ვერაფრით ვერ მომიგონებია, რას ვაკეთებდი, როცა მისი უტიფრული ფეხის ხმა გავიგონე. ალბათ, ისევე ფანჯარაში ვიყურებოდი, მაგრამ დანამდვილებით, რა ვქნა, არ მახსოვს. ძალიან აფორიაქებული ვიყავი და იმიტომ. როცა რამეზე აღელვებული ვარ — მტრისას! ზოგჯერ ტულუტშიაც კი მომინდება ხოლმე წასვლა, აღელვებული როცა ვარ, მაგრამ არ მივდივარ. ისე ვარ აღელვებული, რომ წასვლის თავიც არა მაქვს. ვერანაირად ვერ მომიხერხებია. აბა, ერთი თქვეც იცნობდეთ სტრედლეიტერს, იმასაც ვნახავდი, როგორ არ აღელდებოდიო. ორჯერ ეახლდი იმ ნაბიჭვარს პაემანზე და ვიცი, რასაც ვამბობ. ყოვლად უტიფარი კაცია. ნამდვილს გეუბნებით.

დერეფანში ლინოლუმში ეგო და შორიდანვე გაიგონებდით როგორ უახლოვდებოდა ოთახს. ისიც ვეღარ მომიგონებია, როცა შემოვიდა, სად ვიჯექი — ფანჯარასთან, ჩემს საეარძელში თუ იმისაში. რა ვქნა, ვერასდღებით ვერ მომიგონებია.

შემოვიდა და მაშინვე წუწუნს მოჰყვა, ისეთი სიცივეა, რომ ძალი არ გაიგდება კარშიო, მერე იკითხა:

— სად ჯანდაბაში წავიდნენ? რა ამბავია, კაცის ჰქაქანება არ არის, სამარეა, თუ რა?

პასუხის გასაცემად თავი არც კი შემეწუხებია. თუკი ამისთანა შტერია, რომ ვერ მიმხვდარა — შმაბათს საღამოს ან სასეირნოდ იქნებიან გასულები, ან ეძინებათ, ან არადა შინ გაემგზავრებოდნენ, — მე რაღა თავი ვიტებო და ვეჩიჩინო. გახდას შეუდგა. ჯეინზე ერთი სიტყვაც არ დაცდენია. კრინტიც არ

დაუძრავს. არც მე მითქვამს რამე. გაჩუმებული ვუყურებდი. ბოლოს ქურთუკისთვის მადლობა გადამიხადა. ეს იყო და ეს. საკიდ ჯოხზე გადააცვა და კარადაში დაჰკიდა.

— ყელსახვევს რომ იხსნიდა, მაშინ-ღა მკითხა — ის ოხერა დავალება თუ დამიწერეო. შენს ლოგინზე დევს-მეთქი, ვუთხარი. მივიღა დე მანამ საკინძეს იხსნიდა, კითხვა დაიწყო, დვას, გამოთავყვანებული სიფათი ნაწერისათვის მიუშტერებია და თან შიშველ მკერდსა და მუცელზე ხელს ისვამს. ასეთი ჩვეულება ჰქონდა — ან მკერდი უნდა ესრისა ან მუცელი. დიდ პატივისცემაში ჰყავდა თავი.

უცებ წამოიძახა:

— ეს რა ჯანდაბაა, ჰოლდენ! ეს ოხერი ბეისბოლის თათმანი საიდან გამოატყვირინე!

— აბა რა გინდოდა? — გაყინული ხმით ვუპასუხე.

— რა მინდოდა, რასა ჰქვიან! აკი ვითხარი — ან ოთახი ამიწერე და ან სახლი, ან სხვა ამნაირი რამე-მეთქი.

— შენ მითხარი, რამე აღწერილობა იყოსო — სულერთი არ არის, რას აღწერ! ბეისბოლის თათმანმა რაღა დააშავა?!

— ჯანდაბას შენი თავი, — საშინლად გაბრაზდა, გაცოფდა პირდაპირ. — სულ ასეთი უკულმართი ხარ, — ახლალა შემომხედა, — ახია, რომ გამოგაპანდურეს, — განაგრძო მან, — არ შეიძლება რომ კაცი მოგენდოს, არაფერი წესიერი არ გამოგივა ხელიდან. სულ ტყუილია, არაფერი.

— კარგი, აგერ მომეცი, — ვუთხარი მე. მივედი, ხელიდან გამოვგლიჯე და იქვე დაფხბრიწე.

— რასა შერებში, ეს რა ჯანდაბაა? — იყვირა.

არც კი მიპასუხნია, სანაგვე კალათაში ჩავყარე. მერე ლოგინზე წამოვწეკი და არც იმას ამოუღია კარგა ხანს ხმა და არც მე. იგი იხდიდა, ტრუსებს გარდა სულ გაიხადა ყველაფერი, მე კი ვიწეკი და სიგარეტს ვაბოლებდი. საერთო

საცხოვრებელში პაპიროსის მოწევა აკრძალული იყო, მაგრამ გვიან-ღამით — როცა ზოგს ეძინა, ზოგი წასული იყო, ვინ გამიგებდა, თანაც სტრედ-ლეიტერის ადუღება მინდოდა. წესრიგის დარღვევაზე თავგზას კარგავდა. ერთხელაც არ მოუწევია ოთახში. მე კიდე არ ვებუებოდი.

მაინც არ დასძრა ჯეინზე კრინტი. ბოლოს ისევ მე ვთქვი:

— ძაან დაიგვიანე, აკი ათისნახევრამდე ჰქონდა ნებართვა! ასე დააგვიანე?

ლოგინზე ჩამომჯდარიყო და ფრჩხილებს იჭრიდა ფეხზე.

— ორიოდე წუთი, — თქვა მან, — ვინ იქნება ისეთი სულელი, რომ ათისნახევრამდე დაეთხოვოს, და ისიც შაბათს!

ო, ღმერთო, უცებ როგორ შემძულდა!

— ნიუ-იორკში იყავით? — ვკითხე.

— გაგიძლი?! ნიუ-იორკში წასვლას რას მოვასწრებდით, ათის ნახევრამდე ჰქონდა ნებართვა!

— სამწუხაროა.

თავი ასწია და შემომხედა.

— პაპიროსის მოწევა თუ გინდოდა, საპირფარეოში მოწევედი! შენ რა გიჭირს, მაინც მიდიხარ, მე უნდა ვეგლო აქ, მანამ დავამთავრებდე.

აინუნშიაც არ ჩამიგდია მისი სიტყვები, ფეხებზე დავიკიდე, ვჭაჩავდი და ვჭაჩავდი. ესღა გავაკეთე, რომ გადმოვბრუნდი და ყურება დაეუწყე, როგორ იქნიდა თავის ოხერ ფრჩხილებს. ესეც სკოლა! ზოგი ფრჩხილებს იჭრის შენს ცხვირ წინ, ზოგი მუწუქს იჩინჩნის და რას არ აკეთებს.

— ჩემი მოკითხვა გადაეცი?

— ჰო.

გადასცა, როგორ არა! ნაბუშარი!

— რაო მერე? — ვუთხარი მე, — არა ჰკითხე — დამებს ისევ ბოლო ხახზე თუ ამწკრივებს?

— არა, არ მიკითხავს. შენ რა — ხომ არ გგონია, მთელი დამე შაშს ვთამაშობდით!

ხმა არ გამოიღია. ღმერთო, როგორ მძულდა!

— აბა სად იყავით, ნიუ-იორკში თუ არ წასულხართ? — ვკითხე ცოტა ხნის შემდეგ. ვცდილობდი ხმა არ გამბზარვოდა. ჰოი, ბიჭო, როგორ დამეწიწინა ნერვები. ვგრძნობდი, რომ რიგიან-პირიანად ვერ იყო საქმე.

როგორც იქნა ფრჩხილებს მორჩა. ლოგინიდან წამოდგა, ისევ ტრუსების ამარა, და რაღაც ეშმაკმა წამოუარა. ჩემთან მოვიდა, დაიხარა და ბეჭებზე დამიწყო მუშტის ცემა.

— თავი გამანებე, — ვეუბნები, — მამ სად წახვედი, ნიუ-იორკში თუ არ ყოფილხართ?

— არსადაც არ წავსულვართ. მანქანაში ვიყავით შეყუყულები. — ისევ მოჰყვა სულელურ ბლარატუნს — მუშტები დამიშინა.

— თავი გამანებე, — ეუთხარი მე, — ვისი მანქანა იყო?

— ეღი ბენკისა.

ეღი ბენკი კალათბურთის მწვრთნელი იყო სკოლაში. სტრედლეიტერი კიდე მის ერთ-ერთ გამორჩეულ მოთამაშედ ითვლებოდა — ცენტრს თამაშობდა სკოლის გუნდში და ბენკი მანქანას არასოდეს არ უჭერდა ხოლმე. მოსწავლეებს აკრძალული გვქონდა მასწავლებლისათვის მანქანების თხოვნა, მაგრამ ეს ნაბიჭვარი სპორტსმენები პატივში ჰყავდათ. რომელ სკოლაშიაც არ მივსულვარ, ეს ნაბიჭვარი სპორტსმენები ყველგან დიდ პატივში ჰყავთ.

სტრედლეიტერი თითქოს კრივში ვარჯიშობოსო, მიშენს და მიშენს ბეჭებზე მუშტებს. კბილქვ ჯაგრისი ეკირა ხელში და ახლა პირში გაიჩარა.

— შერე რა ჭენით? ეღ ბენკის მანქანაში უყლიტე? — ისე ამიკანკალდა ხმა, რომ მტრისას!

— რას მიჰქარავ? ხომ ჰრ ვინდა პირი საპნით ამოგიღესო.

— ჰა, უყლიტე?

— ეს პროფესიული საიდუმლოა, ძმობილო.

დანარჩენი კარგად აღარ მაგონდება.

ისღა მახსოვს, რომ ლოგინიდან წამოდექი, თითქოს საპირფარეოში (თუ სადღაც) ვაპირებდი გასვლას. უცებ რაცღაცაა და ლონე მქონდა, პირში გაჩრილ ჯაგრისს მოვეუწინე, რომ ის მყარალი ყელი სულ ჩამეხია. მაგრამ ვერ მოვახერხე. ავაცდინე. მგონი თავზე მომიხვდა ხელი. ტყენით კი ეტკინა, ალბათ, მაგრამ მე რომ მინდოდა, ისე არა. იცოცხლე, გავამწარებდი, მაგრამ მარჯვენა ხელი იყო და მაგრად ვერ მოვმუშტე. ვითხარით კიდეც, როგორ ვიტკინე ეს ხელი.

შერე უცებ იატაკზე აღმოვჩნდი. ის მკერდზე მაჯდა, ერთიანად გაპარხლებული. მუხლები პირდაპირ გულზე ჰქონდა მობჯენილი. მთელ ტონას იწონიდა. მაჯები გამიკავა, რომ მოქნევა აღარ შემძლებოდა. იქვე გავათავებდი!

— რა მოგივიდა, რა ჯანდაბა მოგივიდა! — იმეორებდა და გამოთავყენებული სიფათი სულ უფრო და უფრო უწითლდებოდა.

— მომამორე ეს ქუქყიანი მუხლები! — ლამის შევბღავლე. ღმერთმანი. — აეთრიე, თავიდან მომწყდი, შე ბინძურო ნაბუშარო!

ყურიც არ გაუპარტყუნებია. ზედ მაჯდა და მაჯებს მიგრეხდა. მე კი მთელი ათი საათი ვაგინებ და ვაგინებ — ძალისგავადებულ-მეთქი, და რა ვიცი. აღარც კი მახსოვს, რა სიტყვებით ვთათხე, — შენ გგონია, ყველას მიჰყლიტავ, ვინც კი მოგეხუსტურება-მეთქი. შენ-მეთქი, მე ვუთხარი, ფეხებზე გკიდიო — გოგო ბოლო ხაზზე გამწყრივებს დამებს თუ სად დადებს-მეთქი. იმიტომ კიდიოა ფეხებზე, რომ ღვთისგლახა და უტვინო ხარ-მეთქი. — ვერ იტანდა, უტვინოს რომ დაუძახებდი. ვერც ერთი უტვინო ვერ იტანს, უტვინოს რომ დაუძახებ.

— მოკეტე, პოლდენს! — დაიდრიალა და თავისი გაბრტყელებული და გამოთავყენებული სიფათი წითლად შემომანათა, — გეყოფა, მოკეტე!

— შენ ისიც კი არ იცი — ჯინი

ჰქვია თუ ჯენი, შე ღვთისგლახავ, შე უტვინო!

— მოკეტე-მეთქი, პოლდენ! გირჩევენია, გაჩუმდე. — იცოცხლე, მე ის გავაწარე, — თუ არ გაჩუმებულხარ, ახლავე გაგაპრტყელებ.

— ეს ბინძური და აქოთებული მუხლები მომაშორე!

— რომ მოგშორდე, გაჩუმდები?

პასუხის ღირსიც არ გავხადე.

ისევ გამიშეორა:

— პოლდენ, რომ მოგშორდე, გაჩუმდები?

— ჰო.

ადგა და მეც წამოვდექი. იმ ბინძური მუხლებისაგან მყვრი მწოდა.

— ბინძური ხარ, უტვინო და ძალისგაგდებული! — მივახალე მე.

ახლა კი ნამდვილად გაცოფდა. თავის კოტიტა თითებს სახეში მატაკებს და მეუბნება:

— პოლდენ, გაფრთხილებ. ეს უკანასკნელი იყოს: ახლავე თუ არ ჩაიწყვიტე...

— რატომ უნდა ჩაიწყვიტო! — ვუთხარი მე... გიყვივით ვღრიალებდი, — მაგრამ ყველა უტვინოს ერთი უბედურება გჭირთ. ლაპარაკიც არ შეგიძლიათ ადამიანურად. სწორედ ეგ არის უტვინობის პირველი ნიშანი. ლაპარაკიც არ შეუძლიათ ადამ...

ამან მთლად შეშალა. მეტაკა და მერე, მახსოვს, ისევ იატაკზე აღმოჩნდი. ისიც ვეღარ მომიგონებია — გრძნობა დავკარგე თუ არა. მგონი, არ დამიკარგავს. არც თუ ისე ადვილია, კაცს ერთი შემოკვრით გრძნობა დააკარგვინო. ეს მართო კინოებში იციან. ცხვირიდან კი საშინლად მომტვრიალებდა სისხლი და სულ ამოთხვრილი ვიყავი. თვალი რომ გავახილე, ზედ თავზე მადგა სტრედლეიტერი. ხელში პირსაბანი მოწყობილობა ეჭირა.

— რატომ არ გაჩუმდი, ხომ გითხარია!..

ხმაზე ეტყობოდა, მაგრად დაფეთებულიყო. ალბათ, იფიქრა, იატაკზე რომ (გაგრძელება იქნება)

დავენარცხე, თავი ან რამე გაფუტხეო. ნეტა მართლა გამეტეხარ?

— აკი ვთხოვე და გაგაფრთხილე. ეშმაკმა დასწყევლოს! — განაგრძო მან. პოი, ბიჭო, რა შეშინებული ჩანდა.

არც კი ვცდილვარ წამოდგომას. ვიწევი და ძაღლისგაგდებულ უტვინოს ვეძახდი. ისე ვიყავი გაცოფებული, რომ სულ ვღრიალებდი.

— კარგი ახლა. წამოდი, დაიბანე, — მითხრა სტრედლეიტერმა, — არ გეყურება?

წადი და შენ თვითონ დაიბანე შენი უტვინო სიფათი-მეთქი. ვიცი, რომ ეს ბალღობაა, მაგრამ საშინლად ვიყავი გაცოფებული. ფეხსადგილისკენ გაიარე და მისის შმიდტი თუ შეგხვდეს, ის მიჭყლიტე-მეთქი. მისის შმიდტი ჩვენი დარაჯის ცოლი იყო, სამოცდახუთი წლის დედაბერი.

მანამ სტრედლეიტერი არ გავიდა, არც მე გავნძრეულვარ. მაშინლა წამოვდექი, როცა მისი ფეხის ხმა გავიგონე. ტულეტისაკენ მიდიოდა. ჩემი დაწყევლილი სანადირო ქუდი არსად სჩანდა. ბოლოს მაინც ვიპოვე. საწოლ ქვეშ შევარდნილიყო. დავიხურე, კარტუზი ჩემებურად უკან მოვაქციე, სარკესთან მივედი და ჩემი გამოლენჩებული სიფათი შევათვალიერე. ჩემს დღეში არ მენახა ამდენი სისხლი. ცხვირპირი, ნიკაბი, თვით პიჯამო და ხალათიც კი სისხლში მქონდა მოთხვრილი, თან შეეშინდი და თან ცოტათი გავხალისდი კიდევ. ბანდიტსა ვვავდი. სულ ორჯერ მიჩხუბნია მთელს ჩემს სიცოცხლეში, და ორივეჯერ მე გამოვედი ნაცემი. ვერ ვყოფილვარ ყოჩხლი ბიჭი. მართალი თუ გინდათ, პაციფისტი ვარ.

რატომღაც მომეჩვენა, რომ ეკლის ელვიძა და ყველაფერი ესმოდა. ფარდა გადაესწიე და მის ოთახში შევედი, რას აკეთებს-მეთქი. იშვიათად თუ შევიდოდი მასთან. სულ ყარდა იქაურობა — საშინელი ბინძური კაცი იყო.

საჩივრ კომილასიონი

„ნერგის თეფას“ გმირები

კარგ საქმეს დიდი ფრთები აქვს

ხალხური სიბრძნე ამბობს, კარგ საქმეს დიდი ფრთები აქვსო. ამის თეალსაჩინო მაგალითია მწვემთი გიორგი ჩალაბაშვილისა და ფერმის გამგე გიორგი მჭედლიშვილის საქმიანობა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, საქართველოში, ბევრი რადი იცნობდა ამ თავმდაბალ მშრომელთ, მაგრამ მათ კარგი საქმე გააკეთეს, თავი გამოიჩინეს, როგორც გაბედულმა ნოვატორებმა, დაამსჯირიეს მოჭველებული წარმოდგენები მეცხვარეობის მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

გიორგი ჩალაბაშვილმა, ფერმის გამგე გიორგი მჭედლიშვილთან ერთად, შეიმუშავა და თავის ფარაში გამოიყენა მუშაობის ახალი მეთოდები, რითაც შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ცხვრის სულადობის გადიდებაში, მატლისა და ცხვრის წარმოებაში, და ფართოდ გაითქვა სახელი მთელ ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1960 წლის 9 აგვისტოს მიიღო დადგენილება — სიღნაღის რაიონის სოფელ ქველი ანავის კოლმეურნეობის უფროსი მწვემთის გ. ჩალაბაშვილისა და ფერმის გამგის გ. მჭედლიშვილის გამოცდილების მოწონების თაობაზე.

დადგენილებაში მალალი შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უბრალო საბჭოთა ადამიანების — კოლმეურნეობის მეცხვარეების შრომითს გმირობისა და საჭიროდ სერო მათი ნოვატორული გამოცდილების საქვეყნოდ გავრცელებაში.

დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ თაოსანი მეცხვარეების მისამართით — სიღნაღის რაიონის სოფელ ქველი ანავის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში აფარებული წერალი მოხლავდა. იწერებოდნენ ზოხანები და ფერმათა გამგეები, ზოორტექნიკოსები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, საბჭოთა არმიის მეორეხარისხი კოლმეურნეობის მეცხვარეობის დაწესებულების სია-

რული მრავალი ათეული კოლმეურნი მანძილიდან, ნოვატორები ყველას სიამოვნებით უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, დაწერალებით უამბობენ, რა და როგორ უნდა გააკეთონ, მგტი მატყლისა და ცხვრის ხორციის მისაღებად, ამისათვის ისინი არც ღროს იმურებენ და არც სიტყვებს.

იმ ორიოდ სიტყვიდან, რაც გ. ჩალაბაშვილს „გამოცეცხვით“, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გიორგი გიორგის-ძე ჩალაბაშვილი დაბადებული ყოფილა 1914 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ქველში, დარბი გლეხის ოჯახში. 1928 წელს დაუშთავრებია დაწყებითი სკოლის 4 კლასი, რის შემდეგ მოჯამაგირედ დამდგარა კულაჯ ვ. მჭედლიშვილთან. პირველად მეურნეობა დაუწყო, შემდეგ მწვემსად წასულა ცხვარში. როცა სოფელში კოლმეურნეობა დაარსებულა, მაშინვე შესულა წევრად და იქაც საკოლმეურნეო ფარას გაყოლია მწვემსად. დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა არმიის რიგებში ყოფილა. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მშობლიურ კოლმეურნეობაში დაბრუნებულა და თავის საყვარელი ფარისთვის მიუშურებია, 1949 წლიდან კოლმეურნეობის გამგეობას დაუწინაურებია მეცხვარეობის ფერმის პირველი პრივაღის ხელმძღვანელად. 1943 წლიდან სკაპ წევრია.

ფერმის გამგე გიორგი ივანეს-ძე მჭედლიშვილსაც ცხოვრების მძიმე გზა გაუვლია. 15 წლის ქაბუხ მამა გარდაცვლია და კოლმეურნეობაში შესელამდე, 1931 წლამდე, სოფლის ზოძოლებს ცხვარს მწვემსავდა. კოლმეურნეობაში შესვლის დღიდან ცხვარში წაიღა. 1935 წელს იგი ბრივაღიარად დაუწინაურებიათ, ხოლო 1939 წლიდან დღემდის, ძველი ანავის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის უცვლელი გამგეა. კომუნისტი გიორგი მჭედლიშვილი ისეა შესისბლხორცებული თავის პროფესიასთან, რომ ცხვრის გარეშე სიცოცხლე არც კი წარმოუდგენია.

...ცხოვრს ყველა ემტერების: ნადირი, კაცი, ამინდი — ყველა ცხვრის მტერია, ყველა იმის ეტანების... მაკითხა შეცხვარე ბედშიაგი, ყველა

ხელობის კაცს შეუძლიან მოისვენოს, გადას-
დოს საქმე, მაგრამ მეცხვარებს კი არა... ავღარ-
ში ცხო მუშა თავს შეაფარებს და მწყემსი კი
ცხორობთან უნდა მოკვდეს... დამეა და ცალი
თვალა ვახალელი უნდა ეჭიროს, ან ცხორი არ
დაუფრობეს, ან ნადირმა არ გაიტაცოს და ან
ქურდმა. მწყემსისათვის არც ღლეა და არც ღამე!

ალექსანდრე ყაზბეგის თქმისა არ იყოს, მარ-
თლაც წარმოვიდგინოთ მწყემსის მდგომარეო-
ბა, ცის ქვეშ, ბნელსა და ცივს ღამეს; განუწყ-
ვეტელი კოკისპირელი წვიმა, რომელიც ასეუ-
ლებს და ქუინავს ბრბოსა და ძვალს; ქარიშ-
ხალი ბობოქრობს, ცხვარს კი მაინც ვერ მო-
შორებინარ, თავი ვერ შეგაფარებია იმიტომ,
რომ ცხვარს ვერ მოაქდენ საქოვარს, ვაფაე-
ციხული, გაფრობილებული თვალისა სავიროთ.

ყოველივე ეს კარგად იცინა გიორგი ჩალაბა-
შვილმა და გიორგი მჭედლიშვილმა. ისინი არა-
ფრად აგდებენ სიმწიფეებს, ოღონდ ცხვართან
ახლოს იყვნენ, მათი ვაჟკაცობა მაგალითია
ყველა დანარჩენი მეცხვარისათვის.

და აი, როცა ჩვენს ქვეყანაში ჩაღვებოდა
მძლეორი პატრიოტული მოძრაობა საზოგადო-
ებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის,
ჩალაბაშვილმა და მჭედლიშვილმა გადაწყვიტეს
თავიანთი შრომითი წვლილი შეეტანათ ამ საქ-
მეში, მიეცათ ქვეყნისათვის რაც შეიძლება მეტი
მატყლი და ცხვრის ხორცი.

მაგრამ როგორ?!

გაუყოფივი გზით

სიმატლევ რომ თქვას, მაშინ ამაზე არც კი
უფიქრიათ.

მათზე უფრო გამოცდილი მეცხვარეები არი-
ან თუშები, მაგრამ არ მოუყლიათ ამ საქმისა-
თვის ხელი და აბა, ძველანაგვილი მეცხვარეები
როგორ გაებღავედნენ!

ჰოდა, ეს საქმე სულ უბრალოდ დაიწყო.
ძველი ანავის კოლმურწერობის მეცხვარეობის
ფერმა 1953 წელს მთაში იყო. საზაფხულო სა-
ძოვრებზე. ერთ საღამოს, როცა ჩალაბაშვილი
და მჭედლიშვილი თეოზე იყვნენ წამოწოლილ-
ნი და ცაზე „ბედის ვარსკლავებს“ ეძებდნენ
მთ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

— მოდი ერთი გავებღოთ, გიორგი, რას
იტყვი? — წამოიწყო გიორგი მჭედლიშვილმა.

— მაინც რა? — ჰკითხა ჩალაბაშვილმა.

— რა და, ადრეულა დედალ ბატანში გა-
ვერითთ ადრეულა მამალი თოხლი.

— მერე, დეკემბერში ან იანვარში, რომ
ბატანში დაიბღალოს, იმას რას უწერები?

— მოუვლით. ხომ გაგოგია, ცდა ბედის
მონახვერეთო, ვცალოთ.

შეთანხმდნენ. „რაც იქნება იქნებაო“ — თქვეს
და ადრეულა მამალი თოხლი ადრეულა დედალ
ბატანებში გაურჩეს.

ზაფხული მიიწურა. ცხვარი მშვიდობიანად
ჩამორკეცს ბარში. სახამთროდ ელაზნის გელზე
„ნერგის თფას“ მიღამობში დაბრუნდნენ.

ნოემბრის ბოლო რიცხვებში იქნებოდა, რომ
პირველმა ბატანებმა დაიბღავეს. ცოცა არ
იყოს, ფერმის გამგე და ჩალაბაშვილი შეფიქ-
რინდნენ, სახეზე აღმერი აუციდით. ალბათ,
ყველას ესსომება, იმ წელს რა სუსხიანი ზამ-
თარი იყო. თოვლი და ყინვა ბობოქრობდა.
გიორგი მჭედლიშვილს კრიკა შეკრული ჰქონ-
და, გიორგი ჩალაბაშვილს კი მოულოდნელად
გული აუძაგავდებოდა ხოლმე. ისინი შიშობ-
დნენ. — ახლა რომ დოლი დაგვეწყოს, ხომ
დავიღუპებითო. სხვა მწყემსები კი ამხრევებ-
დნენ:

— რისა გეშინიათ, კაცო, ეგ ბატანები „ნა-
პარაგია“.

თვითონ კი გუნებაში ამბობდნენ: „კი მოგე-
ცით, კი ნაპარაგები ეგენი არიანი“.

ამ „ნაპარაგმა“ ბატანებმა რომ იმატა და
სამოცდაათს მიადწია, სწორედ მაშინ დაუდგათ
ფერმის გამგეს და გიორგი ჩალაბაშვილს „ციებ-
ცხელება“.

სად იყო, სად არა და პარტიის სიღნაღის
რაციონის მდივანმა ამოკყო თავი ძველანაგულ-
თა ბინაში. მართალი უნდა ითქვას, ფერმაში
ადრეულა ბატანების მიღებას მოაღვდნენ. ზო-
მანზე მეტი გამოუვიდათ და ამიტომაც შიშობ-
დნენ. მაგრამ „ნაპარაგმა“ ბატანებმა თვითონ
გამაგლავნეს თავისი თავი. ერთი მწყემსი დაუ-
ფიქრებლად შესულიყო ფარეხში, სადაც ბატ-
ანები უადრათ გამოშეყვდებოდა. როგორც კი
ფეხს ხმა გივივს, ბატანებმა ბღაიყო ატეხეს.
მჭედლიშვილმა და ჩალაბაშვილმა ერთმანეთს
თვალათ ანიშნეს: გავცეცს მაგ წყევლებშიო.
რაციონის მდივანს ეს არ გამოპარვია:

— ბიჭოს, ეს რა არის? თქვენ ადრეული
დოლი დაგიწყიათ, საიდან, როგორ?

— არა, ეგ ორიოდე „ნაპარაგე“ ბატანია.

— აბა, ვნახოთ, რა „ნაპარაგე“ ბატანები! —
თქვა რაციონის მდივანმა და ფარეხისაკენ გას-
წია.

ჩალაბაშვილმა ვადაუღამარაგა გიორგი მჭედ-
ლიშვილს: „ხომ გაფრობილებდი, ემანდ ხათა-
ბალაში არ გავცხოვით-მეთქი, ვაგებოთ თუ არა
ორივე ფეხით!“

როცა რაციონის მდივანი ფარეხიდან გამო-
ვიდა, ერთი კუმტად კი შეხვდა ორივეს, შეზ-
ღვტ დამწვიდდა და ღიმილით უთხრა:

— ბიჭებო, ეს ცუდი საქმე როდია. ოღონდ
ბატანებს უნდა ვაუფრობილდეთ, არ დაგვხო-
ცით, ხომ ზედათ როგორ უნავს..

— რა სათქმელია, ნიავს არ მივჯარებთ! —
გულზე მოუშვა ფერმის გამგე.

რაციონის მდივანი რომ გაისტუმრეს, გიორგი
მჭედლიშვილმა ბინაზე მყოფ მწყემსებს ზოუ-



ხმო და საბატონისაკენ გაუძღვა. შეამოწმეს შიგნით, გარეთ, შეარმოვნეს და უფრო მეტად დაათბუნეს, სამუშაოს რომ მოაჩვენონ და მწყევს-სთა ბინაში მობრუნდნენ, ფერმის გამგემ ვა-ფროსიანი მწყევსებები:

— არ დაგვიწყდეთ, წოვებითაც ფარავში უნდა მოვაწყოთ, რომ არ გაიკვდნენ. ერთი ბატონიც რომ მოგვეკვდეს, სამდურავს არ დაგვიღვევ, ყველა თათბირსა და რაიონულ შეკრებაზე გაგვიხსენებენ.

შეიძეა ზამთარი მარტის დამდევსაც გრძელ-დგობა, როცა ნამდვილი დოკა დაიწყო. ადრეულა ბატონები მთვინ უკვე 7-8 კილო-გრამს იწონიან. გამოვიღო მწყევსების უყვირ-ღათ იმ დროისათვის დიდი რაოდენობით „ნა-პარავი“ ბატონების არა მარტო მიღება, არამედ შენარჩუნება და გამოზრდა, ამას რაღაც „სას-წაულს“ მიაწერდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, ეს იყო 1953 წლის ბოლოს და 1954 წლის დასაწყისში.

და აი, როცა ძველანაგული მეცხვარეები ეძებდნენ მატყლისა და ცხვრის ხორცის ვალი-დების გზებს, გიორგი მჭედლოშვილსა და გიორ-გი ჩალაბაშვილს გაახსენდათ „ნაპარავი“ ბატ-ონების ისტორია, გაახსენდათ და თავიანთი აზრი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სოსო ბუგია-შვილს გაუზარეს.

— ეგ ცუდი აზრი როდია, — უთხრა თავმჯ-დომარემ, — ოღონდ სპეციალისტებსაც უნდა ვეთხოვო. ხეობაშია საქმე ხომ არ ანის, ათასო-ბით ცხვარი დაადლო ადრეულად, და... ხომ გაგვივით მარტის ნათქვამი: „ცხვარი და ძრისა ვაქვლიათ, არ უღეშა ქვე ცხენია“. სანამ გა-დაწყვიტდეთ, კარგად უნდა მოვიფიქროთ...

— სწორია, ამხანაგო სოსო, — დაუდასტურა ფერმის გამგემ, — ამიტომ ჯერ მარტო ერთ ბრიგადაში, გიორგი ჩალაბაშვილთან დავიწყეთ ეს საქმე.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის დასტურის შემდეგ გიორგი მჭედლოშვილი და გიორგი ჩა-ლაბაშვილი მეშაობას შეუდგნენ.

ჩალაბაშვილის ბრიგადამ კოლმეურნეობაში პირველმა გადაიყვანა დედაცხვრის ფარა ად-რეულა დოღზე. ეს სიბალე იყო მეცხვარეობა-ში. წინათ მიაჩნდათ, რომ ჩვენში, საქართვე-ლოში, ცხვრის დოღის საფეთქის დრო მარ-ტია. ჩალაბაშვილმა კი ორ წელიწადში სამი დოღი ჩაატარა. პირველი — 1958 წლის თე-ბერვალში, მეორე — ამავე წლის დეკემბერში (ნაწილობრივ გადმოჰყვა 1959 წლის იანვარში). მესამე კი — 1959 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

ჩალაბაშვილისათვის ეს მეტად ძნელი და მძიმე საქმე იყო. ნოვატორებს ზოგი დასო-ნობა კიდევ, არაფერი გამოგივათო. ზოგიც ამინებდა, ადრეულა ბატონი შეა ზამთარი გაგვეღობათო. იმასაც კი აგონებდნენ: „მავ-ღ... მნათობი“, 26 4.

საქმიდან რომ გამოდიოდეს რამე, აქამდე თუ-შები ცხვარე გააკეთებდნენო“¹ **საქმის** თე-მა ამ მოთქმა-მოთქმას ძველანაგულიმდამ ბეარეები არაფრად აგდებდნენ, მაინც სთხოვეს თავმჯდომარეს, ურთიერ არ იქნება ამ საქმის თაობაზე ჰეითხო შეცნობებს, შეცხვარეობის სპეციალისტებს, მას გვიარჩევენ, რომ შრომა ტყუილად წყალში გადაყრულა არ აღმოგვიჩინ-დესო.

ასეც მოაქცნენ. მეცხვარეობის ზოგიერთი სპეციალისტი თუ ადრეულ დოღს ეკვიის თვა-ლით უცქეროდა, სხვები თანაგრძნობით მოე-კიდნენ ძველანაგულ ნოვატორთა თაოსნობას და პრაქტიკული დახმარებაც გაუწიეს.

მეცხვარეების დახმარებამ ფრთხილ შეისხა ძველანაგულ მეცხვარეებს. მათ ხომ გაუქვალა-ვი გზით დაიწყეს დიდი საქმისათვის ბრძოლა! ისინი არ შეუშინდნენ არავითარ დაბრკოლებას და სიძნელეს, ყველაფერს ვეგაცურად სძლე-დნენ ახალი აზრის გამარჯვებისათვის. მათ მხარში ეფფათ ერთგული თანამოსაქმეები — ფერმის მწყევსები, კოლმეურნეობის გამგეო-ბა, პარტიული ორგანიზაცია, მთელი ხალხი. მათ პრაქტიკულ მუშაობაში აღაფრთოვანებდა რაიონის ზღვრულანაგული ორგანოების ყურად-ღება და მხრუნველობა.

ჯერ კიდევ 1959 წელს ძველანაგულმა მე-ცხვარეებმა ვაზეთებიდან შეიტყვეს, რომ სტა-რობოლული მწყემსი მეცხვარე ივანე მალაშენ-კო მეშაობდა ადრეული დოღის მიღებაზე. მუშაობდა კი არა, წარმატებებსაც მიაღწია. ამხანაგმა ნიკიტა სერგის-ძე ზღვრულანაგულ 1959 წლის 23 მარტს მისალმების დედასაც გაუ-ზინა მალაშენკო, უწოდებდა ერთ წელიწადში ორი დოღის ჩატარებას.

სტაქრობოლში ივანე მალაშენკო, ხოლო სა-ქარაფელოში გიორგი ჩალაბაშვილი ერთდროე-ულად ეწეოდნენ თავდადებულ მუშაობას ორ წელიწადში სამი დოღის მისაღებად. ორვე გაუქვალავი გზით მიდიოდა დასახული მიზნი-საკენ, მაგრამ ერთმანეთს არ იცნობდნენ, ერთი-მეორის შთანფერქზე წარმოდგენაც არა ჰქო-ნიათ. მათ მხოლოდ ერთი იდეა აერთიანებ-დათ, იდეა საერთო საქმისათვის, კომუნისმის საქმისათვის თავდადებული შრომისა, რომე-ლიც ზღვს შეუწყობდა ჩვენს ქვეყანაში სასო-ფლო-სამეურნეო პროდუქტების, კერძოდ, მატყ-ლისა და ცხვრის ხორცის სიუხვის შექმნას.

აი ისიც, ივანე მალაშენკო

გიორგი ჩალაბაშვილის ბრიგადაში ნომებერ-დეკემბერის ბატონები უკვე საზამთრო საძოვ-რებზე დაყენებულნი იყვნენ, როცა კოლმეურ-ნეობის თავმჯდომარემ ფერმის გამგე და ბრი-გადირი სოფელში დაიბარა. ვაშეკობის თავმჯ-

დომარემ ჩალაბაშვილს სასიხარულო ამბავი აცნობა, ხეალ შე და შენ სტავროპოლში მივდივართ, შენს თანაშობლებს ივანე მალაშენკოსთან, ახლა წადი სახლში და გაეშაღე, მანქანით დილაზე ადრე გაეალთო.

გიორგის სიხარულს სახლგარე არ ჰქონდა. ბოლშევიკობა, აუსრულდა ნატეგა; პირადად შეხედებოდა მთელს ჩვენს ქვეყანაში სახელგანთქმულ სტავროპოლელ მეცხვარეს, ივანე მალაშენკოს, გაეცნობოდა მის საქმიანობას და ზოგ რამეს თვითონაც უამბობდა თავისი მუშაობის შესახებ.

თბილისიდან საღამოს გავიდნენ თბილის-როსტოვის მატარებლით. ეს გახლდათ 1960 წლის თებერვლის შუა რიცხვებში.

ძველანაგვი კოლმეურნეები გულთბილად მიიღეს ივანე მალაშენკოს მშობლიურ სოფელ ოლგინსკოეში.

2. ჩალაბაშვილმა და ი. ბეგიაშვილმა იმავე დღეს დაიწყეს ოლგინსკოეს სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის მებრუნობის გაცნობა. პირველად ესტუმრნენ მეფრინველეობის ფაბრიკას, სადაც რვა ათასი კვარცხნადებული ქათამი ბინადრობდა. შემდეგ გაეცნენ მეძროხეობის ფერმებს, რომლებიც საინტერესოდ ყოფილა აღიარებული მთელ სტავროპოლის მხარეში.

ამის შემდეგ, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ი. ბოკოს წინადადებით ქართველმა კოლმეურნეებმა ინახულეს ივანე მალაშენკოს ყოფილი ბრიგადა, საიდანაც იგი, გაგანოვას მავალითისამებრ, ჩამორჩენილ ბრიგადაში გადასულა.

სტუმრებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა სუფთა, დიდფანჯრებიანმა, ჩაღობი კოხტად გადახატულმა ცხვრის ფარეხებმა. ფარეხს შიგნით, ერთი მტკაველის სიმაღლეზე, ცხვარს მშრალი ნაშგა ჰქონდა დავებული. ბინაში კარგად თბილოდა.

ქართველ კოლმეურნეთა წარმომადგენლებს სტუმართმოყვარულად შეეგება უფროსი მწყემსი ივანე შარლაი, რომელაც გაუძღვა მწყემსთა საცხოვრებელი ბინისაკენ. აქ, ძველანაგვლთა უფრადღებმა მიიხერო რკინის კარგმა საწოლებმა, სუფთა ლოგინმა. მაგიდაზე გაშლილი იყო ახალი ეტრანალ-ვაზეთები, წიგნები, ცალკე იდგა რადიომიმღები. მწყემსთა ბინა საერთაბინა ილმონდა. ერთი საწოლად, მეორე — სასაღილად, ხოლო მესამეში მოთავსებული იყო სამზარეულო, რომელშიც მწყემსების მზარეულო ნადეჟდა კორკოლოვა ტრიალებდა.

— ნაღას მიერ დამზადებულ გემრიელ საქმელს ბადალი არ მოეპოვება. — ღიმილით შენიშნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ბოკომ.

ჩალაბაშვილმა ამოიხარა და თითქოს უსაყ-

ვედრებდსო, უკმაყოფილოდ გადახედა სოსო ბეგიაშვილს.

— ჩაო, გიორგი, რამ დავამწყვდით? — კითხვა ბეგიაშვილმა.

— რატომ არ შეიძლება, ჩვენთანაც მოვიწყობო ასეთივე კარგი და უბრალო ბინა, ჩვენ ხომ წლის შერ დროს ვართ ეიმყოფებით!

— აი დებრუნდებით შენ და ოლგინსკოელების ამ გამოცდილების გადმოღებამაც მაშინ მოვიღებამარკოთ. — თქვა სოსომ.



ნახევარი საათის შემდეგ ძველანაგვლები მეცხვარეთა ახალ ბინას მიადგნენ.

— აი, ისიც, — ჩვენი ივანე ნიკიტას-მე მალაშენკო — მანქანიდან გადმოსვლისთანავე მიმართა სტუმრებს ი. ბოკომ.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო ქართველო მეგობრებო! — სთქვა ივანე მალაშენკომ და ყველას მაგრად ჩამოართვა ხელი. შემდეგ სტუმრები მწყემსთა ოთახში მიიწვია.

ქართველმა მეცხვარეებმა ნათელფანჯრიან ფართო ოთახში მაგიდის თავზე ჩამოკიდებულ წითელ ალაშზე ამოკითხეს: „კომუნისტური შრომის ბრიგადა“. ოლგინსკოეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სტუმრებს მოუთხრო, თუ რა გაეთდა ი. მალაშენკოს გადმოსვლის შემდეგ ჩამორჩენილ ბრიგადაში, რომელმაც მოკლე ხანში უკვე მოახუვა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი.

გიორგი ჩალაბაშვილს უფრო მეტი აინტერესებდა მას სერდა ვაგვო, როგორ მიადწინა ივანე მალაშენკომ საქვეყნო სახელს, როგორ მიიღო ორ წელნიდან სამი დოლი და რა ხერხით ზრდის ცხვრის პროდუქტულობას.

— დიდი ხანია, რაც მეცხვარეობას ვწევით? — კითხვა მალაშენკოს ჩალაბაშვილმა...

და ამის შემდეგ დაიწყო მეგობრების გულითადი საუბარი.



ივანე მალაშენკოს ბრიგადამ კოლმეურნეობაში პირველმა ვადაიყვანა დედაცხვრის ფარა ზამთრის დოღზე. ეს სახლაც იყო მეცხვარეობაში. წინათ მიანდათ, რომ ნაშვარტელანა ცხვრის დოღის საუკეთესო დრო აპრილია. ივანემ კი დოლი 1958 წლის იანვარში ჩაატარა. შედეგებმა ყოველ მოლოდინს გადააპარბა. ყოველ ას დედაცხვარზე ბრიგადამ ასხელტრისათვის მიიღო 125 ზატკანი. სამეურნეებზე წესე-



ლის მომენტისათვის ისინი კარგად მომზადდნენ, ადვილად იტანდნენ ზაფხულის სიცხეს და ამიტომ არავითარი დანაკარგი არ ყოფილა. როცა დედაცხვარები გაპარსეს, თვითებულზე 5,8 კილოგრამი მატული მიიღეს. გაპარსეს იანვრის ბატენებიც. აპრილს ბატენების გაპარსვა კი მხოლოდ მომავალ წელს იქნებოდა შესაძლებელი. თვითებულ ბატენზე ბრიგადამ 2,4 კილოგრამი მატული მიიღო. ვარდა ამისა, იანვრის ბატენებს ცოცხალი წონა ვაცოლებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე აპრილისა. წონაში განსხვავება 20-25 კილოგრამი იყო.

— მოგება ამჟამად ზამთრის დღეს თუ გამოიყენებთ, შეიძლება მეტი გვექნეს მატული და ხორცი, — მსჯელობდა ივანე მალაშენკო: — მაგრამ ხომ არ შეიძლება ისე გავაყვითოთ, რომ წლის ბოლოსათვის მეორე დოლიც ჩავატაროთ? მინა ბატენების რაოდენობა გაორკვედება, მატულიც და ხორციც კიდევ მეტი იქნება.

ეს სწორი აზრი იყო. მართლაც, რატომ უნდა იძლეოდეს ცხვარი ნაბატს წელიწადში მხოლოდ ერთხელ? მაკობის პერიოდი ხომ მას სულ ხუთი თვე აქვს. რა გვიშლის ხელს, რომ ნაბატი წელიწადში ორჯერ ან ორ წელიწადში სამჯერ მივიღოთ? რა და, დადგინდი ტრადიციები. რაი ეს ტრადიციები ხელისშემშლელია, შემაფერხებელია, განა ღირს მათი დაცვა? ეს ტრადიციები უნდა დამსხვრეს.

ივანე მალაშენკო განაგარიშებას ჩაუჯდა. ამ განაგარიშებაში ცხადყო, რომ თუ ტრადიციების წინააღმდეგ წახვალ, არ შეუშინდება დოლის ჩატარების დროს ვაღმორწყას, შეამცირებ წოვების პერიოდს, რამდენადმე უფრო ადრე ასხლტ ბატენებს დედებს, უფრო სწრაფად დაადოყიანებ მათ და მოამზადებ განსაყოფიერებად, მაშინ ცხვრები ორი კალენდარული წლის განმავლობაში ნაბატს მოგვექმს არა ორჯერ, არამედ სამჯერ, ამასთან ერთობ ამ წელიწადში შეუძლიათ ორი ნაბატი მოგვეცნ. მაგრამ ეს განაგარიშება ცოტა ვინმეს თუ არწმუნებდა. ხელის შემშლელი იყო მეცხვარეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის დოკტრინა. მათ წაეღულუბებიც კი იცოდნენ.

ერთ-ერთ გამოჩენილ მეცნიერ მეცხვარეს, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, თავისი განაგარიშება მოჰყავდა. იგი მალაშენკოს ეუბნებოდა:

— ცხვრის მაკობა ხუთ თვეს გრძელდება. ბატენებს იგი ოთხ თვეს უნდა აწოვებდეს. დედაცხვარი ბატენების ასხლტის შემდეგ რომ გააზროს, დაადოყიანო და განაყოფიერო, საჭიროა სულ მცირე ორთვენიხვარი. ამრიგად, ყველაფერს 11-12 თვე დასჭირდება. მაშასადამე, წელიწადში შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ ერთი დოლი. სადღაა დრო სამი დო-

ლისათვის ორ წელიწადში? იგი ფაქტობრივად არ არის.

— მე კი დაწმუნებული ვარ, — მალაშენკომ, — რომ დროის გამოწინავე შეიძლება. საკითხავია, რატომ არ შეიძლება კარგი მოვლისა და კვების დროს ბატენები დედებს აგსლიტოთ, ვთქვათ, ერთი თვით ადრე?

— დაუეშვათ, მაგრამ ნუ გაიფუძვებით, რომ ცხვრის განაყოფიერება მხოლოდ შემოდგომაზე შეიძლება... თქვენ ხომ იცით, რომ ზაფხულში პირდაპირი მზის სხივები, მაღალი ტემპერატურა, შუქის სიჭარბე, პავრის ნაკლები ტენიანობა ცუდად მოქმედებს ცხვარზე ამაშია საკითხის არსი. ერთი სიტყვით, როგორც უნდა იანგარიშოთ, ხუთ წელიწადში, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება მივიღოთ ექვსი დოლი. არა, თქვენი თაოსნობიდან არაფერი გამოვა, ივანე ნიკიტის-მე, შემიძლია დაგენადლოთ ერთ ლიტრ ლენინზე.

— კარგი, დაენადლედეო, — უპასუხა მალაშენკომ. — მაგრამ მხედველობაში იქონიეთ, რომ დედაცხვრის დადოყიანებისა და განაყოფიერებისათვის მომზადების ვადების შემცირება მწყემსების ხელშია. ცხოველები კარგად კვებენ, უნარიანდ მოეუქვით და უვალდებური რიგზე იქნება. ბოლოს განა არ შეიძლება შევქმნათ ცხვრის განაყოფიერებისათვის „ხელოვნური შემადგომა?“ ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, რომ ყოველივე ამის ვაცოება შეიძლება და გვაკეთებთ, ასე რომ ერთი ლიტრი ლენინი თქვენზეა, აუცილებლად წააგებთ სანაძლეოს.

ისეც მოხდა. მალაშენკომ სანაძლეო მოიგო. მაგრამ მას და მის თანაშემწეებს ი. შარლას, ა. პავლოვს და ნ. ვასილკოვს დიდი და შეუპოვარი შრომის გაწევა დასჭირდათ. 1958 წლის ივნისში, ყველაზე ცხელ დროს, ბრიგადა შეუღლა დედაცხვრების ხელოვნურ დათესვლას. ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ვამტრუნდა — ცხვრების ხურაობა ნორმალურად მიმდინარეობდა. ბატენები მალაშენკომ მათის დაშვებს ასხლტა (ხვეულებრივ მიღებულ ვადაზე ერთი თვით ადრე) და პირველ ოთხ-ხუთ დღეს დედაცხვრებს ამოვებდა ყამირ სამოვარზე, სადაც წყნადი ბალახები არ იყო, წყალს ცოტას აძლევდა. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ ცხვრები უფრო მაღე გამშრალყენენ, ავად არ გამხდარიყენენ მასტიტით. მაგრამ როგორც კი შეწყდა სარძეო ჯირკვლების მოქმედება, ცხვრები ერთბაშად გადაიუენენ საუკეთესო საძოვრებზე, სადაც ნათესი წყნადი ბალახები იყო, ამას ვარდა ეწლეუბათ ორასი-სამასი გრამი შერისისა და შერის ლერლილი. შინგარაღური დამატებითი საკვები, წყალს სემადნენ თავის ნებაზე, რამდენჯერმე დღე-ღამეში. დღის ცხელ დროს ისინი გადაჰყავდათ სივრილეში.

ტვის ზოლებთან, ცხვრები სწრაფად იყრდნენ ტანს.

მაგრამ ზაფხულში, როცა დათვების დრო დგება, როგორ უნდა შეიქმნას „ხელოვნური შემოდგომა“, რომ დღე უფრო მოკლე და გრილი იყოს, ხოლო ჰაერი ტენიანი? ეს ასე კეთდება. ფარეზში აღმოსავლეთის, სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან ანელელებენ ფანჯრებს, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან ალბენ მათ, აწყობენ კარგენტილაციას, ვახსნილი აქვთ ყველა ამოსაწოვი მილი და კარავი. ავტოციკტრანის საშუალებით ყოველ დღით კარგად რწყავენ ფარეზის იატაკებს ქის ცივი წყლით, რომ ჰაერის ტენიანობა დაახლოებით ისეთ დონემდე აიყვანონ, როგორც შემოდგომის დამეს არის. ცხვრებისათვის ზოგჯერ ცივი შხაპსაც კი აწყობენ. ცხელ დროს, დაახლოებით დღის მ-დან ნაშუადღევის 5 საათამდე, ისინი არ ვაგაფვავთ საძოვარზე, ცხვრებს ტოვებენ დაბნელებულ, გრილ ფარეზებში, სადაც დატენიანებული ჰაერია.

ივანე მალაშენკომ თოქშმის სანახევროდ შეამკობა დათვებისათვის დედაცხვრების მომზადების ვადა და წარმატებით მოაწყო დათვს-ვლა არა შემოდგომამდე, არამედ ზაფხულზე. ეს სიახლე იყო მეცხვარეობაში, ეს უკვე გამარჯვება იყო, რადგან მოხერხდა ყველაზე ძნელი ამოცანის გადაწყვეტა.



1958 წლის ოქტომბერში, როდესაც სტავროპოლის მხარეს ლენინის ორდენი ვადასცეს, მწყემსების ბრიგადა ინახულა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა. მან დაათვალიერა ფარი, გულითადად ესაუბრა ჩიბანებს და მოიწონა მათი წამოწყება. ივანე მალაშენკომ და მისმა თანაშემწეებმა სიტყვა მისცეს ამხანაგ ხრუშჩოვს, რომ მოაწყობდნენ ორ დოლს და წლის განმავლობაში მიიღებდნენ 200 ბატკანს ას დედაცხვარზე.

ისინი მოვთმენლად ელოდნენ დეკემბრის დოლს. შედეგი შესანიშნავი აღმოჩნდა, ცდა სრული გამარჯვებით დამთავრდა. პარტიის XXI ყრილობის წინ ივანე მალაშენკომ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს გაუგზავნა დღეუმი მიღწერილი წარმატების შესახებ. წლის განმავლობაში ორი დოლი დედაცხვრის ფარაში, რომელიც 630 სულისაგან შედგებოდა, მიღებულ იქნა 254 ბატკანი საშუალოდ ას დედაცხვარზე, თვითველ მიზრდილ ცხვარზე მიღებულია 8,1 კილოგრამი მატყლი. დამატებით წარმოებულია 374 ცენტნერი ცხვრის ხორცი და 21 ცენტნერი ბატკნის მატყლი. ამ ზეგვეგითი პროდუქციის რეალიზაციით კოლმეურნეობამ 200 ათასი მანეთი (ძველი ფულით) შემოსავალი მიიღო. ბრიგადამ ვალდებულება იკისრა მატყლი-

სა და ხორცის წარმოების შედარებით დაავალდა სამ წელიწადში შეასრულოს მოსკოვიდან მალაშენკოს სახელზე მალე მიღებულ იქნა მთავრობის დეკრეტი, რომლისთავე ამხანაგმა ხრუშჩოვმა გულითადად მიულოცა ბრიგადას შესანიშნავი წარმატება.

— ძნელია, — იხსენებს ივანე მალაშენკო, — გადმოვცეთ უდიდესი სიხარულისა და ბედნიერების დეკრეტი, რომელმაც აიღოთ ჩვენი გული, დემეშის მიღებისას, სულითა და გულით ვუძღვნიდით მაღლობს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, კეთილი სურვილებისათვის. ამ სიტყუებში პირდაპირ ფრთები შეგვახსია...

საუბარი გრძელდებოდა. ძველანაგვლები შევადამიშ შევითხვებს იძლეოდნენ, პასუხის გაცემა მეტწილად კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ივანე ბოკოს უხდებოდა, იგი უფრო დაწვრილებით მოუთხრობდა ქართველ სტუმარებს თავისი მეცხვარეების შრომითს მამაცობაზე, ვიდრე თვით მალაშენკო ამ მისი თანაშემწეები. მათ ერთდროულად თავის თავზე ლაპარაკი, ტრამპაზობაში არ ჩამოგვართვანო.

— პარობა ხომ განაღებულ იქნა? — ითხოვა სოსო ბეგიაშვილმა.

— განაღებულ იქნა და მერე როგორ — დაიწყო ივანე ბოკომ, — ბრწყინვალედ. 1959 წელს ივანემ დამირებისამებრ წარმატებით ჩაატარა მესამე დოლი. სულ ორ წელიწადში მისმა ბრიგადამ სამი დოლი ჩაატარა და ყოველ ას დედაცხვარზე მიიღო 374 ბატკანი — ეს საშუალოდ 187 ბატკანი წელიწადში. ისტორიამ არ იცის ასეთი მაგალითი. საშუალოო წელიწადში ყოველ დედაცხვარზე, ბატკნის მატყლთან ერთად, მიღებულია 10,2 კილოგრამი მატყლი.

აი ეს არის რეზერვები! ისინი აღმოაჩინა ივანე მალაშენკომ, რომლის შრომა ნამდვილი შემოქმედებაა. გასულ წელს სრულყო შემოქმედრობული დოლის თავისი მეთოდი და კიდევ თქვა ახალი სიტყვა მეცხვარეობაში. თურმე შედეგი შეიძლება უფრო დიდი იყოს, თუ სამართხი ინტენსიური დოლის შემდეგ დედაცხვრებს შევეცდით შიშაქებით, რომლებიც იმავე ბრიგადაში უნდა იზრდებოდნენ. მაშინ მიღწერილი წელიწადში შეიძლება თერთმეტი დოლი მიღება. ეს ყოველ ას დედაცხვარზე საშუალოდ მოგვეცემს 1.485 ბატკანს, ანუ 620 ბატკნით მეტს, ვიდრე ფარის მიმარელების ზეუღებრივი ორგანიზაციის დროს. ახლა ბრიგადა ვარაუდობს ას დედაცხვარზე ყოველწლიურად მიიღოს სულ ცოტა 210 ბატკანი, ნაცულად 120—125 ბატკინისა. უკვირ არ არის, ეს ვარაუდიც რეალური აღმოჩნდება, რადგან ჩვენი ივანეს სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ შორდება.

ივანე უკვე შეუღლა თავისი განზრახვის გან-



სორციელებას. ვალენტინა გაგანოვას მავალი-
თისამებრ იგი გადმოვიდა ჩამორჩენილ ბრი-
ვადში და ფარების შეწყვილებული მოჭლა-
პატრონობა გამოიყენა. მისი ერთი ფარა შედ-
გება 750 დედაცხერისაგან, მეორე ფარა—632
მიწაისაგან. მას მოსახებრებს უწევს ხუთი
კაცი, ნაცვლად რუსსა. ნავაზადღეია დოლისა
და პარსის შემდეგ დედაცხერები გადაეცეს
სახორცეს და ისინი შიშვეებით შეიცვალოს.
დათესილი შიშვეები მოგვეყვები ნამატს, ხო-
ლო რამდენიმე ხნის შემდეგ შეცვლილ იქნები-
ან ახალი შიშვეებით. ასეთი თავისებური კონ-
ვეიტი, რომელიც პერიოდულად იქნება გამო-
ყვებული, შესაძლებელს გახდის თერთმეტი
დოლის მიღებას შვიდი წლის განმავლობაში.
ეს კი დამატებით ხორცი და შატვლია.

ასე თანდათანობით აუშავებებს ჩვენი გა-
ბედული ნოვატორი თავის მუშაობის მეთო-
დებს, რომელთა გადაცემებით შეფასება ძენ-
ლია. აბა, წარმოიდგინეთ, ეს მეთოდები ჩვენი
ქვეყნის ჩობანთა ყველა ბრივადში რომ დაი-
წყრება, რა უდიდეს ეკონომიურ ეფექტს
მოგვეცემს! მოკლე ვადაში დამატებით შეიძლება
გავზარდოთ მრავალი მილიონი ცხვარი და, მა-
შასადამე, კიდევ უფრო გავადიდოთ ზოარცისა
და შატვლის წარმოება.

ჩვენდა სასახლოდ, ეს გზა აღმოაჩინა ოლ-
ვისკოვლმა ჩობანმა ივანე ნიკიტას-მე მალა-
შენკომ. სწორედ ეს არის მისი შესანიშნავი
გვირობა, რომელშიც საყოველთაო აღიარება
მოვა და, რომელსაც მალე შეფასება მისცეს
სარტიამ და მოთვრობამ.

— ის, ალბათ, კიდევ არაერთ ჯილდოს მიი-
ღებს, — თქვა მალაშენკოს შესახებ ნ. ს. ზრუშ-
ჩოვმა, — ჩვენ ვამაუობთ ასეთი აღმოჩენებით,
იმპორტ, რომ ისინი გვიჩვენებენ სამშობლოს
საკეთილდღეოდ შრომითი გმირობის მაგალითს.
ეს, ამჟამად, მხოლოდ ჩვენს დროში, ჩვენს
სოციალისტურ ქვეყანაშია შესაძლებელი, რომ
იყვნენ ისეთი ჩობანები, რომლებსაც შეუძლიათ
შეედიან სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა
დოქტორებს.

ივანე მალაშენკოს და მის თანაშემწეებს
ძალზე აინტერესებდათ ქართული თანამოსაქმის
გიორგი ჩალაბაშვილის გამოცდილებაზეც მოე-
სმინათ ორიოდ სიტყვა.

— თქვენთან შედარებით, — დაიწყო გ. ჩა-
ლაბაშვილმა, — ჩვენში განსხვავებული პირ-
ბებია. ჩვენი ცხვარი ადრე ზაფხულობით და-
დგენტის მთებში, 200 — 300 კილომეტრზე
დაცივდიოდა, ახლა კი თრიალეთის მთებში,
300 — 400 კილომეტრზე გადაგვყავს. რა თქმა
უნდა, ეს გვიშლის ხელს ცხვრის ზელოვნური
დათესვლის რეგულარულად ჩატარებაში, დროის
განაწილებაში. ჩვენ მაინც მოვახერხეთ და ორ
წელიწადში სამჯერ დავალოეთ დედაცხვარი,
წარმატებასაც მივაღწიეთ...

დაამებადვე გაგრძელდა რუსი და ქართვე-
ლი მეცხვარეების გულითადი საუბარი. საქმე
იმით დაგვირგვინდა, რომ გიორგი ჩალაბაშ-
ვილმა შეჯიბრებაში გამოიწვია ივანე მალა-
შენკო და მასთან სოციალისტური შეჯიბრების
ხელშეკრულებაზე გააფორმა.

წარმატების მთავარი პირობა.

და იი, ამის შემდეგ ფერმის გამგე მკვლემ-
ვილი და ბრივადირი ჩალაბაშვილი ეძებდნენ
გზებს ცხვრის პროდუქტიულობის ერთიორად
გაზიდებისათვის, ეძებდნენ და მიაკვლიეს კი-
დედი.

ეს საქმე იენისში, ყველაზე ცხელ დროს და-
იწყეს. მათი ბრივადი მასინ შეუდგა დედაცხ-
ვრების ზელოვნურ განერბვას, ანუ დათესვას.
ცხადია, ამ საქმისათვის დედაცხვრების მომწი-
ფებას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, ეს კი ნორ-
მალურად მიმდინარეობდა, რადგან მაისის
დამდეგს და უფრო ადრე ასხლიტეს ბატკნები
(ჩვეულებრივ მიღებულ ვადაზე ერთი თვით
ადრე). ამასთან ცხვარს ისეთ ზალახს უმარ-
ჯებდნენ და ნაკლებად არ წყურებდნენ,
რომ მალე გაშროალიყო, ავიდ არ გამზდარიყო
მასტიტით.

როგორც კი შეამჩნიეს, რომ შეწყდა სარძეო
ჯირკვლების მოქმედება, ცხვრებს მიუმარჯვეს
ნოყიერი ზალახი, ატე წვალს აკლებდნენ.
სწორედ ამის მეოხებით დედაცხვრებისათ-
ვის შექმნეს „ზელოვნური შემოდგომა“, რამაც
უზრუნველყო ცხვრების მომწიფება, და ჩვენს
ნოვატორებს სხეულზეა მიცემთ ნაცვლად შე-
მოდგომისა, როგორც ეს წინათ იყო ხოლმე,
ზაფხულში გაენერბათ ცხვარი.

როგორც კი ცხვრების ნერბვა დამთავრეს,
ძველანაგვლად გულისხურ იქოიენ იქნა მი-
მართული, რომ ზუსტად დაეცათ პირუტყვის
ზოოტექნიკური წესები, კვების რაციონი.
ორგანიზებულად მოეწყობათ დრო, უკლებლივ
შეენარჩუნებინათ მიღებული ნამატი.

დაიწყო დამატული შრომის დღეები. ზა-
ფხულში ადრეულად განერბვილ დედაცხვრებს
ჯარასათი დასტრიალებდნენ ფერმის გამგე
გიორგი მკვლემვილი, ბრივადირი გიორგი
ჩალაბაშვილი, ზოოტექნიკოსი ილია დედაშა-
ვილი, მწყემსები ქიტესა ჯალიაშვილი, ვასილ
დუდაშვილი, გუგული ბეგიაშვილი, გიორგი
ზურაშვილი, ვასილ ბასილაშვილი, ზაქარია
ჯალიაშვილი, დმიტრი დედაშვილი, ბიძინა
ჯალიაშვილი, დავით მშანაშვილი და სხვები.
საქმის წარმატების მთავარი პირობა იყო დე-
დაცხვრის კვების სწორად მოწყობა. ამას
ადრევე იფიქრეს და სასამთრო სამოვრებზე
მიიტანეს საჭირო რაოდენობის საკვები; თე-
თულ ცხვარზე 2 ცენტრერი უხეში საკვები.
2 ცენტრერი სილოსი და 0,5 ცენტრერი კონ-
ცენტრირებული საკვები. ამას გარდა, ფერმის



პირას მოაწვეს მწვანე კონფედერაი. ბრიგადაში მთლიანად მოსკეს ცხვრის წველა, რის შედეგადაც ახლა ბატკანი მთლიანად იღებს და ირგებს დედისეულ ბუნებრივ. რძეს, წოვს ნებისმიერად, როცა მოესურვება. ამრიგად, ძველანაგელმა ნოვატორებმა შექმნეს მიღებული ნამატის არა მარტო შენარჩუნების, არამედ მისი პროდუქტიულობის გადიდების საუკეთესო პირობები.

შედეგიც ჩინებული იყო.

აი რას მიადწიეს

მდორედ მიღედუნებს აღახანი შირაქის ველის დასალიერზე.

ამ ტრამალებში აქა-იქ შემალღებული გორაკები იტაცებენ თვალს. თვითველ გორაკს თავისი სახელი აქვს, „ბუმბულის თეფა“, „ნერგის თეფა“..

არ გუგონოთ, ეს გორაკები ბუნებრივი იყოს, არა, ისინი ჩვენი წინაპრების მარჯვენით არის შექმნილი, როგორც სათვალთვალ პუნქტები. კახეთის მადლიან მიწაწვალზე შემოსეულ უცხოელ დამპყრობთა ურდოების დასახვერად იყენებდნენ მათ ქართველები. ამ პატარა გორაკებისათვის გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში ვერაგი მტრის ბევრი ჯარისკაცი ანეხილა და დამიწებულა, ბევრი მამაცი ქართველის სისხლიც დაღვრილა.

ახლა ამ პატარა გორაკებზე მოწყობილია მეცხვარეთა ბინები.

„ნერგის თეფაზე“ ბინადრობს გიორგი ჩალაბაშვილის ბრიგადა, ხოლო „ბუმბულის თეფაზე“ — ვასილ ლევანაშვილის ბრიგადა. ამ ბრიგადის ცხვარი მთლიანად ნახმარიაღანია. თვითველი დედაცხვარი ორმოცდაათზე მეტ კილოგრამს იწონის. 1960 წელს ყოველ ას დედაცხვარზე 110 ბატკანი მიიღო ბრიგადამ. „მომავალში უფრო მეტს მიეაღწევთ!“ — ამბობენ ამ ბრიგადის მწყებლები.

„ნერგის თეფას“ გმირები! — ასე უწოდებენ გიორგი ჩალაბაშვილსა და გიორგი მჭედლიშვილს, რომელთაც გაბედული ცდით შესანიშნავი გამარჯვებას მიადწიეს და ორ წელწადში სამი დოლი მიიღეს.

შედეგი?

აი რას მიადწიეს მათ: ძველანაგელთა მეცხვარეობის ფერმამ საამაყო მანველებლებით დამთავრა 1960 წელი. ფერმაში დაადოლეს 3.011 სული ცხვარი. ყოველ ას დედაცხვარზე საშუალოდ მიიღეს 130 ბატკანი, ხოლო ვ. ჩალაბაშვილის ბრიგადამ დადოლებელ ყოველ ას დედაცხვარზე — 150 ბატკანი. აღრეულა ბატკნის საშუალო წონა ზაფხულში 40 კილოგრამს იღმეტებოდა, ეს მაშინ, როცა ჩვეულებრივი თუშური ცხვრის ყოჩი ძლივს აღწევს ამ წონას. არტელში გაიზარდა მატყლის გამოსავლიანობაც. თვითველი ცხვარზე მიიღეს 3,8

კილოგრამი მატყლი, ნაცულად გვემით ვათვალისწინებელი 3,3 კილოგრამის, ხანდემლწილის მიყიდეს 653 ცენტერი ცხვარს-ხმარს-ამასთან საყურადღებოა ერთი ფაქტაც. თუ კოლმურენობას 1960 წელს საერთოდ თვითველი კილოგრამი ხორცის წარმოება 8 მანეთი და 70 კაპიკი დაჯდა, სამკვირავო თვითველი კილოგრამი ცხვრის ხორცის წარმოება 2 მანეთი და 45 კაპიკი დაჯდა. მატყლის გამოსავლიანობაც ყველაზე მაღალი იყო ვ. ჩალაბაშვილის ბრიგადაში. აქ თვითველი ცხვარზე საშუალოდ 4,4 კილოგრამი მატყლი გაპარსეს. მოუხედავად იმისა, რომ შექვიდროებული დოლის ჩატარების პერიოდში ძველანაგელებში ცხვრის წველა აკრძალეს, ამ ღონისძიებას ოდნავადაც არ შეუშორებია ფულადი შემოსავალი. პირიქით, წველის შეწვევების შედეგად წონაში მომატებით და მატყლის ნამატით კოლმურენობამ 80 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღო, გაცილებით მეტი ელერე ყველიდან მიიღებდნენ. მიღებულმა შემოსავალმა 1 მილიონ მანეთს მიადწია. ეს იყო 1960 წლის შემოღობისათვის მიღწეული შედეგები.

და აი, 1960 წლის ნოემბერ-დეკემბერში მეცხვარეობის ფერმის ბრიგადებში კვლავ დაიწყო შექვიდროებული დოლი, რამაც 1961 წლის იანვარამდე გასტანა. შედეგები წინა დოლებზე უკეთესი აღმოჩნდა.

ასე უპასუხებენ პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს ძველანაგელ მეცხვარეები.

შუქურები

შეიღწეღის მეორე წლის შუა ზაფხულში იყო.

თრიალეთის იაღალებზე მყოფ ფერმის გამგეს გიორგი მჭედლიშვილს და უფროს მწყემსს გიორგი ჩალაბაშვილს აცნობეს თბილისში თათბრია მეცხვარეობის განვითარების საკითხზე. — ორივენი უნდა დაესწროთო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ მეცხვარეთა თათბირზე ბევრი სიანტერესო საკითხი იქნა წამოჭრილი. ლაპარაკი იყო ცხვრის გამრავლების ახალ პროგრესულ მეთოდებზეც.

ძველანაგელი მეცხვარეები ყოველი ორატორის გამოქვლას გულისყურით უსმენდნენ. და ვი ტრიბუნაზე ავიდა მათი რაიონის წარმომადგენელი.

— ჩვენს რაიონში, — თქვა მან, — გამოჩნდნენ ახალი საქმის ადამიანები, რომლებიც მეცნიერები არ არიან, მაგრამ პრაქტიკულად ბევრს აკეთებენ ცხვრის მომრავლება განვითარებისათვის. ამ საქმეს ემსახურება საადრეო დოლი, რაც ფართოდ ვრცელდება ჩვენი რაიონის კოლმურენობათა მეცხვარეობის ფერმებში. ეს პროგრესული მეთოდი პირველად და-



წერვს სოფელ ძველი ანავის კოლმეურნეობაში ფერმის გამგემ მუდლიშვილმა და კოლმეურნეობის მწვემსმა ჩალაბაშვილმა. მათ მოაწვეს 573 დედაცხვარის საადრეო დოლი და ორ წელაშადმი უყოღეს 100 დედაცხვარზე ზოიღეს 306 ბატანი.

ჩალაბაშვილმა ფერმის გამგეს ჩასწორებულა: — ხედავ, ჩვენზე ამბობს, ამა ვგ რა იქ მოსატანი ამბავი იყო!

— დაცო, კაცო! — ჩააჩუმა მუდლიშვილმა. ახლა ახმეტის რაიონის წარმომადგენელი ღაბაშვილია.

— ჩვენი რაიონის მეცხვარეებმა გადაწყვიტეს, — ისმოდა ტრიბუნლიან, — ფართოდ გამოიყენონ ცნობილი სტეპროპოლევი მწვემსის, სოციალისტური შრომის გმირის ივანე მალაშენკოს გამოცდილება, რომელიც შესანიშნავ წარმატებებს აღწევს ცხვრის შემეპიდრობელი დოლის დანერგვაში. ჩვენ ვსწავლობთ, აგრეთვე, სხდნლის რაიონის ძველი ანავის კოლმეურნეობის ნოვატორ მეცხვარეთა გამოცდილებას. საადრეო დოლის განხორციელებაში.

— კაცო, მაგას საიდანა გაუგია ჩვენი ამბავი? — კვლავ ჩასწორებულა ჩალაბაშვილმა ფერმის გამგეს.

— კარგი, მოისვენე, გიორგი, — შემოუტია ფერმის გამგემ, — გარეთ გავალთ და იქ ილაპარაკე.

— სალაპარაკო რა მაქვს, ჩვენზე ღაბაშვილმა.

შესვენებაზე დერეფანში რომ გამოვიდნენ, ფერმის გამგემ უთხრა ჩალაბაშვილს:

— იქ რომ გამოვირე საქმე, ახლა მითხარი, რა ვერ გაიგე?

— გაგებით ყველაფერი გაიგე, მაგრამ ჩვენზე რომ ამდენი ილაპარაკეს, არ შეგრიცხა?

— რაზე უნდა შემტყუებოდა, ცუდი ხომ არაფერი უთქვამთ! ახალი საქმე დაიწყეთ და მოეწონათ. დღევანდელი შექება კი მერს მოიხივს ჩვენგან.

— მერე და, რა ვაშინებს? ჩვენთვის მიუბამეთ ქვემოთაშანებებს, ბოღბისხვევლებსა და ნერკანელებს, მათაც ჩაუტარებთად აღრეულა დოლი, მაგრამ ჩვენამდე ვერ შორს არიან.

— ჰოდა, მეც ვგ მაფიქრებს. დღეს თუ შორს არიან, შეიძლება ხეალ დავეწიონ და გავისწიონ კიდევ.

— მაგის ფიქრი ნუ გაქვს, გიორგი... თათბირიდან თრიალეთის დაუბრუნდნენ მეცხვარეები, ბიჭებს ახალი ამბები ჩაუტანეს, თათბირის შედეგები გააცნეს.

ცხვარი მალე დაიჭრა ბარისაკენ. ძველანაგვლებმა უდანაკარგოდ გადატრეეს ფარები თრიალეთიდან „ნერკის თეფამდე“. ეს იყო „თვალახინო მიღწევა“.

ადრეულა დოლი კვლავ წარმატებით ჩაატარეს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის იანვრის პლენუმს ახალი წესები შესვლენ.

რადიომ და გაზეთებმა ახალი სისიხარულო ცნობები მიიტანეს „ნერკის თეფაზე“ მოხამთურ მწვემსებთან. იანვრის პლენუმზე ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელის მოხსენებაში აღნიშნული იყო: საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ფართოდ გაავრცელა სიღნაღის რაიონის მეცხვარის ამხ. ჩალაბაშვილისა და ფერმის გამგის ამხ. მუდლიშვილის გამოცდილება, რომლებიც წარმატებით იყენებენ შემეპიდრობელ დოლს...

კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოსო ბეგაშვილმა ახალი გაზეთები ჩაუტანა მწვემსებს. შეკრიბა ყველანი და პლენუმზე ამხანაგ ნიკიტა სერგის-მე ხრეშჩოვის ისტორიული სიტყვის შინაარსი გააცნო.

— ამხანაგმა ხრეშჩოვმა ჩვენს მოწინავე აღამიანებს, ახალი საქმის თაოსნებს, ნოვატორებს შეტურები უწოდა. — დააწყო ბეგაშვილმა, — ჩვენ ეს შეტურები სოფლის მეურნეობის ყველა დარგში გვავსო. მოდით ავილოთ გვზი ამ შეტურებზეო. ასეთი შეტურების რიცხვში შეიძლება მოვაქციოთ ჩვენი უფროსი მწვემსი ვიორგი ჩალაბაშვილი და ფერმის გამგე ვიორგი მუდლიშვილი. მათი ნოვატორული შრომის შეთოდებს ახლა მთელს ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც იყნობენ. კიდევ უფრო მეტი მოგვეთხოვება, რომ მოპოვებული წარმატებანი ვამრავლოთ. მწვემსებმა ითათბირეს და ერთხლოვნად დაადგინეს: მთელი ფერმა ადრეულ დოლზე გადაეყვანათ მიმდინარე წლიდან.

ახალი შეუპარობით

„ნერკის თეფამდე“ მიიღწია ხმამ: მალე საქართველოს ძვირფასი სტუმარი ეწვევაო.

„ახლა ვაზაფხულივით მზიანი ამინდებია, — გაიფიქრა ჩალაბაშვილმა, — შესაძლოა იკითხოს, ამა, ჩემს ნაცრობ მალაშენკოს რომელი ქართველი მეცხვარე ეჯობება, მაჩვენეთო. იქნებ მართლა შევხვდეთ, მა!“

გიორგი ფერმებიდან მოხლოებული მანქანის გუგუნვა გამოიყვანა. ფერმაზე ჩაირბინა და ბინების მოშორებით გაჩერებულ „კოლბოზნიკთან“ მივიდა.

— როგორ მიდის საქმეები, გიორგი! — მისალმნის შემდეგ ჰკითხა რაისაბუკის აღმასკომის თავმჯდომარემ, რომელიც ის იყო გაღმოვიდა მანქანიდან.

— როგორც მოკეთეს გაეხარდება.

— სასიამოვნოა. სიკვდილიანობა ხომ არ გქონია?

— რასა ბრძანებთ, უფროსო, სიკვდილიანობას ჩვენთან რა უნდა? მობრძნით, ინახუ-

ლეთ ჩვენი ბატონები; ისე დაკუნტრეშობენ, რომ ყურებით ვერ გაძღვებით.

დათბუნებულ ფარეხებში დამწყვდეული ბატონების დათვალეობების შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარემ ჩალაბაშვილს უთხრა:

— ამ დღეებში თბილისში მოგვიწევს გიორგი მჭედლიშვილთან ერთად დიდ თათბირზე წასვლა. შეიძლება სიტყვით მოვიხილეს გამოსვლა, მოემზადე ჩალაბაშვილო, თქვენმა თავმჯდომარემ უკვე იცის ამის შესახებ!

მანქანა თვალს მიეფარა, გიორგი კი, მწყემსის ჩობახზე დაყრდნობილი, კვლავ ფიქრებში წასტელიყო...

ჩალაბაშვილს ერთად შეკრებილი ამდენი ხალხი არასოდეს ენახა. უმაღლესი საბჭოს სხდომის დიდ დარბაზში თავი მოეყარათ ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკის — აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს: მებაძგებებსა და მეჩაიეებს, მევენახეებსა და მეხილეებს, მესიმინდეებსა და სხვა კულტურების უხვი მოსავლის ოსტატებს, წარჩინებულ მეცხოველეებს. თათბირი მხოლოდ ორ დღეს მიმდინარეობდა, მაგრამ მათ მალე გააბეს მეგობრობის საფები თავიანთ თანამოსაქმეებთან, სომეხ და აზერბაიჯანელ მეცხვარეებთან. სხდომებს შუა შესვენების დროს ისინი ხედებოდნენ ერთმანეთს და გულითადად საუბრობდნენ მოზაველის პერსპექტივებზე, იანერის პლენუმი მიერ მათ წინამე დასრული ამოცანების ღირსეულად გადაწყვეტისათვის ბრძოლის გზებზე.

არც ჩალაბაშვილს, არც გიორგი მჭედლიშვილს თათბირზე სიტყვით გამოსვლამ არ მოუწია, სამაგიეროდ სხვების გამოსვლას უდიდესი ყურადღებით უსმენდნენ.

— მართლაც დიდი მუშაობა მოგველის მეცხვარეებს, — ფიქრობდა ჩალაბაშვილი, — ახლა აღარ შეიძლება დეკლარატივით დღემდის ვაკეთებულს და მიღწევას...

თათბირის დამთავრების შემდეგ გიორგი ჩალაბაშვილი და გიორგი მჭედლიშვილი სატელეფონო სტუდიაში მიიწვიეს.

— გთხოვთ ტელემაუწყებლებს ესაუბროთ მომავალ ვეგებებზე, — უთხრეს მათ სტუდიაში

იმ საღამოს არა მარტო თბილისის, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს ბევრი რაიონის მშრომლები ტელეკაზანზე ხედავდნენ და უსმენდნენ ქველანაგულ მეცხვარეებს, რომლებიც ჩვეულო კახური სიღინჯით ლაპარაკობდნენ თავიანთ გამოცდილებაზე, პირობას დებდნენ მომავალში უფრო უკეთესად ემუშავებოთ.

იმ საღამოს ორივენი ობერის თეატრში კონცერტს დაესწრნენ. გიორგი დღეს კი ჩვენი სახელოვანი მეცხვარეები „ნერგის თეფაზე“ დაბრუნდნენ და თანამოსაქმეებს დაწვრილებით უამბეს თათბირზე ნახულისა და გაგონილის შესახებ.

— ნეტავ ჩვენც იქ ვყოფილიყავით! — იხატრეს მწყემსებმა.

მეზობელი ბინებიდანაც ესტუმრნენ მეცხვარეები ჩალაბაშვილს. ისიც დაუბარებლად მოუთხოვბოდა საქვეყნო საქმეებში მწყემსთა მონაწილეობის შესახებ...

სიღნაღელი მეცხვარეები ახალი შეუპოვრობით შეუდგნენ ნაკირ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლას.

გაზაფხულია აღაზნის ველზე. მიწას ოქშივარი ასდის. ბალახი თანდათან ნედლდება, მწვანდება. საზამთრო საძოვრებზე ცხვრის ფარები გაშლილა. ირგვლივ გაისმის მეცხვარეთა ომახიანი შუქახილები:

— ჰა, ჰა, ზაქარიავ, ბატანი გამოუშვი დასაწყურებლად!

— ბიჭო, სეფიავ, ცხენები მოამზადე სოფლიდან ხარჯის ჩამოსატანად!

სხვა მხრიდან კი მოისმის გაგრძელებული სიმღერა:

„შირაქში ერთმა მეცხვარემ“...

მოვიდა შეიღწლეღის მესამე წლის გაზაფხული, სიხარულითა და მომავლის ბედნიერებით აღსავსე გაზაფხული.

ახალ დიდ გამარჯვებათა მოპოვების ურყევი რწმენით ეგებებიან მას ქველანაგული ნოვატორი მეცხვარეები.

აღსრულებოდათ განზრახული ზარბაქალი მათს მარჯვენას!

პროფ. ე. ბერიძე

დენინიზმი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის 1960 წლის ნოემბრის თათბირის ისტორიულ მნიშვნელობას განსაკუთრებით აძლიერებს ის, რომ მან მკაფიოდ ჩამოაყალიბა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პრინციპული პოზიცია იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის საკითხების მიმართ. თათბირის განცხადებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია თანამედროვე იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიური იარაღის — ე. წ. „ანტიკომუნიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანებს. თანამედროვეობის ამ უდიდეს ისტორიულ დოკუმენტში ღრმა შთაბეჭდილებელი ძალით არის ხაზგასმული ის ლენინური კემპარიტება, რომ შეუძლებელია სოციალიზმის საქმის წარმატება და წინსვლა, თუ არ ვაწარმოებთ მტკიცე, თანმიმდევრულ ბრძოლას ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მუშათა მოძრაობაში, რომლის გამომხატველია მემარჯვენე სოციალ-დემოკრატია. განცხადება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატის მთელი რიგი მემარჯვენე ლიდერები „ასკარად გადავიდნენ იმპერიალიზმის პოზიციებზე, იცავენ კაპიტალისტურ სისტემას, თაშავენ მუშათა კლასს. კომუნიზმისადმი მტრობისა და მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის მზარდი გავლენის წინაშე შიშის გამო ისინი კაპიტულაციას ახდენენ რეაქციული, კონსერვატიული ძალების წინაშე. მთელ რიგ ქვეყნებში მემარჯვენე ხელ-

მძღვანელობამ მიიღწია იმას, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს მიეღოთ პროგრამები, რომლებშიც ამ ხელმძღვანელობამ ასკარად უარყო მარქსიზმი, კლასობრივი ბრძოლა, ტრადიციული სოციალისტური ლოზუნგები. ამით მან ახალი სამსახური გაუწია ბურჟუაზიას“.

აქედან ცხადია, რომ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების გამთიშველი, კაპიტულანტური ტაქტიკის მხილება ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. დიდმნიშვნელოვან ამოცანად კვლავ რჩება ბრძოლა კომუნისტურ მოძრაობაში რევიზიონიზმის, დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ.



ლენინმა, ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე ნათლად გაითვალისწინა ორ ტენდენციას შორის ბრძოლის გარდუვალი გამწვავება საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, ღრმად გახსნა და დაგვანახა სოციალ-რეფორმიზმისა და ოპორტუნიზმის სოციალურ-კლასობრივი ფესვები და იწინასწარმეტყველა სოციალ-დემოკრატის ზედაფენის შემდგომი იდეურ-პოლიტიკური გახრწნა და გადაგვარება. უთანხმოებანი და ბრძოლა ოპორტუნიზმთან, წერდა ლენინი, „...კიდევ უნდა განიცადოს მუშათა კლასმა შეუდარებლად უფრო დიდი

მასშტაბით, როცა პროლეტარული რევოლუცია გაამწვავებს ყველა სადაო საკითხს, თავს მოუყრის ყველა უთანხმოებას იმ პუნქტებზე, რომლებსაც მეტად უშუალო მნიშვნელობა აქვს მასების მოქმედების განსაზღვრისათვის, როცა პროლეტარული რევოლუცია გვაძლევს ბრძოლის ცეცხლში გამოეყოთ მტრები შეგობრებისაგანა განვდევნოთ ცუდი მოკავშირეები მტრისათვის გადამწყვეტი ლაზერის ჩასაცემად“. ¹ ეს დიადი ისტორიული პერსპექტივა მთელი თავისი სიღრმადით აღიშართა დღეს საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე.

მკვებრმა ისტორიულმა შემობრუნებამ საერთაშორისო ცხოვრებაში, რომელიც მკაფიოდ აისახა სკკ XX და XXI ყრილობების დოკუმენტებში, მთლიანად გააშიშვლა დასავლეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიები და მათი მემარჯვენე ბელადები, გამოუვალ ჩიხში მოაქცია ისინი. თუ პირველი მსოფლიო ომის დროს სოციალ-დემოკრატია სოციალ-შოვინიზმში გადაიზარდა, ახლა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დამთავრდა მისი გადაქცევა წმინდა წყლის ბურჯუაზიულ ლიბერალიზმად. ეს ფაქტი მკერმეტყველურად დადასტურდა სოციალისტური ინტერნაციონალის მერ კონგრესზე, რომელიც შესდგა ჰამბურგში 1959 წლის იელისში. მემარჯვენე სოციალისტების სრული იდეური გადაგვარება უფრო რელიგიურად გამოვლინდა იმ პროგრამებში, რომლებიც მიიღეს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ავსტრიის, შვეიცარიის, პოლანდიის, ლუქსემბურგის, დასავლეთ გერმანიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა. სრული გამოიჯნვა სოციალიზმისა და მარქსიზმისაგან, „პიროვნების თავისუფლების“ დაცვის საბაბით გუნდრუკის კმევა კაპიტალისტური კერძო საკუთრებისათვის, ფილოსოფიური იდეალიზმისა და ზუცობის ქადაგება „დემოკრატი-

ული“ და „ეთიკური“ სოციალიზმის საბურველით, პროგრამულ მარინენების პრაგმატული შეგუება „რევოლუციონარიზმის“ მოთხოვნებისადმი, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ინტერესების სრული დალატი და გამცემლობა, — ასეთია თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ოფიციალური იდეოლოგიის დამახასიათებელი ნიშნები, მათ მიერ მიღებული პროგრამების დედაარსი.

რით უნდა აიხსნას თანამედროვე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიზმის სრული იდეური დეგრადაცია, მისი კაპიტულაცია ბურჯუაზიული ლიბერალიზმის წინაშე?

სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში, კომუნიზმის ტრიუმფალური სვლით შემოვთებული იმპერიალისტები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა გათიშონ, დაქსაქსონ პროლეტარული მოძრაობა, დაამუხრუჭონ სოციალიზმის განვითარება, უზრუნველყონ ბურჯუაზიული იდეოლოგიის ჰეგემონობა. და, უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო რეაქცია, მუშათა მოძრაობაში თავისი დამქაშების შემწეობით, ზოგჯერ დროებით მაინც აღწევს გარკვეულ წარმატებებს.

დიდმა ლენინმა უანდერმა საერთაშორისო პროლეტარიატს, ყველა ქვეყნის ბოლშევიკს ოპორტუნისმთან და რეფორმიზმთან შეურიგებელი ბრძოლის დიადი ტრადიციები, მან გვასწავლა: ბოლომდე ვამხილოთ და გავანადგუროთ საერთაშორისო რეაქციის აგენტურა მუშათა მოძრაობაში. ემიგრაციიდან დაბრუნებისთანავე 1917 წელს, თავის „პარლის თეზისებში“ ლენინმა წამოაყენა წინადადება, ბოლშევიკებს უარი ეთქვათ სოციალ-დემოკრატიულ სახელწოდებაზე. თავის წინადადებას ლენინი იმით ასაბუთებდა, რომ II ინტერნაციონალის პარტიებმა და რუსმა მენშევიკებმა ეს სახელწოდება სრულიად გააქუქყიანეს და შეარცხვინეს. ლენინი მიზანშეწონილად თვლიდა, ბოლშევიკებს

¹ ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 15, გვ. 32.



პარტია წოდებულიყო კომუნისტურ პარტიად, როგორც უწოდებდნენ თავის პარტიას მარქსი და ენგელსი. „დროა გავიძროთ ჭუჭყიანი პერანგი, — წერდა ლენინი, — დროა ჩავიცვათ სუფთა საცვლები“.¹

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ II ინტერნაციონალისა და მისი ბელადების გაკოტრება, მათი გადაქცევა სოციალ-შოვინისტებად და სოციალ-იმპერიალისტებად სრულიადაც არ იყო მოულოდნელი და შემთხვევითი მოვლენა. სოციალ-დემოკრატიზმი დაღუპა ოპორტუნიზმმა, რეფორმიზმმა, რომელთა წინააღმდეგაც თანმიმდევრობით და შეურიგებლად იბრძოდა ლენინი, იბრძოდნენ რუსი ბოლშევიკები ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე.

ბერნშტეინსა და მილიერანს გვერდ-ში ედგნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატები, როგორც ჰილფერდინგი და დავიდი, ფოლმარი და აუერი, ნოსკე და სხვ., რომელთაც ლენინი „ოპორტუნიზმის გაქნილ ბელურებს“ უწოდებდა. კარლ კაუცკი ცუდად შენიღბული მოწონებით შეხვდა ბერნშტეინის გამოსვლას. მისი „კამათი“ რევიზიონიზმთან, როგორც ლენინმა აღნიშნა, იყო არა სერიოზული პოლემიკა, არამედ „დაჩოქება“ ბერნშტეინის წინაშე, მარქსისტული პოზიციების დათმობა. შემთხვევითი როდი იყო, რომ კაუცკი შემდეგში მთლიანად მიემხრო რუსეთის მენშევიკებს და კიდევ უფრო ღრმად შესტოპა ოპორტუნიზმისა და ცენტრიზმის ჭაობში. არც ის არის შემთხვევითი, რომ კაუცკის ნაშეირი ასე „ღირსეულად“ გაჰყვა მამის ნაკვალევს. თავის გამოსვლაში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მებუთე ყრილობაზე, ნ. ს. ხრუმოვი, ამხილებდა რა თანამედროვე რევიზიონისტებს, ამბობდა: „ახლა ისინი ფაქტიურად დაუკავშირდნენ კ. კაუცკის მემკვიდრეს, მის შვილს ბენედიქტს, რომელიც გამოვიდა ავსტრიელ სოციალისტთა მემარჯვენე ოპორტუ-

ნისტური პროგრამის ერთ-ერთ ავტორად“.

ლენინი იყო პირველი მარქსისტი, რომელმაც ახალ ისტორიულ ხანაში გადამწყვეტი ომი გაუმართა როგორც შინაურს, ისე საერთაშორისო ოპორტუნიზმს, მის ყველა სახესხვაობებს. იგი თავიდანვე გაბედულად ეკვეთა მუშათა კლასისა და რევოლუციის მოსისხლე მტრებს, მარქსიზმის ფალსიფიკატორებს და გადაჭრით დააყენა მათგან გამიჯვნის საკითხი. რევოლუციის სწორუპოვარმა სტრატეგმა გენიალურად განკვირბა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ინტერნაციონალური არსი, გაითვალისწინა დასავლეთის სოციალიზმის მომავალი და აღნიშნა რუსეთის სოციალისტების განსაკუთრებული. მისია, „რანაირიც მსოფლიოში ჯერ არც ერთ სოციალისტურ პარტიას არ ჰქონია“.¹ შეურიგებელი ბრძოლა რუსეთის „ლეგალური მარქსიზმისა“ და „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ ლენინმა ორგანულად გადააბა იდეურ ლაშქრობას საერთაშორისო ოპორტუნიზმის და რეფორმიზმის წინააღმდეგ.

ლენინი ინტენსიურად ამუშავებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებს, დაუზოგავდა ამხილებდა და სამარცხვინო ბოძე აკრავდა სოციალ-შოვინისტებს — იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ურცხვ ამოლოგეტებს, ფართოდ ავრცელებდა და ნერგავდა მშრომელებში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ იდეებს. თავის მრავალრიცხოვან გენიალურ თხზულებებში ლენინმა გააცამტვერა ოპორტუნიზმებისა და რევიზიონისტების ანტიმარქსისტული კონცეფციები, მტკიცედ დაიცვა და შემდგომ განავითარა მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძველი — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, პოლიტიკური ეკონომია, მარქსისტული პოლიტიკური ტაქტიკის საკითხები.

ლენინის შემოქმედებითი გენია მთე-

¹ ჯ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 87.

¹ ჯ. ი. ლენინი, თხზ., ტ. V, გვ. 461.

ლი თავისი ძალით გაიშალა დიდი სოციალური და პოლიტიკური ძვრების პერიოდში. მისი რევოლუციურ-კრიტიკული გამოვლენები II ინტერნაციონალის სოციალისტური ბიუროს სხდომებზე, მკვეთრად მოხაზული მოხსენებანი და თეზისები საერთაშორისო ფორუმებზე, მისი პოლიტიკურად მძაფრი სტატიები რუსეთისა და ევროპის პრესაში, აფხიზლებდა მთელმარე საზოგადოებრივ ძალებს, რევოლუციურ არხით წარმართავდა პროგრესის ძალთა ენერჯიას.

პირველმა მსოფლიო ომმა კატასტროფულად გახსნა II ინტერნაციონალის ყველა იარა, მან პირბადე ჩამოხადა მემარჯვენე სოციალისტებს, საყოველთაოდ ცხადჰყო მათი იდეურ-პოლიტიკური გაკოტრება. ოპორტუნიზმი და რეფორმიზმი სოციალ-შოვინიზმში გადაიზარდნენ. ისტორიამ მთლიანად დადასტურა ლენინური წინასწარმეტყველების სისწორე: II ინტერნაციონალი მოკვდა უსახელოდ და სამარცხვინოდ, ოპორტუნიზმის მიერ ძლეული¹. მძაფრ მსოფლიო კატაკლიზმების პერიოდში, როდესაც გაინტენსიურდა პოლიტიკურ ძალთა გენერალური გადაჯგუფება, როდესაც რენეგატობისა და გამცემლობის ციებ-ცხელებამ შეიპყრო პროლეტარული მოძრაობა, ბოლშევიზმში აღმოჩნდა ერთადერთი პარტია, რომელიც, როგორც სალი კლდე, ურყევად დარჩა ერთგული რევოლუციური მარქსიზმის პრინციპებისა. ლენინმა, ბოლშევიკებმა მიწასთან გაასწორეს რენეგატები და სოციალ-შოვინისტები, ბოლომდე ამხილეს II ინტერნაციონალის ბელადების უხამსი გამცემლობა და შეუდგნენ ახალი პროლეტარული ინტერნაციონალის ძირითადი ბირთვის — მემარცხენე მარქსისტული ძალების შეკრებას. ლენინმა თანმიმდევრულად გამოაშკარავე კაუციანური ცენტრიზმის ოინბაზური ხრიკები, რომელიც ცდილობდა „მარქსისტულად“ შეფერადე-

ბული ფრაზებით დაეფარა სოციალ-შოვინიზმის მთელი სიბილწე: კაუციანობა ლენინს განსაკუთრებით საზიანოდ მიაჩნდა მუშებისათვის. თუ ოპორტუნიზმი აშკარა ბოროტებაა, აღნიშნავდა ლენინი, „გერმანული „ცენტრი“ კაუციის მეთაურობით ფარული, დიპლომატიურად შელამაზებული ბოროტებაა, რომელიც თვალებს, გონებასა და სინდისს უბნელებს მუშებს“.

ლენინი ემყარებოდა თავის მიერ აღმოჩენილ კანონს კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარებაზე და მან შეიმუშავა თეორია იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში შესაძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ქვეყანაში ან ერთს, ცალკე აღებულ ქვეყანაშიც კი. რუსეთის ბოლშევიკებმა ლენინური თეორიის ბასრი იარაღით გააჩაღეს მდგარი ბრძოლა იმპერიალისტური ომის გადასაქცევად სამოქალაქო ომად. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მსოფლიო ისტორიაში აღინიშნა როგორც ლენინური თეორიისა და სტრატეგიული გეგმის ნამდვილი ზეიმი. ოქტომბერმა განსაკუთრებული ჭრილობა მიაყენა იმპერიალისტურ სისტემას, იგი ვახდა კაცობრიობის ისტორიული შემობრუნების დიადი ნიშანსეტი. დაიწყო ახალი ერა — კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვების ერა. „ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვამაყოთ კიდევ იმით, რომ — ამბობდა ლენინი, — წილად გვხვდა ბედნიერება და გვეწყო საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, და გვეწყო ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, ახალი კლასის ბატონობის ეპოქა“.

ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიოში რადიკალურად შესცვალა კლასობრივ ძალთა თანაფარდობა. თუ წინათ სოციალ-ოპორტუნიზმები და ცენტრისტები გამოდიოდნენ შეიარაღებული აჯანყებისა და პროლეტარიატის დიქ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 32.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 42.

ტატურის წინააღმდეგ, ასე ვთქვათ, თეორიულად, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ისინი პირდაპირ ყველა „მატერიალური“ შესაძლებლობით ამხედრდნენ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. კაუცკი და ოტო ბუერი, ვანდერველდე და ჰუისმანსი, მაკდონალდი და მათი იდეური თანამომენი ცოფმორევიტ ესხმოდნენ თავს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას, ცილს სწამებდნენ, სახელს უტყუდნენ მას. თავის ჭეშქარიან სტატიებსა და ბროშურებში კაუცკი ავრცელებდა უხამს ჭორებს სოციალისტური დემოკრატიის წინააღმდეგ, ამავე დროს გუნდრუკს უკმევედა ბურჟუაზიულ დემოკრატიასა და პარლამენტარიზმს.

ლენინმა სამარცხვინო ბოძე გააკრა რენეგატი, ქვა-ქვაზეც არ დატოვა მისი რეაქციული ნაბოღვარიდან. „თეორიულად, — წერდა ლენინი, — კაუცკიმ ჩვენ მოგვცა წარმოდგენილი დომხალი, მარქსიზმისაგან სრულ განდგომასთან ერთად, პრაქტიკულად — ლაქიობა ბურჟუაზიისა და მისი რეფორმიზმის წინაშე“.¹ ლენინი გამანადგურებელი კრიტიკით შეხვდა „ფილისტერული რეფორმიზმის დაოსტატებული ექსპლექტოსისა და სოფისტის“ ემილ ვანდერველდეს ანტისაბჭოთა გამოხდომებს, რომელიც კაუცკის კვალდაკვალ ცდილობდა შეებღალა დიდი ოქტომბრის მონაპოვარი.

ოქტომბრის რევოლუციამ საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში ნამდვილი წყალგამყოფის როლი შეასრულა, მან არაჩვეულებრივი ძალით დააჩქარა მსოფლიო მოვლენების განვითარება. დაიწყო საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ახალი ერა. II ინტერნაციონალისა და ძველი ტიპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების გაკოტრებამ დღის წესრიგში დააყენა ახალი, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნა. რუსული ბოლშევიზმი ნაციონა-

ლურიდან გადაიქცა საერთაშორისო ძალად, მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობის „დამკვირვებელი“ (ი. ბ. სტალინი), რევოლუციური აზრისა და რევოლუციური საქმის ციტადელად. ლენინის მსოფლიო-ისტორიულ დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ მან რუსეთის სამი რევოლუციისა და მსოფლიო პროგრესული მოძრაობის გამოცდილების განზოგადების ბაზაზე შეიმუშავა რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობის ძირითადი წესების მწყობრი სისტემა. თავის უკვდავ შრომაში — „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნისში“ — ლენინმა არა მარტო აღადგინა ოპორტუნისტების მიერ შებღალული მარქსისტული სტრატეგიისა და ტაქტიკის ფუძემდებლური პრინციპები, არამედ შემდგომ განავითარა ისინი ახალი ისტორიული ამოცანების შესაბამისად.

ლენინის შემოქმედებითი გენია ღრმად წვდებოდა კომუნისმისაკენ კაცობრიობის განვითარების ნაირგვაროვან გზებსა და ფორმებს, იგი გადაჭრით უკუგადებდა ყოველგვარ შებლონსა და სტანდარტებს ამ მიმართულებით. კომუნისტური მოძრაობის ინტერნაციონალური ტაქტიკის ერთიანობა, გვასწავლიდა ლენინი, ერთბოგისა განსხვავებულიობის არა მიფუჩქეხებას, არამედ მოქმედების პრინციპების ისეთ გამოყენებას, რომელიც სწორად შეუცვლიდა სახეს ამ პრინციპებს კერძო შემთხვევაში, სწორად შეუფარდებდა მათ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განსხვავებებს. ამის გამო ლენინი მარქსისტების წინაშე აყენებდა ამოცანას გამოერკვიათ, შეესწავლათ, მოენახათ, გამოეცნოთ, შეეგნოთ ეროვნულ-თავისებური, ეროვნულ-სპეციფიკური რამ თვითეული ქვეყნის კონკრეტულ მიდგომაში ერთიანი ინტერნაციონალური ამოცანის გადაჭრისადმი, მუშათა მოძრაობის შიგნით ოპორტუნისმისა და მემარცხენე დოქტრინიორობაზე გამარჯვებისადმი, ბურჟუაზიის დამხობისადმი.

ლენინი, ამავე დროს, ხაზგასმით გა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 388.

მოპყოფდა ყველა ქვეყნის რევოლუციონერთა და კომუნისტებისათვის სავალდებულო დიდმნიშვნელოვანსა და უნივერსალურ ნიშნებს. „გამოცდილებამ დაამტკიცა, — წერდა იგი, — რომ პროლეტარული რევოლუციის ზოგიერთ ფრიად არსებით საკითხში ყველა ქვეყანას გარდუვალად მოელის ის, რაც განვლო რუსეთმა“.¹

ისტორიულმა განვითარებამ მთლიანად დაადსტურა ლენინური პროგნოზები. კაპობრიობის პროგრესი სწორედ ლენინის მიერ გათვალისწინებული მაგისტრალური ხაზით მიიმართება. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს სახალხო ჩინეთის, ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სოციალისტური განვითარება.

ლენინი დაუღალავად ასწავლიდა რევოლუციონერებს: უზრუნველყოთ რკინის დისციპლინა და ცენტრალიზმი მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის რიგებში, ებრძოლათ თანმიმდევრობით და შეურიგებლად ოპორტუნისმისა და რევიზიონისმის წინააღმდეგ. ლენინი საჭიროდ თვლიდა ხაზგასმით აღენიშნა, რომ ბოლშევიკების რევოლუციურმა შეურიგებლობამ და პრინციპულმა ბრძოლამ სოციალ-დემოკრატიზმის წინააღმდეგ მნიშვნელოვნად განაპირობა პროლეტარული რევოლუციის ტრიუმფი რუსეთში, „რევოლუციური პროლეტარიატის გამარჯვება შეუძლებელია ისე; — წერდა ლენინი, — თუ ამ ბოროტებას არ ებრძოლენ, თუ ოპორტუნისტი, სოციალ-გამცემი ბელადები არ ამხილენ, არ შეარცხვინენ და არ განდევნენ“.²



საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ამჟამად მოქმედებს ორი მთავარი პოლიტიკური ფაქტორი — კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები. ოფიციალური მონაცემებით, სოციალი-

სტური ინტერნაციონალი ახლა აერთიანებს 11 მილიონამდე წევრს; სოციალისტურ ინტერნაციონალში შემავალი სოციალისტური პარტიების გავლენის ქვეშ მყოფ პროფკავშირებში ითვლება 55 მილიონი კაცი. კომუნისტური პარტიები ამჟამად მსოფლიოს 87 ქვეყანაში მოქმედებენ. ისინი თავიანთ რიგებში 36 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებენ, ე. ი. სამჯერ მეტს, ვიდრე სოციალ-დემოკრატიული პარტიები. კომუნისტების ხელმძღვანელობით მოქმედი პროფკავშირები 95 მილიონ წევრისაგან შედგება. აქედან ცხადია, თუ რომელი მათგანი — კომუნისტური თუ სოციალისტური — შეიძლება ჩაითვალოს გადამწყვეტ ძალად საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კომუნისტები ხელმძღვანელობენ და წარმართავენ ძლევამოსილ სოციალისტურ ბანაკს, რომელიც მსოფლიოში მშვიდობისა და სოციალური პროგრესის დედაბურჯია. ცნობილია, აგრეთვე, რომ მუშათა კლასის უმრავლესობა ისეთ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როგორცაა საფრანგეთი და იტალია, კომუნისტებს მიჰყვება. დღეს თვით კომუნისმის მოსისხლე მტრებიც კი ვერ მალავენ იმ ფაქტს, რომ კომუნისმის ძალა და ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში დღითიდღე მატულობს, სულ უფრო და უფრო იზრდება მისი ზეგავლენა მთელ საერთაშორისო განვითარებაზე.

ჩვენი ეპოქა, რომლის შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, არის ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორი საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური რევოლუციებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის წგრევის, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სოციალიზმის გზაზე ახალი და ახალი ჯალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვების ეპოქა.

„ჩვენი დროის განმასხვავებელი ნიშანი, — ვკითხულობთ მოსკოვის კო-

¹ ე. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 17.

² ე. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 33.



მუნიციპალიტეტის ფორუმის განცხადებაში, — ის არის, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. შეურიგებელი იდეოლოგიური ბრძოლა კომუნისმსა და სოციალ-დემოკრატიზმს შორის თანამედროვე ეტაპზე კანონზომიერად ასახავს ორი სამყაროს ძალების — აღმავალი საზოგადოებრივ ძალებისა და მომაკვდავი ძალების პრინციპულ დაპირისპირებას. ისტორიის მიერ განწირულ ბურჟუაზიულ საზოგადოებას თავის იდეურ არსენალში უკვე აღარაფერი აბადია დადებითი და მიმზიდველი, რომლითაც მას შეეძლოს ხალხთა მასების აღტყინება და გატაცება. ხოლო მასობრივი ელექტის ატომრეაქტული ომის პერსპექტივა, რასაც „საპატიო“ ადგილი უკავია იმპერიალიზმის პროპაგანდაში, როდი შეესაბამება მშრომელთა მისწრაფებებს... ახლა ყველა ლიბანის და ოლსობის, თოინბი და სულცებერგერი, იმპერიალიზმის ბევრი სხვა გამოჩენილი მოჭირისუფლე და თანამოცხედრე ერთხმად აღიარებს იმ კემპარიტებას, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის, როგორც სოციალ-დემოკრატიული სისტემის, იდეურ-მორალური პრესტიჟი კატასტროფულად ეცემა, რომ დღითიდღე უტყდება მას სახელი მსოფლიოს ყველა კუთხეში, ხალხის ყველა ფენაში. კაპიტალიზმის მეკალმეები მწარედ გოდებენ სოციალიზმთან იდეოლოგიური შეჯიბრების უპერსპექტივობაზე.

მაგრამ, მომაკვდავ კაპიტალიზმს არ სურს დასტოვოს ასპარეზი ნებაყოფლობით. იგი გააფთრებით ცდილობს წინააღმდეგე ყოველივე ახალსა და მზარდს, აღმავალსა და პროგრესულს. დემოკრატიითა და სიყალბით, მოსყიდვით თუ პროვოკაციებით ბურჟუაზია ცდილობს გაბრწყინოს მშრომელთა შეგნება, ჩაახშოს ხალხთა გამათავისუფლებელი ბრძოლა, დაამუხრუჭოს მზარდი კომუნისტური

მოძრაობა. მონოპოლისტურ კაპიტალს ამისათვის ჯერჯერობით საგმარჯესტრუგები მოეპოვება. მას აქვს დიდი მარტორტიკური გამოცდილება, აურაცხელი ოქრო, მის განკარგულებაშია დიპლომატიკულ „სწავლულთა“ და ეურნალისტთა მთელი არმია, მასების იდეოლოგიურ დამუშავებაში ბურჟუაზიას უდიდეს სამსახურს უწევდნენ და უწევენ სოციალ-დემოკრატიისა და მისი მემარჯვენე ლიდერები, თანამედროვე რევიზიონისტები.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის მკვეთრად განასხვავებდა სოციალ-რეფორმისტულ პარტიების მემარჯვენე ხელმძღვანელებს ძირითადი პროლეტარული მასისაგან, რომელიც ამ პარტიების რიგებში ითვლება. პარტიის ზედაფენებსა და პარტიულ მასებს შორის მუდამ იგრძნობოდა განსაზღვრული წინააღმდეგობა და უთანხმოებანი. ასე იყო და ასე არის. მაგრამ, პოლიტიკური ვენებათაღელვა და შინაგანი წინააღმდეგობანი სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში ახლა გაცილებით უფრო მწვავეა, ვიდრე ოდესმე. მიმდინარეობს რეფორმისტული ბურჟუაზიისაგან მასების გამოფხიზლება, გამემარცხნებისა და ძალთა გადაჯგუფების პროცესი. როგორც აღნიშნულია მოსკოვის თათბირის განცხადებაში, „სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში იზრდება წინააღმდეგობა მემარჯვენე ლიდერების პოლიტიკისადმი, წინააღმდეგობა, რომელიც ფუნქციონერთა ნაწილსაც ედება. იზრდებიან ძალები, რომლებიც მოითხოვენ მუშათა კლასისა და სხვა მშრომელთა მოქმედების ერთიანობას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. უდიდესი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში, განსაკუთრებით მუშები, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის მომხრენი არიან“. დამახასიათებელია, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარ-

ტის ბად-გოდესბერგის ყრილობაზე ოფიციალური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ თავი იჩინა საკმაოდ ძლიერმა ოპოზიციამ. მთელი რიგი დელეგატები მკაცრად აკრიტიკებდნენ პარტიის ხელმძღვანელთა ანტიმარქსისტულ ხაზს ეკონომიურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საკითხებში. ანალოგიურ უთანხმოებებს და უკმაყოფილებას ადგილი აქვს აესტრიის, იტალიის, საფრანგეთის სოციალისტურ პარტიების რიგებში, ინგლისის ლეიბორისტთა ორგანიზაციაში.

კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებიც განუხრელად მიისწრაფიან დასძლიონ მუშათა კლასის გათიშულობა, ერთი მხრით, თანმიმდევრობით ამხილებენ რეფორმისტული ხელმძღვანელობის ანტირევოლუციურ პოლიტიკას, მეორე მხრით, იბრძვიან იმისათვის, რათა მონახონ გზები მათთან კონტაქტის დასამყარებლად. ამ კონტაქტმა ხელი უნდა შეუწყოს შეერთებული ძალებით ბრძოლას მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში, ბრძოლას, რეაქციისა და ფაშიზმის საფრთხის, მილიტარიზმისა და ატომური ომის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის, — ეს არის ის საერთო ბაზა, რომელზედაც შეიძლება დაეყრდნოს კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების თანამშრომლობა. სამწუხაროდ, დასავლეთ ევროპის სოციალ-რეფორმიზმის ხელმძღვანელები ამ ბოლო დროს ერთობ სახიფათო გზას დაადგნენ. შეეცდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ თავის მორიგ ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1960 წლის 6 — 10 ივნისს, გამოეღონა სრული განდგომა სოციალიზმისაგან. პარტიის თავმჯდომარემ ერლანდერმა თავის პოლიტიკურ მოხსენებაში ყრილობაზე ერთ-ერთ ძირითად თეზისად წამოაყენა კომუნისტებთან და კომუნისტების იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფრონტის შექმნის ამოცანა. აღსანიშნავია, რომ შეეცდნენ ს.-დ. პარტიის ადრინდელ პროგრამაში თუ გაეკრით მაინც იყო ლაპარაკი სო-

ციალიზმის შესახებ, ახლად მიღებულ პროგრამაში მისი ნიშანწყალიც კი აღარ დარჩა. ასევე გამოიყურება დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მიერ ახლახან მიღებული პარტიული პროგრამაც. ამ პროგრამას მთლიანად ემთხვევა დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1960 წლის თებერვალში გამოქვეყნებული ანტიკომუნისტური დეკლარაცია: „სოციალ-დემოკრატიის ბრძოლა კომუნისტთან“. „გერმანიის სოციალ-დემოკრატებს, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიულ განუთების რედაქტორებთან, — შეუძლიათ ითანაშონ დიდი როლი, თუ ისინი დაიკავებენ სწორ პოზიციას და მიიღებენ ზომებს იმისათვის, რათა არ დაუშვან ისეთივე საბედისწერო შეცდომების განმეორება, რასაც ადგილი ჰქონდა სოციალ-დემოკრატებისა და, საერთოდ, გერმანელების მხრივ მაშინ, როცა პიტლერი მივიდა ძალაუფლებასთან“.

ფაქტები მოწმობენ, რომ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ყალბად იფასებენ საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულ ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ორი სისტემის მშვიდობიან თანაარსებობისათვის. საგულისხმოა, რომ ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას ზოგიერთი მემარჯვენე სოციალისტი ისე განმარტავს, როგორც ამას სჩადის ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი მაღალი თანამდებობის პირი. ცნობილი მემარჯვენე სოციალისტი სპაკი, მაგალითად, უერთდება ამერიკელი ბ. ბერჯესის (აშშ წარმომადგენელი „ნატოში“) განცხადებას იმის შესახებ, რომ „შეიძლება იმედი დავამყაროთ ცვლადებზე თვით რუსეთში“. რომ საბჭოთა კავშირის დაახლოება დასავლეთთან „თანდათან შეცვლის რუსეთს ისეთნაირად, რომ მასთან ნამდვილად შესაძლებელი გახდება მშვიდობიანი თანაარსებობა“.

მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები,

ბურჟუაზიულ სოციოლოგებთან უნისონში, ეკონომიურ შეჯიბრებას სოციალიზმისა — კაპიტალიზმთან წარმოადგენენ, როგორც სოციალ-ეკონომიურ უნიფიკაციას და ორი სისტემის შორის წინააღმდეგობათა ქრობადობის პროცესს, როგორც იდეოლოგიური ბრძოლის დასასრულს.

სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერთა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე მჭიდროდ უკავშირდება მშვიდობის დაცვისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის სასიცოცხლო ინტერესებს. პარტიათა შორის საქმიანი კონტაქტები, რომლებიც ესოდენ საჭიროა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის, ოდნავ ვერ შეიანელებს კომუნისტების პრინციპულ იდეოლოგიურ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიზმისა და მისი ორეულის — რევოიონიზმის წინააღმდეგ. ამას გვასწავლიდა დიდი ლენინი. ამას გვასწავლის მშობლიური პარტია.

„იდეოლოგიის საკითხებში ჩვენ მტკიცედ ვიდევით და ვიდგომებით, როგორც სალი კლდე, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებზე. — ურთიერთ დათმობები სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის

ინტერესებისათვის არ უნდა ავირიოთ, დათმობებთან პრინციპებში ინმასთან, რომელიც ეხება თვით ჩვენს სოციალისტური წყობის ბუნებას, ჩვენს იდეოლოგიას. ამასი რაიმე დათმობებზე და რაიმე შეგუებაზე ლაპარაკი კი შეუძლებელია“.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა ჩვენი დროის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადაიქცა, საზოგადოებრივი პროგრესის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა.

განაგრძობენ რა სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგიური პოზიციებისა და მემარჯვენე-ოპორტუნისტული პრაქტიკის კრიტიკას, კომუნისტები, როგორც ეს აღნიშნულია მოსკოვის თათბირის განცხადებაში, კვლავაც განაგრძობენ მოღვაწეობას, რომელიც ბიძგს აძლევს სოციალ-დემოკრატიულ მასებს გადავიდნენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმის გამარჯვებისათვის თანმიმდევრული კლასობრივი ბრძოლის პოზიციებზე. კომუნისტები დარწმუნებული არიან, რომ მათ და სოციალ-დემოკრატებს შორის არსებული იდეური უთანხმოებანი ხელს არ უნდა უშლიდნენ მუშათა მოძრაობის მომწიფებულ პრობლემებზე აზრების გაცვლას და ერთობლივ ბრძოლას, განსაკუთრებით ომის საფრთხის წინააღმდეგ.

3. ჩაჩხიანი

მენშევიკების ეკონომიური პოლიტიკის კრახი

1. წინასწარი შენიშვნები

ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ მენშევიკებმა მხოლოდ საქართველოში შესწლო გამოაგრება. აქ იგი სამ წელიწადზე მეტ ხანს იდგა ხელისუფლების სათავეში და, მასშალადაჲ, საქმით ახორციელებდა თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ შეხედულებებს. პოლიტიკური პარტიების ნამდვილი რაობა მათი პრაქტიკით მტლავნდებდა. ქართველი მენშევიკების სახელმწიფოებრივმა პრაქტიკამაც საესებით გამოამტლავნა მენშევიკების წერილობრქულებიერი, ანტისოციალისტური ბუნება.

ქართველი მენშევიკები რუსული მენშევიკების ერთ-ერთ უძლიერეს რაზმს წარმოადგენდნენ. ამიტომაც მათი გაკოტრება აესხებს მენშევიკების საერთო პოლიტიკური და იდეური კრახის სურათს. საქართველოს მენშევიკ ხელისუფალთა საქმიანობა, უმკველია, საქმით მიხლოებით ასახავს იმ გზას, რომლითაც წაიღოდა რუსეთის მენშევიკში, თუ მას ბედი გაუღიშებდა და ქვეყნის სათავეში მოაქცევდა.

ამრიგად, ქართველმა მენშევიკებმა ლოგიკურად დააბოლოეს სოციალიზმის საქმისადმი რუსეთის მენშევიკების ხანგრძლივი მოღალატეობა. რასაკვირველია, ქართულ მენშევიკებს ეს როლი განსაზღვრული ისტორიული პირობების გამო დაეკისრა.

საქართველოში მენშევიკები თავიდანვე შედარებით ძლიერი პოლიტიკური მიმდინარეობა იყო. ამის მიზეზი უპირველესად ქვეყნის რევოლუციამტლდ სოციალურ-ეკონომიურ ვითარებაში უნდა ვეძებოთ.

1912 — 1914 წლებისათვის მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა რაოდენობა საქართველოში დაახლოებით 30-31 ათას კაცს უტლიოდა, ამავე დროს აქ 1913 წელს 2 670 ათასი მცხოვრები ითვლებოდა¹. ამ რაოდენობიდან, ალბათ, სულ მცირე 40% -ს, ანუ, დაახლოებით, ერთ მილიონ სულს, თვითმოქმედი მოსახლეო-

ბა შეადგენდა¹. აქედან ადვილი გამოსათვლელია, რომ მრეწველობისა და რკინიგზის მუშათა წილი მაშინდელ საქართველოში თვითმოქმედ პირთა საერთო რიცხვის სამ, სამხახვევარ პროცენტს არ აღემატებოდა.

ამავე დროს საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობები, რომლებიც უკვე გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მანძილზე სულ უფრო და უფრო სწრაფად ვითარდებოდა, რევოლუციის წინა წლებში მთელ საზოგადოებრივ წარმოებას მოიცავდა. რომ აღარაფერი ვთქვათ, თუმცა არასაკმარისად, მაგრამ მაინც საგრძნობლად განვითარებულ მრავალდარგოვან კაპიტალისტურ მრეწველობაზე, კაპიტალისტურ საქონელწარმოებაში წახმული იყო საქართველოს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რაიონების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ყურმენი და ლენო, აბრეშუმის პარკი, თამბაქო, სიმინდი და სხვა მარცვლელი, მეცხოველეობის პროდუქტები, ხალი — საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა ამ ნაწარმის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო ზოგი მათგანი კი მთლიანად, ბაზრისათვის მზადდებოდა და ბაზარზე გამოდიოდა. მართალია, საქართველოში ბევრი არ იყო დიდი მასშტაბის კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო ეკონომიები, მაგრამ შრომატევადი ტექნიკური კულტურების გავრცელების შედეგად, განსაკუთრებით სავაჭრო მიწათმოქმედების რაიონებში, დაქირავებულ შრომას ფართოდ იყენებდნენ. ამასთან მიწის სიმცირე და მალალი საოჯარო ქირა გლეხობის დიდ უმრავლესობას სისტემატურად ერეებოდა ვარე სამუშაოებზე.

სოფლად კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ნიშანი და შედეგი იყო გლეხობის სწრაფი სოციალური დიფერენციაცია.

¹ მოსახლეობის 1926 წლის სრულიად საქვეშროო აღწერის შედეგების მიხედვით ეს პროცენტი, ჩვენი გამოანგარიშებით, 43,7-ს უტლიოდა.

¹ Кавказский календарь на 1914 год, стр. 116—129.

ღარიბთა მურწნეობების გაჩინაგების ხარჯზე იზრდებოდა კულაობა, რომელიც შემამულე-შეწარმეებთან ერთად სოფლის მურწნეობის საქონლური პროდუქციის მთავარ მწარმოებლად გამოდიოდა.

წერად მწარმოებელთა სიჭარბე კაპიტალიზმის პირობებში სამოქმედო ასპარეზს უქმნიდა პრაქტიკულად შეუძლებელს — ყოველგვარ შემსწავლელ-გადამყიდველებს, მემუქნეებს, მუხრანებს და ამ ჯერის სხვა ექსპლოატორებს.

კაპიტალიზმის წარმოშობასთან ერთად შეიქმნა ქართული ბურჟუაზია. იგი შედარებით სუსტი იყო, მაგრამ დღით-დღე იზრდებოდა და „ნაციონალური ბაზრის“ დაპყრობისათვის იბრძოდა. ამავე დროს საქართველოში მრეწველობის ბევრ დარგში და ვაჭრობაში უმნიშვნელოვანეს პოზიციები ეკუთვნოდა სომხურ ბურჟუაზიას და უცხოელ კაპიტალისტთა ჯგუფებს.

თუ ამას დავუმატებთ ფეოდალიზმის გადმონათობას, რომლებიც საქართველოში და ამორკავკასიაში გაცილებით მერტივობით შემოიჭრა, ვიდრე ევროპულ რუსეთში, და შემამულეთა საკმაოდ ძლიერი კლასის ბატონობის საფუძველს შეადგენდა, ჩვენთვის ნათელი გახდება მოსახლეობის ის კლასობრივი სიჭრელე და მრავალფეროვნება, რომელიც რევოლუციამდე საქართველოს ახასიათებდა და მის გერონიკას შეესაბამებოდა.

კლასთა და კლასობრივ ფენათა ამ კალენდრისკენ, მიუხედავად შედარებითი მცირერიცხოვნობისა, პროლეტარიატი უკვე XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან გამოდიოდა ხელმძღვანელ რევოლუციურ ძალად საქართველოში. მუშათა კლასის საზოგადოებრივ წინას რევოლუციამდე პერიოდში დიდად აძლიერებდა სოფლად მრავალრიცხოვანი პროლეტარული და ნახევარპროლეტარული ელემენტების არსებობა, რომლებიც წარმოადგენდნენ მის დაუღვევლ რეზერვს და საიმედო მრავლრიცხვებს ცარიზმთან და შემამულეებსა და კაპიტალიზმთან ბრძოლაში. მაგრამ ისეთი, უპირატესად აგრარულ, წერად მწარმოებელთა ქვეყანაში, როგორც მშინდელი საქართველო იყო, რევოლუციურ მოძრაობაში პროლეტარიატის გვერდით დიდ როლს თამაშობდნენ წერად-ბურჟუაზიული ფენები. ისინი პროლეტარიატზე ერთგვარ გავლენასაც ახდენდნენ.

საქართველოში ბურჟუაზიული გერონიკის ყველა დარგის შემდგომი განვითარება, ისევე როგორც მთელ რუსეთში, მოითხოვდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, ცარიზმის დამხობას და ფეოდალიზმის ნაშთების ძირ-ფესვიანად აღმოფხვრას. აქ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ამავე დროს უნდა გადაეჭრა კოლონიის მდგომარეობაში მყოფი

ქვეყნისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური წინააღმდეგობანი და პირველ ყოვლისა, მოესპო უკანონო ჩაგვრა, რომელსაც მუქ-ჩაუკეტი სიმუშავით საზოგადოების თითქმის ყველა კლასი განიცდიდა. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს საქართველოში ამ საკითხს არ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი არ ეთამაშა, ვინაიდან, ჯერ ერთი, „...ყველგან ამ ქვეყნად ასეთი რევოლუციის თანამგზავრი იყო და არის ნაციონალური მოძრაობა“¹ და, მეორე, რუსეთის განაზიარა მხარეებში „ნაციონალურში ჩაგვრამ კიდევ უფრო გააშფავა ისედაც აუტანელი პოლიტიკური ჩაგვრა“².

ჩამოთვლილი ვარაუდებებით უნდა აიხსნას ის შედგარა საერთო-სახალხო რევოლუციური ბრძოლა, რომელიც საქართველოში გაჩაღდა 1905 — 1907 წლების რევოლუციის დანაწიისთანავე. „...კავკასიაში მოძრაობა განსხვავდება უდიდესი შეუპოვრობით, — წერდა ვ. ი. ლენინი 1905 წლის ოქტომბერში, — იქ შედარებით უფრო ხშირად იყენებს მოსახლეობა იარაღს და ყუმბარებს“³. ქართველი მშრომელი გლეხობა გაეყვანა საქართველოს პროლეტარიატს როგორც მისი მოკავშირე და მის მხარდამხარ სოციალ-დემოკრატიული, ბოლშევიკური ორგანიზაციების მეთაურობით გმირული ბრძოლა გაუმართა თვითმპყრობელობას, შემამულეებს, კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას, რევოლუციურ გამოსვლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო მშრომელთა ფენებიდან გამოსულმა ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილშიც.

სოციალურ ფენათა სიმრავლე საქართველოში ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ნაირ-ნაირი პოლიტიკური პარტიების წარმოშობისათვის. მიუხედავად ამისა, აქ უკვე XIX საუკუნის ბოლო წლებიდან რევოლუციური მოძრაობა ძირითადად სოციალ-დემოკრატიული გზით წარმოებდა. შემდგომშიც ვერც ერთი პოლიტიკური პარტია, — პარტიების ნაგებობა კი ჩვენში არ იგრძნობოდა, — წევრთა რიცხვით თუ მოსახლეობაზე გავლენით ვერ შეედრებოდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წიაღიდან გამოსულ მიმდინარეობებს: ბოლშევიკურსა და მენშევიკურს. საქართველოში 1905 წლის რევოლუციის ამბებთან და მისი წინაპრობის პოლიტიკურ გამოსვლებთან დაკავშირებით კავკასიის მეფინაყვანი თვის უქვეშევრდომებს მოხსენებით ბარათში 1906 წლის 10 თებერვლის თარიღით წერდა: „უქვეყლოა, რომ მთელ მოძრაობას ჰქონდა აშკარად რეო-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 19, გვ. 652 — 653.

² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 9, გვ. 414.

³ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 9, გვ. 418.

ლუციური ხასიათი ნათლად გარკვეული სოციალ-დემოკრატიული შეფერვით. მოსახლეობის საერთოდ რევოლუციონიზებული მასებში, რასაკერაველა, მოქმედებდნენ უკიდურესი პარტიების ყოველგვარი ორგანიზაციები, მკარამ სერიოზული წარმატება ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებს, რაც, სხვათა შორის, დასტურდება სახ. სათათბიროში ორჯერადი არჩევებითაც. სადაც ყველა ქართველმა დემუტატმა, გარდა ერთ ავტონომისტისა, თავი სოციალ-დემოკრატად გამოაცხადა* 1.

„უძვევედრომის“ მოხსენებაში არ არის აღნიშნული განსხვავება ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, თუმცა მაშინ ყველას კარგად ესმოდა, რომ საქართველოში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, მასების რევოლუციური გმოსილების სულისჩამდგმელები ბოლშევიკები, ლენინელები იყვნენ. მაშინ როდესაც მენშევიკები აქტიურად მონაწილეობდნენ „საბანკეტო კამპანიაში“, წინაშეაჩვენებდნენ უცხადებდნენ გრად ვორონცოვ-დაშკოვის მიერ ვითომდა განზრახულ რეფორმებს, ღიბერალური ბურჟუაზიისგან მოვლადნენ, როგორც ლენინი ამბობდა, „ბურჟუაზიული რევოლუციის გტარებას“ და ოცნებითაც კი ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმის დამყარებას ვერ სცოდნებოდნენ, — ბოლშევიკები მტკიცედ ხელმძღვანელობდნენ მიმდინარე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგმონიის ლენინური პრინციპით, იბრძოდნენ რუსეთში მონარქიის დამხობისა და პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარებისათვის. ამიტომაც ისინი გამოდიოდნენ მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგების, დემონსტრაციების, მუშათა და მოსამსახურეთა გაფიცების ორგანიზატორებად, დაუღალავად ამზადებდნენ და შემდეგ მეთაურობდნენ შეიარაღებულ აჯანყებას, რომელმაც საქართველოში ფართო გაქანება მიიღო.

მკარამ რუსეთის პირველი რევოლუცია დამარცხდა. დაღვა „განმათავისუფლებელი მოძრაობის მიუხეობის, რეაქციის თარგმის, დემოკრატიის ბანაკში დაღატისა და სასოწარკვეთილების, სოც-დემოკრატიული ორგანიზაციების კრიზისისა და ნაწილობრივი რღვევის... პერიოდში“ 2. და სწორედ ამ პერიოდში კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა ქართველი მენშევიკების ნამდვილი ბუნება. მათ თითქმის ხელი აღდეს არაღეგალურ მუშაობაზე და არსებითად ლეგიტარული პოზიცია დაიკავეს.

გერ კიდევ 1905 — 1907 წლების აღმავლო-

ბის დროს ქართველი მენშევიკები, რძის საბაბით, რომ „ბურჟუაზია არ დადრთხეს და რევოლუციას არ ჩამოშორდნენ“ 3, მოხმარებდნენ ბურჟუაზიის გადასცემოდ მუშუბისა და გლეხების მიერ რევოლუციური ბრძოლით მოპოვებული ძალაუფლება. რეაქციის წლებში მათ ეს დებულება კიდევ უფრო გააღრმავეს და პირდაპირ გამოაცხადეს: რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანა ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის დამყარებაო. ამ ამოცანის განსახორციელებლად სომხადო ტაქტიკაც იყო საჭირო. მენშევიკებმა ისიც შეიმუშავეს — „ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ძალთა შეერთება“ აღიარეს რევოლუციის გამარჯვების ერთადერთი საწინდრად. ისინი ახლა გამოდიოდნენ კადეტების პარტისათვის, „საშუალო ბურჟუაზიისათვის“, როგორც „რუსეთის მომავალი ბატონისათვის“, მხარდაჭერის ქადებებით. ... ნაცვლად გლეხების გამძლო პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლისა — ხელმძღვანელი როლი პროლეტარიატის თვალისამხეთვი კადეტური ბურჟუაზიისა.

ასეთთა თბილისელი მენშევიკების „ახალი ტაქტიკა“ — წერდა ი. სტალინი 1910 წლის მაისში 1.

ქართველი მენშევიკები სტალინიური რეაქციის ხანაში გაბჭრით დადგნენ ნაციონალისტურ პოზიციაზე. მათ წამოაყენეს „კავკასიის ერთა ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის“ მოთხოვნელება პარტიის პროგრამით გათვალისწინებული ერთა თვითგამორკვევის უფლებების ნაცვლად.

ქართველი მენშევიკების თეორიული ვარჯიში და პრაქტიკული საქმიანობა რეაქციის წლებში ნათლად ამჟღავნებდა, რომ ისინი იყვნენ არა მარქსისტი-სოციალისტები, არამედ წერბლბურჟუაზიული დემოკრატები, რომლებმაც განუსაზღვრელი ვლით გადადეს სოციალიზმისათვის ბრძოლა და მიხნად დაისახეს პროლეტარიატის ხელით გზა ვერკუფონ მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარებას და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული „თავისუფლებებისა“ და ინსტიტუტების შემოღებას.

ამ ვარჯიშებთან აახსნება ის ფაქტი, რომ მენშევიკებმა მიმდინარეობამ საქართველოში მეტად ნოუფერი ნიადავი ჰპოვა. აქ მას მხარს უჭერდნენ და ასულდგმელებდნენ უმთავრესად წერბლბურჟუაზიული ფენები — წერბლი ეპურები, ხელოსნები, შეძლებული გლეხობა, ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენცია, რომელთათვისაც ნამდვილ დიპლუმატებსა წარმოადგენდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნები, ხოლო სოციალიზმის შორეულ მირაგზე მენშევიკური ლაჟობობა მოჭერხებულ საშუალება იყო პროლეტარიატის მისამინებლად.

1 ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2. გვ. 208.

* Сельское хозяйство и аграрные отношения, сост. П. В. Гугушвили, т. IV, Тб., 1955, стр. 66—67.

2 ვ. ი. ლენინი თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 15, გვ. 322

ამევე მიზეზებით აღსწნება ის სულ სხვა-დასხვანაირი დამოკიდებულება, რომელსაც მეფის მთავრობა იჩენდა ბოლშევიკური და მენშევიკური პარტიული ორგანიზაციებისადმი. რეპციის წლებში მეფის ხელისუფლებამ მძიმე რეპრესიები დაატეხა თავს სწორედ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს და მათს ხელმძღვანელებს, მაშინ როდესაც მენშევიკ-ლიკვლადატორებისადმი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ის საივეო ლობიობურებას იჩენდა.

რეპცია განსაკუთრებული სისასტიკით ამიერკავკასიაში მიმდინარებდა. მან შესძლო აქ ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის სერიოზული ზიანი მიყენება. ამას ხელს უწყობდა რევოლუციისაგან სხვადასხვა ჯერის ინტელიგენტ თანამშენებელთა განდგომა. მასობრივი დაპატიმრებებისა და გადასახლების შედეგად შესუსტდა ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი კადრები. საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს — მტკიცე ლენინელებს, როგორებიც იყვნენ ი. სტალინი, გ. ორჯონიკიძე, ს. შაუშანი, პ. ჯაფარიძე და სხვ., გარდა იმისა, რომ მათ ხშირად აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ, პარტიამ დაავალა ძირითადი საქართველოს გარეთ — ბაქოში, პეტერბურგში, სხვა პარტიულ ცენტრებში მუშაობა. ამევე დროს ქართველი მენშევიკების ბელადები თითქმის უკლებლივ ადგილზე ისხდნენ და თავიანთ გამოიშველ, ანტი-პარტიულ საქმიანობას ეწეოდნენ. ყველა ამის შედეგად მენშევიკებმა მთავრებს ხელმძღვანელი პოზიციების მტაცება თბილისში და ზოგიერთ სხვა ადგილებში.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მეფის ხელისუფლებამ მეტი სისასტიკით დაიწყო დევნა ბოლშევიკებს. სამაგიეროდ კიდევ უფრო გაძლიერდა მისი თანაგრძნობითი დამოკიდებულება ქართველი მენშევიკებისადმი. მას ამის საფუძველიც ჰქონდა. ომის დაწყებამდე და მის პირველ თვეებში მენშევიკების თბილისის ორგანიზაციამ ხელი აიღო მთავრობის საწინააღმდეგო ყოველგვარ საქმიანობაზე¹ — აღნიშნავდა პოლიციის დეპარტამენტისათვის 1915 წლის მასში წარდგენილ მოხუცებაში თბილისის საგუბერნიო ენაობათა სამმართველოს უფროსი². ამევე დროს კი ბოლშევიკები გაეძლიერებულ ანტი-საომარ მუშაობას ეწეოდნენ.

დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი.

1915 წლის პირველი მთისათვის თბილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, რომელსაც გადასახლებიდან ახლად დაბრუნებული პ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა, გამოუშვა იმპერია-

ლისტური ომის საწინააღმდეგო პროკლამაცია. ამასთან დაკავშირებით 4. მარს [ქ. „გაბუჟანქი“] დააპატიმრეს და გადასახლეს ქ. მანსუქი³ გუბერნიის რეზიდენციაში.

საპირველმაისო პროკლამაცია გამოუშვეს მენშევიკებმა. იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბრძოლველად მუშაობა მოწოდების ნაცვლად, იგი მათ მოუწოდებდა სიმშვიდისა და მთავრობისადმი მორჩილებისაკენ. „ჩვენ არ მოგვიწოდებთ გაფიცებისა და დემონსტრაციებისაკენ, ეს ჩვენი მტრებისათვის იქნებოდა ხელსაყრელი“ — ნათქვამი იყო მენშევიკების პროკლამაციაში⁴. მეფის მთავრობის წარმომადგენლებმა სულ სხვანაირად შეაფასეს მენშევიკების „ანტი-საომარი“ პროკლამაცია და მისი ავტორების „რევოლუციური“ საქმიანობა. თბილისის საგუბერნიო ენდარმათა სამმართველოს უფროსი ამის გამო შემდეგს სწერდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს: „1 მთისათვის არსებობდა (მენშევიკების) საოლქო კომიტეტი, რომელმაც ხსენებული რიცხვისათვის გამოუშვა მოწოდება... საოლქო კომიტეტის ყველა ოთხი წევრი... დაპატიმრებულ იქნა; ნოე რამიშვილი — 28 ივნისს, ნოე ხომერიკი და სილიბისტრო ჯიბლაძე — 28 ივლისს. მიმოწერა ამ პირების მიმართ ყოფაღმა მეფისნაცვალმა შეწყვიტა და ბრძანა ყველა ისინი პატიმრობიდან გაგეთავისუფლებინა. ახლა ყველა ისინი... გაზუთ „თანამედროვე აზრს“ ხელმძღვანელებენ“⁵.

ცნობილია, რომ ქართველმა მენშევიკებმა ნ. ეორდანიას მეთაურობით პირველი მსოფლიო ომის დროს თბორიციული პოზიცია დაიკავეს. ამ პოზიციის საბოლოო ჩამოსაყალიბებლად და განსამტკიცებლად მათ 1915 წლის ოქტომბერში დაბა ახალსენაკში მოიწვიეს თავიანთი პარტიული კონფერენცია. თბილისის საგუბერნიო ენდარმათა სამმართველოს უფროსის ცნობით, ეს კონფერენცია მოწვეულ იქნა მენშევიკური „საოლქო კომიტეტის პატიმრობიდან განთავისუფლებული წევრების ინიციატივით“⁶, ახალსენაკის კონფერენციის შედეგებისა და ნ. ეორდანიას მოღვაწეობის საგულისხმო შეფასებას ეხებებოთ ქუთაისის საგუბერნიო ენდარმათა სამმართველოს უფროსის 1915 წლის 1 ნოემბრის მიმართობის, რომელიც მას მეფისნაცვლის კანცლარიის განსაკუთრებულ განყოფილებაში წარუდგინა. პირველ ხანებში მენშევიკურ ორგანიზაციაში პორაქვენციები ჰარბობდნენო, — ეკითხულობთ ამ დოკუმენტში, — მაგრამ „მაშინ უმცირე-

¹ საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ცსსა) ფონდი 7, საქმე 2898, ფ. 112.

¹ საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1957, გვ. 339.

² ცსსა, ფონდი 2, საქმე 4671, ფ. 6

³ იქვე, ფ. 2.

სობაში დაჩვენებულა ნოე ეორდანიამ არ დას-
ყარა იარაღი და ის წლის განმავლობაში ბეჭ-
დავდა სტატიებს, რომლებშიაც ამტკიცებდა
რუსეთის დამარცხების დაძლეულობას და
მოუწოდებდა ხალხს სამშობლოს დასაცავად...

ახლა ყველა გრძნობს, რომ „ანის“ (ნ. ეორ-
დანიას) პოზიცია განმტკიცდა და გასული ოქ-
ტომბრის თათბირზე თავდაცვის იდეამ, რომ-
ელსაც „ანი“ იცავს, გაიმარჯვა, რის მკვერ-
ბერტყველურ დადასტურებას წარმოადგენს თათ-
ბირის გადაწყვეტილება სამხედრო-სამრეწველო
კომიტეტებში მონაწილეობის მიღების შესა-
ხებ. ამ გადაწყვეტილებით საბოლოოდ იცე-
ლება ტაქტიკა კავკასიის სოციალ-დემოკრა-
ტიისა, რომელიც პასიური და საეჭვო ნეიტრა-
ლიტეტიდან გადადის თავდაცვის იდეისათვის
აქტიური მხარდაჭერაზე¹.

მართლაც, ახალგაზრდის მენშევიკებმა კონ-
ფერენციამ მთლიანად შეაღო ნ. ეორდანიას
ობორონტული თვალსაზრისი, რომელსაც ის
ომის დაწყებიდანვე ავითარებდა სოციალ-
დემოკრატიულ პრესაში. სწორედ ამ თვალ-
საზრისის გამო მიაცდენებდა ვ. ი. ლენინი
ნ. ეორდანიას იმ სოციალ-დემოკრატთა რიცხვს
(პლენარეი, აღექმსენსი და სხვ.), რომლებიც
„შეკრა სოციალ-შოენისტები ხდებაან“².

მაინც როცხსაც რსდმპ ბოლშევიკური ცენტ-
რალური კომიტეტის მანიფესტში იმპერია-
ლისტური ომის შესახებ, რსდმპ საზღვარგარე-
თული სექციების 1915 წლის თებერვლის
კონფერენციის გადაწყვეტილებებში, ბოლშე-
ვიკური პარტიის ბელადის ვ. ი. ლენინის
ნაბროშებში წამოყენებული იყო ომში რუსე-
თის ცარიზმის დამარცხებისა და იმპერიალის-
ტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათ-
ვის ბრძოლის ღონეულები, ქართული მენშე-
ვიკების ახალგაზრდის კონფერენციის დადგენი-
ლება კვლავ უგემურად იმეორებდა ძველ
ობორტენისტულ-ლიკვიდატორულ მოტივებს.
„ჩვენ მხარს ვუჭერთ ბურჟუაზიის ოპოზიციურ
ნაბრებს, — ვკითხულობთ კონფერენციის გა-
დაწყვეტილებაში, — რომლებიც მიმართულია
ძველი რეჟიმის წინააღმდეგ და ვესწრაფით
მივეთ მათ სულ უფრო რადიკალური შე-
ფერვა, რათა ამით უზრუნველყოთ ფაროო
მასების გამოსვლა დემოკრატიული წყობი-
ლების დასამყარებლად“³.

სახელმწიფო სათათბირის მემოზონს დაუ-
ყოვნებლედ განახლება, პასუხისმგებელი საზი-
ნისტროს შექმნა — აი რით მემოფარგლა კონ-
ფერენციამ თავის დადგენილებაში ქართული
მენშევიკების პოლიტიკური მოთხოვნები ქვეყ-

ნისა და რევოლუციის ბედისათვის იმ უაღრ-
ესად მნიშვნელოვან მომენტზე, რაც მსოფლიო
სამეგიკროდ კონფერენციამ დასაჭირებულ
სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწი-
ლეობა“ და მეფის ჯარის განმტკიცების მიზ-
ნით დადგინა, რომ ის „აჩავის არ ურჩევს
დეზერტარობას“⁴.

მოტანილი დოკუმენტები ნათლად მოწმო-
ბენ, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს
ქართული მენშევიკები საკეთარი ნებით გახ-
დნენ მეფის ხელისუფალთა სასურველი თანა-
შემწეები. ისინი მთელ თავის უნარს და პო-
ლიტიკურ გაგენას იმისათვის იყენებდნენ,
რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრო-
მელები მაგრად მოეჯახათ მეფის რუსეთისა
და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის საბრ-
ძოლო ეტლზე.

თავისთავად ცხადია, რომ მეფის ოხრანკა-
ამის შემდეგ კიდევ მეტი გააფთრებით შეუტე-
და საქართველოს ბოლშევიკებს, რომლებიც
თავგამოდებით ატარებდნენ ლენინურ გენს
ომის საეთხებში, და ამავე დროს მფარვე-
ლობას არ მოაკლებდა ქართულ მენშევიკ-
ობორონტების ორგანიზაციებს. ეს ასეც მოხ-
და.

აი ზოგადად ის ძირითადი მიზეზები, რომ-
ელთა შედეგად 1917 წლის თებერვლისათვის
საქართველოში მენშევიკებმა თითქმის ხელ-
უხლებლად შეინარჩუნეს თავიანთი ძალები,
ხოლო წინათ ძლიერი ბოლშევიკური ორგანი-
ზაციები საკმაოდ შესუსტებული აღმოჩნდნენ.
ამიტომაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევო-
ლუციის პირველი თვეებდანვე მენშევიკებმა
ხელთ იგდეს წამყვანი პოზიციები მუშათა
დემუტრატების საბჭოებში. ისინი გადაწყვეტ
როლს თამაშობდნენ დროებითი მთავრობის
მიერ შექმნილ ამიერკავკასიის საგანგებო კო-
მიტეტში, ხოლო ოქტომბრის დიდი რევოლუ-
ციის შემდეგ — თითქმის დამოუკიდებელ სამ-
ხარეო ხელისუფლების ორგანოებში — ამიერ-
კავკასიის კომისარიატში და ამიერკავკასიის
სეიმში. მათ მოახერხეს ამიერკავკასიის ჩამო-
შორება საბჭოთა რუსეთისაგან.

მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის ბურჟუაზი-
ული რესპუბლიკა დაიშალა, 1918 წლის მაის-
ში მენშევიკები სათავეში ჩადგნენ საქართუ-
ლოს ბურჟუაზიულ, ე. წ. დემოკრატიულ რეს-
პუბლიკას და უცხოელი ოკუპანტების ძალებ-
ზე დაყრდნობით აქ ძალაუფლება თითქმის
სამი წლის განმავლობაში შეინარჩუნეს.

ხალხთა შორის შედლისა და სისხლისმღე-
რელი შეჯახებების ატმოსფერო, რომელიც

¹ ესა, ფონდი 2, საქმე 3671, ფ. 32
² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21,
გვ. 410.
³ ესა, ფონდი 2, საქმე 3671, ფ. 29.

⁴ იქვე, ფ. 30.

ჭარბულმა მენშევიკებმა — სომეხ დაშნაკებთან და აზერბაიჯანელ მუსავატისტებთან ერთად — შექმნეს ამირკავკასიაში, ნამდვილმა სომოქალაქო ომმა ქვეყნის შიგნით, უცხოელი იმპერიალისტების თარეშმა და, რაც მთავარია, რუსეთის სამეურნეო ორგანიზმისაგან მოწყვე-

ტამ გამოიწვიეს საქართველოს სახალხო მეურნეობის სრული მოშლა. რა გზებითა და საშუალებებით ამირებდა გაბატონებულ მენშევიკური პარტია ამ ქაოსის დაძლევის და საქართველოს ეკონომიკის ასე თუ ისე მოწესრიგებას? ეცდებით, პასუხი გავცეთ ამ კითხვაზე.

II. მეწიგნობური საქართველოს ეკონომიური ვითარება

1. კატასტროფის მუდმივ მოლოდინში

ქვეყნის ნორმალური ცხოვრებისა და განვითარებისათვის აუცილებელ პირობას შეადგენს საზოგადოებრივი წარმოების უწყვეტობა. ამასთან უნდა ზღვებოდეს მოხმარებული მატერიალური დოვლათის გაფართოებული კლავიწარმოება. მენშევიკურ საქართველოში წარმოების პროცესი იმდენად დიდი შეფერხებებით მიმდინარეობდა, რომ არა თუ გაფართოებულ, — უბრალო კლავიწარმოებასაც ვერ უზრუნველყოფდა. მრეწველური საწარმოები სათბობის, ნედლეულის მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ. მოჭველებული და შეუქათებული დაზგებისა და გაწიობილობის მწარმოებლობა მეტად დაბალი იყო. ამის გამო მრეწველური საქონელი უმნიშვნელო რაოდენობით მზადდებოდა. სახალხო მეურნეობაში წინათ დატარებული საქონლის მარაგი მალე ამოიწრა და მიმდინარე მოხმარების უზრუნველსაყოფად ერთი მთავარი გზა დარჩა — იმპორტი. მაგრამ იმპორტისათვის საქონლა ოქროს მარაგი ან უცხოეთის ვალუტის მუდმივი წყარო. არც ერთი და არც მეორე ომით განაჩაგებულ ეკონომიკად ჩამორჩენილ ქვეყანას არ მოელოვებოდა.

მრეწველობაზე უკეთეს მდგომარეობაში არც სოფლის მეურნეობა იყო. სოფლად მოუწესრიგებელი აგრარული ურთიერთობები, ფეოდალიზმის ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი ნაშთები, გლეხობის უველაზე ჯანსაღი ნაწილის ხანგრძლივი დროით გაწვევა მენშევიკურ არმიამი განუწყვეტელ საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით — ყველაფერი ეს იწვევდა სოფლის მეურნეობის მწარმოებელს ძალთა უნაყოფო ფლანგვას. შემცირდა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება. განსაკუთრებით დაეცა ის დარგები, რომლებიც რუსეთისა და უცხოეთის ბაზრებთან იყო დაკავშირებული — მევენახეობა, მეთამბაქოეობა, მებარბუშეობა. სოფლის მეურნეობას დიდ ზიანს აყენებდნენ მანენებლები და სოკოვანი დაავადებები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაქვეითე-

ბა მიმე მდგომარეობაში აყენებდა ქალაქების სურსათით მომარაგების საქმეს. საქართველოს სამრეწველო ცენტრები და სავაჭრო მიწათმოქმედების რაიონები წინათ ჩრდილო-კავკასიიდან შემოტანილი პურით მარაგდებოდნენ. მეცხოველეობის პროდუქტების ნაწილი სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ჩრდილო-კავკასიიდან შემოდიოდა. შაქრის მომწოდებელი უკრაინა და რუსეთის სამხრეთი გუბერნიები იყვნენ. „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებამ და ძველი ეკონომიური კავშირების გაწყვეტამ სურსათის მოწოდების ეს ძრებები ოთქმის მთლიანად დაასწო. ქალაქების ზისახლეობის და ჯარის სურსათით უზრუნველყოფა დაეკისრა საქართველოს სოფლის მეურნეობას, რომლის საქონლური პროდუქტა სრულიადაც არ იქნებოდა საკმარისი ამგვარი ამოცანის გადასატრეად.

ასეთივე მდგომარეობა იყო მოსახლეობის ქსოვილებით. ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და მსუბუქი მრეწველობის სხვა ნაყოფობით მომარაგების საქმეში.

საქონლის მწვავე ნაკლებობამ შექმნა ხელსაყრელი ნიადაგი სპეკულაციის აყვავებისათვის. სპეკულაციას ეწეოდა არა მარტო სავაჭრო კაპიტალი, — ამ მერად მომგებიან სფეროში თანდათან იწყო გადასვლა სამრეწველო კაპიტალიც. მენშევიკების მიერ 1920 წლის ოქტომბერში ჩატარებულ პარტიულ ეკონომიურ თათბირზე ვაკეობულ მოხსენებაში ნ. შორდანია აღნიშნავდა: „უბედურება... იმამა, რომ ჩვენში კაპიტალი დღეს მრეწველობას არ ეტანება, ვაჭრობა დღეს, ამ უსაქონლობის დროს, დიდ მოგებას იძლევა; ვინც საქონელს მოიტანს, — ბაზარზე მონოპოლისტი ზღვება. ამის გამო ჩვენში... ყველა კაპიტალის მუშაობა დღეს მხოლოდ სპეკულაციაში გამოიხატება და დადებითი ღირებულება არ იქმნება“¹.

უწყობოდა მთელი საქციო საზოგადოებები, რომლებიც მიზნად ისახვდნენ მხოლოდ სპეკულაციური ვაჭრობის წარმოებას. 1919 წლის დეკემბერში დაფუძნებული კრებაში ნაციო-

1 ვახუთი „ერთობა“ № 235, 1920.

ნალ-დემოკრატმა დებუტატებმა მენშევიკურ მთავრობას უსაფუძვლურეს, რომ ის ვითომ ხელს არ უწყობს გერმო ინიციატივის გაშლას მრეწველობაში. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოადგილე პოლ. ს. ავალიანმა ამის საპასუხოდ განცხადა: „ჩვენ ერთი წლის განმავლობაში 20 საჯარო საზოგადოების დავართეთ ნება, თუმცა, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საზოგადოებამ მრეწველობას არ მოჰკიდა ხელი, უმრავლესობამ სპეკულაციის წარმოება დაიწყო“¹.

აღირობასწინა სპეკულანტები, ცხადია, მშრომელთა გავლენის ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ახალმოცუნილი მსხვილი კომერსანტების ხელში დიდი სიმდიდრის დაგროვების შემთხვევები ისე ხშირი იყო, რომ მენშევიკური მთავრობა საგონებელში ვარდებოდა — მან არ იცოდა ვისთვის როგორი გადასახადი დაედო. დამწუხრებელი კრების სხდომაზე მთავრობის მიერ 1919 წლის მარტში გაკეთებულ განცხადებაში ვითხულობთ: „გადასახადების აკრეფა ძნელდება, ვინაიდან ქონებრივი მდგომარეობა ირეული და გამოურკვეველია... გასაპირია იმის თქმა, თუ ვის უნდა დაადავგადასახადი, ვის ხელშია დაგროვილი გადასახადის საგანი — ქონება. დღეს, ამ სპეკულაციის ხანაში, ძნელია ქონების კადასტრის შედგენა, ვინაიდან დღევანდელი ღარიბი, ზღალ უცებ მდიდარი ხდება, ხოლო დღევანდელი მდიდარი ხვალ ღარიბდება“².

განცხადების ავტორს დააიწყება მხოლოდ, რომ მენშევიკურ სამთხვეუთ უცებ მდიდრდებოდნენ არა ღარიბი მშრომელები, რომელთა მდგომარეობა დღით-დღე აუტანელი ხდებოდა, არამედ ცალკეული გაჭილი სპეკულანტები. რაც შეეხება მდიდრების გაღარიბებას, ეს პროცესი „დემოკრატიული“ რესპუბლიკისათვის სრულდებოდა დამსახურებულად არ იყო.

საქართველოს მრეწველობის დარგების უმეტესობას ადგილობრივ არ გააჩნდა არც სათბობი ბაზა, არც ძირითადი ნედლეულის და ნახევარფაბრიკატების მიღების წყაროები. ქვეყნის „დამოუკიდებლად“ გამოცხადებას, რუსეთის სამეურნეო ორგანიზაციისგან მის მოწვევებს ის შედეგი მოჰყვა, რომ ფაბრიკა-ქარხნების ტექნიკური მომზადება მილიანად ან ნაწილობრივ ჩაიშალა. მენშევიკური საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი, როგორც ჩანს, კომპეტენტური ეკონომისტი, ე. აფხაზი მთავრობისათვის 1919 წლის 7 ნოემბერს წარდგინდა მოხსენებაში აღნიშნავს, „... მრეწველობა ფერხდება იმ მთავარი

ელემენტების უქონლობით, რომლებიც განაპირობებენ ნორმალურ წარმოებას“³ მდგომარეობის, სათბობის, წარმოების [სპეციალური] [საქმიანარე მასალების... უქონლობით. 10 თვე ერთმეორეზე... შთელი საქართველო განიცდიდა საშინელ უბედურებას — ნავთის უქონლობას... ლითონდამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც შემოტანილ (დონეცის) ნახშირს ხმარობს, დღესაც სავსებით პარალიზებულია... ბამბის ფაბრიკები უმოქმედოდ დგანან ნედლეულის (ნედლი ბამბის) და დამამარე მასალების (კუსტიკური სიღის და ქლორინი კრის) უქონლობის შედეგად... ტუავის მრეწველობა იყენებს თავისი მწარმოებელური მხოლოდ ნაწილს... უმთავრესად, მთრმლავი მასალების უქონლობის გამო. თამბაქოს წარმოება განიცადის ქაღალდის მასალების მწვავე ნაკლებობას...“⁴.

უკეთესი მდგომარეობა არ ჰქონდათ მრეწველობის იმ დარგებსაც, რომლებიც შედარებით ნაკლებად იყენენ დამოკიდებულ შემოტანილი სათბობსა და მასალებზე პარალიზებული იყო, მაგალითად, სამთო მრეწველობა. იმავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ჭიათურაში საქონლური პროდუქციის ერთ მილიონ ტონაზედ გაუსაღებელი მარჯის დაგროვების გამო თითქმის არ წარმოებდა მადნის მოპოვება. ტყიბულის ნახშირის მღაროები, რომლებიც სათბობის ერთადერთ სერიოზულ ბაზას წარმოადგენდნენ საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის, წაგვიბთ მოშობდნენ.

საწარმოების გაყობილობის მოშველების, ახარეგულარული ტექნიკური მომზადებისა და მუშების მძიმე მატერიალური მდგომარეობის შედეგად შრომის მწარმოებლურობა მრეწველობაში კატასტროფულად ეცემოდა.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაცემას ზედ ერთგვად სატრანსპორტ სიძნელეები. მასალების საკლებობის გამო რკინიგზის მოძრავე შემადგენლობის რემონტი არარეგულარულად წარმოებდა. იგი ცუდად მარადდებოდა სათბობით. ამავე დროს რკინიგზის შიულ ხაზზე პარაშობდნენ უცხოელი ოკუპანტები. ასეთ პირობებში რკინიგზის ტრანსპორტის მოწესრიგებულად მუშაობის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. საზღვაო ტრანსპორტის მხრივ მენშევიკური საქართველო მილიანად უცხოელების ხელში იყო. „უზარმაზარი ფრაგტი, რასაც მეტწილად უცხოეთის ვალუტით ვიხდით, დიდ გაუღუნას ახდენს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის შედეგებზე“, —

¹ „ერთობა“ № 3, 1920.

² „ერთობა“ № 60, 1919.

³ I საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრ. სახელმწიფო არქივი (ირკსა), ფონდი 24, საქ. მე 118, ფ. 1-25.

ჩიოდა ზემოთ დასახლებულ მოსხენებით ბრათანი დ. აფხაზი. უცხო ქვეყნებთან სავაჭრო ოპერაციების წარმოებას დიდად აფერხებდა ის გარემოება, რომ ბათუმი ანდლის ოკუპანტებს ეკავათ და საქართველოს ევროპისკენ მხოლოდ ერთი კარი ღარიჭუნოდა — ფოთი. მაგრამ ეს ერთადერთი პორტიც მძიმე მდგომარეობაში იყო. „ფოთის პორტის სიღრმის შემცირება, — აღნიშნავდა დ. აფხაზი, — რაც სახანავე საშუაოების შეწყვეტითაა გამოწვეული, სერიოზულ საშიშროებას ქმნის, ღრმად შედომ სოკიანე გემებს არ შეუძლიათ პორტში შემოსვლა, ვინაიდან მისი სიღრმე დღეისათვის 32 ფუტიდან 22 ფუტამდე შემცირდა...“

ასეთ მდგომარეობაში მყოფი ტრანსპორტი ვერ უზრუნველყოფდა გადაზიდვებს და კიდევ უფრო აძლიერებდა ეკონომიკურ კაოსს.

მუდრეობის ერთიანად მოშლის გამო მენეჯერების მთავრობა ვერ ახერხებდა რამდენადმე მაინც რეალური ბიუჯეტის შედგენას. ფინანსთა და ევრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის ს. ავალიანის ანგარიშით, მენეჯერი სახელმწიფოს 1918-1919 წლის ბიუჯეტის სუფთა დეფიციტს 75%-ით გამოიხატა, ხოლო 1919-1920 წლისა — 60%-ით. ამ მონაცემებით, ყოველ შემთხვევაში, 1918-1919 წლის ბიუჯეტის შესრულება მაინც საკმაოდ შეუძლებელი ჩანს. ამას მოწმობს დ. აფხაზის ცნობა, რომლის მიხედვით საქართველოს ბიუჯეტის შემოსავალი 1918 წლის 1 იანვრიდან 1919 წლის 1 მაისამდე უდრიდა 57 მილიონ მანეთს, ვასავალი კი — 649 მილიონს. ამრიგად, დეფიციტი შეადგენდა 592 მილიონ მანეთს, ანუ 91%-ს და იგი 10, 4-ჯერ სჭარბობდა შემოსავალს. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს მთავრობა ბონების გამოშვებით ფარავდა, ვინაიდან მას შემოსავლის სხვა მნიშვნელოვანი წყარო, „გარდა საბჭუდი დაზვისა“, არ მოეპოვებოდა.

საფელისხმობა, რომ ხსენებული „საბჭუდი დაზავ“ ლალატობდა მენეჯერებ მთავრობას. „ჩვენი ექსპედიცია ვერ ასწრებს ფულის ნიშნების დამზადებას თანახმად სახელმწიფოს მოთხოვნილებას, — მოახსენებდა მას ს. ავალიანი, — ... დღიურად საშუალოდ ექსპედიცია ბეჭდავს 4 მილიონ მანეთს; ეს ნიშნები კი ვერ ამკაყოფენ სახელმწიფოს მოთხოვნილებას. დღემდე გადაუხდელო ზარკების რაოდენობა აღემატება 15 მილიონ მანეთს...“

ფინანსთა სამინისტროს წინადადება შექონდა ქართული ბონების ბეჭდვის შეკვეთა მისცემოდა „იტალიის სახელმწიფო ექსპედიციას“ რომში³.

გამუდმებული საგარეო ომებ და უფრო კი შეუჩერებელი სამხედრო მოქმედებები⁴ საბჭუდის რად განწყობილი მთელი პროცენტუმი წინააღმდეგ დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ამიტომაც მენეჯერი მთავრობის უპირველესი საზრუნავი სახელმწიფო შემოსავლის გადიდება იყო. ის თამამად მიდიოდა ფეოდალური მონარქიებისა და ბურჟუაზიული მთავრობების მიერ გატყენილი გზით: სულ უფრო მაგრად უჭერდა მშრომელებს სავადსახალო ქაზრას. კომპეტენტური სპეციალისტის მოწმობით, მენეჯერი რესპუბლიკის „სახელმწიფო საღარო პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადების აჭრადით მიღებული შემოსავლი ითქვამდა სულს“⁵, მაგრამ ეს შემოსავალი ხარჯების მთავ უმნიშვნელო ნაწილს ფარავდა. საქირო იყო შემოსავლის უფრო უხვი და მუარი წყაროს გამოხახვა, ასეთ წყაროდ მენეჯერებმა მთავრობამ ზოგიერთი საექსპორტო საქონლის სახელმწიფო მონოპოლის შემოღლება მიიჩნია.

უნდა შევნიშნოთ, რომ მენეჯერებს, როგორც მათ საერთოდ ჩვეოდათ, გაბედული და სრული ნაბიჯი აქვთ არ გადაუდგამთ. მათ არ გამოუცხდებიათ საგარეო ევრობის სახელმწიფო მონოპოლია, რაც, თუ ნამდვილად განხორციელდებოდა, ნაწილობრივ მაინც შეზღუდვდა სპეციალისტის და მოსახლეობისათვის ერთგვარად სასარგებლო იქნებოდა. მთავრობამ თავისი მონოპოლია დააწესა მხოლოდ მარგანეცის, მატულის, აბრეშუმის პარკის, ფურცლოვანი თამბაქოს და მთიანული მასალების უცხოეთში გატანაზე⁶. დანარჩენი საქონლის ექსპორტი თავისუფალი იყო. რაც შეეხება უცხოეთის საქონლის მთელ იმპორტს, აქ მთავრობის ჩარევა მხოლოდ ბაყის გადახდევიებით განისაზღვრებოდა. უცხოეთის ფირმების ზეგავლენით ეორდნაიას მთავრობამ 1920 წლის სექტემბერში სპეციალური დეკლარაცია კი გამოაქვეყნა თავისუფალი ევრობის შესახებ. „საქართველოს ნავსადგურები თავისუფალი ევრობისათვის გახსნილიაო“, აცხადებდა დეკლარაცია. შემდეგ მასში ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ იმპორტირებულ ინტერესების დაცვას, მთ გადახდებით მხოლოდ ბაყი, არ დაიშვება რეკვიზიცია, შემოტანილი საქონლით ევრობა არაფრით არ იქნება შეზღუდული მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სხვ⁷.

მონოპოლიზებული საქონლიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მარგანეცი იყო. ვალუტის უქრობის გამო მენეჯერი მთავრობის წარმომადგენლები ედილობდნენ საერთაშორისო ბაზრებზე საქონელი მარგანეცზე გაყ-

¹ ეურნალი „Экономическая жизнь“ № 1, 1920, გვ. 45.

² ორცხა, ფონდი 24, საქმე 118, ფ. 2, 12.

³ ორცხა, ფონდი 48, საქმე 64, ფ. 1.

¹ ორცხა, ფონდი 24, საქმე 118, ფ. 3.

² ორცხა, ფონდი 81, საქმე 1303, ფ. 92.

³ „ერთობა“ № 198, 1920.

ვლით შეეძინათ. მომარაგების სამინისტროს ერთ-ერთმა აგენტმა, მავალითად, მოახერხა ამ გზით ფქვილის შესყიდვა. რკინიგზის უწყების წარმომადგენლებმა ასევე მარკანციით იყიდეს მათთვის საჭირო მასალები და სხვ¹. მაგრამ ვინაიდან მარკანციის გაყიდვის უფლების მქონე მრავალი აგენტის გამოსვლა მსოფლიო ბაზარზე მადნის ფასის დაკუმპის იწვევდა, დარსებულ იქნა აქციონერთა „ნიუთერის მარკანციის სამრეწველო საექსპორტო საზოგადოება“, ანუ, როგორც მას ოფიციალურად უწოდებდნენ, „ჩემპო“². ამ საზოგადოებას მენშევიკურმა მთავრობამ განსაზღვრული პირობით გადასცა სახელმწიფოს მონოპოლიური უფლება მარკანციის გატანისა საზღვარგარეთ.

„რაც შეეხება დანარჩენ მონოპოლიზებულ პროდუქტებს, — ვეთხოვებით ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში, — მათ მიმართ მთავრობას შეუძლია მისთვის მიუთხევებელი ექსპორტის უფლება გადასცეს ხელშეკრულებით კერძო პირებს ან საზოგადოებებს“³. ამ უფლებით მენშევიკური მთავრობა ფართოდ სარგებლობდა. მავალითად, 1919 წლის ოქტომბერში დადებული ხელშეკრულებით 50.000 ფუნთი თამბაქო უცხოეთში გასატანად გადაეცა „საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებას“, რომლის თავმჯდომარე და მთავარი აქციონერი ცნობილი კაპიტალისტი ა. ზოშტარია იყო⁴. ასევე გადაეცა თამბაქო სარეალიზაციოდ ინგლისური სააქციო საზოგადოება „კოსპოსს“, მაგრამ ეს ფირმა თურმე გაკოტრებულა და მისი ვალდებულებების ასანაზღაურებლად მენშევიკების მთავრობის კეთნაწილი თამბაქოსათვისაც უკვალა დაუდევთ⁵.

ამრიგად, მენშევიკური მთავრობა მონოპოლიზებული საქონლის რეალიზაციას ისევ კაპიტალისტების ხელით აწარმოებდა, რაც ცხადია, ამ უკანასკნელთ ცოტა შოგებას არ მისცემდა. მიუხედავად ამისა, მრეწველები და ექსპორტიორები მაინც ცდილობდნენ ჩაეშალათ სახელმწიფო მონოპოლიის შემოღების ცდები. მათ უფრო ხელს აძლევდათ საექსპორტო საქონლით შეუზღუდავი სპეკულაცია. ვაჭარ-ექსპორტიორთა იერიში მთავრობის ღონისძიებებზე იმდენად ძლიერი იყო, რომ მან კერძო კაპიტალთან ურთიერთობაში ჩვეულებრივ თავდაპირველი მენშევიკური ცენტრალური ორგანო „ერთობაც“ კი აღაშფოთა. „ეს ნიშნავს დამოუკიდებლობით ვაჭრობას, ეს ნიშ-

ნავს იმ მუხანათობას, რომელსაც ყოველთვის მოველოდით ჩვენ მაღალი კლასებისაგან“ — გაბრაზებით წერს ვახუთი. 1919 წლის 30 ოქტომბრის მეთაურში და, თითქმის ახალი სამ აღმომანათო, განაგრძობს: „კაპიტალს არა აქვს წინადათა წინადა... იგი ყველაფერს სასწორზე წონის, ფულით ზომავს, და ჩვენი ახლათ ფეხ-ადგმული ბურჟუაზიაც სისწორით და უტყუარათ მისდევს თავისი ევროპელი წინააგრების ტრადიციებს... სახელმწიფო მუერნების დაკუმპა, მისი ფინანსიურ-ეკონომიურა გაკოტრების მოლოდინი მას ოდნავათაც არ აფიქრებს...“

მაგრამ „დემოკრატიული“ ჩესნუბლიკის ბიუჯეტს მონოპოლიზებამაც ვერ უშველა. თუ 1918 წლის ბიუჯეტი 260-მილიონიანი დედფიციტით დამთავრდა, მიმდინარე წელს დეფიციტი 800 მილიონს მიაღწევს — აღნიშნავდა 1919 წლის ბოლოს პარლამენტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე I. მდგომარეობა არც 1920 წელს გაუმჯობესებულა. „ჩვენი ბიუჯეტი ისე მირბის მაღლა, რომ... თუ ასე ვიარებთ, ვერავითარი სესხი ვერ გამოასწორებს ჩვენს ფინანსებს“⁶ — ატყობინებდა 1920 წლის განაჯებულზე პირად წერილში ნ. კორდანიას თავის ფინანსთა მინისტრს, რომელიც იმ დროს ლონდონში იყო და ინგლისელი კაპიტალისტებისაგან სესხის მიღებას ცდილობდა.

ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ნგრევის სწრაფად მიმდინარე პროცესი და მის შესაჩერებლად მიღებული ზომების უშედეგობა აიძულებდა მენშევიკური საქართველოს მესვეურებსა და ეკონომისტებს მუდამ ეკონომიურ კატასტროფაზე ეფიქრათ. ჩვენს მიერ უკვე დასახლებულ მოხსენებით ბარათში ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი დ. აფხაზი წერდა: „ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების მოკლებულა მიუღლომელ დაკვირვებას მივყავართ გარდუღელ დასკვნამდე: სახელმწიფოს ეკონომიური ორგანიზმი ძირფესვიანად შერყველია, საშობლოს სამეურნეო მდგომარეობა ახლთა კატასტროფასთან, რომელსაც შეუძლია მისასოს... თვით დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა“.

იღარ გამოუვლდებოთ მსგავს წინასწარმეტყველებათა სხვა ავტორებს. დავიძოვებთ მხოლოდ ერთ მათგანს, რომლის კომპარტენტრობა ამ შემთხვევაში უთუოდ ექვს გარყვება. „ამ რამოდენიმე წლის წინათ, — განაცხადა ნ. კორდანიამ ეკონომიურ თათბირზე 1920 წლის ოქტომბერში, — ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიური მხრივ კატასტროფისაგან მივისწრაფით... დღეს ეს სიტყვა უკვე გამართლებულია: დღეს თვითველი ჩვენიგანი გრძნობს, თვი-

¹ ორცხა, ფონდი 417, საქმე 64, ფ. 29

² აბრევიატურა რუსული სახელმწიფოებიდან: «Читурское экспортное марганцевое общество».

³ ორცხა, ფონდი 81, საქმე 1303, ფ. 92.

⁴ ორცხა, ფონდი 48, საქმე 205, ფ. 2.

⁵ ორცხა, ფონდი 81, საქმე 617, ფ. 57.

¹ ორცხა, ფონდი 48, საქმე 25, ფ. 8

² ორცხა, ფონდი 81, საქმე 444, ფ. 1.

თელი მწვავეთ განიცდის, რომ ჩვენ არა თუ მიუღიარო კარასტროფისაკენ, — ჩვენ უკვე მივედით იქამდე¹.

2. „სოციალისტი“ კლასიზმი ბურჟუაზიული საზოგადოების მწინებლობაზე

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რეაქციის წლებში ქართველი მენშევიკები ქადაგებდნენ: რუსეთში რევოლუციის გამარჯვების ერთადერთი საწინდარი ბურჟუაზიისა და პარლუტარიატის ძალზე შეერთება არის. ეს „ბრძანული“ დასკვნა გამოიტანეს მათ 1905—1907 წლების რევოლუციური მოძრაობის გაყვითლებიდან. მაშინ ისინი მოითხოვდნენ მომავალი რევოლუციის შედეგად ძალაუფლება გადასცემოდა „ზომიერი ბურჟუაზიის“ წარმომადგენლებს. მაგრამ რუსეთის რევოლუციის მიმდინარეობამ ყურაზე დააყენა მენშევიკური თეორიები. თებერდის ბურჟუაზიულ რევოლუციას მოჰყვა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც საბოლოოდ დაამხო როგორც მსხვილი კაპიტალის, ისე მენშევიკებისათვის სანატრელი „საშუალო კლასის“, „ზომიერი ბურჟუაზიის“ ბატონობა.

საქართველოს და ამიერკავკასიის მეშათა კლასმა მთელი რიგი ისტორიული მიზეზების გამო მაშინ ვერ შესძლო სოციალისტური რევოლუციის დროს ძლევამოსილად აღეშრათა და საბჭოთა წყობილება დამყარებინა. ამით ისარგებლეს ქართველმა მენშევიკებმა და ხელეუფლების სათავეში მოექცნენ. წინააღმდეგ თავიანთი ძველი ტაქტიკური შეხედულებებისა, ახლა მათ უკვე აღარ ისურვეს „ზომიერი ბურჟუაზიის“ პირდაპირი წარმომადგენლებისათვის სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემა და თვითონ საამოყენებით იყისრეს ამ უკანასკნელთა როლის შესრულება.

თუ ტაქტიკის საკითხებში ქართველი მენშევიკები კიდევ ასეთ ამოქნილობას² იჩენდნენ, სმაგეროდ თეორიაში ისინი უიმედო დოგმატიკოსებად დარჩნენ. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგაც ქართული მენშევიზმის ბელადები კვლავ დაჟინებით იმეორებდნენ და იცავდნენ თავის ძველ კონცეფციას რუსეთის რევოლუციის ხასიათის საკითხში. ამით ისინი აღსატრუებდნენ, რომ მათი „თეორია“ შიშველი აბსტრაქციებიდან მომდინარეობდა და მას ცოცხალ ისტორიულ პროცესთან სეერთა არაფერი ჰქონდა. მეორე მხრით, ასეთ თვალსაზრისზე დგომა ქართველ მენშევიკებს ესაპირებოდათ წმინდა პრაქტიკული მოსაზრებით — ახალგაზრდა საბჭოთა

მევენიის წინააღმდეგ მათი მუხანათური ბრძოლის გასამართლებლად.

„ჩვენ ვფიქრობთ, — ამბობდა **ს. კარსენული** ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე 1918 წლის 15 თებერვალს, — რომ დღევანდელი რევოლუცია არც თავისი შინაგანი ძალებით, არც პოლიტიკური მიზნებით არ შორდება არსებული ბურჟუაზიული წყობილების ჩარჩოებს და ბურჟუაზიული მეურნეობის საფუძველს არ ეხება... ჩვენ, მენშევიკები, თავიდან ვფიქრობდით და ახლაც ვფიქრობთ, რომ ჩვენს რევოლუციას შედეგად არ მოჰყვება შრომის კაპიტალის გავლენიდან საბოლოო განთავისუფლება³. უნდა ითქვას, რომ ქართველ მენშევიკებს საქართველოში მათი ხანმოკლე ბატონობის განმავლობაში ამ დებულებისათვის არ უღალატნათ. ისინი ყოველი საშუალებით ამშობდნენ ქვეყნის შიგნით საბჭოურად განწყობილი მუშებისა და გლეხების მოძრაობას, რომელსაც საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ. ისინი უკავშირდებოდნენ თეთრგვარიელებსა და უცხოელ ოკუპანტებს მტრებით გარშემორტყმულ საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში. ამ გზით ცდილობდნენ ისინი რევოლუცია საქართველოს ტერიტორიაზე ისე წარეშრათ, რომ იგი „არსებული ბურჟუაზიული წყობილების ჩარჩოებს არ გამოტეხოდა და ბურჟუაზიული მეურნეობის საფუძველს არ შეხებოდა“. ნ. ყორდანიამ აცხადებდა: „ჩვენ საქართველოს ფარგლებში ვაგრძელებთ ბრძოლას თებერდის რევოლუციისათვისო“⁴.

ასეთი იყო მაშინდელ საქართველოში მმართველი მენშევიკური პარტიის პრაქტიკული საქმიანობის მთავარი პოლიტიკური წინამძღვარი. მაგრამ მუშათა კლასი ხედავდა, რომ ახლადმოხილი „დემოკრატიული“ რესპუბლიკა ბურჟუაზიის რესპუბლიკად რჩებოდა, წარმოების ნიეთიერი პირობების პატრონი ისევ ბურჟუაზია იყო, ხოლო მუშა ისევ ექსპლოატაციის საგანს წარმოადგენდა. ამავე დროს მენშევიკები თავისთავს სოციალისტებად, კიდევ მეტი — მარქსიზმის მიმდგრებელ ასაღებდნენ. მწელი იყო მათს სახელწოდებასა და საქმეებს შორის ამ აშკარა წინააღმდეგობის ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებლად ახსნა. და ამ მენშევიკთ თეორეტიკოსები და პუბლიცისტები ტუვში ძვრბოდნენ, რათა როგორმე დაესაბუთებინათ მათი პარტიის მიერ აღებული პოლიტიკური კურსის სისწორე და აუცილებლობა. „ჩვენში... ბურჟუაზიული წყობილებისათვის ბურჟუაზიის ძალეში ჯერ არ გამაგრებულან, — ვკითხულობთ ვახუთ „ერთობის“ 1918 წლის 1 ივნისის

1 „ერთობა“ № 40, 1918.

2 Н. Жордания, За два года. Тб., 1919, стр. 177.

მეთაურ წერტილი. — მაშასადამე, თვით იმ საფეხურსაც, რომელზედაც შედგებით, შესაფერი საკეთარი პატრონი არა ჰყავს. და, ცხადია, სანამ ეს პატრონი, ეს ბურჟუაზიული დემოკრატია გამოჩნდებოდეს, გამავრდებოდეს და თავის საქმეს თავის ხელში იღებდეს, მუშათა კლასს და მის პარტიას (ასე უწოდებდნენ თავის თავს ქართველი მენშევიკები) იტარებელი ენერჯია დაეხარჯებოდა მათი (!) როლის ასრულებას. მაშასადამე, საქართველოში ბურჟუაზია ჯერ არ გამოვრდებულა, ბურჟუაზიულ წყობილებას საკეთარი პატრონი არა ჰყავს, ამიტომაც მას „სოციალისტებმა“, მენშევიკებმა უნდა უპატრონონ და პატრონიც გაუხარდონ!

მაგრამ სოციალიზმი? მენშევიკებს ხომ ფორმალურად უარი არ უთქვამთ მის განხორციელებას? „სოციალიზმი ხომ მარტო სურვილებით არ ხსორციელდება, — განავრდობს „ერთობა“. — იგი შედეგად მოჰყვება ბურჟუაზიის მიერ თავისი ძალების ამოწურვას. ჩვენს ბურჟუაზიას კი არა თუ არ ამოწურვია, — ჯერ არც კი დაუწყია სერიოზულად თავისი ძალების ხარჯვა. მისი მუშაობა მამაკვლია. და მუშათა კლასის დღევანდელ მამუშევარზე იგი მოვა და თავის ბატონობის აგებას დაიწყებს. მაშინ ჩვენ, მუშათა პარტიას, ხელახლა დაგვირდება ისევ სოციალისტური პოლიტიკის სავსებით დაქვრია და ოპოზიციის გაწევა სოციალიზმისაკენ სიარული“¹.

ქართველი მენშევიკების ცენტრალური ორგანო სისტემატურად ეწეოდა სოციალიზმზე ამ უაღბო შეხედულების პროპაგანდას. ორი წლის შემდეგ, 1920 წლის 6 ივლისის მოწინავეში ის, მავალითად, წერდა: „მარქსისტული აზრი სოციალიზმის განხორციელების პირობებზე ვარკვეულია: ამ პირობებს შეადგენს: საწარმოო ძალთა განვითარების უმაღლესი კერტილამდე ასედა, როცა იგი აღარ ეტყევა ყვერძო საკუთრების ფარგლებში და მისი გაუქმების მოთხოვნილებას აყენებს“...

ამ ამონაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენი მენშევიკები თავის საქმიანობას საფუძვლად უდებდნენ, კ. კაუტსკის ყბადაღებულ „წარმოებითი ძალების“ თეორიას. აზრითარი ბრძოლა სოციალიზმისათვის! იგი თვითდინებით მოჰყვება „ბურჟუაზიის მიერ თავისი ძალების ამოწურვას“ ვ. ი. ბურჟუაზიული საზოგადოების წარმოებითი ძალების უმაღლეს დონემდე განვითარებას, ამიტომ მუშათა კლასმა უნდა მოუწადოს ნიდავგი ქართულ ბურჟუაზიას „მისი ბატონობის ასაგებად“. შემდეგ კი, როცა მენშევიკების „მეცადინეობით“ ბურჟუაზია იმდენად მოღონიერდება, რომ ბატონობას შესძლებს, ეს ვაისოციალისტები ისევ დაუბრუნდებიან მიტო-

ვებულ სოციალისტურ პოლიტიკას და მათივე ხელთ შექმნილი ბატონისაფუძვლიერების გაწევის სოციალიზმისაკენ გაეშვებოდნენ. ერთადერთი უდავო დასკვნა, რომელიც მოვლი ამ მსჯელობიდან შეიძლება გამოვიტანოთ, ეს ის არის, რომ ქართველი მენშევიკები მთავარ ამოცანად ისახავდნენ ჯერ კიდევ სუსტი ნაციონალური ბურჟუაზიის გაძლიერებას და გაბატონებას. ამისათვის იყენებდნენ ისინი სახელმწიფოს მოვლ ძალებს. ამასვე ემსახურებოდა სოციალიზმის განუხანგრელი დროით გაძაღების მათ მიერ დახუპირებული „თეორია“.

საგულისხმოა, რომ საქართველოს მენშევიკურ პარტიას სათაქლოდაც არ მიაჩნდა ბურჟუაზიის მსახურის როლის შესრულება. „ეკვი არ არის, რომ ყველა სახელმწიფო ბურჟუაზიულ საზოგადოებას ფარგლებში, — აცხადებდა ვ. ერდანი, — ასეა თუ ისე, ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს. ამას ევრასვით თავს ვერ დააღწევს საქართველოს სახელმწიფო. ამისათვის თავის დაღწევა — ეს უტოპიაა და ამიტომ ჩვენ ამას სრულად არ ევდილობთ“¹.

მაგრამ მენშევიკებს ამიმებდათ ახლა წარსულის ერთი ტვითი, რომლის ხელისკვრა და მოშორება უხდად არ შეიძლებოდა. ეს იყო ვგრეთ წოდებული „მენიკიპალური სოციალიზმის“ იდეა. ქართული მენშევიკების პარტიატკნი. ეორდანი ჯერ კიდევ რსდმმ IV (გამაერთიანებულ) ყრილობაზე ეწეოდა ამ იდეის პოპულარიზაციას. მენშევიკები იზარებდნენ იმ აზრს, რომ კაპიტალიზმის პირობებში შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობების მეშვეობით ვატარდეს სამეურნეო ღონისძიებები მშრომელთა კეთილდღეობის ასამაღლებლად — მოეწყოს სხვადასხვაჯარი სამრეწველო და კომუნალური საწარმოები, რომელთა მოვება მთელი მოსახლეობის განკარგულებაში იქნება და სხვ. მარქსიზმის კლასიკოსებმა (ფ. ენგელსი, ვ. ი. ლენინი) ამხილეს „მენიკიპალიზატორული“ მისწრაფებები როგორც უეადურესი ოპორტუნიზმის გამოხატულება, როგორც „სოციალიზმის ნაწილობრივად განხორციელების მეშანური, რეაქციული უტოპია“².

ხელისუფლების სათავეში მოხვედრილმა ქართველმა მენშევიკებმა ვადაწევერეს ზორცი შეესხათ ამ იდეისათვის. ხელუბლებლად დატოვებული კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში მათ მენიკიპალური მრეწველობის განვითარება, კერძო ინოციტრევისათვის მზარდაქვრასთან ერთად, სამეურნეო ქაოსიდან გამოსვლის გზად დასახეს. „ჩვენთვის, რასაკვირვე-

¹ „ერთობა“ № 184, 1918.

² იხ. ვ. ი. ლენინი; თხზულებანი, ტ. 13, გვ. 447.

³ იქვე, გვ. 449.

ლა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ, შეერთებულ მოღვაწეობას... როგორც არის ქალაქის თვითმმართველობები, ერთებები, კომპარტიუგები და სხვ. მაგრამ არანაყოლები მნიშვნელობა აქვს კერძო ინიციატივას, სადაც და ვისშიც კი ასეთ ინიციატივას დაეინახავთ, ჩვენ მხოლოდ ხელისშემწყობი ვიქნებით მისა — სთქვა დამფუძნებელ კრებაში მენშევიკების ერთ-ერთმა მსუვეერმა რ. არსენიმ¹ 1919 წლის მარტში 1.

შემდგომში მენშევიკური პარტიის წარმომადგენლები განაგრძობდნენ „სოციალიზმის ნაწილობრივად განხორციელების ამ შემხანერი უტოპიის“ პროპაგანდას, მაგრამ ისე კი, რომ კერძო კაპიტალი არ დაეფრთხიოთ.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათავებდებულა კერძო კაპიტალი მთავრობის რამელიმე ღონისძიებაზე იერიშს მიიტანდა, მენშევიკური პრესა წინა პლანზე თვითმმართველობებისა და ერთებების მრეწველობას წამოაყენებდა. როდესაც კერძო ექსპორტიორებმა ზოგიერთ საექსპორტო საქონელზე დამწებული სახელმწიფო მონოპოლიის ჩაშლა მოინდომეს, „ერთობა“² წერდა: „შეარე სინამდვილე დავკომიტეოა რომ იმ საშინლად ვარჯიშო და გათახსირებულ ხანაში, როდესაც ყოველი ეპყარი თავის ფულზე ცდილობს ხუთას და ათას პროცენტის აღებას სპეკულაციის მეშობით, კერძო ინიციატივაზე იმედების დამყარება ყოველად შეუძლებელია“. ვახუთი მოითხოვდა, მთელი ურადლება მიქცეოდა მუნიციპალური მრეწველობის განვითარებას: ქალაქთა თვითმმართველობები, ერთებები უნდა შეუდგნენ წარმოების მოწყობას, მთავრობამ კი მათ უნდა მისცეს კრედიტი და სხვა დახმარება აღმოუჩინოს³.

იყო კიდევ შემთხვევა, როდესაც „ერთობა“ უფრო გაბედულადაც გამოესარჩლა „საზოგადოებრივ“ წარმოებას. „...ჩვენმა მთავრობამ... აიღო ვარკვეული კერძო: ესაა საზოგადოებრივი მუერნოების უპირატესობა კერძოსთან“. ირწმენებოდა ვახუთი 1920 წლის 26 აგვისტოს მეთაურში. მაგრამ ოქტომბერში იგი უკვე მოითხოვდა, „წარმოების ორივე ფორმა, როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო, უნდა ჩავენებულ იქნას თანასწორ პირობებშიო“⁴.

მუნიციპალური მრეწველობისაგან ბევრი არადერი გამოვიდა. ქალაქთა თვითმმართველობები და ერთებები ხშირად ისეთ წამოწყებებს ჰკიდებდნენ ხელს, რომელთა მოსაწყობად მათ საშუალებები არ გააჩნდათ. ბოლოს მთავრობა იძულებული გახდა აეკრძალა მასთან წინასწარი

შეთთანხმებლად რაიმე მუნიციპალური საქარმოს დაარსება.

მარცხით დამთავრდა აგრეთვე სახელმწიფო უწყებების ხაზით ზოგიერთი საქარმოს ექსპლოატაციის ცდები. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, ნავთის სარეწოებს. თვით ტუიბულის მაღაროების ექსპლოატაციაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს ზარალს აძლევდა. მენშევიკური რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგინაიშვილი 1919 წლის დეკემბერში ამის გამო მთავრობას სწერდა: „...საკოთახი ტუიბულის მაღაროების ექსპლოატაციისა განხილულ იქნა საუწყებათაშორისო კომისიის სხდომებზე... და კონტროლი უფრთდება იმ გამოთქმებულ აზრს... რომ მაღაროების ექსპლოატაცია არ უნდა დარჩეს სახაზინო უწყების ხელში და რომ უფრო ხელსაყრელია განსაზღვრული პირობით მაღაროების კერძო პირთაღვის გადაცემა საექსპლოატაციოდ“⁵.

ამრიგად, ქართული მენშევიკებისათვის წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელი კაპიტალისტური მუერნოების ვითარებაში საზოგადოებრივმა წარმოებამ მოხალღნელი შედეგი ვერ მოიტანა. მენშევიკური საქართველოს შინაგანი ეკონომიური ძალებიდან შედარებით უფრო ღონიერი აღმოჩნდა კერძო კაპიტალი. მის ხელში იყო არა მარტო სპეკულანტური ვაჭრობა, არამედ ძირითადად მრეწველობის ის დარგებიც, რომლებიც, თუმცა დამარკოლებებით, მაგრამ მაინც ასე თუ ისე მოქმედებდა.

საქმის ამგვარი მსვლელობა არ ეწინააღმდეგებოდა მენშევიკური მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის საერთო ხაზს. მუნიციპალური მრეწველობის განვითარებაზე ერთგვარი ზრუნვით მენშევიკები ხარკს უხდებდნენ თავიანთ ძველ ვითომდა სოციალისტურ ილუზიებს. თავის „ისტორიულ“ ამოცანად კი, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ისინი თვლიდნენ საქართველოში კაპიტალიზმის „უმილღუს წერტილამდე განვითარებას“. ცხადია, კაპიტალიზმი კერძო კაპიტალის ზრდის ვარკვე ვერ განვითარდებოდა. ამიტომაც მენშევიკური მთავრობისა და პარტიის მსუვეერები სიტყვით და საქმით მხარს უჭერდნენ „კერძო ინიციატივას“, კერძო-კაპიტალისტური სავაჭრო და სხვ. საქარმოების შემქმნასა და წინსვლას. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ამის დამადასტურებელი ზოგიერთი საბუთი. შევჩერდებით კიდევ რამდენიმე მათგანზე

ცნობილი მენშევიკი ი. ირემაშვილი, რომელიც მენშევიკურ პრესაში ბევრს წერდა ეკონომიური საკითხებზე, მოითხოვდა „დემოკრატიისაგან“—„ყოველწარმად ხელი შეუწყოს მთავრობას, რათა მან შეიძლოს... ერთნეღლი კაპი-

1 „ერთობა“ № 68, 1919.
 2 „ერთობა“ № 253, 1919.
 3 „ერთობა“ № 231, 1920.

1 „ერთობა“ № 25, 1921.
 2 ორცხა, ფონდი 48, საქმე 427, ფ. 3:

ტლის წარმოშობა“. შემდეგ ირმაველი კონკრეტულ წინადადებებსაც იძლეოდა ამ ამოცანის განსახორციელებლად: „სამრეწველო კაპიტალის გასაძლიერებლად, — წერდა ის, — შეიძლება გამოყენებულ იქნეს საშუალო შემოსულების დემოკრატია და ის თითო-ორილა ვაჭარ-მრეწველები, რომლებიც მოგვეპოვებინ. ამითავე მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობების, საქაიონერო საზოგადოებების შექმნას, რომლებიც შემდეგ მსხვილ ეროვნულ კაპიტალსაც წარმოშობენ“¹.

ეორდანიას მთავრობის დეკლარაციაში, რომელიც დამფუძნებელი კრების 1919 წლის 21 მარტის სხდომაზე გამოქვეყნდა, ვკითხულობთ: „მთავრობა შეეცდება ფართო ასპარეზზე გაუხსნას კერძო ინიციატივის როგორც წარმოების, ისე აღებ-მცემობის სფეროში“².

იმავე სხდომაზე რ. არსენიძემ განაცხადა: „როგორ შეიძლება მთავრობას დავავალოთ მთელი ქვეყნის აღორძინება? შეგონი, რომ ეს უნდა დაევალოს იმას, ვის ხელშიც არის ქონებრივი და ეკონომიური შესაძლებლობა ამ განვითარებისა...“³.

მოყვანილი ამონაწერები დამატებით სინათლეს ღეენენ მენშევიკური პარტიის და მთავრობის ეკთილენწეობილ დამოკიდებულებას ეროვნული კერძო კაპიტალის მიმართ. ეს პოლიტიკა არ იყო კონსერვტიული ნაკარნახევი, არამედ მენშევიკების პრინციპული შეხედულებებიდან გამომდინარეობდა.

სამეურნეო ცხოვრების მიმართ ხელმძღვანელობის კერძო კაპიტალისათვის გადაცემას დაყენებით ურჩევდნენ მენშევიკურ მთავრობას მისი ეკონომიური კონსულტანტებიც. ბერკუაზისი პირდაპირი წარმომადგენლები. ჩვენ ზემოთ შეეხეთ დ. აფხაზის მოხსენებით ბარათს. შეიძლება ითქვას, რომ ეს დოკუმენტი აღმავალი ქართული ბერკუაზისის ნამდვილი ულტიმატუმი მენშევიკური მთავრობისადმი. ამასთან აფხაზის პირით ლაბარაკობენ არა აზარტული სექულაციის გმირები, არამედ ქართველ ვაჭარ-მრეწველთა და ფინანსისტთა სერაიოზული წარმომადგენლები, რომლებიც ისწრაფოდნენ ზანგრადივი დროით დამყვიდრებინათ ბერკუაზისის ბატონობა საქართველოში. ჩვენ შემდგომშიც არაერთხელ დავუბრუნდებით ამ საკულისსმო დოკუმენტს.

აფხაზს კიდევ არ აკმაყოფილებს მენშევიკური მთავრობის ღონისძიებები კაპიტალიზმის განსამტკიცებლად. „ჩვენ ზოგადად ვაღიარეთ კაპიტალისტური სამეურნეო წყობილება, მაგრამ კერძოდ სრულებითაც ანგარიშს არ ვუწევთ მის კანონებს და სტიმულებს — წერს იგი

თავის მოხსენებით ბარათში და შემდეგ ასეთ განმარტებებსა და რჩევას აძლევს მენშევიკურ მთავრობას:

„საქართველოში ბატონობს კაპიტალისტური წარმოების წესი და ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ პირობებში თვითონ სახელმწიფოს... ძალღონეს აღემატება საკუთარი მეურნეობის წარმოება და ეს საქმე კერძო ინიციატივას უნდა მიენდოს.

...დღევანდელ პირობებში სახელმწიფოს არ შეუძლია არც ერთ დარგში კონკრეტული გაუწიოს ჯანსაღ კერძო ინიციატივას“.

აფხაზი არ იწონებს მთავრობის უშუალო ნიბიჯებს საგარეო ვაჭრობაშიც. „ჩვენ ვფიქრობთ, — ამბობს ის, — ეს საქმე გადაცემულ უნდა იქნეს იმათ ხელში, ვინც მას იცნობს და შეუძლია იგი ყოიარაიანად შეასრულოს“.

აფხაზი ჩამოთვლის მთელ რიგ, მისი აზრით, ატილებულ ზომებს კერძო მრეწველობის სტიმულირებისათვის და განსაკუთრებით ჩერდება შრომის ინტენსივობისა და დისციპლინის აღდგენის საკითხებზე. შრომის ინტენსივობის, ე. ი. მუშათა ექსპლოატაციის ზარისხის ამაღლება-თარა მიანია მთავარ ამოცანად ქრთველ მრეწველთა სწავლულ ადვოკატს. „ხელფასი ყველა პირობებში შრომის მწარმოებლურობის ფუნქცია უნდა იყოს“ — წერს ის და ილაშქრებს რევოლუციის მონაპოვართა ჯერ კიდევ შეუმორჩენილი ნაშთების წინააღმდეგ შრომის დაღვის დარგში. „ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ პროფკავშირული ორგანიზაციების ჩარევა წარმოების სამეურნეო პროცესში იწვევს ამ უკანასკნელის დემორალიზაციას. ეს მოელნა უნდა აღმოიფხვრას — ეკითხულობთ მოხსენებით ბარათში. სამაგიეროდ, აფხაზის აზრით, პროფკავშირებმა კერძოკაპიტალისტურ საწარმოებში უნდა აწარმოონ „ქვეყნის წარმოებითი ძალუბის განვითარებისა“ და „ლიბერულებათა დაუღალავად შექმნის“ ფართო პროპაგანდა¹.

ასე ეწყოდნენ ნაციონალური ბერკუაზისი იდეოლოგიები მენშევიკურ მთავრობას კერძო კაპიტალისათვის სასარგებლო ნიბიჯებისაკენ, თუმცა ის ამ მიმართულებით, როგორც უკვე ვნახეთ, ზიჯის მიცემას არ სავიროებდა.

ასეთი იყო ქართველი მენშევიკების თეორიული მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად ედო მათს ბრძოლას საქართველოში წარმოების კაპიტალისტური წესის ხელუხლებლად შენარჩუნებისათვის. ასეთი იყო ის პრაქტიკული საქმიანობა, რომელსაც ისინი უკვე შეუდგნენ ამ ნიადაგზე ქართული კაპიტალიზმის მტკიცე შენობის ასაგებად.

საქმის ამგვარი შემობრუნება ყველასათვის გასაგები არ იყო თვით მენშევიკური პარტიის

¹ „ერთობა“ № 43, 1919.

² „ერთობა“ № 65, 1919.

³ „ერთობა“ № 68, 1919.

¹ ორქსა, ფონდი 24, საქმე 118, ფ. 4, 11, 12, 17, 18, 23.

შეგნითაც. მთავრობის პრაქტიკა აშკარად ეწინააღმდეგებოდა პარტიის მესვეურთა ძველ რევოლუციურ ფრაზებს. მენშევიკი ბუბლიცისტიები ბევრს წერდნენ ამ წინააღმდეგობის მიხედვით. ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებული ი. ირემავილი, მაგალითად, აღიარებდა, რომ მათს პარტიას „მუუფრებელი კალბოზობა დაეკისრა“, მაგრამ ამის აუცილებლობას იგი „კაპიტალიზმის გარდუვალი კანონების“ მოქმედებით ასახულებდა¹.

ზოგიერთი მენშევიკი ლოგიკურ დასკვნას აკეთებდა პარტიის საქმიანობის ანტისოციალისტური ხასიათიდან და მისი სახელის შეკვლასაც კი მოითხოვდა. ასეთი მენშევიკების აზრს ვამოხატავდა დედუგატ კლამაშვილის შემდეგი განცხადება საქართველოს რსდმპ მე-2 ყრილობაზე 1920 წლის ივნისში: „ჩვენ მთავარი ყუარღლება ეკონომიკას უნდა მივაქციოთ, ეს კი არ უწყობს ზელს სოციალისტურ აღმშენებლობის დაწყებას. ჩვენ უნდა აშკარად ვანვიხადოთ, რომ დროებით ხალხური, დემოკრატიული პარტია ვართ“².

მაგრამ ასე მენშევიკური პარტიის მხოლოდ ცალკეული გულბრწყინი წევრები მსჯელობდნენ. პართიული მენშევიზმის მრავლისმნიშვნელო მესვეურები კი, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, უზგობესად თვლიდნენ კაპიტალიზმის განმტკიცების საქმე მათს პარტიას „სოციალისტურის“, მარქსისტულის“ ფირნიშით ეცუთებინა.

3. „ნაციონალური“ კაპიტალის გამოცოცხლება და თავმოყრა

საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნას და მენშევიკური მთავრობის მიერ კერძო ინიციატივისათვის ზელშეწყობის პოლიტიკის გამოცხადებას შედეგად მოჰყვა ნაციონალური კაპიტალის გამოცოცხლება, მისი აქტივობის ზრდა. უსაქონლობისა და მეურნეობის მოშლილობის ვითარებაში ეს აქტივობა უშთაერესად სპეკულაციისა და საეკუო ფინანსური ოპერაციების წარმოების გზით წარიმართა. ახალმოცულენი კომერსანტებსა და ფინანსისტებს სწრაფი გამდიდრების წურვილი ამოძრავებდათ. მრეწველობაში კაპიტალის დაბანდება მაშინდელი ეკონომიური სიძნელეების გამო ამის პერსპექტივას არ იძლეოდა. ამიტომაც ისინი კაპიტალის მოთავსების ისეთ ფორმებს ეძებდნენ, რომლებიც მათ მოკლე დროში დიდ გამორჩენას აღუთქვამდა.

სპეკულაციის აყვავებისა და ინფლაციის პირობებში ყველაზე სარფიან საქმედ ფულოთ ვაჭრობა იქნა მიჩნეული. მთელი საქართველოს ვაჭრულ-ფინანსური წრეები 1919—1920 წლებში ევრეთ წოდებულმა „ბანკობის“ ციებ-

ცხელებამ აიტანა. მენშევიკური ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრის განცხადებით საქმეებიდან ირკვევა, რომ მენშევიკების დაარსდა: აბაშის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი, სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკი ახალსენაკში, ოზურგეთის კომერციული ბანკი, კიანთრის ბანკი, ქიზიყ-კახეთის სავაჭრო-სამრეწველო და სსოფლო-სამეურნეო ბანკი (ქიზიყ-ბანკი) I.

ახლად დაარსებული ბანკების ეს სია, რააკვირველია, სრული არ არის. უეჭველია, აშვა რაიონებსა და ქალაქებშიაც არ იქნებოდა ისეთი საქმიანობის ნაკლებობა, რომელიც ბანკების დასფუძნებელთა სარფიან რიგში გამოვიდოდნენ. და მართლაც რომელიმე მაშინდელი გაზეთის კომპლექტის ერთი თეალისგადაღლება საკმარისი, რომ ამ ვარაუდის სისწორეში დარწმუნდე.

მენშევიკური საქართველოში ახლად დაარსებული ამიერკავკასიის ბანკის, საქართველოს კომერციული ბანკის, „ცენტრობანკის“ ევრადით შეუფერხებლად განაგრძობდნენ მუშაობას რევოლუციამდე არსებული ბანკები: კავკასიის ბანკი, დონისა და აზოვის კომერციული ბანკი, ვოლგა-კამის კომერციული ბანკი და სხვ. აქ მოქმედებდნენ აგრეთვე-ევროპა-კავკასიის სავაჭრო ბანკი, იტალია-კავკასიის განაღლებული ბანკი, მთელი რიგი სხვა უცხოური ბანკების სააგენტოები. ცხადია, ამ მსხვილი საბანკო დაწესებულებების მოქმედების ზონაში ღანხხეთის თუ აბაშის ახლადმოცულენილი კომერციული ბანკი თავისი 2-3 მილიონიანი ძირითადი კაპიტალით შესამჩნევ როლს ვერ ითამაშებდა. მაგრამ ისიც საკმარისი იყო, რომ ასეთი წვრილი ბანკების საშუალებით ბურჟუაზიის ადგილობრივი ჯგუფები ახერხებდნენ მოსახლეობის გაფანტული დაწაზოების კონცენტრაციას და ამით საგრანობლად ზრდიდნენ მათს განკარგულებაში არსებულ კაპიტალს. ბანკების დიდი რაოდენობა ამ ჯგუფების მეტ შესაძლებლობას აძლევდა აგრეთვე მტაცებლური საკრედიტო, ფინანსური და სავაჭრო ოპერაციების წარმოებისათვის. ამრიგად, ბანკების ფართოდ გაშლილი დასფუძნებლობა ნაციონალური ბურჟუაზიის რიცხოზრივი ზრდისა და ვაჭრების ერთ-ერთ მთავარ მანქნებელს წარმოადგენდა.

ნაციონალური კაპიტალი მრეწველობაშიც ახალ პოზიციებს იკურდა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მაშინდელი საქართველოს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგი — მარგანციის მრეწველობა. მთაწირის მარგანციის მოპოვება, რომელიც 1879 წლიდან დაიწყო, თავიდან პართველი წვრილი მრეწველების ზელში იყო. 1895 წელს ოფიციალურ-

¹ „ერთობა“ № 43, 1919.

² „ერთობა“ № 134, 1920.

რად გაიხსნა მოძრაობა შორაპნიდან კიათურამდე ახლად გაყვანილ ვიწროლიანდაგიან რკინიგზაზე და მსხვილმა კაპიტალმა ამის შემდეგ მიაპყრო ყურადღება ქართულ მარგანეცს. 900-იანი წლების განმავლობაში კიათურაში თანდათან მოიკიდეს ფეხი უცხოეთის კაპიტალისტურმა ფირმებმა¹. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებისათვის კი საქართველოს მარგანეცის მრეწველობაში უკვე უცხოეთის კაპიტალი ბატონობდა. თუმცა მადნის ამოღებას უმთავრესად კვლავ ადგილობრივი მრეწველები აწარმოებდნენ, მაგრამ მისი ექსპორტი მთლიანად უცხოელებმა მოიტაცეს². ამას კი ვადამწვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან კიათურის მარგანეცი „მხოლოდ და მხოლოდ საექსპორტოდ მიღობდა“³.

კიათურაში მოქმედი უცხოელი კაპიტალისტური გავრთიანებებიდან ყველაზე ძლიერები იყვნენ გერმანული ფირმები: „გელზენკირხენის სააქციო საზოგადოება“ და „კაეკსიის მადნეულის ამხანაგობა“. ეს გავრთიანებები „ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ (მარგანეცის) კიათურისა და თვით საზღვარგარეთის ბაზრისათვის სრული ბატონ-პატრონები ვახდნენ. მარგანეცის ბუღობიანი მიწების სოფრე, რომლებიც ამ ფირმებს ეკუთვნის, უდროს 580 დესეტინას ე. ი. კიათურის მარგანეციანი მიწების თითქმის ერთ მესამედს“... — ეკითხულობთ მარგანეცის მრეწველთა ყრილობის საბჭოს 1916 წლის 17 ოქტომბრის მიმართებაში მეფის ფინანსთა და ეპრობა-მრეწველობის მინისტრისადმი.⁴ ამავე დოკუმენტთან იკვებია, რომ ხსენებულ ორ ფირმას 1913 წელს საზღვარგარეთ გაუტანია 311,5 ათასი ტონა მარგანეცი, ანუ მთელი ექსპორტის დაახლოებით ერთი მესამედი.

მნიშვნელოვანი ადგილი კიათურის საბადოების ექსპლოატაციაში და განსაკუთრებით, მადნის გატანაში ეკავა აგრეთვე ფრანგულ ინგლისურ, ბერძნულ და ბერძნულ კაპიტალს. უცხოური ფირმები, ბერძნულის გამოკლებით, თითქმის ყველაზე მარგანეცის უშუალო მომხმარებლები იყვნენ. ამიტომაც მათ საზღვანავს შეადგენდა მარგანეცზე დაბალი შესასყიდ და სარეალიზაციო ფასების დაწესება. ისინი ამას კიდევაც ახერხებდნენ, რადგან მადნის ექსპორტის საქმეში მონაპოლიური მდგომარე-

ობა ეჭირათ. ასეთ ვითარებაში ადგილობრივი მრეწველები მთლიანად უცხოელებზე დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ და ქართული მრეწველის საბადოს ექსპლოატაციით მიღებულ შემოსავლის უდიდეს ნაწილსაც უცხოური კაპიტალი ითვისებდა⁵.

პირველი მსოფლიო ომის წლებში კიათურის მარგანეცის ექსპორტი შეწყდა და ამის გამო თითქმის მთლიანად შეჩერდა მისი ამოღება. 1919 წლის ფელისისათვის კიათურის და ფოთის რაიონებში ეწყო 950 ათას ტონაზე მეტი საქონლური მადანი⁶. საგულისხმოა, რომ ამ საერთო დაეცემულობის დროს მარგანეცის მრეწველობაში პირველი გამოცოცხლდა ქართული კაპიტალი. ახალ პირობებში მან იმდენი უნარი გამოიჩინა, რომ დასძლია თავისი დაქსაქსელობა, რაც წინათ დიდად უშლიდა ხელს უცხოურ კაპიტალთან კონკურენტულ ბრძოლაში. 1918 წლის სექტემბერში დაარსდა „კიათურის მარგანეცის მრეწველთა სააქციო საზოგადოება“, რომელმაც თავდაპირველად 150 მრეწველი გააერთიანა. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 30 მილიონ ოქროს მანეთს უდრიდა. როგორც ერთ-ერთი წყარო გვამცნობს, საზოგადოებამ „მოკლე ხანში გაარს შემოიკრიბა სამი მეთობედი ადგილობრივი ძალის, თანხის და მოწყობილობისა“.

კიათურაში მოქმედი 31 მადანსარეცხი ქარხნიდან 22 ქარხანა ქართულ ფირმებს და ცალკეულ ქართველ მრეწველებს ეკუთვნოდა.

1919 წლის დასასრულისათვის კიათურის მარგანეცის მრეწველობაში ქართული კაპიტალის ხვედრიწილი იმდენად მაღალი იყო, რომ მისათვის უცხოური კაპიტალს უკვე აღარ შეეძლო მეტოქეობის გაწევა⁷.

საქართველოში სესტდებოდა სომხური კაპიტალის პოზიციები და მის ადგილს, თუმცა ნელი ტემპით, მაგრამ მიიწე ქართული კაპიტალი იჭერდა. ამ პროცესს ხელს უწყობდა მენშევიერის მთავრობის ცალკეული ღონისძიებებიც. ასე, მაგალითად, მენშევიერმა მთავრობამ იძულებითი წესით გამოისყიდა ტყიბულის ნახშირის მღაროები მთელი დამხმარე მეურნეობით, რომლებიც ტყიბულის საითო-სამრეწველო საზოგადოება „ნახშირას“ ეკუთვნოდა⁸ ამ საზოგადოების ხელმძღვანელები და, მამასადაც, მთავარი აქციონერები კი

¹ იხ. ა. გაეაშვილი, „კიათურის მარგანეცის საბადოს ისტორიისათვის“ თბ. 1954, გვ. 9.

² იხ. დ. წყნეთელი, „შავი ჭვა“, თბ., 1930, გვ. 80.

³ П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, т. II, стр. 560—561.

⁴ საქართველოს სსრ კ. შარქის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა. ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკუმენტი 51-57.

⁵ ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. 21-23.

⁶ იქვე, დოკ. 21-16.

⁷ ნ. ნიკოლაძის არქივი, იხ. დოკუმენტები: 24-13, 21-16, 21-17, 21-20, აგრეთვე დ. წყნეთელის დასახელებული წიგნი, გვ. 80.

⁸ დამფუძნებელი კრების 1920 წ. 20 თებერვლის დეკრეტი (იხ. ვახუთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 16 47, 1920).

იყვნენ. გ. მ. მელიქ-კარაკოზოვი, დავით ზოგ-
დანიძე ავან-იუზუპა ხან საგნანსკი, ა. მ. მე-
ლიქ-პარიანი, ნ. გ. კალამაროვი, მ. გ. კარა-
ბეგოვი, ა. ი. სვილანოვი¹. ასევე იძულებით
ქნა გამოყვანილი თბილისში გ. გ. ადელხანო-
ვის საქციო საზოგადოების ცნობილი ქაზნა²
და არამიანციის მიერ სასტუმროს მოსაწყობად
აგებული შენობა (დღევანდელი სასტუმრო
„თბილისი“³).

ბურჟუაზიისათვის ნაციონალური სახელმწი-
ფო მძლავრი იარაღია სხვა ეროვნების კაპი-
ტალთან ბრძოლაში. ასეთი სახელმწიფოს ფარგ-
ლებში იგი მდგომარეობის ბატონ-პატრონია და
თვლისებს „საკუთარი“ ერის მშრომელთა მონო-
პოლიური ექსპლოატაციის უფლებას. ამიტომ
საქართველო „დაპოუცილებელი“ ბურჟუაზიუ-
ლი სახელმწიფოს შექმნას ინტერესით შეხე-
დნენ უცხო ქვეყნებში და რუსეთის ყოფილი
იმპერიის სხვა მხარეებში მოქმედი მცირერიც-
ხოვანი ქართველი კაპიტალისტებიც. მენშევი-
ური საქართველო მათ კაპიტალის გამოყენე-
ბის სასურველ და სარფიან ასპარეზად მიიჩ-
ნეეს. აქ გადმოიტანეს ნაწილობრივ თავისი
საქმიანობა, მავალითად, ბაქოელმა ნავთის
მრეწველებმა ი. დადიანმა და ნ. ჯაყელმა. „სამ-
შობლოში“ ფართო წარმოყვების ორგანიზა-
ციის მოპოვა ხელი, აგრეთვე კარგად ცნობილმა
კაპიტალისტმა ა. ხოშტარია. ეს უკანასკნელი
დამახასიათებელი ფიგურაა ქართული აღმავალი
ბურჟუაზიისათვის და მენშევიური საქართვე-
ლოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ზვენი-
ც რამდენიმე სიტყვით შევჩერდებით მის საქმიან-
ობაზე.

ა. ხოშტარიას საქართველოში წინათ ნაკლე-
ხად იცნობდნენ. მან თავისი საქმისწორი ოპე-
რაციების ობიექტად თავიდანვე ირანის ეკო-
ნომიკა იარჩია და პირველი მსოფლიო ომის
დასაწყისისათვის უკვე წამყვანი ადგილი დაი-
კავა ამ ქვეყანაში მოქმედ რუს კაპიტალისტთა
შორის, იმაზე, თუ რამდენად ფართო იყო ის
სამეურნეო და ფინანსური ოპერაციები, რომ-
ლებსაც ხოშტარია ირანში აწუბობდა, წარმოდ-
გნას იძლევა მის მიერ მაშინდელი სპარსეთის
მთავრობისთან დადებული საკონცესიო ხელ-
შეკრულება ნავთობის საბადოების დაზვერვისა
და ექსპლოატაციის შესახებ. ამერიკელი ეკო-
ნომისტი⁴ ლიდველ დენი წერს:

„1907 წელს სანტ-პეტერბურგის ხელშეკ-
რულების დადების დროს, რომლითაც შედის
და ინგლისის მთავრობებმა სპარსეთი გავლენის
ორ სფეროდ გაყვეს, რუსეთს პრივილეგირე-
ბული მდგომარეობა ეკავა ჩრდილო პროვინ-

ციებში. რუსმა მოქალაქემ აკაკო ხოშტარია
შეიღო მთავრობის დახმარებით 1916 წელს
მიიღო კონცესია ამ რაიონში ბურჟუაზიის
მოგზად... ამჟამად ბურჟუაზიის წინა-
აღასი კე. მილი ფართობი (1 200 ათასი კვ.
კილომეტრი, ანუ ირანის დღევანდელი ტერი-
ტორიის სამი მეოთხედით), რომელსაც ეს კონ-
ცესია მოიცავდა, უფრო მდიდარია ნავთობით,
ვიდრე სამხრეთი სპარსეთი“⁵.

დაღმა ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო
მოუღო ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას.
1918 წლის 14 იანვრის განცხადებით და შემდ-
გომი აქტებით საბჭოთა მთავრობამ გააუქმა
შეიღო მთავრობის მიერ სპარსეთისათვის თავს-
მოხვეული ყველა უთანასწორო ხელშეკრულე-
ბა. ამ აქტების ძალით შეწყვიტა მოქმედება
ყველა რუსულმა სისახონო და კერძო კონ-
ცესიამაც ირანში⁶ და პირველ რიგში გაუქმდა,
რასაკვირველია, ხოშტარიას კონცესია. „ამ კონ-
ცესიის გაუქმებიდან ორი წლის შემდეგ ინგლის-
სპარსეთის ნავთობის კომპანიამ შეიძინა ხოშ-
ტარიასაგან მისი სადგო უფლებები ხუთიდან
სამნახევარი პროცენტის მიმართ“⁷.

ოქტომბრამდელი რუსეთის კოლონიზატორუ-
ლი წრეები დიდად აფასებდნენ ხოშტარიას
„ღვაწლს“ ირანში და მის საქმისწორ უნაწი-
ეს ჩანს, სხვათა შორის, ნ. ნიკოლაის არქივ-
ში შემონახული დოკუმენტიდან სათაურით
„Памятная записка“, რომელიც შინაარსის
მიხედვით დროებითი მთავრობის დიპლომა-
ტიურ აგენტს უნდა ეკეთებოდა.

სამახსოვრო ბარათის ავტორი აღნიშნავს,
რომ სპარსეთში საზოგადოებრივმა მოძრაობამ
წინ წამოსწია შაჰისა და მისი მომხრეების მი-
მართ ოპოზიციურად განწყობილი ელემენტები,
რომლებიც მოითხოვენ მეჯლისის სასწრაფოდ
შოწყვეტას. იგი შიშს გამოთქვამს — მოპავალი
მეჯლისის პოლიტიკამ ზიანი არ მოუტანოს ამ
ქვეყანაში რუსეთის მრეწველობისა და ეკე-
რობის ინტერესებსო. — უკანასკნელ წლებში,
წერს ბარათის ავტორი, — მეწარმეთა უდიდესი
შხეობისა და ენერჯიის წყალობით და
ჩვენი დიპლომატიის ხელშეწყობით სპარსეთში
აღმოცენდა მთელი რიგი რუსული მრეწველური
საწარმო...

ამ საწარმოებში დამანდებულია უზარმაზარი
რუსული კაპიტალი და ზვენი მეწარმეების ჯგუ-

¹ ნ. ნიკოლაის არქივი, დოკ. 40-1336.
² ორესა, ფონდი 31, საქმე 446, ფ. 490-491.
³ დამტ. კრების 1920 წ. 18 ავნიის დეკრეტი
(იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 143, 1920).
⁴ „მნათობი“ № 4.

⁵ Л. Денни, Борьба за нефтяную моно-
полию, М.-Л., 1934, стр. 124.
⁶ იხ. Внешняя политика СССР, т. I, М.,
1944, стр. 46—47 и стр. 300—303, აგრეთვე
Сборник действующих договоров, соглаше-
ний и концессий, заключенных СССР с ино-
странными государствами, вып. I—II, М.,
1935, стр. 36—45.
⁷ ლ. დენის დასახელებული წიგნი, გვ. 124.

ფის დინტერესება სპარსეთში ამ საქმეში ჩვენი პოლიტიკის მდელი იმდენად დადანიშნულად იყო, რომ მან მტაცედ გადაწყვიტა მთელი თავისი ძალე და ენერჯია გამოიყენოს, რათა მეჯლისის მომავალი არჩევნების დროს უზრუნველყოს ამ კრების წევრთა ჩვენთვის ხელსაყრელი შემადგენლობა.

ამ მიზნით მოგვეღის უარესად ენერჯიული სპარსევი კომპანიის ჩატარება. ხელმძღვანელობას ამ საქმეში თავისთავზე აიღებს ა. შ. ხომტარია, რომელიც საუცხოოდ იცნობს სპარსეთს და სარგებლობს იქ სრულიად განსაკუთრებული ნდობითა და მნიშვნელობით. მის, მის თანსწობასა და აღმოსავლეთის რთულ თავისებურებებში ვარკვევის მის უნარს უნდა უმაღლოდეს რუსული მრეწველობა ჩვენი საქარმოების უდიდესი უმრავლესობის შექმნას სპარსეთში... ა. შ. ხომტარიამ მისთვის ჩვეული გამჭირაობით უარესად ახლო კავშირი დაამყარა სპარსეთის საზოგადოებრივ ფენებთან არა მარტო მთავრობის მომხრე, არამედ ოპოზიციურ წრეებშიაც და აგრეთვე ადგილობრივ პრესაში; ამიტომაც სპარსევი კომპანიის წარმოების ამოცანას, რომელიც ახლა მას ეკისრება, იგი წარმატებით შესასრულებს, თავისთავად ცხადია, იმ პირობით, თუ იქნება ზვენი მისი დახმარება¹.

ამ სმიოდე ამონაწერის მიხედვითაც შეგვიძლია შეუდომლად დავასკვნათ, რომ ხომტარიას სახით „დემოკრატიულ“ საქართველოს მოველია ამერიკულ უაიდაზე გამოწეილი და ქართული ბერევაზიული წრეებისათვის მანამდე უჩვეული გაქანების კაპიტალისტური მოსაქმე. ხომტარიას ძალას მატება ისიც, რომ მას საკმოდ დიდი კაპიტალი ჰქონდა დაბანდებული უცხოეთშიაც.

მენშევიკურ საქართველოში გამეფებული საერთო ნგრევა და მერყევი პოლიტიკური მდგომარეობა არ ქმნიდა ხელსაყრელ ნიადაგს მსხვილი კაპიტალისტური წამოწყებების განსახორციელებლად. მიუხედავად ამისა, ხომტარიამ მოახერხა საფუძველი დაელო რამდენიმე ასეთი წამოწყებისათვის. „დამარსებელი კავკასიაში ზღვის საეპრო-სამრეწველო სააქციო საზოგადოებისა აკავი მეთოდეს-ქი ხომტარიამ, — ეკითხობოთ სავაზეთო ვანცხადებამო, — ამით იწყება, რომ 1919 წ. იანვრის 25-ს... დანიშნულია აღნიშნული საზოგადოების აქციონერთა კრება. კრების საგანია: 1. საზოგადოების მოქმედების დაწყება...“²; 1918 წლის მეორე ნახევარში კაპიტალისტების ჯგუფმა ხომტარიას მეთაურობით კონცესიით აიღო პიბროლექტროსადგურის მშენებლობა მდინარე რიონზე

სოფელ აღმანასთან; ხე-ტყის მრეწველობა ჯგუფმა ხომტარიას მეთაურობით ხაყონციის ხელშეკრულება დაიღო მენშევიკურ მთავრობასთან სიარმისა და საერისთარ შთის მსაყენებლან 50 ათასი დესტინა. ტყის საექსპლოატაციოდ აღებაზე 25 წლის ვალით ხომტარიას მეთაურობით მოეწყო სააქციო საზოგადოება სახელწოდებით „საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება“, რომელსაც ვადაეცა რესპუბლიკაში მთელი ურტესო მენქანიკური ტრანსპორტის საქმე და ფოსტის ვადაზიდვა და დატარება, აგრეთვე საზღვაო მიმოსვლისა და ტვირთზიდვის წარმოება „საქართველოს ქალაქებიდან სხვა სახელმწიფოების ქალაქებამდე“. საზოგადოების უფლება მეთეცა აავგოს გემსაშენები და მოაწყოს ტრანსპორტის მენქანიკურ საშუალებათა წარმოებისა და რემონტის საქმე, აგრეთვე ვაიყვანოს გზები, არხები, შესასრულოს მელიორაციული სამუშაოები, იჯარით აიღოს და, სადაც შესაძლებელია, საკუთრებადაც შეიძინოს ქვეანსშირის მალაროები და ნავთობიანი ადგილები როგორც საქართველოში, ისე მის გარეთაც³.

მენშევიკურ მთავრობას 1920 წლის 11 მაისს მიღული დადგენილება: „ა. ხომტარიას და ამხ. ერით მილიონი ვირგანქა სტერლინგის შემოტანის ვადა ვანგრძობილ იქნას ამ წლის 12 ივლისამდე“⁴. ცხადია, ხომტარია და მისი კომპანიონები კონცესიებიდან დიდ მოგებას მოელოდნენ, რაკი მენშევიკურ მთავრობას იმ დროისთვის ასე დიდი თანხას უხდოდნენ.

ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, რომ ხომტარიას თანსწობითა და მისი კაპიტალის წამყვანი მონაწილეობით დაარსებულ ეს კაპიტალისტური ვაერთიანებები მიზნად ისახავდნენ საქართველოს სახალხო მურერნობაში საკვანძო პოზიციები დაეკავებინათ და ის თავის მარწუხებში მოექციათ.

როგორც უკვე დაინახეთ, ხომტარიამ ირანში პარლამენტის დეპუტატებად თავისი აგენტურის ვაყვანის დიდი გამოცდილება შეიძინა. ცხადია, ის ამ გამოცდილებას საქართველოშიაც გამოიყენებდა. და მართლაც, დამფუძნებელი კრების ნაციონალურ-დემოკრატიულ ფრაქციაში ბლომდ იხსდნენ ხომტარიას პარლამარი დამქმნები; ამაზე ზოგჯერ წამოიძახებდნენ ხოლმე მენშევიკებიც ნაციონალ-დემოკრატებთან შინასაპარლამენტო კონკლოების გამწეაუების დროს.

დამოუტადებელ საქართველოს მიპყრო თვალი გამდიდრების მიზნით უცხოეთში ვადახ-

¹ ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. 61-43.

² ორცხა, ფონდი 81, საქმე 391, ფ. 8 — 15.

³ ორცხა, ფონდი 48, საქმე 438, ფ. 3-8.

⁴ ორცხა, ფონდი 81, საქმე 446, ფ. 164.

⁵ იხ. ვ. მგელაძის გამოსული დამფ. კრების 1919 წ. 13 ივნისის სხდომაზე.

¹ ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. 40-1146.

² ვახეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ № 129, 1918.

ვეწილმა ბევრმა სხვა ბედისმამიებელმაც. ისინიც შეეცადნენ ხელი მოეთხოთ ქართული ხალხის ნაშრომით, საილუსტრაციოდ გავეცნოთ ორ დამახასიათებელ შემთხვევას.

1920 წლის ზაფხულზე ამერიკიდან თბილისში ჩამოვიდა წინვე დავით აბაშიძე. მან ნ. ჟორდანიას წარუდგინა განცხადება, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ის დიდ შრომას ხარჯავს ამერიკაში ქართული მარგანეცის პოპულარიზაციისათვის. „გახოვო, — წერდა დასასრულ აბაშიძე. — მე ან კავკასია-ამერიკის ეპირობის და მდინერელობის კომპანიას, რომლის სათავეში მე ვდგავარ, მოგვეცეს სრული უფლება მარგანეცის გატანისა საქართველოს საზღვრებიდან ამერიკაში და წარმოადგენლობა ამ საქმისა ამერიკაში“. აბაშიძის განცხადება გადაეგზავნა საზოგადოება „ჩემოს“ ჟორდანიას რეზოლუციით: „სასურველია შემადგომლობა დამკაყოფილებელი იქნას, თუ ეს, რასაკვირველია, კომერციულად სსარგებლოა“.

„ჩემოს“ ხელმძღვანელებმა აბაშიძეს, ჩანს, ეჭვის თვალით შეხედეს და მისი წინადადება შორს დაიჭირეს. იგი ხელშეკრება მიმართავს ჟორდანიას, ითხოვს დედობს ხელშეკრებაში 9 წლის ვადით და მისცემს წელიწადში 500 ათასი ტონა მარგანეცის გასაღების საშუალება იმ პირობით, რომ მთელ ღირებულებას ოქროთი გადაიხდის. „ეაღუტას განგამტკიცებთო“ — აღუთქვამდა აბაშიძე მენშევიკური მთავრობის მეთაურს¹.

ჟორდანია მეორედ ერევა საქმეში, მაგრამ მისი ჩარევა აშკარად კიდევ მეტი მარცხით მთავრდება. „ჩემოს“ ხელმძღვანელებმა არა თუ არ მიიღეს აბაშიძის წინადადება, — ერთმა მათგანმა, კ. თემანიშვილმა, ოფიციალურ თათბირზე ჟორდანიას პრადლებაც კი წაუყენა: თქვენ ერთი პირობის ინტერესს იცავთ და არა სახელმწიფოსასო. ეს უკვე მეტისმეტი იყო! ინციდენტი განიხილა მენშევიკურმა მთავრობამ და დაადგინა:

„1 ბ-ნი კ. თემანიშვილი მთავრობის თავმჯდომარისა შეურაცხყოფისათვის დაისაჯოს აღმინისტრატული წესით ეჭვის თვით ციხეში დატუსალებით.

2. წინადადება მიეცეს საზოგადოება „ჩემოს“ ბ-ნ თემანიშვილის მაგიერ მოიწვიოს სხვა პირი. მანამდე კი სასურველია მთავრობის თავმჯდომარემ არ იქნოს ოფიციალური დამოკიდებულება საზოგადოება „ჩემოსთან“.

როგორც ირკვევა, კონფლიქტი ჟორდანიასა და საზოგადოება „ჩემოს“ შორის, მიუხედავად ამ „გაბედული“ დადგენილებისა, მენშევიკური სახელმწიფოს მეთაურის კაპიტულიციით დაიმორღვა. აბაშიძემ ვერ მიაღწია საწადელს, ზოლო მენშევიკური მთავრობა იძულებული

გახდა 1920 წლის 16 ნოემბერს ასეთი დადგენილება მიეღო: „საზოგადოება „ჩემოს“ მიერ მდგომლობა შეწყუანებულ იქნა და კონტრაქტი ნიშეილი განთავისუფლდეს სასჯელისაგან“¹.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ მენშევიკები ამტკიცებდნენ — ბურჟუაზიულ წყობილებას ჩვენში ჯერ პატრონი არა ჰყავსო და ამით ამართლებდნენ მათ მიერ საქართველოში ძალუფლების მტაცებას. აბაშიძის საქმე და მასთან დაკავშირებული ინციდენტი კი მოწმობს, რომ ასეთი პატრონი იყო და იგი ხშირად აგრძობინებდა თავის არსებობას მენშევიკ ხელისუფალთ.

შორეული დასავლეთიდან მოსული აბაშიძე, რომელიც ამერიკაში ქართული მარგანეცის გასაღების მონაპოლიას მოითხოვდა, გამოიხატის არ შეადგენდა, — შორეულ აღმოსავლეთშიაც იყვნენ მონაპოლიის მსურველები. აჩქეს შემოუნახავს „ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის და მანჯურიის ქართველთა ცენტრალური ბუროს“ მიმართებები, რომლებიც მენშევიკურ მთავრობას 1920 წლის სექტემბერში მოსვლია. ამ მყვირალა ფირმის ამოფარებული წერალი ვაჭრები და საქმისნები ვინმე ი. ხაინდრაავს მეთაურობით მოითხოვდნენ, რომ მათ მიერ დაარსებულ სააქციო საზოგადოება „საქართველოს“ მინიჭებოდა „ყოფილი საუფლისწულო (კახური) ღვინოების, კონიაკის და ბორჯომის წყლის გავიდვის მონაპოლიური უფლება შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში“. ამასთან, ენაიდან ბუტაფორულ საზოგადოება „საქართველოს“ საშუალებები არ გაჩნდა, მისი ხელმძღვანელები ეარაუღობდნენ საექსპორტო საქონელი კრედიტით მიეღოთ. საუერადღებოა, რომ „მანჯურტრალი“ მარტო კომერციით არ კმაყოფილდებოდნენ: ერთ-ერთი წერილით მათ მენშევიკური საქართველოს პარლამენტში საკუთარი დებუტატის არჩევის პრეტენზიაც წამოაყენეს².

ასეთი იყო ქართული ნაციონალური ბურჟუაზიის გამოცოცხლების ნიშნები და პირველი ნაბიჯები მენშევიკურ საქართველოში.

4. სოციალური კონტრასტები „დემოკრატულ“ რესპუბლიკაში

ქართული მენშევიკები თავიანთ პარტიას მუშათა პარტიის უწოდებდნენ, მაგრამ საქართველოში ბატონობის წლებში მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მათ არაფერი გაუკეთებიათ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ

¹ ორცხა, ფონდი 81, საქმე 446, ფ. 344, და 387.

² ორცხა, ფონდი 48, საქმე 513, ფ. 1 — 6.

¹ ორცხა, ფონდი 48, საქმე 578, ფ. 12-16.

ისინი მთავარ ამოცანად კაპიტალიზმის „შემაღლეს წერტილამდე“ განვითარებას ისახავდნენ. ეს კი ნიშნავდა მუშათა ექსპლოატაციის დაქანონებას განუხსლებელი დროით. ამ პერსპექტივას მენშევიციზმ სრულებითაც არ უარყოფდნენ. „მუშათა საკითხის გადაჭრა სამწელია, — ამბობდა ნ. კურდანი, — იმისათვის, რომ ის შეეხება არა მარტო მუშათა ინტერესებს, არამედ თვით წარმოების ინტერესებსაც“. და ვინაიდან მენშევიციზმის ბელადს კაპიტალისტური წარმოების ინტერესები წმინდათა წმინდად მიაჩნდა, იგი განაგრძობდა მუშებისა და კაპიტალისტების ინტერესების შეთავსება შეუძლებელია, „მათ შორის შეტაკება აუცილებელია, მაგრამ ჩვენ ამ ბრძოლას უფლებრივი ფორმა უნდა მივცეთ“¹. კაპიტალისტები — მუშების ექსპლოატაციის განონიერი უფლება, მუშებს კი — ექსპლოატაციის უდრეინველად აღნისა და მეწარმეებისაგან წერილობით დამოუბების მოთხოვნის ასეთივე „უფლება“ — აი ამ ფორმულის ახრი.

მეურნეობის საყოველთაო ნგრევის ვითარებაში გეონომიური გაჭირვება გარდუვალა იყო და ის მუშათა კლასსაც ვერ ასდებოდა. მაგრამ ქართული მენშევიციზმის ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაული ის არის, რომ მათი პოლიტიკის შედეგად ეს გაჭირვება მთელი სიძიმით დააწვა მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასს და სოფლის ღარიბ ფენებს. სასურსათო და ფართო მოხმარების საქონლით ხავერდულ სპეკულაციას და გერო კაპიტალისტების ხელშეწყობის პოლიტიკას უშუალოდ თანსდევდა მუშების რეალური ხელფასის შეუჩერებელი და კატასტროფული დაქვევა. მაშინ როდესაც „ნაციონალური“ ბურჟუაზია გამაღვებით ეწეოდა კაპიტალის „თავდაპირველ დაგროვებას“, მუშათა უზუნებში დღითიდღე ძლიერდებოდა შიმშილი, სიტარტული, არ იყო სათბობი, მძინვარებდნენ სხვადასხვა ავადმყოფობები. მაშინდელი ოფიციალური მასალებიც კი საქმით სისრულით გვიხატავენ მუშათა კლასის ატრანელ მდგომარეობას. საილუსტრაციოდ შევჩერდებით ერთ ამგვარ დოკუმენტზე.

მენშევიციზმი მთავრობის თავმჯდომარის სახელზე წარდგენილ მოხსენებაში შრომის მინისტრის ამხანაგი ცნობილი მენშევიცი გ. ერამე სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე აღნიშნავდა, რომ 1914 წლიდან 1919 წლის სექტემბრამდე მუშის ხელფასი მანეთობით გაიზარდა 22-ჯერ, ხოლო პირველი სპირობის პროდუქტების ფასები — 75-ჯერ. „მუშა ახლა 3 1/2-ჯერ უფრო ცუდად ცხოვრობს, ვიდრე 1914 წელს ცხოვრობდა“ — ასყენდა ერამე.

შემდეგ მოხსენებაში გარჩეულია 4 სულისგან შემდგარი პეშის ოჯახის ბიუჯეტი. ირკვევა, რომ მარტო მინიმალურად აუცილებელი კვების პროდუქტების, საშინსა და სათბობის შესაძენად

და ბინის ქირისათვის თვეში მას ესაჭიროებოდა 1 702 მანეთი და 54 კაპიცი. ამავე დროს მხოლოდ კვალიფიციური მუშა-მეღაოთრის საშუალოთაური ხელფასი აღწევდა 1 600 მანეთს; ხოლო დანარჩენი მუშები ვაცილებით ნაკლებს ღებულობდნენ. ამრიგად, ხელფასი მუშას კვებისათვისაც არ ყოფნიდა. რაც შეეხება ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და სხვა აუცილებელი საგნების შექენსა, ამისათვის მას ფული სრულებითაც არ რჩებოდა. „...ის ხელფასი, რომელსაც ახლა კვალიფიციური მუშა ღებულობს, — დაასკვნის მოხსენების ავტორი, — მას ეხარჯება მხოლოდ უარესად ღარიბულ კვებაზე, ამასთან მისგან შექენილ საქვებ ნიუთიერებათა რაოდენობა საშუალოდ ნაკლებია იმაზე, რაც საჭიროა ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ბიუჯეტის ანალიზის დროს ჩვენ იძულებული ვართ ვივარაუდოთ, რომ მუშა ან ჩაქმულ-დახურულია, ანდა საყვებით შიშველ-ტარტულია. სინამდვილის გაყენება მეორე ვარაუდის სასარგებლოდ ღაპარაკობს... ზაფხულში ის ნახებრად მაძლარი იყო, მაგრამ სიცხე არ აწუხებდა; ახლა ის კიდევ უფრო ნაკლებადაა მაძლარი, მაგრამ ვერ გასძლებს უფესსაცმლოდ, უტანისამოსოდ, უსაბობოდ. იმისათვის, რომ ყველა ეს შეიძინოს, მან და მისმა ოჯახმა ორი თვით სრულბით უარი უნდა თქვან საქმელზე. ამრიგად, დღევანდელ ვითარებაში მუშის წინაშე დგება მარტო დღიური: რით უფრო მალე დაიღუბოს — სიცივით თუ შიმშილით“¹. ეს დოკუმენტი ჩინებული ატესტაცია მენშევიციზმი „მუშათა“ პარტიისათვის.

ამავე დროს მენშევიციზმი რესპუბლიკაში მღიდრულად აყვავდა ყველა ის ზენი, რაც ჩვეულებრივად თანსდევს ბურჟუაზიის აღმავლობას, სპეკულაციას, ნეოკრიმების გამარჯვებას. მშრომელთა უციდურესი ვალატაყებისა და გაჭირვების საპირისპიროდ ბურჟუაზიულ წრეებში საზღვარი არ უჩანდა სიძლიდრის მოხვეჭას, ფუფუნებას, ღზინსა და ვანცრომას. „ღღეს საზღვარი ვაადვილა გამდიდრება. ერთი „მობეჭატებული კომინაციით“ ერთ თვეში, ერთ დღეში ერთ საათში იზადებთან „მილიონიციები“, ჩვენს გარდამავალ ხანაში უუცარი არის გამდიდრება და დაყანონებულია მასის ვალატაყება... წერდა 1920 წლის ივლისში ვაზეთ „ერთობის“ პუბლიცისტი და დრამატული ამოხვრით დაასყენდა: „მომევა კონტრასტები ცხოვრების დამაფიქრებელია ცხოვრების სინამდვილე“².

ამასვე იმეორებდა ერთ-ერთი მომხსენებელი მენშევიციზმი გეონომიურ თათბირზე 1920 წლის ოქტომბერში. „ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას, — ამბობდა იგი, — ორი ერთიმეორის დამატრალურათ წინააღმდეგი ვარეშობა ახასიათებს: საშინელი გაჭირვება და დიდი ხელგაშლილობა

¹ ორცსა, ფონი 48, საქმე 69, ფ. 2—7.
² „ერთობა“ № 159, 1920.

¹ „ერთობა“, № 40, 1918.

სახელმწიფო ეკონომიური კატასტროფისაკენ მიექანება. ამეუ დროს ქვიფსა და ხალხის სიმდიდრის ფლანგვას საზღვარი არა აქვს. ამდენი რესტორანი, და კლუბები თფილისში არასოდეს არ ყოფილა. დღე და დამე გასწორებულია აქ. იმ დროს, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი ლექმა პერს მოკლებულია, მეორე ნაწილი ქვიფობისა და ლხინის მორცეში ცურავს*.

1920 წლის მეორე ნახევარში მენშევიეკრმა პრესამ მთელი კამპანია წამოიწყო „ზენ-ჩეუელებათა დემოკრატიზაციისათვის“. 1920 წლის 1 ოქტომბრის მოწინავეში ვახეთი „ერთობა“ წერდა: „...ეკონომიური კრიზისის მეოხებით ნელ-ნელა ფესვს იდგამს სპეკულაცია, რომელიც თანდათან იმდენათ ძლიერდება, რომ თავისი საკუთარი იდეოლოგია და თავისი შესფერი ზენ-ჩეუელებებიც კი შემაიქებს. თუ რევილუციის დასაწყისში მოდით იყო ვადამდეული სადა რაცა-დაბურვა და სადა ყოფა-ქცევა, უკანასკნელი წლის განმავლობაში ეს უკვე ქრება, სისადავე თანდათან იღავს უთბობს ფუფუნებს და დემოკრატიული კრძალულება იცვლება მყვიარალ შემანაობით... არასდროს არ ყოფილა თბილისის ქალებში ვაერტრულებული ყველაგვარი კოსმეტრის ხმარება იმ ზომამდის, როგორც დღეს, არასდროს არ ყოფილა მოდაში ისეთი მყვიარალა ზაცემა-დაბურვა, როგორც დღეს... სამწუხაროა ის, რომ ასეთი ანტიდემოკრატიული ზენ-ჩეუელებები... შესამწინევი ხდება იმ წრებშიც, რომლებშიც დემოკრატიულ მუშაობას სითავეში უდგანან“.

ამ ტრადების შემდეგ „ერთობა“ იმით კმაყოფილდება, რომ მოითხოვს „უარყოფილ იქნას“ კოსმეტრისა და ფუფუნების სხვა საგნების შემოზიდვა, თითქმის ეს ზომა საქმარისი იყო მენშევიეკების პოლიტიკით გამოწვეული სოციალური იარების განსაყრუნებლად!

მენშევიეკურ ვახეთებს დაეიწყდათ იდენშინათ, რომ „სპეკულაციის იდეოლოგიის და ზენ-ჩეუელებების“ გავლენით განსაზღვრულ საზოგადოებრივ წრებში დინერვა ზიზის მომგვრელი მლიქნელობა და მეცელზე ზოხვა კაპიტალის ყველაზე ონავარი წარმომადგენლების წინაშე, ნიმუშისათვის დავსახლებით ეტრნალ ამევენახეობასა და მეღვინეობას“, რომელსაც რედაქტორობდა ქართულ პრესაში ხანგრძლივი თანამშრომლობით კარგად ცნობილი ავრონოში კ. ბერციაშვილი. ამ ეტრნალის პირველი ნომერი 1919 წლის ნოემბერში გამოვიდა. იგი იხსნება ახალი გამოცემებისათვის ჩვეულებრივი განცხადებით „რედაქციისაგან“, სადაც ვკითხულობთ: „ეტრნალ ამევენახეობას და მეღვინეობას“ მტკიცე საფუძველი დაუდეს ნიუთოერის დახმარებით ცნობილმა ქველმოქმედებმა და მეურნეობის დიდმა თანამგერმონმა და მეგობრებმა ბ. აკაი

მეთოდეს ძემ და განსაკუთრებით მისმა მეუღლემ მინადორა იროდიონის ასულმა, ზოშტარისაგან და თვიერი გამოცემა ეტრნალსა, უზრუნველყოფილა, რისთვისაც მიმდღენით მათ ვულწრფელ მადლობას და ჩვენ უპასუხებთ შრომით და მაცადილობით სამშობლის წინაშე“. ამგვარ მორალურ დაკინებამდე მიიყვანა მენშევიეკების ბატონობის დროს შექმნილმა პირობებმა ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომლის საქმიანობა ზოშტარებისა და მისთანადა მოწველებათუ იყო დამოკიდებული.

სურათის სისრულისათვის რამდენიმე სიტყვა მენშევიეკური სახელმწიფო აპარატის მდგომარეობაზე. ამ აპარატის მოხელეთა შორის ფართოდ გავრცელდა კორუფცია, მეჭრთამეობა, სახელმწიფო ქონების მითვისება, სპეკულანტურ კომბინაციებში მონაწილეობა. მსგავსმა ბოროტმოქმედებებმა ისე ღრმად გაიღვა ფეხი, რომ ნამადვილი საზოგადოებრივი უბედურების ხასიათი მიიღო. „ვინც არ ჩარჩობს და არ მატყუარობს, ვინაც არ მეჭრთამეობს, ვინაც გარშემო მშვიდობიან მცხოვრებლებს და ხაზინას არ ცარქევს, — დღეს თითქმის ყველა მშვიდი და ჩაუცემელია.“ — წერდა ცნობილი პედაგოგი სილოვან ხუნდაძე. ის მოაგონებდა „დემოკრატიული“ რესპუბლიკის შესვეურებს: რომი, სადაც ერთ დროს „ყველაფერი იყიდებოდა“, სწორედ ამ გაჭრწამ დაღუბაო და მოუწოდებდა მათ გამოეწინათ „სახელმწიფოებრივი სინდისი“.

მაგრამ სინდისი მენშევიეკური სახელმწიფოს მოხელეთა შორის მართლაც იშვიათ საქონელს წარმოადგენდა. თვით ნ. ეორდანიი იძულებული იყო ელიარებინა, რომ „სახელმწიფოს მუშაეთა შორის“ არ არის „ის პასუხისმგებლობა, რომელიც ახსიათებს მაგარ სახელმწიფოს გუშავთ და მოხელეთ“, რომ ეს მუშაეები, „თუ იშოვეს დრო და ვაერმოება... სახელმწიფო ინტერესებს იყენებენ პირადი ინტერესებისათვის და ის ქონება, რომელსაც ვაეროებთ, ამის წყალობით დღითი-დღე იფლანგება“ და რომ „ძნელი მოსახნაბა ისეთი პირი, რომელსაც რაიმე საქმის ვაკეთება მინადო და მან /! / ცოტა მიიწე არ „ჩამორჩეს“.

მენშევიეკური პარტიის შესვეურებისა და პრესის მიერ „დემოკრატიული“ რევიმის მახინჯ მოვლენათა მხილება ყველაზე ნაკლებად მიეწერება მათს გულახდობლობას. სპეკულაციითა და კერძო კაპიტალის მამძლავრებით შევიწროებული მუშათა კლასი, წყრილი მოსამსახურეებისა და საერთოდ ინტელიგენციის ფართო ფენები მენშევიეკური რესპუბლიკის არსებობის მთელ მანძილზე აწარმოებდნენ შეუერივებულ საგაფიცუო ბრძოლას, რაც ხშირად პოლიტიკურ ელფერს იღებდა.

1 ვახეთი „სახალხო საქმე“, № 999, 1920 წლის 9 დეკემბერი.

2 „ერთობა“, № 235 და 247, 1920.

* „ერთობა“ № 237, 1920.

გლეხობის ცნობილ აჯანყებებთან ერთად ეს ბრძოლა არუყვდა და ნიადაგს აცლიდა მენშევიკების უღლეერ ბატონობას საქართველოში.

საფიცილო მოპარობა განსაკუთრებით ვაძლიერდა 1918 წლის მეორე ნახევრიდან და 1919 წელს მან კულმინაციურ წერტილს მიაღწია. „1918 წ. გაფიცვები შოაწვეს ჩუნიგზელებმა, მბეჭდვებმა, ფოთის პორტის მუშებმა, ზე-ტუის სახერხი ქარხნების მუშებმა. მარტო თბილისში 1918 წლის შემოდგომაზე აღირიცხა მუშა-მოსამსახურეთა 1 600 კონფლიქტი მეწარმეებთან. ქუთაისში კი ამ დროის განმავლობაში ადგილი ჰქონდა 684 კონფლიქტს“¹.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პერიოდში იყო ტუბულურს 2 000-დე მალაროელის გაფიცვა, რაც რკინიგზებსა და მთელ მრეწველობას შეჩერებთ ემუქრებოდა. გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე მოხდა. დამახასიათებელია მენშევიკური მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის ზ. გურულის აღიარება ტუბულის მუშახტეთა უკიდურესი გაკირვების მიზნების შესახებ. ნ. გორდანაის სახელზე წარდგენილ მოხსენებაში გურული აღწერს მუშახტეთა მძიმე ნიუთიერ და საყოფაცხოვრებო პირობებს და დასძენს, რომ ასეთი პირობები აქ „გამეფებულია გურ კიდევ „ნახშირას“ დროიდან; ასე ვრძელდება სამრეწველო კომიტეტისა და გზათა სამინისტროს დროს. სამწუხაროდ, სამინისტროს არ მიუღია არავითარი ზომები ამ მძიმე პირობების ოდნავ მაინც გასაუმჯობესებლად. პირიქით, მან გააუარესა ეს პირობები იმით, რომ ნახშირის ამოღების ვადიღების გულისათვის გააღიდა მუშების რიცხვი, ხოლო ბინების აგებაზე ზრუნვა გურ კიდევ მიწერ-მოწერის სტალინი იმყოფება. მან გააუარესა ეს პირობები კიდევ იმითაც, რომ ხელფასის გაციემას აწარ-

მოებენ თითქმის სამი თვის დაგვიანებით...“² ვასაგებია რომ ტუბულელი მუშები მენშევიკური სამინისტროს ამგვარ ზრუნვას ვაფიცივით უპასუხებდნენ.

1919 წელს ჩატარებული მრავალრიცხოვანი გაფიცვებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი თბილისის ქალაქის თვითმმართველობის საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა იყო. იგი ეკონომიურ ნიადაგზე დაიწყო. მაგრამ შემდგომ პოლიტიკური ხასიათი მიიღო და გადიქცა მასობრივ გამოსვლად არსებული წყობილების წინააღმდეგ. რამ [მ] თბილისის კომიტეტმა სპეციალურ მოწოდებაში სამართლიანი მსჯეობი დასდო მენშევიკებს. ამ სოციალ-გამცემლობს. „რომელთა პროვოკატორულ-კონტრრევოლუციური ფიზიონომია... შეტად ნათლად გამომვლავნდა გაფიცვის ირგვლივ მომხდარ შეჯახებებში...“ ბოლშევიკების თბილისის კომიტეტი მოწოდებდა ყველა მუშას დახმარებოდნენ ქალაქის თვითმმართველობის მუშა-მოსამსახურეებს, რათა მათ გამარჯვებთ დაეგვირგვინებინათ დაწყებული ბრძოლა³.

1920 წელს ქალაქებში მუშა-მოსამსახურეთა გაკირვებას, რაც გაფიცვებს იწვევდა, ზედღევართო სოფლის მოსახლეობის დაშვევა. მენშევიკურ მთავრობას ზედღევდ მოსდოდა ადგილობრივი ორგანოების დებუებში და მომართვები საყოფელთაი შემოლობისა და სურსათით სასწრაფოდ დახმარების აუცილებლობის შესახება⁴.

აი ეს გარემოებები აიძულებდა მენშევიკ ხელისუფლთ სიტყვით მაინც ემზილებინათ და დევგვით ის სოციალური ბოროტებები, რომელი მასობრულად წინადაგს ისინი გულმოდგინედ ამავრბდნენ და აფართოვებდნენ.

III. აბრბრული რეფორმა

1. ხახბოთა „მიწის დევრეტ“ და მენშევიკური „ავრბრული ვარდაქმნების“ დაწაწვისი

კაბიტალიზმის ვანვითარების უმაღლესი დონის მისაღწევად, რაც ქართულ მენშევიკებს მთავარ საპროგრამო ამოცანად მიანდათ, მარტო ნაციონალური მრეწველური კაბიტალიზაციის ხელშეწეობა, ცხადია, საეარისი არ იქნებოდა. საკირო იყო კაბიტალისტურ ურთიერთობათა სწრაფად და ფართოდ ვანვითარება სოფლის მეურნეობაშიც. ამის აუცილებელ პირობას კი შეხუთავი ფეოდალური ვადმონათების სრული ლიკვიდაცია შეადგენდა. დღის წესრიგში ავრბრული საკითხი იდგა. ეს მენშევიკების ბელადებსაც კარვად ესმოდათ. საწმე მხოლოდ

ის იყო, რომელ ვხას აირჩევდნენ ისინი ამ მწევე საკითხის ვადასაქრვად.

როგორც ცნობილია, რევოლუციამდე ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის მთავარი წყაღეამყოფი ავრბრულ საკითხვდაც ვადიოდა. ბურჟუაზიულ რევოლუციაში ბოლშევიკები მთავარ ეკონომიურ საკითხად „მიწისათვის გლეხობის ბრბოლის საკითხს“⁵ თვლიდნენ და მისი რევოლუციურად ვადპერის საშუალებად მთელი მიწის ნაციონალიზაციას მიიჩნევდნენ.

¹ იქვე, დოკ. № 359.

² იქვე, დოკ. № 417—425.

³ იქვე, დოკ. № 538, 540, 541, 575.

⁴ იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 12, ვკ. 218.

⁵ Борьба за победу Советской власти в Грузии, Тб., 1958, стр. XXII.

მენშევიკები კი, როგორც მათ წერილებზე უხილ ბუნებას შეეფერებოდა, მიწის საკითხის რადიკალურად გადაწყვეტას თავს არიდებდნენ.

რსდმპ IV (გამართანებულ) ყრილობაზე მიღებული, მენშევიკების მიერ შემუშავებული აგრარული პროგრამა მოითხოვდა განახლებულ ბურჟუაზიულ რუსეთში მიწის საკუთრების ორი ფორმის დამკვიდრებას: ა) საეკლესიო, სამონასტრო, საფელისწულო, საკაპიტულო და კერძო მფლობელთა მიწების კონფისკაციას და სახაზინო მიწებთან ერთად მათს გადაცემას ადგილობრივი თვითმმართველობის მსხვილი ორგანოებისათვის. ამასთან გადასახლების ფონდისათვის საჭირო მიწა, აგრეთვე საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეები და წყლები სახელმწიფოს მფლობელობაში უნდა გადასულიყო; ბ) გლეხობის და საერთოდ წერტილი მიწათმფლობელების ზეწლი მყოფი მიწების მათს კერძო საკუთრებად აღიარებას I. ვისაც საზოგადოებრივი ფონდიდან მიწის დამუშავება სურდა, მას იგი თვითმმართველობის ორგანოებისაგან იჯარით უნდა აეღო. ტაქტიკურ ნაწილში პროგრამა თვალისწინებდა, რომ რსდმპ პარტია, მუნიციპალიზაციისათვის „ახალსაყრელი პარტიების შემთხვევაში, მხარს დაუჭერს შემამუღლოთ იმ მიწების დაუფლავს გლეხებს შორის, რომლებზეც ფაქტიურად წარმოებს წერტილი მურწრობა ან რომლებიც შეადგენენ მისი დამრგვალებისათვის საჭირო საარგულებს“ 1.

ამრიგად, მენშევიკური აგრარული პროგრამა ზღუდულად ტოვებდა სანადგრო მიწათმფლობელობას, ზოლი სანადგრო მიწა, ვ. ი. ლენინის სიტყვით, ეს იყო გეტო, რომელშიაც გლეხობას სული ეხუთებოდა და რომლიდანაც ის მთელი ძალისხმევით მიისწრაფოდა თავისუფალი მიწისაგან 2.

ვ. ი. ლენინმა თავისი კაპიტალური ნაშრომით „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის პირველ რევოლუციაში“ და მთელი რიგი შესანიშნავი სტატიებით ნათელყო მენშევიკური აგრარული პროგრამის უფარგისობა, მისი არათანმიმდევარი და ეკლექტიკური ხასიათი. მან დაასაბუთა, რომ „აგრარული საკითხი რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის საფუძველი და განსაზღვრავს ამ რევოლუციის თავისებურებას“ და რომ „აუცილებელია «გაწმინდოს» მთელი მიწა ყოველგვარი შუასაბუენობრივი ნაგავისაგან.

ამ ეკონომიური აუცილებლობის გამოშვატ-

1 იხ. სკკპ ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, ტ. 1, 1954, გვ. 153.

2 იქვე.

3 იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 345—346.

ველია მიწის ნაციონალიზაცია, მიწის კერძო საკუთრების გაუქმება, მთელი მიწის სახელმწიფო საკუთრებად გადაცემა, როგორც ბატონ-მურ წესებთან კავშირის სრულიად გაწყვეტა სოფლად“ 1.

ბოლშევიკებისა და მენშევიკების უთანხმოებას აგრარული პროგრამის საკითხში, ისე როგორც რევოლუციის თეორიისა და პრაქტიკის სხვა ძირითად საკითხებში, ღრმა მიზეზები ჰქონდა. მიწის ნაციონალიზაციის, ბურჟუაზიული რევოლუციის ღროს ფეოდალიზმის ყოველგვარი გადმონაშთის ძირფესვიანი და მოუხრუნველად მოსაზობის ობიექტური აუცილებლობის დასაბუთება ამ რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის ლენინური თეორიის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია. „ისეთი ქვეყანაში, როგორც რუსეთი იყო, სადაც განუთარების განსაკუთრებულმა პირობებმა ნადავგის შექმნის ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის, — მარქსისტულ პარტიას არ შეუძლია სხვა რომელიმე აგრარული პროგრამა ჰქონდეს, გარდა მიწის ნაციონალიზაციის პროგრამისა“ 2.

ვინც რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ კაპიტალისტური განვითარების ხანგრძლივი პერიოდის დადგომას მოელოდა, ის მიწის ნაციონალიზაციის ეკონომიურ და პოლიტიკურ აუცილებლობას ვერ გაიგებდა და ბოლშევიკურ აგრარულ პროგრამას ვერ გაიზიარებდა. ასეთები პირველ ყოვლისა სწორედ მენშევიკები იყვნენ.

ვინაიდან ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ რუსეთის მენშევიკებს მხოლოდ ბურჟუაზიული საქართველოს ფარგლებში შეეზღუდა სამომავლო ასპარეზი, მან აქ სცადა თავისი აგრარული პროგრამის განხორციელება. როგორც უკვეთი დავინახავთ, ამ ცდის პირველი შედეგი ის იყო, რომ მენშევიკური მუნიციპალიზატორული იდეების პრაქტიკის სფეროში გადატანამ მუსიკე ნათელი გახადა მათი სრული უნიადაგობა და უმარქსიზობა.

რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის მთავარი ამოცანა — შემამუღლოთ მიწათმფლობელობის მოსაზობა და გლეხობის მიწით დამკაყოფოლება თებერვლის რევოლუციის შემდეგაც გადაწყვეტილი რჩებოდა. ამ საქმეში ცოტა ბრალი როდი მიუძღვის რუსულ მენშევიკებს, რომელიც მიწის საკითხის გადაჭრას შორეული დამფუძნებელი კრების კომპეტენციად აცხადებდა და ამავე დროს სასტიკად ებრძოდა გლეხთა რევოლუციურ აგრარულ მოძრაობას.

იგივე პოზიცია ეკირა რუსეთის მენშევიკ-

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 529 და 533.

2 ი. ს. ტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. XVIII.

მის ქართულ ფილიალსაც. სანამ აღთქმული დამფუძნებელი კრება მიწვევდა, ქართველი მენშევიკებიც ყველა ზომას ხმარობდნენ გლეხობის მიერ შემამულეთა მიწების დატაცების თავიდან ასაცილებლად. ამ მხრივ დამახასიათებელია მენშევიკების ერთი მორჩილება ქართველ თავად-აზნაურობასთან, რაც 1917 წლის შემოდგომაზე შედგა. ბოლშევიკური პარტიის ხელშეწყობით რუსეთის პროლეტარიატი და რევოლუციური გლეხობა მაშინ ფეოდალიზმის ნათესებს აცამტყვერებდნენ და კაპიტალიზმს ამზობდნენ. ჩვენებური მენშევიკები კი სწორედ ამ დროს, ჯერ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებებზე და შემდეგ ქართულ ეროვნულ ყრილობაზე¹, დიდი კმაყოფილებით ისმენდნენ ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელთა განცხადებებს „თავად-აზნაურობის კოლექტიური ქონების“ ქართველი ხალხისათვის „ნებაყოფლობით“ გადაცემის შესახებ. გადაცემულ ქონებაში შედიოდა: თბილისის და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკები, თბილისის და ქუთაისის ქართული გიმნაზიები, კახეთის რკინიგზა, ქართული კლუბის შენობა და 800 დესეტრინამდე მიწა თბილისსა და წინამძღვრთან კარში¹.

თავისთავად ცხადია, ქართველ ფეოდალებს ეს ნაბიჯი პატრიოტული და, მით უმეტეს, რევოლუციური მოსაზრებით არ გადაუღდებოთ. ჯერ ერთი, მათ გადასცეს ხალხს ხს, რასაც ეს უკანასკნელი მაინც წაიღებდა, მეორეც, გადაცემული ქონების დიდი ნაწილი მძიმე ტვირთად ეკიდა თვით თავად-აზნაურობას: ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტი — კახეთის რკინიგზა ზარალით შემოაბდა,² გიმნაზიებისა და სხვა სკოლების შენახვა დოტაციას მოითხოვდა და, რასაკვირველია, ხელსაყრელი არ იყო. მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღებისას „ბრწყინავლი“ წოდების მესვეურებს, უამბველია, ბევრად უფრო არსებითი ინტერესი ამოქმედდებდა: კოლექტიური ქონების გაწირვით ისინი ცდილობდნენ ხელყოფისაგან გადაერჩინათ თავად-აზნაურთა კერძო მამულები. თუ ყრილობის შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, მათი ვარაუდი გამართლდა. „პირველმა ქართულმა ეროვნულმა ყრილობამ“, რომლის ორგანიზატორები და ხელმძღვანელები მენშევიკები იყვნენ, მიიღო 11 რეზოლუცია — აღმინისტრაციის, სასამართლოს, ერობების, ფინანსების, სახალხო ჯანმრ-

თელობის, სკოლის, თვით ხელმოწერების შესახებ, მხოლოდ მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს აგარარულ საკითხზე. ყრილობაზე³ ამ საკითხის განხილვა შეიცვალა თავად-აზნაურობის ფაქტობრივი კოლექტიური ქონების ვრისათვის გადაცემის სურვაგატი.

მენშევიკებმა აღფრთოვანებით მიიღეს თავად-აზნაურობის მიერ გადაღებული „მსხვერპლი“. „მგონია თქვენს სურვილს გამოვთქვამ, — განცხადდა ყრილობის თავმჯდომარემ ნ. ეორდანიამ თავად-აზნაურობის წინამძღვრელთა სიტყვების საპასუხოდ, — თუ ვიტყვი, რომ პირველი ქართული ეროვნული ყრილობა უცხადებს ქართველ თავად-აზნაურობას მაღლობას იმ ძვინისათვის, რომელიც მან ქართველ ერს მიუძღვნა. ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ ქართველი თავად-აზნაურობა გაითქვიფება ქართველ ხალხში, ამოუღდება მას გვერდში და ერთად გასწვევენ ჰირსა და ლხინს“⁴.

ამგარა, ეს კომედია მენშევიკებმა იმისათვის გაითამაშეს, რომ დაეშოშინებინათ მიწის ლაღებით მოთმინებადკარგული გლეხობა და შეესუსტებინათ აგარარული მოძრაობის ტალღა.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი პირველი ისტორიული აქტით — „მიწის დეკრეტით“ ზორცო შეესხა რუსეთის გლეხობის საუქუნეობრივ ოცნებას მიწის შესახებ. სეპარატრისმის გზაზე დამდგარი ქართველი მენშევიკები საშუაოა კანონზე არ ცნობდნენ. მიუხედავად ამისა, სწორედ ლენინრმა „მიწის დეკრეტმა“ აიძულა ისინი სასწრაფოდ შესდგომოდნენ აგარარული საკითხის ასე თუ ისე გადაჭრის. 1917 წლის 21 ნოემბერს მათი ოფიციალური ორგანო „ერთობა“ უკვე ათავსებს მოწინავე წერლის სათაურით „დაყოვნება შეუძლებელია“, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ბოლშევიკების მიერ ძალუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ „...ჩვენ არ შეგვიძლია გულ-ხელდაკრული ვისხედეთ და მოველოდით სანამ დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდეს და გლეხობას მიწის მისცემდეს. ეს კითხვა ჩვენზე უნდა გადაეკრათ ადგილობრივად... თუ ჩვენ დღესვე არ დაეკმაყოფილებთ ხალხი, დემოკრატია დასუსტდება და მის რახმებში არეულობა იქნება შეტანილი“. ოთხი დღის შემდეგ, 25 ნოემბერს „ერთობა“ კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და შეთაურში აცხადებს: „ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ფსიხოლოგიას იმ მასისას, რომელიც ბოლშევიკებს მიჰყვება. ჩავის ჩამოგდება და მიწების კონფისკაცია — ეს ორი მუხლი დაუფერებელია უნდა განხორციელდეს“. ასეთი ხასიათის კამპანიის ეწეოდა მთელი მამონდელი მენშევიკების პარტია.

ამიერკავკასიის ნაციონალისტურ პარტიას კონტრარეოლუციურ ბლოკს და მის სტელის-

1 „ერთობა“ № 203, 1917.
 2 კახეთის რკინიგზა უკანასკნელ დღეებშია, — წერდა „ერთობა“ 1918 წლის 10 იანვარს, — თუ რაიმე განსაკუთრებული და ენერჯული ზომები არ იქნა მიღებული, მოსალოდნელია გზის დახურვა, რადგან ამ გზის შემოსავალი, შედარებით ვასავალთან, თანდათან კლებულობს“.

1 „ერთობა“ № 203, 1917.

ჩამდგმელებს — ქართველ მენშევიკებს მოსვენებას არ აძლევდათ კავკასიის არმია, რომელიც ძირითადად ბოლშევიკებს, საბჭოთა ხელისუფლების თანუგრძნობდა. 1917 წლის ნოემბერში მენშევიკური ორგანიზაციების ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებს მიმართა მოწოდებით — მხარი დაეჭირათ ამიერკავკასიის კომისარიატისათვის. ჯარისკაცების გულისშისავებად მოწოდებაში ნათქვამი იყო: „ამიერკავკასიის კომისარიატი... ამ დღეებში გამოსცემს დეკრეტს ყველა საუფლისწულო, სამონასტრო, საეკლესიო და შემამულეთა მიწების ჩამორთმევის და ამ მიწების კომიტეტების ხელში გადაცემის შესახებ“¹.

დაბოლოს, ამიერკავკასიის კომისარიატმა მართლაც გამოსცა გლეხებისა და ჯარისკაცებისათვის მრავალჯნის აღქმული დეკრეტი. ეს იყო 1917 წლის 16 დეკემბრის „ღებულება საზანიონო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მიწათმფლობელთა მიწების საადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ“². ღებულებაში გარკვევით იყო ნათქვამი მხოლოდ ის, რომ დროებით ვალდებული გლეხები 1918 წლის 1 იანვრიდან, როგორც იყო, თავისუფლდებოდნენ სანადელო მიწების გამოსაყიდი გადასახდელისაგან და ისპობოდა ზანურნი დამოკლებულება რაც შეეხება გადაწყვეტილებას მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხებზე, რომლებიც აგრარული მოძრაობის ღერძს შეადგენდნენ. „ღებულება“ მას ზოგად და ბუნდოვან ფორმულარებებში ზეედა. თუ საბჭოთა ლენინური „მიწის დეკრეტი“ პირველი სტრატეგიული „დაუყოვნებლივ და ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე“ აღქმებდა შემამულეთა მიწის საკუთრებას, კომისარიატის „ღებულება“ ამ საკითხს სრულებით გვერდს უშლდა. იგი პირდაპირ იწყებოდა პუნქტით:

1. რათა უზრუნველყოფილ იქნას მიწით უპირატესო და ცოტა მიწის მქონე მშრომელი მიწის მომუშავე — ყველა სახის საზანიონო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ და კერძო პირთა მიწებიდან განსახლებადი ნორმაზე ზევით, რომლის რაოდენობა გადაწყვეტილი იქნება საგანგებოდ, დგება სამხარეო³ საადგილმამულო ფონდი, რომელიც გადადის სამხარეო და საგუბერნიო ან საოლქო საადგილმამულო კომიტეტების განკარგულებაში“. როგორც ვხედავთ, „ღებულებაში“ ვალუფუციატლად დარჩა უადრესად პირინტული საკითხი — სასყიდლით თუ უსასყიდ-

ლოდ ჩამორთმეოდათ შემამულეებს მიწაწეალი და მომავლისათვის გადაღებულ მითხვეის დასატრეებელი მიწის ნორმის განსაზღვრება რაკი ეს ძირითადი საკითხები ღიად რჩებოდა, ცხადია, ამ „ღებულების“ საფუძველზე გლეხობა მიწას ვერ მიიღებდა.

ამრიგად, ქართველი მენშევიკების მიერ სახარულად შეხანხლული პირველი „მიწის ღებულება“ აკანონებდა ფეოდალიზმის ზოგიერთი, იხედავ გაუქმებული, გადმონათვის მოსპობის, მაგრამ არსებობდა არ წყვეტდა ფეოდალური მიწათმფლობელობის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციისა და მიწების გლეხებისათვის გადაცემის საკითხს.

ამით მითარღება მენშევიკურ „აგრარულ გარდაქმნათა“ დასაწყისი ეტაპი.

2. კლასთა ბრძოლის ახალი გამწვავება სოფლად და მუნიციპალიზაციის იღვის კრახი

მენშევიკების ეარაული არ გამართლდა, 16 დეკემბრის ღებულებამ გლეხობა ოდნავადაც ვერ დაამაყოფილა. იგი დაპირებებს აღარ უჯერებდა და, რაკი კანონიერი გზით მიწა ვერ მიიღო, თავისებური, გლეხური სოფლანებით ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას.

აგრარული მოძრაობის გაძლიერებას და გამაძრებას ღიად შეუწყო ხელი ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების გამოჩენამ სოფლად. დაიწყო არაორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლები ცალკეული შემამულეების წინააღმდეგ. გლეხთა ბრძოლის ამ სახეობამ ყველანზე ღიად გაქანება მიიღო ქართლში, სპართელოს ევტრალურ პრაოინციაში, რომელიც შემამულეთა ლატიფუნდიების სიდიდითა და ფეოდალური ჩაგვრის განსაკუთრებით მძიმე ფორმებით გამოირჩეოდა. 1918 წლის იანვარ-თებერვალში გორის მახარში გლეხებმა ვანიად-კურეს რამდენიმე თავადის სასლავარი. ნიშნისში, წარმშმ მათ ამოწყოვლი ცოკოვილები, სოფელ ოსიაურში მთლიანად გაეღატეს ევზირი-შვილების ორი ოჯახი¹. იყო თავად-ანაურეების მხრით გლეხებზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევებიც. ეს კიდევ უფრო ამხედრებდა გლეხობას შემამულეების წინააღმდეგ. „სოფელ კარბოულში (მორაპნის მახარ) ერთ გლეხს თავს დასხმიან ავაზაკები, — წერდა „ერთობა“, — რომლებიც სოფლელებმა დაიჭირეს და დაჭრიტეს. ყველა ის ავაზაკები აზნურება გამოდგნენ. ამ შემთხვევის გამო გაერცელდა ხმა, რომ თავად-ანაურობმა ირაზედა და ესხმის თავს გლეხობასო“. ეს გახზდარა იმის მიზეზი, რომ ქართლში ყოფილ ჯარისკაცებს შეუდგენით რაზმი თავად-ანაურობისათვის იარაღის ჩამოსართმევად².

¹ „ერთობა“ № 63, 1918.

¹ „ერთობა“ № 207, 1917
² „ერთობა“ № 220, 1917.
³ გაზეთის ტექსტში ნახარო სიტყვა: „სავანაპირო („კრავიო“). ჩვენს მიერ შეცვლილია თანამედროვე ტერმინით.

თავად-აზნაურობის დარღვევის შესახებ გავრცელებული ხმა უბრალო კორო არ ყოფილა. უფრო გვიან გამოიჩინა, რომ იმ ხანებში თავადები ნამდვილად ფიქრობდნენ გლეხების წინააღმდეგ საკუთარი შეიარაღებული ძალის გამოყენებას. ამას მოწმობს ვახუთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1918 წლის 29 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული „მთავრობის ცნობა გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილის და სხვათა დაპყრობის შესახებ“. ცნობაში ნათქვამია:

„ყოფილი ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის გ. ბაგრატიონ-დავითაშვილის ბინაზე ფარულად თათბირს მართავდნენ. თათბირზე იხილავდნენ საკითხს, თუ როგორ აეღოთ გორის მხარის გლეხებიდან წარსული წლების დღე-ღამე ის ზარალი, რომელიც მათ მიადევნეს გლეხებმა რევოლუციის დაწყებიდან. გადაწყვეტილი იქნა მოეწყობოთ მთავრობისაგან ფარულად შეიარაღებული აზნაურთა რაზმი, რომელსაც მიენდობოდა დღის შეკრება და ზარალის ანაზღაურება. ეს რაზმი უნდა მოწყობილიყო აზნაურთა შვიი რაზმის დაგვირგაბით, რომელიც 1905 წელს გორის მხარაში დაპყროდა ცნობილ აბდუშელიშვილის ზღვამდევანლობით“.

ცნობიდან ირკვევა, რომ ამ საქმის გამო დაპატიმრებულ იქნენ გიორგი, დავით და ვასილ ბაგრატიონ-დავითაშვილები, რომან და ივანე ბეგთაშვილები, ალექსანდრე დეკანოზიშვილი და როსტო ამირჯვანი.

ამრიგად, 1918 წლის დასაწყისში აშკარა გახდა, რომ სოფლად ნამდვილი სამოქალაქო ომი ჩაღებოდა. ცალკეულ შემთხვევით კარბიდაობებზე ავარდნილმა ცეცხლის აღმა მენშევიკი ხელისუფლები კვლავ პირისპირ დააყენა მათთვის არასასიამოვნო აგრარული საკითხის წინაშე. ახლა ისინი დარწმუნდნენ, რომ 16 დეკემბრის არაფრისმთქმელი დებულებით ფრის გასვლა უკვე აღარ შეიძლებოდა. საჭირო იყო უფრო კონკრეტული ღონისძიებების გატარება შემთხვევითი მიწების ჩამოსართმევად და გლეხობისათვის გადასაცემად.

„თქვენ იცით, რომ ჩვენში, განსაკუთრებით მხარებში, ფეხს იკიდებს და თანდათან იზრდება ანარქია...—განაცხადა ნ. გორდანიამ ამიერკავკასიის სეიმში 1918 წლის 15 თებერვალს, — რომ ალაგი ჰქონდა მეტად ამაღლებულ მესტეებს... არც ერთ ხალხს არ უძლია რევოლუციის ნაყოფისათვის ერთი წლის განმავლობაში. ჩვენში კი ავერ ერთი წელი გადის და ხალხს არ მიუღია ის, რის გულისთვისაც ის აღდნდა რევოლუციას; დღემდე ვერ მოხერხდა აგრარული საკითხის გადაჭრა... სანამ არ გადაიჭრება მიწის საკითხი, სანამ არ მივეცემ

ხალხს იმას, რაც აღუთქვით, ანარქია სოფელში თანდათან ვაძლიერდება“¹.

და იმ სწორედ იმ მიზნით, რომ ნიადაგი გამოისტოვოდა გლეხთა რევოლუციურ გამოსვლას, რომლებსაც მენშევიკების ბელადი ანარქიად ნათლავდა, სეიმის მენშევიკური ფრაქციის ინიციატივით სასწრაფოდ შემუშავდა დებულება „მიწის მფლობელთა ხელში დასატოვებელი მიწის ნორმისა და საადგილმამულო რაფორმის განსახორციელებელი ზომების“ შესახებ. ეს დებულება სეიმმა დამტკიცა 1918 წლის 7 მარტს².

ახალ კანონში, როგორც იქნა, იღინიშნა, რომ მიწათმფლობელებს მათთვის დასატოვებელი ნორმის ზევით მიწები ჩამოერთმეოდნენ უფასოდ. ამ ნორმის შესახებ კი დებულებაში ნათქვამი იყო:

„ჩამორთმეული მიწების შეპატრონეთ დაუტოვებენ:

ა) 7 დესეტინას; თუ ამ რაიონში ეწევიან ძვირფასი კულტურის შეერწყობას;

ბ) 15 დესეტინას, უკეთეს მარტო პეტრის თესვის მიხედვით ამ რაიონში;

გ) და 40 დესეტინას, უკეთეს შინაურ საქონლის მოშენებას მიხედვით“. კანონის ამ პუნქტისათვის დართული შენიშვნის თანახმად საოლქო და საგუბერნიო საადგილმამულო კომიტეტებს უფლება ეძლეოდათ „ადგილობრივი პირობების მიხედვით“ გაედიდებინათ პირველი ნორმა—10 დესეტინამდე, მეორე — 20 დესეტინამდე და მესამე — 50 დესეტინამდე.

გლეხებისათვის მიწის მიცემის შესახებ კანონში მხოლოდ ზოგადი ხასიათის პუნქტი იყო შეტანილი: „ჩამორთმეული მიწებით უნდა დაეზოგოფილებულ იქნას უმიწაყულო და ცირა მიწის მქონე მშრომელი მიწის მომუშავე“.

ამრიგად, 7 მარტის დებულება ასე თუ ისე წყვეტდა შემთხვევითათვის მიწების ჩამორთმევის საკითხს, მაგრამ მის საფუძველზე გლეხები მიწას მაინც ვერ მიიღებდნენ. აქაც კანონის ავტორებს საქმე ბოლომდე არ მიუყვანიათ: მათ მიუთითეს, როგორც ნორმა უნდა დარჩენოდათ შემთხვევებს, მაგრამ სამაგიეროდ არ განსაზღვრეს, რა წესით და ზომით უნდა მისცემოდა მიწა გლეხებს. ცხადია, მენშევიკები იმ დროს კვლავ მუნიციპალიტეტის ნიადაგზე იდგნენ, მაგრამ გლეხთა მღელვარების გამო მიწების იჯარით გაცემაზე ლაპარაკს ერიდებოდნენ.

ვერც შვიდი მარტის კანონმა გაამართლა მენშევიკების იმედები. გლეხთა მოძრაობა არა თუ არ წელდებოდა, არამედ პირიქით, ძლიერდებოდა და ორგანიზებულ ხასიათს იღებდა.

¹ „ერთობა“ № 40, 1918.

² ორცხა, ფონდი 118, საქმე 752, ფ. 4.

³ „ერთობა“ № 56, 1918.

სეიმის მოწვევის პირველ დღეებშივე, 23 თებერვალს, დიწყო გლეხთა შეიარაღებული აჯანყება ლენჩხუის მაზრაში. აჯანყებულები მოუწოდებდნენ საქართველოს ყველა მშრომელს საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ბრძოლისათვის. მარტში შეიარაღებულმა აჯანყებამ იფეთქა სენაკის მაზრაში სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში.

ამიერკავკასიის სეიმის მიერ მხარის საბჭოთა რუსეთისაგან გამოყოფის დაკანონებამ კიდევ უფრო გააღვივა ხალხში ღრმა უკმაყოფილების ნაღვერდალი. 1918 წლის ზაფხულში მოხდა გლეხობის ყველაზე დიდი შეიარაღებული გაბუნძვლა მენშევიკურ საქართველოში — დუშეთის აჯანყება. აჯანყებულებმა მოიწვიეს გლეხთა ყრილობა და მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.

მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე საჩხერის და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

გლეხთა აჯანყებებს საქართველოში პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ.

ამრიგად, მთელი 1918 წლის განმავლობაში მენშევიკური საქართველო გლეხური ომის ასპარეზს წარმოადგენდა. მენშევიკებმა მთავრობამ რევოლუციური სამხედრო ნაწილების გამოყენებით ეს ხანგრძლივი ომი, ბილის, მოგოგ, მაგრამ გასაგებია, რომ იგი ამით გლეხობის გულს ვერ მოიგებდა.

1918 წლის ამაბემა კიდევ უფრო განამტკიცეს მენშევიკების ცნობილი უნდობლობა გლეხობის მიმართ. ნ. ჟორდანიამ ახლა უკვე საბოლოოდ ჩამოაყალიბა ძველი მენშევიკური „თერია“ გლეხობის ვითომდა გარდევალ: რეპრესიულობის შესახებ. და ეს ვასაკვირიც არ არის. ჟორდანიამ ხომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის იმ ძველ მესვეურთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელსაც პროლეტარიატის მოკავშირედ დემოკრატიულ რევოლუციაში მიიხანდა ლიბერალური ბურჟუაზია და არამე და არამე ეგებობდა. სწორედ ამის გამო შენიშნავდა ვ. ი. ლენინი 1905 წელს: „იგი (ჟორდანი) მსჯელობს დემოკრატიულ გადატრიალებაში პროლეტარიატის შესაძლებელი იზოლირების საკითხზე და იფიქრებს... იფიქრებს წერილმანს... გლეხობას! პროლეტარიატის შესაძლებელ მოკავშირეთაგან ის იცნობს და ირჩევს ერთბაშად შემამულეებს და არ იცნობს გლეხებს. და ეს ზღბდა კავკასიაში!“ 1.

რუსეთში ორი რევოლუციის შემდეგაც ნ. ჟორდანიამ გლეხობაზე თავისი ძველი ანტი-მარქსისტული შეხედულების ერთგული დარჩა. მეტიც, ახალ პირობებში მან კიდევ უფრო

გააღრმავა ეს შეხედულება. მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებებს „ლენინი და საშუალო გლეხობა აწყობდა...“ კვლასათვის უდავო ფაქტის აღიარება კი მენშევიკებისათვის ხელსაყრელი არ იყო. სწორედ ამიტომ ნ. ჟორდანიამ ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ თითქმის მიმდინარე რევოლუციაში სხვადასხვაგვარი პოლიტიკურ როლს ასრულებენ არა გლეხობის სხვადასხვა სოციალური ფენები, არამედ მთლიანი გლეხობის სხვადასხვა ნაწილები, ასე ვთქვათ, მათი გეოგრაფიული განლაგების მიხედვით. „არის ორნაირი გლეხობა, — ამტკიცებდა ნ. ჟორდანიამ 1918 წლის აგვისტოში — ჩამორჩენილი, რომელსაც არა ჰქონია პირადი ურთიერთობა ქალაქთან და მუშათა დემოკრატიასთან... და მოწინავე გლეხობა, რომელიც ცხოვრობს ქალაქების ახლო, ყოფილა ქალაქში გარე სამუშაოებზე... პირველი — რეპრესიის საფუძველია, მეორე — ემხრობა რევოლუციურ მუშათა დემოკრატიას... ჩვენში, საქართველოში, გლეხობის ეს ორი ფენა ნათლად გამოიხატა: დუშეთის, ლენჩხუის, ზუგდიდის და სხვა მთიანი მაზრების გლეხობასთან ბრძოლაში ჩვენ შეგვიძლია დავუპრდნოთ სხვა მაზრების მოწინავე გლეხობას“ 1.

რასაკვირველია, მაშინდელი საქართველოს პირობებში ამ მსჯელობას სინამდვილესთან საერთო არაფერი ჰქონდა. თუ გლეხობის გარე სამუშაოზე გასვლის შესახებ ვილაპარაკებთ, აჯანყებული მაზრები ამ მხრივ საქართველოს სხვა კუთხეებზე უკან არ იდგნენ. მაგალითად, ლენჩხუში, მისი მუხობელი რაიონის მსგავსად, გარე სამუშაოზე გამსვლელთა ძალიან დიდ რაოდენობას იძლეოდა. იგივე ითქმის სამეგრელოზე, სამხრეთ ოსეთზე, ასე რომ გარე სამუშაოებზე გასვლა და ქალაქთან სიახლოვე უურობით მოთრეული საბუთებია და სრულიად არაფერს ამტკიცებს.

აჯანყებათა ნამდვილი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მენშევიკურ საქართველოში, მმართველი პარტიის დაპირებების მიუხედავად, გადაურჩელი რჩებოდა ჩვენს ქვეყანაში „ბურჟუაზიული რევოლუციის მთავარი ეკონომიური საკითხი“ — მიწის საკითხი. ფეოდალიზმის გაღმონამოები მშრომელ გლეხობას კვლავ სულს უზუთავდა. ამიტომაც იგი — მთაშიაც და მარშიაც — ერთნაირად უკმაყოფილო იყო მენშევიკური მთავრობის პოლიტიკით. ტყუილად კი არ წერდა გლეხთა აჯანყებების დაწყებისას თვით მენშევიკების ვახუთი „ერთობა“: „...სოფელში ძალიან ბევრი მასალა იყო დაგროვილი და ყოველ წუთში მოსალოდნელი

1 ვ. ი. ლენინი, თხულებანი, ტ. 7, გვ. 62.

1 Н. Жордания. Зарядка года, Т., 1919, стр. 118—119.

იყო ცეცხლის გაწენა¹. და თუ შითან ადგილებში გლეხთა მოძრაობას მეტი წარმატება ჰქონდა, ეს იმით აიხსნებოდა, რომ იქ მენშევიკურ ადმინისტრაციას, გვარდაბს და გერმანულ ოკუპანტებს ხელი უფრო ნაკლებად მოუწვდებოდათ, ვიდრე ბარში.

„რევოლუციური“ და „რეაქციული“ გლეხობის გეოგრაფიული ნიშნით გამოიყენა ნ. ჟორდანიას ხელი არ შეუშალა იმავე მოხსენებაში ქართველი გლეხობა შთაღიანად რეაქციულ ძალად გამოცხადებინა. თანამედროვე ცოცხალი სინამდვილე ამის საწინააღმდეგოდ დაბარაკობდა. ამიტომაც მენშევიკების თეორიტიკოსი თავისი თვისის დასასაბუთებლად მხოლოდ და მხოლოდ ისტორიულ ანალოგიებს მიმართავდა. იგი საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციის შებლონებით ზომავდა და აფასებდა ქართველი გლეხობის დაუცხრომელ ბრძოლას მენშევიკური რეჟიმის დასამობად და პათეტიკურად მოუწოდებდა თავის მიმდევრებს: „დროა ბოლო მოვუღოთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიამი ნაროდნიკულ გლეხურ ილუზიითა ბატონობას... და მტკიცედ დავდგეთ რევოლუციის სადარჯლოზე გლეხური რეაქციის წინააღმდეგ“².

გლეხური აჯანყებები კი გრძელდებოდა. მათი რეაქციულად გამოცხადება და სამხედრო ძალით დათრგუნვა ერთ-ერთ მზარასი არ იძლეოდა გარანტიას, რომ სხვა მზარებში ახალი აჯანყებები არ დაიწყებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ მენშევიკების მესვეურები კვლავ და კვლავ უბრუნდებოდნენ გლეხობის უკმაყოფილების საფუძველს — აგარული საყიბის გადავირელობას. „უნდა ითქვას სიმართლე, რომ ჩვენ ცოტა დავიგვიანეთ სოფლის ცხოვრების მოწყოლაში და ამიტომაც, რომ ზოგჯერ სოფლები ანარქიამ მოიცვა, — ამბობდა ნ. ჟორდანიას 1918 წლის 24 ივნისს ეროვნულ საბჭოში. — ჩვენ აგარული კანონი კი გვაქვს, მაგრამ ის ცალმხრივია, რადგან იქ აღნიშნულია, თუ ვის რამდენი ჩამოერთვას და რამდენი დაერთვას; მაგრამ ვის მიეცეს — გლეხებს თუ სახელმწიფოს, ამის შესახებ უნდა გამოიცეს კანონი“³.

კითხვის ასე დაყენება უკვე მოწმობდა, რომ მენშევიკები ახლა მზად იყვნენ დაეთმოთ ყბადღებული მუნიციპალიზაცია და მიწები დაუნაწილებინათ. ასეთ გამოსავალს მათ 7 მარტის კანონის პრაქტიკულად გატარების სიძველე უნარჩუნებდათ. არა მარტო აჯანყებული რაიონების, — შვედობიანი და „დაშვადლებული“

მზარების გლეხობაც თავიდანვე უნდობლობის თვლით უყურებდა ამიერკავკასიურ მენშევიკებს. იგი ხედავდა, რომ ამიერკავკასიურ მენშევიკებზე მიწას ვერ მიიღებდა და ბევრგან სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა მის განხორციელებას.

„საფრანგეთის რევოლუციამ ბატონობა გასტეხა და შემამულეები დააშო, რასაც მეფის გადაყენება მოჰყვა, — წერდა უღმგლო ისტორიული ანალოგიების მოვეარული „ერთობა“, — ვინაილი გლეხები კი მეფეს გამოეჭომაგენ და მისი ტახტზე აყვანა მოითხოვეს, რითაც მებატონის უღელს ისევ თავისი ნებით კისრზე იდგამდნენ. ასე ემართება ჩვენს გლეხებსაც. მათთან მიღის სამიწათმფლობელო კომუნა, რომელმაც თავისა და შემამულეს მიწა უნდა ჩამოართვას, ისინი კი კტით ერგებინან“⁴.

„ღუშეთის მზარის გლეხები, — იტყობინება იგივე გაზეთი, — უარყოფენ მიმღებ კომისიებს და უცხადებენ, რომ სრულიად ისაკუთრებენ მიწებს, შემამულეს არაფერს უტოვებენ და ერთმანეთში ინაწილებენ“⁵.

„გლეხებმა კომისიებს განუცხადეს, — წერს „ერთობის“ კორესპონდენტი ქარელის რაიონიდან, — ...თქვენ თავადებს უზომავთ შეიღმეოდ ღესეტინას და ჩვენ როდის მოგვეცემთ, ჩვენ არ ვიცითო და ეს იმას ნიშნავს, რომ, რადგან მათ უზომავთ, თქვენ თავადების გამოგზავნილი კომისია ხართო“⁶.

გლეხობას ჰქონდა საკმაო საფუძველი მენშევიკური საადგილმამულო კომისიები თავადების კომისიებთან ჩაითალა: ჯერ ერთი, ის ხედავდა, რომ შემამულეებს საქართველოს პირობებისათვის შალდა ნორმით უტოვებდნენ მიწას; მეორეც, შემამულეებისათვის ნორმის გამოყოფა ახლა მტკიცად უკვე იმ მიწებთან ხდებოდა, რომლებსაც გლეხები რევოლუციის შემდეგ თვითნებურად დაეპატრონენ.

ეს უცანასკნელი გარემოება განსაკუთრებულად უტრადლებს ღირსია. სანამ მენშევიკი ხელისუფალი თავიანთ კულმოკვიცილ აგარულ კანონებს თხოვდნენ და ამით დრო გაჟაყდნათ, გლეხები ძალით იყავდნენ მათთვის სანულარ მიწას, ეს პრაქციის ისე სწრაფად მიმდინარეობდა, რომ თურმე, „როცა 1917 წლის 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოსცა თავისი ცნობილი დეკრეტი. მიწები ფაქტიურად უკვე გადასული იყო გლეხების ხელში“⁷.

ამრიგად, მენშევიკური აგარული რეფორ-

¹ „ერთობა“ № 29, 1918.

² Н. Жордания, За два года, стр. 119.

³ „ერთობა“ № 130, 1918.

⁴ „ერთობა“ № 134, 1918.

⁵ „ერთობა“ № 141, 1918.

⁶ „ერთობა“ № 161, 1918.

⁷ „ერთობა“ № 238, 1918.

მის განხორციელებისას შემამულური მიწათ-
მფლობელობა იყვანა უკვე მხოლოდ ნომინალ-
ური ხასიათის ატაობდა. ეს, ცხადია, არ ნიშ-
ნავდა, რომ აგრარული საკითხი საბოლოოდ
გადაწყვეტილი იყო; შემამულეთა მიწა, ადგილი
იმ ადგილებშიც, სადა იგი გლეხობამ მიი-
ტა, ისევ ცილობის სახეზე რჩებოდა. გლეხობის
საგარეო ნაწილს სრულიად არაფერი მიუ-
ღია, ნაწილიც შემამულეთს უთახხმდებოდა
და დაკავებულ მიწის ყიდულობდა, რის შესა-
ხებაც საბოლოოდ ზოგჯერ უკანა რიცხვით აღ-
გესდეს. ელთა სიტყვით, იყოთსარგებლობა-
ში სრული არეულობა იმართებოდა. 7 მარტის
დებულების საფუძველზე შემამულეთებისათვის
ნორჩების გამოყოფით და დანარჩენი მიწის
ნაპრობუდვით საკითხის მხოლოდ ერთი მხარე
წყდებოდა — ისპობოდა მსხვილი მიწათმფლო-
ბელობა, რაც შეეხება გლეხობას, მას ეს კა-
ნონი არც დაკავებული მიწების შენარჩუნების
გარანტიას აძლევდა და არც ახალი მიწების მი-
ღების პერსპექტივას უზნობდა.

მენიციპალიზაციის იდეის გამოყენებით ჩიხ-
ში მოწყვეტულმა მენეჯერებმა ბოლოს გადა-
წყვეტეს ჩაბრუნებული მიწები გლეხებისათვის
კერძო საკუთრებად დაენაწილებინათ. სათანადო
კანონის მიღების წინ მენეჯერებმა პრესამ
იზარყო ამ საკითხზე ახრთა გაცვლა-გამოცვლის
მიზანობა, რომლის მონაწილეებს ერთი სიტყვაც
არ უთქვამთ მენიციპალიზაციის სასარგებლოდ.
...გლეხობის უმრავლესობას, როგორც უკუ-
ბრუნოს და გაუნათლებელს, ვერ შეუგნია მიწის
კომპიტებრის დანიშნულება; მას იჯარის გაგონება
ცლავ იმავე შემამულეთს აგონებს და (ის) უნ-
დალად გაიოიურება... — ასეთი სიტყვებით
გამოხატა ერთ-ერთი სადისკუსიო წერილის
ავტორმა გლეხობის მიერ მენიციპალიზაციის
უიყოფის იხეხი. ...ჩვენ სასურველათ
მიგანდა მიწების მენიციპალიზაცია. მაგრამ
ცხოვრების კანონი უფრო ძლიერი აღმოჩნდა,
ვიდრე ჩვენი განზრახვები... წერილ წარმოე-
ბას... კერძო საკუთრება უფრო ეგებება... ამი-
ტომ ავიღეთ ჩვენ ხელი მენიციპალიზაციაზე
და შეგნებდით ისეთ ფორმაზე, რომელიც არც
ეკონომიკურ განვითარებას შეზორკავს და არც
გლეხობისათვის იქნება მიუღებელი. ეს არის
მიწის კერძო საკუთრება — წერდა სარგებ-
ეციო სტატიის „ერთობა“ 1918 წლის 6 ნომე-
ბერს.

მიწის კერძო საკუთრებად მიცემით მენეჯერ-
კური პარტია ვარაუდობდა დაძვლია გლეხობის
გულგრილი, ხშირად კი მტრული დამოკიდებუ-
ლება არსებული რეგიონისადმი, მისი დაცვის

საქმისადმი. ამას განსაკუთრებით ხაზი ესმე-
ბოდა საგანგებო წერილებში დეკლარაციულ
პირთა გამოსვლებში. „კერძო საკუთრებაზე
მიწების დარიგება... მისაღებია აგრეთვე პო-
ლიტიკური თვალსაზრისითაც, — ამბობდა მი-
წათმომქმედების მინისტრი ნ. ხომერკი მენეჯ-
ერული პარტიის წარმომადგენელთა მერვე
ყრილობაზე. — (ის) გლეხკაცობას გახდის ერთ-
გულ დამცველათ ჩვენი პოლიტიკური წყობი-
ლებისად... რაკი ის მიწის საკუთრებათ მიიღებს,
იგი მისი დამცველიც იქნება“ 1.

შემდეგ საკითხი იმას ეხებოდა, თუ როგორ
გადაცემოდა გლეხებს მიწა; ფასით თუ უფა-
სოდ. რსდმპ ძველი პროგრამა ამ საკითხზე
მოითვებდა არ იძლეოდა. საპატივით კარგულ
მენეჯერებს თვალწინ ედგათ საფრანგეთის რე-
ვოლუციის გამოცდილება, რომელსაც ისინი,
როგორც ერთგან კიდევაც აღვნიშნეთ, ხშირად
უადგილოდ იშველიებდნენ. ისევე როგორც
1793 წლის კონვენტმა, მათაც გადაწყვეტილ შე-
მამულეთათგან ჩამორთმეული მიწების ნაწილი
გლეხობისათვის მიეყოდა. ცხადია, 1919—1920
წლების საქართველოში შეუძლებელი იყო ასე-
თი მიწების საჯარო ეპრობით და შეუზღუდა-
ვად გაყოფა. ამას მუდამ მღელვარე უმიწაწელო
და მცირემიწიანი გლეხობა არ მოითმენდა. ამი-
ტომაც კონფისკებული მიწების გაყოფის ფრან-
გული გამოცდილება „დემოკრატიულ“ საქა-
რეთლოში მენეჯერული მოდიფიკაციით განხორ-
ციელდა. „ჩვენ სასტიკი წინააღმდეგი ვართ,
რომ მიწები ბუნარზე გაეიტანათ, და, როგორც
ეს საფრანგეთის რევოლუციის დროს მოხდა,
საჯაროთ გაეყოლოთ“, — ვითვლებთ ნ. ხომე-
რკის მიერ პარლამენტში წარდგენილ „გან-
მარტების წერილში“. — „ამირა ჩვენ იმის წი-
ნააღმდეგაც ვართ, რომ ის (მიწა) სრულიათ
უსასყიდლოთ დარიგდეს. მაშასადამე მიწის
მიღებს რაღაც საფასური უნდა გადახდეს“ 2.

„განმარტებითი წერილის“ იმავე გვერდიდან
ირკვევა, რომ, მიუხედავად ასეთი „სასტიკი
წინააღმდეგობისა“, მენეჯერული მიწათმომქმე-
დების სამინისტრო ვარაუდობდა ამ თინამსური
ოპერაციით ამოგო საშუალებები კაპიტალური
მშენებლობის მეტად ვრცელი პროგრამის შესას-
რულებლად და სოფლის მეურნეობის განვი-
თარების დასაგრედიტებლად. განაწილებული
მიწების საფასურის გამოანგარიშებას, წერილის
მინედეით, ვარდა რეფორმის გატარების უშუა-
ლო ხარჯებისა და ამ მიწების ზედრი სავი-
რანო საბანკო ვალებისა, საფუძვლად უნდა
დადებოდა: ა) შვეი ზღვის ნაპირზე (კოლხეთი)
60-80 ათასი დესეტინა ჭაობის ამორბობის,
შირაქის ელზე 60 ათასი, ყარაიაში დამატებით

1 იხ. „ერთობა“ № 223, ზ. დათიაშვილის წე-
რილი.

2 „ერთობა“ № 141, 1918.

1 „ერთობა“ № 248, 1918 წ.

2 ოცსა, ფონდი 19, საქმე 105, ფ. 6.

20 ათასი და თბილისსა და მდინარე იორს შუა (სამგორი) 31 ათასი დენკინა ფართობის მორწყვის ღირებულება. ამ სამუშაოებს, ავტორის აზრით, „სულ ცოტა 70-90 მილიონი მანეთი მოუწოდებოდა“ (იხილეთ მენშევიკური პონეხის);
 ბ) გლეხობისათვის იაფი და უპროცენტო კრედიტის მისაცემად საჭირო 70 მილიონი მანეთი, აქედან ნ. ხოშორის გამოკავდა დასკვნა: საკუთრებად გასანაწილებელი მიწა 200 — 250 მილიონ მანეთად, უნდა გაიყიდოს.

ეს ანგარიში ამტკიცებს, რომ მენშევიკურ მიწათმოქმედების სამინისტროს შორეული წარმოდგენაც არ ჰქონდა კოლხეთის ჰაობების ამოშრობისა და სამგორ-შირაქის ველების მორწყვის სამუშაოთა მისაღებად და ღირებულებაზე, მაგრამ სამაგვიროდ მის არ აყლდა სიხარბე გლეხობის ფულის მიმართ.

ასეთი სამზადისის ჩატარების შემდეგ 1919 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორი კანონი მიწის შესახებ. ერთი მათგანით სხვადასხვა კატეგორიების გლეხთა კერძო საკუთრებად გამოცხადდა როგორც სანადელო, ისე სხვადასხვა უფლებით შათს სარგებლობაში მყოფი მიწები 1918 წლის 7 მარტის დებულებით დადგენილი ნორმების ფარგლებში¹. მეორე კანონი შეეხებოდა „სახელმწიფო სადგომამპულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მიწის კერძო საკუთრებათ მიცემას“². ამ უკანასკნელს თანახმად სახელმწიფო ფონდიდან მიწა მიეყოფებოდა სოფლის მცხოვრებთ საკომლოდ იმ ზომით, რომ კომლის ძველ მიწებთან ერთად მის საკუთრებაში თავმოყრილ შთელ ფართობს 1918 წლის 7 მარტის ნორმებისათვის არ გადაეკარებინა. კანონით განისაზღვრა გასანაწილებელი მიწის ფასი: დესტინისა — 400-დან 1000 მანეთამდე, ხოლო „ქალაქის ახლო მდებარე მიწები, აგრეთვე ეენახები და გაშენებული ადგილები“ მათი „ნამდვილი ღირებულების მიხედვით“, ე. ი. საბაზრო ფასებში უნდა გაყიდულიყო.

ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 23 თებერვლის დადგენილებით მიწის ყიდვა-გაყიდვა რესპუბლიკაში სავრთოდ შეჩერებული იყო. 1919 წლის 28 იანვრის კანონით შეძენილი მიწის გაყიდვა მესაკუთრეს თითქმის სპეციალურადაც ეკრძალებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმავე კანონის მე-19 მუხლი უკვე შეიცავდა მისი განსხვავების პრინციპულ სანქციას. „ყოველ შემთხვევაში, როცა ამ კანონით შეძენილი მიწების გადაცემა ხდება, — ვკითხულობთ სხენებულ მუხლში, — სამაზრო ერობას უნდა მიეცეს უპირატესობა შეიძინოს ეს

მიწა გადახდილ ფასზე იმ ხარჯების დამატებით, რომელიც სახელმწიფო ფონდიდან მიწის შეძენის გაულისა მამულის განაუქმურებულად დღიდან შექმენისა... ამ მოთხოვნას არ ექვემდებარება ის შემთხვევა, როცა რომელიმე პირი შეძენილ მიწას სახელმწიფო გადასაცემს თავის ოჯახის წევრებს“, აქედან დიდი მანძილი არ რჩებოდა მიწის ყიდვა-გაყიდვის გამოცხადებაზე.

ამრიგად, მუნიციპალიზაცია გლეხობისათვის სრულიად მიუღებელი და არსებითად განუხორციელებელი აღმოჩნდა. მიწის კერძო საკუთრებად განაწილებისაგან კი ჭარბეული მენშევიკები ბევრ სიკეთეს გამოელოდნენ. ამიტომაც მათ ადვილად ჩააბარეს არქივის მუნიციპალიზაციის იდეა და მოეპოტინენ მენშევიკური აგრარული პროგრამის იმ ადგილს, სადაც ლაბარაკია მუნიციპალიზაციისათვის „არახელსაყრელ პირობებში“ შემამულეთა მიწების დაყოფის შესახებ გლეხებს შორის, ჭარბეული მენშევიკებისაგან ძველი აგრარული პროგრამის ამ პუნქტის წინ წამოწევა მოულოდნელი არ იყო. იგი კოსტროვის (ნ. ყორდანიას ძველი ფსევდონიმი) შეთხზულია და მისი წინადადებით შეიტანა რსდმ IV (გამართლანებულმა) ურილობამ მასლაციულ აგრარულ პროგრამაში, რომელსაც სწორედ ამის გამო საბოლოოდ შერჩა „კასტრირებული“ პროგრამის სახელი¹.

ჭარბეული მენშევიკების მიერ გატარებული აგრარული რეფორმით პრაქტიკულად დამტკიცდა, რომ რუსული მენშევიკების „კასტრირებული“ აგრარული პროგრამა მარქსისტული პარტიისათვის შეუფერებელი და გამოუსადეგარი იყო. ეს პირველ ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ სრული მარცხი განიცადა მისმა მთავარმა იდეამ — მუნიციპალიზაციამ. ისტორიამ მთლიანად დაადასტურა ვ. ი. ლენინის შესანიშნავი განჭვრეტა: „...მუნიციპალიზაციაში ჩვენ ეხედეთ ნამდვილ აგრარულ მიმეტალიზმს; ყველაზე ძველი, მობერებული და დრომოქმული, შუასაუკუნეობრივი სანადელო საკუთრების შეერთებას მიწის კერძო საკუთრების არარსებობასთან, ე. ი. სადავლამპულო ურთიერთობასთან“.

¹ В. И. Ленин. Сочинения, изд. 4-е, т. 10, стр. 318.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ქართული გამოცემის რედაქციას ეს სიტყვათა თამაში უფრადღებოდან გაუშვია და კასტრირованная программа „დასაქურისებულ პროგრამად“ უთავგმნია (იხ. ტ. 10, გვ. 417). იმით ქართულ ტექსტში სრულბით იყარება ვ. ი. ლენინის ნაშრომში შემონახული კალამბურის აზრი და გაუგებარი რჩება მენშევიკური აგრარული პროგრამისათვის მიუთვნებული ირონიული ეპითეტა.

¹ იხ. ვახუთი „საქართველოს რესპუბლიკა“ № 30, 1919.

² „საქართველოს რესპუბლიკა“ № 32, 1919.

ბის უაღრესად მოწინავე, თეორიულად იდეალურ წყობასთან კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ეს აგრარული ბიმეტალიზმი თეორიულად აბსურდია, წმინდა ეკონომიური თვალსაზრისით რაღაც შეუძლებელი რამაა¹. ქართველ მენშევიკებს, რომლებიც პოლიტიკური მოსაზრებით წლინახევრის განმავლობაში დაყინებით აცანონებდნენ მუნიციპალიზაციას, ამ ღონისძიებებზე სწორედ მისმა ეკონომიურმა უნადავობამ ააღებინათ ხელი.

კონფისკებული მიწების გლეხებისათვის დაუოფლაზე გადასვლაც მენშევიკებმა დაუცემირეს სათანადო იურადიული აქტებით მიწის კერძო საკუთრების საერთო განმტკიცებას, რაც უთუოდ კაპიტალისტური განვითარების ხანგრძლივი პერიოდისათვის იყო ნავარდუდები და აბუცულბლად გელისხმობდა მომავალში მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის შემოღებას. ამას კი, ცხადია, შედეგად მოჰყვებოდა მიწების კონ-

ცენტრაცია ახლა უკვე კაპიტალისტურ მესაკუთრეთა ხელში და გლეხობის დიდწიფილესგაღატაკება, მოჯამაგირებლად გადქცევა მისად სოციალიზმის განხორციელება რეალურ მიზნად მიიჩნდა, ის ამ გზით არ წავიდოდა. სწორედ ამიტომ პრინციპულად სულ სხვა საფუძვლებს ემყარებოდა ბოლშევიკების აგრარული პოლიტიკა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულმა მიწის ნაციონალიზაციამ მიწის კერძო საკუთრების გაუქმებით მოსპო უდიდესი დაბრკოლება სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის გზაზე. ამავე დროს იგი თავიდანვე გამორიცხავდა მიწის დაგროვებას ცალკეულ პირთა ხელში, თუმცა 1917 წლის 26 ოქტომბრის დეკრეტის თანახმად საბჭოთა რესპუბლიკაში მიწა გლეხებს შორის ნაწილდებოდა „ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, შრომითი ან მოხმარებითი ნორმის მიხედვით“¹.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 387.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 26, გვ. 301.

ბიორგი პარაჩიდაძე

შემოქმედებითი სიახლის პოეზია

ხელოვნებაში ყოველი ეპოქა ქმნის მისთვის დამახასიათებელ სტილს, ესთეტიკური აზროვნების თავისებურებას. შემოქმედების ინტეგრირებული პრაქტიკა დაკვირვება ააშკარავებს მხატვრული ოსტატობისა და სიახლისაკენ ღრთვის თავისებური იმპულსის არსებობას თვით ხელოვნებისა და ხელოვნების წინაგან ბუნებაში. ამას გამოხატავს სიმონ ჩიქოვანის რამდენიმე პროგრამული ხასიათის ლექსი. ერთ-ერთ მათგანში პოეტი ამბობს:

გადამღერება წმინდა ხმას ღუპავს,
ველარ გამოსთქვას სიმღერა წრფელი.
შემოქმედებას სიახლე უყვარს
ციხარტყელის და ქუხილის ფერი.

სიახლის ცნება ხელოვნებაში ნოვატორობასა და ორიგინალურობას უკავშირდება, ხოლო ორიგინალურობად ხშირად მიჩნეულია არა მხოლოდ ხელოვნების რალად უცნობი კანონების წვდომით შექმნილი ნაწარმოებები, არამედ ახალი მიზნებისა და შთანაფქვრების ხორციუქმსხმისათვის, გამოსახვის ცნობილი საშუალებების ახლებური გამოყენებაც. ასეთი სიახლის სათავე არის შემოქმედებაში გამოვლენილი ინდივიდუალური წინაგანი სამყარო და ემოციურობის სიძლიერე. აქ იღვამს ფესვებს ლექსებში ვალოლი სულიერი წინაარსი და პოეტის განცდა:

გვალვით დამწდარი შენი ტოტი ვარ,
შორით ზევეების ნისლი ვანქვრბიტე,
შენი უძღვები შეილი მოვდივარ,
ჩამხუტე და ზელი ჩამშვიდე...
შენ სიყვარულზე ისევე მიმღერე,
ოქროს თევზები ქვეშე ვარყევ.
მოდი, მომრეცხე ტანზე სიბერე
და გაზაფხულის კარი გამიღე...

მთხედვადე თემატური სხვაობისა, სიმონ ჩიქოვანის ამ ლექსს ბევრი რამ აქვს საერთო დღად გუდიმშვილის ბოლოდროინდელ ფარწერულ სურათთან „გაზაფხული“, რადგანაც ორივეგან, სურათისა და ლექსში, ჩვენთვის წაცნობი ძლიერი მხატვრული ინდივიდუალობის პარალელი

ღრუად გამოხელილია სიცოცხლის სიამეთა და მტაცების უღრესად ქართული შეგრძნება, რომელიც შერწყმულია მშობლიურ გარემოს სიახლოვის ილტაცებთან. რაც მთავარია, მათ აერთიანებთ არა მარტო სიცოცხლის მზიური სიყვარული, არამედ შემოქმედების გზით მისკენ ახალგაზრდული ენიინობით ღრთუვა. პოეტის ენერგიული სტრუქტურების ასეთ გზნებაში გამოხელილია ხარბი ტრფიალი მარადი სიცოცხლის გაზაფხულისადმი, რომლის სიმბოლოა სიკბამუცე. იგი აღამიანს ენიუება როგორც დაუსრულებელ სიამეთა ვანცლისა და მტკონეულ შეგრძნებათა უმრეტე წყარო. ესაა მღელვარება, რომელიც თან ახლავს პოეტის არსებობას:

არ დავგმორდე, სიკბამუცე!
არ დამშვიდდე სიცოცხლეო ჩემო!

კბამუცური სიახლის განცდა ხშირად თეთთაქცეული ხელოვნების საგნად, რადგანაც ს. ჩიქოვანისათვის

ლექსი ჰგავს ნებზე დათუთქულ საკმელს
და მხებერესთან სიცოცხლის კამათს.

ლექსისა და სიკბამუცის გაიგივება ნაცნობი მორტივია ქართული პოეზიისათვის. გაიხსენოთ გლეონიძის „სიმღერა პირველი თოვლისა“ ან „სიკბამუცე და ლექსი ერთთა“ და სხვები. ს. ჩიქოვანის პოეზიაში იგი სიმბოლოა სიცოცხლის ენებთან სიყვარულის, შემოქმედებითი იმპულსების სიფხიზლის, თავისებურად გაგებელი მშვენიერების, და მისი ბრწყინვალეობის დანრდილვა ან მისადმი ორგულობა იწყევს შემოქმედებით კრიზისისა და აღამიანურ ტრავედუიას. თვით შემოქმედებაში გარდასახული ეს გარემოება გამობატულია ს. ჩიქოვანის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „გამოთხოვება სიყმწვილესთან“:

ჩვენ ტრფობა დავგრა კიდეც ამყამად
და თუ გაეცრუდეთ, დავსრუდეთ მაშინ.
როგორც პარტურში ჩამქვდარი დრამა,
ან დამსხერტული ხომალდი ზღვაში.



ასეთი დრამატული პათოსი ცხადყოფს, რომ მისთვის ორგანულ პოეტურ სამყაროში პოეტს მხოლოდ უმჟაფრესი გულწრფელობით ამოაქვს თავისი სულიდან ყოველი ლექსის შინაარსი. პოეტის მრწამსსა და სიახლეს ვგრძნობთ ს. ჩიქოვანის ბოლოდროინდელ ლექსებში. ერთ-ერთი მათგანია — „ხმელი წიფელი“:

ნუთუ წიფელი გადფერდება,
ნუთუ ნებდება ტყეში სიბერეს,
ხაიოკს ეღრება.
ეწვევ ვედრება,
ვერ მოვშორდება მოხუცი წიფელს.
უღრანში ხმება თერმე წიფელი,
გამოფიტვლან ფესვთან ნიყვები,
ტყე ცას იფერებს,
როგორც სიწრფელს,
და შე წიფლასკენ ბილიკს მიყვებო.
მეც წიფელი ვარ, ამ ტყის მკვიდრი ვარ,
მზრებზე დაივსე ჭრელი ჩიტები,
ტყეში მივდივარ,
თითქო ბინდი ვარ,
და წიფელს ფესვზე მოვკეციდება.

ეს ლექსი ყურადღებას იქცევს არა მარტო თავისი შინაგანი კონსტრუქციის ორიგინალობით და ძველი ქართული პოეზიის ტრადიციებთან კავშირით, არამედ პოეტური კონცეფციის თავისებურებითაც. გარდა იმისა, რომ აქ მიღწეულია პოეტური განსჯისათვის აღებული საგნის პერსონიფიცირებულობის ის ვეცასეული გაჭრობა, რაც მას უზრალო აღგვორიაზე შიდა აყენებს, მასში ჩანს გარესამყაროს სურათოვნების სინთეტური შეგარება, რომელიც შინაგანი პარპონიის საფუძველზეა აღმოცენებული. ხმელი წიფელის სიმბოლიკა აქ უფრო მეტის გამომხატველია, ვიდრე პოეტური აღგვორიის თვალსაზრისი გულისხმობდა. პოეტის შინაგან ბილვაში არის განწირული მშვენიერების იდეალსაღმი თანაგრძნობა, როგორც სულიერი მოთხოვნისა და მისკენ მიზანდასახული ღრთობა, როგორც ესთეტიკური პრინციპის აღიარება.

სიახლათ და შინაგანი ინდივიდუალობით გამსჭვალული ზედეა ს. ჩიქოვანის პოეზიაში თან ახლავს პოეტური საგნის ობიექტურ განცდას, რომელიც გლნდება ბუნებისაღმი მიმართებაშიც. ს. ჩიქოვანის ლირიკულ სურათებში იწლება ბუნების მარად ცვალებადი სახეობის ფორმების გამოვლენის სხვადასხვაგვარობა და მათ მიერ გამოწვეული განცდა, რომელიც ბუნების მთლიანობის ხილვითაა პარპონირებული:

სანდლებს მწკრივი მიუშრება,
ზღვა დამშვიდდება აღონამდუ.

დილით გააღებს თვალებს ბუნება
და მზე შემოვა, როგორც ხომალდი
უტეოქცევი და გამოშვეება
ზღვის მოტანილი მლაშე სურნელი.
თეთრი ღრუბელი ზღვაზე გალღვება,
თვალწინ გალღვება თეთრი ღრუბელი...

ეტოვებ ნიჭარით შემკულ ხომალდებს,
შემიპყრობს დილით უცხო ზმანება,
და ზღვა თათოვით ტალღას მომადებს,
თვინიერ სპილოს დაემგვანება.

სიმონ ჩიქოვანი აქტიური სულის შემოქმედა და თვით ინტიმური ხასიათის ლექსებშიც რჩება მკვეთრი კონტრუბისა და ფერების პოეტად. მეთხველი შეგვეუღლია, რომ პეიზაჟებში პოეტები წვეულებრივ ეძებენ მღუშარებას, ისმენენ სიჩუმის მუსიკას, თვალებს ასვენებულ ტრადიციად ქცეულ სილურჯეში ვადასებ მწვანე ფერებზე. ს. ჩიქოვანის ლექსებში სხვაგვარია ბუნებისა და ფერთა განცდა — აქ ადამიანი და ბუნება ურთიერთს მსჭვალავენ:

—და თვალს მოაწყდა ურიცხვი ფერი,
ხარირებს შორით უხმობდა ფერი,
ტყე იყო ჭრელი,
ლაქვარდის მჭრელი,
აწ უნაბრო და უდაბური.
ქაღრებს ცხეი ჭრელი ჩითები
იფნებს — შეჭი და ქალი როგორი!
ფოთლებში თრთოდა ჩემი თითები
და ჩირაღდნებში ჩინდა ვომპორო.
მთაში წიწიბოს ყრიდა წიფელი,
ტყეს არ შეეძლო ქაღრებში თვლვა,
და მომჩვენა — ყვითელ წითელი
ტყეში შეჭრილი ცხენების რემა.
ვეღარ ვარჩევდი ლაქვარდის თავანს,
მზეს დაეცხრილა ეღლი ბარდები
ცვიქრობდი, ტყიდან ვერასდროს ვავალ
და თუ ვერ ვავალ, აქ დავბრძვავდები.

მოწითალო და ეღალი ფერები აქ იღწევს საღებაგების გამოსხივების მაქსიმალურ ინტენსივობას. აქ არ არის იღუმალ ფერთა მიმოქცევისა და ლოვლივის პოეზია, რომელსაც ჩვენ იმპრესიონისტთა სურათებში ან დებიუსის მუსიკაში შევიგრძნობთ. გავარდნილი „ყვითელ-წითელი ცხენების რემა“ და სხვაგვარადილი ტყის სურათი პოეტის შეგრძნებებში ბადებს დაძაბულობისა და ენერჯიის უფრო ტევალ განცდას, ვინემ პასიური იმპრესია. ეს ლექსი რეჩის სურათის „წითელი ცხენების“ ასოციაციას იწვევს: მთის მუქ მასივზე ვაფანტულია წითელი ცხენები, რიფაც მხატვარი

ანალოგიურ ექსპრესიას აღწევს.
ერთ-ერთ ლექსში ს. ჩიქოვანი წერს:
ხმების ოსტატი არა ვარ, ვიცი,
ხმა მიწუდება თუ მიწივის ყური,
მე მხოლოდ ხილულ მშვენივლით ვიწვი
და ბაღს მიაგავს პატარა გული.

ეს სტრიქონები თავისებური პროგრამა პოეტის სურათოვნებისავე მისწრაფების გასახსნელად და, მართლაც, ბუნების სანახაობის შეგრძნებისას, გმირული ან ტრაგიკული პეიზაჟის განცდილას, ს. ჩიქოვანის ლექსებში ხდება გრაფიკული წერისა და პლასტიკის ისეთი შერწყმა, რომელიც მათ სკულპტურულ გამოკეთილობას ანიჭებს:

მთების კრებული ვალობას იტყვის
ჩაუყვება ინგურს ჩხარას დიდება,
ფერღში დაჭრილი ახტება ჯიბზე
და კლდეზე რქებით დაეკიდება.

ზემოთ მოყვანილ სტრიქონებში პოეტი თავმდაბლურად უჩაყოფდა მის პოეზიაში გარეგნული მუსიკალური მომენტის არსებობას. ეს ნაწილობრივია გამართლებული, რადგანაც გარეგნული მომენტი აქ მხოლოდ თხელი ზედაპირული ფენაა, რომლის მიღმაც არსებობს შინაგანი მუსიკალური ფენომენი. მისი არსებობა თვით ზელოვნების სხვადასხვაგვართა შინაგანი ნათესაობითაა გაპირობებული. როგორც მხატვრის მიერ შექმნილ ფერწერულ ტილოზე ზოგიერთი გამოსახველობითი დეტალის სიუეტური მნიშვნელობა გამოწველია მხედველის წარმოდგენის დამოუკიდებლად ამოკმედებისავე, ასევე ხშირად რამდენიმე სიტუაციაში მოქცეული პოეტური სახე იწვევს უფრო ფართო და ტევად შეგრძნებებს, ვინემ მისი კონკრეტული შინაარსი გულისშობს. ს. ჩიქოვანის პოეტური სურათი, როგორც დაინახეთ, არაა მხოლოდ მხედველობითი შეგრძნების ჩარჩოში გამოკეტილი სახე. იგი იწვევს უცნაურ ილუზიას სხვადასხვა შეგრძნებების იმპულსებთან კავშირში და ქმნის მათ ერთგვარ სინთეზს. ასეთი რამ კარგადაა ცნობილი მხატვრებისათვის, როდესაც სურათის კომპოზიციაში შეტანილი დეტალების ფერადობრივი გადაწყვეტით ცდლობენ მხედველობითი შეგრძნების პარალელურად სწენითი შეგრძნების ილუზიის შექმნას და სხვ. ხდება პირიქითაც, როდესაც მხედველობითი შეგრძნების ნაირფერობა წარმოიხატება, მაგალითად, მუსიკაში, რომელსაც ერთი შეხედვით თითქოს არაფერი აქვს საერთო მხედველობასთან. ს. ჩიქოვანის ლექსების სურათოვნებას ხშირად ღრმა მუსიკალური სახეების ასოციაციებისავე მოყვართ, როდესაც პოეტი თითქოს საკუთარ სულში ხედავს ბუნების გრანდიოზულ სურათებს და იქიდან გვითარგმნის

ზვიადი მდღეობით შთაგონებულ მთების პეიზაჟს, როგორც უცხო ენაზე დაწერილ სტრიქონებს:

მთები სივრცეში გადაიდულან,
ჩაფიქრებულან მთათა კრებულნი,
მაგრამ ლურსმნული ვერ გადუქობთავთ
და ჩინს ვარემო ჩაფიქრებულნი.

აღამიანისა და აღამიანურ მონაცემთა სფეროში იშლებიან ს. ჩიქოვანის პოეტური სახეები, მსუბუქი განწყობილების ისეთი სურათებიდან, სადაც — „როგორც ბავშვებთან მსუქანი ბიძა, შემოდგომის დღე იცინის სოფლად“, — ბუნებაში თვით აღამიანის ზეიმადღე:

ზღვის პირას ისხდნენ მზისგან შავები
მეზღაურები და მფრინავები...
ზღვაჲ დაარბია მათი ლანდები
როგორც ღრუბლები და ხომალდები...
წამოიშალნენ ზღვისგან შავები
მეზღაურები და მფრინავები.
ტანის ტარება ქონდათ ტალღების
და გაღიმება მთიელ ბაღლების.
გულში აენთოთ, როგორც სანთლები,
სამშობლოს ზღვის და მთების ნაყთუები.

აქ არის მზის ნათელი მხურვალეობით აპირებული ზღვა და ჩვენი დროის აღამიანები. ისინი პოეტს სულიერ ვიგანტებად ესახებიან, როგორც ანტიკურ ქანდაკებებში შემორჩენილი: ძველი ელინელი აბრეტები, რომლებიც აღამიანთა ფიზიკურ პროპორციებით თითქოს თვით ბუნებას განისხეულებენ და აგრძელებენ მთელი თავისი რთული სიმარტივეთა და შეუნიღბავი გულუბრყვილობით, შინაგანი სიზვიადითა და გარეგნული ძლიერებით. ამ საწყისებიდან შეიგრძნობს პოეტი ქალაქის გართულებულ თემატიკასაც, რომელიც სულ უფრო და უფრო შერ ადგის იკავებს ქარიველ პოეტთა შემოქმედებაში. იგი რამდენადმე ახალია ქართული პოეზიისათვის, რადგანაც თვით ახლო წარსულამდე საქართველო იყო აგრარული ქვეყანა და ქალაქის განვითარებას ჩვენში არ მიუღწევია ისეთი ტემპებისათვის, როგორც ეს სხვაგან ხდებოდა. ს. ჩიქოვანის პოეზიაში შრავალი ლექსია ქალაქური ყოფის ამსახველი, ვეღა ისინი ერთიანდებიან ციკლში „თბილისის ზეჟურთმები“, მათ შორის ორიგინალური პოეტური ხილვით ყურადღებას იქცევს „თბილისის ღამე!“

ლუდვიგ მაიდნერს აქვს ექსპრესიონისტული სტილით შესრულებული სურათი „მე და ქალაქი“, რომელიც შვალის ცნობილ „მე და სოფლის“ კომპოზიციის შორეულ ასოციაციას იწვევს, მაგრამ მაიდნერის სურათში გადმოცემული მიმართება ზელოვანისა ქალაქისადმი,



უფრო ვერპარნიხულ განწყობილებას ემთხვევა. საგნობრივი ფერტიზიზის ინერციით ქალაქის მკვირტილიან და მახინჯ ნაგებობათა შორის ჩაბირულა მხატვრის სახე, რომელიც განწირულდება ავონიას გამოხატავს. იგი წარმოადგენს პარტეტს კაპიტალისტური ყოფისა და საერთოდ სინამდვილისადმი. გამოტანჯული საყვირები და ნაგებობები მხატვართან ერთად თითქოს გალაკტიონის სიტყვებს ჰკვიან: „ვერპარნი! ვაისმის მათი ხარხარი, ნუთუ არასდროს არ შეეწერდებოთ?“ სურათის მიხედვით ადამიანი-ბელოვანი გარდასახულია პარტეტის მოსველ ქალაქის ნაწილად, ქალაქს შთაუქნობავს იგი. ს. ჩიქოვანის ლექსში კი პოეტი მხოლოდ თბება შენობათა ჩრდილებში; მის მკერდზეც გადადის ქალაქის მდინარე, მაგრამ იმისათვის რომ გააღვიძოს მკერდში შთელმარე ლექსები ადამიანური მშვენიერებისა და სიცოცხლის სიამოთა ზეიმისათვის. თბილისი პოეტს ადამიანით ესახება, რომელიც მშობლიური მზრუნველობით ელოლიაება თავის უბნებს. ს. ჩიქოვანის პოეზიაში ეს ლექსი ქალაქისადმი მიმართების ევლახე საინტერესო ფორმაა.

როდესაც სიახლისა და ორიგინალურობისაკენ მიღრწობილების ფაქტს აღვნიშნავდით ს. ჩიქოვანის პოეზიაში, იგი დავუკავშირეთ პოეტის შემოქმედებაში გამოვლენილ ახალგაზრდულობის სიმბოლურ სახეს, როგორც შემოქმედებითი იმპულსების სიფხიზლისა და მოუღვლელობის მანიშნებელ ფაქტორს. მაგრამ „სიკბაბუე და ლექსი“ ს. ჩიქოვანისათვის არ არის ერთი-დაიგივე საწყისიდან გამომდინარე ფენომენი. არაა პოეტური, რომელია შემოქმედების აღმავლობა მხოლოდ ასაკობრივ ენერგიულ ახალგაზრდულ პერაოდს უკავშირდება, ხოლო ალტყინებას მოკლებულ ქალაქაშუკრულებს, ვასასროლად, როგორც იტყვიან, უკვე დაცლილი ვახუნები ზედება ზელში. მათი პოეტური შესაძლებლობა ქვეითდება ახალგაზრდული ალტყინების შენელებასთან ერთად. თავისთავად, ამის მიზეზი თვით შემოქმედის ინტელექტუალურ განვითარებაში მდგომარეობს, თორემ სათქმელსა და პოეტური შეგრძნებისათვის საჭირო ამაღლდებულ მასალას ცხოვრება ყოველთვის უხვად ფანტავს თავის სინამდვილიდან, თუკი შემოქმედს ექნება მისი ასახვის უნარი. ინტელექტუალური ზრდა პოეტის ერთდროიის გაფართოებასთან ერთად, ბუნებრივია, მისი ინტელექტის შესაძლებლობებსა და საზღვრებსაც ზრდის და რაც უფრო დრო გადის, ეს განვითარება უფრო და უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს შემოქმედს მხატვრული სახეებით თავისუფალი და დახვეწილი აზროვნებისათვის.

გოეთეს მოხუცებულობა მის პოეტურ შთაგონებას არ დასტყობა. გალაკტიონ ტაბიძის

45-იანი წლებიდან უკანასკნელ დრომდე მოყოლებული პოეზია საგანგებო კვლევების მოთხოვნას, როგორც ახალი საფეხურის მნიშვნელობაში. უკანასკნელ დროს დასწერა „თარმეტნი“ ა. ბლოკმა და უფრო დამაჯერებლად იგრძნო თავისი პოეზიის სიღაღე, როდესაც პოემის დამთავრების დღეს დღიურში შეიტანა სიტყვები: „Сегодня я — туман“. არა ნაკლებ საინტერესოა ა. ბელისა და ვ. ბრიუსოვის ბოლო პერიოდი. ამ მხრივ უახლოეს ქართულ პოეზიაში შემოქმედებითი წინსვლის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა ს. ჩიქოვანის ბოლო დროინდელი ლექსები და ბევრი ლექსი შესაძლებელია ჯერ კიდევ უთქმელია და პოეტის შთაგონებას აწეალებს.

პოეზიაში ინტელექტუალურობის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ იშვიათად ითვალისწინებენ ამ ცნების შინაარსის არსებით ნიშანს, რადგანაც ყოველგვარი ელემენტარული ესთეტიკური მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი მხატვრული ნაწარმოები, თავისთავად, ინტელექტუალური აქტია. ეს ტრივიალური კვამარტებაა. ადამიანი-შემოქმედი არა მარტო ასახავს სინამდვილეს, არამედ კიდევაც ქმნის მას.

მხატვრულ შემოქმედებაში ფსიქოლოგიურად, ადამიანის განცდები და ემოციები სტრუქტურულად ფერს ატარებენ, მაგრამ ისინი, როგორც საერთოდ ფსიქიკა, ასახვენ ობიექტურ სამყაროს. უფრო სწორად, ისინი ასახავენ არა მხოლოდ საგნებსა და მოვლენებს, არამედ ადამიანის მათდამი მიმართებას. პოეტური განცდათა შინაარსი განისაზღვრება არა მარტო ამ ობიექტების სხვადასხვაობით, რომლებიც ადამიანის ემოციებზე ზემოქმედებენ, არამედ, და რაც ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო საინტერესოა, თვით ამ ობიექტების, როგორც პოეტური საგნის, მნიშვნელობითაც. პოეტური საგნის მნიშვნელობის თავსაზრისითაც სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში გაშლილი სინამდვილე და მათდამი ზნეობრივი მიმართება არის ისეთი ბუნების, სადაც ემოციურობის ობიექტში მძლავრობს არა რაიმე გრძნობის ეგზალტაციურობაში ჩაქსოვილი სტატიურობის მიმოქცევა, არამედ გარკვეული წყობის სპეციფიკური სამყარო, რომლის ესთეტიკურად გარდაქმნა შეუძლია მხოლოდ ერთდროულად შემოქმედს. ზემოაღნიშნულის დამდასტურებელია ისიც, რომ ზწირად პოეტურ ემოციის სფეროს ს. ჩიქოვანთან სწორედ ინტელექტუალური აქტები განსაზღვრავს. ლექსებში, როგორცია: „ნოეიანი“, „ძველი სათი“, „დასარება“, „გამოთხოვერა სუქმარულსთან“, „შენი აზრდილის საძებნელად“, „ნოეარის საფრთხე“ და სხვები, არის პოეტური საგნის აზროვნების გზით წელობა და ესთეტიკური ფორმის განცდა. მხოლოდ ასეთი

თვალსაზრისით შეიძლება ლაპარაკი პოეტის ინტელექტუალურობაზე, რადგანაც ეს უკანასკნელი არ განისაზღვრება პოეტისაგან რაღაც ახრების გამოთქმით. წინააღმდეგ შემთხვევაში ინტელექტუალურობის ასეთი გაგება ბოლოსდაბოლოს თავისებურ სენტენციურობამდე დავა. აქ კი, როგორც ვიცით, უშიშარტესად ახროვნებისათვის უკვე ცნობილისა და ნათქვამის მხოლოდ ახალი ფორმით ვადმოცემა ხდება, რაც საფუძველშივე ემიჯნება ინტელექტუალურობის (ნამდვილი პოეზიის თვალსაზრისით გაგებულ) ცნებას.

ესადა, ემოციურობის სფერო ს. ჩიჭოვანის პოეზიაში არ განისაზღვრება მხოლოდ მეტრეტელობითი ხასიათის შედიტაციით გარე სინამდვილის საგნებისა და მოვლენების შესახებ. მას თანაბარი სიძლიერით აღეუფლებს ადამიანური ცხოვრების დრამა, მათი განცდებისა და ენებების უშუალო გამოვლინებანი, იქნება ეს ქალისადმი სიუვარდის გრძნობა თუ კონკრეტულ ადამიანთა ბედი. ლექსები „ნიკოლოზ შენგელაის განშორება“ „უშანგი ჩხეიძეს“ და სხვები, გარდა ფსიქოლოგიურ-პორტრეტული ღრებულებისა, არის პოეტის თანამედროვე ადამიანთა სულიერი სიღამაზისა და მათ შინაგანი სიღრმისადმი უანგარო სიუვარდის გამოვლინება.

ლექსს ხშირად ადარებენ ადამიანის სულის აღსარებას, მაგრამ ყოველგვარი ხასიათის აღსარება არ არის ლექსი, ისევე როგორც ყველა ლექსი არ არის სულის აღმსარებლური ღაღადისი. ამიტომაც რომ პოეტური საგნის საერთო მნიშვნელობა და მისთან მიმართებაში გამოვლენილი ემოციურობის ხასიათი ყველა დროისათვის ითვლება ლიტერატურულ სისტემაში პოეტის ადგილისა და როლის ხარისხის განსაზღვრის ძირითად ფაქტორად. ს. ჩიჭოვანის ლირიკა უკვე ოცდახუთიან წლებში გამოხატავდა თანამედროვეთა გრძნობებს და იმ საზოგადოებრივ ცვლილებებს, რომლებიც ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების შინაარსს განსაზღვრავდა. დაახლოებით ამ დროს დაიწერა მისი „ბედი-რესპუბლიკა“ და სხვა ნაწარმოებები, რომლებშიც უკვე ისახებოდა ს. ჩიჭოვანის პოეტური სამყარო და ისტორიულ-ფსიქოლოგიური კავშირი დროსთან და ხალხთან, მის განცდებს თან ახლდა დაძაბული შინაგანი მღელვარება და სწორი ორიენტაციისაკენ ღრთვითი ინტელექტუალური პარონებისათვის ასეთი მომენტი არის შინაგან წინააღმდეგობათა გადალახვის, რთულ შემოქმედებითი ძიების დასრულების და ჩამოყალიბებული პოზიციის მიგნების გამოხატულება.

მაშეფოთებს ფიქრი, დროსისათვის
 შემოხვეული,
 და შე გაიქცევი საუკუნის კარებს გაღებულს,

წერდა ს. ჩიჭოვანი და ამ სტრიქონებით გამოხატა თანამედროვე ქართველი პოეტის იმ უფროსი თაობის ფსიქოლოგიური გადახალისების პერიოდი, რომელიც წარსულის ბურჯისა ანთებული გახაჯარდინებებიდან და ქართული პოეზიის დიდი ტრადიციებიდან ახალი სინამდვილის ესთეტიკურად ათვისებისაკენ უნდა განეთარებულიყო. იგი უკავშირდებოდა პარონების შინაგან სამყაროსაც და კოლექტიური შრომის ახალ პრინციპებსაც, სინამდვილის რთულ წინააღმდეგობებს და იმ ადამიანებს, რომლებიც როგორც ყოველგვარ შემოქმედებით სამყაროს ასევე

მიწის მღუმარეს და წლობით ხარმაც,
 როგორც ბრმა თვალებს დასთბიან,
 ბელტებს.

ეს სინამდვილე ყველა ნიშნებით უკავშირდება ჩვენი ხალხის ახლო წარსულს, პეტრე მუდამ ფეხდაფეხ მიყვება თავისი ქვეყნის ცხოვრებას და მის შაჯისცემას გამოხატავს შრომასა თუ ბრძოლაში. ეს მოტივები ს. ჩიჭოვანის პოეზიის თემათა საკმაოდ სქელ ფენას ქმნის. იგი პოეტურად უკავშირდება კახეთის შემოღვთებას, თბილისის ჩექვრთვებს, შრომის რომანტიკულ პათოსს სიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის სინამდვილეში და სხვ. ამის დამადასტურებელია აგრეთვე ლექსები: „ხევსურულ ძროხა“, „თეიმურაზ პირველი“, სიანეთის მარად-თოვლიან მთებსა და მხნე ადამრანებზე დიდ ტემპერამენტით დაწერილი ლექსი „უშველი“, აგრეთვე „როშკელი ძილა“, „შემოღამება ხაზმატაში“, „ძროხები რიშკაში“ და სხვები.

ყველა მათგანში ვაშლილი სურათები და ადამიანთა სახეები თავისებური საფუძველი და გამართლება იყო იმ გმირული შემართებისა, რომელსაც სამაშულო ომის წლებში მებრძოლი ეაკაყების მხნეობით შთაგონებული პეტრე უმღეროდა. სწორედ იმდროს შეიქმნა ისეთი ლექსები როგორებიცაა „გამოსათხოვარი“, „მზესუშირები“, „ლექსაშვილის სიკვდილი“ და სხვები. ყველა მათგანში ჩაქსოვილია დიდი ადამიანური სიუვარული და ეკუბრობობის თავისუფლებისაკენ ღრთვითი კეთილი დასასრულის წინათგონობა.

უმათავრესი ხაზი, რომელიც ფაქიზი მგრძობიარობით მსკვლეავს და ამით კიდევაც აერთიანებს ს. ჩიჭოვანის აღმრინდელსა და დღევანდელ პოეზიას, ესაა მისი ხალხის ბედი, წარსული და წინაპრები. ამ თემის ვარიაციები ხშირად პოეტის ისეთ ლექსებშიც ივლლება, რომელთა მიზანდასახულობაც პოეტური შთანთქმით არ გულისხმობდა მათ არსებობას. მაგრამ რაღაც შინაგანი და მოულოდნელი ამ-

ბელსების ძალით ისინი ლექსის სტრიქონებში ელნიდებიან. ეს გარემოება უფრო თვალსაჩინოს ხდის პოეტის უშუალო ურთიერთობის სიმამრეს მის ქვეყანასთან და წინაპრებთან. აქ არ შევჩერდებით ისეთ გამხიარებულ ნაწარმოებზე, როგორცაა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. მის შესახებ ბევრი დაიწერა, მაგრამ, როგორც ეს პოემა, ასევე ლექსები: „მიძღვნა ვარძის ოსტატისადმი“, „წიგნი ქაშთა აღმწერელისა: თათართა შემოსევა“, „წიგნი ქაშთა აღმწერელისა: გეანცა“ და სხვები, შთაბეჭდილების ახდენენ ისტორიული წარსულის თავისებური ხედვით. როდესაც ჩვენ ვამბობდით, რომ ს. ჩიქოვანის ლირიკაში ზემოაღნიშნული თემის ვარიანტები ელნიდება წინასწარი მიზანდასახულობის გარეშე და ეს ფაქტორი უფრო ინტენსიურს ხდის ეროვნულობის განცდას, აქ მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ეს საერთოა ბევრი ქართველი პოეტისათვის. რომ არაფერი ითქვას გ. ტაბიძის პოეზიაზე, ანალოგიურია გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის, ვ. აბაშიძის და სხვათა ლირიკის სამუაროც. ისტორიული წარსულის სულიერ ატმოსფეროში ისეთი შეჭრა, როგორც აღნიშნულ ლექსებს ახსიათებთ, გამოსახულია შინაგანი ორიგინალობით. აქ არის გარდასახვა აზრით, ნატურის გრძნობით, წარსულის იდეალებითა და ხასიათით, რომელიც გვევლინება, როგორც პოეტური ხედვის სტილი. წარსულის განცდის ასეთი ტიპის შესახებ პ. ჰაინე წერდა: „პოეტს ეჩვენება, თითქოს ის, თანაზნაღ პითაგორიელთა შეხედულებისა სულთა გადასახლების შესახებ, უკვე ცხოვრობდა სხვა ცხოვრებით სხვადასხვა სახეებში, — მისი ინტუიცია თითქოს მოგონებდა“. წარსულის პირველქმნილობის განცდა ს. ჩიქოვანის ლექსებში გადაჩრენილი ფუძის ნაშთებთან კავშირში ელნიდება:

ქარიშხალში მეც გადავარი ერთი.
როგორც ქვაზე გამოთლილი ყურძენი,
მცხეთა არის ჩემი დედულეთი,
არ დამკენარა მისი ვაზის ფურცელი.

ტრაგიკულის ბილა და მასთან ორგანულად შერწყმის გრძნობაა ამტკველებული, როდესაც პოეტი წერს: — „მე ვარ ნატეხი დანგრეულ ციხის“.

ისტორიული წარსულის ობიექტთან გატოლებული გრძნობა, როდესაც მოგონება განცდის ობიექტივაციის გულისხმობს, უარესად საინტერესო ფაქტია, რომელსაც „ზოგად ფსიქოლოგიაში“ ასე ახასიათებს დ. უზნაძე: „სუბ-ექტი არა მარტო განიცდის რასმე, ვთქვათ, აღიქვამს რასმე, არამედ თვითონ აღქმის ფაქტს აქცევს ყურადღებას. აღქმის ფაქტი მისთვის ობიექტურ მოვლენად იქცევა; ობიექტური მოვ-

ლენა კი სუბიექტურ აქტთან ერთად როდის ისმობა; იგი არსებობას განაგრძობს, მაგრამ როგორც უკვე მომხდარი აქტი, მასთან უკვე როგორც წარსული ამჟამად განაგრძობს არსებობას. ასე ჩნდება წარსულის განცდა და მასთან ერთად საკუთარი მე-ს განცდაც, რომელიც თავის შინაარსს ამ წარსულში პოულობს“. აქ ახსნილია არა მარტო სუბიექტის წარსულის მოგონების ბუნება, არამედ ერის ისტორიული წარსულის მხატვრული შემოქმედების აქტთან დაკავშირებული განცდაც, რომელიც მოგონების მხატვრული ფორმით გადმოიცემა. პოეტი სხვა ლექსში ასე მიმართავს გაუმეებელი ციხის ნაშთებზე ამოხულ სურბს:

მეც დამაყენე ნანგრევის გვერდით,
სურბს პერანგით მამულში ვთბები,
მხარზე დამისვი ღულუნა მტრელი,
მკერდზე ამოშპრან ქართული ხმები.

წარსულის ასეთი განცდა, სფეროებში გადაკარგული ხმების შეგრძნება არის უნარი საკუთარ „სისხლის ჩურჩულის“ მოსმენისა, რომელიც პოეტს ამ გრძნობას ბიოლოგიურ განცდამდე მიიყვანს:

ამჩნევია მტკვრის დაკარგულ მუხას
თურქის ხმალი და აქლემის ჩლიქი,
ჩემი ხორცი ჩავაყოლე დღებას,
ალკეთის ქვას გამოუწურე ფიქრი.

ახსანიშნავია, რომ ს. ჩიქოვანის პოეზიაში ეს ერთადერთი მოტივია, როდესაც ის დაღატობს შინაგან სამშვიდესა და პოლომდე მიყვება თავისი განცდის მდინარებას. დანარჩენ შემთხვევაში პოეტი არ ამეღავენებს ექსპანსიურობას; მას აქვს მხოლოდ მინიშნება თავდავიწყებამდე მისული ზღვარის, რომელშიც ლირიკული სიმამაფრე ყოველთვის რაინდული თავშეკავებითაა დანელბული. ეს იმას ნიშნავს, რომ პოეტის გრძნობები მონუსხულია მკაცრი სულიერი მოწესრიგებულობით და შერწყმულია შინაგან პარმონიასთან. ს. ჩიქოვანის ლირიკული გმირი ზედმეტად რაინდულია იმისათვის, რომ დაეიდეს პაბუტურ სენტიმენტალიზმამდე, და უფრო მეტად გონიერი, რომ განცდის გაღმრცემისას დარჩეს, როგორც თომას შან-იტუოლა, „ქუმანური დელიკატუზის ფარგლებში“.

ს. ჩიქოვანის ლექსთა უმრავლესობა წარმოშობილია ცხოვრების არა კაბინეტიდან პერეტით, არამედ პოეტის მშობლიურ თუ უცხო გარემოსთან კავშირით: „ქართლის საღამოები“, „სამეგრელოს საღამოები“ თუ სხვანაირი და ფსევ-ხევესტრეთის თემებზე შექმნილი ლექსები, პოეტის „მშობლიურ ნაპირებთან“ ორგანული

სიახლოვის ფაქტია. ს. ჩიქოვანს ბევრი უმოგზაურია და მისი პოეტური ინტერესების სიფართოვე ორიგინალურად უკავშირდება გზას, როგორც აღამიანთა სავალ და იმვე დროს უცხო გარემოს შესატყვის ახალი შთაგონებების მომნიჭებელ სიმბოლოს:

გზაზე ვიგონებ დედას — ქეთევანს,
წინ მიფენია ველი ტრიალი.
პატარა პეშეში გული მერტყა
და გულში — დიდი ქვეყნის ტრფიალი.

უცხო ქვეყნის ნახვა პოეტისათვის იგივეა, რაც ახალი ნოთიურების აღმოჩენა კომიკოსისათვის. შემთხვევითი არ იყო, რომ ვ. შაიკოვსკიმ ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ გამოქვეყნებულ წიგნს „ჩემგან ამერიკის აღმოჩენა“ უწოდა. შეჩვეული ყოფილი სიტუაციიდან უცხო გარემოში გასვლა, საგნებისა და მოვლენების სწრაფი ცვალებადობა ყველაში იწვევს შეგრძნებათა თავისებურ გადახალისებას და შთაბეჭდილებათა ზრდას. პოეტისათვის იგი არის ახალი ხილვების წყარო. ასეთი ხილვებით გამდიდრებულია ს. ჩიქოვანის პოეზია. პოლონეთის თემაზე შექმნილი ლექსები ვაირობებულა ხალხთა მეგობრობის იდეის და ომიანობის პრილობამოქმედებელი ქვეყნის აყვავების კეთილი ზრახვითაა შთაგონებული.

უშუალოდ და მიცქევიანის განვლილი გზის გახსენება ს. ჩიქოვანისთვის არის მშვიდობისა და შრომის გზის გადადილება. ამ შოტიუბითაა შთაგონებული პოეტი და ლექსთა თემატიკაც უპირატესად ამითვეა შემოფარგლული. აღნიშნული ციკლის ლექსთა შორის ლამაზი შინაგანი მღელვარებითაა დაწერილი ლექსი „შოპენის სოფლისაკენ“. მასში გადმოცემულია გრძნობა იმ გარემოსთან ახლო ყოფნისა, რომელიც ხშირად ხდებოდა ხოლმე მოწმე გენიალური კომპოზიტორის მუსიკალური შთაგონებისა. ასეთ გარემოსთან შეხედრის დროს აღძრული აღამიანურ მღელვარებითაა აბრთვებული პოეტის სტრიქონებიც:

მინდა სიშლერა ხალხის ხმას აქვეს
და შოპენით გაიდგას ფესვი.
შავრამ მე სმენა არა მაქვს კარგი,
როგორ დაეღღე შეგარდა შოპენს
მოველ და თოვლზე დაფრინავს პანგი,
და ვერ ვეშორები შოპენის სოფელს.

იგივე განწყობილებითაა პოეტი კრაკოვი, რომლის ცაზე აკიაფებული ვარსკვლავები კო-

პერანგა „სლავურ ჰოგრიტ“ შეგარდა... როგორც ძნები და მომკილი თეთავეები... უკეთეს ცაცხვებთან თუ ვაიმარში გამართულ მშვიდობის კარნავალზე მყოფი პოეტი ყოველთვის რჩება აღამიანურ სიკეთის, ბუნების მშვენიერებისა და ხალხთა ბედნიერებისათვის მებრძოლად. გოეთეს საფლავთან „შგოსნისთვის ბუნება — სიმღერის თასია, ურაცხვი მცენარე ოცნების ასლია“, ისევე როგორც დიდი გერმანელი პოეტისათვის აბაერთულ ქვეყლა მცენარეთა მტამორთოებში შთაგონების წყაროა.

მოვლენათა ასეთი ფართო დიაპაზონით ათვისების დროს ს. ჩიქოვანს ჩვენ შევეყვართ სამყაროში, სადაც შინდობა და ნახვის წინ მზე ზღვაზე წევა და მოლოცინდება, არწივი მწიგნობარივით ზის კლდეზე, მთვარე დაბალაბობს წყალში, ბუნება ხელთათმანივით იხდის ღრუბლებს, თოვლით მოპნტილი ნაძვის ხე გაესანთებულ სანთელს, ტბორები წყანან ფოსტლებით, კვახები შორიდან გვანან ყელმოჭრილ გედებს, ქოლგები სველ ფრინველებს. ხოლო შედუნებაზე მიშავალი სახლები შთამსვლენებით ისვენებენ. ამ სამყაროს სტრატეგიით მივეყვართ ჩვენ პოეტს დიდი პემანური იდეებისაკენ.

სიღონ ჩიქოვანის კრებულში წარმოდგენილი ყველა ლექსი არ არის თანაბარი სიძლიერით დაწერილი და ეს ბუნებრივია, რადგანაც როგორც ისაა შექმნილი, რომ აღამიანის სულს ახლავს მუდამ აწეული ტონუსი, ისევე შექმნილია ყველაფერი ის, რასაც ოსტატ ქმნის, იყოს ჩაფინირებული ხელოვნების ნიმუში. ასეთი ფაქტის წინაშე ჩვენ არა იშვიათად ვდგებით, მაგრამ ხშირად არ ვიგონებთ გოეთეს სიტყვებს იმის შესახებ რომ „თანამედევრული შემოქმედებისას საქმე იმაში ხომ არ არის კერძოდ, რომელი იმსახურებს ხობას ან გაკაცებას, რომელია მნიშვნელოვანი და რომელი უმნიშვნელო, არამედ — როგორი მონარტულეაა ადებული მთლიანობაში და აქედან, რა შედეგები იქნა მიღებული თეთ ინდივიდუალისათვის, მისი ახლობელი თანამედროვეობისათვის და რას შეიძლება მოველოდეთ მომავალში“. ცხადია, ასეთი თვალსაზრისი უფრო სწორი წარმოდგენას მოგვცემს იმ განსაკუთრებული წელიწადის შესახებ, რაც თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის განვითარებაში ს. ჩიქოვანის პოეზიას შეაქვს.

მიზანი მაკვირად

ბერი ქართველი ღერისა

რომანს ფიგურალურად თანამედროვე ადამიანის სულის სათავეს უწოდებენ. თომას მანინს ეს მოხდენილი გამოთქმა მოგვაგონა ჯარისკაცის ქვრივის მთელმა მდიდარმა სულიერმა სამყარომ, ასე ძლიერი დამაჯერებლობით გახსნილმა რ. ჯაფარიძის რომანში. სხვა საკითხია იმ ცხოვრებისეული მასალის ზატოვანი ათვისების პროცესის მთლიანობა, რომელიც რომანში გვხვდება, მოვლენებისა და ფაქტების, ასე ვთქვათ, კორელაციურობა მთელს იმ რთულ სულიერ ორგანიზაციაში, რომელსაც რომანი წარმოადგენს, — ამაზე შენიშვნებს გზადაგზა გვაეკეთებთ. აქ კი, უპირველესად ის უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჯარისკაცის ქვრივის“ მთავარი გმირის სახის განვითარების ტენდენცია რომანისტს სწორად გამოუტყვია; საინტერესოდ აღუქვამს მისი სათუთი სულის წინააღმდეგობრივ მოძრაობათა მონაცვლეობა, გარემომცველ სულიერ სამყაროსთან ხან შევიდებულ და ხანაც ჰარმონიულად დაკავშირებულ.

რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, ცხოვრების გამოცდილებით ჭკუანასწავლი კალისტრატე ეუბნება ხათუნას მისთვის მძიმე წუთებში: „ცხოვრებაში შენი ადგილი უნდა იპოვო, თუ არა, დაიღუპები, იცოდე“. ეს ადგილი ერთხელ უკვე ჰქონდა ნაპოვნი ხათუნას, როცა შლეგი მინდელთან საერთო პერქვეშ შევიდრდებოდა მათი ოჯახური თუ საზოგადოებრივი ბედნიერება. მაგრამ ომმა დაამსხვრია იგი, და ამ მოულოდნელობით თავზარდაცემულ სამი შვილის დედას კვლავ უხდება ძიება საკეთარო ადგილისა. შეტად მძიმეა ძიების მთელი ეს პროცესი, როდესაც დედა უოვედღის დაუნდობლად არგუნავს მასში ჭაღურ ინსტრუქტებს, უპირისპირდება ინტერის მოძალებულ ძახილს. ეს ჭიდილი მოვალეობასა და გრძობის შორის არის ის შინაგანი კონფლიქტი, რომელიც ასე ამბავრებს ხათუნა მინდელის სულიერ ტრავმას. პირველი შეშარბება ამ ძიების გზაზე არის ხათუნას გადაწყვეტილება დასტოვოს მამის სახლი, სადაც მას თავი შეუფარებია. ამ სიტუაციით, რომელშიც შეიღო უპირისპირდება შშობლებს, იწყება რომანი.

სანამ ამ კონფლიქტს გავყვებოდეთ, გვესტრს მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით ერთ საყურადღებო მოვლენას გავუსვათ ხაზი. „ჯარისკაცის ქვრივი“ ჩვენ საქმე გვაქვს ეპიკური თბრობის უქსაზოხიციო დაწყებასთან. ექსპოზიცია (დაყოენებული თუ შებრუნებული), მისი ტრადიციული გაგებით, არც შემდეგ გვხვდება ფართოდ მოხაზული. აქ ახალი არაფერია და მხოლოდ ეს რომ შეგვენიშნა, მასზე, ცხადია, არც შევჩერდებოდით. ჩვენი ურადლება იმან მიიპყრო, რომ ექსპოზიციის ფუნქციას, ძირითადად, მწერალი აძლევს გმირის თუ პერსონაჟის უკვე მოქმედებაში შესულ ხანაიანს, რომლითაც მერტდ ორიგინალურად დაგვიანხებს არა მარტო მის მიერ განვლილ გზას, არამედ მისი ჩამოყალიბების ადრინდელ პროცესსაც.

სპირიტონ ყანჩაველი და მისი ასული — ხათუნა სხვადასხვა უოფთი კუთხიდან ხედავენ მოვლენებს და სხვადასხვაა მათი მორალური საზომიც. სწორედ ეს სხვაობა ჰქმნის ამ ადამიანთა ორ თავისებურ დრამატულ ხაზს, უქმეკვიდრედ დარჩენილ მამას სურს საკეთარ ოჯახს დაამყნას მინდელის შთამომავლობა და სასტიკად წინააღმდეგება ხათუნას გადაწყვეტილებას, უკან, თავის ქმრის სოფელში დაბრუნების შესახებ. მისთვის მთავარია საკეთარ ბედი, რომელსაც უნდა ენაცვალოს სხვათა ინტერესები. იგი ხათუნაში ხედავს მხოლოდ შვილს, რომელმაც მამას უნდა დაეთმოს; და თუ ერთხელ, როდესაც შშობლების მალულად ცოლად გაყევა შალვა მინდელს, ხათუნა ეურჩა ყანჩაველთა მორალსა და ტრადიციას, — ახლა მანაც, ბელიაგან ასე დაჩარგული, უნდა დაეხებულდეს მამის ნებას. მაგრამ სპირიტონ ყანჩაველს ავიწყდება, რომ ხათუნა ახლა თვითონ არის შშობელი, რომელსაც ცხოვრებამ დააკისრა მძიმე მოვალეობა — სათავეში ჩაუდგეს ომში დაღუპული ქმრის ოჯახს და ცალუდლამ სწიოს ჭიბანი.

ამგვარად შევიდებელი ორი უტეხი ხასიათის დაპირისპირების მთელი ეს სიტუაცია, ძლიერად არის გამართული რომანის დასაწყისში და მხატვრულად საინტერესოდ გადაწყვეტილი. გ-

შისენოთ, როგორი ორიგინალური მანერით აღწევს მწერალი გმირის შინაგან განწყობილებათა მძლავრ ფსიქოლოგიურ გადმოცემას რომანის დასაწყისში, როცა გვიჩვენებს მამის სწინააღმდეგოდ შემართული ქალის მაინც სასულთ ბუნებას. იგი თხრობაში, ერთი სიტუაციის გადმოცემისას, ერთმანეთს უყურად უნაცვლებს დროის გარემოებას, რომ უფრო ცხოველი, დინამიური და შთამბეჭდავი გახადოს მოქმედება („... მუხლებზე დაეშხო მის წინაშე და ამ ხნის განმავლობაში პირველად აქვითანებულმა ხელში მოჰხვია მამის ლონიერ მხრებს. ხათუნა ტიროდა და მულ-მოდრეკილი პატივებს სთხოვდა მამას“); და იქვე მიმართავს გმირის შინაგანი განწყობილების გადმოცემას სწრაფადმოძრაი მისივე ფიქრების გაშიშვლებით, რასაც მოკლე დიალოგებს შეუდგამს ხოლმე: „ხათუნამ იცის, განა არ იცის, რამდენი სიმწარე მოუყენებია მოხეტეობისათვის. რაც მოხდა, მოხდა, ისიც აღამაინი იყო, უყვარდა და რა ეჭნა. რომც გაეშხილა, სულ ერთია, მამას ვერ დაეყოლიებდა. ამა სხვაფერიც რა ჰქონდა დასამალავი, სახლიდან გასაქცევი ყველაფერი აპატია მამამ, ყველაფერი აპატია და ეს ერთხელაც აპატიოს თვითონაც დედა, იცის, რასაც ნიშნავს შვილის გულიდან მოვლევაც, მაგრამ ხათუნას ახლა არ შეუძლია სხვანაირად.

— მამა, ჩემო მამა!

განა თვითონ მოუწყონებდა, რომ მისი შვილი სხვანაირად მოქცეულიყო? თავად ცოცხალი იყოს, დედაშიწას თელავდეს და ის პაწაწინა ქოხი, სადაც ორბიულ ტბილი დღე გაუტარებია შალიკოსთან ერთად, ნამოსახლად გადმოქცეს? არა, არა! კარგად რომ დაუფიქრდეს, არც მამა მოუწონებს ამას. ქვეყანა პირში ჩააფურთხებს, ქმრის შოღალაზე გამოვა და ცხოვრებაც უფრო გაუმწარდება.

— მამატყე, მამა, შენი მუხლების ჭირიმე, ნუ დამიწვევლი გზას და კვალს, შენებურად ამოგვიღებო მხარში...“

ხათუნა მინდელი დაუმორჩილებია დედისა და მეუღლის საზოგადოებრივ-მორალური მოვალეობის მძლავრ სტიქიის. ეს ძალა მასში მით შტრად შტკიცდება, რაც უფრო გიჟტბია მოხუცი ყანჩაველის ნება. იგი დასძრავს და მიერეკნა წინ სასტიკი ყინვისაგან გათოშოდ დედას მისი სახე შვილით.

ხათუნა მინდელი ბრუნდება საკუთარში და ჩვენც. მასთან ერთად, კარგა ხნით ვტოვებთ სპირიდონ და ეკა ყანჩაველების კალოსტბანს (ასეთი დიდი წყვეტილი თუ დაუოენება კომპოზიციის ნაკლად მისაჩნევია, უთუოდ!); ბრუნდება და თან მოაქვს სითბო გაციებულ კრახზე. — სითბო დედისა, მეუღლისა, ადამიანისა, ეისთვისაც ძვირფასია ღირსება და ვის არსე-

ბობასაც განაპირობებს გარკვეული მიზანი, ასე რომ გადაინაცვია ქმრის შესაძლო დაბრუნების ოცნებაში გადატანილ იმედს.

საკუთარში დაბრუნების სურათს მსატყარმა მკვეერთი კალორების არომატი მისცა და სიმბოლური სახეები მოიშველია. თოდის მიერ დაფარული საცალფეხო ჭიშკარი და ყორე; ქარის მიერ მინდელს ვეზოში გადაფრილი თოვლი; შებზარბაცებული, გაბზარული სახლი, ან ლობიოს ჭიპიან მარცვლებზე წამოზრდილი გათოშილი ყლორტები — ყოველივე ეს მიეინაშნეთ იმის სიმბოლურ სახეებად, თუ როგორ ჩამკვდარა აქ სიცოცხლე, როგორ წამომფარებია მის ომში დაღუბული კაცის შვაი ბედის აჩრდილი.

და აი, ბრუნდება დიდი სიცოცხლე გათოშოდ სახლში, როგორც აღამაინური სითბო და სიხარული, როგორც გაუქარეველი რწმენა და იმედი. იგი ემყარება აღამაინათ ურთოერთდობას და მხარდაჭერას. რა ფსიქოლოგიური სურათით არის აქ გახსნილი აღამაინების ურთოერთბრუნვისა და იმედის დიდი გრძობა! გათოშილი შვილის თავში მხოლოდ ერთი აზრი ტბილობს: „დედა, დაწეკი, შენი ჭირიმე, დედა. ოლონდ ახლა დაწეკი, ოლონდ ახლა ნუ გახლები ავად... ეს მისი იღუმალი ფიქრია, ასე რომ შემონთებია ამ ყინვიან ლამში. აფუც, ფუსტლები დედა კი თავს დასტრბილებს შვილს და, თითქოს მის გულში იჯდეს, ხმამალა იმეორებს მისსავე ფიქრებს: „ჰო, შენი ჭირიმე, ავად ნუ გამობდება, ოლონდ ავად ნუ გამობდება და...“ ასე ამ სცენაში გამოქერილი ერთი მიზნით გამსჭვალული აღამაინების ფიქრთა ერთობა; დედის დიდი გულის მართოლვარება.

ხათუნა მინდელის ბედი რომანში გახსნილია მრავალმხრეობად; დასახულია როგორც რთული მოვლენების გადახლართვა და მათი დაძლევისათვის ბრბოლა. ამავე დროს, ეს არის გამოცალკეებული ხაზი; იგი გამოკვეთილია საერთო მოვლენებში, მაგრამ ამ მოვლენებთან და მრავალ სხვა ბედთან დაკავშირებულია უწყვეტი კავშირით, მით არის შეპირობებული. ამდენად რომანი ფართოდ გააზრებულ ტილოდ უნდა მივიჩნიოთ, რომელზეც დროის ბუერი უტრადსლები მოვლენა გაცოცხლებულა.

ამგვარ სამყაროში მოხვედრილი მინდელის ქერივის არა ძნელია და სასტიკი დაბრკოლებებით გზის აღსავსე; და ამდენად შიმშილ და საძლევია წინააღმდეგობათა წრე, რომელშიაც იგი მოხვედრილა. მაგრამ, მიუხედავად ამ სირთულისა, გმირის სულს მუდამ ამოძრავებს და განაწყობს რწმენა სიცოცხლისადმი, აღამაინებისადმი, მომავლისადმი. ჩვენს წინაშე დგას ძლიერი ნებისყოფის, მიზიდვლილი აღამაინის, ვისაც გულში ჩატყრავს შვილები, თავისი ჭრიდან გასცქერის ქვეყანას და წარმოთქვამს

არმენიონი აღსაყვანი სიტყვებს: „თქვენი ჳირიანობა, ჩემო მალხაზებო, არც ჩვენ დაეკარგებოთ ამ ქვეყანაზე!“ ეს იმედი მხოლოდ თავის სასურველად როდია მოგონილი ან ბრძანად, ფანტიკურად დაჯერებული. მას თან ახლავს ეპიკურაული ძლიერად რომ გაპარავს ხოლმე ჳირიანობის ქვირთის ცხოვრებას და საღადო შეთხოვნიანებს მას. მაგრამ მთავარი, რისაც მას მტკიცედ სჯერა და რაც მას ასე ამტკიცებს სამყაროში, ეს არის მისი „სამი არსება“ — ჳერი, შალიკო და პაეტი, რომელთა დიდ ცხოვრებაში გამოყვანას ეწირება მთელი მისი არსებობა.

ამაში ვხვდებით ჩვენი კლასიკური ლიტერატურის იმ ტრადიციულ ხაზის გაგრძელებას, რომლითაც შოამბეკიძე და წარმოქმნილი ისტორიული ბედი ქართველი დედისა. ვამუშავებულს ბრძოლებში ჩაბმული ერის პოტენციური არსებობა ქართველ დედის სატყუარებში გამოუტარებია და ჩვენს დღევანდელ ლიტერატურულ მოუტანია. უმამოდ დარჩენილ შეიღობა აღზრდა, მათთან მთელი საკუთარი ცხოვრების შეწირვა ქართველი დედის ხედავად და ტრადიციულ ქვეყნის ოლითვე. ხათუნა მინდელის ბედით მწერალმა სცადა ამ ტრადიციის გადარჩევა ჩვენს სინამდვილეში. როგორც მხატვარი ამ ისტორიულ-ტრადიციული სიმართლის გაგრძელებისა, რეგვს ჳაფარიძე თანმდევარია. ძირითადი ხაზი მისი რომანისა ეს არის და იგი გამართულია, სწორად არის გადაწყვეტილი.

„ჯირიანობის ქვირთის“ ძალა, ვფიქრობთ, ის არის, რომ მხატვრული სიმართლის ძირითადი ტენდენცია მის ავტორს მეტად დამაჯერებლად აქვს გააზრებული. ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ვიწამებდით ჳერ კიდევ ჳანდონით სავსე და მოუსვენარი სულით აღჭურვილი ქალის „გაგრაგებას“, ვისი მშვენიერებაც ბევრს პიზნავს და მოსვენებას უკარგავს, რომ იგი სწორხაზოვნად იყოს გადაწყვეტილი. ის დიდი სირთულენიცი და მეტყუარობაც, ხანდახან ასე რომ შეანჯღრევს ხოლმე მართოდ დარჩენილი ქალის ფსიქიკას, ცხოვრების მეტად მკვეთრი სიმართლეა თავისი გარკვეული მტკიცე ტენდენციით თუ შემთხვევითობებით. პორფირე ჩინალაძე მას ლანდოვი უკან დასდევს, მოსვენებას არ აძლევს, სიყვარულს სთავაზობს; ბორის ლოლამე ოცნებობს მისი გული მოიგოს; ეგნატე სივსიაძე პირდაპირ იტანჯება ამ ქალისადმი სიყვარულით. მათგან იღვწავს გრძნობათა გამდგარებაში უველანზე პირდაპირია პორფირე, რომელიც აბათრის წინაშე არ იხევის უკან და ხანდახან ეს მისი პირდაპირობა უტიფრობამდე მიდის. რომანის მეორე წიგნში ჩვენ მოწმენი ვხვდებით სიტუაციისა, როდესაც კინაღამ იძლია დედის გრძნობა. ხა-

თუნამ თავისი ბედი კინაღამ დაუკავშირა პორფირეს.

აქ გვერდს ვერ ავუვლით ისტორიული ხეობის, რომელიც მწერალმა გამოიყენა, ოჯახის მისალოდნელი სრული დანგრევის წინა სიმბოლური სურათი რომ მოხატა: მან კალისუბანში ხათუნის გამგზავრების წინ შალვა მინდელის სახლიდან გამოიყვანა იგი თავისი შვილებით და სხვა ჳერს შეაფარა. საკუთარი კერიდან წასვლის ეს მოტივი მკითხველის თვალში, უთუოდ, ერთგვარი წინასწარი ფსიქოლოგიური შემზადებაა თავისი გმირისა, რომელიც უფრო გვიან პორფირე ჩინალაძეს უნდა გადაეყაროს და კინაღამ უნდა დასთმოს ის, რაც ასე ძვირფასი და წმიდათაწმიდაა მისთვის. მაგრამ მიღის ხათუნა და მისი შვილები მისდაუკითხავად კვლავ უბრუნდებიან მამის კერას. პორფირესთან შეხვედრით გონებრივად მომზადებული ხათუნა კალისუბანში ებრძვის და ევლდება საკუთარ გულსა და გრძნობას და ამ დროს მისი პატარები კვლავ ანთებენ მინდელის ხელახლა მიმქრალ კერას, რომ იგი არასოდეს აღარ ჩაქრონ. ესეც ხომ სიმბოლურად წინასწარ დანიშნული ნიშანია დედის სულში შეკრძობილი წინააღმდეგობების კეთილი დაძლევისა: ამასთან, ეს უკვე აღარ არის ობოლი ერთ დროს უღონო შვილისა: „დედა, ოღონდ ჩემს მამას დაუცადე და შენი გულისათვის, თუ გინდა, კლდეზე გადაავარდები“. ეს შვილის უკვე მტკიცე ნაბიჯია, არსებობის აუცილებლობით ნაკარნახევი.

რომანში ერთმანეთს ებრძვის ორი ტენდენცია: არ შეიძლება ბედნიერი არ იყოს დედა, რომელიც თავის ოჯახს დაბრუნებია და მის ბუნებრივს გარემოცვაში ჩამდგარა; დედა, რომლის მთავარი საზრუნავი შვილების მომავალი გამხდარა. ამავე დროს მის ამ ბედნიერებას დაპირისპირება დაქვირებული, ცალად დარჩენილი ქალის სულიერი ტრავმელია. ეს დაპირისპირება, ხან ძლიერად გამძაფრებული და ხანაც შესუსტებული, ავტორმა ფინალამდე არ მოხსნა და ამით კიდევ უფრო დაძაბული სახე მისცა კომპოზიციურ არქიტექტონიკას. რაც მთავარია, სულის ამ წინააღმდეგობრივს რხევას თუ წყვეტებას მან ისეთი ფსიქოლოგიური ქარგა მოწინაა, რომ თავისი გმირის თაოდან აამორა ვოკრებული მდგომარეობა და ფსიქოლოგიურად იგი მიანიც ერთ შეკრულ ხასიათად წარმოადგინა.

ეს ხასიათი, მისი ასეთი მკვეთრი, რელიეფური გამოკვეთა ომისშემდგომი ეროვნული ცხოვრების ფონზე ჩვენ გვეჩვენება საერთოდ საბჭოთა რომანის ტრადიციების განმტკიცებისა თუ განვითარების კიდევ ერთ დასტურად უკანასკნელი დროის ქართულ ლიტერატურაში. არ ვთვლით რაიმე პარალელს სხვადასხვა ერის

თანამედროვე რომანებთან, რამდენადაც კი, საერთოდ, ხელი მიგვიწვდება მათთან. მაგრამ თანამედროვე საბჭოთა რომანის მთავარი დამახასიათებელი პათოსი, რომლითაც მას მოწინავე ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურაში — ჩვენება ისტორიულ აუცილებლობაში განმტკიცებული, თვით ამ ისტორიის დამამკვიდრებელი ადამიანისა მის — რთულ სოციალურ კავშირთაგანთან — ეს პათოსი ძირითადი ტენდენციაა რ. კვარციანიის რომანშიც. ეს არის ამ ნაწარმოების მთავარი მოტივი, ამტყველებული მხატვრული ძალით.

ამ საერთოსა და ზოგად დასვენას ხაზუნა მინდელის კონკრეტული მისამართი აქვს; ძირითადი ტენდენცია და მოტივი უმოაგრესად სწორედ მისი ხასიათის განვითარებაშია განსახლებული. რომანის დანარჩენი გმირები თუ პერსონაჟები, რომელთაგან ზოგიერთი, შესაძლოა, სქემატური იყოს ან პირობითიც, ძირითადად, ის გარემომცველი სამყაროა, სადაც მოხვედრილა და მოქმედებს მინდელის ქალი თავისი ბედით.

ხათუნა მინდელის მთელი ცხოვრების ის მონაკვეთი, რასაც შუქი მიეფინა რომანის ფერცლებზე, არის თავდატეხილი უბედურების ბურუსიდან გამოსული ადამიანის დაუდგრომელი ძიების ისტორია. ვეაგონდება ცოცხლად დახატული პასაჟები, რომლებშიაც ადამიანის მიერ ცხოვრებაში თავისი ადგილის ძიების მწვერვალადღე მისული სწრაფვა შეხამება ქალის — დედისა და მეუღლის — სანეტაკა და ამავე სულსა თუ გრძნობას. ეს იგივე სიმაღლეა, რომელიც მუდამ ეჭირა ქართული ქალის ზნეობრივსა თუ საზოგადოებრივ მორალს ჩვენი მშობლიური ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებში.

მის ნათელსაყოფად ისტორიული ექსკურსი არ დაგვირდება, ხოლო რაიოდე პასაჟი რომანიდან კი აუცილებლად უნდა მოვაგონოთ მკითხველს.

როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბორის ლოლაძე „დახმარებას“ შესთავაზებს ხათუნას, სახლის შეკეთებამდე კოლმეურნეობის კანტორის ერთ ოთახში გადმოდიო, — მინდელისთვის ოჯახის მეგობარი, ეგნატე სისუივაძე, ეისაც ამავე დროს გულში შუქრია ხათუნას სიყვარული, ამაში დაინახავს ლოლაძის ფანდს — მოიგოს ქალის გული და ამგვარად დაუბლოვდეს მას. ეგნატე გადასწყვეტს გააფრთხილოს ქალი. მაგრამ ეს კეთილი განზრახვა მომავალში ძვირად უჯდება ხათუნას ამავე ხასიათის გამო. „ერ გიქვნივარ კარგად... ვერც იმას ვუცნებავარ, ვიზედაც ეგ ამბავი მითხარა“, — მოულოდნელად მიხალის მინდელის ქალი ეგნატეს და მასში სისუივაძის დიდი გრძნობა ამჯერად განსაუთრებელი ძალით იფეთქებს;

ოფეთქებს და იქვე თვით აანთებს მეორე გრძნობას — გრძნობას ქედუბრული ადამიანის სიამაყისა, რასაც თავის მხრივ უკვე მოსდევს თავგანწირული დედის გულისძახილი: „მე შენს შეილებს ვხამარავ ვერ დაყარი. ტუვაში გაემკრები, უკანასკნელ თავსაფარს გაეყიდი და ამათ შინაც გამოუვზრდი ქვეყანას... არავისი არ შეშინია, იმისთანა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული. თუ ჩემს შეილებს დასჭირდა, მშვიერ მგელს შეეყვიბი ტუვეში. რაც მომივა, მომივა სხვანაირი ტუვრის საბაბი მე არავისთვის მომიცია, ღმერთია მოწამე. ვერც ვერავინ მოესწრება ჩემს თავდადის დასხმას, სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მიღვას“

დედის ეს თავგანწირვა და მეუღლის ერთგულება ის ძალია, რომელიც უოველთვის შინაგანად განაწყობს ქალს გარკვეული მოქმედებისათვის; სულის სიღრმეში გამპული ის სათუთო სიშია, რომელიც არ წყდება თვით უციოდურესი დაქიშვის მომენტშიაც. „არ შემიძლია შენი სიყვარული, — ეუბნება ხათუნა პორფირეს — ...ჩემი სიყვარული თან წყავს იმას; ახლა შეიღობი მყავს. დანარჩენი სიცოცხლე შეილებს უნდა ვანაცეალო, სხვას არავის... მე ჩემი შეილების დედა ვარ. ესა ვარ, რასაც მხედავ, მაგრამ ჩემს სხეულს არავის გავაუღვინებ, ესა ვარ მე“ ეს დიდი გრძნობა თუ ინსტინქტი შეადგებს მას გაყოფილი მდინარის ტალღებში შეილის გადასარჩენად; ეს გრძნობა გამოიყენებს მას მოძალებული ბურანიდან პორფირესთან ხელმოკრად შეხვედრისას; იგი თავდაუწყებით ჩააბამს მას საბავშვო ბაღის მშენებლობაში და იგივე გრძნობა ჩაუშლის მეზობლის ქალს განზრახვის იშვილის მინდელის უმცროსი ვაჟი. მაგრამ ეს გრძნობა განაპირობებს არა მარტო უშეილოდ მის მოქმედებას; მის მიზართ იგი გარკვეული მომედციით განაწყობს სხვა ადამიანებსაც, მის მთელ ამ სულიერ გარემოცვას (არ შეგვიძლია ისევ არ მიუბრუნდეთ კალისტრატე მასწავლებლისა და ხათუნას შეხვედრის ეპიზოდს, როდესაც გამწარებული ქალის წამიერად შერთრამებულ სულს კვლავ ამშვილებს მიზნისადმი, სიცოცხლისადმი რწმენა, ასე ურყევად რომ მერყველებს თვით კალისტრატეს მგალითიშე ვაცხადებული. „რა კვირა აბა შენს სიცოცხლეს, კალისტრატე ბიძია? — ეუბნება მასწავლებელს ხათუნა იმ იმედით, რომ დამამშვიდებლად მოსული ადამიანი თვით გამოიჭიროს მისივე უბედობის შეცნობით. „რა კვირა? არ თქვა ეგ! — უპასუხებს კალისტრატე. — ...რა კვირა და სიცოცხლე! ცხოვრება კვირა ამას, ჩემს სიცოცხლეს! ...ამ მადლიან მიწას პირუტყვივით კი არ ვთვლავ მე. მიზანი მაქვს ცხოვრებაში და იმას ვეშახტებ. ცოცხალ ადამიანებს ვერძი. ამხე უკეთესი სიცოცხლე იქნება? ეს მიინახავს

მე, შეილო, ხათუნა, თუარა ერთი დაეანგული ხანჯალი ჩემთვისაც არ გაწყდებოდა. ერთი წუთითაც არ მიფიქრია, არა! რა ვუყოთ, გავებედდრად. საყვარელი საქმე ზომ დარჩა, ესეც ხომ ის მოუკლავთ ფრონტზე. შალიკო მინდელს შეილება ზომ დარჩა, რომ ვასწავლო... შენ კი მეუბნები, რა სიცოცხლეა შენი სიცოცხლე?").

აი, როგორ მაღალია რწმენა და რაოდენ სპეტაკია გრძობა ზნეობრივად უმწიველო ადამიანებისა!

ამ რწმენამ თუ გრძობამ დააძლიერა ხათუნას სიდიდით გაჭირვება, რაც მან ზურიასთან ერთად განიცადა ზამთარში ფშავს გამგზავრებულმა, რომ იქ, მისთვის უცხო მხარეში, მოენახა ომის ინვალდი სენია უძილაური, ვის გვერდითაც ფრონტზე გამირულად დაცვა შალვა მინდელი; მოენახა ეს ცოცხალი მოწვე და მისგან მიეღო საბოლოო დასტურის საყვარელი ადამიანის ტრავმებისა. აქ უნდა გათავუბოლოდეს მისი ექვები და ჩამჭრალოყი ის სუსტი იმედოც, გულში სადღაც მაინც რომ უღვივლდა და ასე ეწეოდა წინ ფშავის სოფლის ძნელადსავალ შარავზეზე. და რაოდენ ზომიერია აქ ტაქტი მხატვრისა, რომელმაც უძილაურის კეთილშობილურ სულის არ ჩააქრობინა იმედის ეს ნაპერწკალი დედისა და მუდღის გულში (უძილაურს, ცხადია, არ შეეძლო მოეტყუებინა ხათუნა — ეთქვა მისთვის, რომ მინდელი ცოცხალი დასტოვა ფრონტზე. მაგრამ ვერც სინამდვილეს გაუხსნიდა მთელი მისი საშინელებით. და მან არჩია ქალის ოცნებაში შეტრილი გამოცდის საბურველი არ მოეხსნა ამ ამბავისათვის. ანან დაგვიანება დიდი ზნეობა და ძლიერი სული ქართული ეგვიპტისა და მოგვეაწონა მხატვრის ტაქტი).

რადგანაც სიტყვა ჩამოვადდე მხატვრის ტაქტზე, ავტე მინდა ორიოდ შენიშნავ ეგვიპტეთს. შემოქმედის ტაქტი — მისი ზომიერების გრძობაა, რომელიც უნდა ამოქმედებდეს მწერალს გარკვეული მხატვრული სიტუაციების წარმოქმნისა და ამ სიტუაციითა პერსონაჟებისადმი დამოკიდებულების პროცესში. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ვფიქრობებდეთ კიდევ ტაქტის ცნების ფარგლებს და ერთგვარი კრიტიკაროუმის კატეგორიამდეც კი ავყავდეს იგი. ყოველ შემთხვევაში, ტაქტის ეს გრძობაა. რ. ჯაფარიძის რომანის ძირითადი ტენდენციის ფარგლებში შეტად ბუნებრივად ზის და ზემოქმედებს. მაგრამ იგი ხანდახან ირღვევა კიდევ, როცა საქმე „მეორე რანგის“ (თუ შეიძლება ასე ითქვას!) პერსონაჟებს ეხება. ამიტომაც ზოგიერთი მთავანი ნაკლებად დამაჯერებელია და მხატვრულად არასაკმარის მხატვრულად. ისეთი თავისთავად საინტერესო გააზრებული სახეები, როგორიც არის, მაგალითად, ვანატი, მუნჯი, ელენე, უშანგი, ერთ-

გვარი და მხოლოდ და არაკონცენტრირებული სწორედ მხატვრულ-შემეცნებითი ტაქტის ამ შემთხვევაში ნაკლები გრძობის წყალობით. ისინი შეტად სქემატურად ჩამჯდარიან შთელს ამ „პროზაულად მოწესრიგებულ სამყაროში“.

რომანის დამახასიათებელი თვისება რომ ადამიანთა ინტერესების, სულიერ სამყაროთა მრავალფეროვნების მთელი სისრულითა და სირთულით ათვისებაა, ამას ახლა მტკიცება არ ესაბიროება. აღარც იმის თქმაა რაიმეს აღმოჩენა, რომ ვაკუური ეპაროს ნიშანთვისება ფართო სოციალური მოვლენების, ამ მოვლენებში მყოფი ადამიანების რთული ინტორიული ხვედრის გახსნაა. ახალი სამყაროს რომანი დიდი მოცულობის ცხოვრებისეული მასალის მხატვრული ათვისებაა და მრავალი ბედის ურთიერთგადანაცვლის ისეთი ასპექტური ხილვა, სადაც განვითარების ტენდენცია ნათელ ხორცშესხმას იღებს. ამის მხოლოდ გახსნება გახდა საქირო ახლა, როდესაც „ჯარისკაცის ქერივის“ მთელ ხატოვან სისტემას მივაღვივით.

ზევით უკვე ეთქვით, რომ ამ სისტემაში ძირითადი გამოჩაჩაბებული ნერვი ხათუნა მინდელის ბედი თუ ზეადრია და იგი თავიდან ბოლომდე ჩინებულად არის მოხაზული. მაგრამ ის, რაც ამ ხაზის განმტოვება ან შენჯადი, რაც მის პარალელურად მიემართება, ხან უპირისპირდება, ხანაც ავითარებს მის მსგავს სიტუაციურ ტენდენციას და, ამგვარად, ფართო ფონის დანიშნულება აქვს, — შედარებით ნაკლებად გამართული, ნაკლებად ხატოვანად გააზრებულია.

შეიძლება, გვიხარნა: თუ ძირითადი ტენდენციური ხაზი სწორია და გამართული, საინტერესოდ და დამაჯერებლად გახსნილი, სხვა მოვლენებისა თუ „ისტორიების“ წარმოსახვა, რომელნიც ამ ძირითადის ფონია და, მაინც, მეორე რიგზე დგას მთელი რომანის ძირითადს შემეცნებითს სამყაროში, ბუნებრივად, ვერ დაიჭერს შეტად თვალსაჩინო ადგილსო. მაგრამ საქმე ზომ შეტ-ნაკლებობის ეს პროპორციული შესატყვისობა არ არის! არა თუ ყოველ სახეს, ყოველ დეტალსაც თავისი ადგილი აქვს მხატვრულ ნაწარმოებში და, თავისი მასშტაბის მიუხედავად, იგი მოითხოვს ძლიერ მხატვრულ ფერს.

როდესაც ხათუნა მინდელის პარადული, ინტიმური ცხოვრება ომის შედეგად დანგრეულია და მისი ოჯახური ბედნიერება — მოშლილი, ზოლო მათ ენაცვლება დედის მაღალი გრძობა, გრძობა მშობლიური სიყვარულის სისპეტაკისა, — ამას ჩვენ მივიჩნევთ ომის შემდგომი ცხოვრების სიმარტულად, ამ სინამდვილის ერთ-ერთ ტიპურ დამახასიათებელ მოვლენად. გვეყრა ამ ფაქტის სიცოცხლე ჩვენს გარემოცვაში. მაგრამ როდესაც რომანის ბე-

რა და ბევრი პერსონაჟი ასევე უზედლო პირადს ცხოვრებაში ან გაციეებულია ოჯახური ინტიმურობისადმი, — ეს კი აღარ შემოძლია ასეთსავე სიმართლედ ვალიარო. ოღონდაც! აი, ლაშხების — ელფთერისა და ელენეს — გაციელებული ოჯახი; ცალად დარჩენილი ეგნატე სვსივამე თავისი დიდი დარდით; უცოლო ბორის ლოლაძე, რომლის პირადი ცხოვრება ასე მოუწყობილია; ბუნდოვანად გამოკვეთილი პორფილე ზინზალაძე, რომელიც უპერსპექტივო სიყვარულისა თუ ანგარების გრძობას შეუპყრო; უსახაროდოდ გატარებული დღეები სპირიტონ და ეკა უანხაველებლის; რაღაც გარეგანი ძალით შეკოწიწებული მირობაძეების ოჯახი; პირად ცხოვრებაში ხელმოცარული კალისტრატე მასწავლებელი; პეტრეს მიერ მოტყუებული და ლაშხების სახლიდან გაგდებული მუნჯია! — ჭეშმარიტად რომ განკვებ ვართულებული და გვეცნაურებული სამყაროს შთაბეჭდილებას ჰქმნის! მხოლოდ ერთი ბედნიერი ისტორია გამოჩნდა ამ მოჭრუხებულ ფონზე — სერგოსა და მაცვალას სიყვარულით შეკრული ოჯახი და ისიც ისე ფერმკრთალად, რომ მისი განზოგადების ძალა, რასაკვირველია, ვერ განიათებს ამ ფონს. რისთვის იყო ეს საკვირო? იმისათვის ხომ არა, რომ გაამტკიეროს ხათუნა მინდელის ბედის ჩვენება, გაამტკიეროს საერთო სიტუაცია? რა უფლება გვაქვს ეს ავტორისეულ „ტრაქტოვად“ მივიჩნიოთ, მაგრამ თუ ეს მართლაც ასეა, ოკი შეცდომაა არა მართო ცხოვრების სიმართლის, არამედ მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისითაც, რადგან მსგავს სიტუაციათა მომავლელობა, ამ შემთხვევაში კი არ ამტკიერებს, არამედ ხშირად ანელებს და აფერმკრთალებს კიდევ ხათუნას ბედის ტენდენციურ ჩვენებას.

რევაზ ჯაფარიძეს რომ ეხერხება მეტად კოლორიტულ-მოციერი შტრიხებით სახის ვახსნა: ეს რომანში, ხათუნა მინდელის გვერდით, დავინახეთ აგრეთვე პეპინა სპირიტონის, — ამ „დანგრევისა“ და აფეთქების ოსტატის“ — მაგალითზე. პეპინას სახით რომანისტიკა დახატა ტრამბაზა, გაიძვრა, მლიქვნელი, მატყუარა, კორიანა, ცხოვრებას მიტმანნილი და სხვების ხელში შეუმურებ ტიპიური ადამიანი, რომელსაც შეუძლია ათასი დამირება ვასცეს და არცერთი კი არ შეასრულოს; მოატყუოს მასზე მინდობილი ქალიც და შუა ზამთარში მდინარეში წელამდე შეაბოტოს, რომ ნათელჰყოს მუზობლისადმი „ერთგულეობაც“; ფინია ძალღოვით ელაჭეთოს უფროსს, ხოლო როდესაც ამ უკანასკნელს წყალი შეუღებება, მის გარშემო ინტრიგების ქსელის ხლართვა დაიწყოს. ეს ხასიათი სრულყოფილად არის ვახსნილი არა მხოლოდ მოქმედებით, არამედ პერსონაჟის ენის ინდივიდუალიზების ხერხითაც. მისი აკ-

ვიტირებული „გაგში მე“ და „ააა“, ან უფროსების მოხსენიება რუსულად დაბოლოვებულ მამის სახელით — მეტად ინდივიდუალიზებულს ხდის პერსონაჟის ენას და შინაგანი სულიერი განწყობილების მკაფიოდ გამოვლენილი ნიშანია.

მირობაძის ფსიქიკის მეტად დამახასიათებელი შტრიხია შინაგანი მწერლის მიერ, როცა მისი გმირი ადამიანებთან დამოკიდებულებაში მათს თავისებურ დიფერენცირებას მიმართავს. რაკოსონი მდივანი უნა მესხი მისთვის ატყულებდად „ლახარინია“, კლდეურენების თავმჯდომარე ბორის ლოლაძე — „უარამანინი“, აგრონომი ელფთერ ლაშხი — „ამბერკინი“, ხოლო რიკითი ადამიანები უბრალოდ — ეგნატე, ზაქარა, ისაია და ა. შ. ზოგიერთი მათგანი კი მისთვის სახელით მოხსენიების ღირსიც კი არ არის! ტიპის ინდივიდუალიზება, მის კონკრეტულ მხატვრულ სახეზე აუვანას და აქედან ზოგადობაში გადასვლას ბევრი სხვა ოსტატური ხერხითაც აღწევს მწერალი პეპინას სახის გამოკვეთის დროს. მკითხველს არ შეიძლება დავიწყდეს, მაგალითად, მირობაძის ყელზე ათამაშებული „ყვივი“, რომელიც მის შინაგან მლედვარებას ან განცეიფრებას გამოხატავს ხოლმე. ნაკლები დამაჯერებლობით არც ელდუკის სახეა დახატული. იგი თავისი კორიანობით, გამკლავი ენით, სოფლელი აშარი დედაკაცის ფსიქიკით თითქო ავსებს და კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის პეპინათა სამყაროს. სპირიტონის სახის გამოკვეთისას კი მწერალი მიმართავს მწარე წარსულს. იმდროინდელი სოციალური ყოფის მკაფიოდ დაღს ატარებს განაცხადში მოხუცი კაცი. სპირიტონის ბედი რთულადაა გადახლართული ხათუნას ბედთან. ეს ორი ბედის სხვადასხვა ისტორიული ვითარების შედეგია; პირველის წყაროა მწარე სოციალური, ხოლო მეორესი — მძაფრი სულიერი კონფლიქტი. პირველი მოხსნა მხოლოდ დრომ, მაგრამ მისი კვალი სპირიტონის ფსიქიკაში მიიჩნევა დარჩა გამტარებელი ხასიათის სახით. მეორეს ხსნის დედისა და ადამიანის მიერ ცხოვრებაში თავისი ადგილის პოვნა, მომავალში დანახული მიზნის შეცნობა. ამ სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ ასპექტს თავისი გმირების ხასიათთა განვითარებისა მწერალმა ისეთი მხატვრული რეზონი კრებუთ მოუწინა, რომ მაღალი ოსტატობის რანგში აიყვანა.

ოსტატობის დამადასტურებელი ბევრი ადგილი მოვიხიშნეთ რომანში და ზოგიერთ მათგანზე უნდა შევჩერდეთ.

საქმე ის არის, რომ მხატვრული სიტუაციების ან სახეების ხატვისას, მოვლენებისა თუ საგნებისადმი მხატვრული ქარვის მისდაგებობას რ. ჯაფარიძეს არ იტყუებს თეოთმირანი, ფორმით კოპიაობა, რაც ბოლო დროს ბევრ

მხატვრულ ნაწარმოებში შეინიშნება საერთოდ. ყოველ მხატვრულად ამტკიცებულ საგანს თუ ცოცხალ ფორმაში ჩასმულ მოვლენას იგი, უპირველესყოფისა, გარკვეულ აზრის, იდეის გადმოცემად ან განსაზღვრულად მიმართავს. მრავალთაგან დაეკმაყოფილებით ორი-ოდე შევალთით.

რ. ჯაფარიძე რომანში ხატავს მორევის მეტყველ სურათს: „ქაჯამა მდინარის ნაყალი გამაგებით აწყდება ჰიმიან ბურჯებს და წყვილ-წყვილად დაშობილი ქაფიან შეხვებს ისვრის, დროდადრო დიდრონი სიბი ქვები გაიულევენ, წელიდან ამოიწვევენ, თითქოს სული უნდა ამოითქვანო და მერე ისევ ღრმად იძირებიან აქაფებული მორევის ფსკერზე“. თავისთავად, გაცოცხლებული ბუნების ეს სურათი საინტერესოდ არის დახატული. მასში განსაკუთრებით მოგვწონს სიბი ქვების ყუინთვა, რომლებიც თითქოსდა პავრის ჩასასუნთქავად ამოტევიან ხოლმე ხანდახან წელიდან. ეს მიჩაყულ, ხილვა ფიზიკური სამყაროსი მეტად ცხოველყოფილურ თავისებურ სურათს ჰქმნის. დიან, ძალიან ლამაზია და მიმზიდველი გასულიერებული ბუნების ეს მონაზაზი. მაგრამ ზევს ხომ მარტოს არ გვიანტერესებს, თუ როგორ არის იგი დახატული, არამედ ისიც — რ ა ტ ო მ არის იგი საჭირო? გვიხსენით მთელი პასაჟი: ხილვებ დგას ფიქრებში წასული ხათუნა და მდინარეს ჩასცქერის. ვენატესთან შეხვედრის შემდეგ მისი შინაგანი ბუნება, მთელი მისი სულიერი არსება განსაკუთრებით დამაბულია. სოფელში დაჩხულ კორს, ასე გადავკვიბთ რომ აგრანობინებს ქმრისა და შეღებვის უერთგულეს ადა-მიანს, ვენატეს მხრივ უადგილო გაფრთხილებას, მოშლილი კერის აღდგენისათვის ზრუნვას, უმა-წყალოდ დაჩენილი ქალის ღრმა მტკივნეულ განცლებს მოუცავს ახლა მისი გონება და ასე ფორიაქებული უყურებს იგი მორევის ტრი-ალს. და ამ მორევიში მოუფრყუმალავს სიბი ქვების მოწვევებითი ხილვა მისთვის ბუნებრი-ვია. მაგრამ, რაც მთავარია, ეს სიმბოლური სურათი ხათუნას ობიექტურად ცხოვრების დაუდ-გრომლობას აგრანობინებს და ჰქმნის მისი ბედის პარალელს, ბუნებაში გადატანილს. ეს მორევი, სიმბოლურად იგივე გარემოცვაა მისი, და იგი ბუნებრივად აღძრავს ხათუნას შემეც-ნებაში აზრს: „ჯანა საქმარისია, აღმიაანი მარ-ტო შენი თავის წინაშე იყო მართალი, როცა შენს გარშემო სხვებიც ცხოვრობენ? შენ მათ თვალშიაღ უნდა იყო მართალი... ამ სიბრძნე-მდე მივაყვს იგი მის შეხვედრას სტიქიონთან.

ან კიდევ — მეორე შთამბეჭდავი სურათი, ასე ძლიერად რომ არის დახატული შინაგანი სულიერი სამყაროს თუ იდეალურ ზრახვათა გასასწავლად. ხათუნა ფიქრობს ადამიანურ ბედ-ნიერებაზე და მას ეს ბედნიერება, თავის ბედ-

თან დაპირისპირებული, წარმოუდგება ახლად დაქორწინებული სერგოსა და მავალას სახით. მავალას ბედნიერებას არ შეუძლია წინა აღმრას მის კეთილ გულში, მაგრამ — ქმარბიჯე-ბის რომელიაღ კენჭულში მიიწე მიმალულა პატარა ეჭვი თუ გაღიზიანება, რომელსაც ბევ-რი გამომწვევი მიზეზი აქვს; ჯერ არის და, ხათუნა გრანობს სხეულში შემოჭრილ გამკრავ ტყვიელს, შემდეგ იგი მოულოდნელად აღმო-ანენს საკუთარ თმაში შეპარულ კლარას და იმის შიში, რომ მიღის ახალგაზრდაობა, დგება მეორე პერიოდი ქალის ცხოვრებაში, გონებას უმღვრევს მას. ამ დროს მოაგონდება მავალას ტიტინი, ასე ეწინააღ-რომ ეჭირვეულეობდა სერგოს: „არსად არ გაგიშვებ, ნახე თუ გაგო-შვალ“ ამ სიტყვებს იგი გადაჰყავს მოგონება-ში: „მეც მინდოდა შალგოსათვის მეოქვა, აჩ-სად არ გაგიშვებ, ნახე თუ გაგიშვა-შეოქვი“, — ახსენდება მას ფრონტზე ქმრის გამგზავრების მძიმე მომენტი, როდესაც დაიწყო დამლა მის-მა ოჯახურმა ბედნიერებამ და ამ გასასწავლელ, ერთმანეთის მსგავს ორ განწყობილებას შუა შერაღი ათავსებს იდეალურ წარმოსახვისთა გა-საუბრებას თავის გმირთა შორის: „მე დღის ნამს მოვეყვი, ჯერ არ გაფურჩქნულვარ, — ეუბნებიან მას მავალას თვალები, — ახლა ჩემი დროა“. ეს თითქოს საყვედურნარევი გაფრთხილება — არ შეგშურდეს ჩემი ბედ-ნიერება, მე მით სრულად უნდა ეოსარგებლო-ვ! — მე კი რა დავაშავე? — პასუხობს ხათუნა.

— მეც შენისთანა არ ვიყავი? თვალსა და ხელს შუა გამიქრა შენეული სინორჩე, ამო-სუნთქვეც ვერ მოვასწარი. რად, მერე, რად!“ ეს „რად!“ არ არის არც სწრაფვა ცხოვრების სირთულის ახსნისაკენ, მის მოვლენათა კანონ-ზომიერების შეცნობისაკენ და არც კითხვა ფორიაქებული სულისა; იგი უფრო საყვე-დურია უღრთოდ განულებული და წვალვა-გამოვლილი გულისა. ასეა თუ ისე, მთავარი მიიწე ის არის, რომ მოვლენის თუ ხასიათთა დანახვის არც ეს მძაფრი ასპექტია თვითმიზ-ნური ბერბი მხატვრული აფექტის, ემოციის მოსახდენად; მისი აზრობრივი დატვირთვა საკმაოდ აშკარაა და იგი რომანის მთელ ხატო-ვან ქსოვილს ორგანულად ეწვინს.

ხატვის ასეთ მანერას ზევს პირობითად ვუ-წოდებდით მოქმედების უბრალოებისა და სტილის სისადაეის ისეთ შერწყმას, როდესაც პირველის რეალისტური ძალა გაპირობებულია მეორის მეტყველი ცხოველყოფილობით.

რ. ჯაფარიძის რომანის აქტუალობას მისი თემატიკური რკალი, ასახული ტიპური გარემო და ამ გარემოში მოქმედი სხვადასხვა ხასია-თების რთული ურთიერთობა განსაზღვრავს. მინდღლის ქვრავის ბედში თავისთავად ბევრი არაფერი იქნებოდა საყურადღებო, რომ იგი

სამოქმედოდ არ აღძრავდეს ბევრი ადამიანის სულს და თვით არ იყოს შეპირობებული ფართო გარემოცვის გავლენით. რომანში დანახული რეალური ყოფის მდიდარი მოვლენები უშუალოდ არიან დაჯავშნებული მის ძირითად ნერვთან და ასახული არიან ისეთი ურთიერთგანპირობებულობის სიტუაციით, რომ ნაწარმოების კომპოზიციას, მიუხედავად მისი ერთგვარი გადატვირთვისა, ერთ მთლიან შეჯერულ სახეს აძლევენ.

დედისა და მოქალაქის ტრადიციულ პრობლემასთან ერთად, რომელსაც რომანში ცენტრალური ადგილი უჭირავს, ავტორმა დასვა ფართო საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა — მასა და ხელმძღვანელი, ოჯახი, პრინციპულობა, ახლის გრძნობა და მისი დაპირისპირება ჩამორჩენილობასთან და ა. შ. იგი შეეცადა ნიღაბი ჩამოეხსნა ხალხს მოწყვეტილი, პირადული ინსტრუმენტებით ამოძრავებელი თვითნება ხელმძღვანელებისათვის, რომელნიც ხშირად თვალისახვევას მიმართავენ და გადაგვარების გზას ადგებიან.

რომანი დღევანდელობის სულით სენთიქას და მისი იდეური გამოხედილობა, რომელსაც თავისი ალექსანტრე ფორმა მიუღია, ფართოდაც ცხოველდარიანი. მაგრამ აქვე კვლავ მოვკვირდება რამდენიმე საყვედურის გამოთქმაც, რასაც ძირითადად იწვევს ზოგიერთი პორტრეტის მოუთხებლობა, მათი არასაკმაო კონცენტრირული ძალით ხილვა. ჩვენ გვესმის, რომ ფართო ეპიკური ნაწარმოების ქსოვილზე ამოჭრადული ვერა სახე თუ დეტალი ტოლფასოვანი ვერ იქნება. მაგრამ მათი განსახილვების პროცესში არ უნდა დაიარღვეს მკვებთი ქანდაკის პრინციპი. სახეს უნდა მიეცეს დასრულებული ფორმა, განვითარების ტენდენციით მოტივირებული. რომანში ბევრია ასეთი ტიპი, პერსონაჟი (ხათუნა, სპირიდონი, ზურია, უკიჩა, ზაქარა, ეგნატე, სენია). მათი ყოველი მოქმედება მხატვრულ დამაჯერებლობითს მოტივაციის ემყარება და საბოლოოდ გვაძლევს ჩამოქნილ სახეს, რომლის შინაგანი თუ გარეგანი საშუარო ასე შეაფიოდ მოხაზულია, და როდესაც მათ გვერდით მოქმედებს, თუცა ცოცხლად დახატულია, მაგრამ სახეობრივად მინიმალურ ბოლომდე გაუსწული პერსონაჟები, ვთქვათ, ელფფორ ლაში ან ბორის ლოლამე, ბუნებრივად ისმება კითხვა — ზომ არ აქვარა მწერალმა? ჩვენ უნდა ვუბასუბოთ ამ კითხვას დადებითად, დიახ, ასეთი ნაწარმოება რომანის ზოგიერთ პერსონაჟს და პასაჟსაც დატყობია.

სახის განვითარების კანონზომიერება დარღვეული ჩანს ისეთი, ერთი შეხედვით კოლორიტული ფიგურის ხატვისას, როგორც არის კოლმურნიკობის თავმჯდომარე ბორის ლოლა-

ძე. მართლაც, რომანში იგი დახატულია, როგორც უხეში ადმინისტრატორი, და ეს შეიძლება ვთქვათ სრულებითაც არ არის დადგენილი ცხოვრების სიმატლე, — ასეთები ზომ მართლაც არიან სწამდელიში! ამასთან, მას უპირისპირდებიან სოფლის მოწინავე, პრინციპული ადამიანები და იმარჯვებენ მასთან შეჯახებაში. მაგრამ ამ დაპირისპირებას თუ წინააღმდეგობას რომანში თავისი ლოგიკური დასასრული არა აქვს; იგი, როგორცაც, არც იხსნება და აღარ გრძელდება. ამდენად, ბორის ლოლამე ჩვენთვის მოუთხებელი, დასრულებული სახეა. ამასი მოჩანს მწერლის ინტერესის ერთგვარი განელება თავისი გმირის ბედისადმი. ასეთი მოულოდნელი „განვლებანი“ რომანის მეორე წიგნისათვის უკვე გამოხატვის აღარ შეადგენს. რომანს ვეღარც კალიბრატეს — ამ „აჯანყებელი“ კაცის — დინამიური ფიგურა მიხევაბა თავის ლოგიკურ დაბოლოებაშიღე. მუხჯაას მძიმე ხვედრით ასევე ძალიან გათფრმკრთალებულია.

და კიდევ ერთი. დეტალები მხატვრულ ნაწარმოებში ის ელემენტებია, რომელთა შეხამება წარმოქმნის გარკვეულ სიტუაციას და ტენდენციასაც კი მათი დამაჯერებლობით და შთაბეჭდილობით. დეტალი სახის კონკრეტობის, იდეურ-მხატვრული შთანთქმების მოტივირებული განსახების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ამიტომ ესაჭიროება დეტალს უდიდესი სიხსტით შერჩევა. პირადიარ უნდა ვთქვა, გაგვახარა რ. ჯაფარიძის გაბედულმა ოპერაციამ თავისი რომანის პირველი წიგნის პირველი რედაქციის მიმართ სწორად დეტალების უკეთ შერჩევის მიზნით. გაიხსენოთ ამ რედაქციის ერთი დეტალი: ხათუნას მომავალი გამგზავრებით გონებააფორიაქებული, ჯერ კიდევ გათუნებამღე წამოშდგარი სპირიდონ უნჩაველი გაბრაზებული დააბოტებს სახლში, ბოსელში თუ თოვლით გადაპენტრელ ეზოში. ამ დროს ჩვენს მას კომარაზე მომდგარი მომდერლების ვალობა — კონას სიმღერა, რაც უფრო აბრაზებს მოხეტე კაცს. არ ვიცი, რა მოტივით ამოიღო მწერალმა ეს დეტალი თუ ეპიზოდი თავისი რომანის ახალი რედაქციიდან. ვფიქრობ, იმიტომ, რომ იგი ქმნიდა ვაკინტურების შთანბქვლიდობას, ადუნებდა მოქმედების დამაბრუნებს; სპირიდონის შეუფიქრებელი სულის ჩვენებისათვის მას, არსებითად აღარ ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა. ასე მოხდა რომანის თანდათანობითი დახვეწა. მაინც, ზედმეტი დეტალებისაგან თუ ეპიზოდებისაგან იგი დაზღვეული არც ახლა არის, ხოლო ასეთი დეტალები აჭიანურებენ თხრობას, აწვლევენ მის მიყოლურ ზემოქმედებას. რა საჭიროა, მაგალითად, აქ ლაშების ძაღლის ჯალხანას მოკვლის დეტალი? თუ ეს არის სიმბოლური მინიშნება

ამ ოჯახის ძველი წარსულის დასასრულსა, ეს ისედაც კარგად იყო ნაჩვენები ეხე ლაშის გარდაცვალებით. არც ელენეს, არც ელუდოურის და, მით უმეტეს, არც პეპინას ხასიათის გახსნისათვის ამ დეტალს აღიარებთარი მნიშვნელობა აღარ აქვს.

რაც შეეხება რომან „ჯარისკაცის ქერივის“ ენას, იგი უსათუოდ მდიდარია, ძარღვიანი. მართალია, მასში ვერ ვხედავთ საკეთრივ მწერლის ენის განსაკუთრებით მკვეთრ გამოყენებას პერსონაჟთა მენტყველებისაგან, მაგრამ დიალოგებში გამოჰყრილია იმერული დიალექტის ისეთი დამახასიათებელი ნიშანები, რომლებიც განსაკუთრებით შთამბეჭდავს ხდის რომანის სიტყვიერ მასალას. დიალოგში ნაცვალსახელთა ადგილებული ხაზგასმამ, რაც ესოდენ დამახასიათებელია განსაკუთრებით ზემო იმერული დიალექტისათვის, ისე ოსტატურად არის მონახული რ. ჯაფარიძის მიერ, რომ განსაკუთრებული კოლორატის ძალის ამღვეს რომანის მთელ დიალოგურ წყობას. თუმცა, ამით გატაცებულ მწერალს ხანდახან პროვინციალიზმებიც შეეპარება ხოლმე რომანში („გამომჩნდარიყო“, „ქინები“, „ქიკარტლები“, „წინსაბიჯი“ და ა. შ.) ხოლო ზოგი გამოთქმა არახუსტი ან ნაძალადეგია („პერანგა კაცმა“, „ჩემოდანზე ამხედრებულყო“, „ცხარე პილბილით შეზავებული ლობიოს ქოთანა“, „ტყავგადაკრული სახე გამოჩნდა“ და სხვ.).

ერთი საუფრადღებო ფაქტის შესახებ. რვეზ ჯაფარიძის რომანის გამოცემაც დასურათებულა. მისი დასურათება მხატვარ გ. გორდელაძეს ეკუთვნის. ეს საკითხი, საერთოდ, სერიოზული საუბრის საგანია. ჩვენ შევეხებით მის მხოლოდ პრინციპულ მხარეს.

ქართული წიგნის დასურათება ჯერჯერობით მოუგვარებელი საქმეა. საქირო არ არის ლაპარაკი მხატვრული ნაწარმოებების ილუსტ-

რირების მნიშვნელობაზე; ეს ისედაც გასაგებია, რადგან ილუსტრაციები არა მარტო მხატვრებიან მეთხველს ნაწარმოებზე, არამედ მხატვრული ათვისების პროცესში, არამედ, ამასთანავე, წარმოადგენენ იმის ერთგვარ მნიშვნელობასაც მკითხველისათვის, თუ როგორ სწორად წარმოუსახავს თავისი ფანტაზიით მას გმირის კონკრეტული სახე. ჩვენ არა თუ თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ღირსშესანიშნავი ნიმუშები, არამედ კლასიკაც კი არ დავგისურათებია სათანადოდ. ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოებს ხედავითად ჯეროვანი დასურათხატების ბედნიერება. ჩვენი გამოცემლობები, როგორც წესი, გაურბიან ამ საქმეს, „აიოლებენ“ ამოცანას. „ჯარისკაცის ქერივის“ დასურათება ერთ-ერთი პირველი სერიოზული ნაბიჯია ამ ცუდი ჩვეულების დასარღვევად და ამიტომაც არის იგი, უპირველესყოფლისა, მისასალმებელი.

რომანის ბოლო ჩვენ განსაკუთრებით ჩავგარჩა მესხიერებაში, როგორც დიდი ოპტიმისტური ძალის ადგილი და მომავალი ცხოვრების გამიზნული ხილვა. კუშმარიტად რომ ოსტატურად შექრა აქ რკალი რომანისტმა და, ერთი შტრიხით მოხაზა სამი თაობის ბედი. მიდის ამ ქვეყნიდან მოხეცი ყინაველი და თან მიაქვს თავისი ძველი ცხოვრებისაგან დაწვლულებული, მაგრამ დიდი ამბების შემსწრე გული მშრომელი კაცისა. აქ, ამ სამყაროში სამოქმედოდ რჩებიან ხათუნა და მისი თაობის ადამიანები; რჩებიან ხათუნას შვილები, შარავხაზე რომ გამოსულან და თავისი დედის გვერდით იმედინად მოაბიჯებენ. აქ, ამ ფინალში გამოჩნდებიან ხათუნას ზურია და ევანატეს გვანცა, როგორც სიმბოლო მომავალი დიდი სიხარულისა, რომელმაც უნდა შეიწოვოს ყოველივე ის, რაც დააკლდათ მინდულებს თუ სივსივსებებს საკუთარი ბედნიერების ძიებაში.

ზაზი შოკიალი

მეცხრამეტე საუკუნის ქართული პრესა და საფრანგეთის პროგრესული კუბლიცისტიკა

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პრესას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ხალხის ეროვნული და სოციალური გათავისუფლების, მისი კულტურის ზრდისა და აღორძინების საქმეში. ჩვენი ეურნალ-გაზეთები, — იყო ეს „ციცქარი“, „ივერია“, „მოამბე“, „დროება“ თუ „კვალი“, — უხსნიდნენ და განუმარტავდნენ მკითხველს თავიანთი დროის საქართველოთა ეკონომიურ, სოციალურსა და კულტურულ საკითხებს, აშუქებდნენ მათ ეროვნული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. ქართული ეურნალ-გაზეთები თავიანთი მსჯელობის საგნად ხდიდნენ, უმთავრესად, იმ დროის ეროვნული ან საერთაშორისო ცხოვრების საქართველოთა საკითხებს, ამ თვალსაზრისით უღმებოდა ჩვენი პრესა ფრანგულ პუბლიცისტიკას: ითარგმნებოდა, იბეჭდებოდა და სათანადოდ შექდებოდა სწორედ ის ნიმუშები, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა. ის იდეები და აზრები, რომლებიც ასულგმულდნენ ფრანგ მოწინავე პუბლიცისტებს, — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანაგრძნობა, სადაც არ უნდა წარმოებელიყო ეს მოძრაობა, ხალხის დემოკრატიულ უფლებათა დაცვა, ბრძოლა რეაქციულ სახელმწიფო რეჟიმთან, პროტესტი სოციალურ უთანასწორობის წინააღმდეგ, წრფელი პეშანიზმი და დემოკრატიზმი, — მხრულად გამოძახებულ პოეზიობა ქართულ საზოგადოებაში. ამიტომაც, რომ ფრანგულ მხატვრულ პუბლიცისტიკას საქმაოდ დიდი ავგალი ჰქონდა დამოძიბილი ქართულ პრესაში.

ამ მხრივ პირველობა ვიქტორ ჰიუგოს მხატვრულ პუბლიცისტიკას ეკუთვნოდა. ვ. ჰიუგოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობა ფართო გამოქვბას პოეზიობად მე-19 საუკუნის ქართული პრესის ფარცლებზე, განსაკუთრებით „დროებაში“. აქ 70-80-იან წლებში თითქმის გამოდმებით იბეჭდებოდა ვ. ჰიუგოს გამოსვლებისა და სტატიების ტექსტები, ანდა ჩვენი

პუბლიცისტების კომენტარები ამ გამოსვლებთან დაკავშირებით. მართალია, სხვა ეურნალ-გაზეთებიც და პერიოდული გამოცემებიც („ივერია“, „კრებული“, „საქართველოს კალენდარი“ და სხვ.) არ ტოვებდნენ უყურადღებოდ ვ. ჰიუგოს პუბლიცისტურ მოღვაწეობას, მაგრამ პირველობა, უდავოდ, „დროებას“ ეკუთვნოდა. ცხადია, აქ დიდ როლს ასრულებდა „დროების“ მამინდელი რედაქტორის, სერჯეი მესხის რადიკალურ-პროგრესული პოლიტიკური შეხედულებანი.

„დროებაში“ დაიბეჭდა ვ. ჰიუგოს საფრანგეთ-პრუსიის ომისდროინდელი თითქმის ყველა პატრიოტული გამოსვლის ტექსტი.

ვიქტორ ჰიუგო მგზვნარე პატრიოტი იყო თავისი სამშობლოსი. მთელი თავისი არსებით უყვარდა მას თავისუფლებისმოყვარე, მწვე, ხალისიანი, ნიკიერი ფრანგი ხალხი; იგი ამბობდა თავისი ერის დიდი კულტურით, მისი უზარმაზარი ღვაწლით მთელი კაცობრიობის კულტურული განვითარების საქმეში. ჰიუგოს პუბლიცისტიკისა და მისი პატრიოტული პოეზიის ბევრი საუკეთესო ნიმუში მეტწილად შეიქმნა სწორედ საფრანგეთ-პრუსიის ომის დღეებში. ემიგრაციიდან ახლად დაბრუნებული მოხუცი პოეტი აღყამეშორტყმულ პარიზში ცხოვრობდა, მთელ თავის ლიტერატურულ შემოსავალს იგი პარიზის ბავშვებსა და დაკრილთა მოვლაზე ხარჯავდა. თავისი პოეტური ნაწარმოების, „სურათგებისაგან“ მიღწეული პონორაჩით ვ. ჰიუგომ გააკეთებინა ქვემეხი, რომელიც მის სახელს ატარებდა და ამ ქვემეხს გრძნობით აღსაყვ ლექში მიუძღვნა. როცა პრუსიის ჯარები პარიზს მიუახლოვდნენ, ვ. ჰიუგომ გერმანელებს საჯარო წერილით მიმართა, რომელშიაც ხალხთა ძმობისკენ მოუწოდებდა და თხოვდა, ხელი აეღოთ პარიზის დამცრობაზე. ამ წერილის სრული ქართული თარგმანი დაიბეჭდა „დროებაში“. ვ. ჰიუგოს მიმართვა გერმანელებისადმი მასი გამოქვეყნების მეცხრე დღესვე ემცნო ქართულ მკითხველებს.

თავის წერილში ვ. ჰიუგო აფრთხილებს

პრუსიელებს, რომ პარიზი ასე აღვივალდ არ დანებდებოდა; „თქვენ აიღებთ სანგრებებს და დავიხლებთ ბარბაცლებს, აიღებთ ბარბაცლებს და ვინ იცის მაშინ მამულის მოყვარეებს განწირულება რა რჩევას მისცემს, — თქვენ დაგიხვდებთ წყლის გასაფუნი არხები, რომელსაც ნაღებებს მისცემენ და რომელნიც მთელს ქუჩებს პაერში აიტაცებენ. თქვენ უნდა სამინერლი სახელი დაიშაბუროთ, თქვენ პარიჯი უნდა აიღოთ თითო ქვიბოთ“. ამ საჯარო წერილს გერმანელებისადმი ექიტორ პიუგო შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „ახლა, გერმანელებო... ჩვენი გაფრთხილებული ხართ. წადით, მიადევით პარიჯის გაღავენს! თქვენი ყუმბარებისა და კარტისის ქვეშ პარიჯი იბრძობებს. მე კი, მოხუცი, აქ ვიქნები უიარაღოთ. ჩემი საქმეა ეყო იმითათა, რომელთაც კლავენ; ვწუხვარ, რომ თქვენ მეფეების მხარეზე ხართ, რომელნიც კვლენ!“

წრფელსა და გულბრყვილო ჰემანისტს, პიუგოს, რაღაც იმედი ჰქონდა იმისი, რომ გერმანელები შიამურობენ ყურს ფრანგი ხალხის დიდი ტრაბუნის სიტყვას, მაგრამ ბისმარკის მთავარი სულ სხვანაირად სჯიდა და თავისი მორჩილი ჯარით პარიზის მისადგომები დაიპყრო. მაშინ ვ. პიუგომ საჯარო წერილით ფრანგებს მიმართა. ეს წერილიც, თარგმნილი მცირე შემოკლებებით, დაიბეჭდა „დროების“ ფურცლებზე, მისი საფრანგეთში გამოქვეყნების რამდენიმე დღის შემდეგ. მას წინ უძღოდა რედაქციის შემდეგი წინათქმა: „ჩვენი მკითხველები წაიკითხავდნენ ამ წიგნს, რომელიც ექიტორ პიუგომ ამას წინედ მიწერა გერმანელებს და რომელშიაც უჩვენებდა მათ დაპირუნეთ თქვენი ჯარი და შემდეგში მხრათ ვიცხოვროთ. ამ ხანებში ვ. პიუგოს გაზეთ „L'Appel“-ში დაბეჭდა მეორე წიგნი, რომელიც მიმართულია ფრანკელებისაკენ, შემოკლებით მოგვყავს აქ ეს შერე-შერეული ვინთ დაწერილი წიგნი“¹.

ამ წინათქმას მოსდევს ვ. პიუგოს საჯარო წერილის შემოკლებული ტექსტი, რომელიც პიუგომან პოეტი მწუხარებით აღნიშნავს, რომ მისმა გაფრთხილებამ გერმანელებისადმი ფუქად ზაიარა: ამჟამად გერმანელების ჯარი პარიზის კარბიქსთან დგას. ვ. პიუგო პარიზელებსა და მთელს საფრანგეთს მოუწოდებს აღსდგენ პარიზის დასაცავად: „აღსდევით ყველანი! ნაღარა დაკარით! ყოველი თუახიდან მებრძოლი გამოვიდეს, ყოველი სოფელი ზეზე წამოდგეს, ყოველი ქალაქი არშიად იქცეს! პრუსიელები 800.000 არიან და ჩვენ ორმოცი მილიონი ვართ!.. ეხლავე, ერთ დღეს, ერთ

საათს, ერთ წამსაც ნუ დაკარგავთ!... იომებ ყველაფრით, რაცეკი მოგხვდებათ! სულსა და გულსა ნი ხმლად დადაქციეთ, აიღეთ მამწოდან ქვიბოსა მოსკერით ტყეში კერბები და დაეციო მტერს! არ მისკეთ მას მოსვენება. იომეთ დღე დაღამე, იომეთ შთა და ველში, იომეთ მინდორში, იომეთ ტყეში. დაამტერიეთ, დასწიეთ ყველაფერი, რომ მტერმა არ ისარგებლოს იმითი. ნუ მისკეთ იმას ნურც მოსვენებას, ნურც ძილს! ჩვენს წმინდა მიწაზე თოვლსავეთ დადნება და გაქტება გერმანელების ჯარი, ნუ გეშინიანთ, თავისუფალნი მსროლენნი! გაძევიოთ ბუნტებში, გადასცურეთ მდინარეები, ისარგებლეთ ღამის სიბნელითა და თავს დაეციო მტერს იქ. სადაც სრულიად არ მოგვლისთ ის! დიდით პატარამდე ვეკადლოთ მამულის დაცეას და ყველვან თავი შეეწიროთ იმას!“

გავიდა სულ ორი კვირა ვ. პიუგოს ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ და მწერლისათვის ამჟარა ვახდა, რომ პარიზის დამცველთა ძალა იღვეა და დღეს თუ არა ზეად მტერი პარიზში შემოიჭრება. ბოლმითა და ვარამითა აღსავსე პარიზელებისადმი მიმართული ვ. პიუგოს მეორე წერილი, სადაც იგი ამბობს: „პრუსიელებმა გადაწყვიტეს, რომ საფრანგეთი გერმანიად უნდა გადაქცეს, იმათ გადაწყვიტეს, რომ მე. ლატარინგიაში დაბადებული კაცი, ნემეცო ვარო. იმათ გადაწყვიტეს, რომ პარიჯი, ის პარიჯი, რომელიც ოთხი საუკუნის განმავლობაში უნათებდა მთელს ქვეყანას, აღარაა სპერიო, რომ იმათ ბერლინს შეეძლია პარიჯის მავიერობა, რომ, სადაც ბისმარკი არის ქვეყანაზე, აქ ვოლტერი არაფრის მაქნისია... ვინა ეს საფიჭრებელი საქმეა?.. პარიჯი ცეცხლით დაიცავს თავს!.. დედამიწა ვაოცდება, რომ შეხვადეს, — თუ რა დედებულად კვდება პარიჯი! პარიჯი! შენ ყვაიდილით შეამკე სტრასბურჯის ძეგლი. მაგრამ თვითონ შენ ისტორია ვარსკვლავების ვვირგეინს დაგაუგავს!“¹

საფრანგეთის ეროვნული ტრადეცია აღსასრულს ეთხოვდებოდა. ვერსაღის ბერტუზიუნში მთავრობამ გაუიდა სამშობლო, სამარცხუნო ზევი შეტყა პრუსიის მთავრობასთან და ელზას-ლორენი უნდა დაეთმო. თავის სიტყვაში საფრანგეთის მდგომარეობის შესახებ, რომლის ქართული თარგმანი იგრეთვე „დროებში“ დაიბეჭდა, პოეტი საიამყით აღნიშნავს, როგორ იცავდნენ ქალაქს პარიზის მამები და შვილები. ზეუთ თვის განმავლობაში, როგორ იტანდნენ პარიზელები შიმშილს, სიცივესა და ათასგვარ წვალებას. პარიზელების სახელით ვ. პიუგო აცხადებს: „პარიჯმა მოკვანდო ჩვენ თავისი სურვილის გამოცხადება: პარიჯს არ უნდა, რომ

¹ „დროება“, 1870 წ. 16 (20) ოქტომბერი, № 41.

¹ „დროება“, 1871 წ. 19 მაიტი, № 11, გვ. 2-3, ვ. პიუგოს სიტყვა საფრანგეთის მდგომარეობის შესახებ.

საფრანგეთის სიმართლეს შეეხო, რომ საფრანგეთს ზამთართან მიწები... თუ ძალამ გაიმარჯვა და მორიგება მოხდა, მაშინ ევროპა დიდიუბება; მაშინ დარჩება ორი შიშის მომწვერელი ნაცა: ერთი იმიტომ, რომ იმან გაიმარჯვა და მეორე იმიტომ, რომ დამარცხებულს დარჩა... ელზას-ლოტარინგია საფრანგეთის ეკუთვნის და საფრანგეთიც არაფერს არ დაზოგავს იმათთვის, მოვა დრო, საფრანგეთის შეილები... წართმევენ ნემცებს თავის ელზასსა და ლოტარინგიას¹.

შესანიშნავი ლექსში „საფრანგეთს“, რომლის პროზაული თარგმანი შესრულებული დავით მიქელაძის მიერ, დაიბეჭდა „დროებაში“ 1873 წელს², პიუგო იხსენებს იმ უდადეს ლეჟლს, რაც პიუგოის ფრანგ ხალხს მთელი კაცობრიობის წინაშე. პიუგო აღმწოდებელია იმით, რომ ინგლისის, შვედეთისა და პრუსიისა დგ სხვა ქვეყნების რეპუტაციას მთავრობებმა სს-შეაღება მისთვის მიღიარისტული პრესის სისხლით მოერწყო საფრანგეთის მიწა, გაეთვლა მისი პატივი და ღირსება. „ნება არ ვიყო ფრანგი, რომ საფრანგეთი მე თვითონ ავირჩიო ჩემს სამშობლოდ, ღიღებად და სიუვაბულოდ“, — ამ სიტყვებით მთავრდება ეს ლექსი, რომელიც, აგრეთვე, იბეჭდებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს „ლემანიტს“ ფურცლებზე და მჭერაღად გამოძახილს პოელობა ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში.

რატომ გააშუქა ასე ფართოდ და ვრცლად „დროებაში“ საფრანგეთ-პრუსიის ომის პერიოდები და ვ. პიუგოს პარტიოტული მოღვაწეობა? იმიტომ, რომ ფრანგი ხალხის ტრაგედია ვასაგებლად და ნაცნობად იყო ქართველთათვის, ცხოველ თანაგრძნობას იწვევდა ქართული ხალხის გულში. საქართველოსაც ზომ მრავალჯერ შემოსვთა მასზე ბევრად ძლიერი მტერი, ვლადუბახავს მისი საზღვრები, მოტოხრება და შეუმუსრავს ზვენი მიწა-წყალი იმიტომ ყოველი აგრესიის აქტი რომელიც ვრისადმი, ამ შემთხვევაში — საფრანგეთისადმი, მდებამ „განდლითა ჭირთა“ მომგონებელი იყო ქართველი ხალხისათვის. იგი გულწრფელად თანაუგრძნობდა საფრანგეთს, მით უფრო, რომ მოწინავე ქართველი საზოგადოება უკვე მეთვრამეტე საუკუნიდან ახლოს გაცნო საფრანგეთის კულტურას, მისი ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიკულარული იყო.

როცა პარიზში კომუნამ თავის დროსა ააფრიალა, ვ. პიუგომ მთელ რიგ ლექსებში ხოტბა შეასხა პარიკადებით მოფენილ პარიზს, თუმცა პარიზის კომუნის დიდი ისტორიული მნიშვნე-

ნელობა მან ბოლომდე ვერ გააგო. კომუნის დამარცხების შემდეგ პარიკადებმა გამაყვედრეს კომუნარებმა თავი შეაფარეს მუღუჭარე სილად იმ დროს იმყოფებოდა ვ. პიუგო, თავისი ახალგაზრდაცელი ეყის საქმეების მოსაგვარებლად. „დროებაში“ გვატობინებს, რა მასფერი პრეტესტი განუცხადა ვ. პიუგომ ბელგიის მთავრობას, რომელმაც გადაწყვიტა ბელგიაში გაცეული კომუნარების დაპატიმრება და კვლავ საფრანგეთის მთავრობისათვის გადაეცა. „ვ. პიუგომ ამის თაობაზე ერთს ბელგიურ გახუთში მისწერა წიგნი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ... ბელგიის სენატი ამ საქმეში ძალიან სასტიკად და უკანონოდ მოქცევის ამირებს, რადგან იმას სურს გადასცეს საფრანგეთის მმართველობას დასახვრეტად ისეთი პირები, რომელნიც მხოლოდ პოლიტიკურ საქმეებში არიან დამნაშავენი. ამასთანავე, პიუგომ გამოაცხადა, რომ თუ ბელგიის მმართველობა არ დააყენებს პარიზის ინსურგენტებს, მაშინ მე მივალე იმთა ჩემს სახლში (თვითონ პიუგოც ამჟამად ბელგიის სატაბო ქალაქში — ბრიუსელში ცხოვრობს). ეს წიგნი ისე არ მოეწონა ბელგიის მმართველობას, რომ იქარტმა ვარეშე საქმეების მიმსიტრამა დანეტონმა წინადადება შეიტანა სენატში, რომ ვ. პიუგოც ვაგადგომ ბელგიადამო. სენატი ამანე არ დათანხმებულა და თვითონ კოროლს მიუტია ბრძანება, რომ პიუგო ახლავე ვაგიდეს ბელგიადამო“³.

„დროებაში“ მოათავსა აგრეთვე ცნობა ვ. პიუგოს შეამდგომლობის შესახებ ცნობილი პარიკადის ბელგიის სენატისა და პოლიტიკური მოღვაწის ანრი როშფორის სასჯელის შემსუბუქებაზე⁴. კომუნის დამარცხების შემდეგ ა. როშფორი დააპატიმრეს და შესამე რესპუბლიკის სამხედრო სასამართლომ მას მიუსაჯა სამუდამო გადასახლება ახალ კალედონიაში. როშფორის ბედი მით უფრო აღელვებდა მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობას, რომ ბევრი საზოგადო მოღვაწე მალად შეფასებას აძლევდა ა. როშფორის ბრძოლას დემოკრატიისათვის და, ცოტა მოგვიანებით, ნ. ნიკოლაძემ ვრცელი წერილი მიუძღვნა ა. როშფორს „კრებულში“.

უფრო გვიან, ვ. პიუგომ წინადადებით მიმართა საფრანგეთის სენატს კომუნარების ამნისტორების შესახებ. ზოგიერთი აღვილა სენატში მის მიერ წარმომტეული სიტყვისა მაშინვე დაიბეჭდა „დროებაში“.

„დროებაში“ ფართოდ გამოცხადებდა პარიზის კომუნის რეველუციურ საქმიანობასა და ბრძოლას, იმიტომ სავსებით ბუნებრივია და ლოგი-

¹ „დროება“, 1871, 4 ივნისი, № 22, გვ. 3.

² „დროება“, 1872 წ., 14 ივლისი, № 23, გვ. 3, „პიუგოს შეამდგომლობა როშფორის დანაშაულის შემსუბუქებაზე“.

³ „დროება“, 1872 წ., 14 ივლისი, № 23, გვ. 3, „პიუგოს შეამდგომლობა როშფორის დანაშაულის შემსუბუქებაზე“.

ერი ის, რომ ვ. ჰიუგოს მიერ კომუნარების დაცვა-გამოქომაგებას ცხოველი თანაგრძნობით შეეგებნენ „დროების“ მესვეურებმა და ამცნეს კიდევ საზოგადოებას ვ. ჰიუგოს მაღალი მოქალაქეობის შესახებ.

„დროება“ არ ტოვებდა უყურადღებოდ ვ. ჰიუგოს თითქმის არც ერთ საჯარო გამოსვლას, იყო ეს მისი სიტყვები ლეი ზღანის მეუღლის, ანა ელგარ კიჩეს დასაფლავებამზე, თუ მიმართვა პარიზელებისადმი 1876 წელს, მისი სენატორად არჩევის გამო¹, და სხვა... „დროებას“ პარიზელი კორესპონდენტი დიმიტრი დადიანი, რომელიც, როგორც ჩანს, პროგრესულად და დემოკრატიულად მოაზროვნე პუბლიცისტი იყო, სიხარულით აღნიშნავდა თავის კორესპონდენციაში, საერთოდ, რესპუბლიკელებისა და, კერძოდ, ვ. ჰიუგოს სენატორად არჩევას პარიზელთა მიერ, რადგან იმით კიდევ უფრო განმტკიცდა რესპუბლიკელთა პოზიციები და გაქარწყლდა რეაქსიონისტების იმედები მონარქიის აღდგენაზე. — „მონარქიასა და იმპერიას ამ ამორჩევებით. სამუდამოდ ბოლო მოეღო, — წერს დიმი. დადიანი, — რაც მოასწავებს იმას... რომ საფრანგეთის დიდს რევოლუციას მისთვის ფუძად შერჩაველია“².

ვიქტორ ჰიუგო ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მგზნებარე დამკვიდრი იყო. იგი სიხარულით ეგებებოდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას ყველგან, სადაც კი ეს ბრძოლა წარმოებდა. როგორც პოეტური ნაწარმოებებში, ისე პუბლიცისტურ წერილებსა და პოლიტიკურ გამოსვლებში, ის იცავდა დამონებულ ერთა ინტერესებს, — იყო ეს საბერძნეთი, ენგრეთი, იტალია, თუ სხვა რომელიმე ხალხი, — დამონებულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ვ. ჰიუგო იტალიის ცნობილი ეროვნული გმირის უცხუზე გარიბოლდის მეგობარი იყო, მასთან მიწერ-მოწერას აწარმოებდა და განიზრახა ეთარგმნა ფრანგულად გარიბოლდის პატრიოტული რომანი „ათასი“. „დროებაში“ დაიბეჭდა, როგორც მაღლობის წერილი გარიბოლ-

დისა ჰიუგოსადმი, ისე ჰიუგოს სიყვარულითა და სიბოთით აღსავსე პასუხი³.

ესაღია, ვ. ჰიუგოს თანაგრძნობა ჩაგრული ერებისადმი კიდევ უფრო საყვარელ ადამიანად ხდოდა ქართული საზოგადოებისთვის ისედაც სათაყვანებელ მწერალს.

ვ. ჰიუგო დიდი ენთუზიაზმით მიესალმა ესპანეთის რევოლუციას (1868 წ.), მაგრამ როდესაც სულ რამდენიმე თვის შემდეგ, კენძულ კუბაზე იფეთქა აჯანყებამ ესპანეთი ბატონობის წინააღმდეგ, ვ. ჰიუგო კუბის პატრიოტებს მიეწერა.

კუბელმა ქალებმა წერილით მიმართეს ვ. ჰიუგოს მათი ტანჯვა-წამების შესახებ და თხოვედნენ, რათა მწერალს, რომელიც იმყამად გარდასვეწილი კენძულ გერსიაზე ცხოვრობდა, აღმალღებია ხმა მათ დასაცავად. ვიქტორ ჰიუგოს საპასუხო წერილი გამსჭვალულია წრფელი თანაგრძნობით კუბელი ხალხისადმი და სამართლიანად ითვლება პოლიტიკურ-შატრული პუბლიცისტის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად. ეს პასუხი, თარგმნილი ქართულად ვინმე მ. გ.ს მიერ, დაიბეჭდა „საქართველოს კალენდარში“ 1890 წელს⁴.

ვ. ჰიუგო აქ აშკარად აცხადებს: „არც ერთ ერს სხვა ანა აქვს სხვა ერთ ხელში ჰყვანდეს; არც ისპანიას უნდა ევიროს ყუბა და არც ინგლისს — ჰობრალტარი. ამიერიდან და ნუ იუფლებს ერთ ერსა და კაცი კაცსა. დანაშაული ერის წინაშე უმეტეს შემარზნენია, ვიდრე წინაშე კაცისა. ვინც აძლიერებს ყმობა-მონობას, აძლიერებს უკეთურებას. ერთ მტარველი სხვა ერისა... საზოგადოარი სისხლის მწოვარი წერტილია: და აი, ეს ძალმომრეობა, ეს გაბიბრებება ერთი ერისა მეორის მიერ საშინელი ამბავია მეცხარამეტე საუკუნისა, დღეს ინგლისი ირლანდიას დაძვრენია, ავსტრია ენგრიას, ოსმალეთი ჰერცოგოვინასა და კრიტს, ისპანია ყუბას... ნუ გეშინიათ, თქვენი ბურჯივით მტკიცე საშობლო არავის შეარჩენს თავის ტანჯვა-წამებას; ეგოდენი სისხლი ამოდ არ დაიდგრება და მშვენიერი ყუბა ოდესმე თავისუფალი შეიქნება“.

ამ სიტყვებს მზერვადე გამოჩახილი ჰქონდა საქართველოში, სადაც ამ დროს, ცენსურული პარობების გამო, უშუალოდ ეროვნულ ჩავერისა და მასთან ბრძოლაზე წერა შეუძლებელი იყო. ვ. ჰიუგო ამ მხრივ დიდ სამსახურს უწევდა რადიკალურად განწყობილ ქართულ პუბლი-

¹ „დროება“, 1875 წ., 9 აპრილი, № 42, გვ. 3, ბ.-ჰ. „ვიქტორ ჰიუგოს სიტყვა ელგარ კიჩეს დასაფლავებამზე“, „დროება“, 1876 წ., 5 მაისი, № 43, გვ. 3, — „ვიქტორ ჰიუგოს სიტყვა ლეი ზღანის ცოლის დასაფლავებამზე“, „დროება“, 1876 წ., 1 თებერვალი, გვ. 3 — „ჰიუგოს მანიფესტი პარიზის დელეგატებთან, მისი სენატორად არჩევასთან დაკავშირებით“.

² „დროება“, 1876 წ., თებერვალი, დიმიტრი დადიანი — „ვიქტორ ჰიუგოს სენატორად არჩევა“.

³ „დროება“, 1876 წ., 27 სექტემბერი, № 442, გვ. 2. — „გარიბოლდისა და ჰიუგოს მიმოწერა“ (ვიქტორ ჰიუგოს ნაწერებშია).

⁴ „საქართველოს კალენდარი“, 1890 წ. გვ. 469 — 471, გ. 2. — „პასუხად ყუბელ დედიაყუბებს“.

ციტებს, რომლებიც პოულობდნენ მის ნაწარ-
მოებებში საქართველოს საკუთრივობის საკითხ-
სების შესაბამისად გამართლდებოდა აზრებს და
ამ გზით ნერგავდნენ მკითხველთა ფართო მას-
სებში ეროვნული თავისუფლებისადმი მისწრა-
ფებას.

ქართული პრესა სიხარულით აღნიშნავდა
იმასაც, რომ ვ. პიუგოს მშვიდობის მგზნებარე
დაცველია. „ღრობაში“ მოუყვანილია დეტალ-
ური ანგარიში ევრეეაში შემდგარ მშვიდობის
მოყვარეთა კონგრესისა, რომლის თავმჯდომეა-
რე ვიქტორ პიუგო იყო.

თითქმის მთლიანი სახითაა თარგმნილი და
დაბეჭდილი ყრილობის რეზოლუცია, რომლის
ტექსტის უშუალო რედაქტორი კონგრესის თავ-
მჯდომარე, ვიქტორ პიუგო იყო. კონგრესის
რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „შეუძლებე-
ლია“ მშვიდობიანობას დამყარება მინამდვი-
ლურად არსებობდნენ დიდი სახელმწიფოები, რომ-
ელნიც ართმევენ ქვეყნებს ხალხებს თავის-
უფლებას, დიდძალ ჯარს ინახავენ, და ცდილობ-
დნენ... მკითხველ სახელმწიფოები შეავსოცონ.
„რეზოლუციაში მოთხოვნილია ერთა თავისუფ-
ლება, დამოუკიდებლობა და თანასწორობა.
უნდა აღმოფხვრას მტდარი აზრი, რომ ამგ-
ვარი სისხლის ხალხი მეორესა სჯობიაო“. ყრილობა მოითხოვს დაწესდეს მშვიდობის დამ-
ცველი მუდმივი ორგანო, უფრო ეფექტური და
ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

1878 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა სრული
ტექსტი ვიქტორ პიუგოს სიტყვისა ვოლტერის
გარდაცვალების 100 წლისთავზე. ეს სიტყვა ქარ-
თულ პრესაში დაბეჭდა მისი წარმოქმნის ორი
კვირის შემდეგ. „ივერიაში“ პარიზელი კორეს-
პონდენტი ვაუწყებს, რომ ვ. პიუგოს მიერ
წარმოთქმული სიტყვა ერთი დიპლომატიისადაც
განია ყოველივე იმისაგან, რაც კი საჯაროდ
თქმულა პარიზში ამ ბოლო დროს. თუატრში
დიდძალი ხალხი შეკრებილა და საზოგადოება
აღტაცებით შეეგებებია ვ. პიუგოს.

თავის სიტყვაში ვ. პიუგოს დაუბატავს რე-
ვოლუციონერული მდგომარეობა XVIII საუკუნ-
ის საფრანგეთში. ხალხის უფლებებობა, ყოვე-
ლისშემძლე ეკლესიის ფინანსები, რომელიც
აწამებდა და სოციალური სიღარიბე უდანიანად
იდამიანებს, ვოლტერის ბრძოლა ყოველისშემძლე
ეკლესიისა და სამეფო კარის წინააღმდეგ. „მა-
შინ გამოვსარჩლა ვოლტერი კაპობრიობის საქ-
მეს მტარავლთა წინააღმდეგ და მოვიგო კიდევ...
ვოლტერმა მარტოდ-მარტომ იკისრა ბრძოლა იმ
ყოველგვარ უსამართლობასთან. რა იყო მისი
იარაღი? ის, რასაც ექვს სიმსუბუქე ნიავისა და
ძალია მებსისა, — კალამი. ამ იარაღით უბრძო-

ლია, ამ იარაღით გაუმარჯვებია“. თუ რაოდენ
მხტვრეალე გამოძახლს პოულობდა ქართულ
მოწინავე საზოგადოებაში პიუგოს სიტყვები,
მოწიბობს ამავე „ივერიაში“ მოთავსებული წე-
რილი სოფრში მგალობლიშვილისა: „პროვინ-
ციალური მეთაურების ზივილი და შენიშვნე-
ბი“. ამ წერილს ს. მგალობლიშვილმა ეპიგრა-
ფად წარმძღვარა ილიას ცნობილი სტრიქონე-
ბი: „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვიწდა
ტოპი“. წერილის ავტორი გვიამბობს: „... ამას
წინადა მე და ჩემი მეგობრთა ვეცით დაცოფებე-
ლითი ახლად მოსულს ივერისს № 122-ს და,
რგორც მოვეხსენებო, უფრო მოვანებე „სა-
პოლიტიკო მიმოხილვა“... ვინდევმეთ გამოჩი-
ნებულის მოხუცებულის პოეტის ვ. პიუგოს
სიტყვით, რომელიც ამას წარმოთქვამს ვოლ-
ტერის თაობაზედ“ ს. მგალობლიშვილსა და
მის მეგობრებს განსაკუთრებოლ მოსწონებით
ვ. პიუგოს თქმა კალმის ძალაზე, რომელიც ნი-
ავე მსუბუქია და მეხზე მძლავრი. იგი შენატ-
რის ფრანგებს, რომელთაც, რეგულუციათა შე-
დეგად, სიტყვის თავისუფლება მოიპოვეს. მაგ-
რამ რა საუაღალოა კალმისნის ბედი დამონე-
ბულ საქართველოში, — ამბობს ს. მგალობლი-
შვილი: „ვთომოც ჩვევც ნახირ-ნახირ, არა?!
დავიწყებთ რისაზე თქმას და უნდა თან დავა-
ტანოთ ანდაზა: „ბევრის თქმა მინდა, მაგრამ
პირი წყლით მკვებს საესეო“. ოპ, ნეტა ველირ-
სებით იმ წამს, რომ კალამს, ამ მსუბუქ იარაღს,
მაგრამ მეხს, ისეთივე ძალია ჰქონდეს ზვეწში.
როგორც სხვაგან... რათა ვიხმაროთ კალამი
პოეტობათა საყვარელად“.

ვერასოდეს ქართველი პუბლიცისტი ზერ შე-
ლებდა, მაშინდელი უსასტიკესი ცენზურის პი-
რობებში, ისეთი საბრალდებო სიტყვით გამოსტ-
ლიყო რუსეთის მეფის რეჟიმის წინააღმდეგ,
როგორც იყო პიუგოს სიტყვა ვოლტერის გარ-
დაცვალების 100 წლისთავზე. ის დახასიათება,
რომელიც პიუგომ მისცა რევოლუციონერულ
საფრანგეთს, სავსებით გამოსადეგი იყო 70-იან-
წლების რუსეთისათვის. ამიტომ პიუგოს დიდ
ავტორიტეტს ამოფარებულმა „ივერისს“ რედაქ-
ციამ სიამოვნებითა და კმაყოფილებით გამო-
ქვეყნა პიუგოს ეს გამოსვლა. ასევე გამოხატა-
და ქართველი საზოგადოების გულსთქმვა
ვ. პიუგოს სიტყვის ბოლო ნაწილი, რომელიც
შეკრალი ამხელდა დიდ, ავტორულ სახელმწი-
ფოთა დაპყრობით, მილიტარისტულ პოლიტი-
კას.

ვ. პიუგოს მხატვრული პუბლიცისტიკა, მისი
პატრიოტული მოღვაწეობა, პარიზის კომუნარ-
თათვის გამოქომაგება, რადიკალურ-დემოკრა-
ტიული პოლიტიკური გამოსვლები, ეროვნულ-
განმათავისუფლებელი ბრძოლის თანაგრძნობა

¹ „ღრობაში“, 1867 წ. 6 ოქტომბერი, № 40.

² „ივერია“, 1878 წ., 8 ივნისი, № 22, გვ. 10.

³ „ივერია“, 1878 წ., № 33-3.

და მშვიდობის დაუცვის მოწოდებანი, — ფართოდ იქმნა გაშუქებული და განმარტებული ჩვენს პრესაში. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ეს მეტროპოლი პროგრესული იდეები შეტად აქტიურად იყო საქართველოს მაშინდელი ვითარებისათვის, მძლავრ იარაღს წარმოადგენდა რუსეთის თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად და მკითხველთა ფართო მასების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური თვითინტერესების გასაღვივებლად.

სამწუხაროდ, მეორე გამონაკლისების გარდა, ჩვენ არ ვიცით, ვინ იყვნენ „დროების“, „ივერიის“ ან ჩვენი სხვა პერიოდულ გამოცემათა პარიზული კორესპონდენტები.

ვასილი საუჯენის ქართველ მწერალთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ფრანგული პუბლიცისტიკით ყველაზე შეტად დინტერესებული ნიკო ნიკოლაძე (სკანდელი) იყო. ის გამოდგებოდა ადევნებდა თვალს საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას და თანაგრძნობით გადმოსცემდა ქართულ პრესაში ფრანგ დემოკრატ პუბლიცისტების შეხედულებებს.

1868 წ. ნარკვევი „ვეროის ცხოვრება“¹ ნ. ნიკოლაძე მოკლედ დაახსიათა ორი ფრანგი მწერალი და პუბლიცისტი ერკმანი და შატრიანი, რომელნიც ერთად წერდნენ. მაშინ ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ არ იცნობდა მათ წიგნს — „გლუხი-კაცის ისტორიას“, რომელიც საფრანგეთში 70-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა, ბევრად უფრო გვიან ითარგმნა ქართულად და თავის დროზე დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა. ამასთან ერთად ავტორები ეწეოდნენ ვაცხოველებულ პუბლიცისტურ მოღვაწეობას, იყავდნენ მშვიდობიანობის პრინციპს და გზობდნენ ნაპოლეონ მესამის დაპყრობით პოლიტიკას. სწორედ ამის შესახებ წერს ნ. ნიკოლაძე თავის სტატიაში. ნ. ნიკოლაძე ამტკიცებს, რომ საწინააღმდეგოდ ვერაძელ სახელმწიფოთა მთავრობების მილიტარისტული განწყობილებებისა, ხალხებს ომი არ უნდათ, მშვიდობიანი ცხოვრება ენატრებათ. სწორედ იმიტომ ერკმან-შატრიანის მშვიდობის დამცველი ბელეტრისტული და პუბლიცისტური ნარკვევები დიდი მოწონებით სარგებლობდნენ საზოგადოებაში, და არა იმის გამო, რომ ამ ავტორებს რაღაც განსაკუთრებული ნიჭი აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ „ერკმან-შატრიანის ნარკვევების საერთო მოტივს შეუძლია ასე თუ ისე დაახლოვებითი წარმოდგენა მოგვეცეს ფრანგული საზოგადოების სამშვიდობო განწყობილებათა შესახებ“, — დასძენს ნ. ნიკოლაძე.

თავის წიტილში ნ. ნიკოლაძემ სწორად დაა-

ხასიათა ერკმანი და შატრიანი, როგორც მწერლები, რომლებიც იყავდნენ „საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის“ იდეოგებს. ნ. ნიკოლაძემ მოკლედ ასე ჩამოთვლია ერკმან-შატრიანის პოლიტიკური შეხედულებანი: „ჩვენი, — ამბობენ ერკმან-შატრიანის ნაწარმოებთა მომჭმენი ან მოსაუბრე პირები, — ძლიერ ემყოფილნი ვართ 1789 წლ. რევოლუციით, იმიტომ, რომ მან მოგვანიჭა თავისუფლება და აგრეთვე უფლებები, რომელთაც ფეოდალ მებატონეთა ახრით ჩვენ მოკლებულნი უნდა ვყოფილიყავით. ესლა ჩვენ თავს ბედნიერად ვგრძნობთ... მაშ დავგანებეთ თავი, მოგვეცით საშუალება ჰენრიფის მყოფროდ ვიმარბოთ, არ გვინდა არც თქვენი წყალობა, არც თქვენი დიდება. ჩვენ გვსურს გულდამშვიდებით ვისარგებლოთ ჩვენი მონაგართ. ჩვენ არც არავენი გვეძლის იმდენად, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოვიცხადოთ, — არც არავენი გვიყვარს, იშვამად, რომ მის დასაცავად ვიბრძოლოთ. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ცხოვრება და ჩვენი დედალით. მოგვეცით საშუალება მოვიხმაროთ იგი“.

საფრანგეთის საზოგადოების ასეთსავე მშვიდობიან განწყობილებებზე მეტყველებენ, აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე, ის სამშვიდობო კონტრესები, რომლებიც ხშირად იყრიებოდა საფრანგეთში ან შვეიცარიაში და რომელთა მუშაობაში საფრანგეთის მოწინავე აღმსიანები, — შავალითა, ექტორ პიეგო, — ექტორ მონაწილეობას იღებენ. ერკმან-შატრიანის გარდა, ნ. ნიკოლაძის ყურადღება ფრანგ პუბლიცისტებისა და პროგრესულ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის შარლ დელეკლუსის პიროვნებაზე მიიპყრო. შარლ დელეკლუსი 1848 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე და შემდეგ პარიზის კომუნის წევრი. მხნედ იბრძოდა ბარაკალებზე კომუნარების საქმისათვის და ტრაგიკულად დაიღუპა 1871 წლის 25 მაისს, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1872 წლის ივნისში პარიზში ჩასული ნიკოლაძე წრფელი თანაგრძნობითა და გულისტკივილით იხსენებდა პარიზის კომუნართა გმირულ ბრძოლას და ვერძოდ, შარლ დელეკლუსს წერია: „სახლმარგარეთ მოგზაურობის შობაქვდილებები“². ნ. ნიკოლაძე პარიზის დათვლიერებისას თითქმის მიკვება კომუნარების თვანწირული ბრძოლის ეცხახლსა და სისხლიან კვალს. იგი გვიამბობს:

„ტიულრის შემდეგ დათვლიერებ სხვადასხვა ადგილები და შენობები, ამ უანასენელი ომისა და ბრძოლის დროს ნასახლავი და დამცველი, ენახე გადამწვარი და დანგრეული „Maison de la ville“ დინანსის სამინისტრო, საპატრიო ლეგიონის სასახლე, Quare d'Orsay და სხ. და სხ. დიდი ყურადღებით გაეხინჯე ის ადგილი, სადაც ეკლესიის (Pantheon)

¹ ნ. ნიკოლაძე, „ვეროის ცხოვრება“, ნარკვევი პირველი, 1868 წ., „ერკმან-შატრიანი“.

კედლთან, ეკლესიის ბოძზე განუსჯელად დახვრიტეს პარიყის დემეტრე მილიერი, აგრეთვე როგორც ის ქუჩა, სადაც მაკ-შაპონის ჯარმა, ბარკადის აღების შემდეგ, ბარკადის უკან სამასი კაცი ერთად დახვრიტა და იქვე, ბარკადის ორმოში ჩაფლო, თემი უშეტეხი საწილი იმითიანად სანახევროთ ცოცხლები იყვნენ... ვნახე მთელი ის გზა, რომელზედაც რვა დღის განმავლობაში დაუზოგველი ბრძოლა იყო, და რომლის თითოეული ნაბიჯი ასი და ათასი კაცის სისხლით მოიწყო. ვნახე ორიოდ იმ ეზოებთან, სადაც ჯარმა ხეთის-ხეთისობით პარიყელა მუშები შეამწყვდია და განუსჯელად, განუთხოვანი ყველანი შირტალიეზებით დახვრიტა. ის ადგილზე ვნახე, სადაც დამარცხების შემდეგ ბარკადაზე გამოვიდა გამოჩენილი მწერალი დელეკლუზი, გულზელი დაიკრია, დროშის ამოღება, ექვსიოდე ტუფია ირგო გულში და ბარკადის ქვეშ მკვდრად დაეცა. ის ადგილი გაესინჯე, სადაც თორმეტი წლის მებრძოლი მუშები, თექვსმეტი წლის მათი დები და მოხუცი დედ-მამა დახვრიტეს ერთი სიტყვით, გამოვიარე ის გზა, რომელზედაც გამწარებულმა და სამი თვის ბრძოლით დაუღალავმა პარიყის ხალხმა უზენაესი გმირების თვისება — მოკვდომის ცოდნა და სიადვილე გამოიჩინა¹.

მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერ ნ. ნიკოლაძე დაინტერესა არა ერკმან-შატრიანმა ანდა შარლ დელეკლუზმა, არამედ განთქმულმა ფრანგმა პუბლიცისტმა ანრი როშფორმა, რომელსაც მან უძღვნა დიდი წერილი².

ეს წერილი გამოქვეყნდა მაშინ, როდესაც მესამე რესპუბლიკის ბურჟუაზიულმა მთავრობამ სამხედრო ტრიბუნალს გასამართლებინა ანრი როშფორი როგორც პარიზის კომუნის მონაწილე და მას ახალ კალენდონაში გადასახლება მიუსჯა. თავის ვრცელ წერილში, რომლის მოცულობა ორ თაბახზე მეტია, ნ. ნიკოლაძე დაწვრილებით გვიამბობს ანრი როშფორის ბიოგრაფიას, გვიმცნობს შინაარსს მისი გონებამზავილური და სატირული სტატიებისა ნაპოლენ მესამის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ. ეს სტატიები იბეჭდებოდა ყოველკვირულ ჟურნალში „La Lanterne“, რომელსაც ანრი როშფორი სტეფანო ნ. ნიკოლაძე იმსახურებდა, თუ რა მდბაღალ საშუალებებს მიმართავდა ნაპოლენ მესამის მთავრობა ანრი როშფორის ჩასახრებლად, — რომ ამ მიზნისთვის იგი პოლიტიკურ შანტაჟსაც კი არ შიერდა.

თავის წერილში ნ. ნიკოლაძე დაწვრილებით

განხილავს პოლიტიკური პუბლიცისტის არსსა და ბუნებას, პოლიტიკური სტრუქტურისა და თავისებურებას. მისი სტრუქტურისოდ ახასიათებს საფრანგეთის პოლიტიკური სატირის ოსტატებს პოლ-ლუი კერიეს, ალფონს კარს, პრევო-პარიანოლას და ბოლოს, ანრი როშფორს. ნ. ნიკოლაძე ამუშავებს ყოველი მათგანის მსოფლმხედველობას, წერის მანერას, მათ შიერ გამოყენებული მხატვრული ზეჩხების ნაირსახეობას, ენასა და სტილს.

ცენზურული მიზნების გამო ქართულ პრესაში არ გამოქვეყნებულა ტექსტი საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს ფორსაღმი მიმართული ემილ ზოლას საჯარო წერილისა „მე ბრალსა ვეღებ („J'accuse“). ამ წერილში რომელიც მალე მთელს მსოფლიოში განთქმული გახდა, ე. ზოლა იცავდა უღანაშუალოდ დასჯილ ფრანგ ოფიცერს ადოლფ დრეიფუსს, რომელსაც ჯამუშობა დასწამეს. მწერალი ბრალს სდებდა საფრანგეთის მთავრობას, სასამართლოსა და სამხედრო წრეებს უგანონობაში, შოინისტურ განწყობილებათა განზრახ გამოწვევასა და დანაშაულებრივ მოქმედებაში ხალხის წინაშე.

მესამე რესპუბლიკის მთავრობამ სამართალში მისცა ემილ ზოლა ამ წერილის გამოქვეყნებისათვის, მას ციხე და პატიმრობა მიუსჯა. ე. ზოლა იმეღებული იყო დროებით დაეტოვებინა საფრანგეთი და ინგლისისათვის შეეფარებინა თავი.

აი ეს სასამართლოს პროცესი ზოლას წინააღმდეგ ქართულმა პრესამ, რამდენადაც ეს მაშინ შესაძლებელი იყო, გააშუქა თავის ფურცლებზე. პარიზში მყოფი „კვალის“ კორესპონდენტი, რომელიც თავის წერილს X-ს ფსევდონიმით აქვეყნებს, ვრცელად მოგვითხრობს დრეიფუსის საქმისა, ზოლას მაღალი მოქალაქეობის და რეაქციული მთავრობის მიერ დიდი მწერლის წინააღმდეგ აღძრული სასამართლო საქმის შესახებ. იგი აღარებს პარიზს მღელვარესა და ბოზოქარ ზღვას, აფიჭერს, თუ როგორ შესძლეს რეაქციულმა ძალებმა გამოყენებათ უბრალო ფრანგების პატრიოტული გრძნობები თავის სასარგებლოდ, შეექმნათ განხეთქილება ხალხში და, იათი დემაგოგიის გზით, განეწყოთ პარიზის წერაღმებრუნაზული მასა ე. ზოლას წინააღმდეგ. ამავე წერილში მოთხრობილია ზოლას წინააღმდეგ აღძრული სასამართლო პროცესის მსვლელობა, მისი უკიდურესი ცალმხრიობა, რამაც ათქმევინა ემილ ზოლას: „ეთხოვ სასამართლოს, რომ მე მომენიჭოს ის თავისუფლება თავის დაცვისა, რომელიც მკვდილებსა და ქურდებს ენიჭებათ ხილმეთ“¹.

¹ „კვალი“, 1898 წ., № 9, გვ. 1, X-ი „წერილი პარიყიდან“. ზოლას საქმე.

¹ „თეატრი“, 1873 წ., მე-4 წიგნი, № 193.
² „კრებულო“, სალიტერატურო ჟურნალი, 1873 წ. № 8, გვ. 191—267. ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე), „ანრი როშფორი“.

ბოლოს წერილის ავტორი აღნიშნავს იმ საე-
როთო თანაგრძობასა და აღტაცებას, რაც
გამოიწვია ყველა ქვეყნის პროგრესულ საზო-
გადოებაში ე. ზოლას მალაღმა მოქალაქეობამ,
მისმა სულიერმა სიმტკიცემ და დემოკრატიზმ-
მა. ის წერს: „როდესაც საფრანგეთში ასე
გმობენ და კაცბევენ იმ კაცს, რომელიც წინა-
აღუდგა სამხედრო ელემენტების აღზარ-ახსნი-
ლობას და მის ბატონობას... ყველა განათლ-
ებული ქვეყნების ეურნალ-გაზეთები... დიდი
ქება-დიდებათა და ღრმა პატივისცემით იხსე-
ნიებენ ზოლას, და ყოველი კეთილდანი გამამხ-
ნევებელ წერილებს და ტელეგრაფებს უფხავ-
ნიან, თუქცა ისეთ კაცს, როგორიც ზოლას.
გამამხნეობა არ გვირევაბა“.

ვაიდა რამდენიმე წელი ზოლას „J'accuse“-ის
გამომქვეყნების შემდეგ და დიდი მწერალი მოუ-
ლოდნელად გარდაიცვალა. ქართულმა ეურ-
ნალ-გაზეთებმა მოათვათეს ვრცელი ცნობები
ე. ზოლას გარდაცვალებისა და მისი დასაფლავ-
ების შესახებ¹.

„კვალში“ მოყვანილია თითქმის სრული ტექ-
სტი ე. ზოლას საფლავზე ანატოლ ფრანსის
მიერ წარმოთქმული სიტყვისა. მან ბრწყინვა-
ლედ დაახასიათა ე. ზოლას ლიტერატურული
შემკვიდრება და თქვა: „ლიტერატურული
მოღვაწეობა ზოლასი მიუწვდომელია. ზოლასი
დიდებული გულის აღმზიანი, ის იყო ღრმა
მორალისტი. ის ვეზაბატად ძლიერთა ბიწიერე-
ბას, გვერდებოდა პესიმიზმად, ნამდვილ კი
ოპტიმიზმს იყო, რომანებში... ის თავისი ძლი-
ერი შეუბრალებელი კალმით ვეზაბატად გარ-
ყვნილ-გათახსირებულ საზოგადოებას; ებრძოდა
ჩვენი დროის უმთავრეს ბოროტებას — ფულის
ბატონობას. თვითონ დემოკრატი, არ ეფერე-
ბოდა ბრძობს და ყოველგვარ ღონისძიებას ზეა-
რობდა, რათა მათთვის გაეთვალისწინებინა მათი
დამონაგება, რომლის მიზეზი უმეცრეობაა;
ის ებრძოდა ღონისძიების წინააღმდეგ, რომელიც
უკარავს კაცს მსჯელობის ნიჭს... ის ებრძო-
და სოციალურ ბოროტებას ყოველგვარ, სადაც
კი შეხედებოდა. მას სურდა ბედნიერობა რიცხვი
ქვეყნად გამრავლებულიყო. მას სწამდა ბედ-
ნიერება, დაჯერებული იყო, რომ ახალი ძალა—
მამინ კაცობრიობის მშრომელ კლასს მოუტანს
ბედნიერებას, ეს ქვეყნარტი რეალისტი უმაღ-
ლესი იდეალისტი იყო“.

თავის სიტყვაში ანატოლ ფრანსმა გაიხსენა,
როგორც დაესოვნენ ემილ ზოლას გამ-
მავებული რეპორტაჟები, როდესაც მან ხმა

აღმადლა დრეფტის დასაცავად და მისწერა
საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს (შვი-
სი უკვდავი წერილი; როგორც „შესტლესს“ მან
მოსუიდეულმა შევიარალებმა თავის მხარეზე გა-
დაებირებინათ გულუბრყვილო და პატიოსანი
აღმზიანები. ზოლამ ამ მიმე დღეებში გამოი-
ჩინა მალაღმა სულიერი სიმტკიცე: „ერთბელ არ
მოღრეკილა მისი ძლიერი პატიოსნება, ერთ-
ბელ არ მოღრეკილა მისი ვეკაცური ქელი“.

ანატოლ ფრანსმა მალაღმა შეფასება მისცა
ემილ ზოლას პოლიტიკურსა და სამოქალაქო
ღვაწლს და თავისი სიტყვა ასე დაასრულა:
„ზოლამ გამოამჟვარავა არა მარტო მართლ-
მსაჯულების შეუდობა, არამედ მან შეშერა
ყველა დანაშაულის ძალა, შეერათებული
საფრანგეთის აღსაგველად. შედეგი მისი ჩადე-
ნილი საქმის განუზომელია... ზოლამ საუკუნო
ღვაწლი დასდო საფრანგეთს, რომ მას მის
მართლმსაჯულებაში სასო არ წარეკეთა. ნუ
დაეწევებთ ტირილს, რომ ის სტანჯეს და აწ-
ბეს. ასეთი აღმზიანების ზედეტი უნდა გვეშერ-
დეს, მან ვინაღდა თავისი სამშობლო თავისი
დიდებული ნამოქმედარით. ბედმა და მისმა
გულმა მას მზანჯეს დიდებული როლი: იყო
ისეთი მომენტები, როცა ის იყო კაცობრიობის
სინდისი“.

ა. ფრანსის სიტყვა, წარმოთქმული ზოლას
დასაფლავებამზე, პროგრესული პოლიტიკური
მწვერმეტყველების საუკეთესო ნიმუში იყო. იგი
საესებით ეთანამებოდა ქართული მოწინავე სა-
ზოგადოების შეხედულებებს და ამიტომ გამო-
ქვეყნდა ჩვენს პრესაში.

შეცხრამეტე საუკუნის ქართული პრესა და
პუბლიცისტიკა მეტად არახელსაყრელ პარობებ-
ში ვითარდებოდა: ეროვნული დენა, თვით-
მპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკა,
ულმოხელი და ბარბაროსული ცენზურის არ-
ტახები, — ყოველივე ეს ზღუდავდა და ხელს
უშლიდა ქართული ინტელიგენციის, ერის ამ
უნირატესად მოზროვნე ნაწილის, შემოქმედე-
ბით ძალთა თავისუფალსა და ღელ აყვავებას.
მაგრამ, მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებისა,
ჩვენი ერის საზოგადოებრივი და კულტურუ-
ლი განვითარების ძალეები სწრაფად აღორძინდა
განსაკუთრებო შეცხრამეტე საუკუნის მეორე
ნახევარში, რაც ჩვენი პრესის ზრდა-განვითარე-
ბაშიც გამოიხატა. ჩვენმა მოწინავე ეურნალის-
ტებმა გააკეთეს ყველაფერი, რათა გაეცნოთ
ქართველი მკითხველისათვის საზღვარგარეთ-
ელი, კერძოდ, ფრანგული მეზობელი პუბლიცის-
ტიკის საუკეთესო ნიმუშები, რომლებიც ჩვენი
მამინდელი ცხოვრების კონკრეტულ ამოცანებს
შეესაბამებოდნენ.

¹ „კვალში“, 1902 წლის 6 ოქტომბერი, № 4.
გვ. 654—655. „ზოლას დასაფლავება“.

ხანგახან რაზიკაშვილი

მამარჯანი — ვაჟა-ფშაველა

დედაჩემო, თამარო, მამაო:

„მე ჩემს დედამთილ-მამამთილს არ ვიცნობ-
და: ლექამ რომ მომიყვანა, დედ-მამა აღარ
ქვადდა. პირველი ცოლი რამდენიმე წლის ვარ-
დაცვლილი იყო. დამხვდა ღარიბი, არბული,
„წიწილ-დაწიწილი“ ოჯახი. უღებო, მოუვლელი
ბავშვები. ლექას უმცროსი ქალიშვილები: გულ-
ქანი და მარიამი პატარები იყვნენ.

როდესაც ლექა და ბაჩანა ჩემს წამოსაყვა-
ნად სოფელ ხორხში მოვიდნენ, გულქანი და
მარიამი ბაჩანას თავისი შევლლისთვის, მარი-
ამისთვის, მიეზარებინა.

მლაროსკარში რომ მივედი, ბაჩანამ და
ვკამ ბავშვებს ახარეს: „შვილებო, დედა მოვი-
ყვანეთო!“. ბავშვები სიხარულით და კანკა-
ლით შემომხევივნენ. მე შემრცხვა: ახალგაზრდა
ვიყავი და შეთავჯლა.

ბაჩანას ცოლი, მარიამი, სათნო და გულკ-
თალი ადამიანი იყო. გვერდით მომიჯდა და
ჩემად მიიხრა: „გული უჩვენე, ცოლონი არი-
ნო“. მეც, ცხადია, შემეცოდნენ ბავშვები, ვა-
ნუგეშე. მოვეფერე და ლექას ვუთხარი: „აქ
ნუ დაეტოვებთ ბავშვებს, მინდა ესენი ჩემთან
იყვნენ, წახელისას ესენიც თან წაიყვანოთ
მეოტი“.

მართლაც, ბავშვები ცხენზე შემოვიყვით და
წავედით ჩარგალს. შინ ლექას უფროსი ქალ-
ვაი — თამარი და ლევანი დაგვხვდნენ. მისე-
ლისთანავე დავაკრივე სახლი. სისუფთავეს და
საოჯახო საქმეს ბავშვობიდანვე ვიყავი მიჩე-
ული.

ჩემი დედ-მამა გუდამაყრელები იყვნენ. მამა,
დიდება ბეჭაური, შშრომელი კაცი იყო. კარგი
მონადირე. დედაც — წიკლაურის ასული, მთელს
სოფელში ცნობილი იყო, როგორც კარგი მეო-
ჯახე ქალი. ჩემი მშობლების დედ-მამა გუდა-
მაყრიდან მთიულეთის სოფელ ხორხში გადა-
სახლებულან და მეც ამ სოფელში მთიულტრ
წესზე აღვიზარე.

ფშაველებისა და მთიულტრების საოჯახო წე-

სები, მეტადრე ძველად, რამდენიმედ განსხვავ-
დებოდნენ ერთმანეთისაგან. ფშაველის ქალები
უფრო მეტად ასრულებდნენ მამაკაცის სამუ-
შაოებს, ვიდრე მთიულეთის დედაკაცები. მა-
გალითად, ისინი მიდიოდნენ ცხვარში მწყემსად.
სთიბავდნენ, მკიდნენ, ხნავდნენ, სთესავდნენ.
ერთი სიტყვით, ფშაველ ქალს უფრო მეტი
ჯაფა ჰქონდა სამამაკაცო საქმეში, ვიდრე მთი-
ულეთის ქალს.

ჩვენში, მთიულეთში, რძის შესაღვებად,
ვაჩიას ანუ საღვებებელს ეხმარობდით. ფშავეში
კი, ვაჩიის ვარდა, ხმარობდნენ ჩხუტს, რომე-
ლიც ბარნელათი (ჩისაღვებია, ბოლოზე პატ-
რა ფიცრის ჯვარი იქვს) იღვებებოდა.

მეორე დღესვე რძის ჩხუტში დღევნა დავი-
წყე. რამდენიც ჩავერეე ბარნელა, იმდენჯერ
სახეზე რძე შემომშესხა, მაგრამ შალე მივეჩვიე
ვევლავარს. ვდღვებო, ვწვევავდი, საქონელს
თვითონ ვუბამდი საქირებს, ვუკეთებდი გარკ-
ლებს, ვუცემდი მარგილებს და სხვ. ასევე
ვისწავლე საქონლის წამლობა ხალხური წესით,
ხარისხარათი, გულბანდის წვერით, აყრით. ყო-
ველივე ეს ლექამ მასწავლა.

ერთხელ, გაზაფხულზე, ლექამ მიიხრა: „ქა-
ლო, აწწლისა და სვიის ძირები დათხარე, მოხა-
რშე საჯალაბო ქვებში და დააღვინე ძროხებს,
შეცაბულები არიანო“.

ყოველ გაზაფხულს ძროხებს მოხარშული
სვიისა და აწწლის წვეს ვასმევდით — ნახამ-
არი რომ არ გამოჰყოლოდათ.

ცელით ამ მიზნითა, გუთანზე ვეხტებოდი,
ხარებს ვუტრავდი ლექას.

სახნაზე ლექა თვითონ იყო ვუთნისდედა.
გუთანს თვითონ ეკადა. ავღვებოდით დილით
ადრე. მე თივას დავუყრიდი ხარებს, რომ
მშობრი საქონელი არ შეგვება უღელში. ლექა
კი წავიდოდა ტყეში — კირცხილის, თქილის,
ან შეინდის წნელების მოსატანად, დილადნენ
დაგრებდა წნელებს, დაამზადებდა, რომ წინა
ხარების საყვარზე ან გუთანზე, სამბურის გაწ-
ვეტრით, ხენაში გუთანს ან გამცდარყო. ქვა-



ღორღინი ხანაეი გვერდია და წნელები მალე წუდებოდა.

გუთან-უღლის დამზადებას ლუკა ზამთარშივე იწყებდა. უღლებს იღნის ხისაგან თლიდა. ბოლოს, ახალგათლილ უღელს მეტა სიმპაგრი-სათვის, ცეცხლზე სტნსავდა.

თავდაბირველად ჩვენი საკუთარი გუთანი გვება, და საკუთარი ხარები გვყავდა. ხარების სახელები ახლაც მახსოვს: ორი დიდი ხარი — ჯვარულა და დილა; ორიც ახლადშემზღული მოზერები იყვნენ. ერთს ერქვა ღვინია (ერლოს-ფერი მოზვერი იყო), მეორეს კი, შავ მოზვერს, ნიჭარას ვეძახდით.

დიდი ხარები რომ დაგვეხოცა, ორ ხარს ვაბამდით. ვხსნავდით საზიაროდ, მეზობელთას ერთად, შთის მიწებზე და ბარშიც.

შთის მამულად ითვლებოდა: ახველ ვორში წერილი ვორა და ღიკელაში აღებული პატარა-პატარა მიწები. ხოლო ბარის მამულებს ვეძახდით: სულა-კერდღელაურათ ბოლოზე მდებარე მიწას და ეკლესიის გასწვრივ ნაქონ მამულს. შთის საითბები კი გვექონდა აფხუშის თავს...

როგორც კი დაეშალა ლუკა აფხუშის თავს სათიბად, გამაკეთებინებდა ხაიწის ან ხაჭო-ურბოს, ჩაიდგამდა ქილით ხურჯინში. ცხენს ვადაჰკიდებდა ბარგს: ნაბადს, ტარზე დაგებულ ცელს, და მხარზე თოფგადაგდებულ, ერთი კვირის საგზლით ვაემზავებოდა აფხუშის თავს სათიბარად.

ყანაში კი, როცა ქერი შემოვიდოდა სამკალად, მხარში ვუღვქით ცოლ-ქმარი ერთმანეთს და ზაფხულის პაპანაქება სიტყვით — სისხამ დილიდან მოყოლებული — ვმკიდით ერთად მოწეულ ყანებს.

შეე რომ დასავლეთისკენ კარგად გადაიხრებოდა, დაიწყებდით ხელეურების კონვას. ძნებს ვაგებდით ხეთულებად ან წერებზე, რომელნიც ზუთი ძნისაგან იღვებოდა. თუ თავთავი გამო-საშრობია, წერაში უნდა გამოშრეს — და შემდეგ შეიძლება მისი ხეთულებად ვადაგება. თუ ფაცბი, შემოსული ყანა იყო, ხელეურებს მაშინვე ხეთულებად ვუგამდით.

როცა ლუკას წერის სურვილი მოუვიდოდა, მიატოვებდა სამუშაოს და ბრუნდებოდა შინ.

ერთხელ, შე და ლუკა ყანასა ვმკიდით სულა-კერდღელაურათ მამულში. ამ ხანებში რომელიღაც პოემაზე მუშაობდა (რომელზე, კარგად არ მახსოვს). უნა ძალზე შემოსული იყო. ორთავენი სამკალში ვიყავით. შუადღე გადასული იყო. დაიკვებმა აღარ შეიძლებოდა — ყანა უნდა მოგვეყო სასწრაფოდ. ლუკას უბედურად აზრი მოუვიდა, ნამგალ-სათოთები ძირს დასდო და აჩქარებული ნაბიჯით დაეშვა თავ-ქვე, ხახლისკენ. მივახანე: „კაცო, სად მიდიხარ-მეთქი?“ უტრი არ მათხოვა, ვნა ვანაგრო-მამინე მიხედო, რომ საწერად მიდიოდა.

დამტოვა მარტოკა ყანაში: მოკალიც, შკონა-ვიც და ძნის ამგებელიც. სამივე საწერე უნდა შემესრულებინა მარტოკა, მეც ამომწერე — მიხე-ტოვებდი ყანას. ბაღლები საქონელთან იყვნენ: ზოგი — ინდაურებში და ზოგიც — ხბორებთან და ცხებებთან. არავინ არა მშველოდა. მარტო-კა ვმეც იმ დღეს ყანა. აეკონე, ვაგე წერებად და საღამოს, დაბინდებისას, ხურჯინ-სავალით, წყლის ჭურჭლით, ჩემი და ვაჟის ნამგალ-სათო-თებით შინ ჩამოვედი.

საქონელი მოერგვათ და შეეყარათ ბაქში, რომელიც ახლოს, ხევის გაღმა, იღნისქვეშ გვექონდა შემოღობილი.

ლუკა მაგდას მოედმოდა, რაღაცას წერდა. ჩემსკენ არ გამოვხედავს, ციოქის ვერც კი იგრძნობ ჩემი მოსვლა.

ვიღე ტანგები ფურების დასაწეველად და, რომ გამოვდიოდი, დამიძახა: „ქალო, ხინკალი მინდა, ერთი ხინკალი მოვხარაშოთო!“. დალილი ვიყავი ძალიან და დამეზარა. მაგრამ სიტყვა არ შემობრუნებია, რადგან ლუკას თქმა და სიტყვა ჩემთვის კანონი იყო.

ვადავლე ბაქში. ფურები დაწველა, გაღმო-ვიტანე რძე, სარძევეში ჩაეწურე და დაღამე-ზულში შევეუღე ქინკლის კეთებას.

შეშა არ გვექონდა. მოვიტანე, დავეჭრი, ცეცხლი დავანთე, ხორცი დაეკეპე და ცომის ზელას შევეუღე. ძალი თვის მართმევედა, ძლივს ვახვევდი ხინკალს. როგორც იქნა, მოვხარაშე ხინკალი და შევეტანე ხინკალი.

ლუკას სახეზე ღიმილია ვადაურბინა. შევატყე, ესიაშოვნა. შემოშხედა და მითხრა: „ყოჩაღ, დედაცაღიო!“. ლუკა ცოტას სჯამდა. მხოლოდ მალ-მალე უეყარდა პურის ჭამა.

ერთხელ, გუთანი დააყენა კვალში, არც ხარები გამოგვაშეუბინა. ვაილა მაშინაც შინ — საწერად. მე და ბაღლები ხარებს ვუღვქით. შეწუხდნენ ხარები. უღლიდან იზიდებოდნენ. ვუღვქით ხარებს და ვატრიოლებდით ისევე კვალში.

შეაყრა კაცი იყო ლუკა, დაეინებით ვერა-ფერი ვაუბედავდით. სანამ თვითონ არ გადა-მოედა გუთანთან (მამინე სახლის აბლოს, გაღმა, უორულში ვხსნავდით), ჩვენი ვერ ვაუბედეთ დაძახება.

ლუკას ხასიათი ვაგებელი მქონდა, ამიტომ ხელს ვაწყობდი, ვერ ვუბედავდი დაეინებით მეთქვა, რომ ოჯახს შენახვა სჭარდებოდა, თუ-ცილებელი იყო ფიზიკური ვარჯა ცოლ-შვილის სარჩენად.

როგორც იყო, ერთხელ, ვაბრახებულმა ვაგ-ბეღე და ვუთხარა: — „რა არის, კაცო, ცოლ-შვილი მშობერ-ტრტველი ვყავს, შინ არაფერი ვაქვს, ვეწლაფერი თაღებმა. შენ კი ზიხარ, ჯღაბნი და სულ ჯღაბნი მეთქი“. მოველოდი, ძალიან ვაგავებდებოდა, ჩემი ნათქვამისა მვე

შემშინდა. მაგრამ სულ სხვა მიხდა. გაიციან და მიიხრა: — ეგე, შე საწყალო, უსწავლელი ხარ და რა ვითხრა; ნასწავლი რომ იყო, მაგ სიტყვას არ გაპატებდიო“.

ჩარგალში ლუკას ჰყავდა კარის მეზობელი მეცხვარე — ფოცხვარა ბანიასვილი, ნათლი-მამა და კარგი მეგობარი. დინჯი, ტყვიანი კაცი იყო ფოცხვარა. ვაყას ჰყავდა სხვა მეგობრებიც: ოსა ზურაბაშვილი, გოგოთურ მარცვალი-შვილი, თეიმურაზ მთიბელაშვილი, გრაგოლ რაზიკაშვილი, ლეთისო მთიბელაშვილი და სხვ. ლეთისო მთიბელაშვილი ჩემი, უთქმელი კაცი იყო, დღემო ორ სიტყვას არ იტყოდა, მაგრამ რასაც იტყოდა, ყოველივე აწონილი და გაზომილი ჰქონდა.

ფოცხვარა სწორად პატივობდა ლუკას. როცა ცხვრიდან მოვიდოდა, ცხვარს დაჰკლავდა, დაიწვებდა თუ არა ხინკლის გელის კეკვას, ვაღ-მიდან გადმოსასხებდა: „ლუკავ, აქ გამოხე ცოტახსნისო“.

— „იმ ცულს რომ ავაქუნებენ, ჩემი ნათლიდგა ნამდვილად ხინკლის გელსა ჰკეპავს, ამიტომ მეძახისო“, — იტყოდა ხოლმე ლუკა და ნელ-ნელა, დინჯი ნაბიჯით ვასწვებდა ფოცხვარასკენ.

ფოცხვარას ცოლმა, მარიამმა, მოამბო: ლუკამ ხომ პურის ჰკამა არ იცის, სამ ხანყალზე მეტს არ შესკამს. ერთხელ ჩემს თქმაზე: — „პურის ჰკამა არ იცი, რად გინდა ნახნა-ნათესი, სამი ხინკალი ბაღსაც ვერ გააძღებს-შეოქვი“, — ლუკამ მოასტუხა: „არწივი ცოტასა სკამს, მაგრამ როგორი ბიჭიაო“.

ლუკას დედ-მამა ძალიან უყვარდა. სწორად იტყოდა ხოლმე: საწყალი მომჩიმი დღე-ღამეს ასწორებდა, ჩვენ მოგვინდა ის კაცი, სულ რაღაცას აკეთებდა, უსაქმოდ არასდროს არ გაჩერდებოდა და თავის სიცოცხლემი ერთხელაც არ დაუსვენიაო.

ახვევ დედაჩვენიც ვაკაცები ვიყავით და სულ თავს დაგვტრიალებდა პატარა ბაღლებით.

მომჩიმი დედას ბუზურას ეძახდა. „ერთი უუარეთ, უუარეთ იმ ბუზურას, კალთაში გამოხვეული რომ მიდის, ახუნის გორზე ჩამოშავილი მგზავრი დაინახა, ვბაში უნდა დაუბუღეს კიპახეზე: — დაჯე, პეილო, დადლილი იქნებო, პური გემშვევიაო“.

დედაჩემიც გავლიდა სუფრას მესავრს. დედას ყველა ღარიბი და საწყალი ადამიანი ებრა-ლებოდა.

ლუკას ზეზე ასვლისა ძალიან ეშინოდა. ვაშლის დაკრეფის დრო რომ მოატანდა, ზეზე ვერ აღიოდა, — მუხლები შეიკანკლებო. მიზერი რომ ვკითხე, მან თავისი ბავშვობიდან შემდეგი ამბავი მოამბო.

ბავშვობისას ძალიან მიყვარდა ზეზე ასვლა. სულ ერთთავად ზეზეზე ვიჯექო, დედაჩემს ეშინოდა — ხიდან არ ჩამოვფრდნოო, და დამაშინა. მიიხრა: შენ თუ ზეზეზე ასვლას არ მოიშლი, აგერ, ახუნის გორზე, სულ ზევით. მაღალი წიფელი რომ დგას, ავაღ, იმ წიფელზე შევტებო, სულ წვეროზე მოვვცეკვი, იქიდან ვაღმოვარდებო, დავეცივი და მოვკეცებო, შენ კი უდგლო დარჩები, დედა მოგიკედება და რაღა გეშველება ობოლსაო?

დედის სიტყვამ ისეთი გავლენა მოახდინა ჩემზე, რომ ის დღეა და ეს დღე, მე ზეზე აღარ ავსულვარ. როცა ხესთან მივაღ, მაშინვე დედაჩემის სიტყვები მომიგონდება და მუხლები ამიკანკლებო.

დედაჩემმა ისეთი ტკბილი და შთამაგონებელი ლაპარაკი იტყოდა, რომ იმის ნაამბობი ზღაპრები დღესაც მახსოვს.

ჩვენი მეზობლის, ბეკური ბანიასვილის დედას, ზედმეტ სახელად კოკლას ეძახდნენ, ლუკა გავჯავრებინა. ხბოები გადასტოვუნენ ყანაში და ამხე მოსვლოდათ უსამოვნება. კოკლას უყვინებია ლუკა. მოვიდა ლუკა გაჯავრებული და ლექსი დაწერა. ლექსი იწევებოდა ასე:

ლომს ტახტი უდგას მხეცეებში,
არწივს — ფრინველთა შორის-აო.

ასეთი შემთხვევაც მახსოვს. ჩვენი ხბოები გადასტოვუნენ არჯაულანთ ჯეჯელში. ის ხბოები, ვაყას მეგობრის, არჯაულანთ ლეთისო მთიბელაშვილის ცოლს შეეყარა გომურში და კარი გამოეკეტა. ლუკა ხბოების კვლას გაწყობოდა და ვახოვა ქალთამზესთვის, პირტყვი გამოეშვა. მოსვლოდათ ლაპარაკი, რაც შემდეგ მხუბით გათავებულა. ქალთამზეს აეღო შუბი და, როცა ლუკა გომურს დაახლოვებოდა, ეს დედაკაცი შუბით გამოსდგომოდა უკან. ლუკა გამოტყვეულა. — მმ, მამ, რას ვინაზიდი, ის დედაკაცი შუბს წამომაღმევდა, რომ არ გამოვტყვეულიყავიო! — დიმილით იტყოდა ხოლმე ლუკა.

ლუკას ფახი ფშაველმა მამაკაცებმა უფრო იტოვნენ, ვიდრე დედაკაცებმა. ლუკას ეჯავრებოდა ყბელი, მეპორე, უქესო დედაკაცი. ზოგიერთ მათგანს კი დიდ პატივს სცემდა. მზგალითად, მეცხვარე გარსევანიშვილის მეუღლეს — ნათელას, რომელსაც სოფელში „ბეროს ნათელას“ ეძახდნენ. ამ ნათელაზე ლუკა იტყოდა ხოლმე: „ეს დედაკაცი ნამდვილად პოეტიაო, როდესაც მკვდარს ტირის, პოეტურად ამოთქვამს სიტყვებსაო“.

პართლავი, ბერით ნათელა თავის დროზე განთქმული იყო ტირილში, ლუკაც კარგად იტრა. მახსოვს, როცა ჩარგალში, სახლის წინ,



მწიანე მოღზე გავწალ ლუკას ნაბადი, ზედ დეაწყვე ჩოხა, ახალუხი. ჩოხაზე ვაჯის ზნალი იყო მოწვენილი. გარშემო ლუკას სატირალს მთელი ჩვენი სოფლის დედაცაცები ეხევივნენ. წამოდგა შუა დედაცაცებიდან ბერთთ ნათელა, აიღო ლუკას ზნალი ზელში, დაიბჯინა და დაიწყო მოთქმა შემდეგი სიტყვებით:

„...ეს თუ არი და ჩვენი ლუკა, ბადელი მთელი ხმელეთისა-ა-ა...“

ნათელას ქეთინის მოვლა ქალებმა ხმა მისცეს, ქეთინითვე უბასხეს. ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა ხალხზე (დანარჩენი სიტყვები არ მახსოვს), რომ მიმაჯაცებსაც ტირილი მოურიათ. ფშავში ხომ წესად არ იყო მიმაჯაცების ქეთინი. ნათელას ტირილზე კი მათ თავი ვეღარ შეიცავეს და ბევრმა მოთქმა დაიწყო.

ჩვენს სოფელში ცხოვრობდა ერთი თამამი ქალი — სახლად ქაიყნა. ლუკა სადღაც, ოდესღაც გახტურებოდა ქაიყნას. ერთ დღეს ქაიყნა ეწვია ლუკას და რაღაცას შესტიროდა და სწიოდა. ლუკა უცებ გაჯავრდა. დადევნა ამ დედაცაცს. თითქმის კიბუბეამდის ვადაპყვა. როცა დაბრუნდა, შევეითხე: — „კაცო, რა მოგივიდა, რაზე გამოუდევქი იმ ქალს, ან შენ რა გინდოდა ან იმას რა უნდოდა-მეთქი?“

ლუკამ მიახუტა: — „კეთხე, აბა, რა ვიცი რა უნდოდა! ე მაგისტანებზე არის ნათქვამი: „ვიცის ნურც ემტრები და ნურც ემოყვრებიო. მოვიდა და მოიყვა აქ სლუკ-სლუკსაო“. ყველაფერი შენი ბრალია-მეთქი, ვეთხარო. ლუკას აღარაფერი უბასხენია, შევიდა თავის საწერ ოთახში და წერას შეუდგა. ასეთ შემთხვევებში ლუკამ იცოდა ლექსის დაწერა. მხოლოდ არ მახსოვს, მაშინ რა დაწერა.

ლუკამ მე და ჩვენს მეზობელს, ბეყანას რძალს, დიკვან ბესო პიჭქეშაშვილის ცოლს, კუკას (ასე ეძახდნენ) — გამოგვითქვა ლექსი. ელამ თავისთვის კაპოტი შეაყვინა, და სულ იკვებნიდა, კაპოტს აქებდა — ჩემი კაპოტო!

ეს ლექსი, ასე იწყებოდა:

ელამ შეაყრა კაპოტი,
მის სანახავად გავრბოდი...
ნეტავი თამარსაც მისცა,
დაღონებულა ვამბობდი!

ეს თამარი მე ვიყავი, ლუკამ მეც მიძღვნა ცალკე ლექსი. აი ეს ლექსიც:

ყური დაგინდა, სხივი კრთის,
სრულად დამიჩნდი მთვარეო!
გზადაკარგულსა, მტირალსა
მიშვილე, გამახარეო,
ვაფანტე, ეგებ გზა ენახო,
წყველიდი მარტყავ გარეო.
აღარა ვწაველო, ეგებო,

ჩემი სიციცხლე მწარეო.
გულს სწყურის გნახოს ბაბუხანა, ნუღამ
ამო, ამოჩნდი ბარეო,
ვიხილო შენი სხივები,
მთა-ბარზე მოვლარეო!
გზადაკარგულთა ნუგეშო,
შენს სხივებს ვენაცავალო!

მე რას ვუშველიდი ბეჩავს ლუკასა: ვიყავით ღარიბები და ეს აწუხებდა იმას. ბოლო დროს უფრო დასწევდა. ვეღარ მეშობოდა ყანასა და სათიბში. მუშის ფულიც აღარა გვქონდა — თავს ეხევიეთ ამდენი შესანახავი, დიდი ოჯახი.

ერთხელ ვეთხარა: „წახვალ ქალაქში, ფულს, რასაც აიღებ, იქვე შესკამ და მოხვალ ცარიელი-მეთქი“. ამაზე ლუკამ მიხასუტა: „— მაშ, რა გენა, ქალო, ზოგჯერ ისეთ ხალხში ჩავეარდები, მპატოევენ, მპატვსა მცემენ, ხარჯავენ და მეც თუ არ დაეხარჯე, არ შეიძლებაო. ამასწინათ კამპანია იყო, მანეთიანი პაპიროსები (სიგარები) მოიტანეს და, მეც რომ არ მეყიდა და არ მომწვია, არ შეიძლებოდა, რადგან ყველა იმ სიგარებს ეწეოდაო.“

ჩვენ პირველად საკეთარი წისქვილი არა გვქონდა. ჯერს ხან კურდღელაანთაგან ეღებულობდით, ხან უიდელაანთაგან, ხან კი ჩანჭურისკარს წისქვილებში ვფქვავდით. საფქვეზე შორს სიარულში ძალიან შეგვიწუხა. ორსამ კოლომეტრზე მიხდებოდა წისქვილში სიარული. გაეწეობდით საფქვეს, ჩაყვრიდი მოზრდილ გულში, ავიკიდებდი ზურგზე, თანაც თოქს წაივლებდი. საფქვაკი მიმქონდა ჩარგლისკარს და ბოწახში.

თუ წისქვილი ჩჭარა ვერ ფქვავდა, მთელი დღე უნდებოდა მოტანილი საფქვეის დაფქვას. ამ შემთხვევაში საფქვეს დავყვრიდი ხეიშორზე, შევამოწმებდი ნაქლკას. ზომის დაგების დროს. როგორც საბაქნე მომთხოვდა, ისე დავყვებდი სარკველას. ზომს რა დავუგებდი წისქვილს წესიერად, წამოვიდოდი შინ. გზადაგზა ხმელ ტოტებს შევაგროვებდი, შევკარავდი თოკით, წამოვიტყებდი ზურგზე და გამოვწვედი შინისკენ.

წინასწარ გამოანგარიშებული მქონდა, რამდენ ხანში უნდა დაეჭვა წისქვილს საფქვაკი, იქნებოდა იგი ქერი, წმინდა, ახალწმინდა, სომინდი თუ სელი. ნაგარაუდევ დროზე მივიდოდი და წამოვიტყებდი ფქვილს სახლში, ჩემი ხბოს გულში.

შორს, წისქვილში, სიარულით ეიღებოდი და ლუკას შეგჩივლე: აღარ შემოძლიან ამდენ მანძილზე სულ სხვის წისქვილებში სიარული და მათი ხეყნა-ლაჯინი. თუ ჩვენ შეეძლებო, ცალკე ავიშერთო, ჭინწე მეზობელი შეგინი-

რომ და აქვე ახლოს ავიშენოთ წისქვილი მეტეი.

ლუკა დამეთანხმა. ჩვენი ყორულის ბოლოს შეათვალერა საწისქვილე, ამოიტანა წისქვილის ქვები თბილისიდან, ამხანაგად ჩაიზარა თავისი ნათლამბა ბეკურ ბაჩიაშვილი და შეუდგა საქმეს. საწისქვილე ადგილი შეარჩია მდინარე ჩარგულუას ნაპირზე, ჩვენი სახლიდან ორასი-ოდე მეტრის დაშორებით.

წისქვილის გამკეთებელ ოსტატად ლუკამ შეარჩია ხომელი მინა ქოთილაშვილი — ქოთილათ მინად წოდებული. დაიბარა. ქოთილათ მინა ეახლა ლუკას. მორიგდნენ ფასში.

— ამა შენ იცი, ერთი კარგი წისქვილი უნდა გათიპართო, ჩემო მინა! — უთხრა ლუკამ.

— შე ხელს არ გავამრუდებ, ვეაყი — მიუგო მინამ.

მინას ბევრი ლამარაჯი და თავის ქება არ უღვარდა, დაიწყო მუშაობა და რამდენიმე დღეში გამართა წისქვილი. დავაყარეთ საფქვალი. დაიწყო ფქვა. ლუკას მოეწონა, თუ არ მოეწონა მინას ხელობა, შემდეგი ლექსი გამოუთქვა:

მინამ გამართა წისქვილი,
გავმართა, გავამზარა,
ეს საღერდელი თემე მოგცა,
სამბილობელი კი — არა.
მაგასაც მალე მოგიშლის,
თუ კიდევ ჩამაიარა.

ეს ლექსი მთელ სოფელს მოედო, და მინას დასციინდნენ, ყველგან ეუბნებოდნენ, თურმე: „მინავე, გვითხარი, ვეკამ როგორ გავალექსაო“. ამის მაგიერ, რომ გახარებოდა ვეკას მიერ მიძღვნილი ლექსი, მინას, თურმე, — საშინლად სწყინდა. — „მაგათი სასაცილო ხომ არ ვეაყი მე! ჩემისთანა წისქვილის ოსტატი მთელს ფშავის ხეობაში არ არის და მეც კიდევ რაზიკაანთ საღვთოდ ვაქლავო!“.

ამ დღიდან მოყოლებული, ჩვენ საქუთარი წისქვილი გვექონდა. შორს აღარ გეობებოდა სიარული.

ბეკური ბაჩიაშვილი, თავის სიცოცხლეში, ჩვენს საზიარო წისქვილს ერთგულად უვლიდა: მართავდა, დროზე შეაყეთებდა, თავის ჯერში მოკარებებსაც იყენებდა. ლუკას კი, არ მახსოვს, ვისთვისმე რამე გამოერთმინოს დაფქვაში. — „შე მინდს არ ავალბე, ფქვას, ვისაც უჭირს, ხოლო წისქვილს ნუ მოშლიანო“, — იტყოდა ხოლმე ლუკა.

ერთხელ, ბეკურის თხები ჩვენს ჯეჯილში შევლიყვენ. ლუკამ დაინახა. დაიწყო ძახილი: „თხებიან ჯეჯილში, გამორეკეთო!“ ხმა აბრეინ გასცა. ეს შერამდენელ ამოუშვეს თხები ჩვენს

ჯეჯილში, მე ვეჩვენებ მაგაო ხეირსო! — თქვა ლუკამ, აიღო თოფი და ვეჯეჯილში თხებთან, სასროლად.

გეჯეჯილში

გადასულა თუ არა მამულის პირში, ჯეჯილში კერდღელი ამოსჩენია. უსროლია ლუკას თოფი და მოტყლავს. თხები კი გადარჩენია სიკვდილს. ეს ამბავი ბეკურს ეამბო ლუკამ, სტუმრებთან ერთად, და ბევრიც იცინეს. — „კერდღელმა დაიხსნა შენი თხები, ჩემო ბეკურო“ — სიცილით ეუბნებოდა ლუკა ბეკურს.

ქირნახელის წახდნას ლუკა, საერთოდ, ვერ იტანდა. ჩვენი იქნებოდა თუ სხვისა, ამისთვის სულ ერთი იყო. როცა ჩვენი საქონელი ვაფუჭებდა სხვის ყანებს, ჩვენ დავაწყვებდა ჩხუბს. „საქონელს ყურს რატომ არ უგდებთ, რომ ნამუშევარი არ წახადინოთო“.

ჩვენს კალოზე მომკილი ყანის მუხლის ძენები გვექონდა დაღვრილი. ასულიყვენ ჩვენს ინდაურებში ამ ძენებზე და სწეწავდნენ, თურმე ლუკას შეუხედავს. პგონებია სხვისი ინდაურები. ამოელა ხმალი. ვხედავ, დასდევს ეს კაცი ინდაურებს ხმლით და თავებს აურევენებს. გავიქეცო, მიველი და ვუთხარი: „კაცო, რას შევები, ესენი ხომ ჩვენი ინდაურებია, რაზე ხოცავენო თქოი“. ლუკა გახევებული დარჩა. — „ჩვენი ინდაურებშიო! გავიარებთ თქვა და ხმალი დაუშვა. — აჰ, ჩვენია?! და ჩვენე ევაშოთომეო! აღარაფერი უთქვამს, დარცხვენილი წამოვიდა შინისკენ. თავმოჭრილი ინდაურები ავერიფე და ჩამოიქრანე შინ. ოთხი ინდაურისთვის მოეჭრა თავი!

ჩვენი მეზობელი, ბეკუკიანთ ბერის მუედელას მამა, მთერალი ჩვენს კალოზე ჩამოსულა და უვირის: „ეკეთ... ვცოფდებიო!“

— ვეიდა ლუკა, ნელ-ნელა მათახლოვდა ამ კაცს. — რა არის, რა მოვივიდა? რა ვაუვირებს?

— ვცოფდები, ბიძისი კაცო! — ივეორებდა ბეკუკიშვილი.

— შენ თუ ცოფდები, მე კიდევ ვევირებოი! — შესძახა ლუკამ. ვაუშალა სილა და შიგ ყურის ძირში სთხლია. ბეკუკიშვილი გადაიქცა. ჩვენ შევშინდით, ხომ არ მოკვდაო, რადგან ხმას აღარ იღებდა, არც იმეროდა. შორიდან ვუთვალთვალავდით. კარგა ხანი რო ვაეიდა, ეს კაცი მოსულიერდა, წამოჯდა, გაიხედ-გამოიხედა, მერე ერთბაშად წამოხტა და მოკურცხლა შინისკენ.

ლუკამ დიდი დათმობაც იკოდა, თუ გრძობდა თავის დანაშაულს ან საბრუენებს.

ბეკურს და ქალთამზეს კარებზე რომ მიუხტა, ორთავემ გამოაქცია. ქალთამზე შუბით გამოსდგომოდა. ამანვე წემოთაც გვექონდა ლაქარაკი. ბეკურიან რომ შესულა საჩხუბრად, ბეკური ხანჯლით დასდევნებია. ბუღარაანთ კაქლუბამდე

მოყოლოდა. „მაშ, რა მექნა, დათვია, ხანჯალს დამცემდა, ყველა თავის გარემოს იცავსო!“ ამბობდა თვითონვე ლუკა.

ლუკა ჩარგალს ქორწილში წასვლა, ფადიერაანთ ბაიაც უოფილა ამ ქორწილში. ბაია რაღაც წაწყენილ ყოფილა ლუკაზე, სახლის წინ, მწვანე მინდორზე გაშლილ სუფრის გარშემო ფიცრებზე ჩამომსხდარი ფშაველები ღებინში იყვნენ და ნეფე-დედოფალი ჯარზე ისხდნენ, ბაიას უფექრია: მოდი ერთი, დაეცხო სილა ამ ვაჟას, რაც მომივა-მომივია.

მისულა და შიგ სახეში დაუკრავს ლუკას-თვის. თვითონ ბაიამ მიამბო: „წამოხტა ლუკა, ხელი რვეოლვეტრზე იტაცა, როდესაც მიტეო, რომ მე ვიყავი, ვუკვირდა და მითხრა: „ყოჩაღ, ძმაო, ყოჩაღ, შენ თუ მავდენი შნო გქონდა, არ ეციდოდიო!“ — გადამხეცია და გაღამეოცნა. მე ისე შემრცხვა, რომ, შემდეგ, რამდენიმე წელიწადს, როცა ლუკა ცხენით ჩამოიფლდა ტალახზე, მე ვაპს ვუქვეყნე, მურყნებში გადავდიოდი, მრცხვენოდა, კაცს პირდაპირ შევეროდი და თვალში შემეხედაო.“

ლუკას დროს, ჩარგალს, ზენა სოფელში, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა ერთი როყინა ხმის პატრონი — შალვა გორხაშვილი. იგი ბოროტი კაცი არ იყო, მხოლოდ ცოტა ბრავი და უზრდელი ხასიათი ჰქონდა. ლუკასთვის ზენა ემართა. ქირა წინდამწინ გადაფუხადეთ შალვას; რომ სამ დღეს ეხნა ჩვენი მიწა ეკლესიასთან.

ორი დღე გვიხნა, ვაედაჩრდა და გუთანი შინ წაიღო. შესაშე დღეს აღარ უხნავს. დაეიწყდა, თუ რა მოხდა, არ ვიცი.

ერთ დღეს შალვას ამოწველა ჩვენი სახლის ვადალა, უკუბეხეზე. გორიდან ლუკას თვალი მოუწყრავს და გადაუძახნია: „რატომ არ მიხნავ, შე დათვოო?“

— ავი გიხან, შე თვითონ დათვოო! — უპასუხნა შალვას. ლუკას გული მოსვლია, ვადასდგომა წინ და შალვასთვის ერთი სილა უტყეკო. ის წაქვეყნა. მერე ლუკას უთქვამს: — „არ ადგე, აქედან არ ვაინძრე, თოფი უნდა გამოიტიანო და დაგვარაო.“

შალვას მართალი ეგონა ეს ამბავი, წამოხტა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ზეუდახვე გაიქცა. შე თვითონ გადავედი ლუკას დავაღებოთ: — „მა ვადაიხედე, ის კაცი იქვე არისო!“ შალვა ზეზე ვარბოდა, შე კი შორიდან ვუყუარებო.

ამ ამბავს რომ გაიხსენებდნენ ძმები: ლუკა, ნიკო, თედო და სანდრო, დასციროდნენ შალვას და აჯავრებდნენ ლამარაკს: „ავი გიხან, შე თვითონ დათვოო!“ უკვირდით შალვას პასუხი და ისიც რომ მართალი ეგონა — ლუკა თოფს ვაღმორტანს და დამკრავსო, უკვირდით იმისი გაქვეყნა.

ღარიბი და ბეჩაეი კაცი ძალიან ვბრალდებო-

და ლუკას. უყვარდა გაჭირვებულის დახმარება. ჯერ თვითონ რა გავეხანდა და ლუკას ცალი ხელი ქვეყნისაკენ ჰქონდა. უკვირდით სიხარბეო, — ვეტყვოდი ხოლმე, — გადავებული ხარ სტუმრებზე, ხალხზე და შინ კი საყუთარი ცოლშვილი ვერ შეგინახავს შეუთქი.

— „ძროხა ხომ არა ვარ, დედაცო, რომ სულ თავისთვის ვიყოო, — მეტყვოდა. — ეგეკაცო თავისთვისაც უნდა იყოს და სხვისთვისაცაო!“ მეზობლის ქალი მოვიდა ლუკასთან და შესჩივლა: „რა ექნათ, ბენაკებო, საწყულები ვართო. წუხელ ქმარი გარდამეყვალა, ტრეტელია და არ ვიცი, რით დავმარტოო...“

ლუკამ აიღო და, თუ რამე გავეხანდა პური, ფული, სასუდრო, — მისცა და უთხრა: „მა, წილე, შე ბეჩაეო. იმ კაცს ტრეტელს ნუ დამარბავთო! — თავის ჩოხა-ახალონი გაატანა. ფართალი გექონდა სახლში, — ისიც მისცა: — დამარბე ის კაცი და ბაღლებს მოუარეო“. ქალი დიდი კმაყოფილი და ლოცვა-კურთხევით წავიდა.

ლუკას სიხარბეო და უსაქმურობა არ უყვარდა. უზარბუბოდა გაურჯელი, უსაქმო, ცრუ-ამპარტავანი და თაღლითი აღამიანი.

ერთხელ, ჩვენსა მათხოვრები მოვიდნენ. ორი კაცი იყო. ახალგაზრდა შეხედულუბა ჰქონდათ ორივეს. ჯანზედაც კარგად გამოიყურებოდნენ. „ვირა ხართ თქვენაო?“ — ჰკითხა ლუკამ. მათ უპასუხეს: „ჩვენ ბერძნები ვართ, გაჭირვებულები, საწყალი ხალხი, და დაედივართ ასე სოფელ-სოფელ სამათხოვროდ, იქნებ ეინმე რამე მოგვეცემაო.“

— „მოიხადეთ, დააწყეთ ეგ გუდები, იიღებეს ბაჩები, ჩაღით ავე, იმ ბოსტანში, დაბარეთ და პურსაც გაქმეთ და ფულსაც მოგცემთო“. უთხრა ლუკამ და წასწავდა ერთ მათგანს გუდაზე. ორივენი გაიქცნენ. ვუდაზე ხელი ეკიდათ, თან გაბობდნენ, უკან იხედებოდნენ და იმეორებდნენ ერთსა და მხვე სიტყვას:

„რა კასი! რა კასი! რა კასიაო!“ ისე სირბილ-სირბილით მიიმალნენ ზეშე. ავე რა ჰქენი, კაცო!“ — ვესაყვებდრე ლუკას. ლუკამ მიპასუხა: „ისა ვქენი, რომ ჩემზე ახალგაზრდები, ჩემზე ჯანმრთელები დადიან სოფელ-სოფელ და ხალხს ატყუებენ, ვარგებ თავს ისაწყლებენო.“

დავტროშილი, ზეიბარი ან მოხეტო. ჯანდაკარგული მათხოვარი რომ მოვიდოდა, იმას უმოწყალოდ არ ვაუშვებდა. „სავითი გაჭირვებულისთვის ფქვილსაც კი ჩამაყრევიებდა ხოლმე.“

ლუკა სხვას არ წავლევადედა. ხოლო თავისას სხვას არ შეარჩენდა. მით უმეტეს, თუ მის საყუთეროს უსამართლოდ ვინმე მიითვისებდა.

სავით ამბავი მახსოვს: ერთ დროს აქ იყინ-

რები დადიოდნენ და გზას ზომავდნენ: რკინი-
გზა უნდა გაეყვანათო. ჩვენი ვაშლისზე, რა-
მელიც გუდრუხის ძირს მდგარა (ლუკას პაპის
ნამყენი) ინჟინერს პლანში მოჰყოლია და ხე,
ჩვენს დაუკითხავად, მოუტრია. თურმე, შესაძ-
ლებელი იყო ისე შეედგინათ გვემა, რომ ვაშლი
არ მოეკრათ. მაგრამ ამისთვის ინჟინერებს თავი
არ შეუწყუხებიათ, არც ანგარიში გაუწვევიათ
პატრონისთვის. ლუკამ ეს ამბავი გაიგო. შეჰ-
კანმა ცხენი, ჩავიდა თიანეთს (ჩვენი სოფელი
მამინ თიანეთის მარხაში შედიოდა) და ინჟინ-
რებს ვაშლის მოკრა უჩივლა. სასამართლოს
ვანაძენით, ინჟინერს დააკისრეს გადაეხადა
პატრონისთვის ხის ღირებულება.

ლუკას გველის კენისა ეშინოდა. ერთხელ,
ფეხშიწველა, ცელით სთიბავდა ბალახს სახლის
ახლოს. თიხვის დროს გველი შემოეარდნოდა
ცელში. ველარ გაეგო, ცელი შემოეარდა ფეხ-
ზე თუ გველმა უკბინა. ლუკა სათიბიდან აღელ-
ვებული მოიპრა წინ და დამიძახა: „ქალო, ბერა
შეიკ ჩქარაო“.

ცილობანში სხვადასხვა ფერის საფარდავე
თბორები შქონდა დამზადებული. წითელ თბორს
საჩქაროდ მოკვსენი ნართის ძაფი და მიუტრბე-
ნინე ლუკას. ლუკამ სწრაფად დაიხვია ბერა
თითზე წითელი ძაფი. მაგრად შეიკრა. მინც
ღელავდა, დარწმუნებული იყო, გველმა მიე-
ბინაო. მაგრამ თითი სწრაფად მოტრია, არავი-
თარი ცუდი შედეგი არ მოჰყოლია — „აღბათ,
ცელის ფხას შეაქვრა ფეხი-მეთქი“, ვუტბუნე-
ბოდი. ის მინც დაეინებოთ ამბობდა: ნამდვი-
ლად გველმა მიკბინაო!

ლუკას სოკოზე სიარული უყვარდა. ხის
სოკოს (ნაადრზე ამოდის, დიდ წიფლის ტოტ-
ზე ტყეში), ხშირად მოიტანდა ხოლმე წინ.
ფშავით ასეთ სოკოს კალმასა სოკოს ეძახიან.
ლუკაც სწორედ ასეთ სოკოს ეზიდებოდა ხერ-
ჯინით, როცა მალაროსკარს წავიდოდა.

შე შევეკითხე: „სადა ჰკრეფ ამ სოკოს, გვე-
ლის სოკო არ შეგიყვებს და არ მოგიწამლოთ
შთელი ჯალაბობა-მეთქი“.

რას შევძენები, დედაცაყო, გველსა და
კალმასა სოკოს ველარ ეცნობო?, მოასტეხა
ლუკამ. — ამ სოკოს ვკრეფ არაგვის მარცხენა
ნაპირზე „აეთანდლის საქანში“ (ერთი ვიწრო
ხევი), შეღმა, შიგ ხეში გადმოწოლილა ბურ-
ღლიანით დაფარული, უშველებელი წიფელი,
რომელიც წვიმების დროს, თავით ბოლომდე
სოკოთი იფარებოდა. ამ იქა ვკრეფ ამ სოკოს
ჩოხის კალმებში. ცხენით ვერ ავიღებარ, ცხენს
ქვევით ვტოვებ არაგვზე და მე კი ზვეით მის
დასაქრეფად მივეშურებო.

ლუკას ბადით თევზობაც უყვარდა. მისი
სამადეო საყვარელი ადგილები იყო: ჩარგლის-
კარს, სადაც ჩარგლულა არაგვს უერთდება,

ინოს ძირს — შევე წყალთან, კოპალის ტყე-
თან — დიუელის ხეზე, არაგვს ჩამსტოვოს.
იჭერდა: ფინხელს, კალმას და მურქას.

ლუკას ნადირობაც უყვარდა. ხშირად დაი-
არბოდა თოფით სანადიროდ შევლებსა და დათ-
ვებზე: დიუელას, ასავალთ გორს, საშუბის
ხეეს, იწისთავს და აფხუმოსკვენ.

როგორც ზემოთვე მოვიხსენიე, ლუკას ხეით
ძმა ჰყავდა და ერთი და — სახელად მართა.

ლუკას ძმა ნიკო (ბაჩანა) აფხუმოში ცხოვ-
რობდა. დანარჩენი ძმებიც სხვადასხვა ადგილას
იყვნენ დასახლებულნი. მარტო ლუკა დარჩე-
ნილა ზემო დედამთელ-მამამთილის ბინაზე.

უფროსი ძმა, გიორგი, თიანეთში მსახურობ-
და ვეწილად, თელე ცხოვრობდა ხელთმასს,
გორის ახლო, სადაც მსვლელებად იყო. უმც-
როსი ძმა სანდრო, თბილისში ცხოვრობდა და
ფოსტის მოხელედ მუშაობდა. ჩემს მახლბებს
და ჩძლებს ყველას ადრეც ვიცნობდი. მხო-
ლოდ ლუკას უფროს ძმას, გიორგის, ველარ
მოვესწარი, ის უკვე გარდაცვლილი იყო.

როგორც გადმოცემით ვიცო, გიორგი მეტად
ახივანი და ღამაში ვაჟკაცი ყოფილა. ქალებს
ცილობა და ქიშობა ჰქონიათ გიორგიზე. ბო-
ლოს, ვიღაც ქალს მოუწამლავს. დაავადყო-
ფებული გიორგი ძმებს ჩარგლში მოუყვანიათ.
ავადყოფ მახლს, თურმე, ლუკას პირველი
ცოლი, კაკე უღილა.

მე მართას ვერ მოვესწარი: როცა ლუკას
სახლში მომიყვანეს, ის აღარ იყო ცოცხალი.
მართაზე ამბობდნენ მეზობლები, რომ ის ძალიან
ყოჩაღი, ვაჟკაცივით ქალი იყო. ნაბღიასი და
ხანჯლიანი დადიოდაო. საქონელი ძალიან
ჰყვარებოდა, ზამთარ-ზაფხულ საქონელთან ყო-
ფილა თურმე. ძროხების გვერდით ეწინა, ზამთ-
რობით საქონელი კახეთში გადაუდიოდა, ზაფ-
ხულში კი — ჩარგლის მთებში. უვარლის ახ-
ლოს ყორიანის ტყეში, მდინარის ჩარგლულას
ნაპირზე, ბიძაშვილებთან ერთად, ამოებდა
ხოლმე მართა საქონელს. ამ ადგილს ხალხი
„მართას ნაბინარებს“ ეძახდა. მართა ღამაში
ქალი ყოფილა. ბევრს მოსწონდა, თურმე.

ერთი კარგი თარეგნობის ვაჟკაცი, ტომით
ლუკა, დადიოდა თურმე მართას ბინაზე მის
სათხოველად და მართას მოტაცებით ეშვერ-
ბოდა. მართას ეთქვა ლუკასთვის: „ლუკო, აქ
სიარულს თავი დაანებე, თორემ აქ ერთი ავი
ფშაველი გვყავ. იმან თუ მოგასწრო, ვაი შენს
ტყავსაო“.

ბინაში, შეეცეხლთან ჩამოსვლადარი ლეკი არ
წასულა: „ერთი უნდა ვნახო, რა ფშაველი
გყავითო“.

ლუკა სანადიროდ ჩამოსულყო. მართა წინ-
დაწინე შეხვედროდა ლუკას და ეთქვა: „ის
ლეკი ისე მოვიდაო“. ლუკას ლეკი ისე ეტრია-

ნა თოფით, რომ შემდეგ იმ ადგილას არასდროს აღარ გაუვლიათ.

ჩემს მოსვლამდე, ჩარგალში მასწავლებლად ყოფილა ვილჟ სვანი, გვარად ჯადარბიძე. ეს კაცი ჩემს მუღს, მართას, შესწერენია და შეუცდენია — ცოლად შერთვის დაპირებულია. ეს ამბავი მშებს არ სცოდნიათ. ქალი უკვე დაორსულებულია. ეს რომ შეუტყვიათ, გამოსდგომიან ჯადარბიძეს თოფით. მას სიყვდილის შეშინებია, გაქცეულა და მიტოვებია ოროთახიანი სახლი ბარგით, ფარდავებით. ხალხებით მორთულია და გაქცეულა სვანეთს.

მართას ვაგი დაპაალებია. მშებს თავის გვარზე მოუნათლეთ ბავშვი და სახელად მიხა უწოდებიათ. მიხას ასწავლეს, საშუალო განათლება მიიღებინეს, ლუკამ რომ მომიყვანა, აგი უკვე ვაჟაკი იყო და ძალიან კეთილი ხასიათისა. ლუკას, ბაჩანას, თედოს და სანდროს ძალიან უყვარდათ თავის დისწული. „ჩვენს მიხას“ ეძახდნენ სიყვარულით. ჩვენი მიხა ყოზაღია, კარგი მსარეული და მონადირეო. ნადირისთვის ტყვია ჯვარ არ აუღდენიაო, — ხშირად იტყუდნენ ხოლმე მშებია.

მიხა გორში ცხოვრობდა და ზაფხულობით ხშირად დადიოდა ფშავეში ლუკასა და ბაჩანასთან.

თედოც და სანდროც თავიანთ ცოლშვილით ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე ჩარგალს.

როცა თედოს მეფის მთავრობა სდევნიდა და ზარბაზნით სახლი დაუნგრავს კახაკებმა ხელთუბანში, თედო ცოლშვილით ჩვენთან და ბაჩანასთან იყო თავშეფარებული.

ჩემი გერბები: თამარი, ლევანი, გულქანი და მარიამი ისე დაიზარდნენ ჩემთან, რომ ხელი ერთხელაც არ მიხლია მათთვის. არც დამიტყუანეს.

ერთხელ ჩემმა რძალმა, ბაჩანას ცოლმა, მიხაყვედრა:

— შენ ბალებს ანებებებ, მათ ყოველთვის რიდი უხდებათ განებებებ, ხანდახან უნდა დატეპსო. უფრო წესიერები ვაიზრდებიანო.

მართლაც, ჩვენი ბავშვები უფრო თავნება ბავშვები იყვნენ, ძროხაში დადიოდნენ: გულქანი, მარიამი და ვახტანგი. ხშირად ეკარგებოდით საქონელი. ვუწყებოდი, მაგრამ არ მებუდობდნენ. თერძე, წაფრებოდნენ ფერებს და პირში იწველავდნენ რძეს, ხან ბურკებში სწველავდნენ. საქონელი ირეოდა, აღარ იწველებოდა ხერიანად. მერე გაყვებოდნენ მარწყვს, თოლს, მყავალსა და პირუტყვი ეკარგებოდათ. გვიან ბრუნდებოდნენ შინ და საქონელიც გვიან მოუდიოდათ, ხან კი ვარცთუც რჩებოდა ჩვენი პირუტყვი.

ლუკა მე მიჯავრდებოდა. უთხარი ბალებს,

საქონელს ყური უდგონო. თითონ ლუკას არ უყვარდა ბალებს ცემა. **მარტინეშვილი**.

ბაჩანამ დიდი მოფერებაც მიცემს ჩემს მშვედროს, გაჯავრებაც.

ძალიან ფიცხი იყო. ლუკა კი უფრო ზომიერი ხასიათის იყო შეიღბთან.

ლუკას და ბაჩანას განსხვავებული ხასიათი უკონდაო. ჩვენ, შინაურებმა ეს კარგად ვიცოდით და ეოქცოდით ისე, როგორც მათ სთავი მოგვნიბოდათ, ვერიდებოდით მათ წყენას.

ერთხელ, ბაჩანასთან ვიყავი სტუმრად. ჩემმა რძალმა, მარიამმა, სუფრა გამოლა. შეუძლოდ ვიყავი, თუმცა არ ვამქლავებდი. მარიამმა საძმელი ჯამებით დაგვიდგა. პერსა ეჭამთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ბაჩანამ ცოლს უთხრა: — „მაიტა ეს საქამსნი, მე და ჩემ რძალს კიდევ დაგვიმატეო“.

— არა, ჩემო მზლო, — ვუბასუხე მე, — არ შინდა, ამასაც ძალით ეჭამ-შეთქი!

— ჩვენ, რძალო, საძალადო არაფერი გეაქვს! — ამართვა წინიდან ჯამი და იქით გადადგა. გაოცებულად დავჩინი, რადა უნდა შეთქვა. მერე, როცა ვაიხილავებდი ამ ამბავს, მე და მარიამი ბევრს ვიციინოდით. იციინოდა თითონაც, საწყული ბაჩანა. „აღარ მახოესო“, — ამბობდა.

ბაჩანას ძალიან უყვარდა ცოლი. ერთ ზაფხულს სამივე მშა: ბაჩანა, თედორე და სანდრო ცოლშვილით იყვნენ ჩვენთან. მშებ ჩვენი სახლის წინ მწვანეზე გაშლილ სუფრას უსხდნენ და ღვინოს სვამდნენ.

ვაიმართა კამათი და ცოლების ქება. ბაჩანა თავის ცოლს აქებს: „ეთქვათ პირდაპირ, ჩემი დედაყვი ნამდვილი გენოსიაო“. სანდრო იციინის, ლუკა იღიშება... ლუკამ გულიანად სიცილი არ იცოდა, მარტო იღიშებოდა ხოლმე. თედოს სერაიოზულად სწყენდა. უყურა, უყურა შუბლშეკრულმა თედომ ბაჩანას და თქვა: „ეინა, ჩემო თიკო, აფსუსს!“

ვაიმართა დავა: თუ ვისი ცოლი სჯობდა?

ჩვენ მათთან არ ვიყავით. სახლიდან ვუსმენდით მე და ჩემი რძლები და გვეციინებოდა (მთის ჩვეულების მიხედვით, ღვინოს დროს, ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე ისხდნენ. მშებიც იცავდნენ ამ წესს).

ბაჩანას ცხენოსნობა უყვარდა. როცა ლუკას მივყავიდი მყარებით, ბაჩანა კარგად ნახავი იყო. იჯდა ცხენზე, რომელსაც „მობილს“ ეძახდა. ცხენს ძალიან დაარბენინებდა. მხიარულობდა. გააქცეოდა, წინ გავვისწრებდა, შემდეგ დაპრუნებდა და ისევ ჩვენთან მოვილოდა. იციინოდა და იძახდა: — „მე ბანუა ვარ, ბანუაო!“, ლუკა აფრთხილებდა: — „კაცო, მეც ცხენს ნუ არბენინებ, გაღმოვავლებს, ნახავი ბარო ბაჩანა“

არ იშლიდა. მაღალ ღობეზე გადაბრუნდა ცხენი. მინდორსე გაათამაშა. ხელშეორედ დაბრუნდა და ისე ვადმოაფრინა ცხენი ღობეზე. შარბულაც ცხენმა ბანანა ვადმოაფრინა. წამოხტა ვაჟ-აკურად ფეხზე და შესძახა: — „ბანა ეარ, ბანა ეარ!“ — ბანა ეარ არა, შე საწყალო, ანუ ხარ, ანუ! რას დაარბენინებ მგ ცხენსა, რას აწვალუბო? — უთხრა ლექამ.

მეგზში მიწის მუშაობა, ყველაზე მეტად თედოს უყვარდა. როგორც კი ინათლებდა, ლოგინში არ გაიწერებოდა, გამოვიდოდა ვროში, ის ბარბანდი, ან ხეხილებს გასხლავდა, ძირს შემოვლოდნოდა, შრომა ფუტკარივით უყვარდა.

აფხუშოს, ბანანას ეგზში, თედომ ქველთორიანი მოხრდილი ადგილი გაიწინადა, გასულთავა და ქვის გალავანი შემოაგლო. თედოს ნამყენი ხეხილი ახლაც დვას აფხუშოსსა და ზარგალში.

ზარგალიდან აედო ისე თავის სოფელ ხელთუბანს დაბრუნდა. აქ მან მუყათით შრომით ხელშეორედ აიშენა სახლი. სახლის ახლო მდებარე ჭიბობანი ადგილი დააშრო, თავისი ხელით ჩაჰყარა ვეზი, დარგო თასკვარი ხეხილი და ჰუავდა აუარებელი ფუტკარი. იცოდა ყველაფრის მოვლა, იყო ოჯახისა და სახლის ერთგული აღამიანი.

ლექას პირველ ცოლზე, კვეკზე, მეზობლის დედაყაყები იტყოდნენ ხოლმე: კვეკ ლამაზი და იმდენად პატარა ტანის იყოო, რომ მახლენბი, როგორც ბავშვს, ხელში აიუყანდნენ და ანე ათამაშებდნენო.

კვე ძალიან კარგი ხასიათის ყოფილა. როცა ლექა ვაჟავრდებოდა, ის, თურმე, გაიქცეოდა და ყალზე შეგოებგეოდა.

ზამთარი ყოფილა. ლექა თავის დასთან, მართასთან წასულა ყვარელს. კვეკ ფეხმამედ ყოფილა. თავის მძიმე ტვირთი აეიკლებია. გამხდარა ავად. დაწოლილა და რამდენიმე დღეში მიიკვდარა.

ლექას უყვარდა ხატებში სიარული. დადიოდა ცაბურთობას. ცაბურთობა ლექას მამის სალოყავი იყო, და ზაფხულობით, შუაფხოს ზევით, შიამზე იმართებოდა. დღეობა შთელს ავირას გრძელდებოდა. ხევის ბერები ჰქლავდნენ აუარებებსა და ქედოლებს. იყო ღრეობა და ღებინი.

ლექა არ დაეკლებოდა არც ლაშარის ჯვრის დღეობას. ლაშარობა იმართებოდა სოფელ ხოშარას ვადღმა, ახადის ბოლოზე. აქვეა თამარის სალოყავი ნიში და პატარა ეკლესია. ფშავლებს ვადმოყვებით, თამარს აქ უცხოვრია — აქვეა დასაფლავებულიო.

შთაწმინდობას ლექა მიდიოდა კობალს დღესასწაულზე — კარბეში, რომელსაც კობალს ქვის სალოყავს ეძახიან.

აქ ასეენია მძიმე ქვა. ეს ქვა, ხალხის წარმოდგენით, დევს მოუტანია გარბენს შევერდნა. მას დასდევნებია კობალა და დღესასწაულს დაეკრავს. ის ქვა წაურთმევი და ავთანდილის საქნითან დაუგდებინებია. დღევი შუა არაგვი ჩივარდნილა და მვალ ქვეყნა. წყალში ახლაც მოჩანს აღამიანის მოყვანილობის დიდი ქვა.

ის ადგილი, სადაც კობალამ დევს ქვა გაავდებინა, იქცა სალოყავ ხატად (ადვალად). ლექას სიციცხლეში აქ იმართებოდა დიდი დღეობა. ამ დღეობაზე ფშავის ყველა კეთილდანი და სოფლებიდან თავს იყრიდა დიდძალი მოსახლეობა.

კობალას ქვა მეტად მძიმეა. ახალგაზრდობისას მეგზი, თურმე, ერთმანეთს ეჯობებოდნენ ამ ქვის აწევაში. ბანანა ყველა ძმანზე მეტად ეწეოდა ამ ქვას და ამ ქვის აწევაში მათ ხჯობნიდა.

ზარგლისა და აფხუშოს დღეობაში ყოველ წელს დადიადით შთელი ოჯახი ბავშვებით.

სწამდა თუ არა ლექას ხატე, ამას ვერ ვიტყვი, მხოლოდ ეკლესიაში სიარულზე უფრო ხატებში სიარული უყვარდა.

როგორც ყოველი ფშაველი, ვაჟაც ასრულებდა ფშავრ წესებს. ქორწილი იქნებოდა თუ საღმრთო, ან თუ რიგი, ხალარჯობა და სხვა. — არივის თავის წესსა და რიგს არ დაავლებდა.

თუ ვინმე ნათესავი მოგვეყვებოდა, ჩიხს-ეამბა ხურჯინში საყლავს (ბატყანს ან თოხლს), ტიკში ირავს ჩიხსამბა, გამომაცხობინებდა ქადა-ხმაღს, დამაყვებინებდა ან თითონ დააკეთებდა სანთლებს, შეჯდებოდა ცხენზე და წაივლიდა დაზარალებულ ნათესავთან.

დეთისმშობლის დღეობაში ბოლომდის აღარ იცდიდა, გათენებამდის აღარ ჯდებოდა ლედის მამზე. მალე იცოდა შინ წამოსვლა. „ლელი ამულერდება, ხალხს არავა, სამამელორეულეობის დღეობაში აღარ მწადიანი“, — იტყოდა ხოლმე. ეს იყო სიციცხლის უკანასკნელ ხანებში.

ბოლო დროს სანადიროდაც აღარ დადიოდა. მარტო შტრედლებზე გაივლიდა ხოლმე — ნახანებში, ანდა, ჯუჯილობის დროს, კერძულეებზე ნადირობდა. სამი თოფი ჰქონდა. ერთს სასაფარტე თოფს ეძახდა, მეორეს — ყაბაბურ ბერდენყას და მესამეს — აინალს, რომელიც ამჟამად მისივე სახლმუზეუმში ინახება.

ლექას საყვარელი საფარი ანუ საყუჩი ჰქონდა — სახლის ახლოს, სულა-კურდღელათ ციხის კადათან. ამ კადალზე მოდიოდნენ და სხლებდნენ შტრედლები დილა-საღამოს. ლექაც ამ დროს უსაფრდებოდა თავის საფარტიანი თოფით. შტრედებს რომ არ შეენიშნათ, საფარს ფოთლები ჰქონდა ვაკეთებელი საზარეში. ეს საზარე ახლაც არის, რომ სვეტზეა აწეწებული და თავზე ქვის სახურავი აქვს თაღებზე ვადა-

ყვანილი. ამ საზარეში წაუსაფრდებოდა კაც-ლის წყერზე შემომსხდარ ქედნებს. სროლა კარგი იყო და ნადირსა და ფრინველს იშვიათად თუ ააქლენდა ლუკა.

ხატში, აფხუზთაობის შაბახები (ფშვეურად-ლაბახი) იყოღწენ. შაბახი ნიშნავს მრგვალი პურის ხმაელს. ხმაელს შეავეღწეოდა რგვალად მოყრილი შატარა ქალაქი აყრავს. სწორედ ამ ქალაქს უნდა შატარტყას ტყეა მსროლელმა. აი ამ უბანებს ესროდნენ შეხატე მამაკაცები თოფებს.

ეს ხატობა იმართებოდა სამი დღით. ამ ხნის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე იღვებოდა უბახი. ზოგს მყვრის პატრონი დასდამდა, ზოგი შესაწირავს იძლეოდა უბახში გამარჯვებულის სასარგებლოდ. ამ შესაწირავს შეადგენდა წინდა-სადუხარი, ან ფული (სამი მანეთიდან ოცდახუთ მანეთამდე), ზოხა-ახალუხი, ქაშარ-ხანჯალი ან სხვა რამე ნივთი, ხანდახან — კურატის დაღვამე იყოღწენ.

შეთოფეთიან ვინც უყუთესად ესროდა და შატარტყამდა უბახს, იმას დარჩებოდა უბახში დაღვამე დღე და ნივთი.

თოფის სროლა (თოფისნობა) იმართებოდა საჯარე ბინებიდან ცოტე მოშორებით. მსროლელებსა და ნიშანს შორის მანძილი უნდა ყოფილიყო დაახლოებით ორასი-სამასი მეტრი. მახსოვს შემთხვევა, როდესაც საათობით გაგრძელდა უბახზე სროლა. ვერავენ ვერ შატარტყა. სხოვეს ლუკას ჩასულიყო სასროლო გორზე და ესროლა. ლუკა ადგილიდან არ დაძრულა, თუმცა მანძილი უფრო დიდი რჩებოდა. მოითხოვა თოფი და, მწვანეზე დამჯდარმა, სუფრის გვერდიდან ესროლა უბახს. უბახი დაგორდა. ყარაულმა დაგორებული ხში-ადი დაიჭრა, აიტაცა მალა ხელში და დაიძახა: „გაუმარჯოს!“-ო. ხშიად ქალაქზე ეტყობოდა ნატყვიარი. უბახი აღებულ იყო. სუფრის გარშემო მსხდომმა ხანშიშესულმა ფშველებმა მხარულად შესძახეს ლუკას: „ყოჩაღ, ლუკამ! ყოჩაღ, ლუკამ! ყოჩაღ, ვაგაო!“ (ფშველები ზოგი ლუკას ეძახდა, ზოგი ვაგას).

დღეობაში ლუკას ისეთ კაცებთან უყვარდა ყოფნა, ვინც დინჯი, დროული, კარგი მოსაუბრე იყო ანდა ისეთი, ვინაც ბევრი რამ გამოეცადა ცხოვრებაში, კარგის მოქმედი და ზნეობრივად ფაქობი, ვაყაყური სულის ადამიანი იყო. უყვარდა ქველი ამბების მოსმენა, კარგი თქმულების, ამბის ან ლექსის გაგონება. ხშირად შედაკაცებსაც დღის სიამოვნებით მოუსმენდა, თუნდაც ყბელი ყოფილიყო იგი, ოღონდ საინტერესო რამე ეთქვა. ლუკა სიამოვნებით უსმენდა ხევისბერის ლოცვას, ქადაგის ქადაგობას.

თუ არ მოეწონებოდა ადამიანის ლაპარაკი, არ მოუსმენდა. არ უყვარდა ქორიყანა ადამი-

ნები, მოღუნებული ლაპარაკი. თეთონიაც ხმა-მალა ლაპარაკი იყოდა. თუ ვინმე ლუკას ლექსს კითხულობდა და ისე ვერ წააყრებოდა, როგორც მას მოსწონდა, დაუყვირებდა: „ცოცხლად წაიყიბე, კარგად გამოთქვი, სიტყვას ნუ ამახინჯებო!“.

როცა ლუკას სიხოვნენ ლექსის წაკითხვას, უთუოდ „არწივს“ წაიყიბებდა:

არწივი ვნახე დაქილი,
 ყვავ-ყოჩონებს ეომებოდა,
 ეწადა ბეჩავს, ადგომა,
 მაგრამ ეედარა დგებოდა,
 ცულ მხარს მიწაზე მოათრევს,
 გულისპირის სისხლი სუხებოდა.
 ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
 ცულ დროს ჩავიგადეთ ხელადა,
 თორი ვნახავდი თქვენს ბუმბულს
 გაშლილს, გაუხატულს ველადა!

სხვა ლექსს ვერ ათქმევინებდნენ ხოლმე. ეს ლექსი იყო მისი საყვარელი ლექსი. მაგრამ თუ აღარ მოეწებოდნენ, მაშინ ვაჯა იტყოდა არა თავის, არამედ ბაჩანას ლექსს „მუხას“. ეს ლექსი ვაჯას ძალიან მოსწონდა.

მუხავ, მიყვარხარ, ტიალო,
 განმარტობებით მდგომარე,
 ერთი შენ გპოვე გულისა,
 ქვეყანა შემოვიარე.

ეს ლექსი თავიდან ასეთი კარგი სტრიქონებით:

საფლავიმე აუყვავდება,
 ვინაც გვაუწყა მცნებო:
 კაცი იშობის ერთ დღესა
 და ისევე ერთ დღეს კვდებაო.
 კარგი ვაყაყი სიყვდილსა
 არის არ შეუდრკებაო!

ბაჩანას ეს ლექსი, ეიმორებ, ლუკას ძალიან უყვარდა და არც წამოთქმა ეხარებოდა მისი. მეროდ თუ ვინმე სთხოვდა ლექსის წაკითხვას, უთუოდ ამ ლექსს იტყოდა ხოლმე.

წერის დროს, მეტყობა — ფანდური დაუყარო. მე აქალები ხელში ფანდურს და წყნარად ვუყრავდი, — ის კი წერდა.

ლუკამ სიმღერა, ცეკვა, დაკრა — ყველაფერი იყოდა. ცეკვით ვერ ცეკვავდა კარგად, უფრო ბაჯბაჯებდა, ვიდრე ცეკვავდა. ფანდურის დაკრას კი არა უშავდა რა: საამოური დაკრა იყოდა. ხოლო შემოძახილი ფანდურზე ნაკლებად იყოდა ხოლმე. უყვარდა ფერხულში ზაბმა და ზანის მიცემა. ხშირად თავისთვის დიდებოდა და მღეროდა სახუმარო ლექსს:

სანამ მჭონდა ფელები —
 გუპე მოხრაცულები,
 როცა გამოშვლია,
 ჩამოყვარე ყურები.

ხანდახან ძმები: ლუკა, ბაჩანა, თედო და
 სანდრო ვიღაც ნაენობს (გვარი არ მახსოვს)
 დასცილოდნენ სიმღერაში. იციანოდნენ და თან
 ლიდინებდნენ:

გინდ შეძინოს, ზაინდ გულში მიზიხარ,
 თვალს ავახუღ, ზედ წამწამზე მიზიხარ...

ხშირად დასცილოდნენ, აგრეთვე, ფშავში მო-
 სიარულე ვიღაც ვაჟბარს ვართანას, რომელსაც
 ცხენით ფარანა დაქვინდა სოფლებში გასას-
 უიდად. ამ ვაჟბარს მოსწონდა, თურმე, ფშავე-
 ლის დედაბაბი შეღანია. სადაც დღეობასა თუ
 ქორწილში ეს ვაჟბარი დამთვრალა. ვახურებუ-
 ლი ცეკვა-თამაშის დროს ვაჟბარი ტანს უტრავს
 რაც ძალი და ღონე აქვს, გამაღებელი ცეკვებს
 და თან ყვარის: „ტაში, მეღან, ტაში, მეღან,
 ტაში, მეღანი“-ო.

ბაჩანა აჯავრებდა კარგად იმ ვაჟბარს და
 ძმებიც ბევრს იციანოდნენ ხოლმე ამ შეღანის
 გახსენებაზე.

ასევე ხშირად სიცილით იგონებდნენ ერთ
 ამბავს: ლუკას მდინარე ჩარგლელის გამოირი-
 ვული ჯირკები და ფიხი შეეგროვებინა ზვენი
 სახლის ბოლოზე. ჩვენი მეზობლის, ლუკას
 მეგობარ ფოცხევრას, სიდედრი დეთა (ქალის
 სახელია ფშავეში) ჩამოსულა და შუშა საბელ-
 ზე დაუწყებია — სახლში წასაღებად. ამ დროს
 მოუსწრაო ლუკას და დაუყვირა: — სად
 მიგავს ეგ შუშაო? დეთას უპასუხინა: — ნუ
 მიჯავრდები, თორა ვიტყვიო! — ლუკა დაინ-
 ტერგებულა და უკითხავს: — რას იტყვიო? —
 დეთას უთქვამს: — იმას ვიტყვი, რომ შენ მო-
 ლოდინანთ წინის ლოყაზე ხელი აუსვიო. ლუ-
 კას გასცინებია და უთქვამს: — ოღონდ ნუ
 იტყვი, და წაიღე, წაიღე მთელი შუშა, თუნდაც
 სულ შენი იყოსო. ბაჩანა ხეშობობით ეტყოდა
 ხოლმე ლუკას: — როგორ გიხიხარ დეთამ,
 ვიტყვი — შენ რომ წინის ლოყაზე ხელი აუს-
 ვიო?... ასტეხდნენ ძმები სიცილს და გულიანიდ
 ხტარებდნენ.

ხასიათით ლუკას ძმები ბიძამისს, ბოიგარს,
 ამსგავსებდნენ. ბოიგარი კარგი მონადირე და
 თვისებური გუნების კაცი ყოფილა. სიძარბო-
 ლის მოლაპარაკე და პირდაპირმოქმედი ალა-
 შიანი.

ძმები (რა თქმა უნდა, სიყვარულით) ბოი-
 გარს ლაპარაკში აჯავრებდნენ. ერთ-ერთი ძმა-
 თაგანი, არ ვიცი — ლუკა თუ სანდრო, ბავშ-
 ვობისას ბოიგართან მისულა მანჯიკის სათ-
 ზონელად (მანჯიკა, კვალისებრი მოყვანი-
 ლობის ორკაბა, მარხილა, გამოსიდვი ხეა, რი-
 მელზედაც თევს უდებენ და სახლი იკალ

(გაგრძელება იქნება)

ხართ მოათრევენ მთიდან თოვლზე სრიალით).
 ბოიგარი გაჯავრებულა: — რაო, მანჯიკაო?
 მანჯიკა აგე, მოდი აქა, იმ ახუნის მთას რომ
 ხედავ, აგე იქ რო ორი წითელი დგას, იქ მოე-
 კვირი ეს მანჯიკა. ორი იყო, ერთი კიდევ დარ-
 ჩა. აიღე ცული, წილი, შე უხეიროე, მოსკვირ,
 გათალე, ჩამოათრიე და მანჯიკა იქნებაო. გაი-
 გონეო? წიდი ახლა, დამეკარგე აქედანაო!
 გამოუგლია ეს ბავშვი, ჩაუგონებია შრომი-
 სადმი მიღრეკლება და სიყვარული.

ბოიგარს სცოდნია ათასგვარი ამბის მოყოლა,
 ჰყვარებია ნადირობაზე ლაპარაკი, თანაც ხან-
 დახან, თურმე, ტუეღისაც ნაურთავდა ხოლმე.
 მაგალითად, მას უამბინა ბავშვებისთვის კახეთ-
 ში ნადირობის დროს ერთი შემთხვევა:

— ერთხელ, სანადიროდ წავედი კახეთის
 ტყეში. გამოჩნდა ქობულდინი ირემი. უყრი-
 ლობის დრო იყო. ისეთი დიდი ირემი ჩემს
 დღეში არ მენახა. საძილოსოდენა იყო ის ტიპ-
 ლი დიდი რქანი ესხა თავზედა. თოფი მოვსხ-
 ლიტე, მაგრამ არ გავარდა. პირდაპირ ჩემსკენ
 გამოსუსუნდა, უნდა დამჭვრებოყო, დავასწარ,
 გაეფრინდი და ერთ წერილ წითლის შიშელას
 დავეკიდე. შიშელა გამიბრუნა, ჩამოყვარდი, შე-
 ვიბნინო შე და ის ირემი. კიდევ კარგი, რომ
 რქები არ მქონდა, თორა ვამაფუტებოდა, —
 უამბინა ბოიგარს — ძმისწულებისთვის: ლუკა-
 სა და მისი ძმებისათვის. ჯერ რქიანი და,
 ბოლოს, ურქო!.. ბავშვებს ტუეღი შეუშინე-
 ვიათ. შემდეგ ბაჩანა, ლუკა, თედო და სანდრო
 იციანოდნენ ხოლმე ამ ამბის გახსენებაზე.

ლუკა ცრუმორწმუნე არ იყო. მაგრამ ხან-
 დახან ყურადღებას აქცევდა სიზმარს. ჩემს
 სათხოვნელად რომ მოვიდა სოფელში, ჩილა-
 პარაკა: — სიზმარში ენახე, ვითომც დედალი
 ინდაური დაეჭობოე ამ ეზოშიო. როგორც სიზ-
 მარი ენახე, სწორედ ეს გზა იყოო, — ეუბნე-
 ხოდა ლუკა მის მზღებელ მღვდელს და ბაჩა-
 ნის.

სოფელ ჩარგალში ცხოვრობდა დიდგლა
 რაზიკაშვილი, რომელიც ლუკას გარეშე ბიძად
 ერგებოდა. ამ დიდგლას ვილაღისკან ევიდა
 ხირამის თოფი. ეს თოფი ხატისთვის უოფილა
 შეწირული და გამყიდველს დიდგლასთვის
 მიუყიდნია. ლუკა გაუწყრა დიდგლას: — ეგ
 თოფი არ უნდა გყვიღო. შე სიზმარში ენახე,
 ვილაღ ჯარისკაცმა თოფის ხიშტი შიგ თვალ-
 ში გამაყარა. დაეკლიე და ეგ თოფი იყო, რი-
 მელიც შენ იყიდეო, იმას შემდეგ გამიფუტო-
 ეს თვალთო...

არ ვიცი, სწამდა რაზე ამ ამბის, თუ სძულდა,
 როგორც ნაქურდალი, სავარაუდოში შემოტა-
 ნილი.

ლოცვების თქმა ლუკამ არ იცოდა. მხოლოდ
 დასაძინებლად რომ დაწევბოდა, იტყოდა: „ღმე-
 რთო შენით, და არა ჩვენიათო“.

შალვა აფხაიძე

ტიციან. ტაბიძე

არსებობს ტიციან ტაბიძის მრავალი ფოტოგრაფიული პორტრეტი, მაგრამ, ეფიქრობ, საუკეთესოა ის, რომელიც თვითონ დახატა პორტრეტის ფუნჯით საკუთარ ლექსში. ეს არის ცნობილი სონეტი „ავტოპორტრეტი“. ამ სონეტში ჩვენ ვკითხვლობთ სტრიქონებს, რომლებიც ავტორის, ასე ვთქვათ, არა მხოლოდ ფიზიკურ სახეს აღადგენენ, არამედ მის შინაგან, სულიერ ინტერესებსაც, როგორც იტყვიან, მის სამყაროს გვაცნობენ. ეს არის ტ. ტაბიძის ერთ-ერთი ადრინდელი ლექსი. 1916 წლის თარიღით გამოქვეყნებული და დაწერილი მოსკოვში მაშინ, როცა იგი, ახალგაზრდა სტუდენტი, სიმბოლიზმის ბურანში იყო გახვეული. ლექსის პირველსავე სტრიქონში ხატავს ავტორი თავის თავს: „უაღდის პროფილი... ცისფერი თვალები“... ტიციანი მართლაც საოცრად წაგავდა ოსკარ უაილდს სახის გამომეტყველებით, იერით, ბურბუშელა ტუჩებით, რომლებსაც რაღაც თავისებურად მოკუმავდა ხოლმე, როცა რამე ეწყინებოდა. ოსკარ უაილდი მაშინ მეტად პოპულარული მწერალი იყო და პარნასზე მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დაკავებული. სტუდენტები გატაცებული ვიყავით მისი რომანი „დორიან გრეის პორტრეტი“, „სალომეათი“ და „რედინგის ციხის ბალადით“. განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა ჩვენ შორის უაილდის „De profundis“. რომელიც წარმოადგენდა მწერლის აღსარებას და სატელეოლოში გამოჩანჯუ-

ლი ფიქრების ფეიერვერკს. გვიყვარდა დიდი გემოვნებით და პოეტური ფანტაზიით დაწერილი უაილდის ზღაპრები. გვითაცებდა ამ მწერლის ძალზე რაფინირებული სიტყვა, ძვირფასი ქვების ბრწყინვალეობა და ყვავილთა სურნელება, რაც ასე ძლიერად სჩქეფდა მისი ნაწერებიდან. ამას ემატებოდა ავტორის სულიერი არტისტიზმი, რაც მის ყოველ პარადოქსულ თქმაში იგრძნობოდა.

არ ვიცი, რა ფერისა იყო უაილდის თვალები, მაგრამ ტიციანის სახეს ცისფერი თვალები მართლაც მეტად პოეტურ და რომანტიკულ მომხიბვლელობას აძლევდა. ჰქონდა „დათლილი თითები“, რომელთა შორის საჩვენებელსა და შუათითს ყოველთვის ლამაზად ეკირათ პაპიროსი.

როცა ტიციანი ხსენებულ სონეტში წერდა — „ძვირფასად ვინთები ლექსების ხსენებით“, ამით ის სწორად გამოხატავდა თავის სულიერ ცხოვრებას. ლექსს მისთვის მართლაც მაგიური ძალა ჰქონდა. ის ლექსით სუნთქავდა ისე, როგორც ჰაერით, მაშინ ტიციანი ცხოვრობდა მალარმეს „Divagation“-ის, ლაფორგის „ფეერიული ტაძრის“, ბოდლერის „ბოროტების ყვავილების“, ვერლენის, რემბოს და სხვათა ნაწარმოებების სამყაროში. „მოღლილი დედისთვის“ ხელოვნება უფრო რეალური და მაღალი რამ იყო, ვიდრე სინამდვილე. იმ ხანებში მისთვის იმპრესიონისტების მიერ დახატული პიზაჯი,

შეიძლება, უფრო მიმზიდველი იყო, ვიდრე რეალური ბუნება, რადგანაც პირველში ხედავდა მარადისობას, მეორეში — წარმავლობას, ლბობას. ტიციანის იყო პოეზიის დიდი ფანატიკოსი და ლექსი მისთვის ადამიანის სულიერ ღრუბლათა უფრო სრულყოფილ სახომს წარმოადგენდა. ჰქონდა კიდევ ტიციანს ერთი ნიშანი, რაც მას ყველასაგან გამოარჩევდა და საერთო ყურადღებას იქცევდა. არავის უნახავს იგი ქუჩაში გავლილი ისე, რომ პიჯაკის თუ ხალათის გულჯიბებში მიხაკის ყვავილი არ ჰქონოდა გაკეთებული. ოღონდ ეს ყვავილი იყო ბუნებრივი, მეწამული ფერისა და არა მწვანედ შეღებილი, როგორცაც ატარებდა ხოლმე ოსკარ უაილდი. ამ სურნელოვან ყვავილს, ეფექტობ, მისთვის სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. საყურადღებოა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის იმ ლექსების ყდაზე, რომელიც, თუ შესიერება არ მალატობს, გამომცემლობა „ქართულმა წიგნმა“ მისი რედაქტორობით 1930 წელს გამოსცა, გამოსახულია ერთადერთი ყვავილი—მიხაკი; მისთვის ეს ყვავილი იყო რომანტიზმის ემბლემა. ტიციანის პოეზიაშიც ჩვენ ხომ რომანტიზმის აღის პარპალს ვხედავდით, იმ რომანტიკულ სწრაფვისა თუ ხილვათა, რომლებითაც ასე მდიდარია მისი პოეტური სამყარო.

სტუდენტობისას გაიტაცა ტიციანი რუსულმა სიმბოლიზმმა, რომლის წარმომადგენელთა შორის მის გულში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდათ დაკავებული ალ. ბლოკს, კ. ბალმონტსა და ანდრეი ბელის. ამთაგან პირველს ადრე, ხოლო მეორეს — უფრო გვიან — პირადად იცნობდა. კ. ბალმონტს საგრძნობ ყურადღებას უთმობდა, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მოსწონდა მისი ამღერებული პოეზია, რომელშიც მზის შუქი უხვად იყო ჩადერილი, უფრო კი მისდამი სიყვარული ნაკარნახევი იყო ღრმა პატრიოტული გრძნობით: ბალმონტის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნით. თუ მაშინ ვ. ბრიუსოვი სომხური პოეზიის

მშვენიერი პროპაგანდისტი იყო, ქართული პოეზიის გულწრფელ მსმენელს კ. ბალმონტი წარმოადგენდა. უკანასკნელი მკვიდრად დაუკავშირდა თბილისში ყოფნისას ქართველ შემოქმედებით ინტელიგენციას, უწინარეს ყოვლისა, ახალი პოეზიის მებაიარატორებს და რამდენიმე ლექსიც უძღვნა საქართველოს. ერთი მათგანი თარგმნა პაოლო იაშვილმა. ეს ლექსი, „საქართველოს“ სახელწოდებით, შეტანილია კ. იაშვილის ლექსების წიგნში. ტიციანმა ლექსიც კი მიუძღვნა კ. ბალმონტს. ეს ლექსი, რომელიც შთაგონებულია ბალმონტთან მოსკოვის ახლოს შეხვედრით, ბევრი რამით არის საყურადღებო. გარდა იმისა, რომ იგი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, მისი საშუალებით მკითხველს შეუძლია გაეცნოს ავტორის ლიტერატურულ სიმპათიებს და განწყობილებას, რომელსაც არ უღალატნია მისთვის შემოქმედებითი მუშაობის მთელ მანძილზე. ამ განწყობილებას პოეტში ქმნიდა მისი მხურვალე პატრიოტული გული:

შენთან ვიყავი, ყვავი ტიროდა,
რაზე ტიროდა, ვიცი მე ვინა?
მეც ხომ მდღეაღე ცრემლი მღიოდა,
მეგონებოდა ჩემი ქვეყანა.

ლექსი დათარიღებულია 1927 წლით, დაწერილი კი უნდა იყოს 1925 წელს. ამას გვაფიქრებინებს თვითონ ლექსის შინაარსი. იქ ლაპარაკია განვლილ ათ დამთუთქავე წელზე, რომლებიც ვერ დაეიწყებეს ავტორის ზაფხულს, როცა უნდა მომხდარიყო მისი შეხვედრა „ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქაღალქში“:

ამ ზაფხულს მოკვდა ვეა-ფშაველა.
მახოვს ცრემლებით შენ ეს გიობარი,
ის სიყვდილის წინ თხოვდა ბაღას,
გაბელებული წყურვილით ხარი.

ვეა-ფშაველა კი გარდაიცვალა 1915 წელს. ჩანს, ტიციანმა ათი წელი ატარა ქვეცნობიერების სამყაროში მთელემა-რე „ამდენი სიყვარული და ამდენი სი-



ხარული“, ვიდრე პირველად მიღებული შთაბეჭდილებები არ მიიღებდა ლექსის ფორმას. იქ, მოსკოვში ყოფნისას, ტიციანი უნოსაგდა „მშობელი მიწის ფესვებს“. მის ზამთრის სულში კი აღუჩა ყვოდა. ლექსში ელავს ი. ბალტრუშაიტისასა და მ. ვოლოშინის — საკმაოდ ცნობილი სიმბოლისტი პოეტების — სახეები. ლექსში ლაპარაკია „ვეფხისტყაოსანზე“, რომელსაც „მეორედ ელის საქართველო“. ავტორს მხედველობაში აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული თარგმანი რუსულ ენაზე. 1915 წელი იყო სწორედ ის წელი, როცა გამოიცა ეურნალი „ციცფერი ყანწები“, რომლის მანიფესტის ერთ-ერთი მთავარი ავტორი იყო თვითონ ტიციანი. ამიტომ მიმართავს იგი კ. ბალმონტს: „ციცფერ ყანწებით დიდებულ მგოსანს მოაგებებენ სადღეგარძელოსო“. ლექსში, აგრეთვე, გამოხატულია ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება ფუტურისტებთან. ეს დამოკიდებულება, რამდენადაც ვიცი, მას არც შემდეგში შეუცვლია.

ტიციანი რომ გატაცებული იყო ბალმონტის პოეზიით, ეს აშკარად ჩანს ამ ლექსიდანაც. იგი პირდაპირ მიმართავს მას: „გვიკითხავ მთვარის, თაფლის, მზის ლექსებსო“. ტიციანი არ იყო ისეთი ადამიანი, რომ სიყვარულისთვის ეღალატა. სიყვარულით არის სწორედ ნაკარნახევი საკუთარ ლექსში ბალმონტის ლექსიდან ცალკეული სტრიქონების შეტანა:

Я был в России. Грачи кричали.
Весна смеялась в мое лицо
ანდა

Я был в России. Грачи кричали,
Грачи кричали: зачем? зачем?

ვისაც უნახავს ტიციანი ოდნავ შეზარხოშებული, მას უთუოდ გაახსენდება, როგორი აღტაცებით და თავისებურად კითხულობდა ხოლმე იგი ამ ლექსს. კითხულობდა ხშირად და ხაზს უსვამდა რატომღაც — Грачи кричали: зачем? зачем? ს. ზებირად იცოდა,

აგრეთვე, და ჩვენს წრეში კითხულობდა ბალმონტისავე ლექსებს:

Я в этот мир пришёл,
Чтоб видеть Солнце и синий кругозор,
Я в этот мир пришёл,
Чтоб видеть солнце и выси гор.

მეორე საყვარელი ლექსი ბალმონტის მისთვის იყო „მიშავალი ლანდები“, რომელიც კიდევაც თარგმნა პაოლო იაშვილმა; მესამე — „Я изысканность“, რომლის პირველი სტროფი ასეთია:

Я — изысканность русской пленительной
речи,
Предо мною другие поэты — предтечи,
Я впервые открыл в этой речи уклони,
Перепевные, гневные, нежные звоны,

მოსწონდა ამ ლექსების მზიურობა, მუსიკალობა, შინაგანი რიტმი.

ტიციან ტაბიქე შედარებით ადრე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მისი პირველი დაბეჭდილი მინიატურა დათარიღებულია 1911 წლით. აღნიშნული მინიატურა ტიციანს დაუწერია, როცა ის 15—16 წლისა იყო. ამ მინიატურებს ახლა ის მნიშვნელობა აქვს, რომ მკითხველს შეუძლია მათი საშუალებით წარმოიდგინოს ავტორის მაშინდელი ლიტერატურული ინტერესები და მისი ინტელექტუალური ზრდის პროცესი. პირველი მინიატურის მიხედვით, ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ რა ფართო ლიტერატურული ვრუდიციით ყოფილა აღტურვილი 15-16 წლის ტიციანი. იგი ლაპარაკობს ბალზაკსა და მეტერლინკზე („ბალზაკი ამბობს: დუმილი ჩურჩულებსო; მეტერლინკმა, ეშმაკმა იცის, მგონი, სულიც კი ჩაუდგა დუმილს“). ოტელოს სიტყვების ციტირებას ახდენს („ოჰ, ეპეის ლურჯო გველო“). ჩანს, რომ წაკითხული აქვს პამსუნის „ბანი“. მეორე მინიატურაში — „გაზაფხულის დღესასწაულზე“ — ლაპარაკია სულამითზე, ხოლო მესამე მინიატურა „მწუხრულ ჰანგზე“, რომელიც იმავე 1911 წლით არის დათარიღებული, იწყება ასე: გილიოტინაზე რომ აიყვანეს ანდრე შენიე, მან შუბლზე ზელი

მიიღო და თქვა: „აქ იყო რაღაც“.

სინტერესოა 1912 წლის თარიღით გამოქვეყნებული ორი მინიატურა: „კოლხიდის ცის ქვეშ“ და „ყოფნის აღქმა“. პირველში ჭარბად არის ჩალვრილი სამშობლოზე ფიქრით გამოწვეული სევდა. სწორედ ამ პატრიოტულმა პათოსმა გაშალა შემდეგში ლაღად ფრთები ტიციანის პოეზიაში. ავტორი დასტორის „კოლხიდის ცის ქვეშ დამარხულ ბედნიერებას“. „კოლხიდის ცის ქვეშ გამჭრალ თავისუფლებას დასტორის თმაგაწეწილი კოლხიდის ასული.

შენ მეკითხები, რისთვის მიყვარს მე კოლხიდა? — მისთვის, რომ მის ქვეშ უნდა დამარხოს ფერფლი ჩემი ცოდვილი სულისა“ — ამ ხაზით მიჰყავს ავტორს მინიატურის დიალოგი. მინიატურაში ჩანს ცრემლის ციმციმი, იგრძნობა სევდა, ნაღველი და მთვარის ფერფლისფერი შუქი. აქ ყველაფერი მოჩანს მინაზებულად, მიბნედილი, მინაბული, იღუმალეზით მოცული, იგრძნობა ძიება სიახლისა, სიყვარულისა, რასაც ასე მოწყურებულა კოლხიდის დაკარგული თავისუფლების შემსწრე ჭაბუკი პოეტი.

მეორე მინიატურაში ავტორს თითქოს ცხადღევ ესმის ომიდან დაბრუნებული იმ ამორძალების სიმღერა „რომელთა სისხლით დათქვირულმა ცხენებმა შაფრანის მთვარის სხივები მეწამულ ზეწარში გამოხვიეს“. ესმის როგორც კლეოპატრას დაკარგული, ისე სულამითის საქმროს ვნებიანი ძახილი. ესმის, როგორ უკივის იაზონს მედეა. მინიატურაში გაიელვებს ჩრდილი პენტოფრეს ცოლისა, „რომელიც ელის ყრმა იოსებს ნილოსის ლერწმებში“. აქ ლაპარაკია დიონისეს მისტერიებზე. ახალგაზრდა ავტორს კარვად ეხერხება მეტაფორული აზროვნება („ახალგაზრდა ტანში სიცილი სისხლისა“). უკვე 1911 — 12 წლებში ტიციანი, როგორც ჩანს, ღრმად არის შესული იაზონისა და მედეას, სულამითის, ანაკრეონის, კლეოპატრას, დიონისეს მისტერიების, კნუტ ჰამსუნის, მეტერლინ-

კის, შექსპირის გმირთა სამყაროში, აქვს წერის საკუთარი მანერა, საკმაოდ მაღალი ესთეტიკური კულტურა. მისი პოეტური სიმპათიების სფეროში შედიან აგრეთვე ალ. აბაშელი, ნ. ჩხიკვაძე, ვალ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი.

ტიციანი, მოსკოვში ყოფნისას, ვალ. ტაბიძის შემოქმედებაზე წერს ვრცელ წერილს, სათაურით „მარტოობის ორდენის კავალერი“, რომელსაც ათავსებს გაზეთ „საქართველოში“ (1916 წ. № 3). ავტორი თავის მოსაზრებას იმის გამო, რომ ქართულ პოეზიას უმთავრესად სევდიანი იერი დაჰკრავს, ასაბუთებს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულით. შემდეგ ტიციანი არჩევს ვალ. ტაბიძის ლექსების წიგნს და აღსანიშნავია, რომ მის სახელს უკავშირებს ნიკ. ბარათაშვილს. წერს, რომ ვალ. ტაბიძის „სიმღერა ნაზია, როგორც დედოფლის სიზმარი... მისი პიროვნების გარდა ეროვნული სული ლაპარაკობს... ვალ. ტაბიძის ლექსი უჩვეულო მოკლე სიტყვებში იშლება... მას აქვს რაღაც ჯადო, რომლითაც სულ უბრალო ფერადები წარმტაცად ბრწყინავენ, უბრალო სიტყვები რიტმულად ცეკვავენ. ყრუდ დაბადებული იქნება, ვინც იმაში მუსიკას ვერ მოისმენს და გასაკვირველი ის არის, რომ მუსიკა შინაგანი ბუნებრივად არის გამოწვეული და აზა იმ აკრობატიული ლექსის შეზელით, ჩვენში რომ ბევრი ფონს გადის“. ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს ახალგაზრდა ტიციანი—გალაკტიონის პოეზიას, ხაზს უსვამს მის სინაზესა და ბუნებრივ მუსიკალობას. მოჰყავს ადგილი ერთ-ერთი ლექსიდან და დაასკვნის: „განა არ მაგონებს ეს ლექსი პოლ ვერლენის ლექსის ინსტრუმენტაციას, ფრთააშვებულ ფრენას ვერლენისას, რომელმაც თქვა: „მუსიკა, მუსიკა ყველაზე უწინო“. აქვე მოჰყავს ფრანგული ტექსტი ამ ლექსისა („L'art poetique“). წერილში ავტორი მიუთითებს იმ გათიშულობაზე, რომელიც ჩანს ვალ. ტაბიძისა და მაშინდელ საზოგადოებას შორის, როცა პოეტი ნაღველიანად ამბობდა: „ჩემთვის

მარტოდენ უდაბნოა, ჩემი სამშობლო“. ტიციანი, ამასთან, მაღალ შეფასებას აძლევს გალაკტიონის გამოქმნილ ევლობითს საშუალებებს, აღნიშნავს, რომ „ლამაზი შედარებანი, მეტაფორები გ. ტაბიძეს უბრუნებენ ქართულ მწერლობის ბრწყინვალე პერიოდს, რადგან უკანასკნელად მწერლობაში შემოიპარა რუხი არმია მელექსეების, რომელნიც კარგს არაფერს უქადაიან პოეზიის მომავალსო. გ. ტაბიძის ლექსები მდიდარია პოეტური სახეებით, ამასთან, ეს სახეები უშუალოდ არიან განცდილნი, შედარეანივით ამოდის, არ არის წიგნით დაწერილი ან ძალით გამოგონებული. ყველას უადრესად ქართული სული აქვთ“.

თუ რა სათუთი გრძნობით იყო გამსჭვალული ტიციანი გალ. ტაბიძის მიმართ, ამას ადასტურებს ლექსი, მიძღვნილი მისადმი. არ მახსოვს, რომ ეს ლექსი ტიციანს წაეკითხოს ჩვენს წრეში, შეიძლება იმიტომ, რომ მათ შორის უკანასკნელ ხანებში ურთიერთობა ერთგვარად გაგრილდა. ალბათ, ეს ლექსი დაწერილია იმ დროს, როცა მისი გული ღირიკულ სითბოს ასხივებდა გალაკტიონის მიმართ. ლექსი დაწერილია იმ შინაგანი ტკივილით, უშუალოდ, რაც ასე დამახასიათებელია ტიციანის პოეზიისათვის, მდიდარია ბიოგრაფიული მონაცემებით და მშობლიური სოფლის პეიზაჟებით:

ერთი ოცნების, ერთი გვირის ვართ ტუშპის ცალი,
ერთად ლებთან ჩვენი მამების კუბოს ფიცარი.
ორპირის ფშანის ერთად ვწოვეთ ჩვენ უძმურები
და ლექსებოცა ერთმანეთს არ დავემღვრებით...
გაუყოფელი დაგვრჩა ეზო, სახლი და კარი,
როინის ტალღად დაგვედევნა სიტყვა ანკარა,
ერთია ჩვენი საშუალო ხაზის ამბაზი,
ლექსი ქართული გაიმართა ორპირით ხაზით.

ასეთი ინტიმური, ღირიკული განწყობილებანი უკვე წარსულს ეკუთვნოდა. რამდენადაც მახსოვს, ტიციანი

სიყვარულით და აღტაცებით იგონებდა გალაკტიონის ლექსებს. „მე და ლამაზი“, „მამული“, „თოვლი“, „მერა“, „სილაკე ვარდენ ანუ ვარდი სილაში“, „მთაწმინდის მთვარე“ და საერთოდ წიგნში „Grüne aux fleurs artistiques“ მოთავსებულ მრავალ ლექსს.

ტიციან ტაბიძე არ იყო, ცხადია, ფრანგული თუ რუსული სიმბოლიზმის გადაამღვრებელი. არა მისი პოეზია აღმოცენებული იყო მაგარ ეროვნულ ფესვებზე. მისთვის საკვებით უცხო იყო ნაციონალური ნიჰილიზმი. თუ როგორი სათუთი გრძნობით ეკიდებოდა სხვა ხალხებს, მათ კულტურას, ამის დამადასტურებელია მთელი მისი პოეზია და დაუმცხრალი მეგობრობა სხვა ხალხთა მწერლებთან. სიმბოლისტური ლიტერატურით გატაცებული, იგი ეროვნული კოლორიტის ძიებაში იყო. არა მხოლოდ კოლორიტის, მისი პირვანდელი ლექსების უმრავლესობა სწორედ ამ ეროვნული ტკივილით, რაღაც გამოუთქმელი ბოღმითა და დარდით არის გაქდენილი. ეს შეუწელებელი ეროვნული პათოსი იგრძნობა ტიციანის აღრინდელი ლექსების ციკლში, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ქალდეას ქალაქები“. ეს ლექსები მას ბოლომდე უყვარდა, ალბათ, იმიტომ, რომ მათში გამოხატა თავისი ქაბუკური ოცნება. ლტოლვა, თავისი რომანტიკული ხილვა. მას სწაღდა „ბესიკის ბაღში დაერგო ბოდღერის ბორბტების ყვავილები“, ემღერა ქალდეაზე, რომელსაც თვლიდა ქართველი ხალხის პირვანდელ კერად. ემღერა „უსახლერო გზებზე“. ტიციანის ოცნებას სწავდა ძველი ქალდეა. თავის თავს მოწოდებულად თვლიდა „ოქროს ლექსებში ემღერა დიდებულ წარსულისათვის“ და სწამდა, რომ „უხმო ბულბულსაც დააფასებდა ქართული ბაღი“. იგი სიზმრად კი არა, თითქოს ცხადში ხედავდა ძველ ქალაქებს, უწინ ქებულთ და დღეს ნაცრად ქცეულს, ხედავდა „დანგრეულ კიბეს“ და გრძნობდა, რომ დიდი სიმღერისთვის მისი გული უკვე მზად იყო. ეს სიმღერა,

ძლიერ აწეულ რეგისტრებში, მან შემდეგში შესანიშნავად დაამტკიცა, წინაპართ ჩრდილებს ხორცი შეასხა, ძარღვებში სისხლი აუღულა.

ტიციანმა სწორედ ლექსების ამ ციკლით შეაღო ქართული პოეზიის კარი, „ქალღმერთ ქალაქებით“ გაიკეთა მომავალი და პოეზიის დიდ მარაგზე გამოვიდა შემდეგში. ზოგიერთი ამ ლექსთაგანი დაწერილია მოსკოვში 1917 წელს. ეს იყო მეტად მღვდლვარე, საუღელტეხილო წელი ხალხთა ცხოვრებაში. ამ წელს გადაიშალა ახალი ფურცელი კაცობრიობის ისტორიაში. ქართველი სტუდენტობის დიდი უმრავლესობა უშუალოდ იყო ჩამოყალიბებული რევოლუციაში. ასე იყო მოსკოვში, ასე იყო ლენინგრადში. მე არ მახსოვს, რომ ვინმე გულცივი მასურებელი ყოფილიყოს იმ დიდი ამბებისა, რომლებმაც ოქტომბრის რევოლუცია შეამზადეს. მახსოვს, რა დიდი გავლენა მოახდინა ქართველი სტუდენტობის განწყობილებაზე ლენინის ნაციონალურმა პროგრამამ, მისმა მოწოდებამ, მისცემოდა რუსეთის იმპერიაში შემავალ ნაციონალურ უმცირესობებს თვითგამორკვევის უფლება, სრული დამოუკიდებლობის მიღებამდე. მხედველობაში მყავს სტუდენტობის ის ნაწილი, რომელიც ეროვნულ საკითხს მთავარ საკითხად თვლიდა, ვერ ითვალისწინებდა, რომ ეს საკითხი, ვერ გადაწყდებოდა რუსეთში მუშათა მოძრაობის გამარჯვების გარეშე. ლენინგრადის სტუდენტობა დიდი პატივმცემელი იყო პროფესორ ივ. ჯავახიშვილისა, რომლის მეცადინეობას და პატრიოტულ თავდადებას უნდა ვუმაღლოდეთ ქართული განათლების კერის—უნივერსიტეტის დაარსებას შემდეგში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ნათელი გახდა (ყოველ შემთხვევაში — მისთვის), რომ მეცადინეობა უნივერსიტეტში პირველ ხანებში ვერ დალაგდებოდა. ივ. ჯავახიშვილმა შეკრიბა უნივერსიტეტის სტუდენტობა ერთ-ერთ დარბაზში და მათ მგზნებარე პატრიოტული სიტყვით მიმართა, მოუ-

წოდა — დაბრუნებოდნენ მშობლიურ ქვეყანას და თავიანთი ცრდნა და ხალხგაზრდული ენერჯია მის ნამსახურში ჩაეყენებინათ. ივ. ჯავახიშვილს მრავალი სტუდენტი გამოეხმაურა. მათ შორის დამამახსოვრდა აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის სტუდენტი, დიდად მომზადებული, შესანიშნავი მოაქალის მქონე ს. ლომია, რომელმაც მეტად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა. მრავალი სტუდენტი მართლაც თავიანთ ქვეყანას დაუბრუნდა. ნაწილი დარჩა და უშუალო მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის რევოლუციაში.

თავის ქვეყანას დაუბრუნდა ტიციან ტაბიძეც, რომელიც, მახსოვს, სიამოვნებით და სიამაყით იგონებდა თავის წითელგვარდიელობას თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში, იგონებდა იმ საყოველთაო სიხარულს და იმედებს, რომლებიც ამ რევოლუციაში ხალხში აღძრა.

ციციანის წელთა შორის, ვალ. გაფრინდაშვილის შემდეგ, შეიძლება ითქვას — იმ ხანებში და შემდეგშიც კარგა ხნის მანძილზე ტიციანი იყო ყველაზე უფრო დაჯერებული და ორთოდოქსული სიმბოლისტი. მთელი თავისი არსებით იყო პოეტი, ყოველ მოვლენას პოეტურად აღიქვამდა. სადამოებზე, რომლებსაც მაშინ ხშირად მართავდნენ ამ ჯგუფის პოეტები თბილისში, ქუთაისსა და სხვაგან, ტიციანი გამოდიოდა როგორც საკუთარი ლექსების, ისე მოხსენებების კითხვით, სიტყვებით. ის კარგად იცნობდა როგორც რუსულ, ისე ფრანგულ სიმბოლიზმს, გატაცებული იყო ვაგნერის მუსიკალური დრამით, სკრიაბინის მუსიკით, ვრუბელის მხატვრობით და ყოველივე ეს სინამდვილის სიმბოლისტური ხილვისაგან მოდიოდა. ტიციანი კარგად იცნობდა ფრანგი ბერგსონის და რუსი ლოსკის ფილოსოფიას, მათ მოძღვრებას ინტელიტივიზმზე. სიტყვას მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა არა იმდენად თავისი შინაარსით, რამდენადაც ელერადობით, იგი მხოლოდ ნიშანი იყო რაღაც სინამდვილის იქით არსებულისა.

პოეტური შემოქმედებით ვერ ამართლებდა თავის თეორიულ მოსაზრებას, რომელიც პოეზიაში, უპირველესად ყოვლისა, მუსიკას მოითხოვდა. მაგრამ, მახსოვს, მოხსენებებში ხშირად ემყარებოდა ვერლენის მოთხოვნილებას — „მუსიკა უპირველესად ყოვლისა“, თუმცა ტიციანის პოეზია დამყარებული იყო არა იმდენად, ასე ვთქვათ, გარეგნულ გამომსახველობითს მუსიკალობაზე, ამღერებულ სიტყვაზე, რამდენადაც პოეტურ განცდათა შინაგან პარმონიაზე. არის აღმანი, რომელსაც თავისთვის, ხმისამოუღებლად შეუძლია მთელი არაა შეასრულოს, მაგრამ საკმარისია ხმაილა შეეცადოს იმავე არის დამღერებას, რომ სმენამ უღალატოს და უმწყო აღმოჩნდეს. ტიციანს, მაგალითად, წინააღმდეგ პაოლოსი, სრულიად არ ეხერხებოდა სიმღერა, ხმას ვერ უწყობდა მომღერლებს; საოცრად კი უყვარდა ვოკალური ხელოვნება და სიმანამბულას ემსგავსებოდა, როცა ვანო სარაჯიშვილს, საბანეევას, მიგაის და სხვა ღირსეულ მომღერლებს უსმენდა.

რამდენჯერ გამოვსულვართ ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრიდან (უნდა ითქვას, რომ მაშინ ამ თეატრში ხშირად ვიყრიდით თავს) გარეტიანებული და თავბრუდახვეული ქართველი ორფეოსის — ჯადოქარი ვანო სარაჯიშვილის მოსმენით. მენშევიეკური ხელისუფლები დროს თბილისში ჩამოვიდა ბალეტის რუსული საბალეტო ხელოვნების წარმომადგენლის, ცნობილი მორდციანის ხელმძღვანელობით. მისი გასტროლები დიდი წარმატებით მიდიოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ბალერიანა სემიონოვა (შემდგეში, მგონი, ის მორდციანთან ერთად ევროპაში გაემგზავრა). ტიციანი ამ საბალეტო წარმოდგენების ხშირი სტუმარი იყო. მაგრამ მის განსაკუთრებულ სიამოვნებას და აღტაცებას იწვევდა სამხატვრო თეატრის გასტროლები, იმავე წლებში რომ ჩატარდა თბილისში. ტიციანისთვის მოსკოვის ნაცნობმა, რაღაც მშობლი-

ურმა სიომ დაბერა. მისი ინიციატივით ეესწრებოდი ამ მსოფლიო მწიწნანს მქონე თეატრის წარმოდგენებს. სამხატვრო თეატრის შესრულებით ვნახეთ მაშინ ლ. ტოლსტოის ინსცენირებული „აღდგომა“ და, მგონი, დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“.

ეს იყო წლები ტიციანის რომანტიკული გატაცებისა, როცა მას თავი წარმოდგენილი ჰქონდა პიეროდ და ტრფილის ობიექტი ტანჯულ, წამებულ კოლომბინად, როცა ის ფიცსა სდებდა მის წინაშე:

ვერ ნახე რაინდს ჩემზე უფრო, რომ უერთგულოს
შენ წამებულ სულს, კოლომბინა, შენ ტუბერკულოზს.

ეს წამებული სული, რომელსაც ტუბერკულოზი აწუხებდა, იყო ნინო მაყაშვილი, რომლის უერთგულესი რაინდი ტიციანი ბოლომდე დარჩა. ეს სტრიქონები მაშინ სინამდვილით და გატაცებით იყო ნაკარნახევი: ნინოს წამებას ამჟღავნებდა მისი სიკვდილი და ფილტვების დაზიანება.

უკვე ამ წლებში (მხედველობაში მაქვს ოციანი წლები) ტიციანის ოჯახი ერთგვარ სალონს წარმოადგენდა. აქ ხშირად იკრიბებოდნენ როგორც ცისფერყანწელები, ისე რუსი პოეტები. ილია ერენბურგი თავის შესანიშნავ მოგონებაში 1920 წელს იგონებს. იმ დროისათვის ტიციანს პოეტური ცხოვრების შვიდი თუ რვა წელი ჰქონდა გავლილი. მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა დეკადენტური ლექსების საკმაო რაოდენობა და დეკადენტი პოეტის სახელი ჰქონდა მოხევეკილი. ამ ლექსებში ხშირად გაიღვებებს ხოლმე მოგონება ქალღეაზე, წინაპრებზე, რომლებიც პოეტს წარმოდგენილი ჰყავს, როგორც მოგვეები, ბრძენი ვარსკვლავთმორცხველები, როგორც წარმართები, რომლებსაც უყვართ დაუსაბამო სამყარო—მზე, მიწა, სიცოცხლე. მაგრამ უფრო ხშირად ეს ლექსები პოეტის კალუციანაციების, ავადმყოფურ განწყობილებათა ნაყო-

ფია. დაშლილია ლოგიკური კავშირი პოეტურ სახეთა და სტროფებს შორის. აღამიანები წარმოდგენილი ჰყავს ფონგლიორებად, ჯამბაზებად. მოქმედება თითქოს სრულიად ირეალურ სამყაროშია გადატანილი. მთავარი მოქმედი პირები ამ ლექსებისა არიან თავისმკვლელები, მათში ლაპარაკია რაღაც ფანტასტიკურ ამბებზე, წარმოდგენილზე. მახსოვს, თუ რა მოწონებას იმსახურებდა მაშინ ჩვენს შორის, ვთქვათ, ლექსი „ბირნამის ტყე“:

მოჰყავთ არტური ავადყოფ ჭინკებს,
მოწყვეტილ ფეხით ჭიანჭრს უკრავს,
თავისმკვლელები ავსებენ ჭიქებს,
და ულოცავენ ამაყ მოურავს.

პიერბოლური პოეტური თქმები ტ. ტაბიძის ადრინდელი ლექსებისა ც დამახასიათებელი თვისება იყო. პოეტური ფრაზა „არ დალეულა ჩვენ მოდგმაში ჯერ მლოცველი, გადახდილ წირვის დათვლა თითონ ღმერთს დააბერებს“, ტიცინანის სტიქიაში შედიოდა. ის მაშინ გატაცებული იყო ლექსების ციკლით „ღვღელი და მალარია“. ამ ლექსებში ჩვენ გვაოცებდა ავტორის ფანტასტიკური ხილვა, შეხამება ორპირის პეიზაჟისა ფრანგი პოეტის ლოტრეამონის გამბეშოსთან. პოეტს აწვალებდა თავისი სოფლის მალარიისაგან გადაშენების საკითხი, რაც სრულიად თავისებურ გარდატეხას პოულობდა მის პოეზიაში. აქ უფრო იჩენდა თავს დაცემულობის განწყობილება, რღვევისა და დაშლის საშიშროება. პოეტს ეჩვენებოდა, რომ ლექსების ამ ქარიშხალში მოჰქროდნენ „რემბო, ერედია, ემილ ვერპარნი“. თუმცა უნდა ითქვას, რომ ტიცინანი თავისი პოეტური ბუნებით, ხასიათით მაინცადამაინც არ ყოფილა გატაცებული ვერპარნიით და ერედიათი. უკანასკნელის სონეტი თავისი მკაცრი ფორმით მას მოაჩნდა სონეტის ნიმუშად, სიყვარულით კი არ ჰყვარებია, რამდენადაც მასში იგი ვერ გრძნობდა სითბოს, იმ სულიერ შემფოთებას, რაც უმთავრესად მას იზიდავდა ლექსში. ამ მხრივ ის

უფრო ნათესაურ, ახლო კავშირს გრძნობდა რემბოს პოეზიასთან. ფრანგ „დაწყვეტილ“ პოეტთა შორის რემბოს და მათს შორეულ წინაპარს ვიონის გაცილებით მეტი პოეტური მოკრძალებით ეპყრობოდა. ვიონის ლექსებს იგი ხშირად იმეორებდა. ტიცინანი შორს იყო პარნასელთაგან. ნაკლებად ევუებოდა მათს ზუსტ, მკაცრ ფორმას. მასში სპარბობდა გრძნობადი სამყარო. ეს გრძნობა ხშირად ვერ თავსდებოდა ფორმის განსაზღვრულ ჩარჩოებში, ამ ჩარჩოებს შლიდა და მოედინებოდა როგორც ცეცხლისმფრქვევ მთის ღველფი. ამ ლექსებში პირველად პოვა გამოხატულება პოეტის ირონიულმა მიდგომამ მოვლენებისადმი, როცა პოეტი უდაბნოში გრძნობდა თავს, მაგრამ გაცეცხული ამბობდა: „რაა ეს მწვანე მოლიო“. კავშირის ვაწყვეტა მოვლენებს შორის, გაორება, ბუნდოვანებით მოცულ სამყაროში ყოფნა, მისტკური ტრანსი და მახასიათებელი იყო ტიცინანის იმდროინდელი პოეზიისათვის. გამოხატვის საგანსა და გამოსახვის საშუალებათა შორის უფსკრული აღიმართა. როგორც რუსი, ისე ჩვენი სიმბოლისტებიც გამოდიოდნენ ტიუტჩევის ცნობილი თქმისაგან „Мысль изреченная есть ложь“. ეს წინააღმდეგობანი, მტკივნეული მოვლენები, იდეოლოგიური უკუფენანი მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა თავის უშუალო ანარქულ პოულობდა, საერთოდ, ცისფერყანწელთა და კერძოდ, ტიცინანის მუდამ მღვლეარე, მოუსვენარ პოეზიაში. ასეთი პოეტური ცოდვებით მივიდნენ ეს პოეტები დიდ რევოლუციასთან.

ახლა ვახსენებაც კი მიმძიმს იმ „ლექსებისა“, რომლებსაც მაშინ ვეპქდავდი და ამხანაგების ყურადღებას ვიმსახურებდი. გულწრფელობა მოითხოვს ითქვას, რომ ერთმანეთის ქება და ხოტბა კარგ ნიადაგს პოულობდა მაშინ ჩვენს შორის. ალბათ ამას მოითხოვდა ახალი სკოლის საბრძოლო ამოცანები. ეს იყო ერთ-ერთი საშუალება იმისათვის, რომ მას გზა გაეკვლია. გაუგებარი, ნაძალა-

დები, განგებ დაბნელებული და სრულიად განყენებული სახეები, რომელთა წარმოსახვა არაფრით არ შეიძლებოდა და რომელთა საშუალებითაც ქვეყანა ბუტაფორიით მინდოდა წარმომედგინა — იყო ამ „ლექსების“ საყრდენი. მახსოვს, რომელიღაც ლექსი ბავშვს მივუძღვენი, მეორე დღეს შემხვდა კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი (მას პეტერბურგიდან ვიცნობდი. მისი დიდი პატივისმცემელი ვიყავი, როგორც ქართული მუსიკის პროპაგანდისტისა. მახსოვს, მისი დიდი წარმატება, რომელიც ხვდა წილად მის საღამოს პეტერბურგში, რომელზედაც ცნობილი არხანგელსკის გუნდის საშუალებით, თუ არ ვცდები, ქართული საეკლესიო საგლობლები შეასრულა) და მითხრა: ეს რა დაგიწერია, კაცო, ბავშვს კი არა, მე არაფერი მესმის მაგ ლექსისო. გულში გამეხარა, მაშასადამე, კარგი რამ დამიწერია-მეთქი, ვიფიქრე. ეს იყო „მემარტყენობის“ სენი. რამდენადაც მეტი იქნებოდა ლექსში სიტყვების რაზარუნი და უხორცო სახეები, ვფიქრობდი, ლექსიც უკეთესი იქნება-მეთქი.

მას ვამბობდი: ტიციანის ოჯახი ოციან წლებში, და შემდეგშიც, ერთგვარ ლიტერატურულ საღონს წარმოადგენდა-მეთქი. ვის არ შეხვდებოდა აქ კაცი. მესხიერებას ბუნდოვნად შემორჩა ილია ერენბურგი და ოსიპ მანდელშტამი. ოჯახის დიასახლისს — კოლომბინას — ხშირად გაშლილი ჰქონდა სუფრა. ერთხელ ტიციანმა ი. ერენბურგი და რომელიღაც რუსი პოეტი ქალი (ვინაობა აღარ მახსოვს) დილით ადრე მტკვრის ნაპირზე წაიყვანა, იქ, სადაც ახლა სტალინის სახელობის ხიდია. ხალისით ჩავიბრინეთ ბალახით მოსილ ნაპირზე. ერენბურგმა პეშვით აიღო მტკვრის გრილი წყალი, პირისახე გაიგრილა. შორს მოჩანდა კავკასიონის მთების მწკრივი, რომელსაც რუსი მწერალი, მაშინ ახალგაზრდა, დიდხანს შესცქეროდა. ლაპარაკობდა საქართველოს სილამაზეზე, პოეტების მეგობრო-

ბაზე, პოეზიის თვალმიუწვდომ საწყაროზე.

ტიციანთან შეგხვდი მოგეტ-ოსიპ-მანდელშტამს, რომელიც მენშევიკურ ხელისუფლებას ბათუმში დაეპატიმრებინა, როგორც ბოლშევიკების აგენტი. ტიციანმა და, მეგონი, ნ. მიწიშვილმა სთხოვეს ერთ-ერთ ხელმძღვანელ მენშევიკს, რომელიც მაშინ ბათუმის გენერალ-გუბერნატორი იყო, გაეთავისუფლებინა გაუგებრობით რეპრესირებული პოეტი. თხოვნა აუსრულეს. ტიციანმა ძმასავით შეიფარდომა მანდელშტამი. მოუარა, მეგობრის ხელი გაუწოდა. ხშირად ვხვდავდი მასთან ოჯახში მანდელშტამს, გაცრეცილს, ცუდად ჩაცმულს. უყვარდა ლექსების კითხვა. თბილისში შთააგონა იგი დაეწერა ლექსი, მიძღვნილი თბილისისადმი. ეს ლექსი სუსტია. ავტორი ვერ აცდა საკმაოდ გატყენილ გზას და თავისი ნაწარმოები დაამძიმა ეგზოტიზმით. ლექსში მწვადის ბოლიც დგას, კახური ღვინის და ფლავის სურნელებაც კი იგრძნობა.

ასეთი „ლექსით“ მოიხადა ვალი პოეტმა თბილისისა და ტიციანის წინაშე, რომლისთვისაც ეგზოტიკური ქალაქი ყოვლად მიუღებელი იყო. ტიციანი იყო ნამდვილი ადამიანური გულის პატრონი, ბუნებით კეთილი, მუდამ შთაგონებული, ბავშვით გულჩვილი და საოცრად მორცხვი, მორიდებული უფროსი ამხანაგების წინაშე. მაგრამ ლიტერატურულ მოწინააღმდეგესთან ყოვლად მოურიდებელ, დაუზოგავი, გესლიანი პოლემისტი. არავის აპატიებდა მშობლიური ქვეყნის აუგად ხსენებას ფამილარულ მოპყრობას. ბევრს ახსოვს მისი წერილები და ზეპირი გამოხვლები, რომლებშიც ის საკუთარ პოზიციებს იცავდა და მოწინააღმდეგეთ ეკამათებოდა. ტიციანი არ იყო მკვერამეტყველი, მაგრამ მისი სიტყვა ყოველთვის უფროსაინტერესო მოსასმენი იყო, ვიდრე აღიარებული ორატორისა, რომელსაც სიტყვა არ შემოაკლდება, მაგრამ ეს სიტყვა უმეტეს შემთხვევაში მოკლე-

ბულია სიცხოველეს, თავისებურ ფერადოვნებას, გაცვეთილია ხშირი ხმარებისაგან. ტიციანის სიტყვა გამოირჩეოდა პოეტურ მღელვარებით, მეტაფორული თქმებით, ასოციაციური აზროვნებით. ასეთი ხასიათისაა მისი წერილები, რომელთა ნაწილი სადავო და შეიძლება მიუღებელ დებულებებს შეიცავენ, მაგრამ გამოირჩევიან როგორც იმ საგნის ცოდნით, რაზედაც ავტორი წერს, ისე წერის მაღალი კულტურით. მისი წერილების წაკითხვისას გრძნობ, რომ ავტორი მთელი გულით წერს, ამ გულს ნაფლეთებს წარმოადგენენ თითქოს ეს ღრმად განცდილი და გრძნობის მხურვალე ქურაში გამოწრთობილი წერილები.

არ დაინდო ტიციანმა ერთ დროს მის მიერვე შევრდომილი და ალერსით გამოთბარი მანდელშტამი. ეს მოხდა შემდეგ, 1923 წელს. მანდელშტამს ჟურნალ „Огонек“-ში მოეთავსებინა სტატია, რომელშიც, სხვათაშორის, საქართველოზე შემდეგი ეწერა: „Маленькое независимое государство, выросшее на чужой крови, хотело быть бескровным. Оно надеялось чистеньким и благополучным войти в историю, сжатое грозными силами стать чем-то вроде новой Швейцарии, нейтральным от рождения «невинным клочком земли»“.

მანდელშტამს, ალბათ, მხედველობაში მენშევიკური ხელისუფლება ჰყავდა, მაგრამ ტიციანმა მოყვანილ ციტატაში დაინახა ამ ხელისუფლების ქართულ ხალხთან გაიგივება, ველიკოდერჟავული განწყობილება რაც მან შეურაცხყოფად მიიღო და საკადრისი პასუხიც გასცა წერილით: „გასტროლიორი ჰონტოლი“, რომელიც მოათავსა მწერალთა ახალი კავშირის ორგანოში: „რუბიკონი“ (1923 წ., 25 III).

1918—20 წლებში თბილისში ხშირად შეხვედებოდი რუსული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებს. აქ იყვნენ ცნობილი რეჟისორი ნიკ. ვერეინოვი, პოეტები ს. გოროდეცი, ვ. კამენსკი და სხვ., რომლებსაც ახლო, მეგობრული კავშირი ჰქონდათ დამყა-

რებული ცისფერყანწვლებთან. ვერეინოვი პეტროგრადში მოღვაწეობდა. ნახული მქონდა მისი რამდენიმე დადგმა. მახსოვს, ერთ-ერთს (მგონი, მუსიკალური კომედია იყო) დავესწართ მე და ბესო ლომინაძე. საერთოდ, ბესო ძლიერ გატაცებული იყო როგორც დრამატული, ისე ოპერის თეატრით. ვერეინოვის სპექტაკლი წარმოადგენდა რაღაც პაროდის ოპერის პირობითობაზე. მეხსიერებას შემორჩა ერთი არია: „Мы все, мы все эфимны“, რომელსაც მშვენიერად აგუგუნებდა ხოლმე თავის სასამოვნო ბანით ბესო ლომინაძე, თბილისში შეხვედრების დროს, იქნებოდა ეს ტიციანთან, თუ არჩიდ მიქაძესთან (მაშინ ის ცხოვრობდა მშობლებთან ყოფილ მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ რომელიღაც ქუჩაზე), ტიციანი ხშირად სთხოვდა ბესოს, ემღერა ეს არია. ბესოც სიამოვნებით უსრულებდა თხოვნას. ჩვენს დროს პეტროგრადში მღეროდა ცნობილი მომღერალი ქალი ლიკოვსკაია. სტუდენტობა გატაცებული იყო ამ მომღერლით, რომლის კოლორატურა აჯადოებდა ახალგაზრდობას. განსაკუთრებით გვხიბლავდა მისი „ჩიო-ჩიო სანი“. რამდენ ახალგაზრდას ამგვარებია გული ლიკოვსკაიას მოსმენისას, რამდენის წინაშე გადაშლილა ზღაპრული საყვარო, რომელიც თითქოს ოდესღაც მოსმენილი პარმონიული ხმებით იყო სავსე, რამდენი ვინმე ამაღლებულა რომანტიკულ ხილვამდე. ერთი მათგანი იყო ბესოც. ერთხელ ტელეფონითაც დაურეკა: უნდოდა მისი სიმღერით გამოწვეული აღტაცება გადაეცა. მომღერალმა ერთ-ერთ თავის თაყვანისმცემლად მიიღო იგი, რაც საკმარისი ვახდა იმისათვის, რომ ბესოს ტელეფონის მილი უშალვე ჩამოეკიდა. ყოველივე ამას ვიგონებ იმიტომ, რომ ტიციანს ძალზე უყვარდა ბესო, მეგობრობდა მას და ძლიერ შეწუხდა, როცა მისი სიკვდილი გაიგო.

მახსოვს, ხშირად, თითქმის ყოველდღე, ვიკრიბებოდი ლალიძის წყლის პირდაპირ მდებარე კაფეში, მგონი,

დარბაზს ეძახდნენ. ხშირად ჩამოდიოდა „სოვედეპიიდან“ პიერ კობახიძის ძმა, ბოლშევიკი, და მისი თანდასწრებით ვიყრიდით აქ თავს. ეს იყო ოციანი წლებში. „ქიმიკონის“ ვახსნის ინიციატივა კი ეკუთვნოდა ცისფერყანწელთა ჯგუფს. ამის შესახებ ვრცლად გვიამბობს ტიციანი თავის წერილში „ქიმიკონის“.

ხელოვნების ეს იშვიათი ძეგლი, რომელიც მოთავსებული იყო რუსთაველის სახელობის თეატრის ქვეშ, იქ, სადაც ახლა ამ თეატრის პალატების გასახდელი ადგილია. მისი კედლები მოხატული იყო სუდევიკინის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის და სხვათა მიერ. მათ ჯადოქრულ ფანტაზიას აქ ფართოდ გაეშალა ფრთები. პაოლო და ტიციანი პირდაპირ შეყვარებული იყვნენ ამ დარბაზზე; მის კედლებზე გაცოცხლებული იყვნენ ფანტასტიკური ქიმერები, პიერო (ეს იყო თითონ ტიციანი), კოლომბინა (ნინო მაყაშვილი), პაოლო, რომელიც ყვავილს აწოდებდა ულამაზეს ქალს. პიერო, კოლომბინა, ზღაპრული ქიმერები ხომ ტიციანის პოეზიის გმირები იყვნენ! ეს დარბაზი იყო მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა შესახვედრი ადგილი, ვის არ ნახავდით მაშინ აქ. იმართებოდა კონცერტებიც. უკრავდა შესანიშნავი სიმებიანი ორკესტრი, მგონი, სტუპელის ხელმძღვანელობით. მეხსიერებას შემორჩა ორკესტრის ერთ-ერთი მონაწილის სახე. ჰქონდა შავი გრძელი წვერი და უღვაშები. მგონი, რუმინელი იყო, მეტად ცოცხალი და დამსწრეთა დაკვეთების ხალისიანი შემსრულებელი. შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოს. ტიციანი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მას და რატომღაც ფარაონს ეძახდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც განაგრძო „ქიმიკონმა“ არსებობა. სურსათ-სანიუვავის მხრით გაჭირვება იყო. ამიტომ ზოგიერთი, განსაკუთრებით ხელმოკლე მწერალი, „ქიმიკონში“ დადიოდა და

სადილობდა — შეღავათიან პირობებში. ამ წიაღაზე ხანდახან გაუგებრობაც ხდებოდა, ვიხსენებ ერთ-ერთ ასეთ გაუგებრობას. იყო ახალგაზრდა, საკმაოდ ნიჟიერი პოეტი გიონ საგანელი. ტანად დაბალი და მგონი ჩოფურა. პაოლო რატომღაც მას ზუმრობით ჰინკას ეძახდა. გიონ „ქიმიკონში“ დადიოდა და სადილობდა. ღირებულება, როგორც გამოირკვა, ტიციანს ეწერებოდა. ტიციანს ამის გამო საგანელისთვის მიეთითებინა და ეთქვა, უჭმოდ ნუ აკეთებ ასეთ რამესო. გიონ საოცარი თევზოყვარე იყო. ტიციანის მითითება შეურაცხყოფად მიიღო და წერილით მიმართა მას, სადაც აცხადებდა, რომ ეს შეურაცხყოფა აიძულებს მას გავიდეს ახალი მწერლობის კავშირიდან.

ალარ მახსოვს, მართლა გავიდა თუ არა ახალი მწერლობის კავშირიდან. მახსოვს, რომ ნაწყენობამ გაიარა. მით უმეტეს, რომ იგი აღმოცენებული იყო გაუგებრობაზე. გიონ საგანელი შეურაცხყოფილად თვლიდა თავს იმის გამო, „ქიმიკონის“ ღირებუროთან რად მომეცი შენიშვნაო. დააბლოებით ერთი წლის შემდეგ, გიონმა თვითმკვლელობით დაამთავრა თავისი სიცოცხლე.

იმ წლებში გამოდიოდა გაზეთი „ბახტრიონი“, რომელსაც რედაქტორობდა გიორგი ლეონიძე. გაზეთის რედაქცია მოთავსებული იყო პუშკინის სახელობის პასაჟში, მეორე თუ მესამე სართულზე. რედაქციის ფანჯრები პუშკინის ქუჩაზედ გამოდიოდა. ხშირად ვიყრიდით თავს გოგლასთან. გაზეთის მთავარი მონაწილენი იყვნენ ცისფერყანწელები. გაზეთის ეტყობოდა რედაქტორის ხელი, მისი ლიტერატურული სიმბათიები. ვეაყს სიკვდილის შვიდი წლისთავზე, რედაქტორმა მთელი გაზეთი მის შემოქმედებას მიუძღვნა. წერილების გარდა მოათავსა ვეაყს საინმუშო ლექსები. თითქმის მთელი გაზეთი მიუძღვნა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. მოწინავე წერილი — „ილია ჭავჭავაძე“ დაწერილია ტიციან ტაბიძეს.

მარამ ასათიანი

ტიციან ტაბიძის პოეზია

როდესაც ტიციან ტაბიძის ლექსებს კითხულობ, ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს უშუალოდ ეხები აღმართის კრეკლებს. მისი ლექსები ჩვეულებრივ წარმოადგენენ არა რაიმე წინასწარ გააზრებულ იდეური სქემის პოეტურ ხორცშესხმას, ან ხილული მშვენიერებით ესთეტიკური ტემპის შედეგს, არამედ უშფევესი შინაგანი განცდის უცარი აღმოჩენების ნაყოფს. ძნელია ჩვენი დროის ლირიკოსთა შორის მეორე პოეტის დასახელება, რომელსაც თავისი ლექსი დაეტენოს ისეთი მძაფრი განცდით, ისეთი თავდაიწყებული, ატეხილი და ყოველსომოცველი აღტაცებით, როგორც ეს „ლექსი მეწყერისა“ და „მამ გამარჯვება“-ს ავტორმა შეძლო.

პოეტურ ოსტატობას სხვადასხვაგვარი გამოვლინება აქვს. არსებობენ პოეტები, რომელთაც დიდი მუსიკოსების დარად, არა მხოლოდ მელოდიის მკაფიო გამოკვება ძალუძთ, არამედ იდეალურად ფლობენ რთულ კონტრპუნქტსაც. არსებობს ოსტატობა ლექსის შინაგანი ლირიკული კომპოზიციის, სახეთა ფერწერული გააზრებისა თუ სკულპტურული ჩამოსხმის, პოეტური ფრაზის ტლასტურობისა და სიტყვის ბგერადი ფერადოვნების.

მარამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს პოეზიაში იმ მაღალ ოსტატობას, რომელიც საშუალებას აძლევს პოეტს მთელი თავისი ცოცხალი, მთროლოვარე და შეუზღუდავი ძალით გამოვლდაროს ქაღალდზე ჯერ კიდევ გაუფორმებელი, მყარი კალაპოტში ჩამოქნებული, მაგრამ მით უფრო ცხოველი ემოცია და მას თავისი პირვანდელი, განუყოფელი სერნელი შემოუნახოს.

განცდისა და განწყობილების ცვალებად გრადაციათა საოცრად ზუსტ გამოხატვას მიიღწევა ჩვენი დროში გალაკტიონ ტაბიძემ. ამ მხრივ, სხვა თავისი თაობის პოეტებთან ერთად, მან თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული ლირია. როგორც ცნობილია, გალაკტიონისა და „ცისფერყანწილების“ ადრინდელ შემოქმედებაზე გადაწყვეტილ ზემოქმედება მოახდინა ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის პოეტიკამ. ამ მხრივ, ცხადია, არც

ტიციან ტაბიძე ყოფილა დაზღვეული, მაგრამ მისთვის საბოლოოდ უცხო აღმოჩნდა სიმბოლისტური ლირიკისათვის დამახასიათებელი რთული მინიშნებების ენა. მის ლირიაში იშვიათად ვხვდებით განწყობილების იმპროვიზირებულ ნიუანსებსა და ნახევარტონებს, რითაც ასე მდიდარია გალაკტიონის ლირია, რადგან ტ. ტაბიძისათვის პოეზიაში მთავარია არა ნახევარტონის სიწმინდე, არამედ ლექსში იღებელი ნოტის სიმაღლე და ინტენსიურობა. ტ. ტაბიძის თითქმის ყველა საუკეთესო ლექსი უდაოდურესად მაღალ რეგისტრში დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებს გვაგონებს. მისი ლირიკული მონოლოგი ყოველთვის ღრმად პათეტიკურია, მაგრამ ეს არის პათეტიკა არა გონებისმიერი აღტაცებისა და საზეიმო მაღალფარდოვანების, რომელიც ჩვეულებრივ რიტორიკულ ფიგურებს მოითხოვს, არამედ ყელში მობჯენილი ცრემლების, ტკავილებისა და სიყვარულის პათეტიკა. ტ. ტაბიძის ლექსი ხშირად მოკლებულია გარეგნულ დახვეწილობას. მაგრამ ერთში იგი უაღრესი სიზუსტით გამოირჩევა. ეს არის ის „სენსივოგრაფიული“ სიზუსტე, რომლითაც პოეტი საკუთარი განცდის ფიქსირებას იხდენს, და თუ ჩვენ აქ პოეზიის მკვლევართა მიერ ამ უკვე საკმაოდ გაცვეთილი ტერმინის ხმარება მოგვხდება, მხოლოდ იმის გამო, რომ იგი განსაკუთრებით შეეფერება ტ. ტაბიძის შემოქმედებით ოსტატობას, ვინაიდან საკუთარი სულიერი მდგომარეობის ფიქსირებას იგი ახდენს არა უკანა რიცხვით, არამედ სწორედ შინაგანი ძებრებისა და აფეთქებების მომენტში.

ტიციან ტაბიძე იყო უაღრესად დრამატული მსოფლმეგობრების პოეტი. მართალია, მას აქვს მსუბუქი სედელო, ან უღრუბლო, მზიანი განწყობილებით გამთბარი ლექსებიც, მაგრამ სამყაროსადმი დამოკიდებულების მთავარ თავისებურებას მის პოეზიაში მაინც დრამატიზმი შეადგენს. ეს შინაგანი თვისება ერთნაირად დამახასიათებელია არა მხოლოდ იმ ლექსებისათვის, რომლებიც საქართველოსა და ქაბთველი ხალხის ბედს შეეხება და ღრმად ინდივი-

დღაღურ ელფერს აძლევს მის პატრიოტულ განცდას. შინაგანი აფორიაქებისა და ქარიშხლიანი წინათგრძნობის დაღით არის აღბეჭდილი მთელი მისი ინტიმური ლირიკა.

აღქმანდრე პოეტი ამბობდა, რომ „ქარიშხლებისა და განჯავის ეპოქებში პოეტის სულის უნახავია და უინტრიგო მისწრაფებანიც ქარიშხლისა და განჯავით იმსჭვადლებანი“. ტ. ტაბიძის მთელი პოეტური მემკვიდრეობა ამ სიტყვების შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს, და სწორედ ამის გამო მისი ლექსები დღემდე საოცარი ძალით ეხმიანებიან ჩვენს განწყობილებებს, მისწრაფებებსა და გემოვნებას, რადგან მათში პოეტის ინდივიდუალურ-შემოქმედებით ბუნებასთან ერთად ღრმად არის აღბეჭდილი თანამედროვე ადამიანის მსოფლშეგრძნებისათვის დამახასიათებელი საერთო თვისებებიც.

ტიციან ტაბიძე დაიბადა 1895 წლის 2 აპრილს იმერეთის სოფელ შუამთაში, ორპირის მახლობლად. მშობლიურ სოფელში მიღებულმა ბავშვობისა და ქაბუჯობის დროინდელმა შთაბეჭდილებებმა წარუშლელი კვალი დაამჩნიეს პოეტის ადრინდელი შემოქმედების თვისებებზე.

„... განსაკუთრებით დამამახსოვრდა, — წერს ტ. ტაბიძე თავის ავტობიოგრაფიაში — შხის ჩასვლა რიონისპირა ველებზე, როდესაც მზე ცეცხლმოდებულ მეწამულ პალიასტომის ტბაში ჩაეშვებოდა ხოლმე და ცას სანახევროდ კოცობდა ჰვარავებდნენ...“

ჩემს თვალწინ ციებისაგან იელიტიბოდა მთელი სოფლები, წყველა-კრულით ტოვებდა ხალხი შეჩვეულ ადგილებს. ამ ამბის ხილვა მაგონებდა ფრანგი პოეტის ლიტრაჟამონის ლექსებს. გომბეზის მონოლოგი „მალდორორის სიმღერადან“ — ეს იგივე ორპირის ბაყაყების ყოველდღიური ორკესტრი, იგივე გადგვარების სიმღერა იყო...“

ახალგაზრდა ტიციანის პირველების ფორმირებაში არა ნაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სხვა შთაბეჭდილებებმაც, რომლებიც მან შედარებით მოგვიანებით მიიღო, იმ დროს როდესაც პოეტი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა.

ტიციან ტაბიძე ქუთაისში პირველად 1905 წლის ოქტომბერში ჩავიდა. მამამისმა იგი მიიყვანა გიმნაზიის ერთ მსკოვან მასწავლებელთან, რომელსაც მისაღები გამოცდებისათვის უნდა მოემზადებინა. მასწავლებლის ბინა ქუთაისელი რევოლუციონერების „მთავარ შტაბს“ წარმოადგენდა, მომავალი გიმნაზისტის საწოდებელ იარაღის მთელი საწყობი იყო. ისევე როგორც ქუთაისის ინდროინდელმა ყველა სხვა ბიჭებმა, ტიციან ტაბიძემაც მალე ისწავლა სიტყვა „ჟანდარმის“ სიტყვითი, ხოლო

სიტყვა „სოციალ-დემოკრატი“ მისთვის გმირობისა და მამაციობის სინონიმად ქცეულა.

1905 წლის რევოლუციურ მოვლენებში შეუძლებელია ღრმა კვალი არ დაეტოვებინათ ტ. ტაბიძის ცნობიერებაზე, თუმცა მათი დადებითი ზეგავლენა რამდენადმე გვიან გამოვლინდა. ახალგაზრდა პოეტის ადრინდელ წარმოდგენათა ჩამოყალიბებაში შედარებით გადამწყვეტი როლი ითამაშეს სხვა ისტორიულმა მოვლენებმა და გარემოებებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ რუსეთის პირველი რევოლუციის შემდგომ პერიოდში.

უფროსი თაობის თითქმის ყველა გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა განელო თავის დროზე ეს მიმე გზა — იმედების გატარებისა და სულიერი დეპრესიის, რაც რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებასთან იყო დაკავშირებული. რეაქციის ყრუ ატმოსფეროში, რომელმაც განსაკუთრებით ნაყოფიერი ნადავგი მოამზადა ქართულ პოეზიაში ევროპული დეკადანსის „შხამან ყვავილა“ გადმოსარგველად, ყალიბდებოდა ახალგაზრდა ტიციანის პოეტური შეხედულებანი. უკვე გიმნაზიის შეექმნის კლასის მოსწავლე ტიციან ტაბიძე თარგმნის და ბეჭდავს ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ თბილისის გაზეთებში ფრანგი და რუსი სიმბოლისტების — ა. ბლოკის, ვ. ბრიუსოვის, ფ. სოლოგუბის და ი. ანენსკის ლექსებს. ამავე დროს, იქმნება და ქვეყნდება მისი პირველი ორთავიანლორი პოეტური ნაწარმოებებიც, რომლებშიც გოტიეს, რემბოსა და ერედეას პოეზიის მოტივების გავლენა იგრძნობა. ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას ვიცნო ტ. ტაბიძემ მომავალი „ციცფერანწების“ თითქმის ყველა გამოჩენილი წარმომადგენელი და, ჯერ კიდევ სრულდა ახალგაზრდა, მათთან ერთად ოცნებობდა ქართულ პოეზიაში გადარჩალების მოხდენაზე.

„ქუთაისი მაშინ წარმოგვედგინა, — წერს ტ. ტაბიძე, — როდენაბის მკვდარ ბრუიგედ. ამ მკვდარი ქალაქის ფონზე ცოცხლებოდა „ანრდილები“ და ჩვენც ლიტერატურული სახეებით ვიყავით დატყვევებულნი. ქალაქი გაღატაკებული წერტილი მემშავილებებისა, რომელთაც უკვე კარგა ხანია გაენიავებინათ საკუთარი მამულები, ქალაქის ეშმაკობაში გაწერთნილი ხალხისა, ოხუნჯობისა და უსაქმო მექთახორებისა — იყვედა ჩვენში მემშანობისადმი ბოჰემურ ოპოზიციურ განწყობილებას და განმხდრებდა „სახოვალეობრივი გემოვნების“ წინააღმდეგ“.

1913 წელს ტიციან ტაბიძე მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა. აკადემიურ მეცადინეობას არ ჩამოშორებია პოეტი დღემდე ქალაქის ცოცხალი ლიტერატურული ცხოვრებისაგან. მის შორეულ სკოლად ამ დროს პოეტური საღამოები, დისპუტები და სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგოფებათა კრებები ქცე-

არააყლებ ნაყოფიერი აღმოჩნდა მისთვის უშე-
ალო შეგობრული ურთიერთობა ლიტერატურე-
ლი მოსკოვის წარმომადგენლებთან.

თავისთავად ცხადია, რომ იმდროინდელ მოს-
კოვის ლიტერატურულ წრეებში გამედებელი
ბოქსმური სტიქია სრულიადე არ უწყობდა
ხელს პოეტის გამოფხიზლებას სიმბოლიზმის
ბანგისაგან, რომელსაც იგი ჯერ კიდევ საქარ-
თველოში ეხიარა. ამის შესახებ თვით ტ.
ტაბიძე წერს:

„1914-1915 წლებში ლიტერატურული მოს-
კოვი ჯერ კიდევ სიმბოლიზმის ტყვე იყო,
თუმცა უკვე იგრანოზიდა სიმბოლიზმის კრი-
ხილი. შევიყაროიდან ახლადამბრუნებულმა
ანდრეა ბელიმ თან მოიტანა თავისი ბუნდოვა-
ნი მისტიური დაქანეულობა, ცხარე კამათი
გოეთუხე და ლექციაბა ეესტ-მიმიკის თეატრზე.
ბასენდება სკრიპინის სიყვდილი და მისი
დაკრძალვა, სკრიპინისავე მუსიკის კვლბი,
იგორ ხევირაინის პოეზიის უთვალავი კლამო-
ვები, რელოვიერ-ფილოსოფიური საზოგადოების
სხდომები და ფორმელა „კანტიდან პრედონა-
მდე“, რუსეთის ჯარის წასვლა გერმანიის ფრო-
ნტზე, მარინეტისა და ემილ ვერპარნის ჩამოსე-
ლა მოსკოვში, „თავისუფალი ესთეტიკის საზო-
გადოების“ სხდომა ლიტერატურული მხატვრულ
წრეში და ვალერი ბრიუსოვის გამოხველა, აკ-
მეისტებისა და „ადამისტების“ შეტევა სიმბო-
ლისტიკის წინააღმდეგ, ნაცნობობა ბალმონტ-
თან, რომელიც მაშინ რუსთაველის „ვეფხისტყა-
ოსანს“ თარგმნიდა, გატაცება ბლოკოთა და
ინოვენტი ანენსკოთა, და ბოლოს მოსკოვის ქუ-
ჩებსა და სტრადელებზე ვლადიმერ მიაკოვსკის,
ბოლო უფრო გვიან — ხლუბნიკოვისა და სხვა
რუსი ფერტურისტების გამოჩენა. ყოველივე ეს
მალევებდა და ასე თუ ისე აისახა კიდევ ჩემს
შემდგომ მუშაობაში. პოლიტიკურ ამბებში მე
სავსებით წითლად ვერ ვერკეოდი. ჩემი და-
მოკიდებულება რუსულ და ფრანგულ სიმბო-
ლიზმთან სრულიად არაკრიტიკული იყო.“

ასეთი იყო „დროის სული“ და ლიტერა-
ტურული ნიადაგი, რომელმაც ხელი შეუწყო
ახლგზრდა ტ. ტაბიძის ესთეტიკური კრდლის
ჩამოყალიბებას. მოსკოვში მიღებულმა დეკლენ-
ტურმა „წრთობამ“ საბოლოოდ განსაზღვრა
მთელი მისი ადრინდელი შემოქმედების ხასია-
თი და ძირითადი თავისებურებანი.

მოსკოვი პოეტმა 1917 წელს დატოვა, თებერ-
ვლის რევოლუციის რამდენიმე დღის შემდეგ,
ბოლო ორი წლით ადრე, სამშობლოში ერთ-
ერთი ჩამოსვლისას. პაოლო იაშვილთან და
ვალერიან გაფრინდაშვილთან ერთად, მან ქუ-
თაისში მონაწილეობა მიიღო ქართული სიმ-
ბოლისტიკის სკოლის დაარსებაში. როგორც
ენობილია, ამ სკოლამ საქმიად მნიშვნელოვანი
გავლენა იქონია არა მარტო ტ. ტაბიძეზე,

არამედ უახლოესი წლების ქართული პოეზიის
მრავალი წარმომადგენლის შემოქმედებებზეო-
გრაფიისზე. ამ ჯგუფში შეფუფუნეყენეყენე
ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინ-
დაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირკი-
ძე, სერგო კლდიაშვილი, სოვენიანთი „ციხ-
ფერყანწელებს“ შეუერთდნენ გიორგი ლეონი-
ძე, რაფაელ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, შალვა
კარბელი და სხვა პოეტები.

„ციხფერი ყანწები“, ისევე როგორც მთელი
ქართული სიმბოლიზმი თავისი ესთეტიკური
პროგრამითა და პოზიციით, საერთოდ, რეაქ-
ციულ ლიტერატურულ სკოლას წარმოადგენ-
და. აცხადებდნენ რა თავიანთ თავს დაცემის
ფილოსოფიის მომხრეებად და დასავლეთ ევ-
როპის დეკლენტების მიმდევრებად. „ციხფერ-
ყანწელებში“, ამავე დროს, გამოხატავდნენ
მაფრ სულიერ კრიზისს, რომელმაც იმ დროს
საქართველოს ძველი ინტელიგენციის ერთი
ნაწილი შეიპყრო.

„...თუღს გადაავლებე განელილ გზას, —
წერდა ტ. ტაბიძე 1936 წელს, — უნდა ვთქვა,
რომ ჩვენი ჯგუფი „ციხფერი ყანწები“ წარ-
შობადგენდა ტიპურ ესთეტიკურ, შეზღუდულ
მიმართულებას. იმ წლებში ჩვენ, ასლგზრდა
ქართველი პოეტები, შეტისმეტად დიდ ხარკს
ვუხდიდით არაჯანსაღ, ბოქსმურ არტისტიკაში,
ვედავებდით „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“,
კმატურულ შემოქმედებას ვაფასებდით მცდარ-
ად — როგორც რაღაც თვითსაკმარის. ძალიან
ბევრი ვამონდა წინააღმდეგობანი.“

საქიროა გვიხსენოთ, რომ ტიციან ტაბიძე
იყო არა მხოლოდ პოეტი, არამედ ერთ-ერთი
თეორეტიკოსიც „ციხფერი ყანწებისა“. იგი
წლების განმავლობაში რედაქტორობდა გაზეთ
„მარიალს“, რომელიც ამ ჯგუფის ორგანოს
წარმოადგენდა. თავის თეორიულ სტატიებში,
ყოველწლიურ ლიტერატურულ მიმოხილვაებში,
კრიტიკულ ვტრედებში და რეცენზიებებში ტ. ტა-
ბიძე იმ დროს ერთგული მიმდევარი იყო თეო-
რიისა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. XIX
სუტუნის ქართული დემოკრატიული პოეზიის
ტრადიციები მას თავისებურ „ანომალიად“
წარმოედგინა. ტ. ტაბიძის ადრინდელ პოეტურ
ნაწარმოებებში ჩვენ ვხვდებით ქართული სიმ-
ბოლიზმისათვის დამახასიათებელ თითქმის ყვე-
ლა თემასა და მოტივს. მთელ რიგ ლექსებში
იგი მკითხველების წინაშე წარმოდგება ცხოვ-
რება-მომბერებელი ესთეტიკი პოზიტი („ხოტურ
ხალათში, ვით ფაშა ვეფენდი, ვოცნებობ ბალ-
დადზე მოღლილი დენდი“), რომელიც გულ-
გრილად შექუტრებს გარესამყაროს. სნობის-
ტური ზიზილი და სიჯიუტით ცდილობს იგი
გაემაჯინოს „ნაერისფერ“ სინამდილეუსა და
ჩვეულებრივ ადამიანურ მისწრაფებებს, რათა

თავის დახვეწილი განცდების ვიწრო სამყაროში აღმოჩნდეს მარტოდმარტო.

მაგრამ, ამასთან ერთად, ტ. ტაბიძის უკვე ზოგიერთ ადრინდელ ლექსში იგრძნობა თავისებური დაქვეება საკუთარ სიმბოლისტურ-მოწოდებაში. იგი თითქოს ინტუიტურად ისწავლავს გაარღვიოს ამ უღმრთელი „მეორე რეალობის“ დახშული წრე, გააღწიოს ნამდვილი სამყაროს სინათლესა და ფერებში. ლექსი „უბაჯარონი“, რომელიც მან 1916 წელს დაწერა, მოწმობს ახალგაზრდა ტ. ტაბიძის ნამდვილი პოეტური მსოფლმეგრძნების ღრმა წინააღმდეგობრიობას. სინამდვილის აღქმა ასეთ ლექსებში ხშირად არათუ არ ემთხვევა, არამედ პირდაპირ საწინააღმდეგოვ არის იმ სიმბოლისტური დოქტრინისა, რომელსაც იღებდა და გატაცებით ქადაგებდა ტიციან ტაბიძე, როგორც „ციხფერის ყანწების“ თეორეტიკოსს.

შეუძლებელია ტ. ტაბიძის აღრუელ პოეზიაში გვერდი ავუაროთ აგრეთვე ზოგიერთ სხვა შოტიეს, რომელიც ასევე ეწინააღმდეგებოდა დეკადანსის ესთეტიურ იდეალებს. ავადმყოფობის, სიმბინჯის, ქნობის, სიყვლილისა და დაკუმის ამოლოგისთან ერთად, რაც პოეტის მთელ რიგ ლექსებშია გადმოცემული, ტ. ტაბიძის პოეზიაში ნათელი სხივივით შემოიჭრება გვიანდელი ეპიგონური სიმბოლიზმისათვის სრულიად უცხო ჯანსაღი ნოტები, რომლებიც გვაძნობენ პოეტის სწრაფვას მშვენიერებისაკენ მის „ნორმალურ“ კლასიკურ გამოვლენაში.

დეკადენტური ფილოსოფიისადმი ასეთი დილტონის მიგალითად შეიძლება გამოვლეს, ნაწილობრივ პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი ცნობილი სონეტი:

...სხვა მეგობარმა და პოეტმა გეადარა აღმასს,
ვიცი გაეტყუებით და არასდროს

მოვიღუნებით,
ძველ პოეზიას კადნიერად ვახტრავთ ზალმას,
მაგრამ საესტა სიყვარულთ თვალის უბები.

წითელი ხარის გამძლეზია მავარი ჯიში
და იალაღზე შენ იქნები მუდამ წინამძღვრად,
ამიტომ არ აქვს არც ერთ ყანწულს აქამდე
შიში,

რომ მოვედებით სავართველოს ლექსის
ნიადგრად...

„სიმბოლიზმის ირრეალურ სამყაროსთან“ საკუთარ ნათესაობაში დაქვეების ბუნდოვანი მოტივები, რომლებიც ტ. ტაბიძის პოეზიაში ჯერ კიდევ რევოლუციამდე ზაისახა, კიდევ უფრო ძლიერდება შემდგომ წლებში. თანდათან მის ლირიკაში ირონიის თავისებური ელემენტები იჩენს თავს, რაც მოწმობს, რომ იგი 12. „მნათობი“, № 4.

უკვე ეჭვის თვალთ უფრებს თვით ამ სამყაროს ესთეტიკურ „უბუბარობას“ (სხვა-სხვა-ლითად, ლექსში „ბირნამიის ტრესი“ (1919 წ.), რომელიც სიმბოლისტური პოეტისათვის ტრადიციული ნიღბების თავისებურ მისკარადს წარმოგვიდგენს („ლორდი პიერა მოღუნულ კუხალ; ლედი მაკბერი პერანგვაბდილი ვადამთვრალ ზტუმრებს მუხლებზე უხით; მოპყადი არტერი ავადმყოფ ქონებს“ და სხვ.), ტ. ტაბიძე თითქოს თვითონვე დასცინის თავის უსხეულო გზირებს და მთელ მის მიერვე შეთხზულ „მეორე სინამდვილეს“ და მოულოდნელად შევახვს მასში რეალური სახე ერთ-ერთი თავისი „ციხფერყანწელი“ მეგობრისა, რომელიც ოფელეას თვალწინ „სილას გააწნავს პამღებს“.

პოეტის სეკბტიკური დამოკიდებულება, როგორც საკუთარი შემოქმედებისადმი, ასევე, საერთოდ, „ციხფერყანწელთა“ ლიტერატურულ-მხატვრული პრაქტიკისადმი კულმინაციურ წერტლად აღწევს სკვარტელოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში. „დადაისტურ მადრიგალებში“ პოეტი უკვე აშკარად დასცინის თავის ყოფილ დეკადენტურ ცრურწმენებსა და გატაცებებს.

მოდერნისტული ხელოვნების შინაგანი უნაყოფობის შეგნება და ამ ნიადაგზე წარმოშობის საკუთარ თავით დაუკმაყოფილებლობის მწვავე გრძნობა 1921 — 1925 წლებში ტიციან ტაბიძის პოეზიის წამყვან მოტივად იქცევა.

ცხადია, პოეტის ამ სულეირი კრიზისის მთავარ გამოწვევე მიზეზს ის მოვლენები და ძვრები წარმოადგენდნენ, რომლებიც მამინ მის გარემომცველ რეალურ სინამდვილეში ხდებოდა. მხოლოდ ახალი ცხოვრების შეუჩერებელმა წინსვლამ, მისმა ძლევამოსილმა შეჭრამ როგორც ობიექტურ ყოფაში, ასევე ადამიანთა შეგნებაში საბოლოოდ ცხადყო ტ. ტაბიძისათვის მოდერნისტულ ძიებათა უნიადაგობა. ის, რაც რეაქციისა და მენშევიკების ბატონობის ურ წლებში „თამამად“ და „რადიკალურად“ მიანდათ ახალგაზრდა ციხფერყანწელსა, ახლა, ნამდვილი რევილუციის წერტეისა და შეგნების ხანაში, უბრალო რუტინიორობა აღმოჩნდა.

ამ ახალი შეგნების საფუძველზე დაიწერა ტ. ტაბიძის ლექსები „უემური ცვირა“ და „ორპირის ოქრობირი“, რომლებიც საკუთარი თავისადმი მწარე ირონიით და სეკბტიკური განწყობილებით არის აღბეჭდილი.

ტ. ტაბიძის იმდროინდელ ლექსებში პოეტის „შინაგანი დილოგი“ ხშირად ტრავიკულ ინტონაციას იძენს. მაგრამ ამ უკიდურეს სასოწარკვეთაში, რომელიც სიმბოლიზმის „წმინდათა წმინდა“ ილუზიების დამსხვრევამ წარმოშვა, უკვე იგრძნობა სულეირი განახლებისა და ახალი გზის ძიების მწველი მოთხოვნილება.

იმ გზებისა, რომელთაც იგი მომავალში პოეზიის კუთხით, მაკოსტაშვილს წყაროებთან მიიყვანა.

ამჟამად ჩვენ ვიცით, რომ პოეტის შეგნებაში მომხდარი ეს მძაფრი კრიზისი ავტობიოგრაფიულ ეტაპს წარმოადგენდა, რათა იგი სრულიად გამოჯანსაღებულიყო დეკადანსის „ლერარგიული პალეონიატივისაგან“. სწორედ ამ შტანჯველი ძიების ფასად შეძლო მან იმ ახალი „რწმუნის სიმბოლო“ მოპოვება, რამაც განსაზღვრა მთელი მისი შემდგომი ბედი — ბედი მხატვრისა და განახლებული საქართველოს მომღერლის.

შეიძლება ამ თანდათან და ძალზედ მტკიცე-ნეული თვლის ახლის შემდეგ, შეძლო ტაციან ტაბიძემ ესოდენ ხალისიანი გრძნობითა და გამთელებული გულის თრთოლივით ექსპონებას თავისი მკითხველისათვის:

დაფასთან ვდგევარ და ვწლი ძველ ლექსებს,
ცარცთუ კი არა, სისხლით რომ ვწერდი,
საბჭოთა მიწავ, ვაყოცნი ფესვებს,
ახალ ცხოვრების ვარ აღავერდი.

სიმბოლოების ეპიგონურ პრინციპებზე უარის-თქმა და ოციანი წლების მეორე ნახევარში ახალ ლიტერატურულ პოზიციებზე გადასვლა ტ. ტაბიძის შემოქმედებისათვის მოასწავებდა „მიწაზე დაბრუნებას“ ამ სიტყვის უკვე რეალური და არა ფორმალურ-მოდერნისტული მნიშვნელობით.

მაგრამ საჭიროა აღინაშნოს, რომ მიუხედავად „ცისფერყაწველას“ აღრინდელი შეგნებულად ანტირეალისტური და ანტისოციალური პროგრამისა, რაც წლების განმავლობაში უცვლელი რჩებოდა, ახალგაზრდა ტაციან ტაბიძემ სინამდვილეში არ ყოფილა სრულიად ინდიფერენტული თავისი დროის მოქალაქობრივ ანტირესთა მიმართ. სკეპტიციზმა აქ გავისხვინოთ თუნდაც ისეთი ლექსი, როგორცია, მაგალითად. 1917 წლის 25 ოქტომბრის ღამით დათარიღებული „პეტერბურგი“, რომელიც ტაციან ტაბიძემ რევოლუციური რუსეთის ცხოვრებაში მომხდარ ისტორიულ გარდატეხას უძღვნა. როგორცადაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეს პოეტური ნაწარმოები „ცისფერყაწველას“ იმ დროინდელ იდეურ-შემოქმედებით მიმართულებას, ზენ დღეს იგი უკვე აღარ წარმოვიდგება შემთხვევითი, წუთიერი რეზინისცენის ნაყოფად. როდესაც ტაციან ტაბიძის იმდროინდელ ლექსებს ვითხვლობთ, ხშირად ვრწმუნდებით, რომ მიუხედავად პოეტის დაყინებული სურვილისა სამეფადოდ განცალკევებულყო „სივლის ძვლის კოშკში“. მისთვის მანაც შეუძლებელი აღმოჩნდა თვლი დაეხუჭა იმ ისტორიულ მოვლენებზე, რომელთაც რუსეთისა

და მის მშობლიურ ქვეყანაში პქონდათ აღვილი. თუმცა, ტაციან ტაბიძის ბევრ პოეტურ ნაწარმოებში, რომლებიც მან 1921 წლამდე შექმნა, სიმბოლოს სახე წარმოდგენილია განზრახ-ბურთაფორული, ირრეალური სადებავებით, როგორც თავისებური მისტიკური „ბალიანია“, რომლის ხარაზობზე უხსოვარი დროიდან ბედისწერისა და სიყვარულის „ძველი პიესა“ თანამდებია, მაგრამ „ქალღვეული მოგების“ და შენაირეუბების კომედიანტთა უცნაური ნიღბებისა და ასევე გუდგებარა, შეთხზული ენე-ბების ფონზე ჩვენ ხშირად აღმოვაჩენთ ნამდვილი, ღრმად ადამიანური გრძნობების გაელ-ვებასაც.

ლექსში — „ორი აპრილი“, რომელიც დაწერილია 1918 წელს, საქართველოში თურქ დამპყრობთა შემოჭრის დროს, არის სტრიქონები, რომელთაც შეუძლებელია დღესაც არ აგვალეღონ თავიანთი უშეაღბობითა და პატრიოტული გულისტკივლით:

ბათოში მისცეს და ორპირზე მოღის
თათარი,
ატმის ყვავილით სისხლიანი სტრიქონს
აპრილი...

თუმცა, ამ ლექსის მომღვერო სტრიქონებში ავტორი თვითვე დასცინის თავის პატრიოტულ გატაცებას („პიერი წუთით წითელ ქედში გაგარბაღდდა...“).

საბჭოთა დროის თავის პირველ მნიშვნელოვან ნაწარმოებად ტაციან ტაბიძე პოემა „რიონ პორტს“ (1928 წ.). თვლიდა. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ წინა 1926—1927 წლებში მან შექმნა მთელი რიგი ბრწყინვალე ლირიკული ლექსები, რომლებიც ქართული საბჭოთა პოეზიის საგანძურს განეუთვნებინა. ამ ნაწარმოებთა დამახასიათებელ თვისებას სინამდვილისადმი სრულიად ახალი, ღრმად ოპტიმისტური დამოკიდებულება და ასევე ახალი ხალისიანი ინტონაცია წარმოადგენს.

ბუნებრივია, რომ ისეთი ღრმად ემოციური შემოქმედის ცნობიერებაში, როგორც ტ. ტაბიძე იყო, შინაგანი ვარდატეხა, უპირველეს ყოვლისა, პოეტურ განწყობილებებსა და მსოფლ-შეგრძნებას უნდა შეხებოდა. ვიდრე ახალ სინამდვილეს მოიღებდა და შეითვისებდა, ტ. ტაბიძისათვის ავტობიოგრაფიული იყო განწყობინა საკეთთარი სულის სიღრმეები უიმედობის ძველი „ბალ-ლაშისგან“ და გარემომოცველი საწყაროსადმი ახალი დამოკიდებულება გამოემუშავებია.

უკვე ლექსში „ვექსინის პონტი“ (1926 წ.) იგრძნობა ახალი სიმღერის დაბადება. კონტრასტულად ვღერს, მშობლიური სოფლისადმი მიძღვნილ ძველ ლექსებთან შედარებით, იმავე წლებში დაწერილი ლექსი „ორპირი“, რომელშიც ახალი ქროლვის სითბო იგრძნობა:

...და რაც უბრალოდ იტყვი ამაზე, უფრო მეტია გულში სიამე, ვაშლის ვაშლილი ხის სიღამაზე, ტანზე ასელება მისის ღამე.

ამ დროის ლექსებში სულ უფრო და უფრო ზნორად გვხვდება სიტყვები: „სინათლე“, „სითბო“, „სიამე“, „ავაკაობა“. პოეტური ენა უფრო ნათელი და გამჭვირვალე ხდება.

მაგრამ ტ. ტაბიძის ამ წლების ოპტიმიზმი თავისუფალია უმფოთველი სიმშვიდისა და სულიერი კეთილდღეობის იდილიური ელფერი-საგან.

ცხოველყოფელი მოტივების მომძლავრება მის შემოქმედებაში მწვავე შინაგანი ბრძოლის საფუძველზე ხდება და პოეტი თანდათან ვადალანავს საკუთარ შეგნებაში არსებულ წინააღმდეგობებს.

შედარებით ახლებურად ეღერს ის შინაგანი დიალოგიც, რომელიც ამ წლების თითქმის ყველა ლექსის ქვეტექსტში იგრძნობა. ეს არის პოეტის სასტიკი დავა თავისავე ძველ შეგნდულებებთან და, საერთოდ, დაცემულობის მთელ პესიმისტურ ფილოსოფიასთან, რომელიც ახლა პოეტს შორალური უმწიობისა და ცხოვრების წინაშე სამარცხენო სიმზდალის გამოხატულებად წარმოუდგება:

ჭარს შიპქს თოვლი და მიხივტავს, გილაფარებს უაზბეეს შინდებად, შერცხვეს ავაკაობ, თუ ამ მზეს ხედავს და სიყვილის კიდევ შეეშინდება.

მივჩერებებიარ ცას ვაკვირებებით და აღმიტაცებს სიციცხლის ფეოქვა, ვავა-ფშავილას ვსუნთქავ ფილტვებით, ზმიიკაურის გული ზამეღვა.

ეს ლექსი განსაკუთრებით ნათლად მოწმობს, თუ რა წყაროებს მიმართავდა პოეტი, რათა თავის თავში ძველი ესთეტური „უძლურება“ დაქვლია.

1926—1928 წლების საუვეთესო ლექსებში— „მამ გამარჯვება...“, „რია-რია“, „ლექსი შეწყვირო“, „მე უაჩალებმა მომკლეს არავგზე“, „ოქროყანა“, „თამუნია წერეთელს“ და სხვ. ტ. ტაბიძის პოეტური სიტყვა ემოციური შთაბეჭდობის გაცილებით მაღალ საფეხურს აღწევს, ვიდრე ეს მის ადრეულ ლექსებში იყო. მათში იგი თითქმის პირველად პოულობს თავის ქვეშარით პოეტურ ზმას, სრულიად ახალ ასპექტში ეღერს აქ, კერძოდ, ტ. ტაბიძის მთელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მოტივი — პოეზიით თავდაუწყებელი გატაცებისა:

შე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიციცხლე ამ ლექსს თან ახლავს.

ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ ვავიტიანს და ცოცხლად დაგვიარხავს.

ეს ლექსი გაყდენთილია პოეზიის სასწაულ-მოქმედ ძალაში თითქმის „ფანატიკური“ რწმენით. მაგრამ მასში, წვეთიც კი აღარ არის ტ. ტაბიძის ძველი შეგნდულებიდან პოეზიის თვით-მიზნურობის შესახებ. პოეტური შთაგონების ქვეშარით წყაროდ აქ გვევლინება არა სიმბოლიზმის მკვდარადშობილ ანრდილთა იროეალური საშუარო, რომელსაც დეკადენტური ხელოვნება უპირისპირებდა „უხეშ“ სინამდვილეს, არამედ თვით ცხოვრება მთელი თავისი უსაზღვრო მრავალფეროვნებით. მიწისა და მზის ფერთა თვლისმომპირელი ზემოთ აღფრთოვანებული პოეტი, რომელსაც თითქმის ეს-ეს არის თვალთვადან შავი საზურგელი ახსნეს, გატაცებით შლის აცახცახებულ ხელებს, რათა გულში ჩიხხეტოს წყვდადიდან აღმდგარი ქვეყანა:

მამ გამარჯვება, ტბილო სიციცხლე, დარჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!

ეს არ არის მხოლოდ წუთიერი ექსტაზში მუოფი ადამიანის შეძახილი. ეს სიტყვები ტ. ტაბიძის მთელი შემდგომი შემოქმედების ხასიათს განსაზღვრავენ, მათში თითქმის მიყვლეულია პოეტის ქვეშარითი მოწოდება და მისი მომავალი სიმღერის მთავარი თემა. სამუყაროს სიღამაზით გამოწვეული უსაზღვრო აღფრთოვანება ტ. ტაბიძის პოეზიაში იმთავითვე ორგანულად ერწყმის მშობლიურ მიწისადმი თავდაუწყებელი სიყვარულისა და ერთგულების კიდევ უფრო ძლიერ გრძნობას. განსაკუთრებით ამაღლებებელ ელფერს აძლევს ამ ლექსებში სიხარულისა და აღფრთოვანების მოტივებს ტ. ტაბიძისადმი დამახასიათებელი პოეტური მსოფლმეტარძნების ღრმა შინაგანი დრამატიზმი.

მაგრამ თუ პოეტის ადრეულ შემოქმედებაში დრამატული ინტონაცია გარესამყაროსთან გამოუვალი კონფლიქტის ნიშანს ატარებდა, ოკიანი წლების დასასრულს მან შეიძინა სრულიად ახალი თვისება. სხეებულ ლექსებში იგი იქცა არა დეკადენტური გამოებისა და ურწმუნუობის გამოხატულებად, არამედ დიდი ცხოვრებისათვის ხელშეორედ დაბადებული და ახლადთვალხებული ადამიანის მამფრ სულიერ მოძრაობათა ვადმოცემის საშუალებად.

ახალ თვისებებს იძენს ამ დროს ტ. ტაბიძის სატრფილო ლირიკაც. თუ ადრინდელ ლექსებში „ფატმან ხათუნი“, (1917 წ.), „ქალღეის ბალაგანი“ (1918 წ.), და სხვ. სიყვარული პოეტს წარმოუდებლობდა საბედისწერო ავადმყოფურ ენებად, 1926—1929 წლების ლირიკაში („მე უაჩალებმა მომკლეს არავგზე“, „ანანუროთან“

„სენტიმენტალური მოგზაურობა“, „თამუნია წერეთელს“ და სხვა) სიუჟეტის გრძობა პოეტისათვის — ნათელი, ამაღლებული გრძობაა, რომელიც მას მიწიერ სიღამაზეში უსახურო რწმენას უნერგავს და რომლის გამოსახატვად იგი სულ უფრო ხშირად პოეტური ენის ნათელ და გამჭვირვალე ფორმებს მიმართავს. მაგრამ ტ. ტაბიძის სატრფიალო ლირიკის მთავარ დამახასიათებელ თვისებას ემოციური სამყაროს მუდმივი შინაგანი აფორიაქება წარმოადგენს. მაღალი პოეზიისათვის ღირსეულ ემოციურ გამოვლინებად მას მიიჩნედა არა სიუჟეტული, აფერთებულ სულთა იდილიური ნეტარება, არამედ დაუოკებელი გრძობის ტრაგიკული შემართება და მჭკავე ნაღველი შორეულ შეყვარებულზე.

მართალია მის პოეზიაში ჩვენ ზოგჯერ ვხვდებით სხვა ხასიათის გახსენებებსაც, ბუნებრივობის ბუნდობლად წინათგრძობას, რომელსაც უჩვეულოდ მსუბუქი და ნაზი ელერადობა შეაქვს ტ. ტაბიძის ლექსში:

შისი უველგან არის შისი,
მაგრამ ბათუმში მიიწე სხვა არი,
და ვხვდები ახლა, რომ სიღამაზეს
აღარ ჰქონია ქვეყნად საზღვარი,
ზღვა ისე იყო მშვიდი და წყნარი,
რომ აღარც მახსოვს იყო თუ არა.
ერთად გააღო ცამ შვიდი კარი
და ზღვის სარტყელად გადადარა“...

...გაღებულია სამოთხის კარი
და მე მრტყენია, რომ ვარ უშენოდ...

მაგრამ ტ. ტაბიძის პოეზიაში ამ მსუბუქ ნოტებზე ზვეულებრივ სჭარბობს სასიკვდილოდ დაკრილი გულის სიღრმიდან აღმოხდენილი შეუცავებელი ძახილი:

მაგრამ შიტაცებს ქარიშხალივით
ამ თვალწვედენი ხრამების ფსკერი,
ვიცო ქალი ხარ, უველა ქალივით
ვიცა, ამახაც იპევით უძებარი.

მინდა, რომ ვიყო მწიარი გულადი,
საშინელ ღამეს ვეღზე რომ დაბდღენა,
ვარ ავსებელი შენით გულამდე
და მოვარდნილი ცრემლების წარღენა.

მინდა მოვიფრთხნა ამ შარავზაზე,
მინდა გავიხსნა გული აღალი,
მე უახალბედა მომეღეს არავგზე,
შენ ჩემ სიკვდილში არ ვიღვეს ბრალი.

მძაფრი შინაგანი დრამატიზმი, რომელიც ტ. ტაბიძის „სულის უინტიმეს მისწრაფებათა“

დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს, ერთ-ერთი განმსაზღვრელი მიზეზია ამ თავისებური რომანტიკული, ამაღლებული ინტონაციის, რუმელიც ამ დროიდან სულ უფრო და უფრო ძლიერდება პოეტის შემოქმედებაში. მაგრამ ამ რომანტიკულ „ამაღლებას“ უკვე არაფერი საერთო აღარა აქვს სინამდვილისადმი ქედმაღლურ, სნობისტურ დამოკიდებუებასთან. ეს არის ცხოვრებასთან განუყოფელ კავშირში მყოფი უანსალი რომანტიკა, რომელსაც უკვე აღარ ეშინია „მიწიერ პრაზაში“ ფრთების გასერისა და თავისი აღმაფრენის ძალას ცხოვრების დაუშრეტელი წყაროდან სესხელობს. ტ. ტაბიძის ლირიკის ერთ-ერთი თავისებურება, რომელიც მას განსაკუთრებით ახლოებს ამ დროს ქართული პოეზიის კლასიკურ ტრადიციებთან, იმაში მდგომარეობს, რომ რომანტიკული საწყისი აქ ორგანულად ერწყმის ნეოთორიკის სამყაროს წარმოსახვის ღრმად რეალისტურ მანერას. შემოქმედებითი „სიმწიფის“ ხანაში დაწერილ ლექსებში ტ. ტაბიძე თავისი პოეტური ბუნებით იმ მხატვართა რიგს განეკუთვნება, რომელთა რწმენით ცხოვრება, რეალური სინამდვილე მშვენიერია არა მხოლოდ თავისი აბსტრაქტული არსით, არამედ კონკრეტული, მატერიალური ფორმებითაც.

სწორედ ამის გამო მის ლირიკაში ასე იშვიათად ვხვდებით მშრალ, ვონებისმიერ სქემებსა და სიმბოლოებს, ან ზედმიწევნით გაშალაშინებულ, ფილიგრანულ სახეებს, ამიტომაც ასე უცხოა მისთვის სტილის ნაძალადევი სიკოტავა და ხელოვნური ფერადღენება. მართალია, ტიციან ტაბიძე არაიშვიათად გვეხილავს ბრწყინვალე ფერწერული სახეებითაც: გავიხსენათ თუნდაც: „ანგელოზებმა მეტყვევებს მოზარეს კვარი, ღრუბლის ტიუბზე გაწოლილი ქალივით მოთარე“ ან „და ისე ყრია თუთრი ვარდები, თითქო ათასი აქ გედი მოკლეს“... მაგრამ ამგვარი ხასიათის ეფექტურ მატერიალებთან და შედარებებთან ერთად პოეტი ხშირად შეგნებულად წამოსწევს პირველ პლანზე თვით „შიშველი“ გრძობისა ან სინამდვილიდან უშეალოდ აღებული შთაბეჭდილების შინაგან პოეტურობას და თამამად შეაქვს თავის ლექსში ცხოვრებისეული საღებავების ცოცხალ სუნქვა. ამ თვალსაზრისით ტიციან ტაბიძის 20-იანი წლების პოეტური შემოქმედების დღეინად გამოდგება მისი ლექსის „შემოდგომის დღე ოჭრთყანაში“ პირველი სტრიქონები:

მინდა დავტოვ უბრალო ლექსში
ჩასაც გული გრძობის და ხედავს თვალში...

როგორც უკვე ითქვა, ოციანი წლების საუკეთესო ლექსებში ტ. ტაბიძე მნიშვნელოვნად უახლოვდება ქართული კლასიკური პოეზიის

ტრადიციებს. აღსანიშნავია, რომ ახლა იგი უკვე შეგნებულად იხრეკს მუხლს წარსული საუკუნეების ქართული ლექსის დიდოსტატთა წინაშე. ამახედ ნათლად მეტყველებს კერძოდ მისი ლექსი „კახეთში“:

შვილჯგურ რომ ვითხრათ ლექსები ყველამ,
ყველა შვილდევ აცდენილია.
თავს დაგვიარა ვეკა-ფშველამ,
თავზე გვაწვება ზევაოდ ილია.

გასული საუკუნის ქართული პოეტური შემკვიდრების მიმართ ტ. ტაბიძის დამოკიდებულებაში მომხდარი გარდატეხა გამოიწვია ხელოვნების არსა და დანიშნულებაზე მისი საერთო შეხედულების საფუძვლიანმა ცვლილებამ. ამ გარდატეხამ სხვათაშორის თავისი მკაფიო გამოხატულება პოვა ტ. ტაბიძის იმდროინდელ პუბლიცისტურ წერილებშიც. საჭიროა აღინიშნოს, რომ წარსული დროის ოსტატთა შორის ტ. ტაბიძე განსაკუთრებული სიყვარულით გამოარჩევდა ვეკა-ფშველასა და მის „დიდ წინამორბედს“ დავით გურამიშვილს¹. ამასთანავე მხედველობაში არის მისაღები ის ღრმა ყურადღება, რომლითაც ტ. ტაბიძე იმ ხანებში ეკიდებოდა ცნობილი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედებას.

როგორც ამ წერილებიდან ჩანს, ვეკა-ფშველასა და ფიროსმანის შემოქმედებებს ტ. ტაბიძის თვალში ყველაზე უფრო ნათლად განასახიერებდა ხელოვნების უშუალო კავშირს რეალური, „ნივთიერი“ სამყაროს საგნებთან და მოვლენებთან. მათ ქმნილებებში ტ. ტაბიძეს განსაკუთრებით იზიდავდა პოეტური მსოფლმხედველობის თავისებური „სტატკორი მატერიალუზმი“ რომელიც მისი პოეზიის ორგანულ თვისებად იქცა ამერიკიდან. ამ ოსტატების შემოქმედებაში ტ. ტაბიძე ხედავდა აგრეთვე მის იმდროინდელ მისწრაფებებთან კიდევ უფრო ახლო კავშირში მყოფ მერვე საწყისის იდეალურ მხატვრულ განხორციელებას — პოეტური აზროვნებისა და ფორმის ღრმა შინაგან ხალხურობას.

უნდა გავითვალისწინოთ რომ, სწორედ ამ წლებში ტ. ტაბიძე წერს ისეთი ხასიათის ნაწარმოებებს, რომლებშიც მის მთავარ შემოქმედებით მიზანს წარმოადგენს ძველი კამერული ლირიკის ვიწრო ჩარჩოების დაძლევა და ახალი შინაარსისათვის უფრო ტრეყად ფორმებისა და საშუალებების გამოჩახვა. მისი ლექსები „აპრილის თესვა“, „როცა მერცხალი მონახავს

ბუდეს“, „რადიოთი სათქმელი თესვისათვის“, რომლებიც ოციანი წლების ბოლოს განკუთვნიებიან, მთელ რიგ ახალ თავისებურებებს შეხაცავენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პოეტი აქ თითქმის პირველად აღმოაჩენს თავის კემშირტ მკითხველს და ლექსს ზუსტი მისამართით აგზავნის:

მამ ესთქვათ უბრალოდ
სიტყვა მართალი,
სიტყვა ვეკაცის
ხელით ნათალი.
რომლის სიმტკიცე
ფოლადს აგავდეს.
კაცს გულში მოხედეს
და გაუხარდეს.
— პირველი სიტყვა
— პირველი სუნთქვა
პირველი ლექსი
მშობელ მშრომელ ხალხს..

ამ ლექსებში ტიციან ტაბიძის თვალწინ თითქმის არახველი პორიზონტები იშლება და მათი თვითველი სტრიქონი გამსჭვალულია მშობლიურ ქვეყანაში მიმდინარე პროცესთა გრანდიოზულობის მღვლეაზე შეგრძნებით.

განსაკუთრებულად ადგილი უკავიათ ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში პოემებს: „თერამტი წელი“, „როალდ ამუნდსენ“, „როინ-პორტი“ და „გულდავალ“, რომლებიც აგრეთვე 20-იან წლებში დაიწერა.

ამ პოემებში თავისი გამოხატულება პოვა ტიციან ტაბიძის შეგნებულმა მისწრაფებამ ეპიკური თემატიკისა და ფართო-მასშტაბიან მხატვრული ფორმებისაკენ, რაც საზოგადოდ დამახასიათებელია დიდი რევოლუციური ძრეების ეპოქებისთვის და რამაც სიცოცხლე შთაბერა ისეთი განუმეორებელი ხასიათის პოეტურ ქმნილებებს, როგორცაა ალექსანდრე ბლოკის „თორმეტნი, მაიაკოვსკის „რევოლუცია“ და „ლენინი“, გალაკტიონ ტაბიძის „ჯონ რიდი“.

ოცდაათიან წლებს ახალი თვისებები შეაქვთ ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში. საბჭოეთის სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობამ, მშრომელ ხალხთან შეიდრო დაახლოვებამ და მშობლიური ქვეყნის ყოველდღიურ დაძაბულ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობამ მნიშვნელოვანდ გაამდიდრა და გააფართოვა მისი პოეტური სამუყარო, ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსები „ორპირელი კომკავშირელი კრემლში“, „ალავერდობა“, „ასე ზგონია, თითქო ვხედავდე“, „დალესტნის გაზაფხული“.

ტიციან ტაბიძის ოცდაათიანი წლების შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი დაიკავა ხალხთა ძმობის თემა. შეიძლება ითქვას, რომ

¹ ამ ორი პოეტის შემოქმედების შინაგანი ნათესაობის შესახებ ტ. ტაბიძეს აქვს დაწერილი საპუბლიცისტო სტატია — „გურამიშვილი და ვეკა-ფშველა“.



ეს იყო არა მხოლოდ ცალკეულ ლექსთა თემა, არამედ ლეიტმოტივი პოეტის მთელი იმდროინდელი პოეზიისა. განსაკუთრებით ორგანულად ეფერს ეს თემა პოეტურ ციკლში, რომელიც მოჰყვება, სომხეთისადმი არის მიძღვნილი. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ციკლის ერთ-ერთ ლექსში ავტორი მიმართავს დიდი სიამოვნებით ოჯახის თემანინის ლანდს, რომელიც პირადად ტრიციან ტაბიძისათვის ჯერ კიდევ ჰაბუკობის დროიდან მგზობელ ხალხთა მგზობრულ ერთიანობისაკენ კეთილშობილურ მისწრაფებას განსახიერებდა.

საბჭოთა სამშობლოს განუყოფელი მთლიანობის შეგნებით არის შთაგონებული ლექსები: „დადესტინის გახადებული“, „ალექსანდრე პუშკინს“, „ვლადიმერ მაიაკოვსკის დედა და დევი“, „ბაღდადის ზეცა“, და შრავალი სხვა.

ხალხთა ბედობის შინაგანი ნათესაობა ტრიციან ტაბიძის თვალსაზრისით მათი საერთო ინტერნაციონალური მიზნების ერთიანობის გამოხატულებას წარმოადგენს. და სწორედ ამის გამო პოეტი თავის „ღვიძლ ძმად“ ასახელებს არა მხოლოდ ყოველ რიგით საბჭოთა მშრომელს, არამედ შორეულ ქვეყნებში თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებსაც. ამ წრფელ გრძობაში პოეტს თავის წყაროს ღრმად ტრაგიკული ინტონაცია ტრიციან ტაბიძის შესანიშნავი ლექსისა „დაო დოლორეს, ძმებო ბასკებო!“ — აქედანვე მომდინარეობს გერმანიის მუშათა კლასის ბელადისადმი ერნსტ ტელმანისადმი მიძღვნილი ლექსის გულწრფელი ვაკაცური ლირიზმი.

ოცდაათიან წლებში შექმნა ტრიციან ტაბიძემ თავისი საუკეთესო პოეტური ნაწარმოებები საბჭოთა საქართველოზე, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლექსი „სამშობლო“.

ის, რაც ოციან წლებში ტრიციან ტაბიძეს მხოლოდ ზოგადი იდეებისა და თემების სახით წარმოუდგებოდა, ეხლა კონკრეტული პოეტური ხილვების ზორცილთ შეიშისა და ღრმად რეალისტური სახეების ფორმა მიიღო. ლექსი „სამშობლო“ სწორედ ამის გამო წარმოადგენს ტრიციან ტაბიძის პოეზიის ერთ-ერთ შესანიშნავ მწვერვალს, რომ მასში საბოლოოდ მოძებნილია „პირადისა“ და „საყოველთაოს“ ორგანული შინაგანი ერთიანობა, რაც პოეტის სულიერ განახლებასა და აღორძინებულ საქართველოს ფინიქსური ბედობის განუყოფელ ურთიერთკავშირში გამოიხატება:

ორმოცი წლის ვარ, კიდევ ორმოცი წელს აღარ მომავლებს ლექსი ერთანტელს, ოღონდ გხედავდეთ ასე ბუნდურებს, შენ და შენს გაზრდილ მსოფლიო ნათელს.

ტრიციან ტაბიძეს არავითარი განძი არ მოუხვეჭია ცხოვრებაში. „ლექსები იყო მისი საეხალი“ და მის მკერდს მხოლოდ — პოეზიის სიმბოლო — პატარა, წითელი ყვავილი ამშვენებდა.

მაგრამ ტრიციან ტაბიძემ კარგად იცოდა სიცოცხლის ყოველი წუთის ფასი. მას მართლაც განსაკუთრებული სიუყვარულოთ, თავდავიწყებამდე უყვარდა სიცოცხლე და ეს გრძობა გაათკეციველი იყო იმის გამო რომ მისთვის სიცოცხლე და საქართველო თითქმის ერთ ცნებას წარმოადგენდა. ზოლო სიკვდილზე ფიქრი მით უფრო იტრანელი ხდებოდა პოეტისათვის, რომ იგი მისთვის სამშობლოსთან სამუდამოდ განშორებას ნიშნავდა:

სხვა რომ მოკვდება მისთვის რა არი: წავა გაქრება როგორც სიხმარი, მე კი რა ვუყო ამ გოლით მთებს რომ ქონდრის კაცსაც დევაღ აგანთებს

სხვა საქართველო მაინც სად არი? რომელი კუთხე რომელ ქვეყნისა? ვის თუთქავს ასე, ცეცხლის ღადაჩი, ქვეყნად სამოთხე სხვას ვის ეღირსა?

დავბადებულვარ რომ ვიყო მონა, და საქართველოს მედვას უღელთ, მაშ გამარჯვება ტყილო სიცოცხლე, დაქრნებით ერთად ჩვენ განუყრელი..

და მართლაც ტრიციან ტაბიძის პოეზია განუყრელია სიცოცხლისაგან, საქართველოსაგან. მისი ლექსი სამუდამო არის შესული ჩვენს სულიერ სამკვიდრებელში, მისი პოეზიის სული განხეულია ქართული მიწის სუნთქვაში, საქართველოს გზის ელვარებაში.

ტრიციან ტაბიძის ლექსმა ვაუძლო დროის მძიმე განსაცდელს და ეს კიდევ ერთი მოწმობაა ქვეშაობრივი პოეზიის უკვდავებისა. ეს არის დავიწყებისა და სიკვდილის ბნელ ძალებზე მისი საბოლოო გამარჯვების ნიშანი.



პრესტ კამინგუეის ორი რომანი

კემინგუე-ს შემოქმედებაში ძირითადი, ომისა და იმპერიალის თემაა. კემინგუეი უბრალო პაციფისტი როდია, რომელიც მშვიდობიანობაზე მოსთქვამს და მშვიდობის პროპაგანდით კმაყოფილება, მწერალს პირველყოვლისა კარგად ესმის, რომ ომი ორგანიზაცია: უსამართლო და სამართლიანი. 1939 წელს ეურნალ „ინტერნაციონალურ ლიტერატურაში“ კემინგუეი წერდა: „ჩვენ ვიცით, რომ ომი ბოროტებაა, მაგრამ ხანდახან აუცილებლობა მოითხოვს იომოს“.

კემინგუეი მუდამ სამართლიანი ომის მომხრეა და ეს აზრთხელ დაამტკიცა, ჯერ ესპანეთის ბარკადებზე, როცა რუსულბოლშევიკებთან ერთად ფრანკოს დიქტატურის წინააღმდეგ შებრძოლთა რიგებში ჩადგა. მერე იარალით ხელში გერმანიის პარსისხლიან ფაშისტებს ებრძოდა და აბლა კი, კუმელ რევოლუციონერებს მიემხრო და ამერიკელმა მწერალმა, თავისი ბედლი, ამ პატარა ქვეყნის რევოლუციონერთა ხედვარს დაუკავშირა.

„მშვიდობით იარაღს“, 1948 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში კემინგუეი წერს: „ამ წიგნის სათაურია „მშვიდობით იარაღი“, მაგრამ მისი დაწერიდან პირველ სამ წელიწადს გარდა, ქვეყნის ამა თუ იმ კუთხეში გამუდმებით მიმდინარეობს ომი. მაშინ ბევრს უკვირდა რატომ ვლინდებოდა მე ამდენს ომზე, მაგრამ 1933 წლის შემდეგ (იგულისხმება გერმანულ ფაშისტთა მიერ ძალადუღების ხელში ჩაგდება) მე მგონი უველამ შეიგონო, რატომ არ შეუძლია მწერალს გულგრილი იყოს ისეთი ალვირახსნილი, თავბუდური სიკვდილისმთესველი, კულუნიანი დანაშაულის მიმართ, როგორიც ომია. შე ბევრ ომში მიმიღია მონაწილეობა და ამიტომ, მგონი, ვალდებული ვარ მიეკრძაობით ვუღებოდე ომის საკითხს, — ძალიან მიეკრძაობით. ამ წიგნის ავტორის შეგნებითა და ღრმა რწმენით ისინი, ვინც ომებში იბრძვიან, შესანიშნავი ადამიანები არიან და, რაც უფრო

მიუახლოვდები ფრინტზე მებრძოლ მოწინავეთ, უფრო უკეთეს და უკეთეს ადამიანებს შეხვდები. ომის გამჩალებლები და ისინი კი, ვის გამგებლობაშიაც შედის საომარი მოქმედების წარმოება, არიან ღორები, რომლებიც შეუნიღბავ გონომიურ კონკურენციაზე და ომით გამდიდრებაზე ფიქრობენ. ჩემის აზრით, ვინცომათ მდიდრდება და ომის გაჩაღებას უწყობს ხელს, ომის დაწყების პირველსავე დღეს უნდა დაიხვრიტოს თავიანთი ქვეყნების პატიოსან მოქალაქეთა მიერ არჩეულ რწმუნებულთა ხელში. სწორედ იმ ადამიანთა მარჯვენით, რომლებსაც ომის მოთავენი სასაყლოზე ერეებოდა.

ამ წიგნის ავტორი დიდი სიამოვნებით დახვრეტდა ომის გამჩალებლებს, თუკი ისინი, ვინც საომრად წავა, ასეთ რწმუნებებს მიანიჭებენ“.

თავისი დამოკიდებულება ომისადმი, ომის გამჩალებულთა სიძულელი და ომის წარმოების ნამდვილი მიზეზები ასე ნათლად ჯერ კიდევ არცერთ ბურჟუაზიული ქვეყნის მწერალს არ გამოუთქვამს და ჩამოუყალიბებია. ამავე დროს ეს ტირადას კი არ წარმოადგენს, არამედ ამ სიტყვებს ამბობს მწერალი, რომელმაც არა ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი მუდამ მზადაა ჩაგრულ ადამიანებს ამოუდგეს ვეერღში და მათ მხარდამხარ იარალით ხელში იბრძოლოს თავისუფლებისა და მშვიდობისათვის. 1918 წელს იტალიის არმიამი მოხალისედ შესული კემინგუეი მძიმედაც დაიჭრა და კონტრზიაც დაემართა. სწორედ იქ, ზარბაზნების ქუხილისა და ტყვიამტრქვევების კაკანში ახლა თვალი და მოპავალმა მწერალმა აშკარად დაინახა, ვისი ინტერესებისათვისაც სწარმოებდა სისხლისღვრა. სწორედ ეს თავგადასხდილი ამბები აღწერილი და განზოგადებული. „მშვიდობით იარაღი“-ში, რომელიც ომის წინააღმდეგ მმართული, მამდრი, მხატვრული ნაწარმოებია.

მეორე ძირითადი თემა, რასაც კემინგუეი თავის/ნაწარმოებებში ეხმარება, ესაა დამოკიდებულება იმ თაობის ადამიანებთან, რომელსაც მწერალი თვითონ უკეთუნის.

ნაოზარი, სულიერად მოშლილი და ჯანგაბრ-
ხილი ადამიანები წარმოსდგებიან მკითხვე-
ლის თვალწინ როგორც „ფიესტა“. რო-
მანის გმირების ქვეყნიდან ქვეყანაში უმინ-
ო ხეტიალს, ყვანახანებას და სასტუმრო-
ებში უქმედ გატარებულ დროს და სულიერად
გამოფრთხილეს ჰემინგუეი იმითვე გვიხატავს, რომ
მკითხველს თვალწინ გადაეშალოს ომის ნამდ-
ვილი შედეგი: ომში მონაწილე ადამიანების
ომისშემდგომი ცხოვრების უაზრობა და მათი
სულიერი და ფიზიკური ცხოვრების ტრაგიზმი.
ჰემინგუეის ენა სრულიად არაა უნაბელო, ჩვეუ-
ლებრივი სალაპარაკო ენა, როგორც ეს ზოგი-
ერთებს ვერცხვებთან. ჯერბრტყი, ასე წერას ჰემინ-
გუეი წლების მანძილზე სწავლობდა და მეო-
რეც, ავტორისეული უწინგვების გარეშე ჰე-
მინგუეის დიალოგებს ის მოვალეობა აკისრიათ,
რომ მკითხველს აგრძნობინონ — რომანის გმი-
რთა განწირულება და სულიერი სიკარგილე-
„ოქვენ დაღუპული თაობა ხართ“. ამერიკელი
ფერნანდისტი ქალის — გერბრტყი სტანის ეს
სიტყვები ევაგრაფად აქვს წამძღვარებული
„ფიესტა“. ჰემინგუეის მიზანია ომისაგან ფი-
ზიკურად და სულიერად გატეხილი ადამიანების
ცხოვრება ისე დაასურათაბატოს, რომ მკითხ-
ველმა ყოველ ფრაზაში იგრძნოს გმირების
განწირულება და უაზრო აზრებობის საშინე-
ლება. ჰემინგუეის რომანების კოტხვისას მკით-
ხველი იმთავითვე იმსჯელება, რაღაც უსიამო
განძლით და გრძობს ტრაგიკული ფინალის
მოახლოებას. სწორედ ეს „მშრალი“ თხრობა და
„იოლი“ ფორმით დაწერილი დიალოგი ისეთი
ოსტატობით მაკუყვს ჰემინგუეის დასასრული-
საგენ, რომ ავი წინათგრძნობით შეპყრობილი,
წიგნს მიჯავებულა, მოჯადოებული მკითხველი
რომანს ბოლომდე ჩაიკითხავს, ნახავს ნაწარ-
მოების გმირთა სულიერი ტანჯვის გამოხმა-
ბეღ რეალისტურ სტრაქონებს, დაკვირდება
მათ უაზრო სიციცხლეს, გაანალიზებს მწერ-
ლის მიერ დახატულ გმირთა ცხოვრების საში-
ნელებას, თვითონაც შეძრწუნდება მათი ცხო-
რების ამოღებით და ავტორის მიზანიც მიღწეუ-
ლია. აჰ, სწორედ ასეთი შთაბეჭდილების მოხ-
დენა სურდა ავტორს, ამისკენ იღრტოდა და
მისი საბოლოო მიზანი სწორედ ეს გახლდათ.
ამგვარი სურათების შექმნას ჰემინგუეი თხრო-
ბის ისეთი „უბრალოებით“ და დიალოგების
„იოლი“ წერის მანერით აღწევს, ზოგიერთი
ეპიკური სტილის უელოდინარობას, რომ უწო-
დებს. რაჟი სიტყვამ მოიტანა, იმასაც ვიტყვი
რომ ჰემინგუეის მხატვრული სიტყვის დიდოს-
ტატების სკოლაც აქვს გადილი და თავისუფ-
ლად შეუძლია ჩვეულებრივად წერა მოახერ-
ხოს, მაგრამ, მაშინ ის ღრამბატონში და დინამიუ-
რობა, რაც მისი რომანების კოტხვის დაწყები-

დანე ისახება მკითხველის გულში, უმაღლე
გაქრება. ჰემინგუეის რომ გმირების მხრობა
შეუძლია, და კარგადაც შეუძლია მისი მისი
„მოხუცი და ზღვა“, „ქონა არ ქონა“ და
„სიფათიანი ხაფხულიც“ აღსატურებს. როცა
ჰემინგუეიზე ლაპარაკი ჩამოვარდება ხშირად გა-
გონებთ, რომ ახლა ჰემინგუეი მოღაშია და ამი-
ტრომაც, მას თითქოს ვანგებ მიაწერეს, რაღაც
ქვეტექსტებით წერის საიღუმლოებას. ქვეტექ-
სტი სწორედ იმ დაძაბულ დრამატისშია, რო-
მელიც მის წიგნებს თავიდან ბოლომდე გას-
დევს და ყოველი სტრაქონიდან აშკარად გა-
მოსქვივის. ამის გაგებას რაიმე სპეციალური
განათლება არა სჭირდება და დაკვირვებული
და დაინტერესებული მკითხველი ძალიან ადვი-
ლად მიხვდება.
რომანები „მშვიდობით იარაღი“, და „ფიეს-
ტა“ ქართულად პირველად ახლა გამოვიდა
ჰემინგუეის თარგმნი, რა თქმა უნდა, ძალზე
ძნელი საქმეა. როგორც აღენიშნეთ, მწერლის
სტილი მოწვევებითი სიმშრალე და უბრალოფ-
ბა ახასიათებს. მთარგმნელს, ვახტანგ ქვიციან-
ცა, გამოცდილება და შრომა არ დაუშურებია, რომ
სასახლოდ გაერთიანა თავი დასახული ამოცა-
ნისათვის და ქართული მკითხველისათვის ჰე-
მინგუეის სტილის თავისებურებათა გათვალის-
წინებით, ორიგინალის აღქმავტური თარგმანი
მიეწოდებინა ისე, რომ ამასთან ერთად, ქარ-
თული ენის ბუნებაც არ დაეარღვია.
მთარგმნელი გულმოდგინებით ჩააკვირებია
თითოეულ ფრაზას, ცდილა მოეძებნა მისთვის
ნამდვილა შესატყვისი და ქართული ვლერა-
დობის სიტყვები.
ჰემინგუეის მთარგმნელი დიღემის წინამე
იღვა. ჯერბრტყი, სადა და დახვეწილი აღწერა-
ლობანი და დიალოგები ქართულად ისევე ლა-
ლად უნდა აედღებებინა, როგორც ორიგინალ-
შია, მეორეც, ჰემინგუეის ორივე რომანში
შრავლადია გაფანტული ისეთი ადგილები, რო-
მელთა თარგმნი ზოგიერთი უხერხულობის გა-
მო კიდევ უფრო ძნელდება მათი პირდაპირ
თქმა საჩოთირო და არა თქმა კი ორიგინალის
ქართულად კარგად ვერ გადმოლების ნიშანი
იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ორიგინალში
ქვეტექსტითაა ყოველივე ნათქვამი. ასე მაგა-
ლითად, დედანშია: „Priest to-day with girls.“
the captain said looking at the priest and
at me. The priest smiled and blushed and
shook his head. This captain baited him
often. „Not true?“ asked the captain. „To-
day I see priest with girls.“
„No,“ said the priest. The other officers
were amused at the baiting.
„Priest not with girls,“ went on the cap-
tain. „Priest never with girls,“ he explai-
ned to me. He took my glass and fille it,

looking at my eyes all the time, but not losing sight of the priest.

„Priest every night five against one. Every one at the table laughed. „You understand? Priest every night five against one“. He made a gesture and laughed loudly. The priest accepted it as a joke.

თარგმნილია: — ხუცესი დღეს გოგობთან, — თქვა კაპიტანმა და მღვდელსა და მე შემოგეხედა. მღვდელმა გაიღიმა, წამოქარხლდა და თავი გაქნია. კაპიტანი მოსვენებას არ აძლევდა მღვდელს.

— არა? — ჩაეთხა კაპიტანი, — დღეს ხუცესს გოგობთან ვხედავ.

— არა, — მიუგო მღვდელმა. კაპიტანის ქილიკობა სხვა ოფიცრებსაც ართობდა.

ხუცესი გოგობთან არა, — არ ეშუებოდა კაპიტანი, — ხუცესი მისდევინი არა გოგობთან, — განმიმარტა მე. ჩემი ქილა იღო და შეავსო, თან თვალებში შემომცქეროდა, მაგრამ არც მღვდელს აცილებდა მზერას.

— ხუცესი თვითონვე ახერხებს ყოველამ, — ხუთით - ერთზე! — ყველამ გადაიხარხარა, — გაიგეთ? ხუცესი ყოველამე თვითონვე, ხუთით-ერთზე! — ხელი ჩამოქნია და გადაიხარხარა, მღვდელმა ხუმრობაში ჩამოართვა.

დღდანია:

You've got to stay, I said. „Oh, you're wonderful“. I was crazy about her. I could not believe she was really there and held her tight to me.

„You mustn't,“ she said. „You're not well enough“.

„Yes, I am. Come on“

„No. You're not strong enough“

„Yes, I am. Yes. Please“.

„You do love me?“

„I really love you. I'm crazy about you. Come on please“.

„Feel our hearts beating“.

„I don't care about our hearts. I want you. I'm just mad about you“

„You really love me?“

„Don't keep on saying that. Come on. Please please, Catherine“

„All right but only for a minute.“

„All right“, I said. „Shut the door“

„You can't. You shouldn't“

„Come on. Don't talk. Please come on.“

Catherine sat in a chair by the bed. The door was open into the hall. The wildness was gone and I felt finer than I had ever felt.

თარგმნილია: — უნდა დარჩე, ეუთხარი მე, — ო, რა კარგი ხარ! — გიცივით ვიყავი. არა მჯეროდა, რომ იგი ნამდვილად ჩემთან იყო და გულში მყავდა ჩაქრული.

— ნუ, — მითხრა მან, — ჯერ კარგად არა ხარ.

— კარგადა ვარ, მოდი.

— არა, ჯერ ჯანზე არა ხარ.

— ვარ, როგორ არა ვარ. კარგად ვარ. მოდი, ძვირფასო.

— ვიყვარებარ?

— ნამდვილად მიყვარხარ. ლამის გამაგვიფო. მოდი, ძვირფასო.

— გესმის, როგორ ცემს ჩვენი გულები?

— გულებს რა თავში ვიხლი. შენ მინდიხარ. ლამის ქველიდან შემშალო!

— მართლა ვიყვარებარ?

— რას დაგივინია ეგ სიტყვები. მოდი, საყვარელო, საყვარელო ქეთრინ.

— კარგი, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით.

— ერთი წუთით იყოს, — ეუთხარი მე, — კარები დაკეტე:

— არ შეიძლება. შეუძლებელია.

— მოდი. ნუღარ მელახარაყვები. მოდი, ძვირფასო.

ქეთრინი სასთუმალთან მეჯდა სკამზე. დარეფინის კარები ღია იყო. სიციფემ გაიარა და ისე კარგად ვგრძნობდი თავს, როგორც არასოდეს...

მოყვანილი მავალითები ცხადყოფს, თუ როგორი გულისხურით, სკამის ცოდნითა და სიყვარულით უმუშავია მთარგმნელს ამ მეტად თავისებური სტილის მქონე მწერლის ძალიან ძნელად სათარგმნელ ტექსტზე და როგორ უშუალოებით და სისადავით აუცილებელია ქართულად ერნესტ ჰემინგუეის რომანები.

3. მისი

მონოგრაფია შემსპირზე

ასზე მეტი წელია, რაც უილიამ შექსპირის შემოქმედება ქართული კულტურული ცხოვრების ერთერთ შემადგენელ ნაწილად იქცა. შექსპირის მანაბლისეული თარგმანებთანამედროვე ქართული ენის კლასიკურ ნიმუშთა რიცხვს განეკუთვნებიან. დიდადა დავალებული შექსპირისაგან ქართული თეატრის აღორ-

ძინება და მისი საუკეთესო მიღწევები. შექსპირთანა დაკავშირებული ქართული საბალეტო სკოლის წარმართება ამ ბოლო დროს. განსაკუთრებული გულისხურით ეკადება ქართული საზოგადოება შექსპირის შემოქმედების თეორიულ ინტერპრეტაციასაც.

ნ. ყიასაშვილის წიაღში „უილიამ შექსპირი“

მონოგრაფიულადაა დახასიათებული შექსპირის ცხოვრება და შემოქმედება. წიგნის პირველი თავი შექსპირის ეპოქის იმ საყვანო ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოვლენებს ეხება, რომლებმაც ინგლისური დრამის უმაღლესი განვითარება განაპირობეს. აღნიშნულია რენესანსის ეპოქაში მონტენისა და ბეკონის დიდი სიახლე ადრეულ შუა საუკუნეებთან შედარებით, მონტენის განცხადება „შენ იმდენად ხარ ღმერთი, რამდენადაც შეიძლება შენს თავს“ ადამიანის ავტორიტეტის ზრდის გამოხატულება იყო, წინააღმდეგ სქოლასტიკურ-ქრისტიანული დოქტრინისა. ამიტომ შენიშვნებში წიგნის ავტორი სამართლიანად უარყოფს თ. სპენსერისა და ს. ლ. ბეთელის დებულებების უსაფუძვლობას. რომელიც არ სცნობენ სხვაობას შუა საუკუნეებსა და აღორძინების ეპოქებს შორის.

კობერნიკისა და ჯ. ბრუნოს გენიალურმა აღმოჩენებმა საფუძველი გამოაცალეს პტოლომეის კოსმოგონიურ სისტემას. ნ. ყიასაშვილი გვიჩვენებს, რომ ამ თვისობრივად ახალი საზოგადოებრივი პირობების გამოხატულება იყო ინგლისური რენესანსული დრამა, რომელიც თვით შუა საუკუნეების ერთგული დრამის, მორალიტესა და ინტერმედის წიაღში იღებს სათავეს. ყოველივე ეს ამ წიგნში თვალსაჩინოადაა გაანალიზებული.

წიგნის მეორე თავი შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების გზას ეხება. კარგად არის გადმოცემული შექსპირის დროინდელი სტრუქტურის ცხოვრება, გამოყენებულია შექსპირის ბიოგრაფიის ყველა უკანასკნელი მონაპოვარი, მაგ. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში შექსპირული ლეზლის მიერ აღმოჩენილი ადოქმენტი (როცა შექსპირის ცხოვრებაზე ახლა ისტორიული ცნობის მონახვა თითქმის წარმოუდგენელი იყო) ორდერი უ. შექსპირისა და მისი რამოდენიმე მეგობრის დამატებებზე: როგორც ირკვევა, შექსპირი თეატრალური დასის ინტერესებისათვის თავგამოდებული მებრძოლი ყოფილა. ვარდა ამისა, ნ. ყიასაშვილი იმოწმებს პროფესორ რ. ლეისის ნაშრომს, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ სტრუქტურის „ვრამატურულ“ სკოლაში, სადაც შექსპირი ბავშვობისას სწავლობდა, ოქსფორდის უნივერსიტეტ-დამთავრებულმა მასწავლებლებიც ყოფილან. შენიშვნებში ნ. ყიასაშვილი სამართლიანად არ ეთანხმება მ. მორიზოს და ა. ბრაუნს, რომ შექსპირის ფრაზა „მოწაფე ლოკიკინასაღი მიცოცავს სკოლაში“ სრულადაც არ მერყეულებს სტრუქტურის სკოლით შექსპირის უმეაოფილებზე. შექსპირს საკმაოდ კარგად სცოდნია ლათინური: „მაგებტისა“ და „ლუკიკისა“ დასაწერად სენეკასა და ოვიდიუსის წაითხვა იყო საჭირო, რაც ინგლისურად არ ყოფილა მაშინ თარგმნილი. მაგრამ შექს-

პირის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სრული წარმოდგენა უმდრწოდელი თეატრის გარეშე, რომელთავეც შექსპირმა უსწავლენ მჭიდრო კავშირში იყო. წიგნის მესამე თავში — „მისი თეატრი“ კარგადაა ნაჩვენები შექსპირისა და თეატრის ურთიერთობა. მკითხველს ნათელი წარმოდგენა ექმნება იმდროინდელი თეატრის თავისებურებებზე: სპექტაკლებს არ აფორმებდნენ, ფიციარზე დაწერილი „ატეე“, „სასახლე“, და ა. შ. მიუთითებდა მოქმედების ადგილზე, ხოლო ამ პირობითობას მაყურებლის ფანტაზია ავსებდა, ავრცობდა, ასურათებდა; არც ტანაცმლის ისტორიისმა და ლოკალს იცავდნენ, მსახიობის მოდური ტანსაცმლით გამოდიოდნენ, ვინაიდან აღორძინებისათვის ნიშანდობლივი იყო წარსულის ათვისება „ახლებური, მთლიანად თანამედროვე, რენესანსული პოზიციიდან“ (გვ. 57) ამიტომ ავტორი არ იზიარებს იმ კრიტიკოსთა აზრს, რომელიც შექსპირის ცნობილ ანაქრონიზმსა და მისი ნაგებულებების განსწავლლობით ხსნიან, ნ. ყიასაშვილი ლოგიკურად დაასკვნის, რომ „ანაქრონიზმები შექსპირისათვის მოდურიზაციის გარკვეული ხერხია“. თუ „იულოუს კეისარში“ ინგლისის აღორძინების ხანის ადამიანთა თვისებებს ვხედავთ, მაშინ შექსპირის უცოდინარობად არ უნდა ჩათვალოს, როცა იმავე ტრაგედიაში საათის რეჟია ისმის და მაკიაველზეა ლაპარაკი: „ასეთი ანაქრონიზმები შექსპირის პიესებში „თამაშობენ“... მათი წყალობით კეისრისდროინდელი ამბები თანამედროვეობას ეხმარება“ (გვ. 58).

ნ. ყიასაშვილი შექსპირის თითქმის ყველა ნაწარმოებს მიმოიხილავს, მაგრამ შექსპირის მსოფლმხედველობრივი და მხატვრული ევოლუციის ნათელიყოფის რამოდენიმე ძირითადი საკითხის გათვალისწინებით ახდენს. წიგნის მეოთხე თავში „ადრეული შემოქმედება“ ნაჩვენებია შექსპირის იდეურ-ესთეტიკური იდეალიზმი, რომელთაც პირველსავე ნაწარმოებებში იჩინეს თავი. შექსპირის სახელგანთქმული სონეტები მისი დროისათვის დიდი სიახლე იყო, მათში თავს იჩინენ შექსპირის ადრეული შემოქმედების მსოფლმხედველობითი და სტილისტური თავისებურებანი, ყოველივე ეს ნ. ყიასაშვილს საგანგებო ყვლევის საგნად ვთვლიდა. მოსაწონია, რომ სონეტების ანალიზისას ნ. ყიასაშვილს თავის მონოგრაფიაში მახეული გადააქვს სონეტებში აღბეჭდილი რენესანსული იდეალების ჩვენებაზე და არა იმაზე თუ ვის გულსხმობს შექსპირი ამა თუ იმ სონეტში.

მონოგრაფიის ავტორი გვერდს არ უვლის იმ რთულ, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხს როგორცაა შექსპირის და სავრთოდ ინგლისური დრამის მიმართება ინტერპრობისადმი. პლატეს ეპოქის სიუჟეტებს და თემებს ახალი რე-

ნესიანული სული შთაბერა და შექმნა „ახალი, რენესანსის ხარისხში აყვანილი ხელოვნება“ (გვ. 73).

საფუძვლიანად და მრავალმხრივად განხილული „რომეო და ჯულიეტა“, მის პერსონაჟთა სახეები, მხატვრული სიხალენი და თავისებურებანი. და რაც მთავარია, ამ ანალიზს მონოგრაფიის ავტორი იმ საკითხის გახსნას უძველეს დებარებს, თუ რამ განსაზღვრა ყველაზე ოპტიმისტურ განწყობილებებით აღსავსე პერიოდში ახალგაზრდა დრამატურგის მიერ ამ ტრაგიკული თემის დამუშავების ფაქტი. იმავე კონტექსტთან კარგადაა დაკავშირებული აგრეთვე „ვენეციელი ვეპაი“ და ქრონიკები.

„საუკუნის მიწურული“ ამ სათაურით გაერთიანებულია 1597—1601 წლებში შექსპირის მიერ შექმნილი ნაწარმოებები. აქ ავტორი ეხება მწერლის იმ ტენდენციებს, რომელიც უშუალო დაკვირვებებს მერე წარმოადგენდა „ჰამლეტი“ და სხვა „დიდი ტრაგედიები“. „ჰენრი IV“, „ჰენრი V“-ში შექსპირის ფოლსტაფური ფინი—ფოლსტაფი, ნიმი, კეიკლი და სხვ. — შექსპირის ეპოქის ტიპიურ სურათს გვიხატავს, ხოლო „ოთლუს კეისარი“ შექსპირი თავისი დროის სოციალურ-პოლიტიკურ პერიპეტეებში თვისობრივად ახალი პრაბლემატიკის გადმოწვევას ეძებს. ნ. უიასაშვილი აღნიშნავს, რომ პიესებში „ოთლუს კეისარი“, „როგორ მოგეწონებათ“ პირველის ტრაგიკული და მეორის უსაგნო და უმწეო მელანქოლიას შექსპირის ევოლუციის შინაგან კონზონანსებში ერთი და იგივე საფუძვლიანი გააზნიათ, რაც მერე შექსპირის ტრაგიკულ განცდას განაპირობებს. ადრეულ პიესებისაგან განსხვავებით, „ჰენრი IV“-ში კომედიებში და ისტორიულ დრამებში თანდათან ფეხს იკიდებენ და იზრდება სოციალური პოტივები.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია „ჰამლეტი“-ს საგულისხმო ანალიზი. ნ. უიასაშვილი აღნიშნავს, რომ ამ ტრაგედიაში, როგორც ფოკუსში, თავს იყრიათ შექსპირის მსოფლმხედველობისა და მხატვრული მეთოდის ძირითადი მომენტები. გამოკვეთილია ის აზრი, რომ შექსპირის შემოქმედება არის რენესანსული ლიტერატურის მწვერვალი, პემაინიზმის სრული მემკვიდრის სახეა და იმავე დროს პემაინიზმის კრიზისის, დაშლის მაცნე. წიგნს ღირსებას მატებს ის გარემოება, რომ ეს ორი ნიშანი არსად არაა დატოვებული მხედველობის არედას.

„ჰამლეტი“ შექსპირს აინტერესებს ჰამლეტი — ადამიანი და არა უფლისწული, ამდენად „აბსოლუტიზმის პრაგმეტიკის საკითხი „ჰამლეტი““. „ოთლუს კეისარს“ შემდეგ კიდევ უფრო მეტად გადაიწვეს უკანა პლანზე“ (გვ. 162). ახსნილია შექსპირის მიერ თავისი საზოგადოების პოლიტიკური იდეალებით უკმა-

ყოფილება: „დამპალა რაღაც ამ დღიის სახელმწიფოში“. საზოგადოდ, დიდ ტრაგედიებთან დაკავშირებული საკითხები წიგნში საფუძვლიანადაა არგუმენტირებული. გაკვირით ავტორი ჰამლეტის სახის გავების ისტორიასაც ეხება და, სხვათაშორის, აღნიშნავს 1905 წელს „იერიამი“ ივ. გომართელის სტატიას ჰამლეტზე.

ასევე საგანგებოდ ჩერდება ავტორი „ოტელი“-ს საკითხებზე. მღერის ტრაგედიის გახსნისას ნ. უიასაშვილი აღნიშნავს: „მთავარი ის კი არ არის, რომ ოტელი მოატყუეს... არამედ ის, რომ თვით იაგოს მიერ შეთხზული ამბავი ეცნაურა, დამაჯერებლად ეჩვენა ოტელს...“ (გვ. 198).

კარგათაა ნაჩვენები შექსპირის ევოლუციური სიკოცხლეთ სახე, ღია რენესანსული საღებავებით შეფერილი პიესების განწყობილების თანდათანობით შეცვლა ტრაგიკული განწყობილებით, რამაც თავის აპოთეოზს „მეფე ლირაში“ მიაღწია, ტრაგიაში ახალი ძალით ელენდება „მაგბეტში“, რომელშიც ისევ წინა პლანზეა წამოწეული აღორძინების მსოფლმხედველობრივ და სოციალურ წინააღმდეგობებში გაბმული რთული პიროვნების სულიერი ტრაგედია.

ნ. უიასაშვილი გამოთქვამს რამოდენიმე კარგ დაკვირვებას შექსპირის ტრაგედიათა თანამედროვე სცენიურ ხორცშესხმავზე.

„პროსპეროს დამსხვრეული კვერთხი“ — ამ ხატოვანი სათაურით, წიგნის უკანასკნელი თავი შექსპირის შემოქმედების დასასრულს ეხება — ე. წ. რომანტიკულ პერიოდს. უკვე „მაგბეტში“, რენესანსული კულტურის დაცემისთან ერთად, პემაინიზმის იდეალები კრიზისს განიცდიან: ლედი მაგბეტის სასოწარკვეთილ კვილიში „მომწყინდა სწორედ შიის ყურება და იმას ენატრობა, მოსპობილ იქნას უკვე მთელი ქვეყნებზე“ — მარტოღუნ მისი განწყობილება როდია გადმოცემული. — სამართლიანად აღნიშნავს ნ. უიასაშვილი.

მართალია, ტრაგიკული პათოსი „ანტონიოსა და კლეოპატრას“ და „კოროლიანოს“ თემის შექსპირის დიდი ტრაგედიების პერიოდთან აკავშირებს, მაგრამ ნ. უიასაშვილი ამჯობინებს ისინი რომანტიკული პერიოდის ნაწარმოებებთან განიხილოს, იმ ლოგიკური მოსაზრებით, რომ მათში, შექსპირის დიდ ტრაგედიებისაგან განსხვავებით, ჩნდება ნერვიული ტონი, სულიერი დამაბუნება, რომელიც უკანასკნელ პერიოდზე გადასვლის გამოხატულ შუალედურ ფაზას მიეკუთვნება.

შექსპირი ცდილობს თავი დააღწიოს სინამდვილის ტრაგიკულად აღქმას. „სამართის ზღაპრის“ ტრაგიკომიკური სამყარო დრამატურგის მიერ მომებნილი ეპოქრომისული გზაა. მაგრამ

„ჰამლეტის“ ავტორს შემოქმედებითი კომპრომისი არ აკმაყოფილებდა: შექსპირის უკანასკნელ პიესაში „ჰარიშხალი“ პროსპერო ჯადოსნური კვების დამსხვრევას აბრებს: „წიგნებს კი ჩემსას ისე ჩაეჭირავ, გემის ღუზაც ვეღარ მიწვდება“.

ნ. უიასაშვილის წიგნი უ. შექსპირზე, ცხადია, არ ეხება შექსპირის შემოქმედების პრობლემათვის ყველა მხარეს. მაგრამ წიგნი მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის ანგლისური რენესანსის ეპოქაზე, შექსპირის ნაწარმოებთა არსზე და მათ ვეოლუციაზე.

ირაკლი კანკოშვილი

საქართველოს სამეურნელო მემარევენი

ვის არ უნახავს ლამაზი ფურისულა, ადრე ვახუშტულზე რომ აყვავდება ხოლმე ტუის პირებში, ან ასკილი — გაჭრული ვარდი, ესოდენ რომ ამშვენებს ჩვენს ბუნებასა და ტყეებს; ვის თვალს არ გაუხარებია ადრე ვახუშტის ყვავილათა შორის ყველაზე სურნელოვანსა და ყველაზე დაქოზ შროშანას, რომელსაც ხარბად დაესვენებ ხოლმე ქალაქების მცხოვრებლები და უმალ დიიტაცებენ. მაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ ამ მშვენიერ ყვავილს აფთიაქში თავისი საგანგებო სახელწოდება აქვს — კონვალარია შაილის — და მისი წვეთები მაღალი დეკლუბიან ხოლმე ადამიანის ავადმყოფ გულს, აწესრიგებენ მის მუშაობას, აწუნებენ აჭარბებულ გულისცემას.

ასევე შველან ადამიანს ხაქიპორაც, ქართლში ხაქმაქიჯის რომ ეძახიან, სისხლის ღენას რომ აწერებენ, მრავალძარღვაც, მთელი მსოფლიოს გზები რომ მოუფენია, ქრისტეს ნეკიც, თეთრი ხაქსიც, თეთრი ბუტრაც, ქერიფლაც, თეთრი გვირილაც, რომლის ზეთიც თერზე „ყოველს სატყვარს დააწუნებენ, კაცი რომე მოღალეთ იყოს, მას არგებს, ძილს მოგერის უფრო“. ახლა ია გაიხსენეთ — მინდვრის ყველაზე ლამაზი პატარაძალი — თერზე მისი ფოთოლიც წამალი ყოფილა, ძირიც, ყვავილიც, თესლიც. ძველ საქართველოში ავადმყოფის საგვებელი ია და ვარდით იყო მოფენილი — „ყოვლის სენისა და ქირის წამალი და ექიმი არისო და მწოდ მარჯე ყვავილი არისო“. და შემდეგ ჩამოთვლილია თუ როგორ უნდა იხმაროს კაცმა ია ყოველი ცალკე ავადმყოფობის მალამოდ. და განა მარტო ეს ყვავილებია, რომ ასე გამოადგებიან ხოლმე ადამიანს განსაუდღელში? თერზე მთელი მდღეო, მთელი ტყე და მინდორი სავსეა მცენარეებით, რომელთა დაუხმარებლად მედიცინა უძღური იქნებოდა დაეძლია ავადმყოფობანი, მიშველებოდა ადამიანი.

წიგნის ყოველ თავში ნ. უიასაშვილს გამოყენებული აქვს დიდძალი შექსპირული ლიტერატურა, ძირითადად თანამედროვენი და ხოლო და საბჭოთა. დამოწმებული თუ გამოყენებული ლიტერატურა წარმოდგენილია, მცირე ანალიზითურთ, წიგნის ბოლოს, შენიშვნებში. ნ. უიასაშვილის ეს ქართული წიგნი უ. შექსპირის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილია ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე.

და როგორ არ უნდა გაიხსენოს კაცმა გაყოფილი ბრძენი მინდია:

ყვავილი ყელგადაგდებით,
დახატულები კალმითა,
„მინდიას ვაუმარჯოსო“,
ერთხმად ასტეხენ ყიფინსა,
ხევი ფოთლებს არხვევენ,
ბუნება იწყებს ბიბინსა,
და მერე საითთაოდა
ყველა მოპყვება ტიტინსა:
„ამე ვარო ამის წამალი“,
სხვა გაიძახის — „იმიას“,
მინდიაც მოსწყვეტს, თან შიაცქს,
ჯერ ზედ ნამი აქვს დილისა.
თურმე ზენდა სჭირთ ყვავილთა
ოღონდ ეწამლონ ნენულთა,
სიკობლით გაფუფუნებულს,
არად აგდებენ სხეულთა,
სალხინოდ მსახვენ, კაცთ სარგოდ,
ძვალ-ხორკთა ჩამორღვეულთა.

ვის მოსთელის რამდენი ასეთი მინდია ქვედა ძველ საქართველოს, ჭრილობებს რომ უხვევდნენ და მალამოს ადებდნენ ბრძოლებში დაჭრილ მგომრებს, ჰშველოდნენ ავადმყოფებს, ებრძოდნენ ყოველგვარ სატყვარს. მათი გამოცდილება შეინახა არა მარტო ხალხის მესხობაში, არამედ აღიბეჭდა წერალობით წყაროებშიც; ყოველივე ამას სწავლობს და კრიტიკულად იყენებს თანამედროვე მედიცინა; ამ შესწავლის გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ნინო წუწუნაეას ვრცელი ნაშრომი „საქართველოს სამეურნელო მცენარეები“, რომელიც „საბჭოთა საქართველოში“ გამოსცა ავადნიყო კუცხოველის რედაქტორობით.

ამ ნაშრომში ლაპარაკია საქართველოს სამეურნელო მცენარეების შესახებ. ჩვენს რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, დიდი უურაოდება ემყარება მცენარეულ სამეურნელო წამლო ნედლეულს შესწავლას და

მის გამოყენებას მოსახლეობის უანმრთელობის საქმისათვის. საქართველოს მცენარეული საფარი უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია. ბევრი მცენარე, რომელსაც წარსულში სამკურნალოდ ხმარობდნენ, ამჟამად ამ მხრივ, მხოლოდ ნაწილობრივ არის შესწავლილი, ხოლო ზოგი, სხვადასხვა მიზეზის გამო, სრულიად შეუსწავლელია. საქართველოს სსრ ფლორაში წარმოდგენილი სამკურნალო მცენარეების განხილვის დროს ავტორს მიზანშეწონილად უცენია, თანამედროვე მონაცემებთან ერთად, წარმოედგინა ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით ძეგლებში არსებული მონაცემები, მცენარის სამკურნალოდ გამოყენების შესახებ.

ზემოსხვნიებული ნაშრომით სარგებლობის გადაფილების მიზნით, სამკურნალო მცენარეები ტექსტში დალაგებულია ანბანის მიხედვით. თვითველი მცენარის ამჟამად მიღებულ სახელწოდებასთან ერთად მოცემულია ის დასახელებაც, რომლითაც ისინი გვხვდებოდნენ ძველ ქართულ სამედიცინო ნაწარმოებებში.

6. წუწუნავას ნაშრომი თავის როლს შეასრულებს იმ დაძაბულ მუშაობაში, რომელიც ძველი მედიცინის მემკვიდრეობის ასათვისებლად წარმოებს; მაგრამ ეს წიგნი საინტერესოა ჩვე-

ნი მწერლობისათვისაც იმ თვალსაზრისით, რომ აქ გამოშვებულია მრავალი *ქართული* ბიტიყვა, მრავალი სახელწოდება *ამჟამად* უცნობია თუ მცენარისა, რომელია სახელები უცნობი ან ნაკლებად ცნობილი იყო და რომლებსაც ინიშავს ზალხის მუხსიერება და ძველი ზღვანაწერი ძეგლები მედიცინის დარგიდან. ამას გარდა, აქ მრავალი ცნება თუ ტერმინი გვხვდება ზალხის ყოფის სფეროდან და, თუმცა ნაშრომის ავტორს ეს სპეციალური მიზანი არ ჰქონია, ეს წიგნი თავისთავად ამდიდრებს ჩვენი ენის ლექსიკონს.

წიგნის ავტორს დიდალი ღირებატრია გამოუყენებია, რათა საკითხი უფრო სრულად და ამომწურავად გაეშუქებინა. სახელგანთქმული ძველი კარაბადინების გვერდით აქ გამოყენებულია ვახუშტი ბატონიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, თ. ბაგრატიონის, რაფიელ ერისთავის, დ. ზუბანაშვილის, ივ. ჯავახიშვილის, ს. ჩოლოყაშვილის, ნ. კეცხოველის, ა. მთავაშვილის, ზ. ყანჩელის, ზ. შენგელიას და მრავალ სხვათა ნაშრომები. ეს გარემოება კიდევ უფრო ამდიდრებს ამ მეცნიერული გამოკვლევას და ზრდის მის შემეცნებითს ღირებულებას.

ბ. ხელაშვილი

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

აღმწიგნობელი

მოქამედ დიბი — ლაგრატი

24 თებერვალს ცნობილ აღვირვალ მწერალს მოქამედ დიბს მიენიჭა 1961 წლის რწმუნე ლაბორატის პრემია ლექსების კრებულისათვის „L' ombre gardienne“.

აღსანიშნავია, რომ მოქამედ დიბსა სახელი გაითქვა რომანით „დიდი სახლი“, რომელიც რუსულ ენაზედაცაა თარგმნილი. თავის შემოქმედების შესახებ მოქამედ დიბმა თქვა: „მე პოეზიით დავიწყვე. შემიძლია ვთქვა, რომ თბუთებტ წლიდან ოცდახუთამდე ლექსების მეტი არაფერი დამიწერია. მიუხედავად ამისა, პრემიარებული კრებული ჩემი პირველი ნაშრომი პოეტური კრებულება. ბევრით ვარ დაჯილდებული არაფრისგან, რომელშიც ვერადღება მომავალი, გამომწვევად ჩემს პოეტურ კრებულს წინასიტყვიანა წარუმწავარ“.

მოქამედ დიბი დაიბადა 1920 წელს აღვირის ქალაქ ტლემსენო. საშუალო განათლება მიიღო ტლემსენა და უფლში. 19 წლიდან სხვადასხვა სამუშაო გამოიცვალა, ხოლო წელს ყრმობიდანვე მოჰქადა წერა.

ალექსიკონი და მამატურები

გამოიქცა აღვირული დრამატურის პირნი ნუასტერის პიესა „სმენი ყახამი“, რომელიც აგებულია აღვირის ომის ვრთ-ვრით ეპიკურულზე. მოქმედება ვითარდება პატარა სოფელ აინ-ისერში და ნაშეუქმებია აღვირული პატრონიტების მფლობელობა პარტიკრუსის ცნობილ ციხეში, ქალაქ აღვირში.

ალექსიკონის ომი

ორგანიზაციამ „მომართობა მწეიდობისათვის, რასობისა და

ანტიკომუნიტიზმის წინააღმდეგ“ შარშანდელი „ომობის პრემია“ 2 მარტს მიანიჭა მწერალ ვიულრუსს — წიგნისათვის „აღვირის ომი“.

ვიულრუსის შემადგენლობაში იყვნენ მწერლები ფრანსუა მორიაკი და ანდრე მორუა, კინო-რეჟისორები ლუი დაკენი და ჟან-პოლ ლემენა, კინო-კრიტიკოსი ვორც სადული.

ამერიკის შვედეთში აღმშობილები

მარკ ტვენის თავისთავი

მილტონ მაღტყერმა ამას წინათ გამოცხადა კრებული „დიდი მარკ ტენი“. იგი შედგება მარკ ტვენის გამოართვაშეხება და წერილებისაგან. წიგნს ფრანგ დიდი ლიტერატურული ღირებულება აქვს, რადგან იქ თემატიკონილია დღემდე ნაკლებად ცნობილი ნაწყდებები, ესეიწები და ფოტოსურათები. გარდა ამისა, წიგნში მოთვესებულია მარკ ტვენის პატარა ავტობიოგრაფიული ცნობა: „მე დაიბადე 1835 წლის 30 ნოემბერს მისურის შტატის უნიშუნელი სოფელ ფლორიდაში. ამ სოფელში ჩემს დაბადებამდე ირცლებოდა ხელახი მკვიდრი ასე რომ მე გავადიდე მისი შობახლოების რიცხვი დაიღი პრიფიტით. ეს გაყოფით მეთაია იმასზე, რაც გავკეთებდა თავისი მშობლობური ქალაქისათვის მრავალ გამოწვეულადამიანს. აქამდე შეუპირმადე კი ვერ შეხლოდი ამის გაკეთება, რაც მე გავაკეთე ფლორიდასათვის“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

გერმანიელი მწერლები ლექსიკონი

ვაიმარის გამოცემლობამ „ფოლკსრუტაჟმა“ გამომწვა გერმანელ მწერლების ლექსიკონი,

რომელიც დაწამავებულია გერტერ ალბრეხტის, კურტ ზიტხერის, ჰერბერტ ვრაინერ-მაისის და პაულ ვიულტერ კრომის მიერ.

ლექსიკონის 600 გვერდზე ავტორებმა განიხილეს დახლოებით 750 გერმანელი მწერლის შემოქმედება უძველესი დროიდან ჩვენს დღემამდე. ლექსიკონის ღირებება ისაა, რომ ბევრი ნაკლებად ცნობილი ან მივიწყებული მწერალი ხელახლა აღმოჩნის ფურცლებზე, ეს ვება და უთარესად პროლტარულ და თანამედროვე სოციალისტური გერმანიის მწერლებს. „ლექსიკონი ყველაზე ბიოგრაფიულ მიგვაჩინა, წერს „ხოიეს დირლანდის“ ფურცლებზე ეტერარდ პილშერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიტერატურის დაწერილობითი განხილვა, მეტადრე უკანასკნელი 15 წლის ლიტერატურული განვითარებას. გარდა ამისა, ლექსიკონში სისტემატურად თემატიკონილია სხვადასხვა წიგნში გაფანტული ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ცნობები“.

გერმანიელი ენის განმარტებითი ლექსიკონი

აღმოსავლეთი და დასავლეთ გერმანიის მეცნიერებმა დაამთავრეს მუშაობა გერმანიული ენის 32-ტომის განმარტებითი ლექსიკონზე. იგი წარმოადგენს გერმანული ფილოლოგიის უნიშუნელობას ნაშრომს. ლექსიკონის შედგენას ვერ კიდევ 125 წლის წინათ შეუდგნენ ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერები ძველი ვილჰელმ და იაკობ გრიმები, რომლებსაც ლექსიკონი დაამთავრეს მხოლოდ ათი „D“-მდე. მათი სიყვდილის შემდეგ, ლექსიკონზე მუშაობა შეწყდა 50 წლით. ჩვენი საუყურის დასაწყისში მუშაობა ლექსიკონზე განახლეს გერმანიისკებმა ვაიგანმა, პილდებრანდმა, შრედერმა, პიუნერმა და სხვ. ლექსიკონის საბოლოო დაწამავება მოხდა მხოლოდ მერვე მთავლითი ომის შემდეგ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ბულვარული ლიტერატურის წიგნი

დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობის კავშირის „დოქტორ ფენდინგის“ იურიდიულმა კომიტეტმა აცნობა „იუნესკოს“ ასამბლეის თავმჯდომარეს, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაშვებულია და გაგრძელებულია მ. შლიონის ცემენტარია ბულვარული ლიტერატურა.

გენიალური პოეტის ხსოვნის უგულვებელიყოფა

როგორც ცნობილია, გერმანული პოეტი პაინრახ პაინე ქალაქ დიუსელდორფში დაიბადა. უკვე რამდენიმე წელია, რაც პოეტის თავუბანისსცენარებმა შეაერთებს იმ ნივთების კოლექცია, რომლებიც დაკავშირებულია ამ პოეტის სახელთან. მაგრამ ქალაქის თვითმართველობამ მხოლოდ შარშან გასული წლის ამ რელიკვიების გამოაფხანდა სრულიად უგარვასი სადაფის საქალაქო მუზეუმისთვის სხვენზე, სადაც მრავალრიცხოვანი ბნელი ფერფხებია და დანარჩენი კიბების ბავლის შემდეგ მოხდება კვი. ეს კიდევ არაფერია მათ აურთავს ბილიოთეკის კედელზე ამ გამოფენის მიუხედავად დაფის ვიკარეც კ. ასეთვე ბედი ეცა პოეტის ძეგლს, რომელიც პიტლერეგებამა დაანგრეს და 1945 წელს ხალხის დაფინებით მოთხოვნის შემდეგ ისევ აღადგინეს, ამ ძეგლს ახლა არათითარი წარწერა არა აქვს.

იხსენი

ახალი წიგნები შექსპირზე

ყოველ საგანმანათლებლო სფეროს ინტელისში მოქცეს რაიმე ახალი შექსპირილოგიაში. ამ მხარეც ყველაზე ნაყოფიერი იყო გასული წელი. თათქვის ერთხა და იმავე დროს გამოქვეყნდა მუხი წიგნი, რომლებიც სხვადასხვა თვალსაზრისით განხილავენ ამ უდიდესი დრამატურგის შემოქმედებას: 1. რობერტ გიტინგი „ცოცხალი შექსპირი“; წიგნში შეტანილია კომენტარის 15 რადიო-ლექცია „მალტის“ ავტორზე. 2. აკვირ პრადნი „შექსპირი და მისი დრო“; წიგნში განხილულია ეპოქა, რომელშიც შექსპირს უბედობა ცხოვრება და შემოქმედება. 3. კურეტი ჰიუნერი „როგორც თანავეტორი“; ავტორი განიხილავს შექსპირის დრამატურგის მემკვიდრეობას. 4. ედუარდ ჰაბლერი „შექსპირის სამედიცინო მონაცემები და მოქმედებები“; ავტორი განიხილავს შექსპირის დრამატურგის ნაწარმოებებს მისი ხანის სიყვარულის მოტივების დიდი დრამატურგის ნაწარმოებების მიხედვით. დაბოლოს, 6. არნოლდ ბრადნი თავის ურეკლამარში წერს შექსპირისა და ბეჯონის ურთიერთდაზიანებულეზაზე.

ქება

სახვითი ბელოვნება

პარიზში მოქმედებს სახვითი ბელოვნების გამოფენა, სადაც მონაწილეობს თითხმეტი მხატვარი და მოქმედებენ ყველაზე დიდ მთავრდებებს სტრუვის მხატვარ ლანის დრამატურული ტილოები. თავისებურია მხატვრების განაჩის და ფერწარმების მანერა.

საგრაანგეო

„იუნესკოს“ ბიბლიოტეკაში ქართული ლიტერატურა

„იუნესკოს“ მიერ პარიზში გამოქვეყნულ ბიბლიოგრაფიაში, რომელშიც აღწესებულია მთლიანობა სხვადასხვა სახელმწიფოში გამოცემული წიგნები და შრომები, ისტორიულ მუნიციპლების დარეგირება, შეტანილია თითქმის ყველა წიგნი, გამოცელება, მონორაფია თუ ცალკეული სტატია, რომელიც შეეხება საქართველოს. ბიბლიოგრაფიაში ფართოდაა წარმოდგენილი ცნობილი საბჭოთა მუნიციპლების, მათ შორის შალვა ამბროსიანის, სიმონ ყაუხჩიშვილის, გიორგი მელიქიშვილის, შალვა ნუცუმიძის, იხილორე დოლიძის, აკაკი სურგულაძის, პაატა ბუნუშვილის შრომები, რომელთაც აშუქებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ცალკეულ საკითხებს. განსაკუთრებით საინტერესოა ის შრომები, რომლებიც გამოთავსებიათ ამ საკითხზე უცხოელ ავტორებს. ბიბლიოგრაფიაში მოხსენებულია ცნობილი ქართველი მწერლისა და მემკვიდრეობის ფერწარმების, დევიდ ლენინის, ჟონ ლუდრენის, შორის ბრეტონის, ირსეუ კარსტის, რ. ვრანკოვის, უგრაანდ დეტრანის, ლაიონ ფევეტის და სხვათა შრომები. მგ. მბლიოგრაფიაში აღწესებულია ფერწარმებისა და მხატვრული ნაწარმოების ნაშრომი: 1. „სინაის მთის ქართული ხელნაწერები“, 2. „ქართული ფრაგმენტები სხარებისა“, 3. „იაკობის პროტოანხარება ქართულად“, 4. „იონე კუხინასტის სიყვარული ქართული ტექსტის მიხედვით“.

დევიდ ლენინი წარმოდგენილია იონ ნაშრომით. პირველი მათგანი შეეხება საქართველოსა და ამიერკავკასიის ნუმიზმატიკას, ხოლო მეორე აღწერს საქართველოს სამეფოს უკანასკნელ წლებს. უგრადდება ასკრობის თანამედროვე ურეკლე მუნიციპლის გამოცელება, რომელიც განიხილავს ქართველი ირინტალისტების შრომებს თურქულ და სპარსულ პალეოგრაფიის დარგში.

რჩინარდ რაიტის სიყვდილი

პარიზში გასული წლის ნოემბერში გულის ინფარქტით გარდაიცვალა ამერიკელი მწერალი რჩინარდ რაიტი. იგი დაიბადა 1908 წელს მისისიპის შტატის ერთ-ერთი ფერმაში ზანგი სენსკულის ოჯახში. წვენი მკითხველი მას იცნობს როგორც ავტორს „ბიძის თოხას“ შეილვის“ (1938) და რომინოსა „მელიკოს მელი“ (1940.) 1946 წლიდან რაიტის ცხოვრობდა საფრანგეთში, მისი უკანასკნელი რომანი „მაგი ოტენა“ ეხება რასიული დისკრიმინაციის საკითხს.

ფედერაციო გარსია ლორკას კრებული

პარიზში გამოვიდა ესპანელი მწერლის ფედერაციო გარსია ლორკას ნაწარმოებების სრული კრებულიის უკანასკნელი ტომი: „მოსხენებები. ინტერვიუ. წერილები“. თვითაიო ეკანაფრიდას გეოგრაფიის ანდრე ბელაშიშს. შეიღტომიანი კრებულის პირველი ორი ტომი შეიცავს პოეზიას, შემდეგი სამი — პიესებს, მეექვსე ტომშია — ახალგაზრდობისდროინდელი და სხვა ნაწარმოებები. უკანასკნელ, მეშვიდე, ტომში შესული მახალები უაორებად საყურადღებოა პოეტის შემოქმედების გასაგებად.

ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“



საბჭოთა
საქართველო

- მ. გორკი — პიესები. ტ. VI, რედ. დ. შენგელაია, გვ. 494, ფასი 1 მან. 40 კაპ.
კრისტე შეინგელი — მშვიდობით იარაღი! აღმოხდების შუე. (ფიესტა), თარგ. ინგლისურიდან
ვახტანგ ქელიძისა. რედ. ე. მაღრაძე, გვ. 478, ფასი 1 მან. 48 კაპ.
კ. პაუსტოვსკი — ტარას შევჩენკო, თარგ. ვალენტინა ძიძიგურისა, რედ. დ. შენგელაია, გვ. 102, ფასი 13 კაპ.
ანასტასია ერისთავი-ხოშტარია — თხზულებანი. ტ. III, რედ. შ. აფხაიძე, გვ. 374, ფასი 70 კაპ.
ხუტა ბერუღავა — სიუჟარული შენი... რედ. რ. ორჯონიძე, გვ. 194, ფასი 50 კაპ.
ოთარ კუპრავა — ცუდღარის წვალი, პოემა. რედ. კ. ბობოხიძე, გვ. 140, ფასი 28 კაპ.
ანა ნიკოლაძე — რუსი კლასიკოსები და ქართული კულტურა. რედ. ზ. ტალიაშვილი. გვ. 464, ფასი 1 მან. 40 კაპ.
სიმონ წვერავა — წერბლები ლიტერატურაზე. რედ. თ. გოგოლაძე, გვ. 256, ფასი 70 კაპ.
ირ. ტატიშვილი, თ. დეკანოზიძე — მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ასაღგაზრდობა.
რედ. პროფ. ა. კიკვიძე, გვ. 456, ფასი 1 მან. 20 კაპ.
მარტინ ქერამიანი — შმობლიური ხმები (ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსები) (სომხურ
ენაზე) რედ. არჩ. დავითიანი, გვ. 126, ფასი 23 კაპ.
ალენე დიდმაშიშვილი — სიუჟარულს კვალდაკვალ. რედ. ი. ხოშტარია, გვ. 94, ფასი 15 კაპ.
ხ. შაკალაია — ამის ხეობა. რედ. ირ. არაბული, გვ. 54, ფასი 10 კაპ.

გამომცემლობა „ნაბადული“

- ჩვენი ხაუნჯე — ტ. 12, რედ. გ. ლეონიძე, გვ. 550, ფასი 1 მან. 90 კაპ.
ირ. აბაშიძე — ხან წუთი, ხან საუკუნე. რედ. ზ. კაჭხიძე, გვ. 120, ფასი 35 კაპ.
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი — რედ. ქ. ნადირაძე, გვ. 30, ფასი 17 კაპ.
„ნაკადულის“ დედა — რედ. ნ. ნაკაშიძე, გვ. 64, ფასი 8 კაპ.
ვასილ გვეტაძე — ჩვენი ზღვის მურცლები. რედ. ზ. კაჭხიძე, გვ. 66, ფასი 9 მან.
შ. შენგელი — როგორ იბადება ენგურის ქალაღი. რედ. რ. ინანიშვილი, გვ. 38, ფასი 5 კაპ.
ოღლა რომანენკო — ირინე. თარგმ. ქეთევან კილაშვილისა, რედ. ჯ. ნიჭიბა
გვ. 22, ფასი 2 კაპ.